ლევან სანიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიის სანაგვე

II ნაწილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

ხატი და სახატე

II ნაწილი

დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ
დამხმარე სახელმძღვანელოდ

გამომცემლობა „დია“
თბილისი - 2000

63.3(2г)
947.922(075)
ს 263

ეროვნული
ბიბლიოთეკა

© ლევან სანიკიძე 2000

ISBN 99928-42-02-4

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეობა ბაგრატ მესამისა

ხუთასი წელიწადი დალეწილიყო ვახტანგ გორგასალის აღსასრულიდან.

ახალი საუკუნე იდგა - მეთერთმეტე, ქრისტეს დაბადებიდან.

საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა:

ერთიანი ენით,
ერთიანი დროშით,
ერთიანი ხმლით,
ერთიანი ჯვრით,
ერთიანი კალმით,
ერთიანი ყალმით.

ტახტზე იჯდა **ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე.** „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა“.

კახეთი და ჰერეთი მაინც განკვეთილად იდგნენ საქართველოს ერთიანი ტახტისგან.

და, 1010 წელს ბაგრატმა კახეთ-ჰერეთი საქართველოს ერთიანი ეგიდის ქვეშ მოაქცია.

იმჟამად რანში, მის სატახტო ქალაქ განძაში ძლიერი და კადნიერი ხელმწიფე იჯდა - ამირა **ფ ა დ ლ ო ნ ი,** რომელიც ხშირად მოილტვოდა აღმოსავლეთ საქართველოზე, „ჟამითა-ჟამად მეკობრეობით და პარვით რბევად და ტყუევნად ადგილითი ადგილად“.

ბაგრატმა გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა ფადლონი და მოკავშირედ გაიწვია სომეხთა მეფე **გ ა გ ი კ პ ი რ ვ ე ლ ი,** რომელიც აგრეთვე ფრიად შეეიწროებული ჰყავდა ამირას. ამიტომაც გაგიკმა ქართველი მეფის წინადადებაზე „განიხარა სიხარულითა დიდითა“, სომეხთა ლაშქარი სასწრაფოდ შეჰყარა და ზორაკერტთან შეუერთდა ბაგრატ მესამეს.

1011 წელს ქართველ-სომეხთა ჯარები რანში შეიჭრნენ, ფადლონის წინააღმდეგობა პირველ იერიშებზევე გასტეხეს და ფიცი დაადებინეს, რომ „ღღეთა შინა სიცოცხლისა მისისათ“, ქართველი მეფისათვის, ვითარცა ყმას, ხარკი ეხადა და საჭირო შემთხვევაში ქართველთა შემწედ ჯარიც გამოეყვანა.

1013 წელს ბაგრატ მესამე ვახტანგ გორგასლის „ჩრდილოეთ ნაკვალევს“ გაუყვა და დაიმორჩილა კავკასიონის გადაღმა ქვეყნები „ჯიქეთიდან ვიდრე გურგანადმდე“ (კასპიის ზღვამდე).

შეუსვენებლივ იღვწოდა ბაგრატ მეფე „წვრილი ერისთვის“. წერილობითი სამართლის კოდიფიცირებას ახდენდა „გლახაკთა მოწყალე და სამართლის მომქმედი ყოველთა კაცთათვის“. ტაძრებსა და სავანეებს აგებდა დიდგონიერი, განათლებული ხელმწიფე.

აღაშენა ეკლესია მოწამეთისა, სადაც დაასვენა მოუსვენარი ძვლები სახალხო გმირებისა - ძმათა მხეიძეთა - დავითისა და კონსტანტინესი.

აღაშენა ტაძარი ბედიას, და „უკეთე ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა (ბაგრატისა), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“.

აღაშენა ტაძარი ერთიანი საქართველოს საატახტოში - ქუთათისში - განთქმული „ბაგრატის ტაძარი“. 1003 წელს, „ოდეს განემტკიცნა იატაკი“, ბაგრატმა მის სახილველად კურთხევაზე მოიწვია კულტურის ყოველი დამფასებელი - ქართველებიც და არაქართველებიც, შინაურებიც და უცხონიც, მეფეებიც და მდაბიოებიც, სამღვდელონიც და საერონიც.

და ქვეყანამ იხილა ტაძარი-ასწაული, სიმბოლო „ნათესავ-ქართველთა“ ერთიანობისა, სულიერ-სხეულებრივი სიმშვენიერისა და სიმტკიცისა...

სულ მალე, 1010 წელს, ბაგრატ მეფემ სვეტიცხოვლის ტაძრის ახალი მშენებლობა მიანდო დიდებულ ხუროთმოძღვარს, **არსუკისძეს.**

გარდაიცვალა ბაგრატ მესამე 1014 წელს, 7 მაისს, პარასკევ დღეს.

აღესრულა გვირგვინოსანი, რომელმაც გორგასლიდან 500 წლის შემდგომ გაამთლიანა და განამტკიცა საქართველო.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა შობითგან 51 წლისა.

დაკრძალეს ბედიას, მისგანვე აგებულ ტაძარში.

ზეობა გიორგი პირველისა

ბაგრატ მესამეს ერთადერთი ძე დარჩა, სახელად - **გიორგი.**

საქართველოს ახალი მეფე, **გიორგი პირ-ველი** (1014 - 1027), იყო „სავსე ყოვლითა სიკეთითა“, „ახოვან და ყოვლითურთ უშიში ვითარცა უხორცო“.

ბაგრატის სიკვდილით გული მოიცეს კახეთ-ჰერეთის მოღალატე აზნაურებმა და ეს ქვეყანა ისევ ჩამოაშორეს საქართველოს ერთიან ტახტს.

გიორგიმ კახეთ-ჰერეთის საქმე დროებით გადასდო და მთავარი ყურადღება საშხრეთ-ქართულ მიწებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიტანა. ქართველებმა, მეფის უშუალო სარდლობით, ზედიზედ განდევნეს ბიზანტიური ციხიონები ტაოდან და ბასიანიდან. არ შეურიგდა ამას ბიზანტიის კეისარ-იმპერატორი **ბ ა ს ი ლ ი მ ე ო რ ე** და ლეგიონები შემოუსია სამხრეთ საქართველოს. გიორგიც სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესახვედრად.

ბასიანში დაიბანაკეს ერთურთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიელებმა. მერე იქიდან აიშალნენ და ოლთისისკენ წაემართნენ ქართველები. ბიზანტიელებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. სოფელ **შ ი რ ი მ თ ა ს თ ა ნ** ქართველები მტერს უეცრად შეუბრუნდნენ და შეებნენ. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. შედრკნენ და უკუიქცნენ ბიზანტიელნი, მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი", ნადავლს დაეტანენ და ბრძოლიდან გაქცეულ მტერს აღარ მისდიეს. სამაგიეროდ, როცა ქართველები ნადავლით დატვირთულნი წამოვიდნენ, ბიზანტიელებმა მოსდიეს ხელახალ კოჰორტებად და ლეგიონებად დარაზმულებმა. ქართველები არ მოელოდნენ და საომრად გაუწყობელნი შეხვდნენ მტერს, და იძლივნენ. ბიზანტიელები არტაანში შევიდნენ და საშინლად ააოხრეს, გაძარცვეს და წარტყვევნეს.

1022 წელს ქართველი მეფე და ბიზანტიის კეისარი დაზავდნენ. ტაო კეისარმა დაინარჩუნა. დანარჩენი სამხრეთული ციხე-ქალაქები მან გიორგის დაულოცა. გიორგის უფროსი ძე, ოთხი წლის უფლისწული **ბ ა გ რ ა ტ ი,** ბასილი კეისარმა სამი წლით მძევლად წაიყვანა კონსტანტინოპოლს. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა ბაგრატ უფლისწული სამშობლოში...

1027 წლის 16 აგვისტოს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე გიორგი პირველი.

მომკვდარიყო კაცი „სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებით, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა".

გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა შობითგან 25 წლისა.

ზეობა ბაგრატ მეოთხისა



გიორგი პირველს დედოფალ მარიამთან ერთადერთი ვაჟი და ორი ასული დარჩა - **ბ ა გ რ ა ტ ი, გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ ი** და **კ ა ტ ა ი.**

მეფეს კიდევ ჰყოლია „მეორე ცოლი", ოვსთა მეფის ასული, სახელად ალდე, რომლისგანაც შესძენია **დ ე მ ე ტ რ ე.**

(დაიმახსოვრე, მკითხველო, დემეტრეს შტოსგან

შემდგომში, მეექვსე მუხლად, წარმოსდგა თამარ მეფის ქმარი, დავით სოსლანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ნაადრევად აღსრულებულ გიორგის ოჯახიც წვრილშვილი დარჩა. ტახტის მემკვიდრე ბაგრატი 9 წლისა იყო.

მეფე **ბაგრატ მეოთხის** ზეობის წლები (1027-1072) მძიმე იყო, სისხლითა და შფოთით აღსავსე.

ბიზანტიის მაშინდელი იმპერატორი, **კონსტანტინე მე-რვე**, განსაკუთრებით მტრობდა საქართველოს. ბასილი მეორის დროს წაგლეჯილი ქართული თემებისგან მან ცალკე **ივერიის საკატაპანო** შექმნა და ყოველი საშუალებით ცდილობდა მის გაფართოებას, ისევ ქართული მიწების ხარჯზე. 1028 წელს კონსტანტინემ დიდი საომარი ძალები წარმოგზავნა საქართველოს ასაოხრებლად. შემოვიდნენ ბიზანტიელნი და ააოხრეს სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთს რომ შემოუდგნენ, კლდეკარის ერისთავმა **ლიპარიტ ბაღვაშმა** დაამარცხა და უკუაქცია მაოხარნი.

ხელახლა წამოემართნენ ბიზანტიელნი ცეცხლითა და მახვილით. მაინც არ გატყდნენ სამხრეთელი პატრიოტები. ტბეთის ეპისკოპოსმა, **საბა მტბევარმა**, ჯვარი და ლოცვანი გადასდო გვერდით, აბჯარი აისხა და მახვილით ხელში გაუძღვა შავშეთელ მამულიშვილებს. მან ტბეთის ეკლესიასთან ძლიერ გამაგრებული საომარი ბანაკი შექმნა, სახელად „**სვეტი**", სადაც მისებრ გულმხურვალე თანამემამულეთა ლაშქარი ჩააყენა. საბას, ერთგულ ახნაურთა და მდაბიოთა გარდა, მარჯვენა ხელად უდგა მისებრ იარაღასხმული ბერი, ანჩის ეპისკოპოსი **ეზრა ანჩელი**. მთელი შავშეთი ფეხზე დააყენეს სამშობლოს საკეთილდღეოდ „გასამხედროებულმა" ბერ-ფიჩვოსნებმა.

ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა, **რომანოზ მესამე არგიროსმა**, საქართველოს სამეფო კართან მტრობა „ტრადიციული მეგობრობით" შეცვალა. ბაგრატის დედა, დედოფალი მარიამი, თვითონ ჩავიდა კონსტანტინოპოლს ბიზანტიასთან მშვიდობისა და მოყვრობის ჩამოსაგდებად. ბიზანტიის სატახტოდან საცოლეც ჩამოუყვანა მარიამმა ბაგრატს - თვითონ კეისრის ძმისწული, სახელად **ელენე**.

მაგრამ საქორწინო ზარ-ზეიმი მალე საგლოველით გასრულდა. ახალგაზრდა ბერძენი დედოფალი უდღეური აღმოჩნდა. იგი მალე მიიცვალა და ქუთათისისა და კონსტანტინოპოლის სასახლეთა მოყვრობა იმჯერად ასე გათავდა. ელენეს გარდაცვალებიდან წლის თავზე ბაგრატ მეოთხემ ცოლად შეირთო ოვსთა მეფის **ურდურეს** ასული - **ბორენა**.

საგანგებოდ მისანიშნებელია, რომ ბაგრატ მეოთხის ზეობის წლებში ქართველებმა სამჯერ სცადეს ტფილისის გამოხსნა არაბთა ბატონობისგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამედ კიდევაც შევიდა მეფე ქალაქში, ციხის კლიტენიც ჩაიბარა, სასახლეც, მაგრამ ისნის ციხე გაძალიანდა, ამასობაში უკვე ღალატის გზაზე შემდგარმა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა შემოუტია და ბაგრატ მეფე იძულებული გახდა კვლავ აეღო ხელი საქართველოს დედაქალაქის გათავისუფლებაზე.

კლდეკარის ერისთავს, ლიპარიტ ბაღვაშს, ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიის ახალი კეისარი, **კონსტანტინე მონომახოსიც** უჭერდა მხარს. ბრძოლა იმდენად გართულდა და გაძნელდა, ბაგრატ მეფე იძულებული გახდა თვითონ სწვეოდა კონსტანტინოპოლში კეისარს და მისთვის ლიპარიტთან შერიგება ეთხოვა.

სამი წელიწადი დარჩა მაშინ ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლს. იმ სამ წელიწადში კონსტანტინე მონომახოსიც მოკვდა და ტახტზე შინაბერა დედოფალი **თეოდორა** აღმოჩნდა. თეოდორამ ბაგრატს სხთოვა, შენი ასული, **მართა** შვილად მომეციო.

იმ სამ წელიწადში კონსტანტინოპოლს ერთმანეთს ხვდებოდნენ მეფე და დიდი ათონელი მოძღვარი, **გიორგი ათონელი**, რომლის რჩევით მისცეს მართა შვილად თეოდორა დედოფალს.

თეოდორა ერთ წელიწადში მოკვდა. მის დაკრძალვას (1056 წლის 30 აგვისტოს) ქართველებიც ესწრებოდნენ, მათ შორის გიორგი მთაწმიდელიც. ის იყო, დედოფალი თეოდორა სასახლიდან გაასვენეს და უცებ „სამეუფოდ შემოიყვანეს" მართა. ყველას დაავიწყდა საგლოველი. ყველა ქართველ გოვონას მიაშტერდა, ანგელოზებრ მშვენიერსა და მომხიბვლელს.

და მაშინ ბრძანა მართას სიმშვენიერით აღტაცებულმა გიორგი მთაწმიდელმა:

„უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შეეოვიდა".

ცხრა წლის შემდეგ კიდევაც აღესრულება დიდებული მოძღვრისა და სწავლულის ეს წინასწარმეტყველება...

მობრუნდა ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლიდან და ისევ შეექნა ბრძოლა ლიპარიტ ბაღვაშთან. ამჯერად სძლია მეფემ თავისი ყმა. ლიპარიტი ბერად აღიკვეცა და შავ მთას წავიდა, სასულიერო საცხოვრისად.

1060 წელს, ბაგრატ მეფის დაჟინებული თხოვნით, საქართველოში ჩამოვიდა ათონელი მოძღვარი გიორგი მთაწმიდელი. იგი ხუთი წელიწადი დარჩა სამშობლოში, ვითარცა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობათა უანგარო წარმმართველი და ქართველთა შორის უზენაესად სპეტაკი ზნეობის მკაცრი მქადაგებელი. იგი არ დაერიდა თვით ბაგრატ მეფეს, რომელსაც ხშირად თავისუფალი, მსუბუქი, ბოჰემური ცხოვრებაც იტაცებდა, ღვინისა და სიძვის დაცთა ტრფიალება... მით უფრო დიდი ზნეობრივი სჯულ-

მდებელი ვერ მოიწონებდა ბაგრატის ძის, უფლისწული **გ ი ო რ გ ი ს** უთავჟამო ნადირობას, ნადიმობას და ქალთა შორის „განლაღებას“.

გიორგი მთაწმიდელმა საქართველოში მოსვლისთანავე, „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებათათვის უშიშრად და თვალუხვავად... კუალად ეტყოდა მსჯავრთათვის და სამართალთა სამეუფოთა, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურივთა... რათა არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ გინა მცირისა და რათა უმეტეს ყოვლისა წყალობაი შეიტკბოს“.

როცა 1065 წელი დადგა, კონსტანტინოპოლიდან მოციქულები ესტუმრნენ ბაგრატ მეფეს. კეისარი კონსტანტინე მეათე დუკა ბაგრატის ასულს, მართას ითხოვდა რძლად - თავისი ძის, უფლისწულ **მ ი ხ ე ი ლ ი ს** საცოლედ.

და მარიამმა, ბაგრატის დედამ, მაშინვე შეჰღაღადა მოძღვარს: „მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველება შენი, რა-იგი ოდესმე იწინასწარმეტყველე მართასათვის“.

დიდი ძღვენითა და დიდი სიხარულით გაისტუმრეს მართა კონსტანტინოპოლს. საპატიო ამალას მიუძღოდა თვითონ გიორგი მთაწმიდელი, რომელსაც საქართველოში თავისი მისია დაესრულებინა და ახლა ისედაც უნდა გამგზავრებულიყო.

თან 80 უდედმამო და უპატრონო ქართველი ბავშვი მიჰყავდა დიდ მამულიშვილს საბერძნეთს სასწავლებლად და აღსაზრდელად.

ქართველი მეფის ასული კონსტანტინოპოლს მიიყვანეს და უფლისწულ **მ ი ხ ე ი ლ დ უ კ ა ზ ე** აქორწინეს. იგი სულ მალე, **მ ა რ ი ა მ ი ს** სახელით, მსოფლიო იმპერიის ბასილისა (დედოფალი) უნდა შექნილიყო.

იმავე 1065 წელს, 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღეს, კონსტანტინოპოლს მიიცვალა გიორგი მთაწმიდელი. ქართველებმა იგი დიდი პატივით და იშვიათი გლოვით გადაიტანეს ათონს, მთაწმიდაზე, ქართველთა დიდებულ ლავრაში.

ქვეყანაზე არც ერთ ადამიანიშვილს არ მოსწრებია ასეთი დატირება: ოთხმოცი ობოლი თანამემამულე ბავშვის უწრფელესი და უმანკოესი ცრემლის დაქცევა უცხო მიწაზე დაცემული მოძღვარის მკერდზე.

ხოლო, დრო-ჟამი საქართველოსთვის იყო ისევ უმძიმესი, უჟმური და „უდაპლოესი“. ქრისტიანულ სამყაროზე ახალი ძლიერი „მსოფლიო დამპყრობელნი“ იწყებენ ველურ შემოსევებს - **თ უ რ ქ - ს ე ლ ჩ უ კ ე ბ ი.**

ჯერ სომხეთი დაიპყრეს და იავარჰყვეს უსასტიკესად. სელჩუკთა სულტანმა **ა ლ ფ - ა რ ს ლ ა ნ მ ა,** სასტიკმა მიზანთროპმა, „მამაცმა ლომმა“, სომეხთა მთავარ ქალაქში, ანისში, დიდი ორმო ამოთხარა, ათას ქრისტიანს ყელები დასჭრა, ის ორმო შათი სისხლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აავსო და შიგ საბანაოდაც ჩაეშვა. სისხლში ბანაობდა და ავზნიანად იძახდა: ესე, შემიწირავს ჩემი მკვდრებისთვისო.

1065 წელი პირველი წელი იყო საქართველოში თურქთა ლაშქრობისა. ალფ-არსლანი „უგრძნეულად" შემოიჭრა და ააოხრა თრიალეთი. იქიდან მარბიელი ჯარებით დალაშქრა სამცხე, შავშეთი და კლარჯეთი. მერე ჯავახეთს დაესხა და ახალქალაქს დაეძგერა ალფ-არსლანი. დაეძგერა და აიღო. აიღო და ააოხრა, აწყვიტა, ააალაფა.

მეორედ, 1068 წელს, კახეთ-ჰერეთი დალაშქრეს და გააოხრეს სელჩუკიანებმა.

ქართველთა მარცხმა გაათამამა განძის ამირა ფადლონი და ახლა ისიც შემოიჭრა საქართველოში 33000 მუსლიმი მეომრით. ჯერ ისნის მინდორზე დაიბანაკეს ათასეულ კარვებად. აქედან ღამით მუხრანისკენ აუყვნენ ძარცვა-რბევით.

მაშინ გამოჰყო ლაშქართაგან რჩეულნი ბაგრატ მეფემ, სარდლად უჩინა სამი ერისთავი - **ივანე ლიპარიტესძე, ნიანია ქვაბულისძე** და **მურვან ჯაყელი ყველის** ერისთავი, და სასწრაფოდ დაადევნა ფადლონს.

გაესწრო განძის ამირას. გამოენთნენ ერისთავები, წილკნის კართან წამოეწივნენ მტრის უკანაკერძს. წამოეწივნენ და დაერივნენ გააფთრებულად. „პირველსავე ხმლისა მოკიდებასა" გაიქცა ფადლონ. ფეხდაფეხ მიმდევარი ქართველები კი „მიჰხოცდეს და იპყრობდეს" ოტებულ მტერს.

შობოს ტყესთან, ნარეკვავის ხევში, უამრავი მუსლიმი ჩახოცეს შურისგების ცეცხლით სისხლადულებულმა ქართველებმა. ხევი პირთამდე ამოივსო. დახოცილ კაცთა და ცხენთა გვამებზე, ვითარცა ხიდზე, ვადარბოდნენ „უკანაკერძნი".

თავგზააბნეულად, ანგარიშმიუცემლად, ვისაც საით მოუხდებოდა, ტყეებში, ბუჩქებში, ძეძვნარებსა და ქვაბულებში, მიილტვოდნენ და მიძვრებოდნენ მაჰმადის რაინდები, მძარცველნი და მკვლელნი კაცთა, ქალთა და ძუძუთა ყრმათა.

გამგელებული მისდევდნენ ქართველები და „ვითა ჭუისა მართველთა" იჭერდნენ ტყე-მაღნარებში და ძეძვნარებში შეჩუმქრულ მოსისხლეებს.

ღართის ვიწროებში ისევ წამოეწივნენ ქართველები, გზა ჩაუჭრეს და „მცირედნი ვინმე გაესწრნეს" ფადლონისანი. იმ გაქცეულებსაც ხერკის მთამდე მისდიეს, „მოსრეს და ტყუე ყვეს".

თვითონ ფადლონი ქართველებმა ტყვედ იგდეს, თუმცაღა ქართველებისვე დაუდევრობით თავი დაიხსნა ტყვეობისაგან. მაინც არ მოეშვა ბაგრატ მეფე. უფლისწულ გიორგის ქართველთა და ოვსთა ჯარი მისცა და განძისაკენ გაგზავნა. გიორგი რანს შეესია, განძაც დასცა და დაარბია. აურაცხელი ნადავლი და ნატყვენავი აიღო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამობრუნდა (1070).

ქართველი უფლისწულისაგან ფადლონის განადგურების შემდეგომ სელჩუკიანთა სულტანი ალფ-არსლანი საქართველოში მოციქულს მოციქულზე აგზავნიდა, უხვი საბოძვარით დატვირთულს. თან ბაგრატ მეფეს „ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯას". თავის მხრივ ქართველმა ხელმწიფემ უარი თქვა თურქთა წინაშე რაიმე ვალდებულებაზე. „არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა" და ვითარცა სწორი სწორს, „ავლენდა იგიცა მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვით სიყუარულსა"...

1071 წელს ბაგრატ მეფისა და მისი სახლეულისათვის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ბიზანტიის იმპერატორის ტახტზე ავიდა ქართველთა სიძე მიხეილ მეშვიდე დუკა და, ამდენად, მისი მეუღლე, ბაგრატის ასული მართა, ანუ მარიამი, შეიქნა დედოფალი - ბასილისა ბიზანტიის იმპერიისა.

ამბობდა და წერდა მარიამის შესახებ მისი მხილველი **მ ი ქ ე ლ პ ს ე ლ ლ ო ს ი**, გამოჩენილი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მრავალმხრივი მეცნიერი და პოლიტიკოსი: „რომ დედოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, მის საქებრად კმარა ყველაფერში მისი ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე. მისი სახის სიმშვენიერე; თუკი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, იგი მარიამისთვის ყოველგვარ სამკაულზე უფრო უპატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ აააცნობდა, და აააისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო".

ამბობდა და წერდა მისი უახლოესი ადამიანი, სასახლის სეფე-ქალი **ა ნ ა კ ო მ ნ ე ნ ე**: „მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი. ახლა თვალების ბრწყინვალებას აღარ იკითხავ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. მხატვრის ხელი ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო, მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სათნოება - ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია მარიამის მსგავსი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედავდა, ხოლო ვინც შემთხვევით მარიამ დედოფალს დაინახავდა, როცა იგი სეირნობდა ან უცაბედად სადმე შეხვდებოდა - საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, და ის გაქვავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდებოდა დედოფალს, - თითქოს მის მნახველს სულიც წართმეოდეს და გონებაც. ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არასოდეს არავის არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ატყვევებდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰიმეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე".

ასეთი იყო ასული ქართველი ხელმწიფისა, დედოფალი ბიზანტიისა.

ხოლო, თვითონ ბაგრატ მეოთხეც იყო „კაცი უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა" და „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა". კაცი, რომელსაც ავმა წუთისოფელმა ეს დაასწავლა: „ვიდრე თუალითა არა ვიხილო, არა ვიწამო".

და აღესრულა იგი 1072 წელს, 24 ნოემბერს.

დედამისი მარიამი ისევ ცოცხალი იყო, ქმრისა და ყველა შვილის სიკვდილის მომსწრე და ამას ეუბნებოდა სიკვდილის პირზე მიმთხვეული ბაგრატი მარიამს: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენი წარგვიქციე წინა და ეგრეთღა შენ მოჰკუდები".

გამეფდა 9 წლისა, იმეფა 45 წელიწადი, აღესრულა 54 წლისა.

დაკრძალეს ჭყონდიდის ტაძარში, მისგანვე გამზადებულ სამარტვილეში.

ზეობა ბიორგი მეორისა



ქუეყანა თქვენი ოხერ, ქალაქნი თქუენნი
ცეცხლითა მომწუარ, სოფელსა თქვენსა
წინაშე თქვენსა უცხო თესლნი მოსჭამდ(ნ)ენ,
და მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან
უცხო, ტომთასა.

ესაია, 1,7

საქართველოს სამეფო ტახტი დაიჭირა ბაგრატ მეოთხის ერთადერთმა ძემ გიორგიმ.

მეფე **გ ი ო რ გ ი მ ე ო რ ე** (1072-1089) ვერ ყოფილა საქართველოს მძიმე გვირგვინისთვის შესაფერისად სრულქმნილი პიროვნება. იგი იყო უმამაცესი რაინდი, „ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული", ბუნებით კეთილი, ვულმოწყალე და დიდსულოვანი, მაგრამ სწორედ მისი დიდსულოვნება მოღალატე ფეოდალებისადმი მისთვისაც და ქვეყნისთვისაც ყოველთვის საზიანო შედეგს იძლეოდა. ხასიათი მერყეი

და მერწევი ჰქონდა, უადგილოდ დამთმობი და ბოლომდე ლელოგაუტანელი, თადავიწყებით უყვარდა ლხინი, ნადიმობა და ნადირობა. უებრო მეომარი და მხედარი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს მაინც სანადიმო ყანწი და სანადირო მშვილდი ერჩივნა.

ქვეყანას კი სალხინო და სამეჯლისო არაფერი ჰქონდა. მას შიგნიდანაც და გარედანაც საშინელი სისხლისდენა ელოდა.

ტფილისი ისევ არაბებს ეპყრათ.

ცალკე, დანარჩენი საქართველოსაგან განკვეთილად იყო კახეთ-ჰერეთი. მეზობლად თურქსელჩუკთა სამბრძანებლო გადაჭიმულიყო.

ქვეყნის შიგნითაც თავკერძა ფეოდალნი არ ისვენებდნენ...

1073 წელს ბედნიერი ძეობა მოხდა ქუთათისის სასახლეში: მეფე გიორგი მეორეს ვაჟი შეეძინა. სახელად დაარქვეს **დ ა ვ ი თ ი.**

მაგრამ იმავე წელს დიდი უბედურებაც აილანძა საქართველოს სამხრეთ კარიბჭეზე; თურქთა უზარმაზარი ურდო შემოიჭრა საქართველოს წასახდენად.

ჯარი შემოიყარა და ამხედრდა გიორგი მეფე. სოფელ ფარცხისთან შეება მტერს. შეება, სასტიკად დაამარცხა და გადარეკა განადგურებული მტერი საქართველოს სამანებიდან.

იმავე წელს გიორგი მეფეს ეწვია **გ რ ი გ ო ლ ბ ა კ ურ ი ა - ნ ი ს ძ ე,** სახელგანთქმული სარდალი და პოლიტიკოსი ბიზანტიის იმპერიისა, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი (მთავარსარდალი), შემდგომში პეტრიწონის ქართული სავანის დამაარსებელი. გრიგოლს ბიზანტიის იმპერატორისგან ნაბოძები ჰქონდა: ოლთისი, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) და კარი (ყარსი). გრიგოლ ბაკურიანისძემ ახლა „მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“.

მაგრამ კვლავ გამძლავრდნენ თურქსელჩუკიანნი, მათ დაიპყრეს მთელი შუა და წინა აზია. ბიზანტიას წაართვეს აღმოსავლეთი და ცენტრალური ანატოლია. 1079 წელს საქართველოს შემოესია თურქთა ახალი ურდო, აჭმად ამირას სარდლობით.

ისევ შეეგება მტერს გიორგი მეფე, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა სისხლდადენილი.

მომდევნო 1080 წელს თურქებმა კიდევ ახალი, მანამდე გაუგონარი ნგრევა-რბევა არგუნეს ქართველ ხალხს. ველური მომთაბარენი „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა, ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათ მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათ შინა თურქთა ვიდრე მოსვლამდე თოვლისა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქვეყანისათა“.

ქართველი ხალის ეს უმძიმესი ტრაგედია მოინათლა, ვითარცა „პირველი დიდი თურქობა“.

და ამიერიდან ყოველ გაზაფხულს იწყებოდა „დიდი თურქობა“.

მოდიოდნენ და ადრიან გაზაფხულიდან გვიან დაზამთრებამდე ძარცვავდნენ, აოხრებდნენ, ატყვევებდნენ და წყვეტდნენ ქვეყანას თურქნი... ისევ და ისევ, ყოველწლიური „მოქცევით“ და „უკუქცევით“ ვითარცა ზღვა. ისევ და ისევ მოსაჭმელად, მოსაძარცვავად, მოსაოხრებლად.

ივსებოდა ქვეყანა თურქთა ალაჩოყებით, ხარგებით, საბარგულ-საზიდარებით, ჩარდახებში დედაბუდიანად შეხიზნული ქალით და ბავშვით, უთვალავი საქონლით - ცხენით, ჯორით, ცხვრით და აქლემით.

მოდიოდნენ, ბანაკდებოდნენ და ქართულ მიწებს „სჭამდნენ“ იმდენნი, რომ ამის მხილველი კაცი იტყოდა: „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა აქ, საქართველოში არს“.

და მოედინებოდნენ „მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი“.

გიორგი მეფემ მტერთან მტრობას თავი მიანება და კახეთის შემოერთებისათვის წამოიწყო ბრძოლა. რთვლობაზე შევიდა ჯარით კახეთში და გარს შემოადგა ვეჯინის ციხეს, ალყა ზამთრამდე გაგრძელდა და როგორც კი ჩამოთოვა, მაშინვე ალყა მოხსნა და უკანვე ქუთათისისკენ გაბრუნდა: რა დროს ომი და ვეჯინია, აჯამეთის ტყეში გარეულ ღორებზე ნადირობის ჟამი დადგა და მეც ერთი რჯულზე უნდა ვინადიროო, - იძახდა უდარდელად.

ქვეყანა კი საშინელ აგონიას მისცემოდა. ბუნებაც საოცარი სისასტიკით შემოსწყრა ქართველთა ქვეყანას. 1088 წელს მანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო. მთელი წელიწადი ირყეოდა და ირღვნებოდა ქვეყანა. იქცეოდა და მტვრად მიდიოდა მთანი და კლდენი. ინგრეოდა და იმარხებოდა სოფლები, ქალაქები, ტაძრები, სავანენი, ციხენი, სრა-სასახლენი. მიწისძვრით ჩამოქცეული თმოგვის კედლებქვეშ, ცოლთან ერთად ცოცხლად დაიმარხა ერისთავი **კახაბერ ნიანიას ძე.**

მტრისგან და სტიქიისგან დაქცეულ, უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანაში შეწყდა სამეურნეო ცხოვრება. სიკვდილს გადარჩენილი ხალხი მთებში, ტყეებში, კლდე-ღრეებსა და გამოქვაბულებში გადახვეწილიყო და განადირებულიყო. აღარავინ ხნავდა, აღარავინ თესავდა, აღარავინ მკიდა და თიბავდა.

ტყემ და ნადირმა მოიცვა სრულად ქვეყანა.

ძეძვი, ნარ-ეკალი და თუთუბო ჰყვაოდა ნავენახარზე.

ზარნაშო ჰკიოდა მამლის ნაყივარზე.

მგელი ყმუოდა ძაღლის ნაყეფარზე.

სასახლიდან რომ სამეფო სახლეულს ისრის მისაწვდენზე გაეცალა, დასჭირვებოდა, წინასწარ შეიარაღებული მხედრობა უნდა გაეგზავნათ, თურქები დაეზვერათ, ნადირთა ხროვანი დაეფრთხოთ და გზა ისე „გაეწმინდათ“.

ნუთუ მართლა სამუდამოდ მოსასპობად და გადასაშენებლად გაემეტებინა ღმერთს საქართველო?

მაგრამ თურმე არა, - მაინც არ ყოფილა ქართველი ხალხი განწირული ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად და მიწის პირისაგან გარდასავლენად.

1089 წელს მეფე გიორგი მეორემ გადადგა ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი მთელს მის ჩვიდმეტწლოვან უბედურ ხელმწიფობაში: მოიხსნა საქართველოს სამეფო გვირგვინი და თავზე დაადგა თავის ერთადერთ ძეს, თექვსმეტი წლის დავითს.

და ასე „იწყო აღმოცისკრებად ბნელსა უკუნსა შინა მზემან“ - **დ ა ვ ი თ მ ე ო თ ხ ე ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ მ ა.**

კულტურის კატალოგი



ასე მძიმედ, სისხლიანად ჩაიარა მეთერთმეტე საუკუნემ.

ამ საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 18 დიდი ბრძოლა. აქედან - მოიგეს 11, წააგეს 7. მაგრამ მაინც ხშირად ყოფნა-არყოფნის სასწორზე ეცემოდა ქართველი ხალხი.

და მაინც ეგზომი სისხლისთხევის ხანაშიც დიდი კულტურის შემოქმედად ჩნდებოდა ქართველი კაცი, ხელითაც და გონებითაც.

სწორედ მეთერთმეტე ასწლეულში აღიმართნენ დიდებული ნივთიერი ძეგლები, ტაძრები, სავანეები: ალავერდი - კახეთში, ბაგრატოვანი - ქუთათისში, სამთავისი - ქართლში, განახლებული სამთავრო - მცხეთაში, ბედია - სამეგრელოში, ნიკორწმინდა - რაჭაში, კაცხი - არგვეთში, შესანიშნავმა ქართველმა ხუროთმოძღვარმა **ა რ ს უ კ ი ს ძ ე მ** მოახდინა მცხეთის სვეტიცხოვლის სრული რეკონსტრუქცია („მესამე გარდასახვა“ სვეტიცხოვლისა).

ამავე საუკუნეში ისევ მძლავრობდა ქართული კულტურული სული საქართველოს გარეთ: კონსტანტინოპოლში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, შავ მთაზე, პალესტინაში, სინას მთაზე. ითარგმნებოდა ბერძნულიდან ქართულად. წარმოებდა დაუცხრომელი რკვევანი, კომენტარები, ორიგინალური თვალთახედვანი და განსჯანი: ფილოსოფიაში, თეოლოგიაში, ფილოლოგიაში, იურისპრუდენციაში, ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ მეთერთმეტე საუკუნეს განეკუთვნებიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერნი, მწერალნი, მოღვაწენი: **ი ო ა ნ ე, ე ქ ვ თ ი მ ე, გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ე ბ ი, ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე, ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ო ნ ე ლ ი.**

იმავე ჟამს უცხოეთის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე ბრწყინავდნენ: **თ ო რ ნ ი კ ე მ ე ო რ ე პ რ ო ტ ო ს პ ა თ ე რ ი,** ელადის სტრატეგოსი; **ფ ა რ ს მ ა ნ ი ბ ე რ ი,** იერაპოლისის ციხიონის უფროსი; **მ ა რ თ ა-მ ა რ ი ა მ,** დედოფალი ბიზანტიისა; **გ რ ი გ ო ლ ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს ძ ე** დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, პეტრიწონის სავანისა და სემინარიის დამაარსებელი; **ა ბ ა ზ ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს ძ ე,** გრიგოლის ძმა, აღმოსავლეთის დიდი მაგისტროსი.

ზეობა დავით აღმაშენებლისა

გარდამომავალი ზეცით, რომელსა აქუნდა ხელმწიფებაი დიდი და ქუეყანაი განათლდა დიდებისაგან მისისა.

ი ო ა ნ ე, გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა, 18,1.

მაშ, საქართველოს ტახტზე იჯდა **დ ა ვ ი თ მ ე ო თ ხ ე ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი** (1089-1125).

საქართველოს სამეფო ინსიგნიებს - გვირგვინს, ტახტს, სკიპტრას და ხმალს - უბედნიერესი ჟამი დასდგომოდათ: ისინი ყველაზე ღირსეულ ქართველ საჭეთმპყრობელს ჩაებარებინა.

მაგრამ ახალი გვირგვინოსანი მის მშვენიერ თავზე გვირგვინის ნაცვლად საომარ მუზარადს უფრო დაიმშვენებს, ტახტის ნაცვლად - მხედრულ უნაგირს, სკიპტრის ნაცვლად - ერქვანს გუთნისას, ხოლო ხმალი მისი ერთ დღესაც ქარქაშს ვერ მოიკითხავს.

სწრაფად და მძლავრად ამოქმედდა.

მოუწოდა და შემოიყარა ყველა, ვისაც ჯერ კიდევ გულში ქართველობა არ მოჰკვდომოდა და იმედიც არ გაჰქრობოდა სამშობლოს ხსნისა და გადარჩენისა. მართლაც ყოფილან ჭეშმარიტი მამულიშვილნი, მსგავსნი **ნ ი ა ნ ი ა კ ა ხ ე ბ ე რ ი ს ძ ი ს ა.**

დღე და ღამე სჭედდნენ საჭურველს და მეფე იყო მჭედელთა შორის მჭედელი უპირველესი.

იჭურვებოდნენ, იწვრთნებოდნენ და მეფე იყო უპირველესი

მწვრთნელიცა და წვრთნილიც.

გადიოდნენ ამხედრებულნი და დათქარუნობდნენ უსწორმასწორო მაღლობ-დაბლობებზე, ღიჭიან და ქვაღორღიან ნაგზაურებზე, კლდეზე გაკიდულ გზაწვრილებსა და თანითანებზე - და აქაც დავით მეფე იყო მხედართა შორის გულუძვრელობით და სიმამაცით მხედარი უპირველესი.

არავინ ჰყავდა ტოლი ხმალში, ჯირითში, ისრის სროლაში, შუბის ტყორცნაში, მუშტის ძგერებაში, სირბილში, ცურვაში, უძილობის, შიმშილის, წყურვილის, სიცხისა და ყინვის დაძლევაში.

ახლად შეყრილი და თანაშეწვრთნილი ჯარით თურქებზე თარეშობდა. მოულოდნელად დაესხმოდნენ ღვთისრისხვასავით, ანადგურებდნენ, უმალვე გაუჩინარდებოდნენ, კვლავ ელვასავით გამოსხლტებოდნენ და თავს დაესხმოდნენ გაალმასებით - და აქაც უბადლო იყო დავით მეფე, მტრის უპირველესი მარბიელი, სასიკვდილო რისხვის დამტეხი და სისხლისათვის შურისმგებლური სისხლის დამქცევი.

ხალხი გამოჰყავდათ სამალავთაგან და სახიზართაგან, ამხნევებდნენ, საომარ და სამეურნეო სულს უბრუნებდნენ, ასახლებდნენ, ამკვიდრებდნენ, სახლ-კარს აწყობინებდნენ, კერაზე ცეცხლს უნთებდნენ, მამაპაპეულ გუთანს აჩვევდნენ, თვითონაც გუთნისდედობდნენ და ისევ მეფე იყო პირველი გუთნისდედაც, სახლის ხუროც, ბალავრის მთხრელიც და საძირკვლის მყრელიც.

გავიდა ოთხი წელიწადი.

ქართველი ხალხი სიკვდილის პირისგან გამოაბრუნა და ფეხზე წამოაყენა „ღმრთივგანბრძნობილმა“ ჭაბუკმა ხელმწიფემ.

მაგრამ სანამ გარეშე მტერთა მიმართ სრულის შეტევით დაიძვრებოდა, მანამ საჭირო იყო შინაურ ერისთავთა და აზნაურთა მოთოკვა და მოარშივება.

ყველაზე ძლიერი და ავი ფეოდალი მაშინ იყო კლდეკარის ერისთავი **ლიპარიტ ივანესძე ბაღვაში,** რომელიც მამაპაპეულ ტრადიციას არ ღალატობდა და თავგამოდებით ებრძოდა მეფესაც და საქართველოსაც.

მიუხდა დავით მეფე კლდეკარს, შეიპყრო ლიპარიტი, ბორკილები გაუყარა და ჩააგდო ციხედ. მერე მისი ვედრება შეიწყნარა, ერთგულების ფიცი ჩამოართვა და გაათავისუფლა. მაგრამ მაინც არ დაიშალა ერისთავმა. „იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა თავისასა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა“. დავითიც საბოლოოდ დარწმუნდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. ხელმეორედ შეიპყრო ლიპარიტი, ორი წელიწადი საპატიმროში იყოლია, მერე ბიზანტიას გააძევა და იქვე, უცხოობაში აღესრულა მოუსვენარი და მოურჯულებელი ერისთავი.

მეფის წინააღმდეგ იბრძოდა ერისთავი **ძაგან აბულე-**

თ ი ს ძ ე, მოღალატე, ფლიდი და ვერაგი მებატონე. ძაგანს მხარს უმაგრებდა მისი ძმა, ეპისკოპოსი **მ ო დ ი ს ტ ო ს**. ძმები ისე თვითნებურად მოქმედებდნენ, თითქოს დავით მეფე არც არსებულიყოს ამ ქვეყანაზე. მათ მუხრანისა და ზედაზნის ციხეები, მცხეთის, წილკნისა და შიო-მღვიმის საეკლესიო მამულები, ყველა ერთად, აიღეს და კახეთის განდგომილ მეფეს გადასცეს.

სასწრაფოდ ამხედრდა დავით მეფე, გაცემული ციხეები და მამულები დაიბრუნა, ძაგანი და მოდისტოსი შეიპყრო, ორივეს მამულები ჩამოართვა, ორივეს პატივი და ღირსება აჰყარა, ორივე დააბორკილა და დილეგში ჩაჰყარა.

დავითი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ ლიპარიტის, ძაგანისა და მოდისტოსის დასჯა და დათრგუნვა ვერ დააწყნარებდა და ვერ განამტკიცებდა შინაგანად აშლილ ქვეყანას. თვალნათლივ ჩანდა, რომ საერო ფეოდალთა თავგასულობას საეკლესიო-სასულიერო მესვეურები აკანონებდნენ. ფეოდალი და ეპისკოპოსი ერთიან ძალად შეკრულიყო მეფის მტკიცე ხელისუფლების დასამხობად ან დასაკნინებლად. ეკლესია სამეფო ტახტზე მაღლა აყენებდა თავის „ზეციურ-ღვთაებრივ დანიშნულებას". ეკლესიის პირველმოძღვარნი თვითონ იყვნენ დიდგვარიანი აზნაურები და უმდიდრესი ფეოდალები. მხოლოდ წოდებით, გვაროვნებით და სიმდიდრით გამორჩეულს შეეძლო ამაღლება ქვემოდან ზემოთ, თანამდებობრივ კიბეზე. დაწინაურებისას არავინ ითვალისწინებდა არავითარ პირად ღირსებას - ნიჭიერებას, პატიოსნებას, მაღალ ზნეობას, სამშობლოს წინაშე დამსახურებას.

ერთი სიტყვით, ქართული ეკლესია თვითნება, ზნედაცემულ, ხარბსა და ქვეყნის მოღალატე „ავაზაკთა ქვაბად" გადაქცეულიყო. ეკლესიებიდან და სამღვდელოებიდან მოედინებოდა „ყოველი უსჯულოება და ცოდვა".

მაშ, გამოსადენი სისხლი ისევ უნდა გამოდენილიყო და 1103 წელს დავით მეფემ **რ უ ი ს ს ა** და **უ რ ბ ნ ი ს ი** შეჰყარა საეკლესიო კრება. აქ, მრავალდღიანი აზრთა ცხარე ჭიდილის შემდეგ, დავით მეფის ურყევი ნებით, დადგინდა დიდმნიშვნელოვანი რეფორმა: საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენეს და შეაჩვენეს ყველა „უღირსად გამოჩინებულნი"; ამიერიდან აიკრძალა დაწინაურება წოდებრიობის, მემკვიდრეობისა და სიმდიდრის მიხედვით; ამიერიდან თანამდებობებზე ინიშნებიან მხოლოდ ღირსეულნი - ნიჭიერნი და გონიერნი, განსწავლულნი და განათლებულნი, პატიოსანნი და სამართლიანნი, ქვეყნისა და მეფის ერთგულნი და თავდადებულნი - მიუხედავად მათი წოდებრივი, გვაროვნული და ქონებრივი მდგომარეობისა.

დავითს როგორმე უნდა მოეხერხებინა, რომ საეკლესიო ცხოვრების შიგნით მუდმივი თვალი ჰქონოდა მისი მუდმივი ჩარევისა და რაიმე არასასურველ გამოვლინებათა აღკვეთისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთვის მეფემ გააერთიანა ორი თანამდებობა: საერო - **მწიგნობართუხუცესობა** და სასულიერო **ჭყონდიდელობა.** მეფის შემდგომ მწიგნობართუხუცესი მეორე კაცი იყო სახელმწიფოში, ვინათგან იგი სათავეში ედგა მთელს აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც დღევანდელი „კანცლერი", „პრემიერ-მინისტრი", „მინისტრთა საბჭოს თამვჯდომარე"). ასევე დიდი იყო ჭყონდიდის (მარტვილის) ეპისკოპოსის თანამდებობა - ჭყონდიდელობა.

და დავითმა ორივე ეს თანამდებობა, ერთ მთლიანობაში, ჩააბარა **გიორგი ჭყონდიდელს,** თავის აღმზრდელს, უერთგულეს მეგობარსა და ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწეს.

ამიერიდან დავითის ხელში, უზენაეს საერო ხელისუფლებასთან ერთად, მტკიცედ მოექცა უზენაესი სასულიერო საჭეთმპყრობელობაც.

იმავე ხანს დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა - **სავაზირო,** რომელიც მთლიანად ემორჩილებოდა მეფეს.

შედგებოდა სავაზირო შვიდი **ვაზირისაგან.**

პირველი - **მწიგნობართუხუცესი,** იგივე **პირველი ვაზირი** („მთავრობის თავმჯდომარე"), მეფის ყველაზე ახლობელი კაცი. არა საქმე მის გარეშე სავაზიროში არ გადაწყდებოდა. იგი იყო აგრეთვე უზენაესი მოსამართლე, უმაღლესი „მართლმსაჯული". იგივე, ვითარცა **ჭყონდიდელი,** განაგებდა რელიგიურ საქმეებსაც. მასვე ეკითხებოდა ყოველი თხოვნის, საჩივრისა და საძიებელის გამოძიება - განჩინების საქმენი. საჩივართა და სათხოვართა გასარჩევად მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელს ჰქონდა ყოველი ორშაბათი დღე.

მეორე - **მანდატურთუხუცესი,** შინაგან საქმეთა ვაზირი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი საპოლიციო სამსახური და დავითისგან ახლად შემოღებული **მსტოვართა** (მზვერავთა) მრავალრიცხოვანი მტკიცე ორგანიზაცია.

მესამე - **ამირსპასალარი,** სამხედრო ვაზირი და სარდალი, „სპასალართუხუცესი" და „თავადი ლაშქართა".

მეოთხე - **მეჭურჭლეთუხუცესი,** ფინანსთა განმგე-ვაზირი.

მეხუთე - **მსახურთუხუცესი,** სამეფო სასახლის კარის შინასამსახურთა და განწესრიგებათა ვაზირი.

მეექვსე - **ამირახორი,** იგივე მეჯინიბეთუხუცესი, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, საათათბირო ხმით.

მეშვიდე - **ჩუხჩარხი,** მეფის პირადი სპასპეტი და მეაბჯრეთ-უხუცესი, მეფის „მონა-სპის" („გვარდიის") უფროსი, უმცროსი ვაზირი, საათათბირო ხმით.

მეფის კურთხევის დროს სავაზირო ასეთი **ჯვარსახოვანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განრიგებით დაეწყობოდა:

საზეიმო პროცესიას წინ მიუძღვის მანდატურთუხუცესი, ხელში სამანდატურო ოქროს არგანით.

შემდგომ მოდის თვითონ **მ ე ფ ე.**

მეფის **მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ** - ამირსპასალარი, რომელსაც ორივე წინ გაშვერილ ხელზე უტვირთავს შიშველი ხმალი. ამირსპასალარს თავის მხრივ მოჰყვება თანაშემწე ამირახორი.

მ ა რ ც ხ ე ნ ა მხრიდან მეფეს მოაცილებენ მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი და მეჭურჭლეთუხუცესი.

ხოლო **უ კ ა ნ** მეფეს მოჰყვება ჩუხჩარხი, დატვირთული სამეფო ფარით, ლახტით და ქარქაშით...

...1099 წელს ევროპელმა „ჯვაროსნებმა" თურქებს იერუსალიმი წაართვეს და პალესტინაში ევროპულ-ქრისტიანული სახელმწიფო - „იერუსალიმის სამეფო" დააარსეს.

მაშინვე დავით მეფემ ხარკის მიცემა შეუწყვიტა თურქთა სულტანს.

სულტანმა დუმილით უპასუხა ქართველთა მეფის ესოდენ თამამ გამოსვლას.

საქართველოს „მომჭმელი" თურქობაც უფრო შიშნეულად მოიწევდა ჩრდილოეთისკენ.

სანამ თურქთა სრულ განდევნას შეუდგებოდა, მანამ საქართველოს სრული გაერთიანება უნდა დაემთავრებინა დავით მეფეს. უპირველესად საჭირო იყო საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ დაბრუნებოდა ქისი სისხლხორცეული ნაწილი - კახეთ-ჰერეთი. ამისთვის დავითს დიდი ბრძოლა ელოდა, რადგან არც თურქები და არც შინაური მოღალატე აზნაურები საქართველოს გაერთიანებას უსისხლოდ და უსიკვდილოდ არ დაუშვებდნენ.

დავითი მტრის სიძლიერეს არ დაერიდა, ლაშქარი შემოიყარა და კახეთისკენ წარემართა.

იდგა 1104 წელი.

ბრძოლა მოხდა **ე რ წ უ ხ ს.**

დავით მეფე გააფთრებული ხმალკვეთებით შეება თურქთა უზარმაზარ მხედრობას. გამაყრუებელ საომარ ყიჟინაში, იარაღის ზათქსა და ზრიალში, ცხენთა ჭიხვინსა და თქარუნში, დაჭრილთა გმინვასა და ბღავილში - მაინც გამორჩევით გაისმოდა ლომისებრი ბუხუნი ქართველი მეფისა, რომელიც ელვასავით მიმოქროდა და ჩნდებოდა ყველგან, სადაც მის მეომრებს მისჭირდებოდათ. თითქოს ომის ღმერთი ჩასულიყო ციდან მიწაზე, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით გახელებული...

მეფე-ტიტანი ერთის მოქნევით ცხენ-კაციანად [illegible] და მოპირდაპირეს, ან პირდაპირი ძგერებით უნაგირიდან ასხლეტდა ღ[illegible] ოვზე გადავლებით, ზურგისკენ ისროდა. მტრის სისხლი მკლავს მოყვებოდა და უბეში ექცეოდა.

სამი ცხენი მოუკლეს. მეოთხეზე ამხედრებული ასრულებდა ბრძოლას. მტერთაგან მრავალი დაირეცა, მრავალი ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

გამარჯვებული დავით მეფე ცხენიდან გარდახდა და სარტყელი შემოიხსნა. სისხლი ერთბაშად მოწყდა და თქრიალით დაიღვარა დედამიწაზე. მიცვივდნენ ზარდაცემული მისიანნი - დაჭრილი ეგონათ ამდენი სისხლის დამაქცევარი. მეფე კი იღიმებოდა - მტრის სისხლი ყოფილა, მისი სხეულიდან ჩამომდინარე სისხლი!

კახეთ-ჰერეთი „ნებიერად" შემოიერთა დავითმა.

ტკბილად დაუყვავა იქაურ ქართველობას და „მზეებრ მიფინა წყალობა" ყველას...

... აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთების, დიდ რეფორმატორულ გარდაქმნათა და კულტურულ აღმშენებლობათა „ხუთწლოვანის" შემდგომ, დავითი შეუდგა თურქთაგან ქართულ მიწა-წყალთა სრულ გაწმენდას!

1110 წელს მეფემ გიორგი ჭყონდიდელი გაგზავნა ჯარით **სამშვილდის** ასაღებად. მოულოდნელად დაეცა თავს გიორგი სამშვილდეში ჩაბუდებულ თურქთა ციხიონს. თურქებმა ხელის გამოღებაც ვერ მოასწრეს და ხმლის განუძრევლად ჩააბარეს ქართველებს ქართული ციხე-ქალაქი.

იმ ღამითვე ქართველებმა სამშვილდის ახლოს ციხე **ძერნაც** დააგდებინეს დამპყრობლებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამარჯვებებს. საქართველოს დროშას დაუბრუნდა დიდი ქართული ციხესიმაგრენი, დიდი საქარავნო და სამხედრო გზა-კვანძები. ამიტომ ტფილისში მდგარ უცხო ციხიონსაც მოერღვა და მოუშიშვლდა თავდაცვითი ზღუდენი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

სამშვილდის დაკარგვამ ქვემო ქართლში ჩასახლებულ თურქობას ისეთი თავზარი დასცა, აქაური ციხეების უმრავლესობა ერთ ღამეში მიატოვეს და გადაიხვეწნენ. ქართულ ციხეებში ქართული ციხიონები შედგნენ.

თურქთა მაშინდელმა სულტანმა **მუჰამედმა** არ დათმო ეგზომი მარცხი და იმავე წელს 100 000-იანი მხედრობა აფრინა საქართველოსკენ.

თრიალეთს მოვიდა მტერი.

დავით მეფე ნაჭარმაგევს იდგა ტაძრეულით.

საღამო ჟამს შეატყობინეს მსტოვრებმა მტრის შემოსევა.

ფიცხლავ ჯარი მოიკითხა დავითმა. მხოლოდ 1500 კაცი აღმოჩნდა საომრად გამზადებული.

ცხენს მოახტა მეფე, ეს მცირე ლაშქარი აიყოლია და მთელი ღამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსვენებელი ჭენებით მიიჭრა თრიალეთს.

ცისკრის სისხამზე თვალი ჰკიდეს ერთმანეთს თურქებმა და ქართველებმა.

დავითმა მტერს მისი მცირე ძალის გათვლა და გონს მოსვლა არ აცალა და მისვლისთანავე მიუხდა გაალმასებით.

აისიდან დაისამდე გაგრძელდა საშინელი ხმალთაკვეთება.

ისევ მტერთა ძლევით დააქანა დავით მეფემ ბრძოლის სასწორი.

თურქებს არც კი უგრძვნიათ რიცხვით სიმცირე საოცარი მხნეობით მოიერიშე ქართველებისა. მიმწუხრისას თურქებმა ბრძოლის ველს ზურგი აქციეს, ბანაკი თავის ავლადიდებით ქართველთა ხელს შეატოვეს და უგზოუკვლოდ „განიბნივნეს თვისთა ქუეყანათ“.

მცირერიცხოვანი ჯარისაგან ესოდენ დიდი მხედრობის ძლევა სწორედ რომ გასაოცარი იყო. ამიტომ დავითი და მისი თანამებრძოლნი კარგ ხანს დაეჭვებულნი - მტერი მახეს რასმე არ გვიგებდესო - ფრთხილი დევნით მისდევდნენ ოტებულ თურქობას და სდიეს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მტერი სავსებით იყო გადახვეწილი.

1115 წელს, დავით მეფის ბრძანებით, გიორგი ჭყონდიდელმა თურქებს ხელიდან გამოგლიჯა **რ უ ს თ ა ვ ი.** ამრიგად, ტფილისში მდგომ არაბთა ციხიონს სამხრეთ-დასავლეთიდანაც მოეჭრა მისასვლელები.

იმ წელსვე თვითონ დავითი თავისი „მონა-სპით“ ხან სად დაეცა მტერთა ბანაკს და ხან სად. „უგრძნეულად დაესხის და მოსწყვედნის, და ესე არა ერთგზის ან ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ქვემო ქართლის გზებს დაუშინდნენ თურქები და ახლა საქართველოში სალაშქროდ სამხრეთ-დასავლეთ გზებს დაუწყეს სინჯვა.

1115 წლის დეკემბერში თურქთა უზარმაზარი ლაშქარი ბასიანს შემოვიდა დედა-წულიანად, ხარგებით, ჩარდახებით, საქონელხვასტაგიანად და იქვე დაიბანაკა გამოსაზამთრებლად.

მომდევნო წლის თებერვალში დავით მეფე ისევ „უგრძნეულად“, ღვთის რისხვასავით დაეძგერა მტერს. დაეძგერა და შავი დღე გაუთენა. ქართველებმა ურიცხვი თურქი ჩაჰხოცეს და ჩახლიწეს ბასიანის ხევებში. მრავალი ტყვე აიყვანეს, ოჯახებით, აღალ-ფორნიანად და საქონელ-ხვასტაგიანად.

1117 წელს დავითმა კიდევ ილაშქრა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. აქ მან აიღო და შემოიერთა ჰერეთის უკანასკნელი დიდი ციხესიმაგრე **გ ი შ ი.**

ამავე დროს, დავითს თავისი ძე, **დ ე მ ე ტ რ ე,** შირვანში ჰყავდა გაგზავნილი სალაშქროდ. დემეტრემაც „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი“. მან აიღო ციხე-ქალაქი **ქ ა ლ ა ძ ო რ ი** და დიდძალი ნალაფევითა და სიმდიდრით დაბრუნდა მამასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი წელიწადი აღარ მიდიოდა დავით აღმაშენებლის ხელით ნიშანდაუსმელი - თუ ხმლით, თუ კალმით, თუ საჭრეთლით.

1118 წელს იგი ნახიდურში იდგა, არეზის (არაქსის) პირას და აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდა. ინახად მჯდარ ხელმწიფეს მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს დასცემიან და მოუკლავთ თუხარისის ერისთავი **ბ ე შ ქ ე ნ ჯ ა ყ ე ლ ი.** მაშინვე წამოიჭრა მეფე. ნუ ინებებ ასე ერთბაშად გალაშქრებასო, - შემოეხვივნენ მისიანები, მაგრამ მაინც მაშინვე ამხედრდა. მუდამ მზაობაში მყოფი „მონა-ხპა“ აიყოლია და მტერს მიაშურა. არეზის პირას იპოვა ბანაკად მდგარი თურქობა და უმალვე, - ისე რომ მტერს ფეხზე წამოდგომა და გონს მოსვლაც არ აცალა, - ელვასავით დაესხა ზარდამცემი ყიჟინითა და ხმალთაკვეთებით. თურქთა ბანაკი აირია, აგორდა და აჭრილ-დაჭრილი უგზოუკვლოდ გაიქცა, სდიეს და სჩეხეს ქართველებმა. მტრის მცირე ნაწილმა გაასწრო სიკვდილს.

იმავე წლის ივლისში კიდევ ორი დიდი გამარჯვება იზეიმეს ქართველებმა ზედიზედ. დავითმა ჯერ აიღო ციხე-ქალაქი **ლ ო რ ე** და მეორე დღეს, დილის სისხამზე - **ც ი ხ ე ა გ ა რ ა ნ ი...**

... გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, მაგრამ დავით მეფე იმასაც კარგად ჰხედავდა, რა ძვირსისხლიანი იყო ყოველი ბრძოლა, რა ძნელი იყო აღებულ ციხესიმაგრეთა შენარჩუნებაც და რა დიდ ძალას მოითხოვდა ჯერ კიდევ ფეხშეუდგმელი უმძიმესი საბრძოლო გზის გავლაც. ყოველი ახალი ბრძოლა ახალ, ბრძოლისუნარიან ცვლას მოითხოვდა. დავითი ბევრს ზრუნავდა ჯარისათვის, მისი გაწვრთნის, სულიერი სიმტკიცისა და საბრძოლო განწესრიგების ამაღლებისათვის. მან სამხედრო ბანაკიდან გააძევა ღვინო და ქალი - ეს ორი შემპარავი და დამამხობელი ბოროტება ყოველი დროისა და ყოველი სახეობის საჯარისო ორგანიზაციისა. მეფემ აკრძალა ჯარისკაცთა შორის ბილწსიტყვაობა, ჯამბაზობა და ლაზღანდარობა. მეფე - თვითონ დიდებული მაგალითი მხედრული სიმამაცისა და ვაჟკაცობისა - ამხნევებდა და განადიდებდა გულადსა და თავდადებულ მეომრებს, მაგრამ ამდენადვე სასტიკი იყო სულმოკლეთა და ჯაბანთა მიმართ. იყო შემთხვევა, როცა ასეთ ლაჩარ მეომრებს მეფის ბრძანებით იარაღს აჰყრიდნენ, ტანზე ქალის კაბას გადააცმევდნენ და „ვითარცა დიაცთა“, ჯარის წინაშე ჩამოატარებდნენ.

ბევრს ზრუნავდა მეფე ჯარისთვის, მაგრამ მაშინდელი ქართული ჯარი მაინც ფეოდალურ-პატრონყმური ლაშქარი იყო. ყოველ ფეოდალს თავისი საკუთარი საბატონო ლაშქარი ჰყავდა და თუ თვითონ არ ინებებდა, იმ „თავის ჯარს“ ბრძოლაში არც კი გამოიყვანდა. ან შეიძლება „იმ ჯარით“ თვითონ მეფის წინააღმდეგაც კი გამოსულიყო საომრად.

ერთი სიტყვით, მეფეს „სამი რიგის“ ჯარი სჭირდებოდა: ერთი - დაპყრობილ ქალაქთა დამცველ ციხიონებად, მეორე - პირად გვარდიად, მესამე - მუდმივ, „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომლად“ მოლაშქრედ. მაშ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითს სჭირდებოდა მრავალრიცხოვანი, მუდმივი მხედრობა, რომელსაც თვითონ უწინამძღვრებდა და უპატრონებდა.

და აი, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ქართულ ჯარებთან შესაერთებლად და მუდმივ სამხედრო სამსახურად, ჩრდილოეთიდან გადმოესახლებინა **ყ ი ვ ჩ ა ყ ე ბ ი.**

დავითი და მისი თანამდგომელნი კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს. იცოდნენ, რომ კავკასიონს გადაღმა, რუსეთსა და ოვსეთს შორის, ურიცხვი იყო მათი მოდგმა და გვარჯილაგი. იყვნენ თავზეხელაღებული მეომრები, მსუბუქი მხედრები, მეთაურის სიტყვაშეუბრუნებლად მორჩილნი და „ადვილად შესანახავნი“.

ისედაც აგერ რამდენიმე წელიწადი გასულიყო, დავითს მოყვრობა ჰქონდა ყივჩაყებთან: მას მეორე ქორწინებით ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის **ა თ რ ა ქ ა შ ა რ ა ღ ა ნ ი ს ძ ი ს** ასული, „სიკეთით განთქმული **გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ** დედოფალი“.

1118 წელს დავითმა „წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“.

ათრაქა შარაღანის ძე დიდი სიხარულით შეხვდა სახელოვანი სიძის შემოთავაზებას საქართველოში მის ქვეშევრდომთა და თვისტომთა გადასახლებაზე. ისედაც, ყივჩაყები ჩრდილოეთიდან რუსთაგან შევიწროებულნი, სამხრეთისაკენ მოიწევდნენ, მაგრამ აქ ოვსნი უდგნენ ძლიერ მტრულ ძალად. ამიტომ შარაღანის ძემ დავითს ოვსთაგან სამხრეთული გზის გათავისუფლება სთხოვა.

დავითმა თავისი გამზრდელი და თანამებრძოლი გიორგი ჭყონდიდელი წაიყვანა, სასწრაფოდ ოვსეთს გადავიდა და სწრაფადვე დაიჭირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიის მთისათანი“. ოვსი მთავრებიც მაშინვე ეახლნენ და ეყმნენ დავითს.

აქვე მოვიდნენ ათრაქა და მისი ძენი, დავითმა ორივე მხარეს, ოვსებსაც და ყივჩაყებსაც, მძევლები ჩამოართვა და ერთმანეთს შეარიგა.

ამის შემდგომ, დავითმა ჩაიბარა ყივჩაყთა „სიმრავლე ფრიად დიდი“, სულ 40 000 ოჯახი, ანუ 200 000 სული.

არაგვ-დარიალის კარი, ჩრდილოეთის და სამხრეთის შემაერთებელი დიდი გზა, დავითმა დიდ სამომავლო „მშვიდობის გზად“ გადააქცია.

სწორედ იმხანად ქართველმა ხელმწიფემ ურთიერთობა გააბა კიევის რუსეთის მთავართან, **ვ ლ ა დ ი მ ე რ მ ო ნ ო მ ა ხ თ ა ნ,** რომელსაც მანამდე ყივჩაყებთან შეურიგებელი მტრობა ჰქონდა.

მოდიოდა დავით მეფე, მოუძღოდა დედაწულიანად მომდინარე უცხო ხალხს. სასიხარულოდ განესრულებია მეფეს თავისი განაზრახი, მაგრამ მოდიოდა მაინც დიდი წუხილითა და ჭმუნვით დამძიმებული, საშვლოვიარო თალხით შემოსილი: მოასვენებდა თავის გამზრდელს, მამაზე უტკბესს - გიორგი ჭყონდიდელს - იგი გარდაცვლილიყო ოვსეთს

ყოფნისას.

ახლად მშენებარე გელათის მონასტერში დაკრძალეს დიდებული მამულიშვილი. ორმოცი დღე-ღამე გაუხდელად ემოსა თალხი მეფეს. სწორედ მეორმოცე დღეს უფლისწული ვახტანგი (ცვატა) შეეძინა დედოფალ გურანდუხტს და მხოლოდ მაშინ „ხარებითა დაიხსნა გლოვა“ მეფემ.

დავითმა ყივჩაყები ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში განასახლა. ყოველ ოჯახს მუდმივ სამხედრო სამსახურად ერთი კაცი უნდა მიეცა ქვეყნისთვის. ამრიგად, მეფემ 40000 ყივჩაყი დააწყო „გვარად-გვარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“. ახლა მეფეს საკუთარი „მონა-სპის“ ჩათვლით 45 000 მეომარი ჰყავდა იარაღქვეშ. ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში იგულისხმებოდა „აგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“.

დაასახლა ყივჩაყნი და დაურიგა მიწა.

ასწავლა ხვნა-თესვა, ანუ გუთნისდედობა.

ასწავლა ვენახის გაშენება, ანუ მეზვრე-მეღვინეობა.

ასწავლა ბაღ-ბოსტნის გაწყობა.

ასწავლა მესაქონლეობა, „ქართული გვარით“.

ასწავლა მიწის მოვლა-პატრონობა, მიწის „მზრუნველობა“.

ასწავლა მთისა და ბარის სამეურნეო მონაცვლეობა.

და ყველაზე კარგად სწორედ დავით აღმაშენებელმა იცოდა, რომ საქართველოსა და ქართულობის შემდედებელი დვრიტა არის ქართული სოფელი.

და ქართულმა სოფელმა გასაოცარი სისწრაფით გააქართველა ყივჩაყი.

უმოკლეს დროში: ყივჩაყისაგან - ნაყივჩაყარი, ნაყივჩაყარისაგან - ქართველი...

დავით აღმაშენებლის დროშის ქვეშ გამრავლებული და გამძლავრებული „სრულიად ქართული“ საომარი ძალები იდგნენ. საერთო ანგარიშით, დაახლოებით 60-70 ათასი ჯარისკაცი და მოლაშქრე. ამას გარდა, დამატებით ძალად მეფეს შეეძლო მოეხმო „როქის სპა“ - დაქირავებული მეომრები მეზობელი ტომებიდან.

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა ასე განესრულა. საქართველო წინა აზიის დიდ სამხედრო სახელმწიფოდ გადაიქცა.

ისევ ალაპარაკდა მსოფლიო ქართველთა სიძლიერესა და აღზევებაზე. ლაპარაკობდნენ მტრები - სიძულვილით, შიშით, ძრწოლით; ლაპარაკობდნენ მოყვრები: აღტაცებით, კრძალვით, პატივით. ეძებდნენ სიახლოვეს, კავშირს, მეგობრობას, მოყვრობას საქართველოს სამეფო სახლთან.

შეიწყნარა დავითმა შირვანის ხელმწიფის **მ ა ნ უ ჩ ე ჰ რ მ ე - ო რ ი ს** თხოვნა და ცოლად მისცა თავისი ასული **თ ა მ ა რ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიწყნარა დავითმა ბიზანტიის იმპერატორის **ა ლ ე ქ ს ი კ ო მ ნ ე ნ ო ს ი ს** თხოვნა და რძლად მისცა თავისი მეორე ასული **კ ა ტ ა ი.**

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ასულნი, „ვითარცა ორნი მნათობნი" - ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს - „ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა", მამის მზიური შარავანდედით გაცისკროვნებულნი.

„ჯვაროსნული ომებიც" აგერ 22 წლის დაწყებული იყო. მოდიოდნენ ევროპელები ჯვრით და მახვილით ურჯულო თურქთაგან პალესტინის „წმიდა მიწათა დასახსნელად". მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვა, ხოლო საქმე - აზიურ მიწათა და დასახლებათა დაპყრობა, ძარცვა და რბევა.

მაშ, 1099 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია და იერუსალიმი და პალესტინაში თავისი სახელმწიფო დააარსეს.

დავით აღმაშენებელი არ ჰგავდა ჯვაროსან ხელმწიფეებს, სხვათა დამპყრობელთ, სხვათა ქონების მძარცველებსა და უცხო ხალხთა განუკითხავად მჟლეტელებს. პირიქით, დავითი საქართველოს შიგნით არაქართულ მოსახლეობას, მათ შორის მაჰმადიანებს, არამცთუ არ ჟლეტდა და ამცირებდა, არამედ ქართველთა თანაბარი, ზოგჯერ უპირატესი პატივითა და შემწყნარებლობით ექცეოდა. მაგრამ დავითს ჯვაროსნებთან მაინც ჰქონდა ერთი საერთო მიზანი: შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობელ თურქთა წინააღმდეგ. ამიტომ დავით აღმაშენებელმა ჯვაროსან ხელმწიფეთა თხოვნა აღასრულა და რამდენჯერმე ჯარიც მიაშველა მათ სირიისა და პალესტინის ქალაქებიდან თურქთა გასაძევებლად.

1119 წლის მიწურულს საქართველოში იდუმალ ჩამოვიდა იერუსალიმის მეფე, ფრანგი ჯვაროსანი რაინდი, **ბ ა ლ დ უ ი ნ მ ე ო რ ე.**

კარგა ხანს ბჭობდნენ ქართველნი და ფრანგნი გეგუთის სასახლეში.

მერე ისევ იდუმალ გაუჩინარდა ფრანგი რაინდი და გვირგვინოსანი.

დავითი მომავალი წლისათვის თურქთა წინააღმდეგ გაშლილი გადამწყვეტი შეტევებისათვის ემზადებოდა.

1120 წლის თებერვლის დამდეგს თურქთა ახალი ურდო შემოიჭრა და **ბ ო რ ტ ი ა ს თ ა ნ** დაბანაკდა. მტერი თამამად იყო, ვინათგან დავითი აჭარაში ეგულებოდა. მაგრამ საოცარი სისწრაფით „გადმოიფრინვა" მეფემ აჭარიდან და 14 თებერვალს ისევ „უგრძნობლად" და „უცნაურად" დააცხრა თავს არხეინად მონებივრე თურქთა ბანაკს. ისევ ურიცხვი თურქი დაირეცა ამ ბრძოლაში. მხოლოდ მცირედნი გადაურჩნენ სიკვდილს. ქართველებმა „აღიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი".

ამის შემდგომ დავითი შირვანს გავიდა და ბორტიას ბრძოლიდან მეშვიდე დღეს აიღო ქალაქი **ყ ა ბ ა ლ ა**, მაისში ისევ ილაშქრა დავითმა შირვანს და დაიპყრო ყველა მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი, მათ შორის - **ლ ი ზ ა ნ ი, ქ უ რ დ ე ვ ა ნ ი, ხ ი შ ტ ა ლ ა ნ თ ი.**

იმავე წელს, ზაფხულსა და შემოდგომაზე, ქართველებმა კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერმე დაამარცხეს თურქები სომხეთსა და ირანში.

ნოემბერში სირიისაკენ წარემართა დავითი. აქ მის შეტევას ელოდა ალეკვეთა ალეპოელი სულტანის, **ნ ე ჯ მ ა დ - დ ი ნ ი ლ ღ ა ზ ი ს** განაზრახი ლაშქრობანი ქართველთა მოკავშირის, ფრანგი ბალდუინის წინააღმდეგ. **ა შ ო რ ნ ი ა ს** რომ მიაღწიეს, ქართველებს იქ დიდძალი თურქობა დახვდათ საომრად მომზადებული. დავითმა მისვლისთანავე ბრძანა იერიში. მძვინვარე ხოცვა-ჟლეტა თურქთა განადგურებით გათავდა.

აშორნიადან ქართველები სირიის საზღვრებში შეიჭრნენ და თურქული ბანაკები დაიფრინეს. დავითი ალეპოსკენ მიიწევდა, ილღაზის სატახტოსაკენ, მაგრამ მსტოვრებმა აცნობეს - ზურგიდან თურქთა ურდო გაიჭრა და საქართველოსკენ მიეშურებაო. შემოტრიალდა დავითი, **ს ე ვ გ ე ლ მ ე ჯ თ ა ნ** წამოეწია მტერს, წამოეწია და ისე გაანადგურა, „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.

ასე განესრულა 1120 წელი, ქართველთა ათზე მეტი ძლევამოსილი ბრძოლით.

1121 წელი მძიმე ზამთრით შემოვიდა საქართველოში. განუწყვეტლივ და განიადაგებით თოვდა და „გარდანაკვეთსა თოვლისასა აქვნდა სიმაღლე მხარი სამი“.

დავითი აფხაზეთს ბრძანდებოდა მაშინ, ბიჭვინთაში. თურქებს იმედი დაუჭერიათ, სანამ დავითი შეიტყობდეს და თოვლიან გზებს გადმოლახავდეს, მანამ ჩვენ ქართლის აოხრებას მოვასწრებთო, და „გულდებით“ წამოსულან მტკვრის ხეობისკენ. მაგრამ შეიტყო თუ არა, სასწრაფოდ წამოვიდა „ლომი იგი“ აფხაზეთიდან „თოვლთა საშინელთა“. ლიხის მთაზე თოვლი გადათხარა, გზა გადაიკვლია და ქართლს გადავიდა. კვალში ჩაუდგა ნაძარცვით დატვირთულ თურქებს, ალგეთისა და მტკვრის შესაყარში წამოეწია და გაალმასებით დააცხრა თავზე. ქართველებმა თურქები ისე „მოსრეს პირითა მახვილისათა, რომე არა დაშთა მთხრობი ამბავისა“.

იმ წელს, გაზაფხულზე, **ბ ა რ დ ა ვ ს,** ქართველებმა ერთხელ კიდევ გაწყვიტეს წყალდიდობის იმედით შემოსეული თურქები.

1120-1121 წლებში ქართველთა ძლევამოსილმა ლაშქრობებმა ხელ გაუხსნეს თურქთაგან დაშინებულ ჯვაროსნებს. ბალდუინმა სამხრეთიდან წარმატებით წამოიწყო შეტევები ნეჯმ ად-დინ ილღაზის სამფლობელოებზე.

თურქ-სელჩუკთა მძლავრობის ხანა თითქოს უნდა დამხობილიყო. სელჩუკიანთა მსოფლიო ბატონობის დამამხობელი მთავარი ძალა, როგორც ჩანდა, საქართველოდან მოდიოდა.

და თურქებმა გადაწყვიტეს უკანასკნელი სრული ძალებით შეყრილიყვნენ მათი „მთავარი დამამხობლის“, საქართველოს დასამხობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიყარა „ყოველი თურქობა“ და წამოვიდა საქართველოს „ერთ-ჯერ და სამუდამოდ“ წასახდენად.

400 000 თურქი მოთქარუნობდა*

მთავარსარდლად **ნ ე ჯ მ ა დ - დ ი ნ ი ლ ღ ა ზ ი** მოუძღოდა.

დავით აღმაშენებელიც ელოდა მტერს, ელოდა 55-56 ათასი მეომრით: 40 000 ქართველი, 15000 ყივჩაყი, 500 ოვსი და 100 ფრანგი-ჯვაროსანი.

მაშ, მოდიოდა „ყოველი თურქობა, მხედრობად შემძლებელი, ყოველი ქვეყანისა“. მოვიდნენ „სიმრავლითა, ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქუეყანა თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“.

დიახ, **დ ი დ გ ო რ ი** შეიქნა სახელოვანი ბრძოლის ნიადაგი, ხოლო ნათლია - დავით აღმაშენებელი. ასე ისურვა, გადაწყვიტა და განასრულა. მას სწორედ აქ, ტფილისიდან ნახევარი დღის სავალზე, დიდგორის ვიწრობებსა და მიმრეც-მომრეც სანახებში უნდა ჩაეჭედა რიცხვით ათ-ჯერ უპირატესი მტრის ურდო, ვინძლო ველად გაჭრის, გაშლისა და ფართო მიმოქცევის საშუალება არ მიეცა მისთვის.

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა ომის ღმერთისთვის ძალისძალად გამოეგლიჯა ხელიდან ბრძოლის სასწორი, რომელზეც ოთხასი ათასი თურქისა და ორმოცდათხუთმეტი ათასამდე ქართველის სიცოცხლე ქანაობდა.

ჯარი საომრად დაალაგა და სიტყვით მიმართა: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ქვეყნისა და სჯულის გადასარჩენად კვლავაც ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ, არამცთუ თურქთა, ეშმაკის ამა მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკთა მხედრობასაც ადვილად დავამარცხებთ. მაშ, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესათვის და ფიცი დავდოთ, რომ აქ, ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე აქედან შერცხვენილნი გავიქცევით. ახლა კი ამ ხეობის შესავალი, რომლითაც აქ შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, ვინძლო ვისმეს გულში ჩარჩენილი გაქცევის სურვილი ამით ამოიქოლოს, მაშ, გაემზადეთ, ძმანო და შვილნო, ქრისტესთვის და საქართველოსთვის“.

ასეც მოიქცნენ - ხევში შესასვლელი ხეებით ჩახერგეს და საომრად შეიმართნენ.

მაშ, დიდგორის ბრძოლა.

12 აგვისტო 1121 წლისა.

იმ დღეს თურქები ბრძოლის დაწყებას არ ელოდნენ, მაგრამ მაინც დაიწყო სავსებით უცნაურად: ქართველთა ბანაკს 200 მეომარი გამოეყო და თურქთა ბანაკისაკენ გაეშურა გულდანდობილად. რაკი იმათგან უმრავლესობა თურქებმა ყივჩაყებად შეიცნეს, ქართველთა მოლალატეებად და მათგან ვამოქცეულებად ირწმუნეს და თავის შუაგულ

*სიმეს. მათე ურჰაელის ცნობით - 560 000; ფრანგი გოტიეს ცნობით - 600 000

განლაგებაში შეუშვეს. მისულებმა კი მისვლისთანავე იარაღი გამართეს და თურქებს დაერივნენ გასაოცარი თავგანწირვით. სანამ თურქები გონს მოეგებოდნენ, თვითონ დავითმა ელვისებურ იერიშზე აფრინა ქართველთა მთავარი ძალები.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა თავიდანვე ქართველთა ძლევამაუწყებლობით წარიმართა. გადამწყვეტ ჟამს ბრძოლას ჩაეჭრა ქართული მხედრობის საგანგებო ნაწილი, რომელსაც დავითის მამაცი ძე, დემეტრე ბატონიშვილი მიუძღოდა.

ბრძოლა დამთავრდა.

ქართველთა მეფეს ხელთ ეპყრა მრავალ მანამდელ გამარჯვებათა შორის ყველაზე დიდი ძლევამოსილების კვერთხი.

თურქთა უზარმაზარი არმია თითქმის სულ გაწყდა. „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მათის მძორებითა“. ხოლო, ვინც გაქცევა მოასწრო, იმათ რვა დღეს სდიეს ცხენოსანმა ქართველებმა, მანამ, სანამ საქართველო-სომხეთის საზღვრებიდან არ გადარეკეს.

თავში მძიმედ დაჭრილმა ნეჯმ ად-დინ ილღაზმა თვითონაც ძლივს გაქცევით გაასწრო სიკვდილს, თუმცა ერთ წელიწადში ისევ იმ ჭრილობამ მიაცილა სამარის კარამდე.

დიდძალი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს, ნადავლის ყველაზე ძვირფასი ნაწილი დავითმა შესწირა გელათს.

დიდგორი ისტორიაში დარჩა ვითარცა უბრწყინვალესი ზენიშანი ქართველთა უებრო გმირობისა და მარადიული უკვდავებისა.

დიდგორი ქართველი ხალხის სალოცავ მოვლენად იქცა.

დიდგორის უმაღლეს მთას ხალხმა „დავითის მთა“ დაარქვა, ხოლო იქვე ველზე აღმართულ ბორცვს - „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარე“. ხალხი დღემდე დაბეჯითებით ამბობს: როცა დიდგორის ომში დაღუპული ქართველი გმირები საერთო სამარეში ჩააწვინეს, რიგად ჩამდგარმა ლაშქარმა აუარ-ჩაუარა და ზოგმა მუჭა-მუჭა, ზოგმაც კალთა-კალთა მიაყარა ნაომარი და ნასისხლარი მიწა - და ასე აღიმართა ეს ბორცვი ძმათა საფლავზეო...

ყოველწლიურად ზეიმობდა ქართველი ხალხი „დიდგორობას“.

დიდგორი შეიქნა პროლოგი მომდევნო ფეხბედნიერი მოვლენისა ქართველი ხალხის მაღალღირსეულ მატიანეში - ტფილისის დახსნისა და საქართველოს სრული გაერთიანებისა.

1122 წლის დამდეგს დავით აღმაშენებელი ტფილისში შევიდა.

იგი თავისი ზეობის მწვერვალზე იდგა.

ოთხასწლოვანი უცხოური უღლისაგან გათავისუფლდა საქართველოს წმინდა სატახტო!

მომდევნო წელს დავითმა აიღო დმანისი და ამით საქართველოს გათავისუფლება და გაერთიანება დაგვირგვინდა.

ყველა ქართული მიწა უკვე საქართველოს „მეოთხე გამაერთიანებლის“ ხელში მოქცეულიყო.

ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტი დავით აღმაშენებელმა ქუთათისიდან ტფილისში გადაიტანა.

იმავე 1122 წელს განძის თურქობამ სცადა თურქულ სისხლთა ამოღება ქართველთაგან. დავით მეფემ მაშინვე შეუსია ჯარი საქართველოს ამ ძველ სამტრო-საბუდარს. მრავალი თურქი მხარგაკრული დაყარეს ურმებზე და, ურიცხვ ნადავლთან ერთად, „ცხვრის ფარასავით“ გამოირეკეს ტფილისისაკენ.

1123 წელს კი დიდი სულტანი მაჰმუდ მუჰამედის ძე შემოესია ქართველი მეფის ყმადნაფიც შირვანს და შირვანშაჰიც ტყვედ აიყვანა. - შენ ტყეთა მეფე ხარო, - შემოუთვალა მაჰმუდმა დავითს, - და თუ ვაჟკაცი ხარ, სამალავიდან გამოდი და ისე შემხვდიო, ან მეყმე და დიდძალი ძღვენი გამომიგზავნეო.

განრისხდა დავითი. ისევ აიშალა და აზვავდა საომრად. მაშინვე შირვანისაკენ გაფრინდა ჯარით.

როგორც კი ქართველთა მოახლოება სცნო, დაფრთხა მკვეხარა მაჰმედ სულტანი და ისღა მოასწრო, შემახას ციხეში შეკეტილიყო.

ქართველებმა შემახას ალყა შემოარტყეს.

უცებ სულტნის მაშველი ჯარი გამოჩნდა. ქართველები გაეგებნენ და შეებნენ. ოთხი ათასი თურქი პირველი დატაკებისთანავე დააწვინეს და დარეცეს. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ეს რომ მაჰმუდ სულტანმა შეიტყო, შიშით ლამის ჭკუიდან შეცდა და სხვა უკეთესი ვერა მოიგონა რა - სასდუნში („მწვირის გასადინარ ნახვრეტში“) ჩაძვრა და შმორითა და ზინზლით ამოლართხულმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას.

მტკიცედ შემოიმკვიდრა დავით მეფემ შირვანი, კასპიის ზღვის ასწვრივ ავიდა, აიღო დარუბანდი და ჩრდილოეთ მომთაბარეებს სამუდამოდ აღუკვეთა ამ გზით ამიერკავკასიაში შემოჭრისა და თარეშის იმედი.

როგორც კი დარუბანდიდან შემობრუნდა, „მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან“, სომხეთს ჩაიჭრა, ყველა იქაური ციხიდან თურქები გარეკა და ქართულ სამანებში მოაქცია ეს ყველაზე ახლობელი მოძმე ქვეყანა.

დავით მეფე ტფილისში ახალი დაბრუნებული იყო, რომ ისევ მოიჭრნენ ელჩები სომხეთიდან, თურქები შემოჭრილან დიდ სომხურ ქალაქში, **ა ნ ი ს შ ი,** მთავარი ტაძრიდან ჯვარი მოუგლეჯიათ, ჯვრის ნაცვლად ვერცხლის ნალი (თურქული ნახევარმთვარე) აღუმართავთ, თვითონ ტაძარი მაჰმადიანურ მიზგითად გადუქცევიათ, ქალაქში თურქული ციხიონი ჩაუყენებიათ. შველას ითხოვდნენ სომეხი პატრიოტები ქართველი ხელმწიფისაგან.

სამ დღეში 60 000 მეომარი შეიყარა მეფის ძახილზე. სამ დღეში

ჩავიდნენ ანისს. თურქები გარეკეს და გადახვეწეს, ანისის ლავრაზე ისევ ჯვარი აღმართეს და მიზგითად ქცეული ტაძარი ისევ სომხურ-ქრისტიანულად აკურთხებინა სომეხ კათალიკოსს ქართველმა მეფემ.

ანისის ტაძარში დედოფალი კატრონიკე ემარხა - სწორედ ამ ტაძრის ამშენებელი ბერძენი ქალი. დავითი ქართველთა და სომეხთა ამალით იმ საფლავს მიადგა და სამგზის ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“...

ანისის დასაცავად დავითმა დატოვა მესხი აზნაურები. თვითონ ისევ სამხრეთ სომხეთში ჩავიდა და ისევ შემოიმტკიცა ვანანდი, ხაბანდი და არცახი.

ამგვარად, ქართველ-სომეხთა ოდინდელი ძმობითა და თანადგომით, კვლავ ერთიან საძმო-სამეზობლო საცხოვრებელში მოექცა ეს ორი, ძველთაძველი, ცივილიზებული ერი.

სომხეთის შემოერთების შემდეგ დავითს ისევ დასჭირდა კასპიისაკენ ლაშქრობა. შირვანში ისევ საომრად შემართულიყვნენ თურქნი. ისევ აიღეს ქართველებმა შემახა და დარუბანდი. ისევ გაამაგრეს კასპიაზე ქართული სამანები. სრულიად შირვანი (ძველი ალბანეთი) თურქთაგან განიწმინდა და საქართველოს შემოუერთდა. დავითმა შირვანის ციხეებში კახთა და ჰერთა ძლიერი ციხიონები ჩააყენა და ეს ქვეყანა საგამგებლოდ მისცა მწიგნობართუხუცესსა და ჭყონდიდელს **ს ვ ი მ ო ნ ს**, გიორგი ჭყონდიდელის დისწულს, მის „მიმსგავსებულსა და ყოვლითურთ სრულსა და ბრძენ კაცს“...

დავით აღმაშენებლის მოთავეობით წარმოებული ოცწლიანი ომები დიდი შედეგებით განესრულა. ქართველი ხალხის წინამძღოლობით შეიქმნა კავკასიელ („იმიერ“ და „ამიერ“) ხალხთა ერთიანი მძლავრი სახელმწიფო, „ნიკოფსიითგან (ტუაპსე) დარუბანდამდის (დერბენდი) და ოვსეთიდგან არეგაწამდის (სამხრეთ სომხეთი)“.

მაშ, დავით აღმაშენებელი იყო შემოქმედი სრულიად კავკასიის ერთიანი **ი მ პ ე რ ი ი ს ა** (ვინძლო ამ სიტყვამ არ შეგვაშინოს).

დავით აღმაშენებლის ფენომენი კულმინაციური შეჯამება იყო ქართველი და კავკასიელი ხალხების ოფლითა და სისხლით გაჟღენთილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ეს იყო შედეგი ქართველი ხელმწიფის დაუცხრომელი ღვაწლისა და საქმიანობისა, რომლის შედეგად დაემხო ამიერკავკასიის ცივილიზებულ ხალხთა გათურქება-გადაგვარების საფრთხე. ქართველი ხალხის მძიმე სისხლის ფასად შექმნილ ერთიან, მძლავრ სახელმწიფოში „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის და ოვსეთიდგან არეგაწამდის“, ყოველი „დიდი“ და „მცირე“ ხალხი იწყებდა ცხოვრებას სახვალიო და სამერმისო არსებობის ძლიერი რწმენით.

და გაისმოდა, უეჭველად გაისმოდა „სადავითო სახელმწიფოში“:

„ნეტავ იმ ერსა და ქვეყანასა ზედა, რომელსაც არა ჰზარავს მარადიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავი: ვიქნები თუ არა ხვალ? იქნება თუ არა ენა ჩემი და ერი ჩემი და ბუნება ჩემი ხვალ, ზეგ, მერმისად, სამარადისოდ?".

„ვაი შენ, ერო დამცრობილო, რომელსაც მარადიულად გტანჯავს ეს საკითხავი; ვიარსებებ თუ არ ვიარსებებ?"

„დამანებებენ არსებობას თუ არ დამანებებენ უფრორე მრავალრიცხოვანნი ერნი ამა ქვეყნისანი?"

„და აჰა, დავით ქართველთა მეფემ დაამკვიდრა იმედი მცირერიცხოვან ხალხთათვის ხვალინდელი და სამერმისო არსებობის გარანტიისა".

ქართველთა მეფემ იხსნა კავკასიის ხალხები გათურქება- გადაგვარებისგან.

თურქობა სრულიად ახალი, „უცხო ჯიშის", ყველაზე საშიში მტრობა იყო საქართველოსთვის და კავკასიის სხვა ხალხებისთვის. იგი არ ჰგავდა ჩვეულებრივ, „ტრაფარეტულ" მტრობას, მტერთა საომარ კვეთებას, მხოლოდ მტრულად სისხლისღვრას, მხოლოდ ძარცვას და დახარკვას, პომპეუსის, მურვან ყრუს, ბუღა თურქისა თუ აბულ ყასიმის შემოსევათა მსგავს „მოქცევასა" და „უკუქცევას".

არამედ - თურქები მოდიოდნენ დედა-ბუდიანად, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ცხვარიან-ძროხიანად, ცხენიან-აქლემიანად, ძაღლიან-კატიანად, ტილიან-რწყილიანად...

მოდიოდნენ და აღარ მიდიოდნენ.

მოდიოდნენ უსამშობლონი და მომთაბარენი.

და ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება ისედაც მანამდე უამრავ უბედურებათა მტვირთველი საქართველოსთვის.

უბედურების „სიახლე" სწორედ მტრის **მ ო მ თ ა ბ ა რ ე ო ბ ა** იყო.

ქართველი კაცის ცხოვრების ურყევი და უცვლელი საფუძველი ხომ მკვიდრი სამეურნეო დარგები იყო - მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, და ცალკე მესაქონლეობა, მისთვის განკუთვნილი საძოვრებით.

ხოლო, თურქი მხოლოდ მეჯოგე-მომთაბარე იყო და სხვა „კულტურული მეურნეობისა" არც რამე გაეგებოდა და არც გაგება ესურვებოდა. მისი „სიმკვიდრე", მისი „ფუძე", მისი „სოფელი" და „დაბა-ქალაქი" თითო-ოროლა დღე-ღამით აკინძული კარავი იყო, მისი „სამშობლო" კი - იალ-კიალად, აღმა-დაღმა მოარული, მთა და ბარად მომთაბარე ყიშლაღ-იალაღი.

და მიუსია თურქმა-სელჩუკმა ცხვრის ფარა და საქონლის ნახირი ქართველის მადლით, ბარაქით და სინოყივრით გატენილ ყანას, სიტკბოებით ფეხმძიმე ვენახს, პაღსა და ბოსტანს.

ასეთი სინოყივრე და ღვთაებრივი გემო მანამდე არ უგემნია უდაბნოური

სიცხით, სიმწირითა და სიყმილით განაწამებ სამხრეთელ ჯოგსა და მეჯოგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცოცხალი თავით რაღას მოშორდებოდა!

და მოდიოდა!

და აღარ მიდიოდა!

და მრავლდებოდა, ვითარცა ქინქლა!

მრავლდებოდა საქართველოს „მოსაჭმელად“ და „შესაჭმელად“.

ყიშლაღ-იალაღური მომთაბარეობა სჭამდა და ინელებდა საქართველოს მკვიდრ, კულტურულ მეურნეობას, ეს კი **ქართულობისა და ქართველობის** მოშლასა და „შეჭმას“ ნიშნავდა.

დიახ, - თუ მანამდელი ყოველი მტერი - ყოველი პომპეუსი, მურვან ყრუ, თუ აბულ ყასიმი - „ჩვეულებრივ“, **საქართველოს** ებრძოდა, თურქობა მარტო საქართველოს კი არა, საზოგადოდ **ქართულობას** უქადდა გადაშენებასა და გადაქარებას. ასე იყო, ვინათგან საკუთრივ ქართულობა არის იგივე, რაიც ქართული სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სისტემა.

ყველა მანამდელი მტერი საქართველოს წასახდენად მოდიოდა მხოლოდ ხმლით, ხოლო თურქი მოდიოდა ხმლითა და ცხვრით, ხოლო ცხვარი ხმალზე უარესი იყო.

დიახ, მშვიდი და უწყინარი ცხვარი აღწევდა იმას, რაიც ვერ მოეხერხებინა რომაელი იმპერატორების, ირანელი შაჰინშაჰინებისა და სარკინოზი ხალიფების მსოფლიო სისხლმაქცევარ მახვილებს.

ველურობამ მრავალი ცივილიზაცია გადაჩეხა დაღუპვისა და დაქვესკნელების უფსკრულში. აქამდე კი საქართველო და ქართველობა არასოდეს ასე ახლოს არ მდგარა სრული გადაშენებისა და დაღუპვის უფსკრულთან.

იდგა აგონია საქართველოსი:

თურქი - ხმლითა და ცხვრით;

ადგილობრივი ფეოდალი - სეპარატისტული, განკერძოებითი თავაწყვეტილი ბრძოლით, თანამოძმეთა სისხლის ქცევით და სისხლის ჩაქცევით.

მხოლოდ საოცნებო ზღაპრულ მზეჭაბუკს თუ შეეძლო საქართველოს დამღუპველი ურჩხულის ორივე თავის გაგდებინება - გარეულისაც და შინაურისაც.

და ეს შეძლო დავით აღმაშენებელმა.

მან ოცი წლის მანძილზე, სამოცი დიდი და მცირე ბრძოლით, არამც თუ სავსებით აღუკვეთა თურქ დამპყრობლებს კავკასიურ მიწაზე ფეხის დაბიჯების წყურვილი, არამედ სრულიად მაჰმადიანური სამყაროს მეუფე „სულტანი დასუა მოხარკედ თვისსა“.

ათეულობით „დიდი“ და „მცირე“ ენა ჰყვაოდა დავით აღმაშენებლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოში, მაგრამ არც ერთი ყვავილი არ დაუჭკნია და არ დაუჩაგრია მაღალკულტურულ და მაღალზნეობრივ ქართველ გვირგვინოსანს.

ათეულობით რელიგია, რელიგიური სექტა და თავისუფალი ერესი მიმოიქცეოდა დავითისეულ საქართველოს ქრისტიანულ სამყაროში და ყველა, უკლებლივ და სწორპატიობით, შეწყნარებული და ნებადართული სუნთქავდა და სუფევდა, გულდანდობილი სუნთქვით და სუფევით.

ქრისტიანი ხელმწიფე მაჰმადიანებს ქართველთა და სომეხთა თანასწორ მოქალაქეებად აცხადებდა. იგი „გამათურქებელ თურქობას" ებრძოდა დაუნდობლად და არა მაჰმადიანურ-რელიგიურ სინდისს. თვითონ დავით მეფე ყურანს და მაჰმადიანურ ლიტერატურას ისევე ზედმიწევნით იცნობდა და აფასებდა, როგორც ბიბლიას და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

ასეთი იყო დავით აღმაშენებლის სახელმწიფო: მრავალეროვნული, ყოველი ტომისთვის თანასწორუფლებრივი.

და ვაი იმ ქართველს, ვინც ამ მრავალფეროვანი „ეროვნულ-რელიგიური სიმფონიის" დარღვევას შეეცდებოდა!

მაგრამ სახელმწიფო ესე - მაინც იყო საქართველო.

და ვაი იმასაც, ვინც საქართველოს შიგნით თუ საქართველოს გარეთ ქართველობის სამტროდ ხმალსა თუ ხმას დასძრავდა!

დავით აღმაშენებლის „იმპერიაში" იმდენი ენა ჰყვაოდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო. მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივი ენა „ნიკოფსიითგან ლარუბანდამდის" - იყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას - ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და მოვალეობაც.

დავით აღმაშენებლის დროს (და მის შემდგომ ას ორმოცდაათი წლის მანძილზე) სრულიად კავკასიისთვის (და მნიშვნელოვანწილად წინა აზიისათვის) ქართული ენა ისეთივე დომინანტურ და კულტურულ ნიშანსვეტად იქცა, როგორც ბერძნულ-ელინური ენა ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ ევრაზიაში („ქართლიზმი" - „ელინიზმი")...

... თვითონ დავითი ანაგებით იყო ახოვანი, გოლიათურად ტანაშვეტილი, სხეულით - განურღვეველი, სახით - სახიერი, წყობილ-ნაკვთოვანი, თვალით - მძლავრი, მზერით - მზის დამკორტნავი, ხმით - ლომებრ ზახიანი და გულით - „უშიში, ვითარცა უხორცო". საოცარი და საწადელი ღიმილი ჰქონდა - ჟამსა სიხარულისასა, და გულის შემძვრელი მჭმუნვარება - ჟამსა მჭმუნვარებისასა.

მძლავრი იყო მისი სხეული.

მძლავრი იყო მისი გონება.

ორი რამ, ერთმანეთისაგან განუყრელად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია დავით აღმაშენებელს - **ხ მ ა ლ ი და წ ი გ ნ ი.**

წიგნის გარეშე თვით სიცოცხლეც უსაგნოდ და უსიხარულოდ შიაჩნდა მეფეს. წიგნის კითხვა მისი სულის ზეიმი იყო. თვითონ იტყოდა ხოლმე: დავითი: „კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს“. წიგნს კითხულობდა გამუდმებით - ინახისა და სერობის შემდგომ, მგზავრობისას, ნადირობისას, წიგნებით დატვირთული ცხენები მისდევდნენ ბრძოლად მიმავალ მეფეს.

თავდავიწყებამდე იცოდა კითხვა. ერთხელ, როცა ტფილისი ჯერ კიდევ მტერს ეჭირა, მის დასაზვერად წასულიყო სამასი მხედრით. ავჭალის ხევში შესასვენებლად შედგნენ. მეფემ თხუთმეტი კაცი გამოჰყო და ლოჭინისაკენ გაუშვა. თვითონ კი, წიგნისა და ხმლის ამარად, გაშორდა თავისიანებს და დაიბარა, არ მომიკითხოთო და ხელი არ შემიშალოთ, სანამ მე თვითონ არ მოვალ თქვენთანო. წავიდა და ჩაუჯდა კითხვას, ჩაუჯდა და ისე ჩაიძირა, არც კი გაუგია, როგორ დასცემია მის თხუთმეტ ქართველს ქალაქიდან გამოსული ასი თურქი. საომარმა ყიჟინამ და იარაღის ზრიალმა გამოაფხიზლა მეფე. ცხენს მოახტა, ბრძოლას მიაშურა, „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარცა არწივი“ და თურქები „დააბნივნა ვითარცა კაკაბნი“. ბევრი კიდევაც „მოსწყვიდნა“, დანარჩენმა თურქებმა ზურგი აქციეს „გარდარეულ ლომს“ და ტფილისის კედლებს შეეფარნენ. ეს უნებლიე შერკინება ასე იღბლიანად გათავდა. დავითმა ნაომარი ხმალი აიღო ქარაქაშში ჩასაგებად, მაგრამ მტრის საჭურველზე „დავითური სიმძლავრით“ ცემას ხმალი დაეღვლარჭნა და ქარქაშშიც აღარ ჩაეგო იგი („ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღულარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი“).

ბრწყინვალედ იცოდა იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურა - სასულიეროც და საეროც, წარმართულიც, ქრისტიანულიც, მაჰმადიანურიც. ვითარცა ისლამის დიდებული მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმომავლობის ფესვებზე ეკამათებოდა დავით მეფე. ასევე დიდებულად იცნობდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს - ისტორიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას და პოეზიას. თვითონვე იყო მემატიანეც, სობრძნისმეტყველიც, ვარსკვლავთმრიცხველიც და პოეტიც. დავით მეფის მაღალ პოეტურ ნიჭიერებაზე მეტყველებს მისი საოცარი პოეტურ-ფილოსოფიური თხზულება **„გალობანი სინანულისანი“.**

დავით აღმაშენებლის ზნემაღალი კულტურული მოღვაწეობის ზენიშანი შეიქნა მისგან აგებული სავანე **გელათისა.**

მშენებლობა დაიწყო 1106 წელს, მაშინდელი დედაქალაქის, ქუთათისის მახლობლად, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“...

აღაშენა ერთდროულად - **ტაძარიც და აკადემიაც.**

მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის ხუროთმოძღვარიც.

უპირველესი ქვის ოსტატიც და ოფლად დაღვრილი ქვათამტვირთველიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმთავითვე ითხზვებოდა ლეგენდები მეფე-ტიტანის გასაოცარ შრომასა და ოფლის ღვრაზე, ღვთაებრივ-ძალ-ღონესა და შრომით განსპეტაკებულ სულზე. მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის ფუძეში რომ ორი უზარმაზარი (თითო არანაკლები ორ-ნახევარი ტონისა) ქვაა ჩატანებული, ის ქვები მდინარე წყალწითელადან ტაძრამდე დაკიდებულ აღმართზე თვითონ დავითმა ამოიტანა საკუთარი ზურგით... ეშმაკი უშლიდა ხელს დავითს გელათის მშენებლობაში, მაგრამ დავითმა ის ეშმაკი შეიპყრო, ჯოჯარად აქცია, ლაგამი ამოსდო, ზედ მოახტა და სამუდამოდ დაიურვაო... და სხვა მისთანანი.

მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა გელათურ ანსამბლოვანში შედიოდა კიდევ ერთი ნაგებობა. ნაშენები დავითისა, ვითარცა ჭეშმარიტი განსახიერება მეფის დიდი კაცთმოყვარეობისა. ეს იყო **ქ ს ე ნ ო ნ ი,** სამკურნალო-საავადმყოფო. აქ თვითონ მოდიოდა მეფე ავადმყოფთა და დავრდომილთა მოსანახულებლად. ყველას მოიკითხავდა, ყველას გადაჰკოცნიდა. ყველას მამასავით „აფუფუნებდა". გაამხნევებდა, საკუთარი ხელით გასინჯავდა ყველას ტანსაცმელს, საგებელ-საძინებელს, ჯამ-ჭურჭელს, საჭმელს და სასმელს.

გელათი დიდი კულტურის ცენტრი შეიქნა. დავითს აქ მოჰყავდა მაღალღირსეული მეცნიერნი, სწავლულნი, მოღვაწენი. აქ მოიყვანა სამოღვაწეოდ სახელოვანი ფილოსოფოსნი - **ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი - წ ო ნ ე ლ ი და ა რ ს ე ნ ი,** შემდგომში - **ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი.**

რამდენიმე წლის შემდგომ დავითმა არსენი კახეთს გაგზავნა. აქ, იყალთოში, არსენმა მეფის მფარველობით და მზრუნველობით აღაშენა ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი - **ი ყ ა ლ თ ო ს ა კ ა დ ე მ ი ა.**

ხოლო ქართლში შიო-მღვიმის სავანე გააძლიერა და მესამე დიდ კულტურულ ცენტრად აღამაღლა დავითმა.

ბევრს, ძალიან ბევრს ზრუნავდა დავითი საქართველოს გარეთ არსებულ სავანეებზე - საბერძნეთის, ბულგარეთის, სირიის, პალესტინისა და სინას მთის ქართულ ტაძრებსა და სამწერლობო კერებზე.

აშენებდა ახალ ტაძრებს, აღადგენდა ძველს, აგებდა ხიდებს, სავაჭრო და საფოსტო სახლებს. სალოცავებს უშენებდა ყოველი რელიგიის მიმდევრებს. საგანგებო სახლი აუგო ტფილისში მაჰმადიან პოეტებსა და მოაზროვნეებს. თვითონ მიდიოდა, ესწრებოდა და მონაწილეობდა მათ პოეტურ და ფილოსოფიურ მეჯლისებში. ესწრებოდა და ყველას ანცვიფრებდა თავისი მაღალგონივრული სიტყვებით სომეხ-ქართველ სასულიეროთა და საეროთა შეხვედრებზე.

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდობის აღზრდაზე. ჭაბუკ ქართველებს უცხოეთის კულტურულ ცენტრებში აგზავნიდა სასწავლებლად და „საწურთნელად".

ჟამიდან ჟამზე დავითი სამართლის განსაჩინებლად გავიდოდა გზაშარაზე, სოფელ და სოფელ. ხალხმაც იცოდა, გამოჩნდებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის“, იცოდა და ელოდა მის სამართლიან განჩინებას მდაბიოთა, ქვრივთა, ობოლთა და უპოვართა სამფარველოდ და სამწყალობლოდ. ადიოდნენ ბორცვებზე, ხეებზე, კლდეებზე და იქიდან „ჭვრეტდნენ“ გზას, რომელზეც უეჭველად გამოივლიდა „მათი მეფე“., მათთვის მოვიდოდა, მათ საპატრონოდ, მათ მჩაგვრელთა დასაჩაგრავად.

ცალკე ქისა ჰქონდა მეფეს, ყოველ დილით ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკთათვის დასარიგებლად გაიტანდა. თუკი იმ ქისას დაღამებამდე დააცარიელებდა, სასახლეში ბრუნდებოდა „მხიარული სულით და პირით“, ხოლო უკეთუ ნახევარზე მეტს ვერ გასცემდა, მწუხარედ იტყოდა: დღეს ვერ გავეცი ჩემი ცოდვებით დამძიმებულმაო, და გადარჩენილ ფულსაც მეორე დღისას დაამატებდა, ვინძლო მომდევნო დღეს როგორმე გაეცა წყალობად.

და ხალხმა მას უწოდა **„ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი“.**

მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება ასეთი სახელის მქონე სხვა დიდი თუ მცირე გვირგვინოსანი...

... ჭეშმარიტად დიდი იყო დავით აღმაშენებელი, მაგრამ არც მის ძარღვებში დაედინებოდა იქორი - სისხლი ღმერთისა.

ისიც იყო შვილი სიკვდილისა.

და დასდევდა სიკვდილი დავით აღმაშენებელს.

ჯერ, სამოც ბრძოლაში შეხვდა მას სიკვდილი პირდაპირ, თვალდათვალ, მაგრამ სამოცჯერვე უკუიქცა გმირის საოცარი სიმამაცით განმკრთალი და გაფითრებული.

მერე სიკვდილმა ბრძოლის ველს თავი მიანება და აღმაშენებელს სწორედ აღმშენებლობის დროს მოუნდომა „ანგარიშის გასწორება“; უკვე გუმბათს აღწეული გელათის ტაძრიდან გადმოაგდო და მიწას დაანარცხა. ხალხში ხმა გავარდა მაშინ: სამას ხუთი აქიმი დაადგა თავზე სიკვდილის ხელში მოქცეულ მეფეს, სამას ხუთივე უძლური აღმოჩნდა და სიკვდილიც მაშინვე იზეიმებდაო, მაგრამ გამოჩენილა სამას მეექვსე მკურნალი, გვარად **ა ვ შ ა ნ დ ა ძ ე,** რომელსაც თორმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩაუწვენია მეფე და ესრეთ განუგდია სიკვდილი მისი სხეულიდან.

აგრე არ უნდაო და ახლა შინაგამცემთა ხელით სცადა სიკვდილმა მოცელვა სწორუპოვარი კაციშვილისა, „და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ერთხელ, ქართლის რომელიღაც ციხისათვის ბრძოლის ჟამს, მეფე შუადღის სიცხეში პერანგისამარად გამოვიდა კარვიდან, გამოსვლისთანავე ციხის კოშკიდან ქეიბურმა იწივლა. შიგ მკერდში მოხვდა მეფეს ისარი, მაგრამ თითქოს რვალის მკერდმა ისხლიტა - ისარი ხატს მოხვედროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერდზე რომ ეკიდა მეფეს.

ისევ მოსცარვოდა ხელი სიკვდილს.

მერე სანადირო ველზე გაჰყვა სიკვდილი ნადირობის მოტრფიალე მეფეს.

მუხრანის სანახებს მიჰყვებოდა ამხედრებული მეფე, წიგნის კითხვას ჩაღრმავებული. ძაღლების ყეფამ გაჰყარა წიგნს. ტყიდან ირემი გამოიჭრა. დავითმა მშვილდ-ისარი გამართა და ცხენი მოსხლიტა. სწორ მინდორზე მუხანათად ჩაკვეთილი ხრამი ვერ შენიშნა გაფრენილმა მხედარმა, ცხენი იმ ხრამის კბოდეს შეასკდა, ხოლო უნაგირის ძარძაყიდან ასხლეტილი კაცი შორს დაენარცხა „და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად". სამი დღე სისხლს აღებინებდა მკერდიდან. მაგრამ მაინც ძლეული წავიდა სიკვდილი.

ბოლოს, მოსწყინდა სიკვდილს „მოკვდავ ღმერთთან" თამაში და მას მიეახლა და მიესხეულა სულ უბრალო, უთვალავჯერ ნატკეპნი გზით და ნაცადი წესით. იქ მიაკითხა, სადაც სიკვდილს მიელის ყოველი მარტივი კაცთაგანი - შინ, სახლსა შინა, ჩვეულებრივ სარეცელსა ზედა...

... 1125 წლის დამდეგს დავით მეფე ტფილისის სასახლეში იყო. საახალწლო დღეები იმ წლის საშინაო და საგარეო განაზრახთა განსჯას მოანდომა. რომელიღაც დიდი საომარი ლაშქრობისათვის ემზადებოდა მეფე იმ ზამთარს.

და სწორედ ამ „დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა" წარმართვაზე ფიქრობდა დიდი ხელმწიფე, როცა უეცრად ფიქრი შეიბრუნა და... დაებადა ფიქრი ანდერძზე!

ხოლო, ანდერძი და სიკვდილი მარადიულად ერთ საფიქრალში ექცევიან.

ანდერძზე ფიქრს მხოლოდ სიკვდილზე ფიქრი აღძრავს: მე რომ წავალ... მე რომ აღარ ვიქნები... მაშინ...

ოჯახის წევრებს გადასწვდა მისი გონების თვალი.

პირველი ქორწინება ჭაბუკობის ჟამს - სავსებით „ყმაწვილს" შერთეს ცოლი, სომეხი ქალი, ამისგან შეეძინა პირმშო უფლისწული დემეტრე, ახლა სავსებით დასრულებული ვაჟკაცი, ტანით და სულით ღირსი მემკვიდრე დიდი ხელმწიფისგან ეგზომ აღზევებული ქართული ტახტისა.

მეორე ქორწინება - დედოფალი გურანდუხტი, ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული. ამისგან, ჯერ ორი ასული, თამარი და კატაი, შირვანისა და ბიზანტიის დედოფლები, ხოლო 1118 წელს, გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, მეფე-დედოფალს შეეძინათ უფლისწული **ვ ა ხ ტ ა ნ გ ი**, ანუ შინაური სახელით - **ც ვ ა ტ ა**. ძალიან უყვარდა ეს უმრწემესი ვაჟი დავით მეფეს. და მიტომაც არ სურდა სამეფო ტახტის უწილადოდ დაეტოვებინა იგი.

ხოლო, ტახტის მემკვიდრეობის წესი პირმშოობის პრინციპს

ემყარებოდა: ტახტი ეკუთვნოდა მეფის უფროს ძეს, მერე ამ უკანასკნელის უფროს ძეს და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ახლა დავით აღმაშენებელს საწერანი მოემარჯვებინა და ტახტის მემკვიდრეობის ძველ წესს „ასწორებდა“: საქართველოს მეფე შეიქნება დემეტრე (ეს - „ძველი წესით“), ხოლო დემეტრეს ევალებოდა თავისი უმცროსი ძმა (ნახევარძმა) ცვატა-ვახტანგი სამეფოდ აღზარდოს და თავის შემდგომ „მეფე ჰყოს მამულსა ზედა“ (ეს - „ახალი წესით“).

ცვატა-ვახტანგის შემდეგ დემეტრემ მის დებზეც იზრუნოს და „პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყვარულთა“ - ბრძანებს მეფე...

ანდერძი მზად იყო.

და იმ დღესვე დავითმა საქართველოს ტახტზე დასვა დემეტრე, საკუთარი ხელით „დაადგა თავსა შუენიერსა გვირგვინი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეჰა, რაბამ სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანთა, და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით“...

ახლა - **„გ ა ლ ო ბ ა ნ ი ს ი ნ ა ნ უ ლ ი ს ა ნ ი“** დავით მეფისა - გასაოცარი აღსარება, ზენაარ სულის პოეზია და ფილოსოფია:

ბუნებისაგან მონიჭებული ძალები „სჯულთაებრ“ ვერ გამოვიყენეო და მრავალი ბოროტება „დავჰბადეო“ (ალბათ, ამას ეძახოდა „ბოროტებას“: მისი ერისა და ქვეყნის მტრებს ბოროტებისთვის „ბოროტებით“ რომ აზღვევინებდა და არა „სიკეთით“).

თვალხილულ „გემოვნებას“ და გრძნობებს კარები ფართოდ გავუღეო, ვნებების მონა შევიქენიო, „ხორცთა შჯულს“ დავემონეო (უეჭველად, საყვარელ ქალისადმი ტრფიალებაც „იმონებდა“ სხეულით სრულქმნილ ვაჟკაცს. ამავე „სისუსტეებს“ უჩიოდა ალექსანდრე მაკედონელი, როცა ამბობდა - ძილმა და ქალისადმი ლტოლვამ ყველაზე მეტად დამარწმუნა, მეც რომ ადამიანი ვყო ვილვარო);

ციურ ძალებს ვეთაყვანებოდიო, ვარსკვლავთა და ცთომილთა ვსწავლობდი და ვუკვირდებოდიო, საღვთო საქმეებში ვიჩქურებოდიო, ვეჭვობდიო (მეცნიერებაზე „სწუხდა“ ხელმწიფე);

საღვთო წიგნი სჯულნი დავთრგუნეო და მათ ნაცვლად „სჯული გონებისაი“ ვიწამეო (ისევ მეცნიერულ „ცოდვას“ მიანიშნებდა მეცნიერი გვირგვინოსანი);

„სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდიო დასაპყრობად“ (დიახაც, „ცოდვილი“ იყო მშობლიური ქვეყნის სამტრო ქვეყანათა დალაშქვრა-დაპყრობაში);

„მარტოი ვმკვიდრობდიო ქვეყანასა ზედა“ (დიახაც მარტო იყო, ერთადერთი, „მოკვდავ ღმერთთა“ შორის სწორუპოვარი დავით აღმაშენებელი);

„ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“ (რა სიმძიმილია ამ ძუნწ სიტყვებში; არკი გაგვიმხილა, რა „ხენეში“ სულთამძვრალმა წაჰკიდებოდა მის ხელმწიფურ სარეცელს: ორცოლიანობა? ან რა იყო, რა ნებითა და უნებობით პირობაქმნილნი მისი ორივე ქორწინება! ან იქნებ სხვა რამე „მძლავრობა“ მოეხდინოს ეფემერულად გრძნობას აყოლილ ვაჟკაცს მისი საქორწინო სარეცლის მიღმა?!)

ასე დაწერა და დაუტოვა შთამომავლობას დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისანი“; მსგავსად დავით წინასწარმეტყველისა, გასაოცარი, მომხიბლავი და შემაზრზენი, ავტორის სასტიკი სულიერი თვითგვემით...

ასე განარიგა დავითმა უკანასკნელი დღენი ამქვეყნიური წუთისოფლისა. და შევიდა სახლად, საიდანაც იგი უნდა შეერთებოდა სამყაროს, „რომლისა შუენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა“.

და სიკვდილიც შეჰყვა რკინის ფეხით „სახლსა სადავითოსა“. შეჰყვა, რადგან სწამდა: არც დავით მეფის ძარღვებში ჩქეფდა იქორი - ღმერთთა სისხლი.

და იდგა 1125 წელი, იანვარი, დღე შაბათი.

და საქართველოს მოუკვდა მისი მაცხოვარი - დავით აღმაშენებელი.

მარადიული ძილით იწვა მისი წუთისოფელი დაუძინარი მამა და პატრონი ღვიძლი ერისა, „მესიის მახვილი“, ქვეყნის გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი, მრავალმხრივი რეფორმატორი და უბრძენესი სჯულმდებელი, უბრწყინვალესი მხედართმთავარი და უმამაცესი მეომარი, „მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“, სამოცი ძლევამოსილი ბრძოლის კავალერი, გონებავრცელი პოლიტიკოსი და შორსმხედველი დიპლომატი, დიდსულოვანი შემწყნარებელი მოყვასთა ყოველთა-ყოველთა ერთა და ყოველთა სჯულთა, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“, კავკასიელ ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს დამაარსებელი, უგანათლებულესი მწიგნობარი, პოეტი და ფილოსოფოსი.

მფლობელი დედამიწის შუბლისა.

კაცი, რომელშიც ენთო ყველაზე დიდი ქართული სინათლე.

კაცი, რომელმაც ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო (მართლაც ძლიერი ყოფილა სიკვდილი, რომელმან შეძლო შემუსვრა დავით აღმაშენებლისა!)...

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა შობითგან 52 წლისა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი შერჩა მისგანვე სვეამაღლებულ ქართულ ჯავარდნეს - **„დ ა ვ ი თ ფ ე რ უ ლ ი“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სახელი დაებეჭდა მისგანვე აღზევებულ ქართულ სახელმწიფო დროშას „დავითიანი“ (ამიერიდან - „გორგასლიან-დავითიანი“).

ტფილისიდან გელათს წაასვენეს, მისგანვე აშენებულ სავანეს.

გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან, მონასტრისა და აკადემიის გზაბოძალზე გათხრილ სამარტვილეში ჩაასვენეს მისი ცხედარი.

უზარმაზარ, გოლიათური ცხედრის ტოლ ქვაზე ამოკვეთეს ეპიტაფია: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე, რამეთუ მთნავს ამას დავემკვიდრო მე“.

ხოლო ქართველმა ხალხმა სამარადჟამოდ გულის ფიცარზე დაიწერა არსენ იყალთოელისგან შეთხზული ეპიტაფია:

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

გლოვობდა სრულიად საქართველო: მას მოჰკვდომოდა დავით აღმაშენებელი.

საქართველოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო - უ-დავით-ოდ.

ზეობა დემეტრე პირველისა



დემეტრეს თავიდანვე მიიჩნევდნენ დავითის ღირსეულ მემკვიდრედ.

1125 წელსვე ირანელებმა დავით აღმაშენებლის სიკვდილი მათთვის ხელსაყრელ დროდ ჩათვალეს და დმანისსა და ხუნანს შემოესივნენ. დემეტრე მეფეც ფიცხლავ გაიჭრა ქართული ჯარით, მტერს ორივე ციხე დააგდებინა და დამარცხებულნი საქართველოს სამანებიდან გადარეკა.

მაგრამ დემეტრეს დათმობა მოუხდა ანისისათვის ბრძოლაში. გავიხსენოთ, რომ 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანისში მესხი აზნაურები ჩააყენა და სამმართველოდაც იგი ქართველ დიდებულებს ჩაბარა. დავითის სიკვდილის შემდეგ ისევ შემოვიდნენ მაჰმადიანნი ანისში და დემეტრე პირველი იძულებული გახდა ანისი მხოლოდ ყმადნაფიცობის პირობით დაენარჩუნებია და ქალაქის ხელისუფლად მაჰმადიანი ამირა ეცნო.

1130 წელს შეთქმულება გამჟღავნდა დემეტრეს დასამხობად და მისი ნახევარძმის - ვახტანგის (ცვატას) გასამეფებლად. რისხვით ატანილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეტრეს მამის ანდერძი დაავიწყდა და ძმას, „სამეფოდ აღზრდის“ ნაცვლად, თვალები დათხარა, ხოლო შეთქმულების მეთაურს თავი გააგდებინა.

1138 წელს დემეტრემ განძაში ილაშქრა, ქალაქი აიღო, მისი ალაყაფის კარები ბჭეთაგან ჩამოხსნა და გელათს ჩამოიტანა (იგი დღემდე ინახება გელათში).

1150 წლის მახლობლად ისევ მოეწყო შეთქმულება დემეტრეს დასამხობად. ამჟამად მისი უფროსი ვაჟი **დ ა ვ ი თ ი** მოქმედებდა მამის წინააღმდეგ. დავითი ასეთ სასტიკ გზას იმისთვის დასდგომოდა, რომ დემეტრეს უფროს ვაჟზე მეტად უმცროსი, **გ ი ო რ გ ი,** შეჰყვარებია და ტახტის მემკვიდრედაც გიორგის ამზადებდა. დავითს გადაუწყვეტია ტახტიდან ჩამოეგდო მამა, „მარჩეველი ძისა უმცროსისა“, და შეთქმულებაში ბევრი დიდებულიც ჩაუთრევია, დემეტრემ დროზე შეიტყო, შეთქმულება გამოააშკარავა, შვილს აპატია, ხოლო დანარჩენთაგან ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგსაც პატივი აჰყარა და სამშობლოდან გააძევა.

იმავე ხანებში დემეტრე მეფემ ოსეთის მეფეს **დ ა ვ ი თ ს** (გიორგი პირველისა და ალდეს შვილიშვილს) ცოლად შერთო თავისი ნახევარდა, **თ ა მ ა რ უ მ რ წ ე მ ე ს ი** (დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული), რომელმაც აღაშენა მონასტერი თიღვაში (ამ ქორწინებამ წარმოშვა **ა თ ო ნ ი,** პაპა დავით სოსლანისა).

1153 წელს კარნუ-ქალაქის (არზრუმის) ამირა **ს ა ლ დ უ ხ ი** ანისს შემოესია თურქთა უზარმაზარი მხედრობით. დემეტრეც სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესახვედრად. ქალაქთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველთა ძლევამოსილებით გათავდა. აუარება თურქი გაწყდა ან ტყვედ ჩავარდა. ქართველებმა ტყვედ წამოიყვანეს თვითონ სალდუხი. ერთხანს ტფილისის ციხეში ჰყავდა ჩამწყვდეული თურქთა ბატონი დემეტრე მეფეს, მერე დიდსულოვნად შეიწყნარა და გაათავისუფლა.

დავით უფლისწული კი არ ისვენებდა. იგი ავადმყოფური ეჭვიანობით განიცდიდა მამის „გამორჩეულ სიყვარულს“ უმცროსი ძისადმი და დაუოკებელი გზნებით ეტანებოდა სამეფო ინსიგნიებს.

და 1155 წელს მოულოდნელად დემეტრე მეფემ საქართველოს ტახტ-გვირგვინი დავითს მიუგდო, თვითონ სამეფო სამოსი განიძარცვა და ბერის ჩოხითა და სქემით შემოსილი სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა გარეჯის უდაბნოში.

ახლად გვირგვინ-ნაკურთხმა **დ ა ვ ი თ მ ე ხ უ თ ე მ** კი დიდხანს ვეღარც იმეფა და ვეღარც იცოცხლა. იგი გარდაიცვალა იმავე 1155 წელს, გამეფებიდან მეექვსე თვეს. დარჩა მცირეწლოვანი ძე - **დ ე- მ ე ტ რ ე, ანუ დ ე მ ნ ა.**

შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, ისევ მოუბრუნდა გული მეფობისკენ

დემეტრე მეფედყოფილს. ანაფორა გაიძრო, კვლავ სამეფო ტახტზე ავიდა და თანამოსაყდრე ხელმწიფედ დაისვა თავისი რჩეული შვილი გიორგი.

მაგრამ აღარც თვითონ უცოცხლია დიდხანს დემეტრე მეფეს. იგი გარდაიცვალა 1156 წელს. დარჩა ორი შვილი - **რ უ ს უ დ ა ნ** და **გ ი ო რ გ ი.**

დავით აღმაშენებლის უზარმაზარი მემკვიდრეობა სრულად ჩააბარა თავის შვილს, საქართველოს ახალ ხელმწიფეს, **გ ი ო რ გ ი მ ე - ს ა მ ე ს.**

დემეტრე იყო ნიჭიერი და განათლებული პოლიტიკოსი, ფლობდა ბერძნულ, სომხურ, არაბულ და ასურულ ენებს.

დემეტრესთვის მიუძღვნია დიდი ისტორიული პოემა **ი ო ა ნ ე ჭ ი მ ჭ ი მ ე ლ ს**, სახელოვან ფილოსოფოსსა და პოეტს.

დაკრძალეს გელათს.

დღემდე ცოცხლობს დემეტრე მეფის უბრწყინვალესი სიმღერა-საგალობელი, გაცრინებული ხელმწიფისა და პოეტის იდუმალი სულის ნაყოფი:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,
ნორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინებული.

ზეობა გიორგი მესამისა

საქართველოს ტახტზე კვლავ ძლიერი მბრძანებელი დაჯდა, გიორგი მესამე (1156-1184), ღირსეული ნაშიერი დავით აღმაშენებლისა, მამამის დემეტრეზე, დიახაც,უფრო აღმატებული ენერგიისა, გმირული სულის რაინდი, მტკიცე ნებიანი, შინა და გარე მტერთა მიმართ შეუპოვარი და დაუნდობელი, ბრძოლასა შიგან უმამაცესი მეომარი, შესანიშნავი მხედართმძღვანი, ნადირობის მოტრფიალე, უბადლო ჩუბინ-მოისარი.

სამხრეთით, სომხეთისა და რანის საზღვრების გასწვრივ, ისევ მძლავრობდნენ თურქული სასულტნოები და საამიროები. მათ შორის უძლიერესი იყო **ხ ლ ა თ ი ს** სასულტნო, ანუ **შ ა ჰ - ა რ მ ე ნ თ ა** სახელმწიფო. გიორგიმ გამეფების წელსვე **კ ა ღ ზ ე ვ ა ნ ი ს კ ე ნ** ილაშქრა, შაჰ-არმენი სასტიკად გაანადგურა და „წარმოტყუენა ყოველი ხევნები კლდოვანნი და ქალაქები აშორნისა“.

1161 წელს ანისის სავსებით შემოსაერთებლად და შემოსამტკიცებლად გაემართა გიორგი. მისვლისთანავე იერიში ბრძანა და სასტიკი ბრძოლა და „ძგერა ჰუნეთა“ მაჰმადიანთა მხედრობის განადგურებით გათავდა. გიორგიმ ანისში ციხოვნად ორი ათასი ქართველი ჩააყენა. ქალაქი სამმართველოდ თავის ამირსპასალარს, **ივანე ორბელს** ჩააბარა, ხოლო თანაშემწედ **სარგის მხარგრძელი** დაუნიშნა.

არ შეურიგდნენ ანისის დაკარგვას შაჰ-არმენის სულტანი, დიარბექირის და არზრუმის ამირები, და 80 000 მეომრით წამოემართნენ სარევანშო ლაშქრობად. გიორგიც სასწრაფოდ გაემართა მტერთან შესახვედრად, 9000 მეომრით.

ისევ გაიმართა ანისის კედლებთან უმძიმესი ბრძოლა. შუაკერძს თვითონ წარუძღვა გიორგი, მტრის შუაგულში შეიჭრა და საკუთარი ხელით დასცა მუსლიმთა მთავარი დროშა. აირივნენ და უწესრიგოდ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან მაჰმადიანნი. მზის ჩასვლამდე სდიეს ქართველებმა გაქცეულებს. დამარცხებულთაგან 7 000 მოისრა, 2 000 ტყვედ ჩავარდა, მათ შორის 160 მაღალი წოდების მეთაური. ამის გარდა, გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ მუსლიმური საომარი დროშები, საჭურველნი, მდიდარი აღალ-ფორანი.

სამი დღე დაჰყო გიორგიმ ანისში. ქალაქის მცხოვრებლები დააწყნარა და დააშოშმინა. 40 000 დრაჰკანი საჩუქრად დაურიგა ანისელებს. ტყვეობიდან გამოიხსნა და მშობლიურ კერას დაუბრუნა სამშობლოდან ფეხამოკვეთილი ყველა ანისელი, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

ანისიდან გიორგი არზრუმ-კარნუ-ქალაქისაკენ წარემართა. აქაც ქართველებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს და თვითონ არზრუმის ამირაც, **სალიკ-სალტუხი**, ტყვედ წამოიყვანეს. დამ დაიხსნა სალიკ-სალტუხი სამარცხვინო ტყვეობიდან - ქართველ მეფეს სთხოვა ძმის გათავისუფლება და რაინდმა მეფემაც პატივი სცა ქალის თხოვნას...

მომდევნო 1162 წელს გიორგი მესამემ ახალი დიდი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთისაკენ. ქართველებმა ამჯერად მაჰმადიანთაგან გაათავისუფლეს და შემოიმტკიცეს ძველი სომხური დედაქალაქი დვინი.

იმავე წლებში ქართველებს შირვანისკენაც მოუხდათ გალაშქრება, შირვანი ისევ საქართველოს სამანებში შემოდიოდა და მას გიორგი მეფის მამიდაშვილი (დავით აღმაშენებლის ასულის, თამარის ძე) **აღსართანი** განაგებდა. იმჟამად ხაზარები და ყივჩაყები შემოსეოდნენ დარუბანდსა და შაბურანს. აღსართანი შველას ითხოვდა. გაემართნენ ქართველები შირვანს 1167 წელს. ხელახლა აიღეს შაბურანი და დარუბანდი, დაამარცხეს და უკუაქციეს ხაზარ-ყივჩაყნი.

ქართველების ახალმა დიდმა გამარჯვებებმა შეარყია სრულიად

მუსლიმანური სამყარო. და შეიყარა უზარმაზარი კოალიციური მხედრობა ხვარასნის, ერაყის და ირანის მუსლიმთაგან. წამოემართნენ, სომხითს შემოესივნენ, ქალაქ გაგს მოადგნენ, აიღეს და ააოხრეს.

ისევ შემოიყარა გიორგი მეფემ ლაშქარი და გაემართა სომხეთისაკენ. როგორც კი ქართული მხედრობა იხილეს, მაშინვე მიატოვეს გაგი მუსლიმებმა და გადაიხვეწნენ.

კიდევ რამდენჯერმე, ზედიზედ დაამარცხა გიორგი მეფემ მაჰმადიანური მხედრობანი და, ბოლოს და ბოლოს, ამდენმა გამარჯვებებმა ქართველ ხელმწიფეს დაუმკვიდრა უპირველესი გვირგვინოსნის სახელი. მაჰმადიანი მბრძანებლები, „შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშრად ჰქონდეს“.

დიდი დავით აღმაშენებლის უბრწყინვალესი ნამუშაკევი, სრულიად კავკასიური სახელმწიფო, კვლავ პირველობდა აზია-ევროპის შესაყარში.

მაგრამ საგარეო სარბიელზე აღზევებული კაცის ხელმწიფობას საკუთარი ქვეყნის შიგნით გამოუჩნდა დამხობის მომასწავებელი საფრთხე.

გავიხსენოთ: გიორგის უფროს ძმას, დღემოკლე მეფეს, დავით მეხუთეს დარჩა ძე, დემეტრე, ანუ დემნა, იმჯერად უკვე 23-25 წლის ვაჟკაცი, „სახე-კეთილი და ყოველითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“. და მეფობა მოსურვებია დემნა ბატონიშვილს. და კაცმა რომ თქვას, ძველი, დავით აღმაშენებელზე ადრინდელი ტახტისმემკვიდრეობის წესით, კიდევაც ეკუთვნოდა ტახტი დავით მეხუთის პირმშოსა და ერთადერთ ძეს.

შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ამირსპასალარი ივანე ორბელი, რომლის ასულიც ცოლად ჰყავდა დემნა ბატონიშვილს. გიორგის დასამხობად და დემნას გასამეფებლად შეთქმულებას მიემხრნენ ყველა ორბელის გვარისანი, სამცხელნი, ჰერნი, კახნი, და კიდევ: ქართლის ერისთავი და ამირახორი **ლიპარიტ სუმბატისძე**, მეჯინებეთუხუცესი **ქავთარ ივანესძე, ანანია დვინელი, ივანე ვარდანისძე, გრიგოლ ასათისძე, შოთა ართავაჩოსძე, კახა ჯავახი, დიდი გამრეკელი, მემნაჯაყელი, გრიგოლ ანელი** და ძმები **სარგის** და **ვარამ მხარგრძელნი**, თავიანთი ვაჟებით (სარგისის ძენი **ზაქარია** და **ივანე**, ვარამის ძენი **ზაქარია** და **სარგისი**).

ასე დაიწყო 1177 წელს დემნა ბატონიშვილის ამბოხი. განდგომილნი 30 000 მეომრით გამაგრებულიყვნენ ქვემო ქართლში, ლორეში, გიორგი მეფეს კი, როცა ეს ამბავი შეიტყო, მცირე ამალის მეტი არავითარი ძალა არ აღმოაჩნდა. სასწრაფო წვევაზე პირველი მოიჯრა მეფესთან 500 მხედრით **ყუბასარ ნაყივჩაყარი** და მასვე ძლიერი

ჯარით მოჰყვა ახალგაზრდა **ჭ ი ა ბ ე რ ი.** მეფის ფიცხელმა საომარმა სამზადისმა დააბნია შეთქმულთა მეთაურები. ზოგიერთმა, სანამ გვიან არ იყო, განდგომილთა ბანაკი კიდევაც მიატოვა და სინანულის ცრემლების თხევით მეფეს ეახლა. ასე მოიქცა ჯერ დიდი გამრეკელი, შემდეგ - გრიგოლ ანელი და ყველა მხარგრძელი. მეფემ ყველა დიდსულოვნებით შეიწყალა და უხვადაც დააჯილდოვა. დანარჩენებს მიუხდა გიორგი, შეთქმულთა დიდი ნაწილი შეიპყრო და სასტიკად გაუსწორდა. თვითონ დემნა და მისი სიმამრი ივანე ორბელი ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. მეფე ალყად შემოერტყა ციხეს. ვეღარ გაუძლო მთავარმა გმირმა, დემნა ბატონიშვილმა და ღამით, სიმამრისა და სხვათაგან იდუმალ, თოკით ჩამოეშვა ციხის კედელზე, ბიძა-ხელმწიფეს მუხლებში ჩაუვარდა და, აქვითინებულმა, პატიება სთხოვა. მეორე დღეს ივანე ორბელიც გამოიყვანეს მეფის მეომრებმა. გიორგი მეფემ ივანე ორბელს ჯერ თვალები დათხარა, მერე თავი გააგდებინა. ასევე დანარჩენ განდგომილ ორბელთაგან ყველა სიკვდილით დასაჯა. ავად მოეპყრო გიორგი ძლეულ ძმისწულს. მისი ბრძანებით დემნას თვალები დათხარეს, დაასაჭურისეს და ციხეში ჩააგდეს. იგი ჭკუაზე შეცდა და მალე კიდევაც მიიცვალა.

გიორგიმ დასჯილ ორგულთა ადგილებზე ერთგული, თუმცა „უგვარო" ადამიანები დააწინაურა. მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ყუბასარ ნაყივჩაყარს მისცა, მსახურთუხუცესობა - **ა ფ რ ი დ ო ნ ს,** მეჭურჭლეთუხუცესობა - **ყ უ თ ლ უ - ა რ ს ლ ა ნ ს,** მეჯინიბეთუხუცესობა - **ჭ ი ა ბ ე რ ს.** იმჟამად სამღვდელოების თხოვნაც დააკმაყოფილა და ეკლესია გაათავისუფლა „ყოვლისა ბეგარისაგან"...

...ადრეც აწუხებდა, მაგრამ დემნა ბატონიშვილის შეთქმულების შემდეგ მაინც, გიორგი საბოლოოდ ჩააგდო საგონებელში ტახტის მემკვიდრეობაზე ფიქრმა. ცოლი მას ყმაწვილობაშივე შერთო მამამისმა დემეტრე მეფემ - ოვსთა მეფის, **ხ უ დ ა ნ ი ს** ასული, სახელად **ბ უ რ - დ უ ხ ა ნ,** გასაოცრად ლამაზი ქალი („მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა"). ძე არ გაუჩნდათ ტახტის მემკვიდრედ. 1166 წელს გაუჩნდათ ასული, და დაარქვეს **თ ა მ ა რ ი.** მას უკან კიდევ ასული, **რ უ ს უ დ ა ნ ი.**

და 1178 წელს გიორგი მეფემ თავის თანამოსაყდრე თანამეფედ და საქართველოს მომავალ ერთხელმწიფედ გამოაცხადა თამარი - „ნათელი და ბრწყინვალება თუალთა... და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა".

ნაჭარმაგევის სასახლეში საგანგებოდ შეყრილმა დარბაზის ერმა მუხლი მოიყარა და დაიფიცა ღვთაებრივი ასულის წინაშე.

მაშინ თამარი იყო 12 წლისა.

ამის შემდეგ კიდევ ექვსი წელიწადი იცოცხლა მეფე გიორგი მესამემ, ქვეყანას კვლავ მორჭმით განაგებდა, თამარს ხელმწიფობას აჩვევდა, საქართველოს მტრებს კვლავ შიშის ზარს სცემდა და მეგობრებს

ემეგობრებოდა. კვლავ „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხოსეელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მარშრიყით მაღრიბამდე“. . .

...1184 წლის 27 მარტს სამშაბათს, გარდაიცვალა მეფე გიორგი მესამე.

მომკვდარიყო ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“.

ზეობა თამარ მეფისა



თერძული კეთილი ვთერძოთ და თესლი სიმართლისა ვსთესოთ.

ძველი ქართული მანუსკრიპტი

ნათელი დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა.

გრიგოლ ხანძთელი

ქართველთა უზარმაზარი სამფლობელონი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მრავალი ხალხებით დასახლებული კავკასიელთა სახელმწიფო, ხელთ დარჩა 18 წლის ქალს - „მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერებითა და შუენიერებითა“ სავსებით სრულქმნილ სამეფო-სადედოფლო პრინცესას.

როგორც წესი, დასავლეთ-ქართველ სასულიერო და საერო მესვეურებს უნდა მოერთოთ მეფე ხელმწიფური ინსიგნიებით. და მიეახლნენ სამეფო ასულს - **ანტონ საღირისძე**, ქუთათელი ეპისკოპოსი და **კახაბერ კახაბერისძე**, ერისთავი რაჭა-თაკვერისა. ამათ აიყვანეს საქართველოს ტახტზე თამარი და დაადგეს თავზე სამეფო გვირგვინი. მერე სამეფო ხმალი მოიღეს და წინ დაუდეს - ვარდანისძეებმა, საღირისძეებმა და ამანელისძეებმა. და აიღო ხმალი იგი კახაბერ კახაბერისძემ და წელზე შეარტყა გვირგვინოსან ქალს, ვითარცა საქართველოს საომარ ძალთა მთავარსარდალს: „შეიბ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შუენიერებითა შენითა!“

მაშ, მეფობას იწყებდა **თამარ მეფე** (1184-1210) - „მზე იგი ეზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყმაწვილი ქალი-ხელმწიფე გამეფების წელსვე მანამდე უცნაური პოლიტიკური „მოძრაობის“ პირისპირ აღმოჩნდა. მეჭურჭლეთუხუცესმა (ფინანსთა განმგებელმა) **ყ უ თ ლ უ - ა რ ს ლ ა ნ მ ა** მეფის სასახლის გვერდით ცალკე „კარვის“ (დაწესებულების) დაარსება მოითხოვა, შიგ თავისი მომხრეები უნდა დაესვა და ყოველი სახელმწიფო-საკანონმდებლო საკითხი მხოლოდ ამ „კარავში“ განხილვისა და მიღების შემდგომ უნდა მისვლოდა მეფეს დასადასტურებლად და ხელის მოსაწერად.

ამგვარად, სრულიად უმაღლესი იმპერიუმი, რომელიც ქართველ მეფეებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე განუყოფლად ეჭირათ, ახლა შუაზედ უნდა გაყოფილიყო: უმაღლესი **ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო** ხელისუფლება „კარავს“ უნდა დაეჭირა, ხოლო მეფეს მარტო **ა ღ მ ა ს - რ უ ლ ე ბ ე ლ ი** ხელისუფლება დარჩენოდა.

ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს. სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო, რა იცოდნენ ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასეებმა“, რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რაღაცნაირი წინამორბედი უნდა გამხდარიყო გვიანევროპული „პარლამენტისა“, „გენერალური შტატებისა“, თუ „კონსტიტუციური მონარქიისა“.

არასოდეს არც ერთ მონარქს უბრძოლველად არ დაუთმია თავისი ერთპიროვნული, „აბსოლუტური იმპერიუმი“. თამარმაც პირველად სცადა ხელმწიფური სიმტკიცისა და ნებიანობის გამოჩენა. მისი ფიცხელი ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს.

მაგრამ ყუთლუ-არსლანი თურმე მარტო არ ყოფილა. მას ჰყოლია თავის „დასი“, ფიცით შეკრული, სწორედ ის დასი, რომელიც „იმ კარავში“ კანონმდებელ საკრებულოდ უნდა დამჯდარიყო. თურმე ჯარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო შემთხვევაში მახვილის კვეთებასაც არ დარიდებოდნენ.

და განდგომილებმა იარაღის ჟღრიალით მოითხოვეს ბელადის გათავისუფლება.

თამარის მომხრეებიც გაიწივნენ საომრად.

„სამოქალაქო ომის“ შმორიანი სუნი ჩამოწვა.

ხოლო, თამარს ფიქრადაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი ხელმწიფობა ძმათშორისი სისხლისღვრით დაიწყებოდა.

დიდი ხელმწიფური სიბრძნე, დახვეწილი ტაქტი და მომხიბლავი რომანტიკა გამოსჭვივის ყმაწვილი ქალი-ხელმწიფის გადაწყვეტილებაში. ქალმა-ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი, - სულ ერთია, მისივე მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი, - უზენაესი კრძალვით და პატივით ეპყრობოდნენ სწორედ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა კერპს, ქალის შეუვალ სიტყვას, ნიშ

წმინდა მანდილს.

და თამარმა საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყველაზე საპატიო დესპანები გაგზავნა - ორი მანდილოსანი, ორი „საპატიო დიოფალი“ - **ხუაშაქი ცოქალი,** ქართლის ერისთავთერისთავის რატის დედა, და **კრავაი ჯაყელი,** „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (ქართული არისტოკრატული გვარი იყო სამძივარი).

მანდილოსანმა მოციქულებმა დააცხრეს „დასელების“ ავი ყარყაში. მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არავის ბრალს დასდებდა, არც ვისმეს დასჯიდა. ხვაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჯანყეები“ თამართან მოიყვანეს. ქალთაგან მოყვანილებმა ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარადჟამო ერთგულება შეჰფიცეს. თავის მხრივ, თამარმა აღუთქვა, რომ „დარბაზის“ უფლებებს გააფართოებდა და დიდმნიშვნელოვან საკითხებს მასთან „თანადგომითა და ერთნებაობით“ გადაწყვეტდა.

1185 წელს თამარმა იქორწინა. სიძე გახლდათ რუსი უფლისწული - **იური,** ანუ გიორგი. სუზდალის ხელმწიფის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე.

საქართველოს სიძე ყოფილა „მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითადა მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“. მალე დადასტურდა, რომ „სახე-კეკლუც მოყმეს“ არც მხედრული სიმამაცე და სარდლური ნიჭი ჰკლებია. ქართველებმა მისი სარდლობით ზედიზედ წარმატებით დალაშქრეს კარის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკნი. ეს მოხდა 1186 წელს. ხოლო მომდევნო წელს, უფრო შორეულ ლაშქრობაში გაგზავნა ქართველი მხედრობა თამარმა თავისი მეუღლის სარდლობით. ამჯერად ქართველებმა განვლეს ირანი, შეიჭრნენ პართიაში, აიღეს იქაური ქალაქები, ნადავლი და ტყვეები წამოასხეს და ისე მობრუნდნენ „თამარს სუესრულსა და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე“.

მაგრამ მალე გამჟღავნდა ისიც, რომ ბრძოლის ველზე საქები ვაჟკაცი შინაოჯახურ ცხოვრებაში უაღრესად აუტანელი და შეუწყნარებელი აღმოჩნდა და თამარი იძულებული გახდა ქმარს გაჰყროდა. მისი ბრძანებით, გიორგი შავი ზღვის პირამდე მიაცილეს, „აურაცხელი ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლით“ ავსებულ ხომალდში ჩასვეს და კონსტანტინოპოლს გაუშვეს.

1189 წელს 23 წლის თამარმა მეორედ იქორწინა **დავით სოსლანზე.** იგი ოვსთა მეფის ჯადრონის ძე იყო და, თანაც, ბაგრატიონთა საგვარეულოს სისხლით თანაზიარი. გაიხსენე მკითხველო: მეფე გიორგი პირველს რომ „მეორე ცოლად“ ოვსთა მეფის ასული ჰყავდა - ალდე. სწორედ ალდესგან გიორგის დარჩა **დემეტრე,** რომელიც საქართველოს ტახტის ძიებას შეეწირა. დემეტრესგან დარჩა ძე მისი **დავითი,** რომელიც ბებიამ, ალდემ, ოვსთა მეფის კარზე მიიყვანა,

იქ გაზარდა და ცოლად მეფის ერთადერთი ასული შერთო. სიმამრის სიკვდილის შემდეგ დავითი ოვსეთის სამეფო ტახტზე დაჯდა. მის შემდგომ გამეფდა ძე მისი, სახელად ისევ **დ ა ვ ი თ ი**. სწორედ ამ დავით დავითის ძეს ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებლის უმცროსი ასული **თ ა მ ა რ მ რ წ ე მ ი**. ამ ქორწინებამ კი წარმოშვა **ა თ ო ნ ი**.

ხოლო ათონის შემდგომ ოვსეთის ტახტზე დაჯდა ძე მისი **ჯ ა დ - რ ო ნ**. და სწორედ ამ ჯადრონის, მეფე გიორგი პირველის მეექვსე შთამომავლის ვაჟი იყო **დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი**.

ისედაც, დავით სოსლანი თამარის მამიდას, **რ უ ს უ დ ა ნ ს** ჰყავდა ნაშვილები, რუსუდანის სახლში იყო აღზრდილი, ისე, ვითარცა თვითონ თამარიც დიდად იყო დავალებული მამიდის დედობრივი მზრუნველობისგან.

მომხიბლავი ვაჟკაცი იყო დავით სოსლანი, „ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა“, „ფერნაკუთად კარგი, ბეჭბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო“. ეს რაც შეეხება გარეგნობას და გვარიშვილობას. ხოლო, საომარ ხელოვნებაში იყო ნამდვილი „ჭაბუკი და ლომი მისათხრობელი... შემმართებელი, მოლაშქრე მკვირცხლი“, სწორუპოვარი მშვილდოსან-მოისარი, „რაინდობითა უსწორო“ ცხენოსანი, დაუღალავი მცურავი და მოასპარეზე. ბოლოს, „ზრდილობითა კეთილად წურთილი“, დიდად განსწავლული მწიგნობარი, მეცნიერი და მორალისტი ყოფილა ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე აღზრდილი უფლისწული.

გიორგი რუსმა, პირველმა ქმარყოფილმა, რამდენჯერმე სცადა საქართველოს ტახტისა და მისი სწორუპოვარი დედოფლის დაბრუნება, ბევრი ქართველი „სარგებლის მოწადინე“ ფეოდალიც მომხრედ აიყოლია, სისხლიც უხვად დაიღვარა, მაგრამ ვერაფერს გახდა, იგი ამ ბრძოლას გადაჰყვა...

...1193 წელს თამარს და დავითს, ტაბახმელას სასახლეში, შეეძინათ ვაჟი. თამარმა მას უწოდა **გ ი ო რ გ ი**, „სახელი ახოვნისა და მის მამისა თვისისა“. გასაოცარი სილამაზისთვის - რამეთუ „იშვა დახატული ბუნებისაგან“ - ახალშობილ უფლისწულს ზედნადებ სახელად უწოდეს **ლ ა შ ა** - „განმანათლებელი“, ანუ „ქვეყნის მანათობელი“.

ბარე ათი ლაშქრობა მოაწყვეს ქართველებმა იმ წელს „სხივოსანი“ უფლისწულის „ბედისა და სუეს“ ასამაღლებლად. აიღეს და დაარბიეს განდგომილი ქალაქები - ბარდავი, განძა და კარნუ-ქალაქი.

საპასუხოდ თურქებმა საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმთა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს, ათაბაგ **ა ბ უ ბ ა ქ ა რ ი ს** სარდლობით.

თამარმა სასწრაფოდ საომარი წვევა ბრძანა.

და აღლუმად დამდგარ ქართულ მხედრობას სიტყვით მიმართა

„შვიდმნათობიერმა“: „ძმანო ჩემნო, ვიცი კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს. მაშ, შეისწრაფედ ქუეყნად მათდა ძალითა ჯვარისათა მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმართლესითა!“ მერე მოიღო დროშა გორგასლიან-დავითიანი და გადასცა დავითს, მეუღლესა და მხედართმთავარს. გვერდით დაუყენა **ანტონ ჭყონდიდელი გლონისთავისძე.**

დალოცა და გაუშვა ჯარი ლაშქრად თამარმა, ხოლო თვითონ ფერხთ გაიხადა და შიშველი ფეხითვე მეტეხის ტაძარს მივიდა ლოცვად - ლაშქრისა, ხალხისა და ქვეყნისთვის.

ქართველები მიუახლოვდნენ შამქორს, სადაც ბანაკად იდგა თურქთა ურდო.

მაშ, **შამქორი,** 16 ივნისი 1195 წლისა, დღე პარასკევი.

დავით სოსლანს უკვე გაეწყო ჯარი საომრად.

მოკლე სიტყვითაც მიმართა მეომრებს. მოაგონა მათ „სიმხნე და მარჯუებულობა პაპათა და მამათა“, გმირობანი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და მათთა მოყმეთა.

სამ ნაწილად გაჰყო მხედრობა დავით სოსლანმა. ორი მოიერიშე რაზმი, მარჯვენა და მარცხენა, და ერთიც თადარიგი. თადარიგი ძმებს, ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ჩააბარა. მოიერიშე მარჯვენა რაზმს წაუძღვანა ანტონ გლონისთავისძე, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შესახედავათაცა ჭაბუკი“, რომელსაც ახლა ჯვარის ნაცვლად ხმალი ეპყრა ხელთ და პირდაპირ შამქორის მთავარ კარიბჭისკენ წარგზავნა იგი საიერიშოდ.

თვითონ დავითი მთავარი რაზმით მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან, მტრის ზურგიდან შემოსავლელად.

მარჯვენა ფრთიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავალზე, ზედ ხიდზე შემოეგება აბუბაქარის ლაშქარი. „შეიქნა ომი და კუეთებაჲ“, ისე, რომ ხიდისა და გზის სივიწროვისგან მხოლოდ მეწინავენი აწყდებოდნენ ერთიმეორეს. ქართველებმა, დიდი სისხლის ფასად, მდინარე და ხიდი უკან მოიტოვეს და ციხესიმაგრის კარიბჭეებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა ურიცხვი მხედრობა შეაგება თავაწყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენივთდა. მოპირდაპირენი გამხეცებულნი ასკდებოდნენ და აწყდებოდნენ ერთიმეორეს. მისჭირდათ ქართველებს. აგვიანდებოდა მარცხენა მხრიდან თვითონ სოსლანს: აქ ქართველებს გზა შეხვდათ უვალი, კლდოვან-ქარაფოვანი და ქვაღოჯიანი. მაშინ თადარიგი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა გამძაფრდა. კვლავ წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი. აბუბაქარს შეუწყვეტლივ მოჰყავდა ახალ-ახალი რაზმები სიკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა ვერ გაიმარჯვეს და ამაოდ „წახეთქნეს ნახევარი

ლაშქართა და რაზმთანი". უკვე სრულის ძალებით იბრძოდა აბუბაქარი. მას აღარ ეეჭვებოდა, რომ მალე ბრძოლა მისი ძლევამოსილებით გათავდებოდა. ამაყად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასგან „ღაზოდ წარმოგზავნილი" მუსლიმური დროშა. და უეცრად შამქორის ჩრდილო მხრიდან გრიგალივით მოიჭრა დავითი და მისი მხედრობა, რომელსაც წინ მოუძღოდა „დროშა იგი გორგასლიანი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა...

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და მხედრობის უეცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა მაჰმადიანთა ლაშქარს. ქართველები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როცა მათ მოსისხლეებს იგი დასასრულის პირს ეგონათ.

და მიეტევა დავითი „მსგავსად აქილევსისა". უცებ დაწინაურდა **შ ა ლ ვ ა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი,** მტრის შუაგულში მედროშეებს დაერია, ერთი ასჩეხა, დანარჩენები დაიფრინა და დაიხელთავა და გამოიტაცა ხალიფას დროშა. სავსებით გატყდნენ ალაჰის მხედრები. მთელის ძალებით მიესივნენ ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს".

ორად „განსქდა" მუსლიმთა ლაშქარი და ორი მხრისკენ გაიქცა, განძისკენ და გელაქუნისკენ. პირველი გაექცა ბრძოლას თვით ამირთამირა აბუბაქარი და „მიწევნულმან ხნარცვსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი".

მოგებული იყო დიდი ბრძოლა, რომელშიც გამორჩეულად ისახელეს თავი თვითონ დავით სოსლანმა, ანტონ გლონისთავისძემ და შალვა ახალციხელმა. ქართველებმა განძა და შამქორი ხელახლა დაისაკუთრეს და დიდძალი ნადავლით შემობრუნდნენ.

ტფილისში, შამქორის გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე, გამარჯვებულებმა გამოატარეს 12 000 ტყვე-მუსლიმი, 40 ავაზა, 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი, 15 000 აქლემი, ურიცხვი ლარი, ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი და მუსლიმთა საომარი დროშები. ხალიფას დროშა თამარს ფერხთა წინაშე დაუდო შალვა ახალციხელმა. ესე დროშა, ძვირფას მანიაკთან ერთად, ხახულის ტაძარს გაუგზავნა შესაწირავად თამარმა.

ხელახლა შემოიყარა ჯარები აბუბაქარმა, წამოემართა, მოულოდნელი დაცემით ხელთ იგდო განძა, შემდეგ - დვინი.

ორრიგად შეჰყარა თამარმა ჯარი, ერთი დავითს ჩააბარა და განძას გაგზავნა, მეორეს თვითონ უსარდლა და დვინისკენ გაემართა, სომხეთს.

ორივეგან იძლივნენ თურქნი.

ისევ მოექცნენ საქართველოს სამანებში განძა და დვინი.

მომდევნო 1203 წელს შაჰ-არმენთა სასულტნო დალაშქრეს ქართველებმა. ხელახლა წაართვეს თურქებს არჭეში, მანასკერტი, ატ-ტინი.

მაგრამ იმავე წელს ორჯერ მარცხიც იწვნიეს „უძლეველებმა". ხლათის სულტანმა და არზრუმის (კარნუ-ქალაქის) ამირამ დიდძალი მხედრობა გამოგზავნეს. ქართველებს მხარგრძელები სარდლობდნენ, ბიძაშვილები

- ზაქარია „უფროსი“ და ზაქარია „უმცროსი“. ქართველმა სარდლებმა წინდახედულება ვერ გამოიჩინეს, მტერს ცალ-ცალკე შეებნენ და მძიმედ დამარცხდნენ. ზაქარია „უმცროსიც“ ბრძოლაში დაიღუპა.

მომდევნო 1204 წელს ქართველები, ისევ დავით სოსლანის სარდლობით, სარევანშოდ წარემართნენ და ზედიზედ აიღეს ჯერ ხლათი, შემდეგ კარი. თამარიც ჩავიდა კარს, ტახტის მემკვიდრე ლაშაც თან წარიტანა. მეციხოვნეებმა მაშინვე მოართვეს ქალაქის კლიტენი. შევიდა 11 წლის ლაშა გიორგი და ჩაიბარა კარი და მისი ციხე-კოშკები.

თამარმა ახლადდაპყრობილი კარი და მისი მიმდგომი მხარე სამმართველოდ გადასცა **ივანე ახალციხელს**, შალვას ძმას.

ივანე ახალციხელმა თამარის ესოდენ პატივს ახალი გამარჯვებებით უპასუხა. იგი თავისი ლაშქრით კარის „ქუეყანასაც“ გასცდა და „წარუღო (წაართვა) თურქთა გარეშემონი ქვეყანანი, აიხუნა და მიითუალნა, და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე“. თამარმაც ახლად დაპყრობილი მიწები სამფლობელოდ მისსავე „დამპყრობელს“ მიუბოძა.

ერთი სიტყვით, ახალ, მეცამეტე საუკუნეშიც ქართველებმა საერთაშორისო ასპარეზზე მძლავრი ნაბიჯებით შემოსდგეს ფეხი...

...თამარ მეფე, წინარე ქართველ დიდხელმწიფეთა მსგავსად, ძველი პონტოურ-ქართული მიწების (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები) შემომტკიცებისთვისაც ზრუნავდა გაცხოველებით. პონტოს ქვეყანა იმჟამად ბიზანტიის სამფლობელოთა საზღვრებში შედიოდა. თამარს საბაბი უნდოდა, ლაზებითა და ჭანებით დასახლებული ქართული მიწები ბიზანტიის კეისრისათვის წაერთმია და საქართველოს სამეფო კარისათვის დაექვემდებარებინა. ასეთი საბაბიც გამოჩნდა.

1203 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის ქართულ სავანე-მონასტერთა მოღვაწენი. თამარმა დიდი ამბით მიიღო ისინი, „მრავალ დღე არა გაუშვნა“, ხოლო როცა გაუშვა, ყოველ მათგანს „მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად“. როცა ასე უხვად დასაჩუქრებული სამღვდელონი გავლით კონსტანტინოპოლს მივიდნენ, მოხდა სავსებით მოულოდნელი და გაუგონარი ამბავი: ისინი გაძარცვა... თვითონ კეისარმა, ბოროტმა და ვერცხლის მოყვარე **ალექსი მესამე ანგელოსმა**. ეს თვით კონსტანტინოპოლში არავის გაჰკვირვებია, რადგან კეისარი „ანგელოსი“, რომელსაც ძმისთვის თვალები დაეთხარა და იმპერატორობაც წაერთმია, მიცვალებულ კეისართა საფლავებსაც თხრიდა და ძარცვავდა.

ხოლო თამარი გააოცა და უზომოდ განარისხა ბიზანტიელი ხელმწიფის ესოდენ აშკარა ავაზაკობამ. მაშინვე „სხვა უფროსი“ ოქრო გაუგზავნა კეისრისაგან გაძარცვულ ბერებს და, რაც მთავარია, სასწრაფოდ იმიერ ქართველთაგან ჯარი შეჰყარა და პონტოსაკენ აფრინა.

სწორედ ამ ჯარმა ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა „ლაზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსინი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი“.

ქართველები ორას კილომეტრზე იყვნენ კონსტანტინოპოლიდან.

ალექსი მესამეს ქართველებისთვის აღარ ეცალა: ევროპიდან წამოსული ჯვაროსნები თვითონ კონსტანტინოპოლს მოსდგომოდნენ საიერიშოდ.

თამარმა კი ბიზანტიისაგან გათავისუფლებული „პონტოს ქვეყანა“ ცალკე ვასალურ, საქართველოს ყმადნაფიც სამეფოდ გამოაცხადა, ხოლო მის მმართველად დასვა **ალექსი კომნენოსი,** ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, საქართველოს მეფეთა ნათესავი (ალექსის მამა, ანდრონიკე, თამარის მამის გიორგი მესამის მამიდაშვილი იყო) და საქართველოში შემოხიზნული უფლისწული.

თამარის ბრძანებით, ალექსი ტფილისიდან გავიდა და ტრაპიზონს დაჯდა. თანამმართველად თამარმა ალექსის დაუნიშნა მისი ძმა **დავით კომნენოსი.**

სამართლიანად წერს აკადემიკოსი **კუნიკი**: „კომნენოსები ჯერ კიდევ ყრმობისას მოხვდნენ საქართველოში, სადაც მიიღეს კიდევაც აღზრდა. მათი დედა-ენა იყო ქართული. რაკი იზრდებოდნენ და აღზრდასაც მათი ნათესავის, თამარ მეფის კარზე ღებულობდნენ, ისინი ყოველთვის ქართული ცხოვრებისა და ქართული ცნებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“. სამი წლიდან ოც წლამდე საქართველოში იზრდებოდნენ. ბიზანტია აღარც ახსოვდათ და ბერძნულ ენასაც ისე „უცხო ენად“ სწავლობდნენ, როგორც ქართველ დიდებულთა შვილები. ასე რომ, ოცი წლის ასაკში ალექსი და დავით კომნენოსები უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები.

ასევე წერს გამოჩენილი ბიზანტინოლოგი **უსპენსკი**: „შავი ზღვისპირეთზე კომნენოსთა დამტკიცება არის საქმე თამარის ხელისუფლების... კომნენოსთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის მხოლოდ ეპიზოდი საქართველოს ბრძოლაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე პირველობისათვის, იგი არის გაგრძელება თამარის მამის პოლიტიკისა, რომლის ჯარები აღწევდნენ ერზრუმამდე და თვით ტრაპეზუნტამდე“. და კომნენოსები იყვნენ „იარაღნი თამარის პოლიტიკისა“. ისევ უსპენსკის მართებული აზრით, ტრაპიზონის იმპერიის ბუნება, უპირველს ყოვლისა, უნდა აიხსნას „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელინიზმს გაბატონებული ადგილი არ სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს პონტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლიტიკური მიმართულება, ისევე როგორც თავისებურებანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის

მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგრებენ თბილისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სულისკვეთება, რაც მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული".

„**ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ს ი მ პ ე რ ი ა ც**" ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი „პროტექტორატი" და ისეთივე „ყმადნაფიცი", როგორც შირვანი, დარუბანდი, ღუნძეთი, ოვსეთი, ქაშაგეთი და კარნუქალაქი...

...მაჰმადიანური სამყარო კი მაინც არ ურიგდებოდა ქართველთა აღზევებას და გამძლავრებას. განსაკუთრებით **რ უ მ ი ს**, ანუ **ი კ ო ნ ი ი ს** სულტანი **რ უ ქ ნ ად - დ ი ნ ი** ემზადებოდა გამალებით ქართველთა დასამხობად და დასაკნინებლად. 400 000 მხედარი შემოიყარა და თამარს ფრიად თავხედური წერილიც გამოუგზავნა - უომრად დანებებისა, ქრისტიანობაზე ხელის აღებისა და მაჰმადის მონად აღიარების ბრძანებით. თვითონ ელჩი რუქნ ად-დინისა მეფის წინაშე იმდენად ბრიყვულად მოიქცა, რომ იქვე მდგარმა ზაქარია მხარგრძელმა თავი ველარ შეიკავა და უზრდელი ელჩი, ხელის მძლავრი შემოკვრით, ცნობაწართმეული დასცა ძირს. მასუკან მოსულიერებულ თურქს ესეც უთხრეს: შენ რომ მოციქული არ ყოფილიყავ, ჯერ ენის ამოჭრა და მერე თავის გაგდებინება იქნებოდა შენი სამართალიო.

თამარმა სასწრაფოდ აწვია ჯარები. რუქნ ად-დინის ელჩი მაინც უხვად დაასაჩუქრა და მკაცრი წერილის თანხლებით მის მეუფესთან გააბრუნა.

ქართველთა ჯარებიც დაიძრნენ სამხრეთისაკენ.

კარგა ხანს თამარი ლაშქარს წინ მიუძღოდა, ქვეითად, ფეხშიშველი, ლოცვით და ლიტანიით. მერე დავით სოსლანს გადასცა სახელმწიფო დროშა, ჯარი დალოცა, სარდალი წაუმძღვარა და გაუშვა მტერთან შესახვედრად. თვითონ სამცხისაკენ შემობრუნდა. მოვიდა ოძრხეს და კვლავ დადგა ლოცვად. მასთან შემოიკრიბნენ სამღვდელონი და ბრძენი საერონი. მათ შორის **ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი**, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული". ...მთელი ღამე ლოცვად იდგა თამარი.

ხოლო დავით სოსლანი თავისი მხედრობით **ბ ა ს ი ა ნ ს** მივიდა, სადაც მას დახვდა უზარმაზარი ბანაკი რუქნ ად-დინისა და მისი თურქობისა.

დავითმა ფიცხლავ განაწყო ჯარი საომრად. მეწინავე ჯარს სარდლებად უჩინა ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია მხარგრძელი და თორელნი, ხოლო ძირითადი ძალები ორად გაჰყო: მარჯვნივ - აფხაზ-იმერნი, მარცხნივ - ქართლელნი, კახნი და ჰერნი.

პირველ დატაკებასვე შედრკნენ თურქნი და გასაქცევად აგორდნენ, მაგრამ რუქნ ად-დინმა მაინც შემოაბრუნა ურდო და გამძაფრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოუტია.

„და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელოდესმე ქმნილ-ყო მხნეთაგან ეგევითარი ომი“.

ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს, შენივთებულად, „მყოვარჟამ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს“.

მაინც არ იძვროდა ბრძოლის სასწორი.

შუადღის ზემხურვალი დააცხრა ბასიანის ველს.

„მაღალ მთასავით“ ცხენზე ამხედრებული და მაღალი საჩრდილობელის ქვეშ მდგარი რუქნ ად-დინი გახელებული უყიოდა თავისიანებს.

ცხენები დაეხოცათ ბრძოლაში ქართველ სარდალთა უმრავლესობას. ძალზე მისჭირდათ ქართველებს: „კნინღა სივლტოლად მოიდრიკნეს“. მაგრამ არ გატყდნენ უცხენოდ დარჩენილი სარდლები, ხოლო როცა მათმა მხედრებმა ქვეითად მებრძოლი სარდლების საოცარი სიმამაცე იხილეს, თვითონაც დაქვეითდნენ და კედლად შეკრულნი მიჰყვნენ მეთაურებს.

დროზე შენიშნა დავით სოსლანმა: ცხენოსანმა ლაშქარმა მოულოდნელად დაქვეითებული მეომრები არ დამიზიანოსო და სასწრაფოდ თავის მხედრობა ქვეითებს განარიდა და მაშინვე ღრმა რეიდით მტრის მარჯვენა კერძს შეუტია. იგივე უბრძანა ზაქარია მხარგრძელს, რომელმაც თავის მხედრობით თურქთა მარცხენა კერძისაკენ გაქუსლა.

პირველი მიეჭრა დავით სოსლანი, „ვითარცა აქილევი“. ზაქარიაც მისწვდა მარცხენა კერძს. მასვე ჟამს შალვა ახალციხელმაც მიატანა რუქნ ად-დინის „მაღალ საჩრდილობელს“ და სასულტნო დროშას. ხმალი უხეთქა ახალციხელმა მედროშეს. ორივ დაეცნენ - დროშა და მედროშე. იმ წამსვე „საჩრდილობელიც“ თავზე დაემხო სულტანს. მაინც გაასწრო, მისი „მთასავით ცხენის“ ჭენებით. გაიქცა და სირბილით მიჰყვა მისი ლაშქარიც. გამოედევნენ ქართველები. გარბოდნენ თურქნი, ერთმანეთს თელავდნენ, „ურთიერთას დასთრგუნვიდეს“. ქართველებმაც სდიეს დაღამებამდე. სდიეს, „ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“.

მეორე დღეს, სისხამ დილით, მოიხილეს ქართველებმა ბასიანის ველი. „ვითარ რიყე“ იყვნენ დარეცილნი მაჰმადის რაინდნი, მათი დალეწილი საჭურველნი, დაფხრეწილი დროშები.

დიდი გამარჯვების ამბავი აცნობეს თამარს, ოძრხეში მლოცველს. მალე ძლევამოსილი მხედრობაც ეახლა სათაყვანო დედოფალს.

ტფილისში, ბასიანის გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფში ქართველებმა გამოატარეს დიდძალი ნადავლი, თურქთა საომარი დროშები თამარის ფერხთა წინაშე დაჰყარეს, ძვირფასი ტყვეები გამოატარეს, მათ შორის - ერზინკის ამირა, შამის სულტანი, ბირიტის ამირთამირა და „სხუანი სულტანნი და ამირანი“, თამარმა ყველა გაათავისუფლა, გარდა ერთისა. ხოლო ის „გამორჩეული ერთი“ იყო ერზინკის ამირა, რომელიც თამარმა

გაცვალა ცხენის ნალში!..

ბასიანის ბრძოლის შემდეგ დიდ დროს აღარ გაუვლია და გარდაეცვალა დავით სოსლანი. დაკრძალეს გელათს, ქართველ მეფეთა საძვალეში.

გლოვად დაჯდა თამარი - „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა“.

მაგრამ გლოვა მისი უნდა დარჩენილიყო, ვითარცა პირადი საგლოველი, ხოლო სახელმწიფო კვლავ ხელმწიფურ საქმიანობას მოითხოვდა ხელმწიფისაგან.

და თამარმა მგლოვიარე წელსვე თანამოსაყდრე მეფედ დაისვა ძე თვისი, 12 წლის ლაშა გიორგი.

კიდევ რამდენჯერმე მოუხდათ ქართველებს მახვილის წარმართვა სამხრეთისაკენ, მაჰმადიანთა დაუსვენარი ბუდეებისკენ. მაგრამ ყველაზე მთავარი თამარის ბოლო დროის ლაშქრობათაგან მაინც იყო ლაშქრობა ირანს, ეს მოხდა 1210 წელს. თამარ მეფემ ირანის დასაპყრობად გაგზავნა ჯარები.

ქართველები ერთმანეთის მიყოლებით დაეუფლნენ მარანდს, თავრიზს, მიანას, ზენჯანს და ყაზვინს. მას უკან აიღეს ხორასანი და ბოლოს რომ-გური (ავღანეთი). აქედან ინდოეთი რამდენიმე დღის სავალზე იყო, მაგრამ ქართველებს იმდენი ნაშოვარი დაუგროვდათ, შემდგომ წინსვლა შეუძლებლად მიიჩნიეს და უკან გამობრუნდნენ, საქართველოსკენ...

...საქართველო თავისი ძლიერების მწვერვალზე იდგა.

ასეული წლების წინათ მიტოვებული ქარქაშები მოიკითხეს ქართულმა ხმლებმა.

მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლა.

ბრწყინავდნენ: ქართული კალამი, ყალამი, საჭრეთელი.

ზეობაში იდგა საქართველო - „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით).

კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა. მასში შედიოდნენ:

საკუთრივ საქართველო, მისი საერისთავოები: ჰერეთი, კახეთი, რუსთავი, ტფილისი (მეფის დომენი), ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, გაგი, თორი, ჯავახეთი, თმოგვი, სამცხე, ტაო, ჭანეთი, ქუთათისი (მეფის დომენი), არგვეთი, რაჭა-თაკვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი.

სომხეთი: ანისი, დვინი, ბიჯნისი, სივნიეთი, ხაჩინი (არწახი).

შირვანი: შირვანი, დარუბანდი.

ჩრდილოეთ კავკასია: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთ-ლეკეთი.

პროტექტორატები, ვასალები, მოხარკენი: ტრაპეზუნტის სამეფო, კარნუ-ქალაქის საამირო, ერზინკის საამირო,

შაჰარმენთა სასულტნო, ადარბადაგანი, განძის სასულტნო. . .

იჯდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე.

მის დროს სრულ იქმნა დიდი დავით აღმაშენებლის მიერ საფუძველდადებული ეთიკეტი საქართველოს სამეფო კარისა. და ჩვენც ასე უნდა წარმოვიდგინოთ დარბაზობის ცერემონიალი მაშინდელი საქართველოს სამეფო კარზე:

მეფეთამეფე, პორფირით მოსილი, გვირგვინით თავშემკობილი და სკიპტრით ხელში, ზის ოქროჭედილ ტახტზე.

დარბაზობის დაწყებისას პირველი შემოდის გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი. იგი მიდის ტახტის წინ დაგებულ ნოხის ნაპირამდე და თავს დაუკრავს მეფეს. მეფე წამოდგება, ნოხს მთლიანად გამოივლის, მოძღვართ-მოძღვარს ნოხის ნაპირთან შეეგებება, სამაგიერო სალამს მიუძღვნის და მის მხლებელს მიმართავს: „მოახსენე, ბრძანოსო". თუ მოძღვართა-მოძღვარს რაიმე სათხოვარი აქვს, მაშინვე შეუძლია მოახსენოს მეფეს.

მერე შემოდის კათალიკოსი. მის თაყვანს მეფე თაყვანითვე უპასუხებს, მაგრამ ისე, რომ ნოხის მხოლოდ მესამედს გადმოივლის.

ახლა მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ეახლება და ორჯერ ეთაყვანება. მეფე სამ ნაბიჯს გადმოდგამს, საპასუხო სალამს მიუძღვნის და გადაჰკოცნის.

შემდეგ ვაზირები მიჰყვებიან. ჯერ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი მიეახლებიან და ორჯერ ეთაყვანებიან. სამაგიეროდ მეფეც ორგზის უპასუხებს და სალამის მიცემას ხელების მაღლა აპყრობით დაასრულებს, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ორგზის თაყვანზე მეფე ასევე მისალმებითა და უფრო „უმდაბლე ხელის აპყრობით" პასუხობს.

ერთად შემოდის სამი ეპისკოპოსი - ქუთათელი, იშხნელი და სომხეთის მიტროპოლიტი. მეფე მათ თაყვანზე ორ-სამ ნაბიჯს გამოივლის და ისე უპასუხებს სალმით.

დანარჩენ სასულიერო და საერო პირებს, რიგით ეპისკოპოსებს, ვაზირებს და ერისთავებს მეფე სალმით ადგილიდან, ტახტიდანვე უპასუხებს.

მაღალი რანგის მოხელეთათვის და საპატიო სტუმრებისათვის დარბაზში ოქროჭედილი სელები და მაგიდებია ჩარიგებული. პირველ მაგიდას უზის საქართველოს კათალიკოსი, მეორე მაგიდას - გელათის მოძღვართ-მოძღვარი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი; მესამე მაგიდა განკუთვნილია საქართველოს პოლიტიკურ მფლობელობაში მყოფი ოთხი მეფისათვის - ტრაპიზონის მეფე, შირვანშაჰი, შაჰ-არმენი და ოვსთა მეფე; მეოთხე მაგიდასთან - ჭყონდიდელი, ქუთათელი, იშხნელი და სომხეთის მიტროპოლიტი, მეხუთე მაგიდასთან - ათაბაგი, ამირსპასალარი,

მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. შემდგომ მაგიდებს უსხედან რიგითი ეპისკოპოსნი, ვაზირნი, ერისთავნი.

ასეთი იყო თამარის კარი.

ხოლო თვითონ თამარი...

იყო ქალთაგან უმშვენიერესი. ტანად საშუალოოზე უმაღლეს, ნაკვთოვანი, „შუენებითა აფროდიტიანითა“. სახედ - საოცრად სახიერი. იერსახედ - მომხიბლავი არამიწიერ. „სატრფო საჭურეტი დაბნედამდის“. ღაწვნი - ღვთაებრივ სპეტაკნი, მქრქალი ვარდისფერით შეფერილნი. თვალები - გრემანნი, აღსავსე ხიბლით, სიბრძნითა და შუქმოსიერებით. „მორცხვი ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვის სინარნარე“.

სიბრძნით იყო სწორუპოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში, - „ღმრთივ-განბრძნობილი“, „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“. მოსაუბრე „სიტყვითა ოქრონექტარითა“. ზნეობით - უსპეტაკესი. საოცრად თავმდაბალი, გულმოწყალე და დიდსულოვანი შემწყნარებელი. მსაჯული დინჯი და „გაურისხებელი“. მის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა. ყოველივე მკაცრად აკრძალა სწორუპოვარმა ჰუმანისტმა ხელისუფალმა: სიკვდილით დასჯაც, ასოს მოკვეთაც, ჯოხებით ცემაც. მის სამეფოში „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ვერავინ იკადრებდა. ქარავანს ვერვინ ძარცვიდა... ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა; მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო“.

უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძალებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო ხალხისთვის, ქვრივთა, ობოლთა, უქონელთა, გლახაკთა და უპოვართათვის გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა“. ყოველ წელს სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ წილს ღარიბებსა და უქონელ-უპოვრებს ურიგებდა. უხვად აჯილდოებდა მეფე ლაშქრად გასულ ყმა-აგრიკოლებს, ამიტომაც მის დროს „აზნაურის ყმანიც მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“. გულის სიღრმემდე ეცოდებოდა თამარს უძლურნი და საპყარნი; თავის მახლობლად აბინავებდა მათ. საკუთარი ხელით საგებელ-საძინებელს გაუწყობდა, დააწვენდა, დალოცავდა და გაამხნევებდა. დიდი დავით აღმაშენებლის მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა, თავისი დროის „უგანათლებულესი სამყაროს“ სათავეში მდგარმა სკიპტროსანმა კარგად იცოდა, რომ ქრისტიანულ ტაძართან მრუმე სენაკებში, საღვთისმეტყველო წიგნთა გარდა, იკითხებოდა და იწერებოდა საფილოსოფოსო, სამეცნიერო, სახელოვნებო წიგნები. იგი იყო უდიდესი აღმშენებელი და მზრუნველი ტაძართა და სავანეთა. აღაშენა, აღადგინა, გადააკეთა, გადაარჩინა ან „რომელიმე დარღვეულნი აღაშენა“ ეკლესიები, ლავრები და სავანეები - პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კურუხეთში და კონსტანტინოპოლში. აღაშენა,

მორთო, მოკაზმა და აურაცხელი ოქრო-ვერცხლითა და საბოძვარით აავსო ისინი, მათი ქრისტიანი მოწესენი, მეცნიერნი-მწიგნობარნი და უთვალვი ქრისტეს გლახაკნი.

ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა თამარი. იცოდა „წყნარმა და ნარნარმა, ცნობიერმა და გონიერმა“ ადამიანური უქმობისგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმოდა და არც თვისთა ყმათა აუქმებდა“. შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სრა-სასახლენი, ციხე-სიმაგრენი, გზები, ხიდები, ფუნდუკები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები, ჯებირები, აქვედუკები. გაჩნდა უამრავი „თამარის სასახლე“. „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის წყარო“, „თამარის ეკლესია“, „თამარის სავანე“, „თამარის ხატი“, „თამარის ყელსაბამი“, „თამარის სარტყელი“, „თამარის ქოში“ ... რად ღირს თუნდაც თამარისეული გეგუთი, ბეთანია, ყინწვისი და ვარძია - ქალაქი კლდეში, საოცარი ნაშობი ადამიანის გონებისა და ხელისა...

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი: მშვილდოსანმახვილოსნობა, ნადირობა, ჯირითობა, მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ სადიაცონი: მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა, ქსოვა და ბეჭვა, ჭრა და კერვა, ქარგვა და კემსვა მანეულებად.

დავით სოსლანს და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოქარგული ჯუბები ეცვათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელითვე აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს.

მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყანაზე „ბედნიერი“ მათხოვრები და მაწანწალები - ბედნიერნი, რამეთე ემოსათ ნახელავნი თამარ „შვიდმნათობიერისა“...

„სუემან თამარისამან“ სძლია ყოველგვარ ადამიანურ განსაცდელს.

მაგრამ „წარმდინარე ესე საწუთო და ქვე დამზიდავი“ ბოლოს მაინც თავისას მოითხოვდა. ასე უნდა ყოფილიყო, ვინათგან თამარიც სიკვდილის შვილი იყო და არც მის ძარღვებში დაედინებოდა იქორი - სისხლი ღმერთთა.

1210 წლის შემოდგომაზე თამარი ნაჭარმაგევს იდგა. სათათბიროდ მოეწვია დარბაზისერნი, „ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი“.

თათბირზე არავის შეუმჩნევია, რომ მეფეთა მეფე დილიდანვე თავს ცუდად გრძნობდა.

ჩვეულებრივ მშვიდად, ღრმაგონებრივად, „იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი“, სადარბაზო ბჭობის დასრულებაც მოასწრო და მერე კი გაუსწორა თვალი მოულოდნელად აჩენილ ტკივილს.

რა იყო ეს?

პირველად მაშინ უნდა მიმხვდარიყო თამარი, რომ იგი მაინც ქალი იყო და „ქალური უმწეობანი“, ბოლოს და ბოლოს, დასჯიდნენ ჯიდეც „საქმეთა სამამაცოთა“ შებმისა და დაძლევისათვის.

„ზრუნვანი სჭამენ გულს“ - ამბობდნენ ძველი ბერძნები. ხოლო, რამდენი ასეთი „გულის შემჭმელი“ საზრუნავი და საფიქრალი უნდა ჰქონოდა ქალს, ჯერ ვითარცა პატრონს ფეოდალური ვნებათ-ჭიდილით აღსავსე ქვეყნისას, რომლის მოვლაც ვაჟკაც-ხელმწიფეთა შორის სწორუპოვარ დავით აღმაშენებელსაც მისჭირვებოდა. მერე, ვითარცა ქალს, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი, პირადი „ქალური სამყარო“, და აქაც რამდენ-ჯერ „შესჭამა“ მისი გული იდუმალ დათხეულმა და შინაგან ჩაქცეულმა ცრემლმა, „ღამე-ყოველ მღვიძარებამ“ და „გურდემლის მოთმინებით“ ნაფიქრმა სადარდებელმა.

მერე, ნეტარძი, ლაშქრად გასული მხედრობის, ქართველი ხალხის, ქართული დროშებისა და ჯავარდნების სვებედნიერი, ძლევამოსილი, შეურცხვენელი ტირებისათვის რამდენი დღე-ღამე უსწორებია ამ საოცარ ქალს, სხეულის განმარღვეველ ბნელსა და ნესტით გატენილ სენაკებში ლოცვად დავარდნილს, რამდენი ღამე თეთრად უცვეთია შიშველ მუხლებზე დაცემულს, ცივი ქვის იატაკზე შილიფად განრთხმულს, უძილარს, მარხულს, ცრემლდათხეულს. რამდენი გრძელი, მტვრიან-ტალახიანი, ეკალ-ბარდიანი, ქვა-ღოჯიანი და ღირღოლოვანი გზა გადა-ულახავს საომრად ამხედრებული ქართული ლაშქრის წინ ფეხშიშვლად მიმავალს. ანდა, თვითონ რამდენჯერ ამხედრებული წასძღოლია უმძიმეს ლაშქრობას, ვითარცა ვაჟკაცი მოლაშქრე და მხედართმთავარი...

ბოლოს თავისი უნდა გაეტანა ვაჟკაცობასთან შებმულ „დედობრივ უძლურებას“, და გაიტანა კიდეც.

თვითონვე ბრძანა მწარე ღიმილით: „დედობრივმან უძლურებამ განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავსიდვა შეუმთხუევლად მიშუება აგებულებისა“.

მაგრამ ეს ბრძანა გვიან, ვიდრე სენი „დღითი-დღე დამძიმდებოდა მისზედ“, მანამდე არ ამხელდა საშინელ ტკივილებს, „დიდხანს ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს“.

ნაჭარმაგევიდან ტფილისს გადაიყვანეს ტახტრევანით. კვლავ მდუმარედ ბოჭავდა მისი მძლავრი, განურღვეველი სული გზაზედ აშლილ სასტიკ „ტკივნეულობას“ სხეულისას.

ქალაქიდან დასოდ („ხშირ ტყედ“) გაიყვანეს, იქნებ ტყემაღნარის სიმშვიდემ, სიმშვენიერემ და ჰაერ-სიწმინდემ მისცეს შვება გვირგვინოსანსო.

მაგრამ კვლავ უფრო „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო“.

ისევ ტფილისს მოაბრუნეს, „აგარათა ციხესა“.

ნაადრევად დაზამთრდა.

„და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა ხელოვნებისაჴ“.

სიკვდილის საუფლოში შედიოდა „სამგზის სანატრელი“ თამარი.

ამაოდ ათევდა ღამეს საქართველო. ამაოდ „იხილვებოდეს ცრემლთა დინებანი მდიდართა და გლახაკთანი სწორებით“. ამაო იყო ვედრება ღმერთისადმი და ღმერთისმიღმიერისადმი: ოღონდ გადარჩეს თამარი და სანაცვლოდ „ჩვენ ყოველნი მოგუსრენ!“

და იწვია დარბაზის ერნი მომაკვდავმა ხელმწიფემ.

და მიმართა სიტყვით: „ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა... თქვენ ყოველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ ჩემთანა მარადჟამს მქონდა სიყვარული თქვენი, და ვიდრემდის მე ვიყავ თქუენ ზედა მეფედ, არცა რომელიმე თქუენთაგანისათვის დამიკლია რაიმე პატივ-არზანგი შესაფერისად თქვენივე სათნოებისა, აწ მეცა მივდივარ მამათა ჩვენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა... და გევედრებით ყოველთა, რათა მარადის იყვნეთ კეთილსა შინა და კეთილისვე მახსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებთ, რომელნი მომცნა შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან, ეგენი მოიხვენით ჩემ წილ, და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“.

კათალიკოსს ანიშნა და იმანაც წამსვე მოიღო მაცხოვრის ხატი და ჯვარიცხოველი.

საქართველო დალოცა თამარმა.

მშვიდობა უსურვა ყველას, მისი სიკვდილის დამსწრეთ.

და აღმოუტევა სიტყვა უკანასკნელი: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, საქართველოს, პატიოსანთა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომეც, და მერმე სულსა ჩემსაჴ“.

და ამ სიტყვებით მოუკვდა თამარი საქართველოს.

„სამგზის სანატრელი“.

„შვიდმნათობიერი“.

„დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაჴ“.

„მეფეთა მეფე და მზეთაცა მზე“.

მფლობელი დედამიწის შუბლისა.

ერთმპყრობელი მეფობით გამეფდა 18 წლისა, იმეფა 25 წელიწადი, აღესრულა 43 წლისა.

„დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“.

თალხი ჩაიცვა კავკასიელთა სახელმწიფომ.

ტფილისიდან მცხეთამდე ცრემლთა თხევით აკვლია თოვლი „წვრილმა ერმაჴ“.

სვეტიცხოველში დაასვენეს მისი ცხედარი.

იანვრის მიწურულს, როცა თოვლი მცირედად გაწყდა, მცხეთიდან გელათს გადაასვენეს და იქ დაკრძალეს ქართველ გვირგვინოსანთა სამარტვილეში...

წარუშლელი კვალი დატოვა სამარადისოდ თამარის სახემ და სახელმა თაობათა ხსოვნაში.

კაცი სახლს აშენებდა, ზედ „აკროსტიხორად თამარის შესხმათა“ აწერდა.

სასიძო საქორწინო ბეჭდებზე თამარის სახელს აკვეთინებდა.

მჭედელი მისგან ნაჭედზე თამარის სახელს აჭედებდა.

სადმე უდაბნოში, სანთლის მქრქალი სინათლით განათებულ სენაკში დაჩოქილ ბერს, ექსტაზში შესულს, ღვთისმშობლის ხატში თამარის ღვთაებრივი სახე ელანდებოდა.

ყველგან მთასა თუ ბარში, „თამარის ქებასა მელექსეობდიან“.

ბევრს იმის დაჯერებაც არ უნდოდა, თამარი ჩვეულებრივი ადამიანივით მიებარებინოთ მიწისთვის: თამარი გელათს დაკრძალესო, მაგრამ არ უნდა იყოს ეგ მართალი, ცხრა კუბო გამოასვენესო მაშინ სასახლიდან, სულ ოქროთი და თვალმარგალიტით მოჭედილნი, და არავინ იცოდა რომელში ესვენა თამარი: საქართველოს ცხრა მხარეს წაასვენესო და ცხრა ისეთ ადგილს დამარხესო, ძეხორციელს არავის ეპოვნაო მისი ღვთაებრივი ცხედარი... ცხრა კი არა, თორმეტი კუბო იყოო... არც თორმეტი ყოფილა, უფრო შვიდი იქნებოდა, შვიდმნათობიერისთვის...

თამარი დაძინების წინ გახდილ ტანსაცმელს სარკმელში შემოჭრილ მზის სხივზე ჰკიდებდაო...

თამარმა შუქურ-ვარსკვლავი დაიჭირა და ყუთში ჩაამწყვდიაო...

სადღაც შორს, „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმასა მუსიკელობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი ქვეყანა სავსე იყო მისმიერითა ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაც ოდენ სახელი მისი ასმიოდეს“.

მერე ბიზანტიაში დიდი პოემა დაიწერა თამარ (დინარ) დედოფალზე. მრავალ ენაზე ითარგმნა იგი, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. რუსეთშიაც ფართოდ გავრცელდა თამარის სახელზე შეთხზული აპოლოგიანი. რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე თამარ ქართველთა დედოფლის გმირული სახელით აღაფრთოვანებდა საომრად აღკაზმულ რუსულ დრუჟინებს. თამარი და მისი ქვეყანა ცოცხლდებოდა კეთილ რუსულ ზღაპარში, თქმულებაში, მატიანეში.

შორეულ ინდოეთში გატაცებით, მოწიწებით და აღტაცებით იხსენიებდნენ საკვირველი სიმშვენიერითა და სიბრძნით შემკობილი ქართველი ქალისა და ხელმწიფის სახელს...

...გაშლილი ქართული დროშით, ამაყი მზერით მიაბიჯებდნენ ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლოცველები იერუსალიმის ქუჩებში.

ქართული ლავრისკენ მიეშურებოდნენ. თამარის პარაკლისზე მიიჩქაროდნენ.

...ილეწებოდნენ საუკუნენი. ხოლო სახელი თამარისა ახალ-ახალი სიცოცხლით ცოცხლდებოდა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი უმშვენიერეს წოდებად დაებეჭდა ქართულ სახელმწიფო დროშას - **თ ა მ ა რ ი ა ნ ი** (ამიერიდან - „გორგასლიან- დავითიან-თამარიანი“).

ხოლო, თვითონ საქართველო ახალ ცხოვრებას შესდგომოდა - **უ-თამარ-ოდ.**

კულტურის კატალოგი

მეთორმეტე საუკუნე საქართველოსთვის იგივე იყო, რაც ქრისტეს წინარე მეხუთე საუკუნე საბერძნეთისთვის - ეპოქა **კ ლ ა ს ი კ უ რ ი** - ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი აყვავების დრო-ჟამი.

მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდან თამარ მეფის აღსასრულამდე 110 წლის მანძილზე, ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 128 ბრძოლა; აქედან - მოიგეს 124, წააგეს 4.

ქართული ხმლის ძლევამოსილების გასწვრივ, დიდი აღმატებით ვითარდებოდა ქართული კულტურა. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით აწ მოხსენიებულ ფილოსოფოსებს, იოანე პეტრიწონელსა და არსენ იყალთოელს. იოანე ჯერ ბიზანტიაში მოღვაწეობდა - პეტრიწონის ქართულ სავანეში და კონსტანტინოპოლში. იმპერიის სატახტოში იგი თავგამოდებით იბრძოდა მეცნიერული აზრისა და კვლევა-ძიების სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მის თარგმანებში, კომენტარებსა და ორიგინალურ ფილოსოფიურ გააზრებებში ღრმა ცოდნა გამოსჭვივის სამყაროს მატერიალისტური შემეცნებისა (თვითონვე ამბობდა: ხელს მიშლიდნენ, თორემ ყველა იხილავდა, როგორ შემეძლო „მეარისტოტელურაო“). ასევე დიდი ამაგი დასდო ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას არსენ იყალთოელის თარგმანებმა, კომენტარებმა და ორიგინალურმა დებულებებმა.

ამავე საუკუნეში აყვავდა ქართული საისტორიო მწერლობა. ბრწყინვალე შრომა დავვიტოვა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა, ასევე - თამარ მეფის სამმა ისტორიკოსმა. ყველა თხზულება დაწერილია

მაღალი სამწერლობო ხელოვნებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მართებული რკვევით, ფართო განათლებითა და ერუდიციით.

ქართველი მეცნიერები, მოაზროვნენი და მწერლები დედანში ეცნობოდნენ, სწავლობდნენ, იკვლევდნენ ბერძნულ, ბიზანტიურ, აღმოსავლურ-აზიურ, ქრისტიანულ და მაჰმადიანურ კულტურულ მემკვიდრეობათა შედევრებს.

ქართველი ხალხი უძველესი დროიდან ფლობდა უმშვენიერეს, მრავალფეროვან ხალხურ პოეზიას, მრავალხმოვან ხალხურ მუსიკას, მაღალხელოვან ხალხურ სახიობას, მეთორმეტე ასწლეულის საქართველოში შეიქმნა საკომპოზიციო მუსიკალური შედევრებიც.

მეთორმეტე საუკუნის საქართველოში განსაკუთრებით აყვავდა საერო ლიტერატურა. უმდიდრესი ქართული ლექსიკითა და პოეტური სახეებით ითარგმნა სპარსული სასიყვარულო რომანი - „ვისრამიანი". ორიგინალური სახოტბო პოეზიის შედევრები შექმნეს **იოანე შავთელმა და გრიგოლ ჩახრუხაძემ.**

მარტო **შოთა რუსთაველის** „ვეფხისტყაოსნის" დასახელებაც კმარა მეთორმეტე საუკუნის ქართული სულიერი კულტურის სიმაღლეთა წარმოსადგენად. განუზომელია ამ ჭეშმარიტად გენიალური ნაწარმოების სიღრმე და სივრცე - მხატვრული სახეებით, ბრძნული აფორიზმებით, საოცარი მეტაფორებით, ლექსიკის სიმდიდრით, ზოგადკაცობრიული იდეებით, უკეთილშობილესი ჰუმანიზმით, პოეტური ტექნიკის სწორუპოვარი სინატიფითა და მრავალსახოვნებით. შოთას პოემა არის ღვთაებრივი საგალობელი უსპეტაკესი სიყვარულისა, რაინდული თავგანწირვისა, კაცთაშორისი ძმობისა, „ინტერნაციონალური" თანამეგობრობისა და თანადგომისა. იგი არის ყოვლისმომცველი სიმფონია ზენაარი ხელოვნებისა, სიბრძნისა, ზნეობისა, ადამიანისა და გარეგნულების განუყრელი მთლიანობისა.

მეთორმეტე საუკუნეში აღმასვლას განაგრძობდა ქართული სახვითი ხელოვნება - არქიტექტურა, ფერწერა, ფრესკა, მოზაიკა, ჭედურობა, დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი მაღალმხატვრული ჭედურობისა: ჯრუჭის ოთხთავი, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებები, ხახულისა და ანჩის ხატები - ნახელავნი მეთორმეტე საუკუნის ბრწყინვალე ქართველი ოქრომჭედლებისა, **ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა.** ფრესკული მხატვრობის შედევრებად საკმარისია დავასახელოთ მოხატულობანი გელათის, ყინწვისისა და უბისას კედლებისა, ხოლო, საერთოდ, ხუროთმოძღვრების ძეგლებად ბრწყინავდნენ: იკორთა, ქვათახევი, იყალთო, ვარძია, გელათი, გეგუთი, ბერთუბანი, ყინწვისი, ბეთანია, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, უბისა. მეთორმეტე საუკუნის ძეგლები გვიჩვენებენ ორნამენტულ-ჩუქურთმოვანი ხელოვნების განსაკუთრებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმდიდრეს, სიხშირესა და სინატიფეს. (აკად. ნ. კონდაკოვი ამტკიცებს, რომ ორნამენტულ-დეკორატიული ხელოვნების წყალობით ქართველმა ხუროთმოძღვრება ევროპის არქიტექტურის მოწინავე რიგებში დგასო).

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა ქართული კულტურის ძეგლები - განსაკუთრებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" - გამოკვეთილად ამჟღავნებენ იმ ძირითად კულტურულ მიმართულებებს, რომლებიც ორასი-სამასი წლის შემდგომ საფუძვლად დაედო ევროპის „რენესანსს".

დაიხურა მეთორმეტე საუკუნე - კლასიკური ხანა საქართველოს ისტორიისა.

მეცამეტე საუკუნემ განახვნა კარნი ავი ჟღრიალით.

ზეობა გიორგი ლაშასი



იგი შვილია მიწისა, იგი მეფეა მიწისა, იგი მონაა მიწისა.

ეპიგრამა ადამიანთვის

თამარის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ძე მისი გიორგი მეოთხე ლაშა (1210-1222), რომელმაც ღირსეულად დაიცვა დიდი წინაპრების ვრცელი მემკვიდრეობა - საქართველოს „იმპერია", „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის".

უმშვენიერესი კაცი იყო ახალი მეფე, სახედ საოცრად სახიერი და მომხიბლავი, ტანად კენარი, ახოვანი, ძალ-ღონითა და ლაზათით სავსე. იყო უბადლო მოისარი და მახვილოსანი, „ცხენოსანი გულოვანი", მოჯირითე და მოასპარეზე, ბრძოლის ველზე რაინდი უშიშარი და თავდავიწყებით შემმართებელი. უსაზღვრო გულკეთილობა და გულუხვობა დაჰყვა დედისგან. მისმა გულმა არ იცოდა, რა არის შური. იყო მიუკერძოებელი „ბჭე და მოსამართლე". „მშვიდი და განურისხებელი ბუნებით". არასოდეს „შვიდთა სამეფოთა" მეფეთამეფეს თავის სიცოცხლეში ერთხელაც მათრახი არავისთვის მოუქნევია. მაგრამ მშობელთაგან „უზომოდ დაყოლილ" კეთილ ბუნებათა გარდა, „საკუთარიც" მრავლად და „უზომოდ" გააჩნდა ლაშას, სწორედ მას შეეძლო ეთქვა დაბეჯითებით ძველ რომაელთაგან ნათქვამი: „ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის". თავისუფალი ცხოვრების მოტრფიალე იყო. მისი ლაღი და ამპარტავანი ბუნება ვერ ეტეოდა ხელმწიფისთვის სავალდებულო საერო და სასულიერო კანონიკურ არტახებში. „თვითბუნებას" დაურქმევიათ მისთვის იმდროინდელ მემატიანე-მორალისტებს. სწორედ „თავისი ბუნებით" მოსურვებია ამ ქვეყანაზე ცხოვრება მეფეს. გარეგნულად იგი ქრისტიანი მოწესე იყო,

ეკლესიათა მაშენებელიც, საეკლესიო მსახურთა უხვი მწყალობელიც, და ამდენად, მისთვის საქართველოში არავის შეეძლო ერეტიკოსობა დაებრალებინა, თუმცა ევროპაში ასეთ „თვითბუნება“ მოაზროვნეებს „წმინდა ინკვიზიციამ“ კოცონზე წვავდა. საქმე ისაა, რომ ლაშა გიორგი „ზენაარ ძალას“ უფრო ადამიანში შეიგრძნობდა და შეიცნობდა, ვიდრე ადამიანის მიღმიერ სამყაროში. თავაწყვეტილი მონადიმე, მონადირე და მოაშიკე იყო. ღამღამობით, უბრალოდ, მდაბიურად გადაცმული, აიყოლიებდა თანატოლ თანამეინახეებს, პოეტებს, მსახიობებს, მომღერლებსა და მოცეკვავეებს და მათთან ერთად მთელი ღამე ღრეობდა - თვითონაც სვამდა, ლექსს კითხულობდა, მღეროდა, ცეკვავდა და მსახიობობდა. მერე რინდებთან მიდიოდნენ, მისტიკოს-ფილოსოფოსებთან, მათთან გულმიჯრით მსჯელობაში ცდილობდა მეფეს აეხსნა ის, რაიც მარადიულ აუხსნელად აწამებს კაცობრიულ მოდგმას: არსი სიცოცხლისა და სიკვდილისა, ყოფნისა და არყოფნისა, ხორცის კვდომისა და სულის გარდავლენისა, „ზენაარისა“ და „ქვენაარისა“... ერთხელ მთვრალი მეფე უარესად მთვრალმა რინდებმა ვერ იცნეს. გუნდად მიესივნენ და საშინელ ცემაში თვალი მძიმედ დაუშავეს. ქალისადმი ტრფიალებამ ხომ უაღრესად დასცა მეფის ავტორიტეტი მისი დროის „მაღალ მორალისტთა“ თვალში.

ერთხელ ლაშა კახეთს იყო, სოფელ ველისციხეში, იქ ერთი გათხოვილი ქალი ნახა, ძალზე ლამაზი, „ფრიად ქმნულკეთილი“. უსაზღვროდ შეუყვარდა მეფეს ის ქალი, არაფრად ჩააგდო არც ის, რომ იმ ქალს ქმარი ჰყავდა, არც ის, რომ გვირგვინოსნისთვის ასეთი საქციელი უსაქციელობად მიიჩნეოდა - დაავლო ხელი და წამოიყვანა ქალი იგი სასახლეში. ცოლად უნდა შეერთო, მაგრამ ვითარცა მეფეს, ნება არ ჰქონდა ქვეშევრდომი ქალი ქვეყნის დედოფლად გამოეცხადებინა. მას აუცილებლად რომელიმე სამეფო საგვარეულოდან უნდა შეერთო ცოლი. არც ამის გამო აიღო ხელი გიორგიმ თავის გრძნობაზე. ის ქალი არასგზით არ მოიშორა თავიდან. რაკი მასზე დაქორწინების ნებას არ აძლევდნენ, ცოლის შერთვაზეც საერთოდ უარი გამოაცხადა. ქალი მალე დაორკეცდა. ვაჟიც შეეძინა. სახელად **დ ა ვ ი თ ი** დაარქვეს. გიორგი ბედნიერი მამა შეიქნა.

ერთ დღეს უკანასკნელი იერიში მიიტანეს „დიდთა და ზეპურთა“. მეფეს ეწვივნენ: კათალიკოსი „ქართლისა და აფხაზეთისა“ (აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოსი), ვაზირნი და ეპისკოპოსნი. ეწვივნენ და დაბეჯითებით მოსთხოვეს გაეშვა და პატრონისთვის დაებრუნებინა ქალი. მეფე ისევ ცივ უარზე დადგა. მაშინ უმაღლესმა სამღვდელოებამაც უკან აღარ დაიხია და ის ქალი მეფეს პირდაპირ წაართვეს და ველისციხეში ქმარს დაუბრუნეს. ხოლო, ყრმა დავითი, „უკანონო, უფლისწული“, დანაღვლიანებულმა გიორგიმ აღსაზრდელად მიანდო დას **რ უ ს უ დ ა ნ ს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელი ქალის დაკარგვამ მეფეს საბოლოოდ გადააწყვეტინა სავსებით უარი ეთქვა ცოლის შერთვაზე...

გიორგი ლაშას ზეობისას ქართველებს ისევ დასჭირდათ ხმლის გაშიშვლება თამარის სიკვდილით გულმოცემულ და საომრად აღძრულ მაჰმადის რაინდებთან. პირველი, ვინც საქართველოს განუდგა და ხარკის გადახდასა და მორჩილებაზე უარი განაცხადა, იყო ისევ განძის ათაბაგი. შეჰყარა ჯარი გიორგიმ ფიცხლავ, მიუხდა განძას, ალყაში მოაქცია, გარეთ გამოჭრილ განძელთა ლაშქარი სასტიკად გაანადგურა. გატყდა ისევ განძელი, ვედრება შემოუთვალა მეფეს - რაც ჩავიდინე, შემინდეო, კვლავ ყმად და მოხარკედ მიმიღე და სიკვდილამდე ერთგული დავრჩებიო.

როგორც ეტყობა, სამხრეთელი მოხარკეებიც აშლილან თამარის სიკვდილით და მისი მემკვიდრის სიახალგაზრდავით გათამამებულნი. ამიტომ გიორგის ხელახლა დასჭირდა გალაშქრებანი სამხრეთისაკენ. ჯერ ნახიჩევანი და ოროტნი 23 ციხესიმაგრით კვლავ მოაქცია ქართულ სამანებში. მერე შაჰ-არმენს მიუხტა გიორგი, ხლათი აიღო და მისი შემოგარენი „მოწვა და მოარბივა". ყელზე თოკშებმული გამოეგება ხლათის სულტანი, თამარის წინაშე დაფიცებული ყმადნაფიცობა და მოხარკეობა ახლა ლაშას წინაშე გაიმეორა. ხლათიდან კარნუქალაქს გაემართა გიორგი ლაშა. აქაურმა ამირამაც მაშინვე შეიბა თოკი ქართველთა მეფის ქვეშე ყმობისა და მოხარკეობისა; ბასიანი გამოიარეს ქართველებმა და აქ, თამარის დროის „ძლევის" ადგილზე დიდი საზეიმო ასპარეზობა გამართეს. მერე გიორგიმ კეჩროლს წარგზავნა დიდად სახელმოხვეჭილი ერთგული **შალვა თორელ-ახალციხელი**. წავიდა შალვა, „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი", და აიღო კეჩროლი და შემოუმტკიცა ისიც საქართველოს.

ქვეყანა დამშვიდდა და დაწყნარდა.

ისევ დარწმუნდა ერთნაირად მტერიც და მოყვარეც: კვლავ მძლავრი იყო კავკასიელთა იმპერია, კვლავ მძლავრი ხელმწიფე იჯდა ქართულ, გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა ტახტსა ზედა...

...ერთი საუკუნე სრულდებოდა მას შემდგომ, რაც ევროპასა და აზიაში ქართველთა ჰეგემონობა რეალურ აღიარებად იქცა. მთელი ასი წლის მანძილზე, ბიზანტიის იმპერიის დაკნინების ფონზე, საქართველო წარმოადგენდა ანტიმუსლიმანური ძალების ერთადერთ საიმედო ბურჯსა და დამცველს აღმოსავლეთში. ამ ასწლეულის მანძილზე „ჯვაროსნად" ამხედრებულ ევროპას ერთადერთ საიმედო „ჯვაროსან მოკავშირედ" და თანამოლაშქრედ უსჯულო თურქთაგან ქრისტეს საფლავისა და სხვა წმიდა ადგილთა დასახსნელად მიუჩნევია ისევ და ისევ საქართველო. ევროპელთათვის აღმოსავლეთის დიდ „ჯვაროსან ხელმწიფეებად" ითვლებოდნენ იმ „მწვერვალი საუკუნის" ხელმწიფეები: დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, გიორგი მესამე და თამარ მეფე. ხოლო,

ახლა, სწორედ გიორგი ლაშას ზეობის ჟამს, - მაშინ, როცა ევროპა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ემზადებოდა - სწორედ რეალურად დადგა საკითხი ქართველთა, ვითარცა „აღმოსავლეთ ჯვაროსანთა“, უშუალო მონაწილეობისა მაშინდელ „მსოფლიო ომში“.

1219 წელს ევროპელმა რაინდებმა დიდის ვაი-ვაგლახით ნილოსის დელტაში მუსლიმებს წაართვეს დიდი ციხე-ქალაქი დამიეტა. ქართველებმა მაშინვე მილოცვა გაუგზავნეს ჯვაროსნებს, თანაც დამასკოს სულტანს ბრძანება აახლეს, განზრახვაზე ხელი აიღე და იერუსალიმის კედლების დანგრევაზე ფიქრიც არ გაბედოო. სწორედ იმ ხანად ჩაწერა ეპისკოპოსმა ჟ ა კ დ ე ვ ი ტ რ ი მ ქართველთა შესახებ „იერუსალიმის ისტორიაში“:

„ისინი არიან დიდად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, სხეულით მძლავრნი და მხედრობით ძლევამოსილნი. მათ სასტიკად ჰყავთ დაშინებულნი სარკინოზები, ხშირი თავდასხმებით ამარცხებენ მათ მოსაზღვრე სპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს, თვითონ ურჯულო ხალხებით გარშემორტყმულნი. მათ ჰქვიათ გეორგიანები. რადგან განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს მიაგებენ წმიდა გიორგის, რომელსაც თვლიან თავის მფარველად და მედროშედ ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მეტად. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი წმიდა ქალაქში შემოდიან გაშლილი დროშებით და არავის ხარკს არ უხდიან. სარკინოზთაგან ვერავინ ბედავს მათ შეწუხებას, რამეთუ შინ მიბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.

ევროპაში უკვე დიდის პატივით, კრძალვითა და აღტაცებით ლაპარაკობდნენ ლეგენდარული თამარის ღირსეულ ვაჟზე „ახალ ალექსანდრე მაკედონელზე“, ქრისტიანობის უბრწყინვალეს რაინდზე.

უკვე კიდევაც მოვიდა ეპისტოლე ევროპიდან საქართველოში. რომის პაპი ჰონორიუს მესამე, ქართველთა მეფეთამეფეს თხოვდა დაძრულიყო თავისი მხედრობით იერუსალიმისკენ მიმავალ ევროპელ ჯვაროსნებთან შესაერთებლად.

დიდი სიხარულით მიიღო გიორგი ლაშამ მისი რაინდული ბუნებისათვის ეგზომ მრავლისაღმთქმელი წვევა. მაშინვე საომარი სამზადისი ბრძანა.

და სწერს პალესტინიდან ფრანგი რაინდი **დ ე - ბ უ ა** საფრანგეთში, **ბ ე ზ ა ნ ს ო ნ ი ს** არქიეპისკოპოსს: „...ახლა მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ცინცხალი ცნობები. ჯერ ყურმოკვრით შევიტყე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, - რომელნიც გეორგიანებად (ქართველებად) იწოდებიან - დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე

აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურებოდა, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმიდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით... ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვნია შვილისთვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყნია დედის თხოვნა და... გადაუწყვეტია წმიდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართნი თუ არა".

მაგრამ ვერ აღესრულა ნაოცნებარი ფრანგი რაინდისა, - ქართველებმა ვერ დაიპყრეს „ჭიპი დედამიწისა". ამაოდ იკაზმებოდნენ ქართველნი ახალი ომისათვის - „ჯვაროსნული ომისათვის", ახალ ქვეყნებში სალაშქროდ, ახალ ხალხებთან შესახვედრად.

აზია-ევროპის გზაკვანძზე ქართველთა ორასწლოვან ზეაღსვლას ერთბაშად გზა ჩაუჭრა და ჩაუქცია მსოფლიო გრიგალად მოვარდნილმა ოციანმა წლებმა მეცამეტე საუკუნისამ.

ალმოსავლეთიდან ყოველი ქვეყნის დამანგრეველი და წამლეკავი ტაიფუნი მოჰქროდა.

ესენი იყვნენ **მ ო ნ ღ ო ლ ე ბ ი**, ანუ **თ ა თ რ ე ბ ი**, ველური დამპყრობელნი მსოფლიოისა, რომელთა მომთაბარე ცხენებზე და საბარგულებზე აგორებულ სახელმწიფოს საფუძველი დაუდო **ჩ ი ნ - გ ი ზ ხ ა ნ მ ა.**

ჩინგიზმა ჯერ შუა აზიაში ხვარაზმის სახელმწიფო გაანადგურა და 20 000 მეომარი დასავლეთისკენ გამოუშვა.

1220 წელს ისინი საქართველოს მოადგნენ ანაზდეულად.

დაუხვდა გიორგი ლაშა უცხო მტერს სახელდახელოდ შეყრილი ლაშქრით.

პირველივე დატაკება და უკუიქცნენ მონღოლნი.

გამოენთნენ ქართველნი, გამარჯვებაში დარწმუნებულნი.

და უეცრად ჩასაფრებულ მონღოლთა გარემოცვაში მოექცნენ.

მეფე შორიდან ნაძგერალი ისრით დაიჭრა.

დამარცხებული მობრუნდნენ ქართველნი, დამარცხებას გადაჩვეულნი.

მომდევნო წლის დამდეგს უკვე გადამწყვეტ ბრძოლად დადგნენ პირისპირ.

და კვლავ მოულოდნელად, ისრის გასროლამდე და სისხლის დაქცევამდე, საომარ ველს გაეცალნენ მონღოლნი და შირვანისკენ გაქუსლეს.

გამოედევნენ ქართველები, ახლა უკვე ფრთხილი დევნით, საომარი

წყობის დაცვით. დაღამებამდე სდიეს და ადინეს სისხლი.

ქართველები შემობრუნდნენ. მონღოლებმა კი დაარბიეს შემახა, გაიარეს დარუბანდი, ასჩეხეს წინ შემოფეთებული ყივჩაყნი, ჩრდილო კავკასია გადათქერეს, ყირიმს გააღწიეს და მდინარე კალკაზე რუსები დაამარცხეს. უკან მობრუნდნენ და ჩრდილოეთ კასპიის გადალახვით ჩინგიზ ყაენთან დაბრუნდნენ, ყარაყორუმს.

გიორგი ლაშას კი მონღოლური ნაისრალი გაურთულდა.

იდგა 1222 წლის 18 იანვარი, დღე ოთხშაბათი.

და მოკვდა ლაშა გიორგი, ძე თამარისა, საოცარი - ვითარცა ხელმწიფე და ვითარცა ადამიანი.

გამეფდა 17 წლისა, იმეფა 12 წელიწადი, აღესრულა 29 წლისა.

დაკრძალეს გელათს.

მასვე თან ჩაჰყვა სამარეში საქართველოს ასოცწლიანი უძლეველობის ხანა.

მოსვლა ჯალალ ად-დინისა

გიორგი ლაშას სიკვდილის შემდგომ საქართველოს ტახტი დაიჭირა მისმა დამ **რ უ ს უ დ ა ნ მ ა** (1222 - 1245), რომელსაც სახელოვანი დედისაგან სრულქმნილობით მხოლოდ სხეულებრივი სიმშვენიერე დაჰოლოდა, ისე ნებიერი ცხოვრება უყვარდა და ნადიმობა-მუსიკობაში ამა საქმეთა „დიდოსტატსაც" - საკუთარ ძმას ეჯიბრებოდა. იგი დანიშნული იყო შირვან შაჰზე, მაგრამ გიორგის უეცარმა სიკვდილმა დანიშნული ქორწინება ჩაშალა და ბოლოს, რუსუდანი ცოლად მისთხოვდა კარნუ-ქალაქის სულტნის ძეს, **მ ო ღ ი ს ე დ - დ ი ნ ს**, რომლისგანაც მას შეეძინა მემკვიდრე **დ ა ვ ი თ ი**.

ამგვარად საქართველოს სამეფო ტახტს უკვე ორი უფლისწული ელოდა - **დ ა ვ ი თ გ ი ო რ გ ი ს ძ ე და დ ა ვ ი თ რ უ - ს უ დ ა ნ ი ს ძ ე.**

რუსუდანმა გამეფებისთანავე განაახლა ლაშას დროს ევროპასთან დაწყებული დიპლომატიური ურთიერთობა და „ჯვაროსნული ომისათვის" სამზადისი. ისევ გაჩაღდა მიწერ-მოწერა რომის პაპსა და საქართველოს სატახტოს შორის. ამავე დროს რუსუდანი ადარბადაგანის დასალაშქრავად ამზადებდა ჯარებს.

და ისევ მოულოდნელად საქართველოს კვლავ სრულიად ახალი მტერი გამოუჩნდა. ეს იყო **ჯ ა ლ ა ლ ა დ - დ ი ნ ი**, მონღოლთაგან ძლეული ხვარაზმ-შაჰის ძე, ნიჭიერი, მაპაცი და თავზეხელაღებული თურქმანი, რომელსაც სრულიად დაეპყრო ირანი და ახლა საქართველოსკენ მოაქროლებდა ურიცხვ მხედრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა ჯალალ-ად-დინი და მოუწოდებდა ყველა მუსლიმს „ცისქვეშეთში", იარაღი აიღეთო ქართველთა წინააღმდეგ „საღვთო ომში" და სისხლსა და ხანძარში ჩავახრჩოთ ეს მუსლიმთა დამანგრეველი და დამამცირებელი ქვეყანაო.

რუსუდანმა სასწრაფოდ საომარი წვევა ბრძანა.

სომხეთში შემოჭრილიყვნენ საშინელი ხოცვა-ჟლეტით მაჰმადიანნი.

ქართველებიც უკვე მიჰქროდნენ სომხეთისაკენ.

1225 წლის აგვისტოს, დვინის ჩრდილოეთით, ციხესიმაგრე **გარნისთან,** ერთიმეორის პირისპირ დადგნენ 200 000 მუსლიმი და 60 000 ქართველი.

ქართველები გარნისთან აღმართულ მთაზე იდგნენ ბანაკად, ქვემოთ კი, ფართოდ გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის მეომრებით გაჭედილიყო.

ერთი დღე-ღამე იდგნენ პირისპირ, დამქანცველ ლოდინში. მერე, დილით ადრე, ჯალალ ად-დინმა სრულის ძალებით დაიწყო შეტევა.

ქართველთა მთავარსარდალმა ათაბაგმა **ივანე მხარგრძელმა** მხოლოდ 4000 მეწინავე თორელი შეაგება მტერს, ძმათა შალვა და ივანე ახალციხელთა სარდლობით. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მხარგრძელს ახალციხელებისთვის ერთი მეომარიც აღარ მიუშველებია. ამაოდ შეაწყდა 4000 ქართველი 200 000 მაჰმადიანს. ივანე მხარგრძელი კი მანამდე დასცქეროდა ხელის გაუნძრევლად ბრძოლის ველს, სანამ ახალციხელთა ჯარი სრულად არ გაწყდა, ხოლო როცა ტრაგედია დასრულდა, მთავარსარდალმა სრულიად ხელუხლებელი არმია სასწრაფოდ გამოაბრუნა და გამოიქცა!

რა ერქვა ამას?

გარდა ღალატისა, რა უნდა დარქმეოდა?

გარნისის ბრძოლა ასე „უცნაურად" და „უაზროდ" გათავებულიყო.

იმ წუთს კი არავინ იცოდა, რომ გარნისის ტრაგედია სამარადჟამოდ საგლოველ ნიშანსვეტად უნდა გაჰყოლოდა საქართველოს ბედდამწვარ ისტორიას.

ოთხი ათასი ქართველი იწვა უმრავლეს მუსლიმთა შორის.

მოკლული იყო ივანე ახალციხელი, (მაინცდამაინც კლდიდან მაშინ დაგორებული ქვა დაეტაკა და მისგან მოისრა).

ტყვედ წაეყვანათ იარაღდალეწილი შალვა ახალციხელი.

ჯალალ ად-დინმა სცადა სახელგანთქმული ქართველი გმირის „მოშინაურება" და სამმართველოდ მისცა ადარბადაგანის მთავარი ქალაქები - მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ. მაგრამ მალე გამჟღავნდა, რომ შალვა ტფილისს იდუმალ ატყობინებდა მტრის სალაშქრო გეგმებს.

ჯალალ ად-დინის ბრძანებით ჯალათებმა გაიყვანეს და ხმლებით ასჩეხეს შალვა ახალციხელი, „რომელი არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი".

ტფილისისკენ უთვალავი მუსლიმანური მხედრობა მოჰქროდა.

და ეს მაშინ, როცა იქ მტერს ვეღარავინ დახვდებოდა მსგავსი ბაღვა თორელ-ახალციხელისა...

როგორც კი რუსუდანმა ხვარაზმელთა მოახლოების ამბავი შეიტყო, მაშინვე ქალაქის დაცვის მეთაურობა ორ ძმას ჩააბარა, მესხებს, **მ ე მ ნ ა და ბ ო ც ო ჯ ა ყ ე ლ ე ბ ს.** ხოლო თვითონ რუსუდანმა დასავლეთ საქართველოს მიაშურა და ქუთათისის სასახლეში დასახლდა.

1126 წლის 8 მარტს ჯალალ ად-დინი მოადგა ტფილისს.

გაუხტნენ ქართველები. შეებნენ, გაიმარჯვეს და უკუაქციეს მტერი.

უკვე საერთოდ უკან გაბრუნებაზე ფიქრობდა ჯალალ ად-დინი, მაგრამ იმ ღამით თვითონ ტფილისის მუსლიმანი მცხოვრებნი ეახლნენ და მეორე დღის იერიშისთვის შიგნიდან კარების გაღება აღუთქვეს.

გათენდა თუ არა 9 მარტი, ჯალალ ად-დინი მთელის ძალებით დაეძგერა ქალაქის მთავარ კარიბჭეს - „განძის კარებს".

შიგნიდან ძმები ჯაყელები იკაზმებოდნენ მტრის დასახვედრად.

მცველთა შორის მუსლიმანი ტფილისელები სჭარბობდნენ.

და ის იყო ბოცო ჯაყელმა მოასწრო მუზარადის დახურვა, მაგრამ მისმა ძმამ, მემნამ ვეღარ მოასწრო. ზურგიდან მიეჭრა რომელიღაც ტფილისელი და ორივე ხელით შიშველ თავზე უხეთქნა ხმალი. უსულოდ გადმოეშვა უნაგირიდან მემნა ჯაყელი. ერთმანეთს მიესივნენ მუსლიმანი და ქრისტიანი ტფილისელები. იმძლავრეს მუსლიმებმა და გააღეს მტრისთვის კარიბჭე ტფილისისა.

და შემოიჭრა გრიგალივით ჯალალ ად-დინის ურდო საქართველოს სატახტოში. შემოიჭრა და გააჩაღა მანამდე გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა. ქრისტიანთაგან აღარ ინდობდნენ აღარც ქალს, აღარც კაცს, არც მოხუცს, არც ჩვილ ბავშვს. ხოცავდნენ ყველას უკლებლივ. დაიტაცეს ყველა სიმდიდრე. შებილწეს ყველა სიწმინდე, სიონის ჯვარი თვითონ ჩამოაგდო და მიწას დაანარცხა ჯალალ ად-დინმა, გუმბათი ჩამოანგრია, ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები მიწაზე დააყრევინა და ხოცავდა ყველა ქრისტიანს, ვინც მათ არ დაგმობდა და არ შეურაცხყოფდა.

100 000 ადამიანი გაწყდა მაშინ ტფილისში, ორჯერ მეტი, ვიდრე უსაშინლესი მიზანთროპის ბულა თურქის შემოსევის დროს.

ერთი წლის თავზე ქართველებმა ტფილისი დაიბრუნეს, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე ჯალალ ად-დინი მაინც დაუსჯელად აოხრებდა და არბევდა ქართულ სოფლებსა და ციხე-ქალაქებს.

1230 წელს მონღოლების გამოჩენამ ისევ დააფრთხო და გააქცია ხვარაზმ-შაჰი. ვიღაც ქურთ მომთაბარეს შეეფარა ლტოლვილი. ეს ქურთი სტუმრის ძვირფას აღკაზმულობას დაეხარბა და მძინარეს გულში მახვილი დასცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1235 წელს მონღოლები სრულის ძალებით შემოესივნენ ქართველთა სამკვიდრებელს. სამხრეთი საქართველოს მესვეურებმა - მხარგრძელებმა, მათზე მინდობილი სამფლობელოები მტერს უბრძოლველად ჩააბარეს და თვითონაც ჩაბარდნენ. ტფილისიც აიღეს მონღოლებმა. მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე და ქუთათისზე გალაშქრება ვერ გაბედეს.

რუსუდან დედოფალი ისევ ქუთათისში იჯდა და რომის პაპს, გრიგოლ მეცხრეს „ჯვაროსნულ დახმარებას" თხოვდა. მაგრამ რაკი „ევროპული გზის" ძიება ამაო და უშედეგო გამოდგა, რუსუდანმა ისევ მონღოლებთან შერიგება სცადა და თავისი ძე, დავითი, საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად ყაენთან გაგზავნა.

რუსუდანი შვილის დაბრუნებას ვერ მოესწრო და გარდაიცვალა (1245).

უმეფო და უპატრონო საქართველო მონღოლებმა დაჰყვეს რვა **დუმნად**, სამმართველო ოლქებად. ყოველ დუმანს სათავეში ჩაუყენეს ქართველი ერისმთავრები.

დუმნების მიხედვით მონღოლებს საქართველოდან გაჰყავდათ ჯარი და კრეფდნენ ხარკს, ანუ **ხარაჯას**. საქართველოს ყოველწლიურად მონღოლთა ყაენისათვის უნდა გადაეხადა 50 000 ოქროს პეპერა.

ალამუთი

ჩრდილოეთ ირანში, ყაზვინის ახლოს, მაღალ სალ კლდეთა თავზე აღმართულიყო ციხესიმაგრე **ალამუთი**, („ალუჰ ამუთ" - არწივის ბუდე). აქამომდე მტერთაგან ვერავის მოუხერხებია მისი დაუფლება. ახლა მონღოლები შესდგომოდნენ ალამუთს ალყად. შვიდი წელიწადი ამაოდ მიჰქონდათ იერიშები მონღოლ ნოინებს - **ჩარმაღანს, ჩაღატას, იოსურსა და ბიჩოის.**

ქართველებიც თან ახლდნენ მონღოლებს „არწივთა საბუდარის" დაუფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში. შვიდი წლის განმავლობაში ქართველ ერისთავებს - ოღონდ კი მონღოლთა თვალში ფასი დაგვედოსო და - ყველაზე სახიფათო იერიშებზე მიჰყავდათ ქართული ჯარები. მონღოლები გაოცებული იყვნენ, ქართველები რომ ესოდენ „დიდსა ჭირსა შინა" სიცოცხლესაც არ იზოგავდნენ თავიანთ მტერ-მაოხართა სასიამოვნოდ (!).

შვიდი წელიწადი გმირულად იგერიებდა ალამუთი მონღოლთა და ქართველთა გააფთრებულ იერიშებს. ხოლო, მისი უძლეველობა მარტო მიუვალ მთასა და კლდეს როდი ემყარებოდა. მთავარი მაინც ის იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ალამუთს **მ უ ლ ი დ - ა ს ა ს ი ნ თ ა** ციხიონი იცავდა.

მულიდები, ანუ ასასინები, ანუ ფიდაები, ისმაილიტთა სექტას განეკუთვნებოდნენ და სიკვდილთან წილნაყარი ფანატიკოსი „ტერორისტები“ იყვნენ. მათთვის სიკვდილი სამოთხეში მარადიული, ნეტარი სიცოცხლის დამკვიდრების გზა იყო. ამიტომ სიკვდილის დაძლევის ხელოვნებას ვერავინ ისე ვერ ფლობდა, როგორც მულიდი... საუკუნენახევრის მანძილზე ეს „მკვლელთა სახელმწიფო“ თავზარს სცემდა სელჩუკ სულტანებს, ამირებს, ბეგებს, ჯვაროსან ხელმწიფეებსა და სტრატეგოსებს.

ახლა მონღოლები და ქართველები შემოსდგომოდნენ ალამუთს...

სწორედ მეშვიდე წელს, ზაფხულის ერთ ღამეს ვიღაცას ჩაღატა ნოინი მოეკლა თავის კარავში. ხოლო მოკლული ნოინის ბანაკი ქართველთა ბანაკის გვერდით იდგა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მონღოლი სარდლის მკვლელობა ქართველებისათვის დაებრალებინათ. მხოლოდ ერთს, ჩარმაღან ნოინს არ სჯეროდა ქართველთაგან ამნაირი მუხანათობა და ამ სიტყვებით აკავებდა კიდეც თავისიანებს: „დაწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი და არცა სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“.

მაგრამ ჩარმაღანის შეგონება არაფრად ჩააგდო ჩაღატას ბანაკმა და თათრები ავი ღრიანცელით და იარაღის ჟღრიალით დაიძრნენ ქართველთა შესამუსრავად.

მოულოდნელმა საფრთხემ ფეხზე დააყენა ქართველობა. მაგრამ „არა უწყოდეს, რამცა ჰყვეს“. ზოგი უსახელოდ, გაუგებრობის ზვარაკად მორჩილ შეწირვას ვაჟკაცურ სიკვდილს ამჯობინებდა და საომრად გასვლას მოითხოვდა, ზოგიც დიდად ჭარბ თათართა ძალებთან შებმას უაზროდ თვლიდა და ბანაკში ჩაკეტვას არჩევდა. დრო კი აღარ ითმენდა. სადაც იყო მონღოლები თავს უნდა დასცემოდნენ ქართველთა ბანაკს.

მაშინ წინ გამოიჭრა ქართლის ერისთავი **გ რ ი გ ო ლ ს უ რ ა - მ ე ლ ი** და ასე მიმართა თავისიანებს: „არა არს ჟამი ბრძოლისა, რამეთე მცირე ვართ“ და თუ მაინც არ დავიშლით და შევებრძოლებით, მაშინ ისინი ჩვენ ყველას „დიდით მცირემდის“ უკლებლივ ამოგვწყვეტენ. ამიტომ უმჯობესია ხელი არ გამოვიღოთ და თათრებს მარტო ჩვენ, წარჩინებული ერისთავები და ლაშქრის მეთაურები შევხვდეთ. თათრები ჩვენს დახოცვას იკმარებენ და დანარჩენ ქართველობას, ჯარს ხელსაც არ ახლებენ.

ძლიერად, შთამაგონებლად ლაპარაკობდა გრიგოლ სურამელი და ქართველებმა ყოველმა „დიდმა“ და „მცირემ“ დაუჯერა მის კეთილშობილურ სიტყვას.

გრიგოლ სურამელმა სიტყვა იმით დაასრულა, რომ სამჯერ პირჯვარი ისახა, სამჯერვე მუხლი მოიყარა და ღვთისმშობლის სადიდებელ საგალობელს შეუდგა. დანარჩენებიც აჰყვნენ გალობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათართა ღრიალს ქართული სიმღერა შეერთო,

გრიგოლ სურამელი პირველი გამოეგება სიკვდილს. დანარჩენი მეთაურებიც მიჰყვნენ. წამიც და ქართველთა სისხლი უნდა დაქცეულიყო, რომ უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, იქვე გამდგარი ლერწმოვანიდან ვიღაც კაცი გამოვარდა და სპარსულად იყვირა:

„მან ქუშტემ ჩაღატა!“ („მე მოვკალი ჩაღატა!“).

ყველანი, მონღოლებიც და ქართველებიც ერთბაშად შებრუნდნენ და იხილეს კაცი იგი, რომელსაც ხელში სისხლიანი ლახვარი ეჭირა. და დაიძახა თუ არა, მაშინვე ისევ ლერწმოვანში გაუჩინარდა მკვლელი.

მონღოლებმა ქართველთაგან პირი იბრუნეს, ლერწმოვანს მიესივნენ და ყოველის მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. „და გამოიყვანა ცეცხლმან ლერწამთაგან კაცი იგი“, შეიპყრეს და მიჰგვარეს ნოინებს. მკვლელი დაჰკითხეს და მან თქვა: „მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის საჩინო. ჩვენმა თავადებმა მომცეს ოქრო ფრიადი, რამეთუ მოვსულიყავ და ერთი მაინც მომეკლა თქვენ ოთხთა ნოინთაგან. მეც წამოველ, მოვკალ და დავიმალე“.

ჩაღატას მკვლელი მულიდი ნოინებმა ჯალათს მოაკვლევინეს.

ქართველები უბრალო ამოწყვეტას გადარჩნენ.

კოხტასთავი

1247 წელს, უმეფობის ჟამს, ქართველმა ერისთავებმა მონღოლთა უღლის დასამხობად შეთქმულება მოაწყვეს.

საიდუმლო შეკრება მოხდა **კოხტასთავს** - ჯავახეთში.

აქ შეითქვნენ: **ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, კახაბერ კახაბერისძე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღა პანკელი, გამრეკელი თორელი და სარგის თმოგველი.**

დაადგინეს - ერთიანი ძალით „ვბრძოდეთ თათართა“, და საომარ ძალთა თავმოსაყრელ პაემნად დათქვეს რკინისჯვარი.

ცოტნე დადიანი და კახაბერ კახაბერისძე კოხტასთავიდან ადრე წავიდნენ, დასავლეთ საქართველოდან ჯარების გადმოსაყვანად, დანარჩენებმა კი წასვლა-წამოსვლა ვეღარ მოასწრეს: მონღოლები დაესხნენ და ყველანი შეიპყრეს. ბუნებრივია, შეთქმულება ვიღაცას გაეცა.

შეპყრობილნი მონღოლებმა სომხეთში ჩაიყვანეს, ანისის ახლოს, მონღოლთა ბანაკში. ყველანი გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუბოჭეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და ბრნველი მზის ქვეშ დაჰყარეს.

როცა ეს ამბავი ცოტნე დადიანმა შეიტყო, მაშინვე სომხეთს ჩავიდა, თვითონაც ტანთ გაიხადა, მხარ-მკლავი გაიკრა და მზითა და კრძალვით განაწამებ ამხანაგებში ჩაჯდა.

გაოცებული მონღოლი ბელადები ცოტნეს მიცვივდნენ და ასეთი უცნაური თავგანწირვის მიზეზი ჰკითხეს. ჩემს ამხანაგებს „თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს“ - უპასუხა დადიანმა, - ისინი უდანაშაულონი არიან, ხოლო თუ უდანაშაულოთა დასჯა გადაგიწყვეტიათ, მაშინ მეც მათთან ერთად უნდა დავისაჯოო.

მონღოლებმა ვაჟკაცობისა და თავგანწირვის ფასი იცოდნენ.

ცოტნე დადიანის გასაოცარმა გმირობამ გაჯრა.

მონღოლებმა ყველანი გაათავისუფლეს.

ზეობა ორი დავითისა



ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მეფობის საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს ტახტისათვის, თავ-თავის პოლიტიკური დასებით, ერთმანეთს ეცილებოდა ორი დავითი, ბიძაშვილ-მამიდაშვილი, ძე გიორგი ლაშასი და ძე რუსუდან დედოფლისა.

1249 წელს მონღოლეთის დიდმა ყაენმა **მ ა ნ გ უ მ**, როგორც იქნა, გადაწყვიტა „ქართველთა საკითხი“. გადაწყვიტა ფრიად მზაკვრულად: საქართველოს ტახტზე მეფედ ორივე დასვა, ორივე დავითი:

ლაშას ძე - **დ ა ვ ი თ უ ლ უ** (უფროსი);

რუსუდანის ძე - **დ ა ვ ი თ ნ ა რ ი ნ** (უმცროსი).

„საისტორიო ნუმერაციით“ დავით **მ ე ე ქ ვ ს ე** იქნება ნარინი (რაკი იგი დედამისმა რუსუდანმა უფრო ადრე „გაამეფა“), ხოლო დავით **მ ე - შ ვ ი დ ე** იქნება ულუ.

ამრიგად 1249 წელს საქართველოში ერისმთავართა დუმნისთაობა გაუქმდა და ქართული მეფობა აღდგა.

და მოვიდნენ „ტფილისს სიხარულითა“, დასხდნენ „ტახტსა მამათა მათთასა“:

დავით ულუ - ახოვანი და დიდტანოვანი, ჯანღონიერი, ხელუცთომელი მოისარი, ბუნებით გულმართალი, უმზაკვრო, ენაძვირი და გასაოცრად მალე მრწმენი.

დავით ნარინ - ტანად საშუალო, ხმელი და ძვალთხელი, პირად ფერგამკრთალი, ჰაეროვანი, ტკბილმოსაუბრე, თავმდაბალი და შემწყნარებელი, მტკიცე-ნებოვანი, შესანიშნავი ცხენოსანი, მონადირე და მორპენალი.

„დასხდნენ ორნივე მტკიცედ მეფედ“. ყოველ სიგელს ორივენი ერთად წერდნენ - „მეფენი ბაგრატოანნი, ნებითა ღმრთისათა დავით და დავით და ბოლოს, ისევ ორივე ხელრთვა:

ულუ - „ჩემს დავითისგან მტკიცე არს“.

ნარინ – „ჩემ დავითისგანაც მტკიცე არს“.

ორივე დავით ერთ ხანზე მონღოლურ უღელსაც „თანადგომით“ ეწეოდნენ - ხარკს იხდიდნენ და მონღოლთა გაუთავებელ ომებში ქართული ჯარებით, „როგორც წესი“, მუდამ ბრძოლის მეწინავე ხაზზე იბრძოდნენ.

სწორედ მაშინ დაიბადა ქართველი ერის გამანადგურებელი ეს „აფორიზმი“ - „**წ ე ს ა დ მ ც ა ა რ ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა წ ი ნ ა მ ბ რ ძ ო ლ ო ბ ა**“. ქართველებს ყოველ „უცხო თესლთა“ ბრძოლაში აუცილებლად ყველაზე წინ, ზედ სიკვდილის ხაზზე უნდა ეომნათ, პირველნი თვითონ უნდა დახოცილიყვნენ, უცხო თესლთათვის უნდა დახოცილიყვნენ, რათა სწორედ უცხო თესლი „განეკვირვებიათ!“

და ყველაზე საოცარი და „განსაკვირველი“ სწორედ ის იყო, რომ ესეც თვითონ ქართველების აჩემება იყო - მაინცდამაინც ბრძოლაში მეწინავენი, სიკვდილის ხაზზეც მეწინავენი ჩვენ, ქართველები უნდა ვიქნეთო!

მძიმე იყო მონღოლური უღელი, ნივთიერადაც მძიმე იყო. მაგრამ უფრო მძიმე იყო სისხლიერად.

და კიდევ უფრო დამძიმდა იგი, როცა მეზობლად, ირანში, ცალკე მონღოლი ყაენი და ცალკე მონღოლური სახელმწიფო დამკვიდრდა - ყაენი **ჰ უ ლ ა გ უ** და მისი მემკვიდრენი, **ჰ უ ლ ა გ ი დ ე ბ ი**...

ჰულაგუ ყაენმა საქართველოს აღწერა მოახდინა და ამისგან „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი დავითისნი“, სააღწერო დავთრებში ირიცხებოდა ყველა მამაკაცი 11 წლიდან 60 წლამდე. ირიცხებოდა ყოველგვარი პირუტყვი, ყანა, ვენახი, ბაღი, ბაღჩა, ბოსტანი და საძოვარი.

აღწერით გამოირკვა, რომ საქართველოს მონღოლთა საომარი დროშის ქვეშ 90000 მეომარი უნდა გამოეყვანა. ხოლო ეს რიცხვი, ძირეული ანგარიშით ემყარებოდა ამ პრინციპს: ყოველ ცხრა სრულფუძიან ოჯახს ერთი მეომარი უნდა მიეცა მონღოლთათვის. მაშასადამე, მაშინდელ საქართველოში (სომხეთის მითვლით), ხვარაზმელთა და მონღოლთა უწყალო ხოცვა-ჟლეტათა შემდგომ, მაინც არსებულა 810000 სრულფუძიანი ოჯახი. ეს კი საერთო ანგარიშით, ადასტურებს: მაშინდელ საქართველოში ცხოვრობდა არანაკლები 5 მილიონი ადამიანისა (გასაგებია, რამდენით მეტი იქნებოდა თამარის დროის საქართველოში).

მონღოლებმა აღწერასთან ერთად დაბეგრეს და დახარკეს სამეურნეო ცხოვრების ყველა უბანი.

მთავარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი „საყაენო გადასახადად“

ითვლებოდა და სახელად **მ ა ლ ი** ეწოდებოდა.

საძოვარ-საბალახე გადასახადს ერქვა **ყ ა ფ ჩ ე რ ი**, რომლის მიხედვით ყოველ ას სულ საქონელზე ერთი სული მონღოლისთვის უნდა მიეცათ.

იყო სავაჭრო გადასახადიც - **დ ა მ ღ ა**. შესყიდულ საქონელზე ღირებულების სამ პროცენტს ახდევინებდნენ.

ცალკე გადასახადი იყო ადგილზე ჩაყენებულ თათართა შესანახავად. მას **უ ლ უ ფ ა** ეწოდებოდა და გულისხმობდა, მონღოლთა ათასეულის მეთაურისათვის, ანუ ათასეულის ნოინისათვის, ყოველ სოფელს უნდა მიეცა თითო კრავი და ფულად თითო ოქროს დრაჰკანი, ხოლო ათიათასის მეთაურისათვის, ანუ დუმან-ნოინისათვის - თითო ცხვარი და ორი დრაჰკანი.

დაწესებული იყო შრომითი გამოსაღები - ბეგარა. მას ერქვა - **ყ ა ლ ა-ნ ი**. ქართულად - სალაშქრო. არსებობდა მეორე ბეგარაც - **ს ა ი ა - მ ე**, რომლის შინაარსი ეს იყო: ყოველ შარაგზაზე, განსაზღვრულ მანძილზე, მონღოლებს აეგოთ სადგურები, ანუ იამები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მონღოლ ფაიქ-შიკრიკთა და სხვა მოხელეთათვის მუდმივად გამზადებული უნდა ჰყოლოდათ ცხენები, სარჩო-საბადებელი, სასტუმრო, საგებ-საძინებელი და სხვა მისთანანი. ეს იმდენად მძიმე ბეგარა ყოფილა, რომ „საიამე გზა-შარაზე" მოსახლეობა იყრებოდა და შორს იხიზნებოდა.

ყველა ამათ გარდა, ჰულაგუ ყაენმა საქართველოს თავისი „საკუთარი გადასახადიც" დააკისრა. ეს იყო **თ ა ღ ა რ ი**, სამხედრო გადასახადი ყოველი კაცის თავზე, თანაც რამდენიმე გამოსაღებით: ყოველ ცალკე მცხოვრებს მონღოლთა ხაზინისთვის უნდა ჩაებარებინა 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 1 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, 1 ისარი, 1 ნალი, 1 თეთრი; ამას გარდა, ცალკე უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე 1 პირუტყვი და 20 თეთრი.

ქართველი გლეხის უბედურება ისიც იყო, რომ უცხო, მონღოლური უღელი მას არ ათავისუფლებდა „მშობლიური" სამეფო, საბატონო, საეკლესიო და სამოხელო გადასახადებისაგან...

...1258 წელს, ისევ ქართველთა „წესისმიერი წინამბრძოლობით", მონღოლებმა აიღეს ქალაქი ბაღდადი. იმავე წელს ისევ დავით ულუ მეშვიდის და ქართული ჯარის წყალობით, ევფრატის პირას, ჰულაგუ ყაენმა გაანადგურა ეგვიპტის სულტნის ჯარები.

1259 წელს დავით მეექვსე ნარინი აუჯანყდა ჰულაგუ ყაენს. ჰულაგუმ დამსჯელი ჯარი აფრინა. მძიმე ბრძოლაში ქართველებმა უკუაქციეს მტერი. დავით ნარინი ქუთათისში გადავიდა და დასავლეთი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცია. ამგვარად საქართველოში ორი ტახტი დაიდგა: ქუთათისში - დავით მეექვსე ნარინი, ტფილისში - დავით მეშვიდე ულუ.

მოჰდევნო 1260 წელს დავით ულუც აუჯანყდა ყაენს, მაგრამ

დამარცხდა და შერიგება ითხოვა. ჰულაგუ ყაენმაც შერიგება არჩია, რადგან ჩრდილოეთიდან მეორე ყაენის, **ბ ე რ ქ ა ს** შემოსევას ელოდა და ძალიან სჭირდებოდა ქართველებისა და მათი მამაცი მეფის თანადგომა მომავალ ომში. ეს ომი კიდევაც მოხდა. ჰულაგუმ, ისევ ქართველთა წინამბრძოლობით, შირვანში შემოჭრილი ბერქა ყაენი დაამარცხა და დარუბანდს გადაღმა გააქცია.

1266 წელს კი საქართველოს ახალი უმძიმესი მარცხი ეწვია. მალემრწმენი დავით ულუ დაარწმუნეს, რომ სამცხის მმართველი, **ს ა რ გ ი ს ჯ ა ყ ე ლ ი**, გღალატობსო. მეფემ ერთგული ქვეშევრდომის ღალატი მაშინვე დაიჯერა და შეიპყრო კიდევაც. სარგისის ქვეშევრდომებმა მაშინდელ ყაენს, **ა ბ ა ღ ა ს** აცნობეს ყოველივე. აბაღა ყაენმა დავით მეფეს ჯაყელის გათავისუფლება და მასთან გაგზავნა მოსთხოვა. მეფემ ყაენის ბრძანება აღასრულა. სარგისი ყაენთან გაემგზავრა. მალე ახალი შემაძრწუნებელი ბრძანება მოვიდა ტფილისში: ამიერიდან სარგის ჯ აყელი და მისი სამთავრო სამხცე ცხადდება ყაენის პირად „ხასინჯ უ-ულუსიანად“ - საკუთრებად.

ასე ჩამოეკვეთა ერთ დროს ერთიანი საქართველოს პოლიტიკური სხეულისაგან კიდევ ერთი სისხლხორცეული ერთეული - სამცხე.

ამიერიდან ამ ქართულ ქვეყანასთან საქართველოს მეფეს აღარაფერი ესაქმებოდა!..

1270 წელს, 55 წლის ასაკში, გარდაიცვალა მონღოლთა სამსახურში დასნეულებული დავით მეშვიდე, ულუ, ლაშას ძე. დაკრძალეს მცხეთას...

ხოლო დავით ნარინ რუსუდანის ძე ჯერჯერობით ერთადერთი გვირგვინოსანი იყო, რომელმაც აქამდე მოახერხა მსოფლიოს მპყრობელთაგან თავისი სამეფოს გადარჩენა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

მაგრამ მხოლოდ მონღოლთა „დაშინებით“ როდი ამოიწურა დავით ნარინის ხელმწიფური სიმაღლე. მან თვალი მიაპყრო უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ძველთაძველ პონტოს, სადაც დიდმა თამარმა მეცამეტე საუკუნის დამდეგს თავისი საპატრონო და საუფლო სახელმწიფო შექმნა - „ტრაპიზონის იმპერია“, რომლის ყოველი კეისარიც, რასაკვირველია, ქართველი ხელმწიფოს ქვეშევრდომად ითვლებოდა.

წინა აზიასა და საქართველოში მონღოლთა შემოსევას, ბუნებრივია, თავისი ავი დაღი საქართველო-პონტოს ურთიერთობისთვისაც უნდა დაესვა. საქართველომ დაჰკარგა აღმოსავლეთი სამფლობელოები, - ასეთივე საფრთხე ელოდა დასავლეთ გავლენის სფეროთა მფლობელობასაც.

მართლაც, როცა მონღოლებმა რუმ-იკონიის სულტანი (რუსუდან ქართველთა მეფის სიძე) დაამარცხეს და დახარკეს (1244), ტრაპიზონის კეისარმა ხარკის ძლევა, ქართველების ნაცვლად, მონღოლებს დაუწყო.

მანამდე ტრაპიზონის სასახლის კარზე ორი პოლიტიკური დასი

უპირისპირდებოდა ერთმანეთს - ქართული და ბიზანტიური. სანამ საქართველო ქვეყნად პირველობდა, ვერც ტრაპიზონის ბიზანტიური დასი და ვერც მისი მფარველი კონსტანტინოპოლის ხელისუფლება კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდნენ. ტრაპიზონ-პონტოს ქვეყანა უპირველეს ყოვლისა ქართული ქვეყანა იყო და მისი ხელისუფლებაც, დიდი თამარის ხელდასხმის კვალობაზე, ყოველთვის ქართული „დასის" და ორიენტაციის საფუძვლებით მოქმედებდა და ცხოვრობდა.

ხოლო, ახლა, როცა საქართველოს ძლიერება მსოფლიოს დამანგრეველებს დაენგრიათ და დაეძაბუნებიათ, ტრაპიზონის საკეისროში ერთბაშად გაცოცხლდა ბიზანტიური „დასი". კონსტანტინეპოლის ხელისუფლებაც, რომელიც იმჟამად ძალზე გაცხოველდა, მაშინვე აფუსფუსდა პონტოური ქვეყნის საქართველოსგან წასაგლეჯად და ბიზანტიის საზღვრებში მოსაქცევად. კიდევაც გაიტანეს თავისი ბიზანტიის მესვეურებმა. ტრაპიზონის ციხე-ქალაქებში ბიზანტიური ციხიონები ჩადგნენ. თითქოს საქართველო აღარც კი არსებობდა.

სწორედ ამის გამო ამხედრდა დავით მეექვსე ნარინი. 1282 წელს, გაზაფხულზე, მან ჯარი შეჰყარა და ტრაპიზონ-პონტოს მხარეს შეესია, ბიზანტიელები განდევნა და ისევ ქართული დასი აღადგინა ტრაპიზონის საჭეთმპყრობელობაში.

ასე დარჩა ეს „სტატუსი" თვითონ დავით მეფის აღსასრულამდე.

ხოლო, აღესრულა დავითი 1293 წელს, 68 წლის ასაკში - დავით მეექვსე ნარინ რუსუდანის ძე - იმჟამინდელ აზიელ ხელმწიფეთა შორის ერთადერთი გვირგვინოსანი, რომელსაც მსოფლიოს მპყრობელმა მონღოლებმა ქედი ვერ მოახრევინეს.

იგი ორჯერ იყო ნაქორწინევი. პირველ მეუღლედ ჰყავდა **თ ა მ ა რ,** ამანელისძის ასული, ხოლო მეორედ - **თ ე ო დ ო რ ა,** ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ მერვე პალეოლოგოსის ასული. თამარისაგან დავითს შეეძინა სამი ძე - ვახტანგ, კონსტანტინე და მიქაელ, ხოლო თეოდორასაგან კიდევ ერთი - ალექსანდრე.

დაკრძალეს დავით ნარინი გელათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონღოლთა ყაენმა **ᲐᲑᲐᲦᲐᲛ** დავით მეშვიდე ულუს გარდაცვალების შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დაამტკიცა მისი 11 წლის ძე, **ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ** მეორე (1271-1289).

1277 წელს 17 წლის დემეტრე მეფემ აბაღა ყაენის საომარი წვევა მიიღო. მონღოლთა მბრძანებელი ეგვიპტის სულტნის, **ᲤᲣᲜᲓᲣᲧᲐᲠ ᲑᲔᲘᲑᲐᲠᲡᲘᲡ** წინააღმდეგ აგზავნიდა ლაშქარს. ქართველთა მეფეც მაშინვე გაეშურა 3000 მეომრით. ბრძოლა მოხდა მესოპოტამიაში, სადაც ქართველებმა ისე იბრძოლეს, „რომე თათარნი განკვირდეს". საოცარი სიმამაცე გამოიჩინა ქართველთა ჭაბუკმა ხელმწიფემ. მაგრამ მისი გულადობა და გულმოდგინება ძვირი დაუჯდა ქართველობას. თათართა „განკვირვების" საფასურად, 3000 ქართველიდან ოთხიოდე გადაურჩა სიკვდილს.

მომდევნო 1278 წელს მონღოლებმა გილანს გაილაშქრეს. არც ეს ლაშქრობა ჩატარებულა ქართველთა მონაწილეობის გარეშე. არც ამ ბრძოლაში დაუტოვებიათ „განკვირვების" გარეშე მონღოლები ქართველებს მათთვის ჩვეული თავგამოდებითა და თანგადაკვდომით. აქაც „ქართველნი მიეტევნეს მხნედ და აოტნეს გილანელნი", მაგრამ მთაკლდოვანი და ციხესიმაგროვანი გილანის დაპყრობა იმჟამად ვერ შეძლო მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა.

1280 წელს განახლდა ბრძოლა მონღოლებსა და ეგვიპტელებს შორის. ისევ გაეშურნენ ქართველები მონღოლთა სადროშოებად, დემეტრე მეფისა და სამცხის მთავრის, **ᲑᲔᲥᲐ ᲯᲐᲧᲔᲚᲘᲡ** სარდლობით. ქალაქ დარბუზაკთან (სირიაში) გამართულ ხოცვა-ჟლეტაში გასაოცარი გმირობითა და შემმართებლობით ყველა დაჩრდილეს ბექა ჯაყელმა და მისმა მესხებმა. ამათ შეანგრიეს ქალაქის კედელი და შეუძღვნენ დანარჩენ მონღოლ-ქართველთა ლაშქარს დარბუზაკში.

დარბუზაკის დაცემის შემდგომ, 1281 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ ამასიასთან ისევ შეხვდნენ ერთმანეთს მომტერენი. თვით ეგვიპტის იმჟამინდელი სულტანი, მელიქ მანსური მოვიდა ბრძოლად „ყოვლითა ძალითა მისითა". ისევ ითხოვა „წინამბრძოლობა" დემეტრე მეფემ, ნება მიიღო და გავიდა დარჩეული ქართული რაზმით წინახაზზე. ეგვიპტელთა შუაკერძი გაარღვიეს ქართველებმა, მაგრამ ფლანგებზე ისუსტეს მონღოლებმა. ქართველები ალყაში მოექცნენ. ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს. ძლივს გამოაღწია საბედისწერო სალტედან სისხლით გალუმპულმა დემეტრე მეფემ. 4000 ქართველის გვამი ესვენა ეგვიპტელთა და მონღოლთა გვამებით დატვირთულ საომარ ველზე...

...მეფე დემეტრე მეორე წინაპართაგან ყველაზე მეტად თავის პაპას გიორგი ლაშას ჩამოჰგავდა. გარეგნულად ლაშასაებრ მშვენიერი და მომხიბლავი ვაჟკაცი იყო - „ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შვენიერ. თვალითა გრემან, ბეჭპრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხვათა კაცთა“. ჩვევად ჰქონდა - ღამღამობით სასახლიდან გავიდოდა ფულიანი ქისებით. ქალაქს ჩამოივლიდა და სადაც უსახლკაროდ დაგდებულ ღარიბს, ობოლსა და დავრდომილს იპოვიდა, ყველას ფულს დაურიგებდა. ბუნებითაც ლაშასაებრ „თვითბუნებაᲐ“ იყო დემეტრე მეფე. თუმცა მშენებლობა უყვარდა, მონასტრებიც მრავლად ააშენა (მათგან - მეტეხის ტაძარი), მრავალი შესაწირავიც შესწირა, საეკლესიო მოწესეებსაც „საზრდელი და სამოსელი“ გაუჩინა.

მეფის ყველაზე სათაკილო „მწვალებლობად“ ეკლესიის მესვეურნი მის მრავალცოლიანობას მიიჩნევდნენ. დემეტრე სამჯერ იყო ნაქორწინევი. ჯერ 13 წლის ყმაწვილმა ცოლად შეირთო ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც მას ხუთი შვილი შეეძინა: ვაჟები - **დ ა ვ ი თ ი, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, ლ ა შ ა, მ ა ნ ო ვ ე ლ ი,** და ერთი ასული - **რ უ ს უ დ ა ნ.** დემეტრეს მეორე ცოლი იყო მონღოლი ქალი, სახელად - **ს ო ლ ღ ა რ,** რომლისგანაც მას გაუჩნდა კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი: **ბ ა ა დ უ რ ი, ი ა დ გ ა რ ი და ჯ ი გ დ ა-ხ ა თ უ ნ ი,** ხოლო მესამე ცოლად მეფეს ჰყავდა ბექა ჯაყელის ასული, **ნ ა თ ე ლ ა,** რომლისგანაც დაიბადა **გ ი ო რ გ ი,** მომავალი **გ ი ო რ გ ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე.**

მაშასადამე, დემეტრე მეფეს თავისი სიცოცხლის 29 წლის თავზე სამი ცოლისაგან 9 შვილი ჰყავდა.

ამაოდ ირჯებოდნენ საეკლესიო და საერო სჯულიერების მქადაგებელნი, „თვითბუნებაᲐ“ მეფის „გონს მოყვანაᲐ“ არავის ძალუძდა. მათ არ ესმოდათ, რომ დემეტრე მეფე შფოთით, კაეშნითა და სულიერი ზადიერებით აღსავსე დროის შვილი იყო და მას, ერთს, თუნდაც მამაცსა და გულუშიშარ რაინდს, არ შეეძლო წაღმა დაებრუნებინა ავი საისტორიო ბედისწერისგან ასე უკუღმართი ხიმძლავრით დატრიალებული ცხოვრების ჩარხი. მისი მძლავრი მხარ-მკლავი მაინც უმწეო იყო ქართველი ხალხის კისრიდან ჩამოეგდო ის უმძიმესი უღელი, რომელიც მსოფლიოს უმრავლეს ხალხთა ქედს ჩაჰკირვოდა ისე სასტიკად. ასეთ ბოროტ დრო-ჟამს, ნივთიერ სიდუხჭირესთან ერთად, ბევრი სულიერი ხინჯიც („ყოვლით კერძო ბოროტ“) მოჰქონდა. დემეტრე მეფეშიც მისი თანამედროვეობა ჩასახლებულიყო მთელი თავისი წინააღმდეგობებით: იგი პირდაპირი რაინდიც იყო და უპრინციპო რენეგატიც, დაკვირვებული ბრძენიცა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზეხელაღებული ავანტიურისტიც, თავმდაბალიც და ამპარტავანიც, უხვიც და ფულხარბიც. საზოგადო კაცთმოყვარეც და პატივმოყვარე ეგოისტიც.

მაგრამ ჯერ არავინ იცოდა, რომ მასში, თურმე, დიდი, უზემოესი კაცობრიული გმირი სუნთქავდა. . .

...1284 წელს ირანის მონღოლთა ყაენი შეიქნა **ა რ ღ უ ნ ი.** დემეტრე მეფე ახალ ყაენსაც ერთგულად ემსახურებოდა და „უცხო დროშის ქვეშ", „უცხო თესლთათვის" თავისი ქართველებით ისევ „ქართველთა წესისამებრ წინამბრძოლობდა". მონღოლთა კართან ქართველი მეფის სიახლოვეს ისიც განამტკიცებდა, რომ ყაენის მთავარი ვაზირი და უპირველესი მრჩეველი, **ბ უ ღ ა ჩ ი ნ გ ს ა ნ გ ი**, მისი ახლობელი და მოყვარე იყო: დემეტრეს ასული ცოლად ჰყავდა ბუღას ძეს.

მაგრამ 1288 წელს არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება გამჟღავნდა. შეთქმულების მეთაურობა ბუღა ჩინგსანგს დაბრალდა. ყაენის ბრძანებით ბუღას თავი გააგდებინეს. მოკლეს მისი ვაჟიც (დემეტრეს სიძე), ამოწყვიტეს მისი ახლობლებიც, ნათესავებიც. მას უკან, სახელმწიფოს ყოველ კუთხეში გაჟლიტეს ბუღასგან აღზევებული ყველა მოხელე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს საერთოდ არაფერი გაეგებოდა, რაის მიზეზით თუ საბაბით ასალმებდნენ წუთისოფელს.

ჯერ ფეხზე იდგა მხოლოდ ერთი „ბუღასთაგანი" - ქართველი მეფე დემეტრე...

და 1289 წლის საახალწლო დღეს იმანაც მიიღო „მიწვევა" მონღოლთა ურდოში.

მეფემ სახელმწიფო დარბაზი შეჰყარა, საერონი და სასულიერონი და ჰკითხა რჩევა, როგორ მოქცეულიყო. ყველა მიხვდა, რომ მეფეს გამძვინვარებული ყაენის კარზე უეჭველი სიკვდილი ელოდა, ამიტომ ყველამ ერთხმად ურჩია - მთებში გახიზნულიყო და თავისთვის ეშველა.

დემეტრემ ეს რჩევა არ მიიღო და ურდოში წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა. მან ასე მიმართა დარბაზს: „თუ არ წარვიდე მე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, მაშინ, აჰა, ყოველი სამეფო ჩემი მათ წინაშე ძევს, და იხილეთ: რაოდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან!.. მე ესრეთ ვჰგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ დღენი ჩვენნი, სიზმარებრ და აჩრდილებრ წარვლენ და ჩვენც შეუნელებელ და მსწრაფლ გვევალება წარსვლა ქვეყნისა ამისაგან. რა სარგებელს არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისაგან? აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან,

ვგონებ რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს!“

კვლავ ბევრი ურჩიეს, უმტკიცეს, არწმუნეს, მაგრამ ვერ გადაარწმუნეს და გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინეს.

„მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არა დავიშლი ურდოსა წასვლას!“ - საბოლოოდ დაბეჭდა მეფემ.

და გაემართა იგი მონღოლთა კარზე - საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად. მიდიოდა მეფური ღირსებით, ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული და ამალად ახლდნენ **აბრაჰამ კათალიკოსი, მოსე მღვდელი,** ერისთავნი და უფლისწული **დავით.**

მეფე ყაენს ეახლა.

იგი დაჰკითხეს. შეთქმულებაში მონაწილეობისა ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ მაინც საპყრობილეში ჩააგდეს.

ერთ ღამეს ქართველებმა რაღაც ხერხებით მეფის საკანში შეაღწიეს და მოახსენეს: გარეთ ცხენები გვიცდიან, შეჯექ და „განერე ხელთაგან ამათთა, რამეთუ არ არს ნაცვალი სულისა შენისა“.

გაუკვირდა მეფეს: ეს როგორ ჩაიდინეთ და თავი ასე უაზროდ გასწირეთო. განა, თავიდანვე არ ვიცოდი რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ მე ხომ ჩემი ერისათვის დავდევი თავი ჩემი და სული ჩემი. განა მე შემიძლია ეს ამაოებით აღსავსე და წარმავალი საწუთრო იმისთვის დავიბრუნო, რომ მის საფასურად ქართველი ხალხი მოისრას?

აღარ უცდიათ დარწმუნებულის გადარწმუნება.

დემეტრე ისევ მარტო დარჩა აღსასრულის მოლოდინში...

...ეს მოხდა მოვაკანს, 1289 წლის 12 მარტს, დილით სისხამზე.

საპყრობილედან გამოჰყავთ დემეტრე მეფე.

მიჰყავთ იქ, სადაც დგანან მონღოლთა ნოინები, ბაჰადურები, ნუქერები, ულდაჩები, ამხედრებული თათარი მეომრები.

მოშორებით დგანან ქართველები - აბრაჰამ კათალიკოსი, მოსე მღვდელი, ერისთავები. მოსე მღვდლის წინ დგას დავით უფლისწული, მეფის პირმშო.

მონღოლი მსაჯული აცხადებს არღუნ ყაენის ბრძანებას:

დემეტრე, მეფე ქართველთა, ისჯება სიკვდილით, თავის მოკვეთით.

წამსვე უცნაური ფერი ეფინება მეფეს სახეზე - დიადი, ცისკროვანი, შუქმოსიერი.

ქართველების დახშული ქვითინი არღვევს მდუმარებას.

მიეახლა დემეტრე თავისიანთა გუნდს და „მხიარულითა პირითა მოიკითხავდა მთავართა საქართველოსათ“. ყველა მოიკითხა სახეზე ღიმილდაფენილმა, ყველა დაამშვიდა და დაანუგეშა მის სანუგეშოდ მოსულნი. საქართველო და ქართველობა შეავედრა ყველას. დავითი ჩაიკრა გულში, ჩუმად, უცრემლოდ. მერე მშვიდადვე მოიშორა შვილი

მკერდიდან და ანიშნა მოსე მღვდელს. მიეახლა მოსე და მისცა ზიარება.

თორმეტი ცხენოსანი დაწინაურდა მონღოლ ნუქერთაგან, მარქაფ ცხენით. და შესვეს ცხენზე მეფე ქართველთა, შესვეს და „წარიყვანეს ვითარ მილიონ ერთ“.

ვითარ მილიონ ერთ!

მტკვრის პირას მიიყვანეს.

ჯალათებს დაასწრო და ცხენიდან თვითონ გარდახდა.

ისევ დაიძრნენ თათრები.

მცირე დრო ითხოვა ლოცვისათვის სიკვდილმისჯილმა ქრისტიანმა.

ილოცა ცრემლით, ილოცა საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის, თავის შვილთათვის.

მობრუნდა, ტანაშვეტილი და ქედამართული. ჯალათებს ანიშნა, მზად ვარო, მოიდრიკა და „წარუპყრა ქედი“...

ახლად აღმოხდენილი მზის შუქზე იელვა ხმალმა მტკვრის პირას.

და ცალ-ცალკე დაეცნენ დედამიწაზე საოცარი ქართველი კაცის ახოვანი ტანი და მშვენიერი თავი.

რამდენიმე დღე-ღამე დაუმარხავად ეყარა წამებულის ნაშთები დედამიწაზე. თათარი გუშაგები ადგნენ, რათა არავის წაეღო და დაემარხა ქრისტიანი ქრისტიანული წესით. მერე ისევ იმარჯვეს მოსე მღვდელმა და აბრაჰაამ კათალიკოსმა: მონღოლი გუშაგები მოისყიდეს და ცხედარი გამოიხსნეს.

შუაღამისას გამოაპარეს მოკლული მეფე. წინა დღეს ტფილისელ მეთევზეებს წააწყდნენ და იმათ შეეთქვნენ, მეთევზის ურემზე დაასვენეს მისი ნაშთები. ზემოდან თევზი დააყარეს. დიდის ვაი-ვაგლახით მოიტანეს მცხეთას.

და აქ „დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა“.

მადლიერმა ხალხმა მისთვის თავგანწირულ გმირს უწოდა - „თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი“.

...ილეწებოდნენ და იმუსრებოდნენ საუკუნენი.

დემეტრეს გმირობიდან 700 წლის შემდგომ ქართველთა უგვირგვინო ხელმწიფე დამჯდარიყო წამებული გვირგვინოსნის სახოტბოდ - ილია ჭავჭავაძე წერდა პოემას - „მეფე დიმიტრი თავდადებული“...

ეროვნული ბიბლიოთეკა



არღუნ ყაენის ნებით, აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დაჯდა **ვახტანგ მეორე,** ძე დავით ნარინისა, ხოლო მისი ხანმოკლე მეფობის (1289-1292) შემდგომ, მონღოლთა ახალმა ყაენმა, **ქეიღათუმ,** მეფედ დასვა დემეტრე თავდადებულის ვაჟი - **დავით მერვე** (1292-1311).

1295 წელს ირანის მონღოლთა ურდოში ახალი გადატრიალება მოხდა და ძალაუფლება ხელთ იგდო **ყაზანმა.** ორი წლის შემდგომ ყაზან ყაენმა საქართველოს მეფე ურდოში გაიწვია. დავით მეფე არ აღმოჩნდა მამისებრ გმირული სულის პატრონი. მან ურდოში წასვლაზე უარი თქვა, „რამეთე აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა“. იგი ჟინვანს გაიქცა, იქაური ციხეები გაამაგრა, ჯარი ჩააყენა და თვითონ მთებში გაუჩინარდა.

ამის შემდგომ ხუთი წლის მანძილზე მონღოლები განუწყვეტლივ ლაშქრობდნენ საქართველოში. ქართლი მიწასთან გასწორდა. მეურნეობა მოიშალა და ჩაკვდა. კაცის ხელით ნაშენები ყოველივე დაინგრა და დამიწდა. ადამიანური სული გატყდა და გამწარდა. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“...

...ძლივს მიიჟამა მეცამეტე საუკუნე - დაწყებული ქართველი ხალხის უბრწყინვალესი აღზევებით და ამზევებით, ხოლო განსრულებული უმძიმესი სისხლთა თხევებითა და დაქვეითებით.

დიადი მეთორმეტე საუკუნის „მსოფლიო მონაპოვარნი“ სავსებით შეიწირა მომდევნო ასწლეულის საოცარმა ბედუკულმართობამ.

გიორგი ლაშას აღსასრულიდან საუკუნის მიწურულამდე, 78 წლის მანძილზე, ქართველებმა გარეშე მტერთან გადაიხადეს 34 უმძიმესი ბრძოლა; აქედან - მოიგეს 17, წააგეს 17. ეს პირველად ხდებოდა, როცა ქართველები საომარი თალპიონიდან აქტიური ბალანსის გარეშე გადიოდნენ.

უფრო მეტი სისხლი ქართველებმა დააქციეს და დაიქციეს უცხო მიწაზე. „უცხო დროშის ქვეშ“, ანუ „უცხო თესლთა ისტორიის შესაქმნელად“ ქართველებმა გადაიხადეს 23 ბრძოლა.

ახალი, მეთოთხმეტე საუკუნე ახალი უბედურებით შემოიჭრა საქართველოს საისტორიო ჟამსაბრუნავში. 1301 წელს მონღოლთა შემოსევებით ჯანგავარდნილ ქართლს საშინელი შიმშილობა დაატყდა თავს. პური აღარ იშოვებოდა არავითარი ფულის ფასად. „ესოდენ გამძვინდა შიმშილი“, რომ „მძორსა არაწმინდასა ურიდად ჭამდნენ. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა. ყრმანი მკვდართა დედათა ლეშკთა სწოვდიან“ (იმ წლებში შიმშილობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ირანი, შუამდინარეთი და ეგვიპტე).

ერთადერთ ბედნიერებად ესღა დარჩენილიყო, რომ თათართა შემოსევებისაგან დაცული მესხეთი გადარჩენოდა შიმშილს. აქ „იპოვებოდა პური სასყიდლად". ქართლის დამშეული მოსახლეობა მესხეთს მიაწყდა. მესხებიც გულუხვად დაუხვდნენ სისხლისღვრითა და შიმშილით ღონეწართმეულ თანამოძმეებს. ბექა ჯაყელის მეუღლე, **ვ ა ხ ა ხ ი,** ქალი საოცრად სათნო და „ყოვლითურთ შემკობილი", სათავეში ჩაუდგა სამცხისაკენ ლტოლვილ ქართლელთა „უხვად და უზომოდ" დაპურება-დაბინავების საქმეს. საქართველოს სახელმწიფო ტახტისაგან განდგომილმა „მესხურმა ბელელმა" უხვი კალთა გაუხსნა თავის სისხლიერ ძმებს.

ხოლო, „განდგომილება" მესხეთისა, როგორც მკითხველს ახსოვს, ჯერ კიდევ დავით მეშვიდე ულუს დროიდან დაიწყო, როცა მეფის უმადურობით გაგულისებულმა სარგის ჯაყელმა მესხეთი მონღოლთა ყაენს ხასინჯუ-ულუსიანად შეავედრა და შეავრდომა. მისშემდგომ ქართველმა მეფეებმა დაკარგეს სამცხე-მესხეთი, ეს „ერთი მესამედი საქართველო". ამიერიდან მესხეთის მფლობელები, ჯაყელ-ციხისჯვარელნი, ქართველ მეფეთაგან განრირებულნი და თათართა ყაენის „კალთას შეფარებულნი", განაგებდნენ ქვეყანას ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე.

მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს „განრირება" მაინც პირობით ხასიათს ატარებდა. მრავალსაუკუნოვან ქართულ ფესვებზე ნაზარდ მესხურ „ინსტიტუტებს" მაინც არ შეეძლოთ დედა-ქართული სახელმწიფოებრივი ხისგან სავსებით მოკვეთილიყვნენ. მესხეთის ამაყი მბრძანებლები, ჯაყელ-ციხისჯვარელნი „სამცხის სპასალარის", „მანდატურთუხუცესისა" და „მეჭურჭლეთუხუცესის" ზახიან ტიტულებს ისევ „ტფილისელი მეფის" ხელდასმით ღებულობდნენ.

მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ყველაზე ძლიერი პიროვნება სწორედ სამცხის მთავარი, მანდატურთუხუცესი **ბ ე ქ ა ჯ ა ყ ე ლ ი** იყო. მისი სარდლობით 12 000 მესხმა სასტიკად გაანადგურა ბასიანსა და ტაოში ანაზდად შემოჭრილი 60 000-იანი თურქული ურდო, რომელსაც ვინმე **ა ზ ა ტ-მ ო ს ე** მოუძღოდა. „ახლად აღზევებულ თურქთა" მაშინდელმა განადგურებამ ყველა დიდსა და მცირე მტერს გაახსენა, რომ ქართველებს გამარჯვება არ დავიწყნოდათ...

ბექა ჯაყელმა, თურქთა ძლევის შემდგომ, ძლიერ ქართველ ხელმწიფეთა მსგავსად, დასავლეთისკენაც გაიწია - „პონტოური საქართველოს" შემოსამტკიცებლად. აქ, ტრაპიზონის საკეისროს სასახლის კარზე, კვლავ თავგამოდებით ებრძოდნენ ერთურთს ქართული და ბიზანტიური დასები. ბექა ჯაყელმა ტრაპიზონის კეისრის ტახტზე თავისი სიძე, **ა ლ ე ქ ს ი მ ე ო რ ე** აიყვანა, ტრაპიზონში მესხური ციხიონი

შეაყენა და თამარ მეფისგან შექმნილ სახელმწიფოში „ქართული ორიენტაციის“ საფუძვლები კვლავ განამტკიცა და გააძლიერა.

ბექა ჯაყელი დინჯი გულსრულობით და წინდახედულობით განაგებდა „თავის წილ საქართველოს“. მამაც სარდალსა და ჭკვიან ხელისუფალს სამართლისმცოდნისა და კოდიფიკატორის იშვიათი უნარიც აღმოაჩნდა. ბექა ჯაყელმა მისი დროის „იურისტთა“ საკრებულო შეჰყარა და მათი დახმარებით ქართული წიგნი შეადგინა - „წიგნი სამართლისა კაცთა შეცდომებისა ყოველისავე“...

...ხოლო ქართლი ისევ მოეცვა მონღოლურ ცეცხლსა და რკინას.

მთაში გადახვეწილ **დ ა ვ ი თ მ ე რ ვ ე ზ ე** გადამტერებულმა ყაზან ყაენმა საქართველოს „ნამდვილ მეფედ“ მისი ძმა, ვახტანგ დემეტრეს ძე გამოაცხადა. ვახტანგ მესამემ ექვსი წელიწადი (1302-1308) იმეფა „სრულიად საქართველოს მეფის“ ტიტულით, თუმცა სინამდვილეში მისი სამფლობელოს საზღვრები ტფილისისა და დმანის-სამშვილდის იქით აღარ მიდიოდა. ტფილისის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ მიწებს ისევ დავით მერვე ჩაფრენოდა, დასავლეთი საქართველო კვლავ დავით მეექვსე ნარინის შვილებს ეპყრათ, ხოლო სამხრეთი მხარე, დიდი მესხეთი ხომ, ისევ და ისევ ჯაყელთა ხელში იყო განკერძოებით.

ვახტანგს ჯერ კიდევ გამეფებამდე გაუვარდა ნიჭიერი და მამაცი ჭაბუკის სახელი. 1299 წელს ყაზან ყაენმა დიდი ლაშქრობა მოაწყო სირია-პალესტინიდან ეგვიპტელთა გასაძევებლად. ყაზანმა ვახტანგიც თან წაიყვანა ქართლელთა და მესხთა ჯარებით. მონღოლები და ქართველები შეიჭრნენ „ქვეყანასა ასურასტანისასა და შამისასა და მოაოხრებდეს“. მაშინ დიდძალი მხედრობით წამოვიდა ეგვიპტის სულტანი **ნ ა ს ა რ მ ე ლ ი ქ ი.** სასტიკი ბრძოლა გაიმართა ქალაქ **ჰ ე მ-ს თ ა ნ.** ქართველებმა აქ აშკარა სიკვდილისგან იხსნეს ყაზან ყაენი. მონღოლებმაც ფრთები გაშალეს ქართველთა „საკვირველი წინამბრძოლობით“ გაოხნევებულმა. დამარცხდნენ და „ივლტოდეს მეგვიპტელნი და ნასარ მელიქი“. ქალაქი ჰემსი აიღეს და დაიჭირეს გამარჯვებულებმა.

იმ წელსვე იერუსალიმსაც დაეუფლნენ მონღოლები და ქართველები. მერე დამასკოს ჯერიც დადგა.

ყაზან ყაენმა ქართველთა და სომეხთა სიმამაცესთან ერთად მათი მარადიული თანაძმობისა და თანადგომის ამბავიც კარგად იცოდა. ამიტომ მან, 1300 წლის გაზაფხულზე, ვახტანგი სწორედ ქართველ-სომეხთა ჯარით გაგზავნა დამასკოს დასაპყრობად. სასტიკი, თავზეხელაღებული იერიშებით აიღეს ქართველებმა და სომხებმა მსოფლიოში განთქმული ციხე-ქალაქი. აიღეს და მონღოლთა მბრძანებელს მიართვეს.

ოთხი თვე ძლივს მოათია მონღოლთა ციხიონმა დამასკოში. აჯანყდნენ დამასკოელნი და გამოდევნეს მათი ქალაქიდან მონღოლნი. ისევ გაიწვია

ლაშქრად ვახტანგი ყაზან ყაენმა. ისევ პირველნი შეეჭრნენ ქართველები და სომხები დამასკოში. მიჰყვნენ მონღოლები და სასტიკად აიკლეს დაცემული ქალაქი.

კიდევ სამი წელიწადი იბრძოდა „წინამბრძოლად" ვახტანგ მეფე თავისი ქართველებით მონღოლთა და ეგვიპტელთა შორის გამართულ სისხლიან პაექრობაში. ისევ ქართველთა „წინამბრძოლობით" გაიარეს, დაიპყრეს და გაძარცვეს მონღოლებმა ქვეყნები ტიგროსიდან ღაზამდე და სუეცის ყელამდე.

ზეობა გიორგი ბრწყინვალისა

ლომში ელვარებს მზე.
ს ე ნ ე კ ა



1314 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მეფე შეიქნა დემეტრე თავდადებულის უმცროსი ძე, ბექა ჯაყელის ასულის, ნათელასაგან მხოლოდშობილი - **გ ი ო რ გ ი მ ე ხ უ თ ე,** მალე ხალხისგან **„ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე დ"** წოდებული.

გიორგი მეხუთემ მემკვიდრეობად ქვედამხობილი და დაქცეული საქართველო მიიღო. მონღოლურ-თათრულმა ულელმა, ურჯუკმა ბასკაკობამ, სავსებით გააპარტახა და ძირფესვიანად ამოაგდო სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დახარკული ქართველი აგრიკოლა (მიწის მუშა) მის უსაყვარლეს და უმთავრეს საქმიანობას - მიწათმეურნეობას ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა თითქმის ყველა, ვინც კი მონღოლთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადაურჩა. საქართველოს ბარი სოფლიან-ქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

მონღოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უთავჟამო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „წესად მიღებულმ" ქართველთა „წინამბრძოლობამ" სამხედრო სიქველე უმაღლესი საზოგადოებრივი მოწოდებისა და პრივილეგიის საგნად აქცია. ახალი სოციალური შრე - **ს ა მ ხ ე დ რ ო ნ ი** - წარმოადგენდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების „ელიტას". ძველი აზნაურებიდან წინაურდებიან **„დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი"**. მეფის შემდგომ უმაღლეს მაგისტრატურებს იჭერენ **„მ თ ა ვ რ ე ბ ი"**, ანუ **„ს ა ქ ვ ე ყ ნ ო დ გ ა მ რ ი გ ე ნ ი"**, რომლებიც ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდნობით, ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უზენაეს ხელისუფლებას.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი", არსად „სამართალი არად იყოღა".

ასე იყო საქართველო მეთოთხმეტე საუკუნის კვირაძალს - დაშლილ-დაწიწკნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად.

და სრულიად დროზე მოევლინა თავის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე - ღირსი, იხსენიებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფეთა: ვახტანგ გორგასალისა, ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლისა.

გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს მთიანეთი მოიარა, მკაცრად მოიმტკიცა და ბართან ერთად ერთიან სახელმწიფოებრივ და ზნეობრივ კანონმდებლობაში მოაქცია. მეფის ახალ კანონმდებლობას, რომელიც სახელმწიფო დარბაზმაც მოიწონა, ეწოდა **„ძ ე გ ლ ი ს დ ა დ ე - ბ ა"**. საქართველო უბრუნდებოდა თავის ძველ, ტრადიციულ წესრიგსა და ზნეობრიობას. ფეოდალური განკერძოებულობა გზას უთმობდა ცენტრალიზებული ხელისუფლების შეუვალ, განუყოფელ და სიტყვაშეუქცეველ უზენაესობას. ბოროტი „ულუსობანი" (მონღოლური ზნე-ჩვეულებანი) მძიმედ, მაგრამ მაინც გარდუვალი ჟამგასულობით ილტვოდა ქართული ზნეობრივი სამყაროდან.

„ძეგლის დადებას" გიორგი ბრწყინვალემ ახალი სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური კანონმდებლობა მოადევნა. ესაა სახელგანთქმული **„ხ ე - ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს გ ა რ ი გ ე ბ ა"**, ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება. ეს ნიშნავდა თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას...

გიორგი მეფე ცხოველი ენერგიით იბრძოდა საქართველოს დანგრეული სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად და ასაყვავებლად. მონღოლ ბასკაკთა შიშით მთაში გახიზნულ ბარელებს ისევ თავის ნაფუძარზე აბრუნებდა, ამკვიდრებდა და ტრადიციული აგრიკოლური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა, ამხნევებდა, აქეზებდა, ეხმარებოდა.

მეფე ბევრს ზრუნავდა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. მისი გამეფების ჟამს მონღოლურ სამფლობელოებში ბატონობდა ყაზან ყაენის სახელობაზე მოჭრილი ფული, „ყაზანური თეთრი". ასევე იყო საქართველოშიც. გიორგიმ საგანგებო ფინანსური რეფორმით ფულად მიმოქცევაში გაუშვა თავის სახელზე მოჭრილი ახალი ვერცხლის მონეტა, **„გ ი ო რ გ ა უ ლ ი თ ე თ რ ი"**, რომელმაც ჯერ სრულიად დაჩრდილა, ხოლო მალე სავსებით გააძევა ფულადი მიმოქცევიდან უცხოური „ყაზანური".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ ფართოდ გაშალა კულტურული მშენებლობა. ხელი მიჰყო ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნაოხარი ქალაქების, სოფლების, სავანეების, ტაძრების, არხების, გზებისა და ხიდების აღდგენას, განაახლა დაქცეული და შერყვნილი ტაძრები - დადაბნისა, ფიტარეთისა, წუღრუღაშენისა, კაზრეთისა, დმანისისა.

ყველაზე მთავარი გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობაში მაინც ის იყო, რომ მან იარაღი აღმართა მონღოლთა უღლის ჩამოსაგდებად. აღმართა და თავისი გაიტანა კიდეც - მისი მეთაურობით ქართველებმა 1335 წელს დაამხეს ასწლოვანი ბატონობა მონღოლებისა.

ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო გმირად" იქცა, რადგან მონღოლთა მბრძანებლობაში მყოფ მსოფლიოს ხალხთაგან ქართველნი იყვნენ **პ ი რ ვ ე ლ ნ ი,** რომელთაც სწორედ გიორგი ბრწყინვალის მეთაურობით დაამხეს უბოროტესი „თათრული უღელი".

...მონღოლ-თათართა განდევნამდე გიორგი საქართველოს გაერთიანების საოცნებო საქმესაც შესდგომოდა. 1327 წელს მან შემოიერთა დასავლეთ საქართველო - იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და აფხაზეთი. საქართველოს უკიდურესმა ჩრდილოდასავლეთ სამანმა კვლავ მიაღწია ძველ საზღვარს - ნიკოფსიას (ტუაპსე).

1334 წელს გიორგი მეფემ შემოიერთა მესხეთი და სრულიად სამხრეთ საქართველო.

და ის იყო, გიორგი სამცხიდან ტფილისს მობრუნდა, რომ ფიცხლავ მოახსენეს: „რომელმან ნოინთაგანმან" მონღოლ-თათართა მხედრობით ადარბადაგანი დაიპყრო, რან-მოვაკანი მოარბია, განძამდეც მოაღწია და საქართველოს შუაგულის დალაშქვრასაც ეპირებაო.

გიორგი მაშინვე გაემართა მტერთან შესახვედრად.

განძის დასავლეთით შეიბნენ ქართველები და თათრები.

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო ხმლის ჯვარედინით. და „იქმნა ბრძოლა ძლიერი".

იძლივნენ და გაიქცნენ თათარნი. გამოედევნენ „სპანი მეფისანი მახვილითა და შემოიქცნენ გამარჯვებულნი „ალაფითა დიდითა".

ეს ბრძოლა ასე წარმატებით ჩაათავეს ქართველებმა და ახლა მცირე ჯარიდან წამოვიდა თურქ-ოსმალთა მამამთავარი, სულთანი **ო რ ხ ა ნ ი.** დიდი მხედრობით მოდიოდა იგი, „რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი".

გიორგი მეფეც ჩაეგება ურიცხვ მტერს და კლარჯეთის საზღვარზე სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველთა ძლევამოსილებით განესრულა. გაწყდნენ „ურიცხვნი თურქნი და ივლტოდნენ სულტნითურთ". გიორგი მეფე ტფილისს მობრუნდა გამარჯვებით გალაღებული და ალაფით დატვირთული.

ამის შემდეგ, ისევ მიმართა მეფემ აღმოსავლეთ და სამხრეთ-

აღმოსავლეთ ქვეყნებს. კვლავ შემოიერთა სომხეთი, დაიპყრო რანი, მოვაკანი და დაღესტანი, დახარკა შირვანი და ისევ აღმართა ქართული სამანი კასპიის ზღვაზე - ქალაქ დარუბანდს.

მაშ, გიორგი ბრწყინვალემ, „ვითარცა აღმაშენებელმან", კვლავ აღადგინა კავკასიელთა იმპერია „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის".

ხოლო 1341 წელს გიორგი ბრწყინვალემ ქართული დასის საჭეთმპყრობელობა ისევ აღადგინა ტრაპიზონ-პონტოს სახელმწიფოში და ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ისევ გადიჭიმა სინოპიდან არდაველამდის.

ისევ ახმაურდა მსოფლიო ლეგენდარული დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოს ხელახალი აღორძინების თაობაზე. ევროპა დიდის ამბით იხსენიებს ქართველთა ქვეყანას, ქართველთა დედაქალაქს, ქართველთა მეფეს. რომის პაპმა უმჯობესად სცნო, ევროპელთა საქრისტიანო კათედრა - რომელიც სარწმუნოებრივზე მეტად დიდსა და იდუმალ პოლიტიკურ ზრახვებს ემსახურებოდა - ქალაქ სმირნადან საქართველოს სატახტოში გადმოეტანა. ამასთან დაკავშირებით რომის პაპი **ი ო ა ნ ე XXII** თავის ეპისტოლეში წერდა: „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, უაღრესად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. ამიტომ... სმირნას საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულ ტფილისის ქალაქსა".

გიორგი მეხუთე თავგამოდებით ზრუნავდა აღედგინა „ყველა რჯულის" მსოფლიოში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი პრესტიჟი საქართველოსი.

გავიხსენოთ, - მეთერთმეტე საუკუნეში, **პ რ ო ხ ო რ ე ს** მეთაურობით, ქართველებმა იერუსალიმში ააგეს ჯვრის მონასტერი. მერე, დავით აღმაშენებელმა სინას მთაზე ააგო ქართული ეკლესია. ყოველივე ამას, სარწმუნოებრივი მნიშვნელობის გარდა, წმინდა პოლიტიკური მიზანდასახულობაც ჰქონდა: მუსლიმანურ აღმოსავლეთში და ქრისტიანულ ევროპაში ქართული პრესტიჟის „გამსოფლიობა". ავბედითმა მეცამეტე საუკუნემ ქართველებს ეს „მსოფლიო ძალისხმევანი" ხელიდან გამოსტაცა. მაჰმადიანმა ფანატიკოსებმა, ეგვიპტის სულტნის წაქეზებითა და თანადგომით, იერუსალიმის ჯვარის ლავრა ქართველ ქრისტიანებს წაართვეს და ისლამიტურ მიზგითად გადააკეთეს. ქართველებსაც ამიერიდან, სხვა ქვეყნის ქრისტიანთა მსგავსად, უფლება წაერთვათ ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ამას გარდა, მუსლიმებმა ქართველების დამცირებაც ისე გადაწყვიტეს, როგორც მანამდე ამცირებდნენ დანარჩენ ქრისტიანებს: ისინი, მაჰმადიანთაგან განსხვავებით ცხენზე თუ სახედარზე ჩვეულებრივ, მამაკაცურად კი არა, არამედ ცალგვერდით ფეხებგადაწყობილნი უნდა მჯდარიყვნენ, ვითარცა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაკაცები... იერუსალიმის ყოველი „წმიდა ალაგიც“, მათ შორის ქრისტეს საფლავი, უკლებლივ მუსლიმებს ჩაეგდოთ ხელში.

და მეფე გიორგი მეხუთემ ეგვიპტის სულტანს ელჩები გაუგზავნა - **პიპა ერისთავი** და დეკანოზი **იოანე ბანდასძე** - და მოსთხოვა: მიზგითი გაეუქმებინა ჯვრის მონასტერში და დაებრუნებინა იგი ქართველი ქრისტიანებისთვის; აღარ აეკრძალა ქართველებისთვის წესისამებრ ცხენზე ჯდომა და მათთვის მიეცა ყველა სხვა უფლებანი, რაითაც სარგებლობდნენ თვითონ მაჰმადიანნი; ქართველებს დაბრუნებოდათ ტრადიციული უფლება იერუსალიმში ქართული დროშებით შესვლისა; ბოლოს, ქრისტეს საფლავის კლიტეებს მოითხოვდა ქართველი მეფე.

ყველა ამ საკითხთა შესრულება მუსლიმთა წესით შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული. მაგრამ მუსლიმან ხელმწიფეებშიც იმდენად დიდი ყოფილა რიდი და კრძალულება საქართველოს მეფის წინაშე, რომ ეგვიპტის დიდმა სულტანმა უკლებლივ აღასრულა ყველა მისი მოთხოვნა.

მაშ, ისევ დაუბრუნდა ქართველებს მათი ტაძრები და სავანეები პალესტინასა და სინას მთაზე ისევ შედიოდნენ ქართველები იერუსალიმში ეროვნული დროშების რხევით და მხედრულ-რაინდული თქარუნით. ქრისტეს საფლავის კლიტეებიც ჩამოუტანეს გიორგი მეფეს მისმა ელჩებმა იერუსალიმიდან ტფილისში.

ფრიად ნიშანდობლივია გულზვავიან მუსლიმან მბრძანებელთა - მათ შორის, ყველაზე ძლიერ ეგვიპტელ სულტანთა მიმართვანი ქართველი ხელმწიფისადმი:

„ალლაჰმა დღეგრძელჰყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინისა მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (საერთოდ მართლმადიდებელ ქრისტიანთა) მეფეთა შორის საუკეთესოისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინდთა მფარველისა, თავის წინაპართაგან, ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საძირკველისა, წმინდა ადგილთა (პალესტინა-იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათელღებულთა მისაყრდნობელისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, უახლოეს მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“...

...მაშ, გიორგი მეხუთემ თავისი ქვეყანა აღადგინა, აღაშენა და აღამაღლა, საზოგადოდ - „ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღვარმან“, და კერძოდ - „ვითარცა დავით აღმაშენებელმან“.

და მას ქართველმა ხალხმა უწოდა „ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე“.

უწოდა, „რამეთე იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქნო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღუელნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა. სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებით და სადა ხამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა, და მეფობდა მეფობითა კეთილითა...“

მისი გმირობა, ცოტნე დადიანისა და დემეტრე თავდადებულის შემდეგ, მესამე უმშვენიერეს გაელვებად გაეკრა მონღოლური წყვდიადით დაფარულ ქართული ცის სხეულს.

და სწორედ მისმა შუქმოსიერმა გაელვებამ განაკრთო ასწლოვანი წყვდიადი ქართული ციდან.

10 წელიწადში მან მკვდრეთით აღადგინა და ძველ „გეორგიადულ მწვერვალებს“ დაუბრუნა 100 წლის მანძილზე უბოროტესი ხელით ნაწამები და ნაგვემი სამშობლო.

10 წელიწადში დაუბრუნა ქართველ კაცს: რწმენა საკუთარი თავისა, რწმენა საკუთარი ქვეყნისა, რწმენა საერთოდ ადამიანისა, რწმენა რწმენისა...

...და მოუკვდა იგი საქართველოს 1346 წელს.

დაკრძალეს გელათს!

საქართველო ახალ ცხოვრებას უნდა შესდგომოდა

- უ - ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე - ო დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაშინ მოვიდა თემურ სამარყნელი, ყოველითა სპითა ჩაღანელ, ქობანელ, სიყალბელ, ნაროელ, და ინდოსტანელ ყოვლითა სპარსელითა და აღმოსავლეთის ლაშქრით დიდითა, რისხვით და გულისწყრომითა“.

„ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა“.

გიორგი ბრწყინვალის აღსრულებიდან ორმოცი წელიწადი ძლივს მოათია საქართველომ უომრად, სისხლდაღვრელად, მშვიდობიანი გუთნისდედობით, ვაზის მზრდელობით, აღმშენებლობით.

აღმოსავლეთში უკვე აღმართულიყო ახალი, ყოვლის დამანგრეველი და ყოვლის წამლეკავი ტაიფუნი.

ეს იყო **თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი,** „თემურ-კოჭლი“. უმძლავრესი მესამე ტაიფუნი (ატილასა და ჩინგიზ ყაენის შემდგომ).

მოჰქროდა „კოჭლი რკინა-კაცი“.

უკვე დაეპყრო მთელი შუა აზია - მავერანნაჰრი, ხორეზმი და ხორასანი.

უკვე დაერბია, დაენგრია და სისხლის ალიზად ექცია მრავალი კულტურული შენამოქმედი.

უკვე დაედგა კოშკები ადამიანთა წარკვეთილი თავებისაგან!..

მხოლოდ თავისი სატახტო ქალაქის - სამარყანდის აშენების, აღზევების, გამშვენიერებისა და გამდიდრებისათვის, ზრუნავდა მსოფლიოს კულტურულ დასახლებათა დამანგრეველი და გამაოხრებელი.

მსოფლიოს დასამონებლად აღძრულიყო კაცთაგანი, რომელშიც ერთმანეთისგან განუყრელად ჩაკირულიყო კაციც და სატანაც, დიდი ხელმწიფეც და შარაგზის ყაჩაღიც, ბრძენიც და შლეგიც, კულტურის დამფასებელიც და კულტურის დამანგრეველიც, წიგნის მოთაყვანეც და წერა-კითხვის უცოდინარიც...

ხორასნიდან ირანს შემოიჭრა თემურლენგი. 1386 წელს მან აიღო თავრიზი. იქიდან სომხურ პროვინციებში შემოიჭრა ცეცხლითა და მახვილით. ზედიზედ აიღო გარნისი, სურმალუ და კარი. ციხეები მიწასთან გაასწორეს მისმა მეომრებმა, მოსახლეობა აიკლეს და ააწიოკეს, ტყვეჰყვეს „და ჭირი დიდი მოაწიეს მათ ზედა“.

კარის ციხის დაქცევის შემდეგ თემური და მისი მხედრობა ტფილისისაკენ წამოემართნენ.

მოდიოდა „სიმრავლე სპათა ურიცხვი, რომელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და სანახებნი საქართველოსანი“.

საქართველოს მაშინდელმა მეფემ, **ბ ა გ რ ა ტ მ ე ხ უ თ ე მ** (1360-1393) საომრად ამართული დაახვედრა დედაქალაქი მძვინვარე მტერს. მან მიაკლე სიტყვით მიმართა ქართველთა ლაშქარს: „ფრიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკვდილი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის,

ვიდრე-ღა მორჩილებასა, იძულებით შეპყრობასა და მონობაში". თქვა და ხმალშიშველი გაუძღვა ჯარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის გარეთ გაიჭრნენ ქართველები და საშინელი ხმალთაკვეთებით შეებნენ უკვე იერიშზე მომავალ მტერს.

თემურმა უკუქცევა ბრძანა.

მეორე დღეს ისევ დაიძრნენ იერიშზე თათარ-თურქმანნი.

ისევ უკუაქციეს ქართველებმა.

ათი დღე გაგრძელდა უსაზმნო რკენა.

უკანასკნელი, გადამწყვეტი იერიშისათვის გაამზადა თემურმა ურდო. ფლანგებზე ცხენოსანთა კორპუსები დააყენა, შუაზედ ქვეითი ათასეულები სქელ ტყედ შეჰყარა, გვერდებზე ფარები და თავზე რკინის წნულ-ჩელტები გადააფარა და, მძლავრი „საარტილერიო ცეცხლის" (ქვის ჭურვები ლოდსატყორცნებით) შემდეგ, მოწყდა და გამოქანდა „ყოვლითა ძლიერებითა".

გაეგებნენ ქართველები თავზე რკინაგადავლებულ ურდოს, შეუხტნენ და შეაწყდნენ უსაზმნოდ. რკინის ზღვამ გადათქერა და გადალეკა ტფილისის ციხიონი. ქალაქი მთელი დღე შეუწყვეტლივ ივსებოდა „რკინის ჩელ-ტიანებით".

ბაგრატ მეფე მთავარ ციხეში გამაგრდა გადარჩენილ თანამებრძოლთა თანხლებით.

ციხეს ალყად გარს შემოადგნენ თურქმან-თათარნი. საიერიშო კოშკები და ტარანები მიაგორეს და ისევ დაუშინეს ქვის ჭურვები.

ქართველები მაინც არ წყვეტდნენ ბრძოლას.

ბოლოს და ბოლოს, ქართველთა მეფეს „აგრძნობინეს", რომ თემური მზად იყო გმირი მეტოქისთვის უვნებლობის ფიცი მიეცა, თუკი იგი ნებაყოფლობით დანებდებოდა უეჭველი გამარჯვების პირზე მდგომ მოპირდაპირეს.

ბაგრატი დათანხმდა, ციხე ჩააბარა და თვითონაც ჩაბარდა.

პირველი შეხვედრისთანავე თემურლენგმა საქართველოს მეფეს ქრისტიანობის უარყოფა და სუნიტური მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა (თვითონ თემური სუნიტი იყო).

ბაგრატმა მაჰმადიანობის მიღებაზე ცივი უარი თქვა.

თემურმაც ქართველი ხელმწიფე, მეუღლე-დედოფალ **ანასთან** და **უფლისწულ დავითთან** ერთად მაშინვე ტყვედ აიყვანა.

(სხვათა შორის, ტყვედ წაყვანილ ბაგრატ მეხუთის ამალაში მოხსენიებულია აზნაური **დონა სააკაძე,** წინაპარი სახელოვანი გიორგი სააკაძისა).

თათართა ჯარებიც შეუდგნენ „თათრულ საქმეთა" განსრულებას, - ქალაქი გაძარცვეს, დაარბიეს და ააწიოკეს, მცხოვრებთაგან მრავალი ამოწყვიტეს, მრავალი დაატყვევეს და ბორკილდადებული წაასხეს.

უამრავი ნადავლ-ნაალაფარით დაიტვირთა თემური და მისი ლაშქარი; „რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს“.

თემურლენგმა ძვირფას ნადავლად თან წაიღო ქართველ მეფეთა მდიდარი და განთქმული ბიბლიოთეკა და ქართულ ეკლესია-სავანეთაგან გატაცებული „მრავალი საღმრთო და საერო წიგნები“. თემურის ბრძანებით, საქართველოდან წაღებული წიგნადი საუნჯენი სამარყანდს საგანგებოდ საბიბლიოთეკოდ გამზადებულ მეჩეთში დააბინავეს, რკინის ღობეებით შემორაგვეს, მტკიცედ დაკლიტეს, დაბეჭდეს და ზედ წყევლა-მუქარა დააწერეს, რათა „არავინ განიღოს მუნითგან წერილნი“ (წიგნი უყვარდა თემურლენგს, თვითონ წერა-კითხვის უცოდინარს; საგანგებო მკითხველთ აკითხებდა, ისმენდა, ტკბებოდა, სწავლობდა და ნასწავლით ბნელ სულს ინათლებდა);

თემურისათვის აქამდე დაპყრობილ მუსლიმან ქვეყანათა მართვა-გამგეობა საძნელო საქმეს არ წარმოადგენდა: ერთმორწმუნე მუსლიმური მოსახლეობა ერთმორწმუნე მუსლიმი მმართველის ხელქვეით ადვილად „დგებოდა“ და „ნებიერად“ იმართებოდა. ხოლო, სულ სხვა იყო ქრისტიანული საქართველოს ბატონპატრონობის საქმე. სარწმუნოებრივად უცხო, თავისუფლებისათვის თავგანწირვით მეომარი ხალხის მორჩილსაქმნელად მარტო მახვილი და რკინის ჩელტი საკმარისი არ იყო. ამიტომ თემურლენგმაც ის გადაწყვიტა, რაც არაერთგზის უცდიათ ქართველი ხალხის მოსისხლე სხვა მუსლიმან დამპყრობლებს: საქართველოში ქრისტიანობის მოსპობა და ისლამის დამკვიდრება. ჯერ მეფე უნდა მოქცეულიყო მაჰმადის სჯულზე, მერე მისი წაბაძვით და წინამძღვრობით ერიც უნდა გათათრებულიყო.

და შეუჩნდა თემურლენგი ბაგრატ მეფეს, განუწყვეტლივ უჩიჩინებდა, „ალერსიანად“ აძალებდა, „ძმურად“ ურჩევდა და „გულწრფელად“ არწმუნებდა: უმჯობესია და აუცილებელი, შენ და შენმა ხალხმა ქრისტიანობა დააგდოთ და მაჰმადიანობა მიიღოთო.

ჭკვიან ტყვეს გუმანით უნდა შეეტყო, როდის აევსებოდა ბოროტი ბედისწერისგან აღზევებულ ავზნიან გადამთიელს მოთმინების ფიალა... და ბაგრატ მეფემ თავის დროზე „გულისხმა-ჰყო“ და „მოიხელოვნა განზრახვა ესევითარი“: იგი „გატყდა“ და დათანხმდა მაჰმადიანობის მიღებას. მასთანვე, იქვე „მოაქციან“ მაჰმადის სჯულზე ყველა ქართველი მხლებელი.

„მაშინ ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა, და შეიტკბო მეფე ბაგრატ და პატივ-სცა დიდად, და უძღვნა საბოძვარი და შესამოსელი სახელმწიფო, საგებელ-სახურავი, მსგავსი სიდიდისა მათისა, დიდად ითვისა და მრავალსა კეთილს-უყოფდა“.

სამაგიეროდ ბაგრატმა ძვირფასი ჯაჭვის პერანგი აჩუქა თემურს. ეს საომარი პერანგი დავით წინასწარმეტყველის ნაქონიაო, არწმუნებდნენ ქართველები სიხარულით „გულაჩუყებულ“ მომთაბარე მბრძანებელს.

ურთიერთნდობის, პატივისცემისა და „შეტკბობის“ ატმოსფერო დადგა თემურსა და ბაგრატს შორის. ქართველი მეფე უპირველეს მრჩევლადაც დაისვა თემურმა. „დიდად სარწმუნო უჩნდა ლანგ-თემურს და მორჩილებდა სიტყუასა მეფისა ბაგრატისასა“.

ასეთი ურთიერთობის ფონზე ბუნებრივად უნდა წარმოჩენილიყო სამსახური, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ბაგრატმა შესთავაზა თემურს: მომეცი შენი დიდი ჯარი, მისი თანხლებით ჩავალ საქართველოში და მაჰმადის სჯულზე მოვაქცევ მთელ მის მოსახლეობას, ყველგან მთაშიც და ბარშიც.

თემურმა „განიხარა სიხარულითა დიდითა“. გამოარჩია 12 000 მხედარი, „უჩინა“ სარდალი, აახლა ბაგრატს და გამოუშვა საქართველოში.

რასაკვირველია, ასეთი ურთიერთნდობა მხოლოდ გარეგნული „ეთიკის“ სამოსელს ატარებდა. ცბიერი თათარი „გაერთგულებულ“ ქართველს სინამდვილეში ჯარს ატანდა არა როგორც მეფესა და მთავარსარდალს, არამედ როგორც დატყვევებულ მტერსა და მოსისხლეს.

ერთი სიტყვით, ორივეს ცალკეულად, ერთიმეორის მიმართ, საკუთარი გაუმხელელი განზრახვა ჰქონდა...

მოეშურებოდა ბაგრატ მეფე თათართა მხედრობით საქართველოსაკენ. არავის შეუმჩნევია, რომ ქართველი მეფის „გათათრებულ“ ამალაში აღარ ჩანდა ერთი ქართველი - აზნაური **რ უ ს ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი**. იგი მანამ გაუჩინარებულიყო, სანამ ბაგრატი და თათართა ჯარები ყარაბაღიდან გამოვიდოდნენ.

რუსი ეგნატაშვილს წერილი მიჰქონდა ქუთათისს, უფლისწულ **გ ი ო რ გ ი ს თ ა ნ**. მამა სწერდა შვილს: „მე მოვალ სპითა ლანგ-თემურისათა და თქუენცა შეიყარეთ სპანი საქართველოსანი და მზირად წინა შეგუემთხვიენით ერთსა სიმაგრესა და ვიწროთა გზათა ზედა, და მეცა მოვალ თქუენ თანა, და უქმნათ წინაუკანა, და მოვსრათ პირითა მახვილისათა, და ვიძიოთ შური პირველი, რომელ ჰყვეს მათ ჩუენ ზედ“.

სასწრაფოდ შეჰყარა იმერთა ჯარი უფლისწულმა გიორგიმ, ფრთამალედ გადმოვიდა ქუთათისიდან, ქართლისა და მესხეთის ჯარებიც შეიერთა და ერთ რომელიღაც ვიწრო ხეობაში ჩასაფრდა მამისა და მხლებელი მტრის მოლოდინში.

ლოდინიც აღარ დასჭირვებიათ დიდხანს. ბაგრატ მეფე ხევში შემოუძღვა გულდანდობილად მომავალ თათართა მხედრობას. ერთბაშად წამოიშალნენ ქართველები, წინა და უკან ჩაუჭრეს ვიწრო გზა და მიესივნენ მტერს შიშველი ხმლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათართაგან მოამბეც აღარ გასულა ცოცხალი. 12 000 მონღოლ-თურქმანი შეეწირა ქართულ მახვილებს.

ეს თემურლენგის პირველი დიდი მარცხი იყო მის „დასავლურ ლაშქრობათა“ ასპარეზზე.

და წამოვიდა **მ ე ო რ ე დ** საქართველოსკენ მოულოდნელი მარცხით გაშმაგებული თემურლენგი. მოდიოდა „ძალითა მრავლითა და საშინელებითა ზარის-სახდელითა, საყვირთა და დაბ-დაბ ცემითა და ბუკთა ტკრციალითა“.

მიეგებნენ ქართველები.

კვლავ დადგა ბრძოლა უმძიმესი, სისხლნაჯერი და სიკვდილ-მთესველი.

საოცარი შემმართებლობით იბრძოდნენ მეწინავე „ახალმოსაკენი“ ბაგრატ მეფისა. ახლად ფრთააშლილმა ჭაბუკებმა „პირველსავე კუეთებასა ზედა მიდრიკნეს“ თემურის მეწინავენი. თვითონ თემურს საგანგებო ცხენოსნები გაემზადებინა, რომელთაც უნდა დაეჩეხათ ყოველი თავისიანი, ვინც კი ბრძოლის ველს გამოექცეოდა. მძიმედ, მაგრამ მაინც ქართველთა მხრისკენ იხრებოდა ბრძოლის სასწორი.

მაშინ „იხადა მახვილი“ თვითონ თემურმა და ავი ყივილით გამოიჭრა სიკვდილის ხაზზე. გამხნევდნენ თათრები და სრულის ძალებით შემოუტიეს ქართველთა განახევრებულ ჯარს. თათართა მხრისკენ გადაქანდა ბრძოლის სასწორი. უკუიქცა ბაგრატ მეფე გადარჩენილი ჯარის ნაშთებით.

ცეცხლითა და მახვილით შემოესივნენ ქართლის მიწა-წყალს მომთაბარენი. მოსახლეთაგან ვეღარავის მოახელთეს, რადგან წინასწარ გაეხიზნა ბაგრატ მეფეს ხალხი კავკასიონის მთებსა და ხევხუვებში. უარესი გახელებით შეუდგნენ ძარცვას, რბევას და ნგრევას დამპყრობელნი. „მოითარეშეს, მოაოხრეს და დაწვეს ყოველნივე შენობანი, და უფროსღა წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინნეს და დაწვეს ცეცხლითა“, შემუსრეს მცხეთის სვეტიცხოველი. ქვაბთახევის მონასტერში მღვდელ-მონაზონ-მოწესენი შეჰყარეს, გამოკეტეს და გარედან ცეცხლი წაუკიდეს. დიდძალი ნაძარცვით დატვირთული გაბრუნდა საქართველოდან თემურლენგი.

მ ე ს ა მ ე დ 1393 წელს შემოესივნენ თემური და მისი მაოხარი მოლაშქრენი საქართველოს. ამჯერად სამცხე-მესხეთი მოითარეშეს და მოძარცვეს. მესხები გააფთრებით ებრძოდნენ მრისხანე მტერს. თათრებმა სამცხის მიწაზე ფეხი ვერ დაიმაგრეს და უკანვე გაბრუნდნენ.

თემურლენგს დაუძინებელი მტრობა ჰქონდა ჩრდილო-მონღოლური ულუსის, ოქროს ურდოს ყაენთან, **თ ო ხ თ ა მ ი შ თ ა ნ**. თან იგი ეჭვობდა, რომ თოხთამიშთან ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მაშინდელ მეფეს, ბაგრატის ძეს, **გ ი ო რ გ ი მ ე შ ვ ი დ ე ს** (1393-1407), რომელსაც შეეძლო დარიალი გაეხსნა და სამხრეთისკენ,

ირანის დასალაშქრავად გამოეშვა თემურლენგის ჩრდილოელი მეტოქეები. ამიტომ 1394 წელს თემურლენგი **მ ე ო თ ხ ე დ** წამოვიდა საქართველოსკენ, ამჯერად არაგვ-დარიალანის ხელში ჩასაგდებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის ხეობა ურიცხვი თათრული მხედრობით გაივსო.

არაგველი ქართველები მარად ჩვეული სიმამაცით დაუხვდნენ მტერს.

თემურლენგს ძვირი უჯდებოდა ბრძოლა ყოველი ციხისათვის, უღელტეხილისათვის, ბილიკისათვის. მაინც გააღწია დარიალზე, მაგრამ შეიტყო, რომ ოქროს ურდოელებს დარუბანდის კარი გადმოულახავთ და შირვანში შემოჭრილან.

სასწრაფოდ გამობრუნდა დარიალიდან თემური.

ქართველები კვალდაკვალ მოსდევდნენ და ხამუშ-ხამუში მძაფრი თავდასხმებით თათართა ძალებს ათხელებდნენ.

მტკვრის ხეობაც ვაი-ვაგლახით გაიარა თემურის ურდომ, შირვანს გავიდა, მაგრამ უკვე გადაესწროთ დარუბანდზე ჩრდილო ულუსიანებს. მომდევნო 1395 წელს თემურლენგმა თერგის პირას სასტიკად გაანადგურა თოხთამიში, გაქცეულსაც მისდია და ვოლგაზე სატახტო ქალაქიც წაართვა და საძირკვლამდე დაუნგრია.

1394 წელს თემურლენგი ინდოეთის დასაპყრობად გაემართა. გზაზე ავღანეთი დაიპყრო - ქაბული, ჰერათი, ჰიმალაიც აიღო და ინდოეთში შეიჭრა ცეცხლითა და რკინით, აიღო და გაძარცვა სრული ფენჯაბი, აიღო დელი და იქიდან მდინარე განგისაკენ გაეშურა ძარცვა-რბევითა და ნადირობა-ნადიმობით. ის იყო მიატანა კიდეც ინდოეთის მეორე დედამდინარეს, რომ მოულოდნელი ამბავი წამოაწიეს: ისევ აჯანყებულან ქართველები, მეფე გიორგი მეშვიდის მეთაურობით შეტევაზეც გადმოსულან, ადარბადაგანი აულიათ, ირანული ციხეები დაუპყრიათ, თათართა ციხიონები გაუჟლეტიათ და ქართული ციხიონები ჩაუყენებიათ, და ქართველთა წაბაძვით, თურმე სხვა ქვეშევრდომებიც აჯანყებისთვის ემზადებიან.

მაშინვე გამობრუნდა ინდოეთიდან თემურლენგი.

და 1399 წელს, გვიან შემოდგომაზე, იგი **მ ე ხ უ თ ე დ** შემოესია საქართველოს. ეს იყო მტრის უმძიმესი შემოსევა, რომელიც კი ოდესმე განეცადა ქართველთა ქვეყანას. ამჯერად აღმოსავლეთის მხრიდან, კახეთ-ჰერეთიდან მოიწევდა თათართა ურდო. წინასწარ ხშირი ტყეები გააჩეხვინა თემურმა თავისიანებს და ისე გაიგდეს გზა ქვეყნის სიღრმისკენ. მაგრამ დიდი თოვლი მოვიდა და კვლავ განუწყვეტლივ და განიადაგებით თოვდა. თემური ორ კვირაში აპირებდა საქართველოს სრულ ამოგდებას, მაგრამ ომი გაჭიანურდა. ქართველები უსისხლოდ არ თმობდნენ არც ერთ გოჯ მიწას. მაშინ ბრძანა თემურმა: ქართულ მიწაზე მოესპოთ და მოეთხარათ ყოველივე საარსებო, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო არსებობა ქართველი კაცისა: - აეჩეხათ და ამოეძირკვათ ბაღები, ამოეგდოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და წარეხოცათ ბოსტან-ბაღჩები, აეჩეხათ და ამოეთხარათ ვაზ-ვენახები, დაეძარცვათ, დაენგრიათ და დაეწვათ ყოველნაირი ნაგებ-ნაშენობანი. კერძო სახლებიც, ყოველი შრამელიც, სასახლეებიც, საყდრებიც და ეკლესია-მონასტრებიც.

და ყოველივე აღესრულა: აჩეხეს, აკაფეს, ამოძირკვეს, ამოთხარეს, დაანგრიეს, ქვა-ქვაზე არ დატოვეს, ფერფლად აქციეს და ქარს გაატანეს. თვითონ თემურის მაამებელი მეისტორიე გაიძახოდა გაოცებული: თემურლენგს ინდოეთში ლაშქრობის დროსაც არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში დააქციაო!..

მაგრამ ზავს მაინც არავინ იხვეწებოდა მსოფლიოს დამანგრევლის წინაშე ქედდადრეკილი და ქვედავრდომილი.

ავად სდუმდა ძეხორციელთაგან დაცარიელებული, მთასა და ტყე-ღრეში გახიზნული ქვეყანა.

ავი მდუმარებით კრიჭაშეკრული ტოვებდა თემურლენგი მტრისათვის ეგზომ მწარე ქვეყანას, ქართველთა მიწა-წყალს.

მ ე ე ქ ვ ს ე დ 1400 წელს შემოესია საქართველოს თემურლენგი.

გიორგი მეფემ ისევ მთებსა და გამოქვაბულებში დახიზნული დაახვედრა ხალხი მოსისხლეს. ისევ ასჩეხეს, ამოთხარეს და გადალეკეს ყოველი ნერგი და ჭირნახული თათრებმა, ისევ ანგრიეს და ნაცარტუტად აქციეს ნაშენები კაცის ხელისა. მერე მთებსა და ხევხუვებს შეუყენა ჯარები თემურმა, შეხიზნული ხალხის საჟლეტად.

და გაჩაღდა „სამთო ომები". თათრები საგანგებოდ გაწყობილ გოდრებში და კალათებში სხდებოდნენ და თოკზე ჩამობმულნი კლდეებზე გამოქვაბულთა პირდაპირ ეშვებოდნენ. აქედან უშენდნენ ისრებს ქვაბულებში შეხიზნულ ქართველებს. შეხიზნულებიც შიგნიდან სროლითვე პასუხობდნენ მტრის „საჰაერო დესანტებს". ან თუ მოახელთებდნენ თოკებს ჰკვეთდნენ და „დესანტები" უფსკრულებში ცვიოდნენ და იღუპებოდნენ.

ვერ შეძლეს დამპყრობლებმა მთაში გახიზნული ქართველების ვერც ამოწყვეტა, ვერც დამორჩილება და დამონება. თათრები მთიდან დაეშვნენ. ქართველები ისევ „პარტიზანულ" ომზე გადავიდნენ და მოულოდნელი თავდასხმებით აჩანაგებდნენ ქართლის მიწაზე გაფენილ ურდოებს. მაინც დიდძალი ნაძარცვი აიღო და 60 000 ტყვეც წაიყვანა იმ წელს თემურმა საქართველოდან.

კ ი დ ე ვ ო რ ჯ ე რ ილაშქრა თემურლენგმა საქართველოში, 1401 და 1403 წლებში. ჯერ თორთუმის ციხე აიღეს თათრებმა, ხოლო ბოლოს, მერვე ლაშქრობის დროს, ქართლში ბირთვისის ციხე დაიპყრეს და დასავლეთ საქართველოსაკენ წამოემართნენ. შვიდასამდე სოფელი ააოხრეს იმერეთში თათრებმა. ქუთათისამდე მიაღწიეს ვაი-ვაგლახით. ხალხის გააფთრებულმა წინააღმდეგობამ ისევ გააქცია უკან ველური

დამპყრობელი...

...მიდიოდა თემურლენგი საქართველოდან, 17 წლის ამაო სისხლისღვრით გატეხილი და დამარცხებული.

„დიდი ისკანდერის (ალექსანდრე მაკედონელის) ბედის რაშიც მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯესთანის მიწაზეო!“ - თავს ინუგეშებდა იგი.

მიდიოდა და ფიქრობდა ჭმუნვით: მართლა დაიპყრო ის, რაც „დაიპყრო?!“

17 წელიწადი ებრძვის იგი უზარმაზარი ურდოებით საქართველოს, 17 წელი! სხვა რომელ დიდ ქვეყანასთან დასჭირვებია ამოდენი დროისა და საომარ ძალთა მსხვერპლად გაღება. ამ ერთმუჭა ხალხთან ხმალთა-კვეთებას რომ შეალია? ჩვიდმეტი წლის წინ მოვიდა აქ 50 წლის ვაჟკაცი და ახლა აქედან მიდიოდა 67 წლის ბებერი. .. მიდიოდა და არკი იცოდა, ბოლოს და ბოლოს, მან - ოქროს ურდოს, მავერანნაჰრის, ხვარაზმის, ხორასნის, ირანის, ინდოეთის, მესოპოტამიისა და თურქეთის დამპყრობელმა - დაიპყრო თუ არა ეს ერთი ციცქნა მარცვალი დედამიწისა, საქართველოს რომ ეძახიან!

დამცრობილ-დაშრეტილი მიგორავდა უკან ტაიფუნი.

თავს კი იმით ინუგეშებდა: „დიდი ისკანდერის ბედის რაშიც მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯესთანის მიწაზე“.

საქართველოდან გასვლის ორი წლის თავზე მოკვდა თემური.

საქართველო კი საქართველოდ დარჩა, თუმცა მძიმედ დაზიანებული, დანგრეული და სისხლდადენილი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყდა, ქვეყანა ნანგრევებად იქცა, სამეურნეო ცხოვრება მოიშალა. მძიმე ჭრილობების მოშუშება მძიმედვე ვიდოდა. საუკუნეები სჭირდებოდა უდიდესი ნივთიერი და სულიერი ზარალის ანაზღაურებას.

ყანა-ვენახი ძეძვსა და ეკალს მოეცვა.

მგელი ყმუოდა ძაღლის ნათევარზე.

ზარნაშო ჰკიოდა მამლის ნაყივარზე.

გარდასულ იყო მეთოთხმეტე საუკუნე.

მეთოთხმეტე საუკუნის ქართულ სამყაროში იდგა დიდი იმედიც და დიდი უიმედობაც, იყო გიორგი ბრწყინვალეც და იყო თემურლენგიც.

მეთოთხმეტე საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტერთან გადაიხადეს 23 უმძიმესი ბრძოლა. აქედან - მოიგეს 14, წააგეს 9.

8 დიდი ბრძოლა გადაიხადეს „უცხო დროშის ქვეშ“, „უცხო თესლთა ისტორიის შესაქმნელად“.

მაინც გიორგი ბრწყინვალის „აღმაშენებლური მამულიშვილობით“ სუნთქავდა მეთოთხმეტე საუკუნე.

გიორგი ბრწყინვალე - „ყოველი საქართველოს“ უკანასკნელი გამაერთიანებელი!

(ნუთუ მართლა უკანასკნელი?!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება.
ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

ქართველი კაცი მაინც იმედიანად უცქერდა მომავალს, ისევ მხნედ გუთნისდედობდა, რგავდა, ახარებდა, აშენებდა და ამაგრებდა.

მაგრამ საქართველოს ისევ გამოუჩნდნენ ახალი საშიში მტრები. ეს იყო თურქმანთა ახალი გვარ-ჯილაგი – **ყ ა რ ა - ყ ო ი ნ ლ უ**, ანუ „შავბატკნიანები“ (რადგან დროშაზე შავი ბატკანი ეხატათ). მათმა ბელადმა, **ყ ა რ ა - ი უ ს უ ფ მ ა**, ირანში მძლავრი მონარქია შექმნა და საქართველოსკენ დასძრა დიდძალი მხედრობა.

1407 წელს უმძიმესი ბრძოლა მოხდა თურქმანთა და ქართველთა შორის.

გმირის სიკვდილით დაეცა მეფე გიორგი მეშვიდე.

ქართველ მეომართა უმრავლესობა ფეხმოუცვლელად შეაკვდა რიცხვმრავალ მტერს.

საქართველოს მეფე შეიქნა **კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ი რ ვ ე ლ ი (1407-1411)**, გიორგი მეშვიდის ძმა, რომელსაც ისევ მოუხდა თურქმანებთან საომრად გასვლა. ყარა-იუსუფმა შირვანის დასაპყრობად დაძრა ლაშქარი. შირვანის მფლობელმა ტრადიციულ ხელისუფალს, ქართველ მეფეს სთხოვა დახმარება. კონსტანტინე მეფე 2000 ქართველით გაეშურა შირვანელთა მისაშველებლად.

ბრძოლა მოხდა ჩალაღანთან, 1411 წლის მიწურულს.

შირვანელები პირველ ხმალზედვე გაექცნენ ბრძოლას, მათი ბელადი ყელზე თოკჩაბმული მიართვეს ყარა-იუსუფს. ქართველები მარტო შერჩნენ გარშემორტყმულნი მტრის ურიცხვ მხედრობას. სხვა რაღა დარჩენოდათ და, იმდროინდელი მუსლიმანი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებმა „თავგანწირული ბრძოლა გააჩაღეს და წელზე წინააღმდეგობის სარტყელი შემოირტყეს“. საარაკო სიმამაცით იბრძოდა თვითონ კონსტანტინე მეფე. ორი ათასი ქართველიდან ათას შვიდასი დაეცა განგმირული, ხოლო სამასი, მათ მეფესთან ერთად, ტყვედ შეიპყრეს „შავბატკნიანებმა“. რისხვამ აიტანა ყარა-იუსუფი, როცა სამასივე ქართველმა უარი თქვა მის წინაშე ქედის დადრეკასა და მუხლის მოყრაზე. მან ხელგაკრული ქართველი მეფე საკუთარი ხელით მოჰკლა, ხოლო დანარჩენი ქართველები თავის მხლებლებს ჩაახოცინა.

საქართველოს ტახტზე ავიდა ძე მოკლული კონსტანტინესი, **ა ლ ე ქ - ს ა ნ დ რ ე პ ი რ ვ ე ლ ი (1412-1443)**, ენერგიული და ნიჭიერი ხელმწიფე, ხალხისგან „დიდის“ ტიტულით შემკობილი.

ალექსანდრემ შეძლო აღეკვეთა თურქმანთა შემოსევები საქართველოში. მან რამდენჯერმე გაანადგურა და განდევნა „ურჯულონი“.

1431 წელს ქართველებმა თათრებს ხელიდან გამოჰგლიჯეს და შემოიმტკიცეს ლორე და მისი ველები. შემდეგ შემოიერთეს სივნიეთი (ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები). ამით საქართველოს ამოწყვეტილ მოსახლეობას 60 ათასი კომლი შემოემატა.

საქართველოს ხელახალმა აღორძინებამ ისევ აღძრა მუსლიმანთაგან შევიწროებული სომეხი ხალხი ქართულ საზღვრებში თავშესაფარებლად. დედაწულიანად მოდიოდნენ და გულდანდობილად სახლდებოდნენ - სამშვილდეში, ტფილისში, კრწანისში, გორში, უფლისციხეში, ვარდისუბანში, თმოგვში, ოთაში... ყველგან, სადაც მოისურვებდნენ მოძმენი მოძმეთა მიწაზე...

ალექსანდრე პირველის მეფობის შემდგომ საქართველოში ფრიად გამძლავრდა და გამძაფრდა შინაპოლიტიკური რღვევის პროცესი. ცალკე რეგიონთა მესვეური-ფეოდალები ისევ მიელტვიან ცალკე, მიკრომონარქიული განცალკევებისაკენ. უკვე სავსებით დამოუკიდებლად ეჭირა თავი მესხეთის, ანუ სამცხე-საათაბაგოს მთავარს - ათაბაგს.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ამ მსოფლიო გლოვის ზარმაც განსაკუთრებული ავისმაუწყებლობით სწორედ საქართველოს ცის თაღზე დარეკა. საქართველოს სამხრეთ-დასავლურ კარიბჭეებთან ერთმორწმუნე, კულტურული ბიზანტიის ნაცვლად, სავსებით „უცხოთესლოვანი“ თურქულ-ოსმალური იმპერია გადაჭიმულიყო. ხოლო, სამხრეთ-აღმოსავლეთით - ირანის კიდევ ახალი მონარქია იწვა - მონარქია **ა ღ ყ ო ი ნ ლ უ**, ანუ „თეთრბატკნიანებისა“.

და ეს ორი ახალი ვეშაპი იმზირებოდა ავი მზერით ამიერკავკასიის ქრისტიანული სამყაროს ჩასანთქავად.

ხოლო, ევროპა, რომელმაც ბიზანტიური ტრაგედია დაუშვა, მხოლოდ ტრაგედიის შემდეგ მიხვდა თავისი უსულგულო გულგრილობის შედეგთა საშინელებას. მიხვდა და შეიშმუშნა კიდეც. რომის პაპებმა - ჯერ ნიკოლოზ მეხუთემ, შემდეგ კალიქსტე მესამემ და ბოლოს პიუს მეორემ - თურქთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომისაკენ მოუწოდეს საქრისტიანო სამყაროს. პაპის ელჩი, ლუდოვიკო ბოლონიელი, საქართველოში ჩამოვიდა. გადაწყდა, ახალ ჯვაროსნულ ომში უნდა გასულიყო - საქართველოდან 70 000, ტრაპიზონ-პონტოდან 30 000 და მცირე სომხეთიდან 20 000 მეომარი, მაგრამ აზიელ ქრისტიანთა ცხოველი საომარი სამზადისი ამაო გამოდგა: ევროპელი მონარქები სავსებით უინტერესო მთქნარებით შეხვდნენ „შორეული კონსტანტინოპოლის“ დახსნის საქმეს.

...მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს საქართველო ხვდება ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული ნივთიერად, დაქვეითებული კულტურულად, დაჩიხული სულიერად, დაწიწკნილი პოლიტიკურად.

ამ საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 28 ბრძოლა. აქედან - მოიგეს 18, წააგეს 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც აღარ არსებობს „იმპერია“ საქართველოსი „ნიკოფსიით დარუბანდამდის“. არამედ - საქართველოს ნანგრევებზე წარმოქმნილან „საქართველოები“:

ქართლის სამეფო,
კახეთის სამეფო,
იმერეთის სამეფო,
სამცხის სამთავრო, საათაბაგო.

იმერეთის სამეფოდან ცალ-ცალკე მიისწრაფიან: საბედიანო სამეგრელო, აფხაზეთი და გურია.

ერთმანეთს მტრობენ, მესისხლეობენ, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებენ უერთმანეთოდ, დაქსაქსულად, ერთმანეთის საზიანოდ, „ერთიანი ფრონტის“ დავიწყებით და დამიწებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპა ჯვაროსნული ომების წინ

XI-XV საუკუნეები ევროპის ისტორიაში ფეოდალიზმის აყვავების ეპოქას წარმოადგენს. დავიწყოთ გერმანიით.

როგორც ზემოთ, თავის ადგილზე ითქვა, - გერმანიის სახელმწიფო, **ოტონ** I-ის დროს, რომის პაპისგან "რომის საღვთო იმპერიად" იყო მონათლული. მაგრამ ოტონ I-ის სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრეების დროს, მტრობა ჩამოვარდა და გამწვავდა თვითონ რომის მღვდელმთავრებსა და გერმანიის იმპერატორებს შორის. მაშინ, ერთი საუკუნის (1024-1125 წწ) მანძილზე, გერმანიის სათავეში იდგნენ **ფრანკონული** დინასტიის წარმომადგენელნი (მაშასადამე - ეს მაშინ, როცა საქართველოში მეფობენ: ბაგრატ IV, გიორგი II და დავით აღმაშენებელი).

მაშინდელი გერმანიისა და საერთოდ ევროპელ მონარქთა საომარ ძალას **რაინდობა** წარმოადგენდა. იმპერატორი **კონრად** II (1024-1039 წწ) განსაკუთრებით ბრუნავდა სწორედ რაინდთა ერთგულების მოსახვეჭავად, მათთვის **ლენების,** ანუ **ფეოდების** დარიგება-მიკუთვნებით.

ფეოდების ასეთი დარიგება და მემკვიდრეობითი დამტკიცება წესად იყო ქცეული მთელს ევროპაში.

ამავე დროს, მთელს დასავლეთ ევროპაში უაღრესად მაღლდება და ფართოვდება კათოლიკური ეკლესიისა და მისი მამამთავრის, რომის პაპის გავლენა. მკვიდრდება აზრი, რომ საეკლესიო ანუ პაპის ძალაუფლება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საერო ანუ სამეფო, თუ საიმპერატორო ხელისუფლება. ასეთი დაპირისპირების ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია დაპირისპირება რომის პაპ **გრიგოლ** VII **ჰილდებრანდსა** (1073-1085 წწ) და გერმანიის იმპერატორ **ჰენრიხ** IV-ს (1056-1106 წწ) შორის.

ჰილდებრანდი, უკიდურესად ფანატიკოსი, ცბიერი, შეუპოვარი და მბრძანებლური ხასიათის სამღვდელო იყო. მას ახლობელთა შორისაც, „წმინდა სატანას" ნერონივით „მოყვარულს" და „არწივის კლანჭებით მოალერსეს" ეძახდნენ.

ამ ბრძოლაში, უპირატესობის სასწორი პაპისაკენ გადაიხარა და ჰენრიხ IV იძულებული გახდა იტალიაში გამგზავრებულიყო გრიგოლის წინაშე ქედის მოსახრელად და პატიების გამოსათხოვრად.

პაპი მაშინ **კანოსას** ციხესიმაგრეში (ტოსკანაში) განისვენებდა და იმპერატორმაც იქ მიაკითხა.

პაპმა კი, სანამ მიიღებდა, სამი დღე-ღამე აცდევინა და აყურყუტა კანოსას კართან თავისი ამალით ფეხზე მდგარი იმპერატორი.

ეს მოხდა 1077 წლის იანვარში და, აქედანვე წარმოსდგა დამამცირებელი ფიგურალური გამოთქმა - „კანოსაში წასვლა“!.. ამიერიდან იმპერატორი უნდა შერიგებოდა იმას, რომ მის საბატონო გერმანიაში ეპისკოპოსებს, თვითონ კი არა, არამედ რომის პაპი დანიშნავდა.

. . . . . .

ამ დროს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე იჯდა **ბასილი II ბულგართმჟლეტელი** (976-1025), რომელიც - მარტო გამეფებით კი არა, სიცოცხლითაც ყრმობითვე დავალებული იყო თორნიკე ერისთავისაგან (გავიხსენოთ, რომ სწორედ თორნიკე ერისთავმა თავისი ქართული ჯარით, მდ. ჰალისის პირას, გაანადგურა ტახტის მაძიებელი ბარდა სკლიაროსი). ბასილის ოცდახუთი წელიწადი, განუწყვეტელი ომები ჰქონდა ბულგარელებთან. ბოლოს, როგორც იქნა, გაიმარჯვა და თხუთმეტი ათას ბულგარელს თვალები დათხარა. „ბულგართ-მჟლეტელიც“ იმ დღიდან დაერქვა ბასილი კეისარს.

ბასილის კიევის რუსეთთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. ქრისტიანობაც ხომ მაშინ (988 წ.) მიიღეს რუსებმა, სწორედ ბიზანტიიდან (მაშასადამე, ქართველთა ქრისტიან-ნათლობიდან, დაახლ. 660 წლის შემდეგ)...

1021 წელს, ტაო-ბასიანისთვის ხომ ომი ატყდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ანუ ბასილი მეორესა და გიორგი პირველს შორის.

მაშინ ბიზანტიელებს რუსები ახლდნენ მოკავშირეებად. ქართველთა და რუსთა პირველი შეხვედრა და გაცნობაც სწორედ მაშინ მოხდა-მაინც და მაინც საომარ მახვილთა ჯვარედინით... საერთოდ კი, ომი მაშინ ბიზანტიელთა და ქართველთა შორის ცვალებადი მიმოქცევით წარიმართა და კომპრომისული ზავითაც დასრულდა: ქართველებმა ტაო დაინარჩუნეს, ბიზანტიელებმა - ბასიანი.

ბასილი მეორის სიკვდილის შემდეგ, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე, ნახევარი საუკუნის მანძილზე, თერთმეტი იმპერატორი მიჰყვა ერთმანეთს (გავიხსენოთ: მათგან - მიხეილ დუკას მეუღლე-დედოფლად ეჯდა ქართველი მეფის, ბაგრატ მეოთხის უმშვენიერესი ასული - მართა-მარიამ) და ყველა მათგანის მმართველობა ყოფნა-არყოფნის კრიზისით იყო მოცული.

ყოველი მხრიდან უტევდნენ ბიზანტიას: აღმოსავლეთიდან თურქ-სელჩუკები, ჩრდილოეთიდან პაჭანიგები, დასავლეთიდან ნორმანები.

გარედან შემოტევებს შინააშლილობანიც დამთხვეოდა იმპერიად წოდებულ სახელმწიფოში. ეს იყო განხეთქილება თვით ქრისტიანულ ეკლესიაში.

1054 წელს, რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიები საბოლოოდ გაითიშნენ: დასავლეთის კათოლიკური ეკლესია რომის პაპის წინამძღ-ოლობით, აღმოსავლეთის ორთოდოქსალური ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქის მეთაურობით. ამით კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით გაესვა

ხაზი ოდინდელი რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებად სამუდამოდ გათიშვას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთით კონსტანტინოპოლი თავისი ბერძნული ენით და ორთოდოქსალური ქრისტიანიზმით, დასავლეთით რომი თავისი ლათინური ენით და კათოლიკური ქრისტიანიზმით.

დრონი ჯვაროსნული ლაშქრობებისა

მაგრამ ქრისტიანული სამყაროსათვის - ერთნაირად ბიზანტიისა და ევროპისათვის, საერთოდ უდიდეს საშიშროებად ქცეულიყო აზიიდან ინტენსიურად მოწოლილი ისლამურ-მაჰმადიანური აგრესია. თვით აზიაშიც ხომ თვით ქრისტეს და ქრისტიანიზმის სამშობლო პალესტინაც მუსლიმთა ხელში იყო. 1010 წელს, მუსლიმანებმა ქრისტეს საფლავიც კი დაანგრიეს და შებილწეს იერუსალიმში. და, ევროპაშიც უკვე მწიფდებოდა და მტკიცდებოდა მისწრაფებანი აზიაში ლაშქრობებისა, ქრისტესმიერი წმინდა ადგილების დახსნისა და გადარჩენისა. უკვე დაწყებულიყო სამლოცველო-სახალხო სვლანი ევროპიდან აზიისაკენ, პალესტინაში „წმინდა ადგილთა შინა“ სალოცავად და სათაყვანოდ.

რელიგიურის გარდა, იყო სხვა, არანაკლებ ძლიერი მოტივები დასავლეთელთაგან აღმოსავლეთში ლაშქრობათა გარდუვალობისა. ჯერ ერთი, ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო წინა საუკუნეებშიც დაწყებული და გავრცელებული, მთელი მსოფლიოს შემარყეველი „ხალხთა დიდი გადასახლებანი“, რომელთაგან განსაკუთრებით გამოიკვეთა ჰუნების შემოსევა აზიიდან ევროპაში და ნორმანების შემოსევები ჩრდილოეთ ევროპიდან (სკანდინავიიდან) სამხრეთ ევროპაში, ანუ ჩრდილოეთის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამასთანავე, რაინდული ფეოდალიზმი თავისთავად, თითქოს „ორგანულ-სხეულებრივად“ გულისხმობდა, თუნდაც „სახელისა“ და „სახრავის“ მოსაპოვებლად ინტენსიურ საომარ ლაშქრობას. ასეთი შორეული გალაშქრების ტენდენციებს აძლიერებდა იმავე XI საუკუნის ევროპაზე თავსდატეხილი სტიქიური უბედურებანი: წყალდიდობანი და წარღვნა-წალეკვანი, გვალვები და მოუსავლიანობანი, უმძიმესი ეპიდემიური ავადმყოფობანი.

ბოლოს და ბოლოს, ყველა ეს უბედურება ფასდებოდა ღვთის წყრომად „ყოვლად ცოდვილი კაცობრიობის“ თავსა ზედა და, ბუნებრივად, საზოგადოების ყოველ ფენაში იბადებოდა დაუცხრომელი მისწრაფება პალესტინის წმინდა ადგილებში გამგზავრებისა, - ვინ ჯვარით ხელში სალოცავად და ვინ მახვილით ხელში იმავე წმიდა ადგილთა “ურ-

ჯულოთაგან დასახსნელად და გადასარჩენად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმჟამად დაწინაურებული იტალიური ქალაქებიც - განსაკუთრებით, გენუა და ვენეცია, ბუნებრივად, თავიანთ ინტერესებიდან გამომდინარე, აქეზებდნენ და აძლიერებდნენ ევროპელთა სწრაფვას აზიისაკენ.

ისედაც, მაჰმადიანური აზიისა და ქრისტიანული ევროპის ხუთასწლოვანი ხმალთაკვეთება ჯერჯერობით მაინც ხომ პირველის სასარგებლოდ მიდიოდა. აკი თვით ევროპაში (ესპანეთში) კვლავ გრძელდებოდა ბატონობა არაბებისა. დღეს თუ ხვალ, სიცილია, იტალია და მთელი სამხრეთ ევროპა, კონსტანტინოპოლიდან გიბრალტარამდე, მაჰმადიანური იატაგანის ქვეშ უნდა მოქცეულიყო.

ბიზანტიაც არასდროს ისე მძიმე მდგომარეობაში არ ყოფილა, როგორც მაშინ. თურქ-სელჩუკები კონსტანტინოპოლს ზედ ყელში წვდომოდნენ - მის პირდაპირ, ასიოდ კილომეტრზე, ქალაქ ნიკეაში ჩადგომა-ჩამკვიდრებით.

სამხრეთ იტალიაში ნორმანებიც უკვე მკვიდრობდნენ; იტალიიდან ბალკანეთზეც შეჭრილიყვნენ, ეპირიც დაეპყროთ და თესალიიდან და მაკედონიიდანაც მიერეკებოდნენ ბიზანტიელებს.

ბიზანტიის მაშინდელმა იმპერატორმა, **ალექსი კომნენოსმა** (1081 - 1118) მაინც შეძლო ნორმანების განდევნა ბალკანეთიდან. მაგრამ იმავე ჟამს ჩრდილოეთიდან პაჭანიგებს და ყივჩაყებს მოაქვთ იერიშები იმპერიაზე.

პაჭანიგებს და ყივჩაყებს მაშინვე თურქ-სელჩუკები შეეთქვნენ და შეუკავშირდნენ. ასე გადაწყდა ამ ახალ მოკავშირეთა ძალებით ერთად დაერტყათ კონსტანტინოპოლისათვის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

და ასეთი უკიდურესი საფრთხის ჟამს, იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა დახმარებისაკენ მოუწოდა თანაქრისტიან ევროპას - რომის პაპს და ევროპის სახელმწიფოთა მეთაურ-მონარქებს.

და, აი, 1095 წლის 24 ნოემბერს, საფრანგეთის ქალაქ **კლერმონში**, საგანგებოდ მოწვეულ საეკლესიო ყრილობაზე, რომის პაპმა **ურბან** II-მ მოუწოდა ევროპის ქრისტიანებს აღმოსავლეთში სალაშქროდ, ურჯულოთაგან წმიდა მიწისა და უფლის საფლავის დასახსნელად, თანაც ასეთი განაცხადით: „ვინც აქ დღეს არის მწუხარე და ღატაკი, იქ გაიხარებს და გამდიდრდება“!

უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ამ მოწოდებამ. იქვე წარსდგნენ სალაშქროდ შეყრილნი; მხრებზე ჯვრები გაიკრეს და შეჰფიცეს, რომ ასე „ჯვაროსნულად“ გაეშურებოდნენ დაუყოვნებლივ აღმოსავლეთის სალაშქრო გზებზე.

თვითონ ბიზანტიის იმპერატორს იმ კლერმონის კრებამდე და პაპის მოწოდებამდე, დაემარცხებინა და განედევნა თურქ-სელჩუკებიც, პაჭანიგებიც და ყივჩაყებიც, მაგრამ კონსტანტინოპოლის „ხსნა“ ვის ახსოვდა: ევროპა აზიის დასაპყრობად და გასამდიდრებლად ისხამდა ჯვარ-

საც და ხმალსაც.

და, გაგრძელდება ჯვაროსნული ომები მთელი ორასი წელიწადი. სრულად XII-XIII საუკუნენი.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა იყო ღარიბ-ღატაკი გლეხობისა საფრანგეთიდან და დასავლეთ გერმანიიდან. სულ 80 000 სულს მოეყარა თავი, მათ შორის მრავალი მთელი ოჯახით აყრილი და ლაშქარს გარეული. წინამძღოლებად მეუდაბნოე **პეტრე ამიენელი** და რაინდი **ვალტერ გოლიაკი** მიუძღოდათ. მიდიოდნენ და გზაზეც მრავლად უერთდებოდნენ, მრავლად მძარცველ-ავაზაკიც. გზა და გზა ძარცვა-რბევასაც არ ერიდებოდნენ. განსაკუთრებით, სადაც შეხვდებოდნენ და წაეწეოდნენ - ებრაელობას იკლებდნენ. გზაზე თვითონაც მრავლად დაიღუპნენ და კონსტანტინოპოლს განახევრებულებმა ჩააღწიეს.

იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა ეს „ჯვაროსანი ბრბოები" კონსტანტინოპოლიდან აზიის მიწაზე გადასხა. იქ კი, უმალვე თურქსელჩუკთა ჯარები მიესივნენ და თითქმის მთლიანად გაწყვიტეს, მათგან ძლივს ათასიოდე თუ გადარჩა, იმ პეტრე ამიენელთან ერთად.

იმავე 1096 წლის ბოლოს, გერმანელ ჯვაროსან რაინდთა ლაშქარიც მოვიდა კონსტანტინოპოლში, ჰერცოგ **გოტფრიდ ბულონელის** წინამძღოლობით, თავისი ძმების - **ბალდუინისა და ევსტაფის** თანხლებით.

მალე გერმანელებს ფრანგი რაინდები მოჰყვნენ: ჩრდილოეთ საფრანგეთიდან - **რობერტ ნორმანდიელისა** და **რობერტ ფლანდრიელის** მეთაურობით; ხოლო სამხრეთ საფრანგეთიდან **რაიმუნდ ტულუზელის** წინამძღოლობით. ამათ თან ახლდათ რომის პაპის რწმუნებული, ეპისკოპოსი **ადემარი.**

სამხრეთ-იტალიელ რაინდებს კი მოუძღოდნენ **ბოჰემუნდ ტარენტუმელი** და მისი ძმისწული **ტანკრედი.**

სულ, ამ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობდა ორმოცი ათასამდე ევროპელი.

ჯვაროსნები თავს იყრიდნენ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ იქაური იმპერატორის მოთხოვნით ფიცი უნდა დაედოთ, რომ აზიაში თურქთაგან წართმეული ტერიტორიები ბიზანტიისთვის დაებრუნებიათ. ბოლოს და ბოლოს, რაინდებმა ასეთ ფიცს ხელი მოაწერეს, თუმცა სამომავლოდ მისი შესრულება გულშიაც აღარ გაუვლიათ.

1097 წლის ზაფხულში, ჯვაროსნებმა, როგორც იქნა, კონსტანტინოპოლი დატოვეს და აზიაში გადავიდნენ. გადავიდნენ და ქალაქ დორილეასთან პირველ შეხვედრისთანავე თურქები დაამარცხეს. იქედან სირია-მესოპოტამიის საზღვარზე, დიდი სტრატეგიული პუნქტი - ქალაქი **ედესა** დაიჭირეს და მის მმართველად ბალდუინ ბულონელი დასვეს. 1098 წლის ზაფხულში კი, ჯვაროსნები დაეუფლნენ ანტიოქიას, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობა ჩაიბარა ბოჰემუნდ ტარენტუმელმა. მაშინვე, ანტიოქიის სამხრეთით, ტრიპოლის ოლქი რაიმონდ ტულუზელმა დაიქვემდებარა.

მომდევნო 1099 წელს კი, ჯვაროსნები შეიჭრნენ თვითონ პალესტინაში და, 15 ივნისს, შტურმით აიღეს იერუსალიმი, და - ქრისტეს წმიდა ადგილთა გვერდით, არც ხოცვა-ჟლეტისა და ძარცვა-რბევისათვის დაუკლიათ ხელი.

(გავიხსენოთ: ამ წელსვე დავით აღმაშენებელმა თურქული ხარკისაგან გაათავისუფლა თავის ქვეყანა).

ამავე წლის ბოლოს, ყველა გამარჯვებათა შეჯამებით, ჯვაროსანთა ხელში იყო სირია, პალესტინა, და ფინიკიაც, აქაური ზღვისპირა ქალაქებით - ტვიროსი, სიდონი, აკრა, სულ, აზიის მიწაზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ათას ორასი კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმულიყო მბრძანებლობა ჯვაროსან-ევროპელთა.

მაშინვე თავისი სახელმწიფოც შექმნეს და საქვეყნოდ გამოაცხადეს ჯვაროსნებმა, სახელწოდებით - **იერუსალიმის სამეფო**, რომლის პირველ მეფედ გამოცხადდა გოტფრიდ ბულონელი. მაგრამ გოტფრიდი მალე მოკვდა და ახალი სამეფოს ტახტზე მტკიცედ დაჯდა მისი ძმა ბალდუინი (1100-1118 წწ).

ამ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთაგან ბევრი უკანვე, ევროპაში დაბრუნდა, ხოლო ვინც დარჩა - დაახლოებით, ათი ათასამდე კაცი, განსაკუთრებულ საომარ ორგანიზაციებად, ქრისტიანულ-რაინდულ **ორდენებად** ჩამოყალიბდნენ. ამ ახალ ჯარს მრავლად ქრისტიანი ბერმონაზვნები უერთდებოდნენ. ასეთი „ძმათა-რაინდთა ორდენები, რომელთაც სათავეში **მაგისტრები** ედგათ - თავის უმაღლეს ხელისუფლად მიიჩნევდნენ რომის პაპს.

1119 წელს ფრანგმა რაინდებმა დააარსეს **ტამპლიერების** („ტაძრელების") ორდენი. ამას მოჰყვა იტალიელ ჯვაროსანთაგან **ჰოსპიტალიერების** ანუ **იოანიტების** ორდენის გამოცხადება. უფრო გვიან, 1190 წელს, გერმანელი რაინდებიც აარსებენ თავის **ტევტონთა** ორდენს. თანაც, ტევტონთა ორდენმა, ჩამოყალიბებიდან მალე, პალესტინა დატოვა და დაბრუნდა გერმანიაში, სადაც იგი სამომავლოდ აქტიური მონაწილეობით გაითქვამს სახელს საერთოდ ევროპის საომარ ისტორიაში.

მიუხედავად რაინდული ორდენების ჩამოყალიბებისა, იერუსალიმის ქრისტიანული სამეფო მაინც სუსტ და უდღეურ სახელმწიფო ორგანიზაციად გამოსჩანდა. 1144 წელს, თურქებმა ჯვაროსნებს წაართვეს და დაისაკუთრეს ედესა და სომხეთი. იერუსალიმის მეფემ რომის პაპს შესთხოვა, კვლავ გაეგზავნა ჯვაროსნული ჯარები ევროპიდან.

და აი, 1147 წელს, ისევ დაიძრნენ ევროპელები აზიის დასალაშქრავად. ამ მეორე ჯვაროსნულ-რაინდობაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის მეფე

ლ უ ი VII და გერმანიის მეფე **კ ო ნ რ ა დ** III, რომელთა ლაშქრობა ამაო და უშედეგო აღმოჩნდა. დამასკოსთან მომხდარ ბრძოლაში, 1149 წელს, ისინი დამარცხდნენ და უკან გამობრუნდნენ.

სრულიად მაჰმადიანურ სამყაროს იმჟამად სათავეში მოექცა ეგვიპტის სულთანი, ფრიად ნიჭიერი და მამაცი **ს ა ლ ა დ ი ნ ი** (1171-1193), წარმომავლობით ქურთი. ეგვიპტის გარდა, მას დაეპყრო სირიის და მესოპოტამიის მნიშვნელოვანი ნაწილნი და დაჟინებით მიელტვოდა იერუსალიმის ქრისტიანული სახელმწიფოს მოსასპობად.

მაშინ ევროპა კვლავ ახალ, მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობად (1189-1192) დაიძრა აზიისაკენ: გერმანელი რაინდები იმპერატორ **ფ რ ი დ რ ი ხ** I **ბ ა რ ბ ა რ ო ს ა ს** მეთაურობით, ფრანგები - მეფე **ფ ი ლ ი პ ე** II **ა ვ გ უ ს ტ უ ს ი ს** წინამძღოლობით და ინგლისელები მეფე **რ ი-ჩ ა რ დ** I **ლ ო მ გ უ ლ ი ს** ბელადობით.

ამათგან პირველმა - ფრიდრიხ ბარბაროსამ, პალესტინამდეც ვერ ჩააღწია: სირიაში, ერთი მთის მდინარის, სალეფას გადალახვისას, იმავე მდინარეში ჩაიხრჩო და უმეფოდ დარჩენილი მისი მეომრებიც უკანვე გამობრუნდნენ.

ფრანგ და ინგლისელ მეფეებს კი, ერთმანეთი სძულდათ და სალადინის ჯარებთან მათ ცალ-ცალკე ბრძოლებს ნაკლები შედეგები მოსდევდა. მაინც უფრო ენერგიულად რიჩარდ ლომგული მოქმედებდა. მან ჯერ კუნძული კვიპროსი დააგდებინა მაჰმადიანებს. ამის შემდეგ, ინგლისელებმა და ფრანგებმა ერთად აიღეს ციხექალაქი **ა კ რ ა**, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე (1191 წელს). აქედან, გამარჯვებულნი პალესტინაში შევიდნენ, მაგრამ ფრანგთა მეფე თავის ფრანგებით საფრანგეთში გაბრუნდა. მარტოდ დარჩენილმა რიჩარდ ლომგულმა კი, თავისი ინგლისელებით, 1192 წლის აგვისტოში, იაფასთან მომხდარ ბრძოლაში, თვით სალადინიც კი დაამარცხა. მაგრამ იერუსალიმის დაუფლება მაინც ვერ შეძლო და სალადინთან ზავის შეკვრა იკმარა. ამ ზავით ქრისტიან მლოცველებს ნება ეძლეოდათ, თავისუფლად ევლოთ პალესტინის წმინდა ადგილთა მოსახილველ-მოსალოცავად.

XIII საუკუნის დამდეგს, პაპი **ი ნ ო კ ე ნ ტ ი** III-ის მოწოდებით, მოეწყო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც გაგრძელდა ორი წელიწადი (1202-1204 წ.წ. ანუ წლები, როცა ქართველები ამარცხებენ თურქებს დვინთან, განძასთან, შემოიერთებენ არჭეშს, მანასკერტს, ატ-ტინსა და ხლათს).

თავიდანვე განზრახული იყო პირდაპირ მუსლიმთა მთავარ ბირთვზე - ეგვიპტეზე გალაშქრება, რისთვისაც ჯვაროსნებმა ზღვაზე ხომალდებით გადაყვანა სთხოვეს ვენეციის დოჟს, ენრიკო დანდოლოს, რომელმაც თავის მხრივ, მთხოვნელებს მარშრუტი შეაცვლევინა და პირდაპირ კონსტანტინოპოლისკენ გალაშქრება გადააწყვეტინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიხსენოთ, რომ მაშინ საქართველოში თამარის მეფობისას, ბიზანტიის იმპერატორი იყო ხარბი მძარცველი ალექსი III ანგელოსი - იმ თამარისგან დაჯილდოებული ათონელი საეკლესიო მოღვაწეებიც რომ გაძარცვა...

ალექსის ტახტი თავისი ძმის, ისააკ III-ისთვის წაერთმია, თვალებიც დაეთხარა და საპყრობილეშიც ჩაეგდო. ბრმა ისააკი საპყრობილედან გაქცეულიყო და ვენეციისთვის შეეფარებინა თავი.

და აი, ახლა ყველა ერთად - ჯვაროსნებიც და ვენეციელებიც, ვითომ ლტოლვილი ისააკის ქომაგად, მოეშურებოდნენ კონსტანტინოპოლისაკენ. მივიდნენ კიდეც და მაშინვე, 1204 წელს, კონსტანტინოპოლი იერიშით აიღეს, ალექსი დაამხეს და ისააკი აღადგინეს. მთელი ქალაქი, ყოველი სასახლე და ტაძარი, მათ შორის თვით აია სოფიაც სრულად გაძარცვეს და გააოხრეს. თვით იმპერიაც დაშალეს, მის უდიდეს ნაწილს ვენეციელები დაეუფლნენ და თავის სამფლობელოს ახალი სახელიც - „ლათინური იმპერია“ უწოდეს.

აღმოსავლეთით, თამარმა და მისმა ქართველებმა დაასწრეს და ბიზანტიის ძველ-პონტოურ ტერიტორიაზე ტრაპიზონის იმპერია დააარსეს. ტრაპიზონისა და ლათინურ იმპერიათა შორის კი, ნიკეიის იმპერია შექმნილიყო.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა ასე. ხოლო, 1261 წელს, ნიკეის იმპერატორმა **მიხეილ VIII პალეოლოგოსმა** კონსტანტინოპოლი აიღო და ბიზანტიის იმპერიის ხელახალი აღდგენაც გამოაცხადა.

ჯვაროსნობის ხანა კი, კვლავ გრძელდებოდა; თუმცა, უკვე არა იმ მასშტაბით, როგორც წინარე ოთხი ლაშქრობა.

1212 წელს (იმ წელს, რა წელსაც გიორგი ლაშამ ხელახლა აიღო და შემოიერთა ნახიჭევანი, ოროტნი, ხლათი, არზრუმი, შალვა ახალციხელმა დაიპყრო კეჩროლი), ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობებიც კი მოეწყო, ცალკე საფრანგეთიდან და ცალკე გერმანიიდან. ორივე მხარეს ათასობით ბავშვი დაიღუპა, მძიმე ლაშქრობით, თუ შიმშილ-წყურვილით; მრავალი მონად გაიყიდა, გაიფანტა და გადაიკარგა.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო 1217-1219 წლებში, უნგრეთის მეფის, **ანდრია** II-ის წინამძღოლობით. ეს გალაშქრება მოეწყო ეგვიპტისაკენ. კიდევაც შეიჭრნენ ნილოსის დელტაში, ქალაქი დამიეტაც აიღეს, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ ყველაფერზე ხელი აეღოთ და ევროპისაკენ გამოესწროთ.

მეექვსე ლაშქრობა, 1228-1229 წლებში, კვლავ გერმანელებმა მოაწყვეს, ფრიდრიხ ბარბაროსას ძის, **ფრიდრიხ** II-ის მეთაურობით. პალესტინაშიც შევიდნენ მაშინ გერმანელები, იერუსალიმიც დაისაკუთრეს. მაგრამ მალე, 1244 წელს, იერუსალიმი ისევ თურქებმა დაიჭირეს და

ამიერიდან იგი ქრისტიანებისათვის სამუდამოდაც დაიკარგა.

მეშვიდე და მერვე ჯვაროსნული ლაშქრობანი, 1248-1254 წლებში, მოაწყო საფრანგეთის მეფე ლუი IX-მ. ჯერ მან ეგვიპტეში ილაშქრა, მაგრამ იმდენად წარუმატებლად, რომ ტყვედაც კი ჩავარდა და დიდძალი გამოსასყიდით თავი ძლივს გამოიხსნა. მეორე ლაშქრობა აფრიკაში - ტუნისში მოაწყო ლუი IX-მ, მაგრამ აქ თურმე კიდევ უარესი უიღბლობა ელოდა: სწორედ ტუნისში მდგარ ფრანგთა ბანაკში ჭირმა იფეთქა, მეფესაც გადაედო და საფრანგეთს იგი უკვე მკვდარი დაუბრუნდა.

ჯვაროსნული ომების შემდგომ

ჯვაროსნულ ლაშქრობებს ევროპელი ჯვაროსნები, მარტო აზიაში კი არა, თვითონ შიგნითვე, ევროპაში, საკუთარ ქვეყნებშიც აწყობდნენ. მიზეზად და საბაბად თვითონ ქრისტიანობაში ერესის, ანუ ეკლესიისგან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი დოგმატიკიდან განდგომა იყო. მაგალითად, XIII საუკუნეში, სამხრეთ საფრანგეთში ასეთ „ერეტიკოსებად“ მიჩნეული იქნენ **ალბიგოელები** (ქალაქ ალბის მცხოვრებნი), რომელთაც მრავალი ფრანგი რაინდიც მიმხრობოდა. მაშინ, 1209 წელს, რომის პაპმა ინოკენტი III-მ ალბიგოელების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა. ბრძოლა ოცი წელიწადი გაგრძელდა. ბოლოს, 1229 წელს, მეფე ლუი VIII-მ აჯანყებულები დაამარცხა, ტულუზის საგრაფო დაიპყრო და თავის სამფლობელოებს შეუერთა.

საერთოდ, საფრანგეთის უფრო სრულად გაერთიანება მოხდა **ფილიპე IV ლამაზის** დროს (1285-1314 წწ).

იგივე ფილიპე ლამაზმა პირველმა მოიწვია უმაღლესი სათათბირო ორგანო, სახელწოდებით - „გენერალური შტატები“. ეს მოხდა 1302 წელს (იმ წელს, რა წელსაც სამხრეთ საქართველოში მესხებმა გაანადგურეს ზაზატ-მოსე და მისი თურქული ურდო).

აღნიშნულ „გენერალურ შტატებში“ მოწვეული იყვნენ და მომავალშიც იქნებიან წარმომადგენელნი სამი წოდებისა - სასულიერონი, თავადაზნაურნი და მოქალაქენი.

. . . . . .

ახლა თვალი გადავკრათ, რა ხდებოდა ინგლისში მოხსენიებულ ფრანგულ მოვლენათა პარალელურად.

ჯერ იყო და, 1066 წელს, ჩრდილოეთ საფრანგეთის ოლქის, ნორმანდიის ჰერცოგმა **ვილჰელმ დამპყრობელმა,** 15 000 მეომრით ლაშანშის სრუტე გადალახა და ინგლისში შეიჭრა. იქაური მეფეც - **ჰაროლდი**, დაუხვდა მტერს თავისი ანგლო-საქსური ჯარებით, მაგრამ

ჰასტინგსთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში სასტიკადვე დამარცხდა და თვითონაც იმ ბრძოლაში დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამ ამბის წინარე 1065 წელს, როგორც გვახსოვს, ბიზანტიის დედოფალი შეიქნა მართა-მარიამ, უმშვენიერესი ასული საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ისა. ამავე წელს თურქ-სელჩუკთა პირველი შემოსევაც მოხდა საქართველოში).

გამარჯვებული ვილჰელმ დამპყრობელი ლონდონში შევიდა და თავი ინგლისის მეფედ გამოაცხადა. ორჯერ დიდი აჯანყება მოუწყვეს ინგლისელებმა, მაგრამ ორივე სასტიკად ჩაახშო ვილჰელმმა.

ძლიერი მეფობით მეფობდა ვილჰელმის ძეც - **ჰ ე ნ რ ი ხ** I (1110-1135). მაგრამ ჰენრიხის სიკვდილის შემდეგ, მთელი ოცი წელიწადი არეულობა იდგა ტახტის გარშემოც და საერთოდ ქვეყანაშიც. ბოლოს, ინგლისის ტახტი დაიჭირა ჰენრიხ I-ის შვილიშვილმა (ერთადერთი ასულისაგან), **ჰ ე ნ რ ი ხ** II **პ ლ ა ნ ტ ა გ ე ნ ე ტ მ ა**, რომელმაც 35 წელიწადი (1154-1189) იმეფა მის დროს საქართველოში მეფობდნენ - დემეტრე I, დავით V, გიორგი III და ხუთი წელიც თამარის მეფობიდან და მისი დროინდელი ინგლისიც ფრიად გაფართოვდა და გაძლიერდა. ჰენრიხ პლანტაგენეტის ხელში იყო ინგლისიც, ირლანდიაც და საფრანგეთიდანაც არა მხოლოდ ნორმანდია, არამედ ანჟუ, პუატუ, აქვიტანია, გიენი და გასკონი.

ჰენრიხ პლანტაგენეტის შემდეგ, მისი შვილების, **რ ი ჩ ა რ დ** I **ლ ო მ გ უ ლ ი ს ა** (1189-199) და, განსაკუთრებით, **ი ო ა ნ ე უ მ ი წ ა-წ ყ ლ ო ს** (1199-1216) ზეობის ჟამს (როცა საქართველოში იდგა თამარის ეპოქა), ინგლისის სიძლიერე დაცემულიყო, რიჩარდ ლომგულმა რომ თავისი წუთისოფელი ჯვაროსნულ ომებში გაატარა და, თითქოს, თვითონ ინგლისის ადგილობრივი მმართველობისთვის „აღარც ეცალა“; იოანე უმიწაწყლომ კი თავისი უნიათო მმართველობით, საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სთან ბრძოლებში, ზედიზედ დაკარგა ფრანგული პროვინციები - ნორმანდია, ანჟუ და პუატუ. რომის პაპთან, ინოკენტი III-სთანაც განხეთქილება ჰქონდა იოანე უმიწაწყლოს. პაპმა იგი ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა და უმალვე იოანემ, - ოღონდ ტახტი დავინარჩუნოო და - თავი პაპის ვასალადაც გამოაცხადა და მისი ხაზინისათვის ხარკის გადახდაც იკისრა - წელიწადში ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

1215 წელს, აჯანყებამ იფეთქა ინგლისში. იოანე უმიწაწყლო იძულებული გახდა, ხელი მოეწერა **„თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს დ ი დ ქ ა რ ტ ი ა ზ ე“**, რომლითაც ცხადდებოდა მოსახლეობის ქონების, მემკვიდრეობის და პიროვნული ხელშეუხებლობის სამართლებრივი დაცვა (მაშინ გიორგი ლაშა მეფობდა საქართველოში).

იოანე უმიწაწყლოს შემდეგ, 66 წელიწადი (1216-1272) მეფობდა **ჰ ე ნ-**

რ ი ხ III (საქართველოში - გიორგი ლაშა, რუსუდანი, დავით ულუ და დავით ნარინი).

ეროვნულ-ბიბლიოთეკა

1258 წელს, ოქსფორდში შეიყარნენ ინგლისის ბარონები და დაადგინეს, რომ ამიერიდან მეფე უნდა ყოფილიყო ბარონთა კონტროლის ქვეშ. ეს იყო პირველი „პარლამენტი" (ამ წელს იყო, რომ მონღოლებმა და ქართველებმა აიღეს ქალაქი ბაღდადი).

წინააღმდეგობა მეფესა და ბარონებს შორის აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა. მეფის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა **ს ი მ ო ნ დ ე მ ო ნ ფ ო რ ი**, რომელმაც 1265 წელს მოიწვია ახალი პარლამენტი, რომელზეც ბარონთა გარდა მოწვეული იყვნენ ეპისკოპოსები, რაინდები და ქალაქთა წარმომადგენლები. მაგრამ იმავე წელს მომხდარ ბრძოლაში სიმონ დე მონფორი დაიღუპა და მის მომხრეებსაც მეფე სასტიკი რეპრესიებით გაუსწორდა.

ჰენრიხ III-ის შემდეგ, ინგლისის სამეფო ტახტზე დაჯდა **ე დ უ - ა რ დ I (1272-1307 წწ)**, რომელმაც, 1282 წელს, დაიპყრო და ინგლისის სამეფოს შემოუერთა უელსი (ამავე 1282 წელს ხომ დავით ნარინმა საქართველოს შემოუერთა ტრაპიზონ-პონტო). ედუარდი დიდხანს ლაშქრობდა შოტლანდიაშიც, თუმცა მისი დაპყრობა სრულად მაინც ვერ მოახერხა.

1295 წელს, ედუარდ მეფემ თვითონ მოიწვია ისეთი მრავალწოდებრივი პარლამენტი, როგორსაც ოცდაათი წლის წინათ შეეწირა სიმონ დე მონფორი. ახლა ამ ახალ საკრებულოს დაერქვა „სამაგალითო პარლამენტი", რომლის მოწვევა ამიერიდან ხორციელდება სისტემატურად. 1343 წელს კი, პარლამენტი გაიყოფა ორ პალატად - **ლ ო რ დ თ ა** პალატა და **თ ე მ თ ა** პალატა; პირველში - უმაღლესი სასულიერონი, ლორდები და ბარონები, მეორეში - რაინდები, საგრაფოებისა და ქალაქების წარმომადგენელნი.

. . . . . .

XIV-XV საუკუნეებში, ევროპა მოიცვა ყველაზე ხანგრძლივმა ომიანობამ, რომელიც ისტორიაში ასევე მოინათლა - „ასწლიანი ომი". ომი ესე დაიწყო 1337 წელს და გაგრძელდა 1453 წლამდე (როცა საქართველოში არის ხანა ჯერ, გიორგი V ბრწყინვალის ზეობისა, შემდეგ ბაგრატ V-ის მეფობისა, თემურ ლენგის რვა შემოსევისა, "შავბატკნიანებთან" ქართველთა ბრძოლებისა, მეფე კონსტანტინე I-ის დაღუპვისა, ალექსანდრე I-ისა და ვახტანგ IV-ის მეფობისა).

ომი საფრანგეთმა დაიწყო და სავსებით ბუნებრივადაც, რაკი მისი სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიები ინგლისელებს ეჭირათ. ასევე ინგლისთან სადავო გამხდარიყო საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქიც - ფლანდრია.

ომი დაიწყო ინგლისელთა უპირატესობით და თანმიყოლებით მათი

გამარჯვებებით. ერთ-ერთი დიდი ბრძოლა მოხდა 1356 წელს, ქალაქ პუატიეს მახლობლად, სადაც ინგლისელებს სარდლობდა მათი მეფის ედუარდის ძე, ესეც ედუარდი, შერქმეული ზედსახელით - „შავი პრინცი". ფრანგებს კი თვითონ მათი მეფე წინამძღოლობდა - **იოანე კეთილი**.

ისევ გაიმარჯვეს ინგლისელებმა. მეფე იოანე კეთილი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაშივე მოკვდა. ამ გამარჯვებით ინგლისელებმა განიმტკიცეს ბატონობა დასახელებულ ფრანგულ ოლქებში. უკვე პარიზამდეც აღწევდნენ ინგლისელები ძარცვით და რბევით.

უმეფოდ დარჩენილ საფრანგეთს სათავეში უმწეო დოფინი (უფლისწული) **კარლოსი** და მისი ახლობელი ფეოდალები უდგნენ. ყველაფერი მოშლილი იყო - სამხედრო ძალებიც, ეკონომიკაც, ზნეობაც.

იმავე 1356 წელს, დოფინმა გენერალური შტატები მოიწვია, ყველა წოდების წარმომადგენლობით, სულ 800 კაცი, რომელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ მესამე წოდებისანი, **ეტიენ მარსელის** მეთაურობით. ესენი მოითხოვდნენ უმაქნის უმაღლესი ჩინოვნიკების გადაყენებას, სასახლის ხარჯების შემცირება-შეზღუდვას, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას, თვითონ გენერალური შტატების სისტემატურ მოწვევასა და გააქტიურებას. დოფინი კარლოსი მესამე წოდების წარმომადგენლებმა კიდევაც აიძულეს ხელი მოეწერა მათ მოთხოვნებზე და ასე, 1357 წლის მარტში გენერალურმა შტატებმა, კარლოს დოფინის ხელმოწერით, მიიღო ისტორიაში ცნობილი **„დიდი ორდონანსი"**.

მაგრამ, რასაც დოფინმა ხელი მოაწერა, მის შესრულებაზე მასვე ფიქრითაც არ უფიქრია. მაშინ, 1358 წლის 22 თებერვალს, პარიზში, ეტიენ მარსელის წინამძღოლობით, აჯანყებამ იფეთქა, აჯანყებულები სასახლეში შეიჭრნენ, დოფინის მრჩევლები დახოცეს და ეტიენ მარსელი თვითონ დაუჯდა მრჩევლად კარლოსს. მაშინ დოფინი თვითონ გაექცა „მოძალადე მრჩეველს". გაიქცა, ქალაქ კომპიენში გამაგრდა და იქ შეუდგა აჯანყებულ პარიზელებთან ანგარიშსწორებისათვის სამზადისს.

მაგრამ ქალაქელთა აჯანყებას, პარიზის ჩრდილოეთ მხრიდან, გლეხთა აჯანყებაც დაერთო - ისტორიაში ცნობილი **ჟაკერიას** აჯანყება, დიდკაცობაში აგდებულად, „ჟაკებად" მონათლულ გლეხთა აჯანყება, რომელიც დაიწყო 1358 წლის ივნისში, გლეხი **გილიომ კალის** წინამძღოლობით.

თითქოს, აჯანყებულთა ორივე მხარე - ქალაქელები და გლეხები, გაერთიანდნენ კიდეც. ეტიენ მარსელმა დამხმარე ძალაც გაუგზავნა გილიომ კალს. მაგრამ უმალვე მან იმ „ჟაკებს" თავი მიანება და ტახტის მაძიებელ **კარლოს ავს** შეეკრა კავშირით. კარლოს ავი კი, ჟაკერიას აჯანყებას თურმე ხაფანგს უგებდა. მან მოსალაპარაკებლად

მიიხმო გილიომ კალი, შეიპყრო და მალე სიკვდილითაც დასაჯა. აჯანყებაც ჩახშობილ იქნა, - ოცი ათასამდე აჯანყებული გლეხი გაწყვიტეს კარლოს ავის მეომრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე 1358 წლის 1 აგვისტოს, ღამით, კარლოს დოფინის მიგზავნილმა მკვლელებმა ეტიენ მარსელიც მოჰკლეს.

1364 წელს, პარიზში მოვიდა ამბავი ლონდონის ტყვეობაში მყოფი იოანე კეთილის სიკვდილისა და მაშინვე საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე-დოფინი **კ ა რ ლ ო ს V (1364-1380 წწ).**

(ამ დროს საქართველოში მეფობდა ბაგრატ V).

კარლოს V-მ ინგლისთან დროებით ზავი ჩამოაგდო და სასტიკი ბრძოლა გაუმართა მისთვის საშიშ ფრანგ ფეოდალებს. პირველ რიგში, მან საფრანგეთიდან გააძევა კარლოს ავი და კონფისკაცია უყო მთელს მის ქონებას.

კარლოსმა მეტად მნიშვნელოვანი რეფორმებიც გაატარა. სასტიკად აკრძალა ცალკე ფეოდალთა სამხედრო შენაერთები, ქვეყანაში გამრავლებული ყაჩაღურ-მძარცველური რაზმეულები. ფინანსიური რეფორმით, მეფე გენერალური შტატების დაუკითხავად აწერდა და კრებდა გადასახადებს. ისევ სამხედრო რეფორმით, ქმნიდა დაქირავებულ მხედართა და ქვეით მეომართა საჯარისო შენაერთებს; პირველად გამოჩნდა ფრანგულ სამხედრო შენაერთებში ზარბაზნები. მეფემ ააგებინა ფლოტიც, 120 ხომალდის შემადგენლობით.

1369 წელს, საფრანგეთ-ინგლისის ომი განახლდა. განახლდა ფრანგთა პირველი წარმატებებით. ფრანგთა ახალმა და ნიჭიერმა მთავარსარდალმა, **დ ი უ გ ე კ ლ ე ნ მ ა,** ორასზე მეტი ციხექალაქი და ციხესიმაგრე დააგდებინა ინგლისელებს საფრანგეთის ტერიტორიებზე.

1396 წელს, ისევ დაიდო დროებითი ზავი მეომარ მხარეთა შორის.

1415 წელს, ისევ განახლდა ომი. ამჯერად ინგლისის მაშინდელი მეფე, **ჰ ე ნ რ ი ხ V ლ ა ნ კ ა ს ტ ე რ ი,** 60 000 მეომრით შემოესია მდინარე სენის რეგიონებს. ფრანგებიც დაუხვდნენ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარებით, მაგრამ ქალაქ აზენკურთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში ისინი სასტიკადვე დამარცხდნენ.

ინგლისელებმა მთელი ნორმანდია დაიჭირეს და ლამის ზედ პარიზსაც მიადგნენ. საფრანგეთის მაშინდელი მეფე, **კ ა რ ლ ო ს VI,** იძულებული გახდა ზავი ეთხოვა და ხელიც უაღრესად დამამცირებელი პირობებისთვის მოეწერა. სახელდობრ, ზავი, რომელიც დაიდო 1420 წელს, ქალაქ ტრუაში, აცხადებდა ინგლისისა და საფრანგეთის ერთ სამეფოდ შეერთებას და ამ „ერთიან ტახტზე“ ინგლისის მეფის, **ჰ ე ნ რ ი ხ** V-ის აღზევებას. ხოლო, ინგლისისაგან საფრანგეთის ამ ფაქტობრივ დაპყრობას ვითომ მოყვრობით ამართლებდნენ: ჰენრიხი სიძე იყო კარლოსისა - მისი ასულის, ეკატერინეს ქმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კარლოს მეექვსეს ვაჟიც ჰყავდა, ტახტის მემკვიდრე, სახელად ისიც კარლოსი; და ეს მემკვიდრეობადაკარგული დოფინ-კარლოსი პარიზიდან სამხრეთ საფრანგეთში გაიქცა და იქ თავის მომხრეთა შემოკრებას შეუდგა.

1422 წელს კარლოს მეექვსე გარდაიცვალა და, ზავის პირობისამებრ, ჰენრიხ მეხუთემ, ინგლისთან ერთად, საფრანგეთის მეფედაც გამოაცხადა თავი.

სამხრეთში გაქცეულ ფრანგ უფლისწულსაც, უკვე **კ ა რ ლ ო ს** VII-ს, უკვე დაეწყო ბრძოლები კუთვნილი ტახტის დასაბრუნებლად და ინგლისელების გასადევნად.

ხალხშიც პატრიოტული განწყობილება გამძლავრებულიყო ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისათვის. ამ სახალხო მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა სოფლელი გლეხის გოგო, სახელად - **ჟ ა ნ ა დ ა რ კ ი,** რომელმაც თვით მეფესთან, კარლოს მეშვიდესთან შეაღწია და დაარწმუნა, რომ „ღვთისგან მოვლინებით" გამოეცხადა, „ღვთის ნებითვე" მეფის და ქვეყნის გადასარჩენად.

მოპირდაპირე მხარეთა საომარი ძალები თავს იყრიდნენ ქალაქ ორლეანთან, და სწორედ აქ, ამ საოცარი, „ცით მოვლენილი" ქალწულის გმირობით გაოცებულმა და გამხნევებულმა ფრანგებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და დაიფრინეს ინგლისელები.

ეს მოხდა 1429 წლის 5 მაისს. მთელი ევროპა უკვე „ორლეანელ ქალწულზე" ლაპარაკობდა. ბოლოს, მოღალატე ბურგუნდელებმა, ქალაქ კომპიენთან გამართული ბრძოლის დროს, ჟანა დარკი ღალატით შეიპყრეს და ინგლისელებს მიჰყიდეს, ინგლისელებმაც იგი გაასამართლეს და, როგორც „ჯადოქარი", კოცონზე დასწვეს.

ეს მოხდა 1431 წლის 30 მაისს. (იმ წელს, რა წელსაც საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველმა თათრებს ხელიდან გამოჰგლიჯა ლორე).

ომი კვლავ გრძელდებოდა. ჟანა დარკის გმირობით აღძრული პატრიოტიზმი კვლავ არ ცხრებოდა. ფრანგები ზედიზედ იმარჯვებენ. ინგლისელები განიდევნენ 1453 წელს ასწლიანი ომი ზავით დასრულდა.

კარლოს მეშვიდის სიკვდილის შემდეგ, საფრანგეთის ტახტზე ავიდა ფრიად ენერგიული ხელმწიფე - **ლ უ ი XI (1461-1483),** რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საფრანგეთის მტკიცედ ცენტრალიზებული, „აბსოლუტური მონარქიის" ჩამოყალიბება. მისი შვილის, **კ ა რ ლ ო ს** VIII-ის მეფობის დროს (1483-1498 წწ), ბრეტონის შემოერთებით დასრულდა საფრანგეთის გათავისუფლებაც და გაერთიანებაც...

ასწლიანი ომის პარალელურად, დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა ინგლისის შინასახელმწიფოებრიობაშიც.

1348 წელს, ინგლისში საშინელმა ჭირის ეპიდემიამ იფეთქა და ამ

„შავმა სიკვდილმა“ ქვეყნის, თითქმის, ნახევარი მოსახლეობა შეიწირა.

1381 წელს, ინგლისში გლეხთა დიდი აჯანყება მოხდა, **უ ო ტ ტ ა ი ლ ე რ ი ს** მეთაურობით. აჯანყებულები სატახტო ქალაქს, ლონდონსაც კი დაეუფლნენ. ბოლოს, უოტ ტაილერის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, აჯანყებაც ჩახშობილ იქნა.

1455 წელს, ინგლისში დაიწყო დინასტიური ომი, რომელიც გაგრძელდა ოცდაათი წელიწადი, ომი ლანკასტერებისა და იორკების საგვარეულოთა შორის. ამას დაერქვა „წითელი და თეთრი ვარდების ომი“ (რაკი ლანკასტერების გერბზე წითელი ვარდი იყო გამოხატული, იორკების გერბზე კი - თეთრი ვარდი). დაიწყო იმით, რომ 1455 წელს, ფსიქიურად დაავადებული მეფის - ჰენრიხ VI ლანკასტერის რეგენტად და ფაქტიურ ხელმწიფედ გამოცხადდა ჰერცოგი **რ ი ჩ ა რ დ ი ო რ კ ი,** რომელმაც ტახტზე ხუთი წელი დაჰყო და 1460 წელს იგი ლანკასტერებმა მოჰკლეს. მოკლული რიჩარდის სისხლის აღებასა და ტახტისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მისი ძე **ე დ უ ა რ დ ი,** რომელმაც ლანკასტერები დაამარცხა, ლონდონიც აიღო და ტახტზედაც დაჯდა, **ე დ უ ა რ დ** IV-ის სახელით.

1483 წელს ედუარდ IV მოკვდა და მისმა ძმამ, რიჩარდმა, ძმისწულები ამოწყვიტა და სამეფო ტახტზე თვითონ დაბრძანდა, **რ ი ჩ ა რ დ** III-ის სახელით. მაგრამ გამეფებიდან მეორე წელს (1485), რიჩარდიც მოჰკლეს (ამ ამბებს ეძღვნება შექსპირის ტრაგედია „რიჩარდ მესამე“).

ტახტზე ავიდა ლანკასტერების შორეული ნათესავი **ჰ ე ნ რ ი ხ VII ტ ი უ დ ო რ ი,** რომელმაც ცოლად შეირთო და დედოფლად დაისვა ედუარდ IV-ის ასული, ელისაბედ იორკი. ახალმა მეფე-დედოფალმა ურთიერთ-გადამტერებული საგვარეულონი შეარიგა. ჰენრიხ მეშვიდემ თავის სამეფოს გერბზე ორივე ვარდი - წითელიც და თეთრიც ერთად გამოსახა და მეფობითაც ხანგრძლივად (1485-1509 წწ), სიკვდილამდე იმეფა.

. . . . . .

ახლა იმავე XI-XV საუკუნეთა გერმანიასაც გადავავლოთ თვალი.

ჯერ, X-XII საუკუნეებში, გერმანიის იმპერია იმპერიად რჩებოდა, მაგრამ მომდევნო ასწლეულებში იგი განიცდის ცალკეულ სამთავრო-საჰერცოგოებად დაშლის პროცესს.

1125 წელს (მაშასადამე, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების წელს), ფრანკონული დინასტიის უკანასკნელი მეფე, ჰენრი V უშვილძიროდ გადაეგო და გერმანიის ტახტი დაიჭირა **ლ ო ტ ა რ III ს ა ქ ს ო - ნ ე ლ მ ა,** რომელმაც თავისი სუსტი ხელმწიფობა, 1137 წელს, სიკვდილით დაასრულა, და გერმანიის მეფობას ახალი, **შ ტ ა უ ფ ე ნ ე ბ ი ს** დინასტია შეუდგა.

პირველი მეფე-შტაუფენი **კ ო ნ რ ა დ** III იყო, 1138-1152 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მონაწილეობდა მეორე ჯვაროსნულ ომში. ამ დინასტიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი კი, მაინც იყო **ფ რ ი დ რ ი ხ I ბ ა რ ბ ა რ ო ს ა (1152-1190 წწ)**. იგი დიდი აქტიურობით მონაწილეობდა ჯვაროსნულ ლაშქრობებში. რამდენჯერმე ილაშქრა იტალიაში; ერთ ხანზე, რომსაც კი დაეუფლა. მაგრამ ბოლოს მაინც მარცხნაჭამი დაბრუნდა უკან.

შტაუფენების დინასტიას იმპერატორის ტახტისათვის თავდაუზოგავად ებრძოდა **ვ ე ლ ფ ე ბ ი ს** საგვარეულო. ფრიდრიხ ბარბაროსა დიდი სისასტიკით უსწორდებოდა მეტოქეებს. მან დაამარცხა და დაიმორჩილა ველფების მაშინდელი ბელადი და მთავარი გმირი - **ჰ ე ნ რ ი ხ ლ ო მ ი.**

შემდეგ, ფრიდრიხ ბარბაროსა ისევ მიუბრუნდა იტალიას. მან თავისი ძე, **ჰ ე ნ რ ი ხ VI** დააქორწინა სიცილიის პრინცესა კონსტანციაზე და ამით შტაუფენების ხელში აღმოჩნდა სიცილიაც და სამხრეთ იტალიაც.

ფრიდრიხ ბარბაროსას და ჰენრიხ VI-ის შემდგომ, ფრიად ამაღლდა და გაძლიერდა რომის პაპი **ი ნ ო კ ე ნ ტ ი III (1198-1216)**. მაშინ გავრცელდა ეს ნათქვამი: „პაპის ხელისუფლება მზეა, იმპერატორისა კი - მთვარე. როგორც მთვარე სესხულობს სინათლეს მზისგან, ასევე ღებულობენ მეფენი თავიანთ ძალაუფლებას პაპისაგან“.

ამ დროს განსაკუთრებული აქტივობით იწყებს მოქმედებას საეკლესიო სასამართლო, სახელად - **ი ნ კ ვ ი ზ ი ც ი ა.**

გერმანელი იმპერატორები კი, ისევ განაგრძობდნენ ბატონობას სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში. ისევ შტაუფენების დინასტიიდან ძლიერი ხელმწიფე იყო **ფ რ ი დ რ ი ხ II (1212-1250 წწ)**.

(მისი მეფობის დროს, საქართველოში მეფობენ - ჯერ გიორგი ლაშა, შემდეგ რუსუდანი).

ფრიდრიხ II ფრიად განათლებული პიროვნება იყო. ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ და არაბულ ენებს. მისი სასახლის კარზე მრავლად იყვნენ მეცნიერნი და ხელოვანნი - გერმანელებიც და იტალიელებიც, ბიზანტიელებიც და არაბებიც, ებრაელებიც და ირანელებიც. წერდა თვითონაც - ლექსებს იტალიურად, ტრაქტატებს ბერძნულად...

ფრიდრიხ II-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა პაპ ინოკენტი III-სთან. მაგრამ შემდგომ პაპებთან - **გ რ ი გ ო ლ IX**-სთან (1227-1241) და **ი ნ ო კ ე ნ ტ ი IV**-სთან (1243-1254) ურთიერთობა უაღრესად გაურთულდა და სიცოცხლეც მათთან ბრძოლაში, მათგან დაწყევლილმა დაასრულა (1250 წ.).

ფრიდრიხ II-ის შემდეგ, ხანმოკლე და უფერული მეფობით იმეფა მისმა ძემ, **კ ო ნ რ ა დ II-მ (1250-1254 წწ)**. შემდეგ, ფრიდრიხის მეორე ძემ, **მ ა ნ ფ რ ე დ მ ა** სიცილია თავისთვის მიისაკუთრა.

რომის პაპებმა სიცილიიდან და იტალიიდან გერმანელთა გასადევნად,

ფრანგებს მოუხმეს. ფრანგებიც მოვიდნენ, **კ ა რ ლ ო ს ა ნ ჟ უ ე ლ ი ს** მეთაურობით.

1266 წელს, მანფრედი ფრანგებთან ბრძოლაში დაიღუპა. გერმანელები სიცილია-იტალიიდან განიდევნენ.

თვითონ გერმანიაშიც ერთიანი სამეფო-საიმპერატორო ტახტი უკვე აღარ არსებობდა. ქვეყანა ცალკეულ სამთავრო-საჰერცოგოებად დაშლილიყო.

ცალკე გერმანულმა სამთავროებმა კი, ცალკეულადვე დაიწყეს შეტევები ახლო თუ შორეულ ხალხებზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთით, სლავური ტომებით დასახლებული ქვეყნების დასაპყრობად. XII საუკუნეში გერმანელებმა დაიპყრეს ბალტიისპირეთი. აქვე მათ, 1201 წელს, დააარსეს ქალაქი **რ ი გ ა.**

რაინდულ „ორდენებად" მონათლული და დარაზმული იჭრებოდნენ გერმანელები აღმოსავლეთით გადაშლილ ქვეყნებში. განსაკუთრებით სახელი გაითქვეს „ლივონიის" და „ტევტონთა" ორდენებმა.

XIII საუკუნის 40-იან წლებში, გერმანელი რაინდები იჭრებიან რუსეთის ტერიტორიებზე. 1241 წელს (იმ წელს, რა წელსაც გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს შემოუერთა ტრაპიზონ-პონტოს ქართული ქვეყანა) გერმანელებმა დაამარცხეს რუსები და დაიჭირეს ქალაქი პსკოვი.

1242 წლის 5 აპრილს, მოხდა ცნობილი „ბრძოლა ყინულზე" - გაყინულ ჩუდის ტბაზე, სადაც რუსებმა, ნოვგოროდის მთავრის (მეფობა მათ ჯერ არ იციან), ალექსანდრე ნეველის სარდლობით, შესძლეს გერმანელი რაინდების დამარცხება და განდევნა.

. . . . . .

უფრო ადრე, XIIIსაუკუნის დამდეგს, აზიაში წინაურდებიან მონღოლები, **ჩ ი ნ გ ი ზ ყ ა ე ნ ი ს** წინამძღოლობით. ჩინგიზი იპყრობს მთელ ცენტრალურ აზიას და ჩრდილოეთ ჩინეთს; ირანს და კავკასიას. 1223 წელს, მდინარე კალკაზე, მონღოლები ანადგურებენ რუსებს. ჩინგიზ ყაენის დაპყრობანი წარმატებით გრძელდება მის შვილთა და შვილიშვილთაგან. ამათგან, **ბ ა თ უ ყ ა ე ნ მ ა,** 1235-1242 წლებში, მთელი აღმოსავლეთ ევროპა დაიპყრო - სრულად რუსეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი.

. . . . . .

იმავე ხანებში, ესპანეთში გამძლავრდა ბრძოლა რვაასი წლის წინ შემოჭრილი და გაბატონებული არაბების გასადევნად. ამ ბრძოლას საისტორიო სახელად დაერქვა **რ ე კ ო ნ კ ი ს ტ ა** (ომით წართმეულის ომითვე დაბრუნება). არაბთა წინააღმდეგ საომრად გაერთიანდა ესპანეთის ორი სამთავრო - არაგონია და კასტილია. მანამდე დამოყვრდნენ კიდეც: არაგონიის მეფემ, **ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ მ ა** ცოლად შეირთო კასტილიის დედოფალი **ი ზ ა ბ ე ლ ა.** ამათ შეძლეს თავის ხელქვეით მოექციათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი პირინეის ნახევარკუნძული, პორტუგალიის გამოკლებით.

სწორედ მაშინ, 1492 წელს, ესპანეთის ხომალდებით მოეწყო **ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე** კოლუმბის მოგზაურობა დასავლეთით და აღმოჩენა ახალი კონტინენტისა - ამერიკისა.

. . . . . .

XV საუკუნის პირველ მეოთხედში, ევროპის გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს **ჰ უ ს ი ტ უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა** ჩეხეთში. აქ მთავარი გმირი იყო **ი ა ნ ჰ უ ს ი (1371-1415)**, კარლის (პრაღა) უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ერთის მხრივ გერმანელთა მოძალების, მეორე მხრივ თვით კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის წინააღმდეგ.

იან ჰუსი ქრისტიანთა სარწმუნოებრივი ცხოვრების მთავარ საფუძვლად უშუალოდ სახარებას, საღვთო სჯულს თვლიდა და არა მაშინდელი კათოლიკური ეკლესიის მთელ სტრუქტურას. იგი მოითხოვდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციას, ანუ თვით ეკლესიისაგან გათავისუფლებას, და სასტიკ ბრძოლას უცხადებდა ინდულგენციებით ვაჭრობას.

ინდულგენცია ანუ „შეწყალება“ და „პატიება“ გულისხმობდა ვითომ ცოდვების პატიებას და ასეთი „შემწყნარებული სიგელის“ გაცემის საფასურად, რომის პაპი და მისი კათოლიკური ეკლესია ღებულობდა გამოსასყიდ ფულს, ოქრო-ვერცხლს. და აი, ასეთ სარწმუნოებრივ ვაჭრობასა და მექრთამეობას ბრძოლას უცხადებს იან ჰუსი.

ყოველივე ამისთვის, რომის პაპმა იან ჰუსი შეაჩვენა და მალე კიდევაც - 1414 წლის 28 ოქტომბერს, ქალაქ კონსტანცაში, საეკლესიო კრების დადგენილებით, იან ჰუსი კოცონზე დასწვეს.[1]

- - - - - - - - - - - - - - - - - - -

ამას ჩეხი ხალხის აჯანყება მოჰყვა. ამ „ჰუსიტურ ომში“, აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ომში“ გაერთიანდნენ რომის პაპი მარტინ V და პოლონეთ-ლიტვის იმპერატორი სიგიზმუნდ I.

1420 წლის 14 ივლისს, ჰუსიტებმა, **ი ა ნ ჟ ი ჟ კ ა ს** მეთაურობით, ჯვაროსნები სასტიკად დაამარცხეს,

ჰუსიტური ომები 1437 წლამდე გაგრძელდა და, ბოლოს, ჩახშობილ იქნა.

. . . . . .

ბოლოს, კვლავ ბიზანტიას მივხედოთ - მის უკანასკნელ სულის ღაფვაში, თურქ-ოსმალნი უკვე ნიკეას დაუფლებიან და ანატოლიაც სრულად

-1. გადმოცემა: როცა კოცონი დაინთო, მის გასამძლავრებლად, ვიღაც მოხუცმა დედაკაცმა, თავის მხრივ, ზედ ერთი დიდი ფიჩხის კონა მიუგდო და მიურთო. ამის შემხედვარე იან ჰუსმა ზემოდან მწარე ღიმილით ჩამოსძახა: - O, sancta simplicitas! -„ოო, წმიდათაწმიდა უბრალოებავ!“-

წაერთმიათ იმპერიული ტახტისათვის.

ახლა კონსტანტინოპოლი მარტოღა დარჩენილიყო - უიმპერიო „იმპერიის“ მარტო-ქალაქად.

თანაც, არამცთუ მარტო აზია, თურქები უკვე ბალკანეთზედაც ემკვიდრებიან. თრაკია სრულად დაუპყრიათ. 1361 წელს, სულთანმა **მ უ - რ ა დ** I-მა აიღო ადრიანოპოლი და კონსტანტინოპოლის საპირისპიროდ, თავის ახალ სატახტოდ გამოაცხადა. მალე მთელ მაკედონიასაც დაეუფლნენ თურქები.

1386 წელს (იმ წელს, როცა საქართველოს თავს დაატყდა თემურლენგის პირველი შემოსევა), თურქებმა დაიპყრეს ალბანეთი და შეიჭრნენ სერბიაში. აქ, კოსოვოს ველზე, 1389 წელს, სულთან მურად I-ის მეთაურობით, თურქებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა თვითონ მურად სულთანის სიცოცხლის ფასად: იგი იმ ღამით მოჰკლა მის კარავში შეღწეულმა სერბმა პატრიოტმა.

მაგრამ მოკლული სულთანის ტახტი უფრო ძლიერმა ხელმწიფემ დაიჭირა. ეს იყო **ბ ა ი ა ზ ი დ I ი ლ დ ი მ ი რ-ე ლ ვ ა (1389-1402** წწ), რომელმაც ახალი სამხედრო რეფორმით, ახალი საომარი ძალები და მისი მთავარი ბირთვი - **ი ა ნ ი ჩ ა რ თ ა** რეგულარული არმია შექმნა.

ბაიაზიდმა დაასრულა სერბიის დაპყრობა. მას მერე მთელი ბულგარეთიც დაიპყრო. 1391-1395 წლებში ბაიაზიდ ილდიმირმა ბლოკადაში მოაქცია თვითონ კონსტანტინოპოლი.

ევროპამ, თავისი „ჯვაროსნული რაინდობით“, სცადა გადაერჩინა კონსტანტინოპოლი თურქული იერიშებისაგან. 1396 წელს, **ნ ი კ ო პ - ო ლ ი ს თ ა ნ**, კიდევაც გაიმართა დიდი ბრძოლა ევროპელ რაინდთა და თურქთა შორის. თურქებმა გაიმარჯვეს. ბაიაზიდ ელვა კვლავ განაგრძობდა იერიშებს კონსტანტინოპოლზე, მაგრამ, ბოლოს, „ელვას“ აზიიდან „ელვაზეც უელვეესმა“ გადაუჭრა გზა. ეს იყო **თ ე მ უ რ - ლ ე ნ გ ი,** რომელსაც საქართველოში უკვე მოეწყო თავისი შვიდი ლაშქრობა (კიდევ ერთი დარჩენილიყო!) და ახლა, 1402 წელს, უკვე სწორედ ბაიაზიდ ილდიმირს და მის თურქულ ურდოებს ხვდება, ქალაქ **ა ნ გ ო რ ა ს თ ა ნ** (ანკარა).

უსასტიკესი ბრძოლა და უბრწყინვალესი გამარჯვება თემურ-ლენგისა.

დამარცხებული ბაიაზიდ ილდიმირი დატყვევებული მიჰგვარეს თემურს.

გამარჯვებული თათარი ერთხანს მდუმარედ უცქერის დამარცხებულ თურქს. მერე სიცილი აუტყდება მოულოდნელად.

„რა გეცინება, თემურ - ნაღვლიანად ეუბნება სახედამეწყრილი ბაიაზიდი, - განა, არ იცი, რომ დღე უღამოდ არავის უნახავს და ყოველი იძვრისი ბოლოს მაინც მიწად იქცევა?“

თემურიც სიცილს იოკებს და პასუხსაც ასეთს აძლევს მხარგაკრულ

მეტოქეს:

„ღმერთია მოწამე, შენდა დასაცინად და ჩემდა საამებლად ეს გამიცინია. უნებური სიცილი წამსკდა მხოლოდ იმაზე, რომ ღმერთს მთელი ქვეყანა ისე გაუმასხრებია, რომ ორ მახინჯს - მე კოჭლსა და შენ ბრუციანს, ნება მოგვცა ორასი ათასი ადამიანი შეგვეჟლიტა ერთმანეთისთვის“.

ხუმრობა ხუმრობად რჩება. ბაიაზიდ ელვა ტყვედ მიჰყავთ და ტყვეობაშივე ასრულებს თავის სიცოცხლეს.

კონსტანტინოპოლი ოცი წლით გადაურჩა თურქთა იერიშებს. 1421 წელს კი, სულთანმა მ **ურად II-მ (1421-1451)** განაახლა ლაშქრობანი უშუალოდ იმ „დედამიწის ოქროს ჭიპზე“.

1451 წელს, თურქეთის სასულთნო ტახტზე ადის **მუჰამედ II,** რომელიც აღმოჩნდა სწორედ ბედისწერა კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის ათასწლოვანი იმპერიისა (და იქნებ, სრულიად მსოფლიოისა?!).

გავიხსენოთ: კონსტანტინოპოლის ტახტზე ზის **კონსტანტინე XI დრაგასი** - ქართველთა სასიძო (მეფე გიორგი VIII-ის ასულზე დანიშნული).

1453 წლის მაისი. 200 000 თურქი გარს ახვევია კონსტანტინოპოლს.

თითქოს, ევროპა სეირს უყურებს - სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ - რა კატასტროფაც ემუქრება მისივე, ევროპული თანამორწმუნეობის მთავარ ნიშანსვეტს!

უკანასკნელი ხმალთაკვეთებანი.

ამაო გმირობა და თავშეწირვა თვითონ იმპერატორისა.

1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლს თურქები ეუფლებიან.

აია სოფიას გუმბათიდან ჯვარი მოწყდება და ნამგალა მთვარე აღიმართება!

კონსტანტინოპოლის ნაცვლად - ისტანბულ!

ბიზანტიის ნაცვლად - თურქეთი!

------ . . . ------

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI-XV საუკუნეთა ევროპული კულტურა სრულად ქრისტიანულ კულტურად მოინათლება: სკოლა, უნივერსიტეტი, ლიტერატურა, ხელოვნება - ყველაფერი და ყოველივე ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი.

დაწყებითი სკოლა ყალიბდება ეკლესიასთან. სწავლა წირვა- ლოცვისა, ლათინურ ენაზე.

საშუალო სკოლაში ისწავლება **ტ რ ი ვ ი უ მ ი** - გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა.

უმაღლეს სკოლაში **კ ვ ა დ რ ი უ მ ი** - ლოგიკა, არითმეტიკა, გეომეტრია,მუსიკა.

უნივერსიტეტში ფართოდ ისწავლება ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, სამართალი და მედიცინა.

ყველაზე ძველი უმაღლესი სკოლები ევროპაში: XI საუკუნის იტალიაში - **ბ ო ლ ო ნ ი ს** იურიდიული და **ს ა ლ ე რ ი ს** სამედიცინო. XII საუკუნიდან კი - პარიზის **ს ო რ ბ ო ნ ი ს** უნივერსიტეტი, ფაკულტეტებით - სამსახიობო, სამედიცინო, იურიდიული და საღვთისმეტყველო.

XIII საუკუნეში არსებობას იწყებენ ინგლისური უნივერსიტეტები **ო ქ ს ფ ო რ დ ი ს ა** და **კ ე მ ბ რ ი ჯ ი ს ა**; ესპანეთში - **ს ა ლ ა მ ა ნ კ ი ს ა,** და იტალიაში - **ნ ე ა პ ო ლ ი ს ა**. XIV საუკუნიდან კი - უნივერსიტეტები პრაღაში, კრაკოვში და ჰაიდელბერგში.

1500 წლისათვის, მთელს ევროპაში უკვე არსებობდა და ფუნქციონირებდა 65 უნივერსიტეტი.

პარალელურად ვითარდებოდა ევროპული სახვითი ხელოვნება, არქიტექტურაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სტილი - **რ ო მ ა ნ უ ლ ი** და **გ ო ტ ი კ უ რ ი**. პირველი წარმოადგენდა ძველრომაული ხუროთმოძღვრების მიბაძვას; ხოლო მეორე - გამოირჩეოდა მეტი სიმაღლით, სინათლით, დეკორატიულობით და დახვეწილობით.

რომანული ხუროთმოძღვრების მაშინდელი ძეგლები:

საფრანგეთში - პუატიეს და არლეს ტაძრები;

გერმანიაში - შპეიერის, ვორმსის, მაინცის და აახენის ტაძრები.

გოტიკური ხუროთმოძღვრების ძეგლები: საფრანგეთში - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რეიმსის, რუანის და შარტრის ტაძრები; ინგლისში - ლინკოლნის ტაძარი; იტალიაში - მილანოს ტაძარი; ჩეხეთში - პრაღის ტაძარი.

ევროპულ არქიტექტურაში თავისი ადგილი ეჭირა **ბ ი ზ ა ნ ტ ი - უ რ** სტილს, რომლის ნიმუშებს წარმოადგენდნენ წმინდა მარკოზის ტაძარი და დოჟების სასახლე ვენეციაში.

ბოლოს, უკვე არაბულ-მავრიტანული სტილიც დამკვიდრებულა ევროპაში; განსაკუთრებით არაბთაგან რვაას წელიწადს ნაბატონარ

ესპანეთში; მაგალითად, სევილიის ტაძარი, გადაკეთებული არაბული მეჩეთისაგან.

XI-XV საუკუნეების ევროპაში, როგორც რაინდულ სამყაროში, ყალიბდებოდა თავისებური „რაინდული კულტურა“ - რაინდთა ტურნირ-შეჯიბრებანი; ითხზვებოდა რაინდული პოეზია, რაინდული სიმღერა.

XI საუკუნეში შეითხზა ფრანგული ეპოსი - „**სიმღერა როლანდზე**“; ესპანეთში - „პოემა სიდზე“; კიდევ უფრო დიდი მასშტაბისა გერმანიაში - „**თქმულებანი ბელუნგებზე**“.

იმდროინდელი ევროპის ლიტერატურაში დიდი ადგილი ეჭირა რაინდულ სასიყვარულო სიმღერებს, რომელთაც მღეროდნენ **მინეზინგერები** გერმანიაში და **ტრუბადურები** და **ტრუვერები** საფრანგეთში.

XIII საუკუნიდან ევროპაში იწყება დიდი, ეპოქალური კულტურული მოვლინება. ესაა **რენესანსი**, ანუ **აღორძინება**. იგულისხმება აღორძინება წინაქრისტიანული ანტიკურობისა ანუ ბერძნულ-რომაული ცივილიზაციისა.

რენესანსს მეორე სახელად დაერქვა **ჰუმანიზმი**; მაშასადამე, ადამიანის ყოველგვარი საქმიანობისა და აზროვნების მთავარ მოტივად თვითონ ადამიანის გამოცხადება.

და აი, რენესანსის ანუ ჰუმანიზმის კლასიკოსებიც, იტალიიდან:

დანტე ალიგიერი (1265-1321), თავისი გენიალური პოემით - „**ღვთაებრივი კომედია**“.

ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374) - თავისი სონეტებით, საყვარელი ლაურასადმი.

ჯოვანი ბოკაჩიო (1313-1375) - თავისი განთქმული „დეკამერონით“.

XV საუკუნეში, გერმანელი **იოჰან გუტენბერგი** პირველად იგონებს სტამბას და წიგნის ბეჭდვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშლილი საქართველო

შურითა ურთიერთთა და გარეშე
მტერთაგან იქმნა განყოფილება
ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი

მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ირანის სახელმწიფოს სათავეში სეფევიდების, ანუ **ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ე ბ ი ს** („წითელთავიანები" – წითელი თავსარქმელების გამო) დინასტია მოექცა. მათმა ბელადმა, **ი ს მ ა ი ლ მ ა**, უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლება ქართველების დახმარებით ჩაიგდო ხელში. მაგრამ ისმაილ შაჰმა ქართველებს დანაპირები არ შეუსრულა – საქართველოს არც ხარკი მოუხსნა და არც მის დამაქცევარ ლაშქრობებზე აიღო ხელი.

1514 წელს ატყდა ნახევარსაუკუნოვანი ომი ყიზილბაშურ ირანსა და ოსმალურ თურქეთს შორის.

საქართველო ისევ მოექცა სკილასა და ქარიბდას შუა.

1526 წელს თურქეთის დიდმა სულთანმა, სულეიმან I სჯულმდებელმა ქართველ მეფეებს – **გ ი ო რ გ ი მ ე ც ხ რ ე ს** (ქართლი), **ლ ე ვ ა ნ მ ე ო რ ე ს** (კახეთი) და **ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე ს** (იმერეთი) შემოუთვალა: იერუსალიმი, მთავარი ქალაქი თქვენი სჯულისა, ირანელებს დაუპყრიათ; წადით, განდევნეთ იქიდან ირანელები და იერუსალიმის მფლობელობაში ქართველებს შემცილებელიც არავინ გეყოლებათო.

მართლაც გაემართნენ „ჯვაროსნულ ლაშქრობად" ქართველები. მიადგნენ იერუსალიმს. გამოეგებნენ ირანელები „და იქნა ბრძოლა ძლიერ". სასტიკი ჩეხვით ქართველებმა „მოსწყვიტეს და აოტნეს" მტერი. მსოფლიო ქრისტიანიზმის „ჭიპი" ხელთ ეპყრათ ქართველებს. ირანელთა მარცხისა და ქართველთა გამარჯვების ამბავი სიამოვნებით შეიტყვეს სტამბოლს. რასაკვირველია, თურქეთის ფადიშაჰს ქართველებისთვის არ აუტკიებია თავი. მისთვის მთავარი იყო პალესტინის მიწებიდან მოსისხლე ირანელთა განდევნა. ამიტომ მან ქართველ მეფეებს დიდი ძღვენი გამოუგზავნა და თანაც „სიგელითა მტკიცითა" ქართველებს დაუმტკიცა პალესტინა, იერუსალიმის ქრისტიანული მონასტრები და ყოველი „წმინდა ადგილი ქრისტეს სახელობისა".

ირან-თურქეთის ომი გრძელდებოდა. ჯერჯერობით მომტერე მხარენი ასე რიგდებოდნენ: აღმოსავლეთ საქართველო, ანუ ქართლ-კახეთი – ირანს, დასავლეთ საქართველო, ანუ იმერეთი – თურქეთს.

ირანელებს დიდი თავგამოდებით ებრძოდა ქართლის მეფე **ლ უ ა რ ს ა ბ პ ი რ ვ ე ლ ი** (1527,1558). არც **ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე** ურიგდებოდა თურქთა გაბატონებას იმერეთში.

1543 წელს სულეიმან სულთანმა არზრუმის ბეგლარბეგი მუსა ფაშა გამოგზავნა 22 000 იანიჩარით იმერეთის ასაოხრებლად. **ქ ა რ ა ღ ა ქ თ ა ნ** გამართულ ბრძოლაში იმერლებმა სასტიკად დაამარცხეს რიცხვმრავალი მტერი. ამ ამბის მომსწრე მუსლიმი ისტორიკოსი წერს: „ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი ოსმალთა სისხლით და მრავალი ოსმალო, მუსა ფაშასთან და სხვა წარჩინებულ ოსმალებთან ერთად დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს“.

ქარაღაქთან დატრიალებულმა კატასტროფამ უსაზღვრო მრისხანებით აღავსო სულეიმან სულთნის გული. „ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა ეპოვა შემთხვევა და შური ეძია“ ქართველებზე. ხოლო „შურისძიება“ მოხდა 1545 წელს, როცა მძვინვარე ხონთქარმა არზრუმისა და დიარბექირის ფაშებს დიდძალი მხედრობა ჩააბარა და ბაგრატ მეფის გასანადგურებლად გამოგზავნა.

ბასიანში შემოიჭრნენ თურქები ცეცხლითა და მახვილით.

ბაგრატ მეფემ იმერთა ჯარი შემოიყარა და დანარჩენი ქართველობაც აწვია ბრძოლად.

ბაგრატის წვევაზე ქართველთა ჯარით მოვიდა ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელსაც გული უძგერდა „საქართველოსათვის, ვითარცა შვილთათვის“. მოვიდა როსტომ გურიელიც, გურულთა ჯარით. მესხი მამულიშვილებიც შეუერთდნენ მესხეთში მოსულ ქართულ ჯარებს.

ეს იყო უკანასკნელი „დიდი ერთობა“ იმიერ-ამიერ საქართველოს საომარი ძალებისა, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოდან არ მონაწილეობდა კახეთი, ხოლო დასავლეთიდან – ოდიშ-სამეგრელო.

მტრები ერთიმეორის პირისპირ დადგნენ ბასიანში, **ს ო ხ ო ი ს ტ ა ს** ველზე, 1545 წელს.

ბრძოლის წინა დღესვე ქართველთა ისედაც მცირერიცხოვანმა ბანაკმა გამარჯვების მთავარი საწინდარი – ერთსულოვნება დაკარგა. ცხარე განხეთქილება ჩამოვარდა იმის თაობაზე, თუ რომელი კუთხის ჯარს რომელი ადგილი უნდა დაეჭირა ბრძოლის ჟამს.

როცა საქართველო „ნიკოფსიით დარუბანდამდის“ ერთიანი იყო, „ყოველი საქართველოს“ ერთიანი ლაშქარიც ბრძოლაში ჩვეულებრივ ოთხ მთავარ „დროშად“ გადიოდა: მეწინავე – სამხრეთ საქართველო, მემარჯვენე – დასავლეთი საქართველო, მემარცხენე – ჰერეთ-კახეთი და ზურგი – შიდა ქართლი როქის სპით. მაშ, ბრძოლას იწყებდა სრულიად მესხეთი და ასრულებდა შიდა ქართლი, ვითარცა სამეფო სადროშო.

ასეთი საომარი წყობა დავით აღმაშენებელმა შემოიღო და ასე მოდიოდა მას შემდეგ ერთიანი საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. მაგრამ 1545 წელს, როცა სოხოისტას საბედისწერო ბრძოლა უნდა მომხდარიყო, აკი აღარ არსებობდა საოცნებო ერთიანობა საქართველოსი. მაგრამ მაინც აიჩემეს მესხებმა – ხვალ ბრძოლაში, ვითარცა ოდინდელი წესი,

ჩვენ უნდა გავიდეთ წინამძღოლებადო. ხოლო, ქართლელები და იმერლები რატომღაც გადაჭრით დადგნენ უარზე, შეიძლება იმიტომ, რომ მესხთა ერთი ნაწილი მტრის ბანაკშიც იდგა. ასე თუ ისე, მესხების „ახირება“ გათვალისწინებული არ იქნა „და იქმნა ცილობა ურთიერთას შორის, და აღეგზნა შური დიდი“.

ის ღამე ქართულმა ბანაკმა უგემურ ძილ-ღვიძილში გაატარა.

მეორე დღისთვის მას ელოდა ბრძოლა არმიასთან, რომლის მსგავსი საომარი ძალა არ მოეპოვებოდა არც ერთ ქვეყანას მაშინდელ მსოფლიოში.

სისხამ დილაზე დადგნენ საომრად.

ქართველები საომარ წყობად იდგნენ: წინ ლუარსაბ მეფე ქართლელებით, მარჯვნივ ბაგრატ მეფე იმერლებით, მარცხნივ მესხები – „გულგარეულ მდგარნი“.

ბრძოლა დაიწყო უმძაფრესი ხმალთაკვეთებით. და, „აჰა, იხილეთ, მსმენელნო, გაბედვა და მკვეთელობა საქმისა, ვითარ იგი ჰყვეს მაშინ ლომ-ვეფხებრ მხეც-ქმნილთა რჩეულთა მათ სპათა ქართველთა უსჯულოთა მათ ზედა, და მიეტევნენ ქართველნი, ვითარცა ელვა ქუხილისა ცისა“.

ქართველებმა რამდენჯერმე დაიკალთავეს მტრის მეწინავენი.

კარგა ხანს მაინც წონასწორად ქანაობდა სასწორი სისხლის თხევისა, რადგან მაინც უთვალავნი მოდიოდნენ თურქნი.

მერე ის იყო, გატყდნენ თურქები, რომ უეცრად მესხებმა, „შურითა ბოროტითა აღსავსეთა“, მტერს ზურგი აქციეს და ბრძოლის ველიდან გაქუსლეს.

თურქებმა მაშინვე იგრძნეს, როგორ შეთხელდა ქართველთა წყობა და მაშინვე ასკეცი ძალით წამოემართა თურქული ურდო.

ქართველებმაც ფრიად დაისაკლისეს თანამოძმე მესხთა ღალატი, მაგრამ არამცთუ მხნეობას არ შეელივნენ, არამედ „უფროსად განწირნეს თავნი თვისნი“.

„და გარძელდა ომი“.

„და მოისრნეს მრავალნი იმიერ და ამიერ“.

„და უფროსღა მოსწყვიდნენ ოსმალნი, ვიდრე ოთხი ზომა მოისრა“.

გმირის სიკვდილით დაეცა ჭაბუკი **ქ ა ი ხ ო ს რ ო**, ძე როსტომ გურიელისა.

სულ დაელეწათ საომარი საჭურველნი ბრძოლით ცეცხლმოდებულ ქართველებს.

იბრძოდნენ მახვილთა ნამსხვრევებით.

იბრძოდნენ ვადა-ჯვარედინებით.

იბრძოდნენ მუშტის ძგერებით.

იბრძოდნენ კბილებით.

და „ქმნეს სახელი დიდი“ ქართველთა.

„და იყო ომი ძლიერი დილითგან ვიდრე მიმწუხრამდე“.

ღამემ გაჰყარა მომტერენი.

წყვდიადით შესუდრულიყო სოხოისტას ველი, სადაც „ოთხ ზომა“ თურქობაში ესვენა ქართული ჯარი და ეყარა დალეწილი ქართული ხმლები, რომელთაგან არც ერთს არც ერთი ღამე ქარქაშში არ გაუთევია...

შემოდიოდნენ თურქები მესხეთის ციხე-ქალაქებში.

ხელიდან ეცლებოდა საქართველოს სამხრეთული ციხებურჯები.

თურქებმა სამცხის ათაბაგად დასვეს მათი ყურმოჭრილი ყმა, **ქ ა ი - ხ ო ს რ ო მ ე ო რ ე**, რომელსაც გვერდით დაუყენეს ძლიერი მესხი ფეოდალი, ისიც ოსმალთა მახვეწარი და მავედრებელი, **ო თ ა რ შ ა - ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი** (ორივე, ქაიხოსროც და ოთარიც, გუშინდელ სოხოისტას ბრძოლაში ოსმალთა რიგებში იბრძოდნენ). მაგრამ სულ მალე ორივეს თვითონ ემძიმათ ოსმალური უღელი და მის „შესაცვლელად“ ირანის მბრძანებელი **თ ა მ ა ზ შ ა ჰ ი** მოიხმეს. თამაზიც დაიძრა საქართველოსკენ დიდი მხედრობით. სულეიმან ხონთქარმაც დასძრა ლაშქარი ერთდოულად ირანელ ყიზილბაშთა და „მოღალატე მესხთა“ გასანადგურებლად. ახლა სამივე დაფრთხა – შაჰ თამაზიც, ქაიხოსრო ათაბაგიც და ოთარ შალიკაშვილიც. ქაიხოსრომ და ოთარმა ხონთქართან შერიგება მოახერხეს, შაჰ თამაზმა კი სამცხეზე ხელი აიღო და ჯავახეთს შეესია სარბევად და საძარცვავად. ყიზილბაშებმა განსაკუთრებით დაზიანეს ლუარსაბ მეფის ერთგული **დ ი ა ს ა მ ი ძ ე - თ ა** საბატონო და ლუარსაბმაც აამხედრა ქართლის ლაშქარი. მამაცი მეფე მოულოდნელი დარტყმებით ავიწროებდა და ათხელებდა მტრის ძალებს. ყიზილბაშთა ურდო ჯავახეთიდან ქვემო ქართლს ჩაგორდა და აქაც იქაურ სოფელ-ქალაქებს მოედო საძარცვავად და საოხრებლად. ლუარსაბიც მიჰყვა ფეხდაფეხ. ქართველებმა ბევრი ყიზილბაში დახოცეს და დაამიწეს. მაგრამ შაჰ თამაზის ლაშქრის უმეტესმა ნაწილმა მაინც დიდძალი ნადავლითა და ნატყვენავით დატვირთულმა გააღწია საქართველოდან.

ისევ მძვინვარებდა ომი ირანსა და თურქეთს შორის. „საქართველოებს“ ისევ თავისი „ბარკვეული დამოკიდებულება“ უნდა ჰქონოდათ საომრად აღმართულ მრავალნენ მეზობელთა მიმართ. კახეთისა და იმერეთის მეფეები ირანის შაჰს „ემვგობრებოდნენ“, ქართლის მეფე ირანის დაუძინებელ მტრად დარჩა. სამცხე-საათაბაგომ ოსმალური უღლის გადაგდება და ირანული უღლის დადგმა მოისურვა.

1549 წლის აგვისტოში სულეიმან ხონთქარმა დიდძალი მხედრობა შემოუსია მესხეთს. თორთუმის ციხესთან დაუხვდნენ მესხები მტერს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაეცა თორთუმი. მერე სხვა ციხეებს მისდგნენ თურქნი. სულ ოცდახუთი ციხე აიღეს, თხუთმეტი თავისთვის დაინარჩუნეს, დანარჩენები დაანგრიეს და მოთხარეს. მერე მოსდგნენ და მოარპიეს

მესხთა „მხარე კეთილნაშენი სოფლებით“. ალაფი ალაფად აიღეს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის იყო რომ ოსმალურ ტყვეობაში წაიყვანეს „ურიცხვი შავარდნისთვალებიანი ჭაბუკები და კაკბებივით მოგოგმანე ქალწულები“. სამცხის აოხრებას რომ მორჩნენ, გურიას შეესივნენ ოსმალნი. ჯერ ჭანეთი მოსწყვიტეს გურიას, მერე ბათუმში შევიდნენ და ციხის აღებას შეუდგნენ. მოუსწრეს გურულებმა, შეებნენ, დაამარცხეს და ჭოროხს გადაღმა გადარეკეს მტერი.

ამიერიდან ოსმალებმა მტკიცედ ჩაიდგეს ფეხი გონიო-ჭოროხის გზაკვეთილზე.

საქართველომ სამუდამოდ დაკარგა ჭანეთი, სისხლხორციელი ნაწილი თავისი ტანჯული სხეულისა...

სამცხე-საათაბაგოს შემოსამტკიცებლად ცალკე თურქეთის სულთანი იბრძოდა და ცალკე ლუარსაბ ქართლის მეფე. ქაიხოსრო ათაბაგმა ორივე მტრად ჩათვალა, თურქიც და ქართველიც და „საშველად“ ისევ სპარსელი მოიხმო.

და 1551 წელს კვლავ წამოემართა საქართველოსკენ „ცასავით მაღალი“ შაჰ თამაზი, ურიცხვი, „ცის გუმბათივით დიდებული ურდოთი“.

სამცხეს შემოესივნენ ცეცხლით და რკინით.

საომრად აღიმართნენ ყოველნი მესხნი, ვისაც კი მშობლიური მიწისათვის ჯერ კიდევ გული უცემდა და ქაიხოსრო ათაბაგსაც საქართველოს მტრობისთვის საკუთარ მტრად მიიჩნევდა. სამამულო ბრძოლას ლუარსაბ მეფის ერთგული **დ ი ა ს ა მ ი ძ ე ნ ი** და **ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ნ ი** ჩასდგომოდნენ სათავეში.

ისევ დადგა ტბორე სისხლისა წამებულ მესხურ მიწაზე.

ისევ ჩაიცვეს წითელი კვართები მესხურმა ციხეებმა.

ბევრი ციხე დაეცა.

ბევრს ამაოდ შეაკვდა მტერი.

მაგრამ ყველაზე მძიმედ დაზარალდა ვარძია. უმძვინვარესი ხმალთაკვეთება დადგა დიდი თამარის წმინდა სავანეში. საჭურვლის ზათქი და ზრიალი, დაჭრილ-დაკოდილთა გმინვა და მომაკვდავთა ბღავილი გულისშემძვრელ ნახმევებად მოჰქროდნენ კლდე-ქალაქის დარბაზებიდან, სენაკებიდან, ქვაბულებიდან და ზარდამცემ ქუხილად ასკდებოდნენ მიწას და ზეცას.

იბრძოდნენ ქართველები.

იბრძოდნენ დალეწილი საჭურვლით.

იბრძოდნენ შიშველი ხელებით.

იბრძოდნენ კბილებით.

შიშველი მკერდის ძგერებით ტყორცნიდნენ კლდეებზე ზედ მოწოლილ თურქმან-ყიზილბაშთ, ეჭიდებოდნენ და მოსისხარის სხეულზე ჩაჭიდებულნი თვითონაც ცვივოდნენ კლდეზე.

ერთიანად ამოწყდნენ ვარძიის დამცველნი. ყიზილბაშებმა არავინ დაინდეს – არც ქალნი, არც უწლოვანნი, არც მხცოვანნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვრნენ სისხლით.

დაძღნენ სიმდიდრით.

დატკბნენ სიმშვენიერით.

თვითონ შაჰ თამაზი მივიდა ვარძიას და განცვიფრდა, როცა იხილა კლდეში ნაკვეთი ლავრა, „რომლის შიგნითა და გარეთა კედლებზე კერპების სახეები დაეხატათ ოქროთი და ლაჟვარდით". ეკლესიის გარეთა კარები ფოლადისა იყო, შიგნითა – ოქროისა. გვერდით სატახტო გამოეკვეთათ ქართველ ოსტატებს. შუა სატახტოში ტახტი იდგა მოოქროვილი და ლალის თვლებით გაბრწყინებული. სამრეკლოზე ზარი ეკიდა – „სამოცდაათი ბათმანი სპილენძისგან შვიდჯერ ჩამოსხმული".

ბალღივით დაეღო პირი განცვიფრებულ შაჰს...

სანამ ძარცვას და ალაფვალას დაიწყებდნენ, ვარძიის სენაკებიდან ოცი ბერი გამოიყვანეს და მთავარი ტაძრის საკურთხეველზე ყელები გამოსჭრეს. მერე გახსნეს და დაიტაცეს ვარძიის უმდიდრესი საგანძურები: უმშვენიერესი ხელოვნებით ნაჭედ-ნაკვართი ნივთები, ხატები, ჯვრები, ძვირფასყდიანი წიგნები. ოქროს ტახტი აიღეს და შაჰის ხაზინისთვის გაამზადეს. ჩამოხსნეს და წასაღებად გააწყვეს ფოლადის და ოქროს კარებნი ეკლესიისა. სამრეკლოდან „სამოცდაათბათმანიანი" ზარიც ჩამოაგდეს და დასატაცებლად ისე დალეწეს, „როგორც დაიმსხვრა ქართველების სიცოცხლის შუშა".

ქართველი სარდლები ტყვეებად მოჰგვარეს შაჰ თამაზს – ოთხი დიასამიძე და ერთი ავალისშვილი. ქაიხოსრო ათაბაგმა სთხოვა შაჰს და იმანაც ყველა ქართველ პატრიოტს თავი გაგდებინა.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ილაშქრეს ყიზილბაშებმა საქართველოში. შაჰ თამაზს ლუარსაბ მეფის შეპყრობა სურდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, მხოლოდ მეფის დედა, დედოფალი **ნ ე ს ტ ა ნ – დ ა რ ე ჯ ა ნ ი** შეიპყრო ატენის ციხის აღებისას და გაიტაცა სპარსეთისაკენ. ლუარსაბი დაედევნა და წამოეწია მტრის უკანაკერძს, მრავალი ყიზილბაში კიდევაც ასწყვიტა, ბევრი ნაძარცვიც წაართვა და თავის მეომრებს დაურიგა. მაგრამ ტყვეები მაინც ვერ დააგდებინა. დედოფალი ნესტან-დარეჯანი სათაკილო ტყვეობას მაინც ვერ შეურიგდა, „წამალი სასიკვდინე" შესვა და აღესრულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

1555 წელს, 29 მაისს, ქალაქ ამასიაში, შაჰ თამაზი და სულეიმან სულთანი ზავით შეეკრნენ ერთმანეთს. მთავარი აქ „საქართველოს საკითხი“ იყო და ასე გადაწყვიტეს ეს „მუდმივ გადაუწყვეტელი საკითხი“: აღმოსავლეთ საქართველო – ირანის შაჰს, დასავლეთი საქართველო – თურქეთის სულთანს. „აღმოსავლეთ საქართველოში“ ნაგულისხმები იყო: ქართლი, კახეთი და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი. „დასავლეთ საქართველოში“ – იმერეთი, გურია-სამეგრელო და სამცხის დასავლეთი ნაწილი (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი)...

და როცა სულთანი სულეიმანი სტამბოლში დაბრუნდა, დედამ ჰკითხა:

„მიხარია, მშვიდობით რომ დაბრუნდი, შვილო ჩემო, მაგრამ... ქართველები ხომ არ დაგვესხმიან თავს?“

„არა, ჩემო დედა, ნუ გეშინია, ვინათგან მე აღვმართე უმაღლესი კედელი ოსმალეთსა და საქართველოს შორის“.

„როგორ შესძელ, შვილო, კედლის აშენება ამოდენა მანძილზე?“

„შევსძელ, ჩემო დედა, შევსძელ. მე იგი ავაგე ადამიანთა ხორცით და სისხლით... ნუ გეშინია, დედაჩემო ვერასოდეს ვერ გადმოლახავენ ქართველები ოსმალთა საზღვრებს“...

...ქართველ მეფეთაგან კი არც ერთი ამასიის ზავის პირობებს თავისთვის სავალდებულოდ არა თვლიდა. განსაკუთრებით, ისევ ქართლის მეფე ლუარსაბ პირველი იბრძოდა თავგაოდებით. იგი, შაჰ თამაზის წასვლისთანავე, ქართლის ციხეებში ჩამდგარ ყიზილბაშურ ციხიონებს მისდგა და სულ ერთიანად ამოწყვიტა.

ქართლის ციხეების პატრონობა შაჰ თამაზისაგან ნაბრძანები ჰქონდა განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგს, **შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლი**ს, ვარძიის აწიოკების მთავარ გმირს (ტომით იგი ყაჯარი იყო, საქართველოს უკანასკნელი დამაქცევარის – აღა-მაჰმად-ხანის წინაპარი) და წამოემართა შაჰვერდ ზიად-ოღლი უზარმაზარი მხედრობით საქართველოს წასახდენად.

ლუარსაბ მეფემაც შემოიყარა ჯარი და გაქუსლა მტერთან შესახვედრად. მდინარე ხრამზე გადავიდა და ბანაკი დასცა. მტრის გამოჩენამდე მეფემ სათათბიროდ შეჰყარა ჯარის მეთაურები და უახლოესი თანამებრძოლნი, საერო და სამღვდელონი. მათ შორის თავისი სამივე ვაჟი – **სვიმონი, დავითი და ვახტანგი.** აქვე იყო კათალიკოსი **ზებედე**. თათბირი მეფემ ამ უცნაური მონათხრობით დაიწყო: „სიზმარი ვნახე, მართალი და ჭეშმარიტად დასაჯერისი, რომ უსაცილოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ყიზილბაშნი გაიქცევიან... ხოლო მე ამ ომში მომკლავენ და ჩემ მკვლელსაც ქართველები მოჰკლავენ“.

სანამ მსმენელნი გაოგნებას თავს დააღწევდნენ, ლუარსაბმა უფროსი

ვაჟი, ცხრამეტი წლის სვიმონი წინ გამოიყვანა, დანარჩენებს მიუბრუნდა და ისევ წყნარად და შეუვალი ბრძანებით ბრძანა: „ამიერიდან ეგეყოლებათ ხელმწიფედ, ჩემი ძე სვიმონი, ღირსი ხელმწიფობისა!“ და მაშინვე დანარჩენ ორ უფლისწულს მიმართა: „ახლავ ეახელით თქვენს უფროს ძმას, დაემორჩილენით, შეჰფიცეთ და უერთგულეთ ვითარცა მეფეს!“

უმცროსი უფლისწული, ვახტანგი, მაშინვე ეახლა სვიმონს, მის წინაშე დაემხო და ფეხები დაუკოცნა.

დავითი კი აგვიანებდა. ლუარსაბმა მრისხანედ მიაპყრო თვალი შუათანა ძეს. გატყდა და გამოვიდა დავითი ფეხათრეული, წელათრეული მივიდა და ძლივს მოიყარა მუხლი გახელმწიფებული ძმის წინაშე.

ისევ საკრებულოს მიუბრუნდა მხცოვანი მეფე, ისევ მშვიდი და უქცეველი სიტყვით: „ჩემი სიკვდილით ნუ მოიშლებით და მტრის განადგურებამდე ნურც ჩემი სიკვდილის ამბავს გაამხელთ. ხოლო, რა ყიზილბაშნი გალახოთ და გააქციოთ, მას უკან მცხეთას წამასვენეთ და იქაურ მიწას მიმაბარეთ. ჩემს გლოვა-ტირილს დაეხსენით და ქვეყნის შენახვა-გადარჩენაზე იზრუნეთ“.

ყველა გულწრფელად შეაწუხა ქველი ხელმწიფის სიტყვებმა, კათალიკოსმა ზებედემ პირველად შებედა და მერე სხვებიც მიესივნენ მეფეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავს, ამ-გზობით ნუ შევებმებით და უკუვეცალნეთ მტერს!“ მაგრამ მეფემ თავისიანთა რჩევა გამკიცხავი ღიმილით **დ ა ი წ უ ნ ა** და მტკიცედ განაცხადა: „დღეს-აქამომდე ხვანთქრისა და ყაენისთვის არ შემიქცევია ზურგი და ახლა ერთი ვიღაც ყაჯარისაგან უკუქცევას როგორ ვიკადრებ!“ ამის შემდეგ კიდევ „დიდად ეაჯნეს“ ბრძოლის გადადებას, მაგრამ „მეფემან ლომ-გუნებისამან ზრახვას სიკვდილი არჩია“...

ყიზილბაშთა ურდო კი გამოჩნდა.

ლუარსაბმა მაშინვე განსაჯა და გადაწყვიტა გაშლილ მინდორზე მის მცირე ჯარს მტრის ურიცხვი მხედრობისგან ალყაში მომწყვდევისა და განადგურების საფრთხე ელოდა. ამიტომ სასწრაფოდ უკან გადმოინაცვლა და საომრად დალაგდა ხრამის ერთ ვიწრო ხეობაში, ციხესიმაგრე **გ ა - რ ი ს ი ს** ახლოს.

ლუარსაბი სიბერით ჯანდაცლილ მარჯვენას აღარ ენდო და ჯარის სარდლობა მისგანვე მეფედ ნაკურთ შვილს, სვიმონს დაულოცა.

ჭაბუკმა სარდალმა საომრად დაალაგა ჯარი. მერე მამას სთხოვა, ყველანი შენებრ მხცოვანნი ბრძოლას განერიდეთო. ეს თხოვნა ბრძანებას უდრიდა და ლუარსაბმა კათალიკოსი, ყველა მხცოვანი საერონი და სამღვდელონი გაიყოლია და მათი თანხლებით მახლობელ მაღლობზე, ტყის პირას დადგა.

ასე – „მამები“ ზემოდან დასცქეროდნენ საომრად შემართულ „შვილებს“

(თითქოს მხცოვანი ხელმწიფე პრიამოსი „თანამხცოვანი“ კარისკაცებით გარშემორტყმული გადასცქეროდა ილიონის უმაღლესი გოდოლიდან სკამანდრის ველზე საომრად გაწყობილ ტროელთა და აქაველთა მზედრობას!)...

...მაშ, 1556 წელი. სახელოვანი ბრძოლა გარისთან.

ქართველებმა მტრის ურდოს მოახლოება აცალეს. ხოლო, როგორც კი ახლო „მოვიდნენ ყიზილბაშნი, მაშინვე მიეტევა მათ სვიმონ და სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომი გამძინვარებული“... „და იქმნა ბრძოლა ძლიერი“. სვიმონ ლუარსაბის ძემ და მისმა მეწინავე ქართველებმა სასტიკი ხმალთაკვეთებით „ვითარცა ლომმან ჯოგთა კანჯრისათა“ გაარღვია და გაიკაფა მტრის შუაკერძი. მაშინვე ქართველთა ძლევით დაქანდა ბრძოლის სასწორი. ჭაბუკმა სარდალმა და მისმა „თანაჭაბუკმა თანამებრძოლებმა“ მილეწეს და „მოსწყვიდნეს ურიცხვი სპანი თათართანი“. დანარჩენები კი „წარიქცივნეს“ და გამოედევნენ. გამარჯვებულებმა ისე დაიფრინეს და „დაანქრივნეს“ ირანელნი, რომ ისინი „შეცდომილნი“ ივლტოდნენ „ღელე-უშენთა და ტყეთა მიმართ“. გარბოდა თვითონ შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლი.

შაჰვერდ სულთანს თანაშემწე სარდლად ჰყოლია **მ ა ჰ მ ა დ - ს უ ლ თ ა ნ ი**, რომელიც თავისი რაზმით ქართული ხმლების შემოტევას ყველაზე ადრე გაჰქცევია და თავი მახლობელი ტყისთვის შეუფარებია. ტყე რომ აათავეს და მაღლობს შეუდგნენ, უცებ იქ მდგარ ლუარსაბ მეფეს და მის ამალას გადააწყდნენ. ამ მიხრწნილ ბებრებს უცებისად გადავთქერავ და გასაქცევად გზასაც იოლად ვიშოვიო, იფიქრა მაჰმად სულთანმა და მაშინვე საშინელი ღრიალით გააქანა ჯარი იმ ბორცვისაკენ.

ლუარსაბ მეფემ მეაბჯრეს შუბი გამოსტაცა და ცხენს მოახტა, მყისვე ამხედრდნენ დანარჩენებიც – კათალიკოსი, ეპისკოპოსნი, მღვდელნი, ბერნი, მათთან „მოხუცებულნი ერისკაცნი“. და ყველანი – მეფეც, საერონიც და სასულიერონიც – წელთა სიმრავლით დამძიმებულნი, მტრის გამოწვევით ანთებულნი, ერთბაშად „იქმნენ ვითარცა ჭაბუკნი“. დაუხვდნენ ქართველნი მოიერიშე მტერსა და „კუალად იქმნა ბრძოლა ძლიერი“. ლუარსაბმა შუბით ხელში გაარღვია მტრის შუაკერძი . ზედიზედ რამდენიმე ჩამოაგდო ცხენიდან და გადაემსხვრა შუბი. ხმალი გაიძრო, კიდევ რამდენიმე ჩამოჰყარა და ახლა ხმალიც გადაუტყდა ვადაში. მაჰმად სულთანმა შენიშნა და ცხენდაოთხებული და ხმალშემართული გაქანდა უიარაღო მეფისკენ. ლუარსაბმაც დროზე შეასწრო თვალი ყიზილბაშთა სარდალს. უსაჭურვლობა არად ჩააგდო ისე „განაფიცხა ტაიჭი თვისი“, ყალყზე შეაგდო და „შეაძგერა ცხენსა მაჰმად სულთანისასა“. ცხენიანად ძირს დაენარცხა მაჰმად სულთანი. დანარჩენებს დაერია ლუარსაბ მეფე ცხენის ძგერებით. მხნედ მისდევდნენ მეფეს მისი ამალისანი და „მოსწყვიდნეს მრავალნი ყიზილბაშნი“. მერე წინ „წარიქცივნეს“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოედევნენ ჩეხვითა და ცხენთა ძგერებით.

და უცებ, სად იყო და სად არა, გაქცეულ მტრის კვალდაკვალ სრბოლისას, რაღაც შეუმჩნეველ „დანახეთქსა მიწისასა“ ლუარსაბის ცხენს ფეხი ჩაეჭედა და ძირს დაენარცხა ანაზდეულად. მხცოვანი მეფეც დაეცა მიწას, მძიმედ, მოწყვეტით. მიეჭრა ყიზილბაში ვინმე, სახელად **ზ ა ქ ი რ,** და მთელის ძალით დაჰკრა მახვილი უმუზარადო თავზე. წამსვე ცოფიანი ყარყაშით ისრის სეტყვა დაუშინეს ყიზილბაშებმა თავგაპობილ მეფეს. ლუარსაბის ცხენს მოახტა და გაქუსლა ზაქირმა. წამოეწივნენ ქართველები და ხმლებით აჰკეპეს მეფის მკვლელი. მალე მაჰმად სულთანსაც მისწვდნენ და ისიც აჰკუწეს, ხოლო „სპანი მისნი ყოველნივე ამოსწყვიტეს“.

ამასობაში სვიმონსაც მოესრულებინა შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლის მთავარ ძალთა განადგურება. აქაც ქართველები ისე სცელავდნენ ყიზილბაშებს, „ვითარცა მხალთა მდელოსათა“.

ძლევამოსილების სიხარული უმალვე ჩაუქრა გმირ უფლისწულს, როცა მამის სასიკვდილოდ დაჭრის ამბავი მოახსენეს. იგი სასწრაფოდ მივიდა მამასთან და ხილვისთანავე „მწუხარე იქმნა ფრიად“...

ასე განესრულა გარისის ბრძოლა, ქართველთა ბრწყინვალე ძლევამოსილებით.

1000 ქართველისა და 8000 ირანელის გვამით მორეცილიყო ბრძოლის ველი.

მაგრამ გამარჯვებას ჩრდილი ადგა ლუარსაბ მეფის სიკვდილით.

მშვენიერი სიკვდილით კი აღესრულა სულკურთხეული, „ღვაწლ-მრავალი“ მამა ქართლისა.

ქართველთა მაიმედებელი სინათლის სხივი წყვდიადით აღსავსე საუკუნეში. „ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი“, „მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმეველ-მჭმეველი, სამართლიანი, ყმა-მორჩილი, ცხენოსან-ცეროსანი, ომში კოხტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი, ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისგან რომ ეშინოდათ“. მეფე მარტოსული, რომელიც „აქეთ ირანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდა“, მათს მორჩილებასა და მოხარკეობის უღელში თავს არასოდეს არ სდებდა.

ჭეშმარიტებას ბრძანებს მემატიანე: „უკეთუმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველივე ხმლისა მისისაგან არიან“.

მოკვდა და დარჩა მისი მეომრული შეგონება: „მამაცმან კაცმან თავი თვისი მგელს უნდა ამსგავსოს და მტრის ლაშქარი ცხვრის ფარად ჩაითვალოს; ვითარცა მგელი ცხვარსა, ესრეთ მტერსა უნდა მიუხდეს; ხოლო გამარჯვება ღმრთისა ხელთა არს“.

მცხეთას, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს მამა ქართლისა, უიღბლო ეპიგონი ვახტანგ გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა.

ფ ა რ ც ხ ი ს ი

ქართლის მეფედ სვეტიცხოველსვე ეკურთხა **ს ვ ი მ ო ნ პ ი რ ვ ე ლ ი (1556-1569; 1578-1603)**, მამასაებრ გულმხურვალე მამულიშვილი, ნიჭიერი სარდალი და ჯარისკაცი შემმართებელი, მამასაებრ „ცხენოსან-ცეროსანი“ და მისებრ „ომში კოხტა და უშიშარი“.

ახალმა მეფემ რამდენიმე ბრძოლა ძლევამოსილად გადაიხადა ირანელ დამპყრობლებთან.

1569 წელს ახალი თურქმანულ-ირანული ურდო შემოიჭრა ქართლის საზღვრებში. მეგზურად ადგილობრივი მოღალატე მოუძღოდათ – **კ ა ხ ა ბ ე რ ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.**

ქართულ მიწაზე შემოსვლისთანავე გული შეუშინდათ ყიზილბაშ სარდლებს და ჯარების უკან გაბრუნებაც კი დააპირეს, მაგრამ მიეძალათ ყორღანაშვილი, კისერზე ხელი დანასავით დაისვა და შეჰღაღადა: ოღონდ თქვენ ქართლში ლაშქრობაზე ხელს ნუ აიღებთ და უკეთუ რაიმე გევნოთ, სისხლი, აი, ამ ჩემი კისრიდან ამოიღეთო! ყიზილბაშებმაც შიში სძლიეს და წამოჰყვნენ კაცს, რომელმაც ასე „დამაჯერებლად იტვირთა სისხლი მათი“.

ალგეთის ხეობაში შემოუძღვა ყორღანაშვილი საქართველოს წასახდენად ამხედრებულ ურდოს.

ფარცხისს მოვიდნენ და დაიბანაკეს.

სვიმონ მეფე მაშინ აწუფისს იდგა. როგორც კი მტრის შემოსევის ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ აიყარა და თვითონაც ფარცხისისკენ გაემართა.

ფ ა რ ც ხ ი ს ი!

ეს ადგილი კარგად უნდა ჰქონოდათ „დაცდილი“ ქართველებს: სწორედ აქ, ფარცხისთან, ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი წლის წინათ ქართველებმა მეფე გიორგი მეორის სარდლობით სასტიკად გაანადგურეს თურქთა ლაშქარი. მაგრამ ეს იყო 1074 წელს. ხოლო ახლა იდგა 1569 წელი... ერთი-მეორის პირისპირ აღიმართნენ. ყიზილბაშნი „იყვნეს ათგზის უმრავლეს ქართველთა“.

ბრძოლა ქართველებმა გახსნეს. „მიეტევნეს ქართველნი გულითა სრულითა და მიდრიკნეს ყიზილბაშნი პირველსავე კვეთებას ზედა“. ისევ წინ იყო სვიმონ მეფე, „ომში კოხტა და უშიშარი“. ზედიზედ ეცემოდნენ ყიზილბაშნი, მისი შუბით ნაძგერალნი. „განსქდა“ და გაიქცა ყიზილბაშთა ურდო, გამოედევნა ქართველთა ჯარი. მტრის დევნაში გართულ

ხელმწიფეს კი ვეღარ შეემჩნია, რა შორს წასულიყო და მოსწყვეტოდა თავისიანებს. მორიგ ყიზილბაშს წამოეწია და აძგერა შუბი. ხელი უცებ შეუმსუბუქდა: შუბი გადამსხვრეოდა. წუთით უიარაღო იყო მეფე. წუთშივე სადღაციდან გამოიჭრა ყორღანაშვილი, გაქცეულ ყიზილბაშებს წინ ჩაეჭრა და ისტერიული ხმით შეჰკივლა: „აჰა, ეგ არის სვიმონ მეფე, მარტოდმარტოა, უიარაღო, მიდით, ეკვეთეთ, შეიპყარით!!!"

ელვის სისწრაფით გადმოტრიალდა ბედისწერის ბორბალი. ყიზილბაშთა სალტე შეიკრა მეფის გარშემო. ცხენი დასძრა მკერდით საძგერებლად სვიმონმა, მაგრამ ვეღარ მოასწრო: შამხალელმა ლეკმა **ჯემშიდ-მა** მალულად ზურგიდან უნაგირის ძარძაყს შუბი შეუგდო და მხედარი მაღლა აიქნია. მეფე მიწაზე დაეცა. მაშინვე ზედახორად წამოესივნენ ყიზილბაშნი.

ქართველებმა ჯერ არაფერი იცოდნენ მათი მეფის დატყვევებისა და ისევ იბრძოდნენ დიდი მხნეობით, კვლავ „ჰქმნეს სახელი დიდი", კვლავ „მოსრნეს მრავალნი ყიზილბაშნი". მეფის დაკარგვას ისინი მხოლოდ მაშინღა მიხვდნენ, როცა გაქცეული მტრის ურდო მოულოდნელად შემობრუნდა და ყოველის მხრიდან გახელებული და აღტაცებული ბღავილით შემოესია.

მაინც იბრძოდნენ ქართველნი, იბრძოდნენ უკვე შეურცხვენელი სიკვდილისათვის. და იბრძოლეს, სანამ იარაღი სულ არ შემოემსხვრათ, ფრჩხილები სულ არ შემოაცვდათ...

ღამე ჩამოწვა ალგეთის ხეობაში.

ქართველთა მცირე გუნდი მილასლასებდა გალახული და სისხლდენილი...

...ირანის მბრძანებელს, შაჰ თამაზ პირველს მიჰგვარეს სვიმონი. შაჰი ქართველს გათავისუფლებასაც შეჰპირდა, ქართლის ტახტის დაბრუნებასაც, ოღონდ სამაგიეროდ ქრისტიანობაზე ხელის აღება და გამაჰმადიანება მოსთხოვა. სვიმონმა ცივი უარი თქვა. მაშინ შაჰის ბრძანებით სვიმონი ალამუთის ციხეში ჩააგდეს.

სვიმონის ნაცვლად, ქართლის მეფედ შაჰმა გამოაცხადა ლუარსაბის შუათანა ძე, ძმისა და ქვეყნის მოღალატე, დავითი, სპარსულად მონათლული **დაუდ-ხანი.**

ქართველი პატრიოტები კი ბრძოლას განაგრძობდნენ. ქვეყნისა და სვიმონ მეფის მოღალატეებს, სადაც კი მოახელებდნენ, უწყალოდ ჟლეტდნენ. ქვემო ქართლის სპასპეტმა **საჩინო ბარათაშვილ-მა** მოღალატე ყორღანაშვილი შეიპყრო და კოჯრის, გელიყარის კლდეზე გადასჩეხა. ამაზე სიმღერაც შეითხზა მაშინ ხალხში:

„ყორღან-ოღლი ქარაფინდა,
ხელი ჰკრეს და გადაფრინდა".

დაუდ-ხანი კი ტფილისის ციხიდან ცხვირის გამოყოფასაც ვერ ბედავდა. სამშობლოს დახსნის ჟინით შეპყრობილი მამულიშვილები დაუნდობლად

სპობდნენ ყველას, უცხოსაც და შინაურსაც. ვისაც კი ქართლის საღალატოდ თითის განძრევაც გაებედა. სწორედ მაშინ, ქართველ მამულიშვილთა შურისმგებლურ ბოღმაში დაიბადა ახალი, მტრის თავზარდამცემი ეს სიმღერა:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწდებიან
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“

დაილეწებიან და შეიმუსრებიან საუკუნენი, ხოლო ლექსი ესე - სიმღერა დიდი იმედისა, ურყევი რწმენისა და უტეხი სულისა - დარჩება მარად შეუმუსვრელი...

კახეთი „თავისთვის“

ქართლი მარტოდმარტო ებრძოდა უმძვინვარეს მტერს, დანარჩენი „საქართველოებისაგან“ განკერძოებული და განრინებული. კახეთის მაშინდელი მეფე **ლ ე ვ ა ნ ი** (1520-1574), სვიმონ მეფის სიმამრი, მოყვარე და მოძმე ქართველებთან თანაბრძოლისა და თანადგომის ნაცვლად, სპარსეთთან „თანამეგობრობისა“ და მოხარკეობის პოლიტიკას არჩევდა.

მაგრამ „თავისი კახეთის“ მთავარ მშველელ ძალად ლევან მეფე მაინც რუსეთს თვლიდა.

მაშინ რუსეთში დიდი ხელმწიფე იჯდა, **ი ვ ა ნ ე მ ე ო თ ხ ე მ რ ი ს ხ ა ნ ე**, რომელსაც რუსული მიწების გაერთიანებაც დაესრულებინა და მეზობელ ხალხთა „შემოერთებასაც“ შესდგომოდა. უპირველეს ყოვლისა რუსეთს ზღვებზე გასვლა სჭირდებოდა და პირველი ზღვა, მოსკოვის სახელმწიფომ რომ მოიპოვა, აღმოჩნდა კასპიის ზღვა. რუსები მტკიცედ მკვიდრდებოდნენ ვოლგისპირეთში, კასპიისპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში. 1557 წელს კავკასიელთაგან რუსეთს პირველნი შეუერთდნენ ყაბარდოელნი. 1561 წელს ლევან მეფემ, **ი ა კ ო ბ ი ს** მეთაურობით, ელჩობა გაგზავნა მოსკოვს. ქართველი მეფე ერთმორწმუნე რუსთა ხელმწიფეს ჯარს სთხოვდა. ივანე მრისხანემ უყოყმანოდ აღასრულა ეს თხოვნა. შვიდი წელიწადი (1564-1571) ჰყავდა ლევან მეფეს კახეთში რუსული დრუჟინები. მერე რუსეთის შინაურმა და საგარეო გართულებებმა ივანე მრისხანე აიძულა კავკასიიდან საერთოდ გაეყვანა თავისი საომარი ძალები.

ისეთივე პოლიტიკის გზას ადგა ლევანის შემდგომი მეფე კახეთისა, მისი ძე **ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე** მეორე (1574-1605). მას ქართლის მეფესთან, დიდ მამულიშვილ სვიმონთან მტრობა ჰქონდა და უფრო მოღალატე დაუდ-ხანს ემეგობრებოდა. იგი მხოლოდ „თავისი კახეთის“

ამაღლებისათვის ზრუნავდა და დანარჩენი საქართველო მისთვის თითქოს „ნაკლებად არსებობდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი აღებმიცემობა გაეჩაღებინა კახთა მეფეს აზიისა და ევროპის სავაჭრო ბაზრებზე. სატახტო ქალაქის, **გ რ ე მ ი ს** სასახლის ხაზინა მანამდე არნახულად გამდიდრდა. კახელები ვაჭრობდნენ აბრეშუმით, ღვინით, პურით, ცხენით. ალექსანდრე ფულს უხვად ღებულობდა, მაგრამ ხარჯსა და წარსაგებელსაც არ ერიდებოდა. ხოლო ხარჯავდა კულტურულ აღმშენებლობათა განსასრულებლად. აახლებდა ძველსა და აშენებდა ახალ ციხე-ქალაქებს, ეკლესია-მონასტერს, სასახლეებს, სავაჭრო ქარვასლებს. იწვევდა ქართველ და უცხოელ ოსტატებს, ხუროთმოძღვართ, მხატვრებს, სწავლულებს, მწიგნობრებს. მტკიცე შინაგამრიგე აღმოჩნდა ალექსანდრე. ალიკაპი ამოსდო თავგასულ ფეოდალებს და მოხელე-მოურავებს.

სამხედრო რეფორმაც გაატარა ალექსანდრე მეფემ. 15 000 რჩეული მოლაშქრე, 12 000 მხედარი და 3000 ქვეითი მუდმივ სალაშქროდ ჰყავდა გამზადებული. ყოველწლიურად ამ „რეგულარულ გვარდიის“ აღლუმს მართავდა, ბრძოლის უნარიანობას, საომარ მზაობასა და შეიარაღებას უსინჯავდა. შეიარაღება კი ნაკლები ჰქონდა – თხუთმეტი ათასი მეომრიდან მხოლოდ ხუთასი ჰყავდა ხელთოფით შეიარაღებული. არც ზარბაზანი გააჩნდა, არც ერთი ლულა. მეფე მაინც ცდილობდა როგორმე მესაჭურვლე ოსტატები ეშოვა, თოფხანები გაემართა და ზარბაზნებიც ჩამოესხა. „რეგულარულ ჯართან“ ერთად, „ქუდზე კაცის“ დაძახებით, ალექსანდრეს შეეძლო კახეთში საჭიროების ჟამს ოცდაათი ათასამდე მეომარი შემოეყარა.

საომრად მუდამ მზად იყო, მაგრამ ომსა და სისხლისღვრას, უცხო მტერთან და შინა-მეტოქესთანაც, სამართლიანსაც და უსამართლოსაც, ყოველნაირად გაურბოდა. დიპლომატიის, ძღვენისა და მისართმეველის საშუალებით თითქმის ყოველთვის ახერხებდა უკვე ამოწვდილი ხმალი ქარქაშში ჩაეგებინებია საომრად აღძრული მოპირდაპირისთვის, თავისი მეფობის ოცდაათი წელიწადი ისე იანგარიშა, მის მეზობლად გამართულ საშინელ და უთავჟამო „ხალხთა ბრძოლებში“ (რომელშიც ჩათრეული იყო თურქეთი, ირანი და მთელი იმიერ-ამიერ კავკასია) ერთი კახელიც არ გაუგზავნია, ფრჩხილიც არ წამოუტკენია, არც ერთ ყიზილბაშსა და ოსმალოს ერთხელაც კახეთის მიწაზე მაოხარი ფეხი არ დაუდგამს.

ასეთი იყო მისი „პოლიტიკა“. მშვიდობა სუფევდა კახეთში (რა ვუყოთ, რომ სისხლისაგან იცლებოდა დანარჩენი საქართველო!).

ეირენეს ეგიდის ქვეშ კახეთი გამდიდრდა და გამრავლდა. ყველაზე მეტი აკვანი მაშინ კახეთში ირწეოდა. ალაზნის ქვეყანა ხალხით ისე მომრავლდა და მოეშენა, რომ „ძნიად სადმე იპოებოდა სანადირონი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს დასავლეთ „საქართველოებში“ განაგებდნენ: იმერეთს – **ბაგრატ მესამე**, ოდიშს (სამეგრელოს) – **ლევან პირველი დადიანი**, – გურიას – **როსტომ გურიელი**. დადიანს იმერეთის მანდატურთუხუცესი ერქვა, გურიელს – იმერეთის ამირსპარსალარი. მხოლოდ ერქვათ, რადგან არც ერთი და არც მეორე თავს იმერეთის მეფის ყმად არ თვლიდა და ორივენი „დამოუკიდებელ ხელმწიფობას“ ჩემულობდა.

მთავართა და თავადთა დათრგუნვა იმერეთის მეფემ ვერ შეძლო.

ოსმალთა სულთანი კი მძიმე ხარკს ეზიდებოდა დასავლეთ საქართველოდან. ყველაზე შემზარავი ის იყო, რომ უმშვენიერესი და უჯანსაღესი გოგო-ბიჭები გაჰყავდათ თურქეთს იმერეთიდან, ვითარცა ხარკი. თურქთა ჯილაგი ჯიუტად იდგამდა ფეხს ქართულ მიწა-წყალზე. სავაჭრო და ნივთიერ მიმოქცევათა საქმეშიც თურქმა ვაჭრებმა დაისაკუთრეს განუყოფელი თავკაცობა შავი ზღვის ქართულ განაკიდურთა გასწვრივ. თურქულ გემებს შემოჰქონდათ საქართველოს ნავსადგურებში მარილი, თევზი, ხიზილალა, რკინისა და სპილენძის ნაკეთობანი, ცხენის აღკაზმულობანი, ტილოსა და მაუდის ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საომარი საჭურველი, საოჯახო მოწყობილობანი, ხალიჩები, შაქარი, ქიშმიში, სააფთიაქო საქონელი და ათასგვარი წვრილმანი... და ყველაფერს ჰყიდდნენ სისხლის ფასად, სამაგიეროდ საქართველოდან მიჰქონდათ: ტყავეული, ბეწვეული, სელი და სელის ქსოვილები, ხე-ტყე, თაფლი, სანთელი, კოლხური ტილო, ძაფი, აბრეშუმი და ყველაფერში იგივე თურქები იძლეოდნენ ჩალის ფასს.

მაგრამ იყო ერთი ყველაზე დიდი „საქონელი“, რისთვისაც არაფერს არ იშურებდნენ ოსმალო-თურქნი.

და ეს იყო თვითონ ქართველი – მოპარული, მოტაცებული, დატყვევებული, სამშობლო მიწა-წყალს მოწყვეტილი და „შავ“ თუ „თეთრ“ ბაზარზე გაყიდული.

ეს იყო „ტყვის სყიდვა“ – ყველაზე ავსნებოვანი ღვთისრისხვა ქართველი ხალხის ჟამსაბრუნავში, ერისწყეული განჩინება საისტორიო ბედისწერისა.

იტაცებდნენ და ყიდდნენ „ყოველნაირ ქართველს“ – ქალსაც და კაცსაც, ყრმასაც და ხნიერსაც, ახნაურსაც და უახნოსაც. ყველაზე ძვირად ფასობდა ახალგაზრდობა, ყრმა და გოგონა – ლამაზი, მშვენიერი, გონიერი და ღონიერი.

მოტაცებული და გაყიდული ქართველი ასული უმშვენიერეს სამკაულად უნდა მოვლენოდა სულთანთა და ხონთქართა სერალებსა და ჰარამხანებს. იგი უნდა ყოფილიყო მუსლიმი მბრძანებლის ხასათანამწოლი, უფრო „ბედნიერ შემთხვევაში“ – თანამეცხედრე-მეუღლე. ოჯახზე თავვადაკვდომით განთქმულ ქართველ ქალს თურქის შვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაეჩინა და საქართველოს სამტროდ საოხრად აღეზარდა ისინი.

მოტაცებული და გაყიდული ქართველი ყრმა, ჯიშად მოყოლილი სიმამაცით და გულუძვრელობით ისლამის უმამაცეს და უერთგულეს მეომრად უნდა ქცეულიყო: თურქეთში – იანიჩარად, ეგვიპტეში - მამლუქად.

იტაცებდნენ, პირს უქოლავდნენ, ხელ-ფეხს უკოჭავდნენ და ოქროზე ჰყიდდნენ, იტაცებდნენ ყველგან: გზაში, ყანაში, ტყეში, სამწყემსურში, წყაროზე, წისქვილში, სამლოცველოში, სახლში მიხდომით, აკვანზე და კერაზე დაცემით.

საკვირველი აღარ იყო, რომ ქართველებს იტაცებდნენ თურქები.

საკვირველი და გონებაშემარყეველი ის იყო, რომ ქართველებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ თვითონ ქართველები – გულმანკიერი ფეოდალნი, საკუთარ ყმაზე „შემომწყრალი“ ბატონი, ან უბრალოდ, ოქროზე დახარბებული „მამულიშვილები“, შარაგზის ყაჩაღები, საგანგებო მტაცებელ რაზმებად ტყე-მაღნარებში ჩასაფრებული ერისწყეულები.

მაშ, ქართველი ჰყიდდა ქართველს – ბატონი – ყმას, თუნდაც ერთგულს, გინა ძუძუმტეს, გინა პურიმტეს.

და იქცეოდა ყველაზე მწარე ცრემლი ქართულ მიწაზე, ცრემლი მშობლის მკერდიდან და მშობლიური კერიდან აწყვეტილი ქართველი ბავშვისა. ცრემლი შვილმოტაცებული დედისა და მამისა.

ამნაირად იყიდებოდა საქართველო.

აქამდეც მიიყვანა ისტორიის ბედისმწაფელმა სამშობლო დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველისა...

იმერეთის მეფემ, ბაგრატ მესამემ ტყვის სყიდვის მოსპობა სცადა, საერო და სასულიერო თავკაცთა საგანგებო კრებაზეც დაადგინა, მაგრამ მალე ეს „განჩინება“ დავიწყებას მიეცა. მეფეს არ შეეძლო ფეოდალის „პირად საქმეებში“ ჩარეულიყო და მისთვის „მისი საკუთრების“, ყმის გაყიდვა თუ გაჩუქება (გინა მოკვლა) აღეკვეთა. სამასი წელიწადი მძვინვარებდა საქართველოში ტყვეთა სყიდვა.

სამასი წელიწადი ძარცვავდა ღვთისრისხვად მოვლენილი უბედურება ქართულ აკვანს.

სამასი წელიწადი იღვრებოდა და იღრვნებოდა ქართული მიწა ყველაზე მძიმე კაეშნით, ყველაზე მწარე ცრემლით...

1565 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ მესამე, გამეფდა მისი ძე **გ ი ო რ გ ი მ ე ო რ ე** (1565-1583).

იმ ჟამს როსტომ გურიელიც გარდაიცვალა და გურიის მთავრად დაჯდა მისი ძე, ისიც სახელად **გ ი ო რ გ ი.**

1572 წელს ნადირობისას დაიღუპა ლევან პირველი დადიანი და მის სანაცვლოდ დადიანობა ირგო მისსავე ძემ **გ ი ო რ გ ი მ.**

მაშ, **ს ა მ ი გ ი ო რ გ ი ს** მმართველობის ჟამი დამდგარიყო იმჟამად დასავლეთ საქართველოში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათაბაგ, ქაიხოსრო მეორისა და თავად ოთარ შალიკაშვილის მოღალატური პოლიტიკის წყალობით მესხეთი სავსებით დაეკარგა სისხლხორციელ საქართველოს. მესხეთის აღმოსავლეთი მხარე ქაიხოსროს ეპყრა და ირანის ყმობაში შედიოდა.

ხოლო თურქები, უკვე მფლობელნი ქართული ქვეყნებისა – ჭანეთისა, აჭარისა, შავშეთისა და ტაო-კლარჯეთისა – გამუდმებით ესხმოდნენ თავს ქაიხოსროს „წილ“ აღმოსავლეთ მესხეთს. ესხმოდნენ, არბევდნენ, ანგრევდნენ, აწიოკებდნენ.

1570 წელს თავზარდაცემული ქაიხოსრო ათაბაგი სპარსეთს გაიქცა. შაჰ თამაზს მუხლებში ჩაუვარდა და თურქთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა.

შაჰს თურქეთთან ზავი ჰქონდა შეკრული ,ამასიის ზავი„ და მთხოვნელს ვერაფრითაც ვერ დაეხმარა.

ქაიხოსრო ათაბაგი ხელცარიელი აღარ აპირებდა დაბრუნებას და იქვე სპარსეთში გარდაიცვალა 1573 წელს. დარჩა ექვსი ძე, რომელთაგან სამცხის ათაბაგობა მიიღო **ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე** მეოთხემ. დიდი გავლენით სარგებლობდა მომდევნო ძმაც, მამაცი და მკლავღონიერი **მ ა ნ უ ჩ ა რ ი...** ქაიხოსროს კიდევ ერთი ძე, სახელით **თ ვ ა ლ შ ვ ე ნ ი ე რ ი,** მძევლად იყო სპარსეთის კარზე...

მალე ჯაყელთა საათაბაგო სახლს აუჯანყდნენ დანარჩენი მესხი თავადნი. საშინელი ნგრევა და ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდა ოცი წელიწადი. შინაომებით იღუპებოდა მესხთა ქვეყანა, რომელსაც 1500 წლიდან 1578 წლამდე უკვე განეცადა „უცხო თესლთა“ ცამეტი დამანგრეველი შემოსევა – რვა თურქთაგან, ხუთი ირანელთაგან.

ჯაყელთა სახლმა მაინც გაიმარჯვა.

ჩ ი ლ დ ი რ ი

1576 წელს მოკვდა შაჰ თამაზი და ირანის ტახტისათვის ატყდა ბრძოლა პოლიტიკურ „დასთა“ შორის, თავთავისი პრეტენდენტებით. ბრძოლა გაგრძელდა ერთი წელი და „ქართული დასის“ მხარდაჭერით ირანის შაჰი შეიქნა ნახევრად ბრმა **მ უ ჰ ა მ ე დ ხ უ დ ა ნ ბ ე ნ დ ე,** თამაზის უმცროსი ძე, მამა მომავალი შაჰ-აბასისა.

უფრო ადრე, 1574 წელს, თურქეთის სულთანი შეიქნა **მ უ რ ა დ მ ე ს ა მ ე,** რომელმაც 1578 წელს განაახლა ომი ირანთან. განაახლა და საოცარი ძალების მთავარსარდალ-სერასქერად დანიშნა ფრიად გამოცდილი მხედართმთავარი **ლ ა ლ ა მ უ ს ტ ა ფ ა ფ ა შ ა.**

ვადამწყვეტი ბრძოლისათვის მოპირდაპირენი ერთმანეთს შეხვდნენ

ჩ ი ლ დ ი რ ი ს ველზე, 1578 წლის 9 აგვისტოს.

როგორც ყოველთვის, ირან-თურქეთის ამ ახალ ხოცვა-ჟლეტაში ... უნდა დაღვრილიყო ქართული სისხლი. კერძოდ, ამჯერად მესხებს უნდა დაედოთ წილი, აღმოსავლეთ მესხებს – ირანელთა მხარეზე, დასავლეთ მესხებს – თურქთა მხარეზე (მაშ, ერთმანეთი უნდა ეჟლიტათ ქართველებს!)...

„ირანის მესხები" გამოცხადდნენ ბრძოლის ველზე.

„თურქეთის მესხები" ჯერ კიდევ არ ჩანდნენ. მათი სარდალი, **მ ა ნ უ ჩ ა რ ჯ ა ყ ე ლ ი**, მაჰმადიანური სახელით – **მ უ ს ტ ა ფ ა** – ბრძოლად გასვლას აგვიანებდა.

ბრძოლა კი დაიწყო, დიდი ბრძოლა თურქთა და სპარსთა შორის. დაიწყო საშუადღეოზე და გაგრძელდა დაღამებამდე. წვიმდა კოკისპირულად. ვერც ზარბაზნები აამოძრავეს, ვერც თოფები და დამბაჩები დააკვესეს. მხოლოდ ხმლებით სჩეხდნენ ერთმანეთს. სჩეხდნენ ისე გახელებით და გაალმასებით, რომ „ცაში ანგელოზებიც კი ქება-დიდებას ასხამდნენ გმირებს".

მანუჩარ მუსტაფა კი იარაღში ჩამჯდარი ექვსი ათასი მესხის თანხლებით მახლობელი მთის ფერდობზე დამდგარიყო და იქიდან დასცქეროდა ჩილდირის ველზე გახურებულ ხოცვა-ჟლეტას. უბეში მას ორი ბარათი ედო – თურქისა და სპარსელისა. ორივე თავისკენ იხმობდა თანამებრძოლად და თანამდგომელად. ორივემ კარგად იცოდა ახოვანი მესხის ხმლის ძალა. მანუჩარს კი ორივე უპასუხოდ დაეტოვებინა. იგი ოდენ ბრძოლის გათავებას უცდიდა და ვინც გაიმარჯვებდა, მანუჩარიც გამარჯვებულს ეახლებოდა. ასეთი იყო მისი იმჟამინდელი „პოლიტიკა". ხოლო უკეთუ გამარჯვებული მას არ შეიწყნარებდა და ბრძოლიდან განზე დგომას არ აპატიებდა, მაშინ?... „მაშინ არის მძიმე ხმალი და რვალის მკლავი მანუჩარისა და არის კიდევ ის, რაიც მარადჟამს ყოფილა, არის და იქნება – სიკვდილი!"...

დაღამდა. ჩილდირის ხოცვა-ჟლეტა გათავდა. თურქებმა გაიმარჯვეს. ხუთი ათასი სპარსელი და ქართველი („სპარსეთის მესხნი") დაცემულიყო მკვდარი. იმდენივე სპარსელი და ქართველი ტყვედ მიჰყავდათ თურქიანიჩარებს.

გათენდა მეორე დღე, 10 აგვისტო. და ძლევამოსილებით აღტაცებულ და გალაღებულ ლალა მუსტაფა ფაშას მოახსენეს – მანუჩარ-მუსტაფა ჯაყელი ხუთასი ჯნაურის თანხლებით ჩვენთან შესახვედრად მოეშურებაო. გაიხარა ლალა ფაშამ. მთელი ბანაკი ზარ-ზეიმით, ზარბაზნების გრიალით, თოფ-დამბაჩების ბათქაბუთქითა და დოლ-დაფდაფების დაგადუგით შეახვედრეს ქართველებს. თვითონ თურქი სერასქერი დიდის ამბით და პატივით შეეგება ქართველ ეთავარს. საგანგებოდ გაშზადებული ძვირფასი ხალიჩა თავის ხელით ჩააცვა მასპინძელმა სტუმარს. მაცრამ რაიმე

აღტაცება მაინც არ გამოუმჟღავნებია ქართველს.

„ძალიან მესიამოვნა შენი სტუმრობაო, – უთხრა ლალა ფაშამ მანუჩარს – თუმცა ესეც უნდა გისაყვედურო, ჩემს დაძახილს დროზე რომ არ გამოეხმაურე და ესოდენ დიდ ბრძოლას ვეღარ მოუსწარიო". მანუჩარმაც ვითომ წუხილი გამოთქვა, რომ ჩილდირის პრძოლას „ვეღარ მოუსწრო".

ფაშას ბრძანებით ბრძოლიდან წამოღებული სპარსული დროშები და დოლები დაულაგეს ფეხებთან იანიჩარებმა მანუჩარს. არც ამაზე „გაგიჟებულ" მანუჩარი. მხოლოდ ზიზღნარევი ღიმილით დაჰხედა ირანულ ნადავლს.

ძალიან ვწუხვარო, ისევ თქვა მანუჩარმა, მაგრამ არც სინანული იგრძნობოდა, არც შეშფოთება მის სიტყვაში. მხოლოდ სერასქერის კარვიდან ორას ნაბიჯზე დამანძილებული მაღალი ბორცვისთვის მიეპყრო მზერა მანუჩარს. ამ შუა ბანაკში რა უნდა იყოს, ან რად უნდა იყოს ეს ხელოვნური ბორცვიო, ალბათ ზედ ჩირაღდანს თუ აღმართავენო, – დაასკვნა ბოლოს.

თითქოს ამას უცდიდაო, მივიდა ლალა ფაშა. მკლავში ხელი მოჰკიდა და პირდაპირ იმ ბორცვისაკენ წაიყვანა მანუჩარი სწრაფი ნაბიჯით. მივიდნენ და, ის ბორცვი ადამიანების თავებისაგან აღმართული აღმოჩნდა! ტყვე ყიზილბაშთა თავებისაგან ნაშენი.

მაგრამ კვლავ ვერ ეწია საწადელს თურქი სერასქერი: ისევ მშვიდი იყო სახე მანუჩარ ჯაყელისა – მშვიდი, აღუშფოთებელი და ფერუცვლელი.

ახლა იმასაც შეხედეო, – უთხრა თურქმა ქართველს და ხელი ბანაკის ღობის გასწვრივ ჩამოსტარა. ესეც მოიხილა მანუჩარმა: ბანაკის გარშემო მარგილებზე ყიზილბაშთა თავები ჩამოეცვათ თურქებს. სულ ექვსი ათასი ყიზილბაშის თავი არის წარკვეთილიო, – საქმიანად დაასკვნა ლალამ და ისევ მიაშტერდა სტუმარს. მაგრამ მაინც გულგრილი და სახეუცვლელი იყო მანუჩარი.

ბრაზიანად შემოტრიალდა ლალა ფაშა, ბეგლარბეგებს მოუხმო და რაღაც ბრძანება ჩაუგდო ყველას ერთად. მერე მანუჩარს მიუბრუნდა, კარავთან მიიყვანა, ძვირფას ხალიჩაზე დასვა და თვითონაც მის გვერდით მოიკეცა მუხლები.

ატყდა დაფისა და ნაღარის ცემა. ისევ წინ წამოუძღვნენ ფაშები, ბეგლარბეგები და მირმირანები თავიანთ ჯარებს. კარვის წინ მოედინებოდნენ მიწაზე ათრეული სპარსული დროშებითა და დაჩუტული სპარსული დოლებით. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ყოველ ოსმალო მეომარს „თავისი კერძი" ყიზილბაში მოჰყავდა მხარგაკრული, და კარავს რომ მოატანდნენ თურქი ირანელს ხმალს კისერში სცემდა და ერთურთისაგან განკვეთილ თავსა და ტანს განზე ისროდა. ასე გაწყვიტეს ოსმალებმა ყველა სპარსელი ქართველთა თვალწინ. მაგრამ ამ ამაზრზენ სასაკლაოსაც გულგრილი და სახეშეუცვლელი უცქერდა მანუჩარი.

სიმშვიდეს არ ჰკარგავდნენ არც დანარჩენი მესხები. ლამის ჭკუიდან შეშლილიყო ქართველთა გულუძვრელობით გაოგნებული ლაშა ფაშა.

ბოლოს თითქოს მიხვდა სერასქერი: ამათ, ქართველებს რა ენაღვლებათ, ჩვენ, ოსმალებმა და ყიზილბაშებმა რომ ერთმანეთი ამოვწყიტოთო: ენაღვლებათ კი არა, უეჭველად ძალიან უხარიათო... ფეხზე წამოიჭრა, თანასარდლებს ანიშნა და კარავში შევიდა. ყველანი შეჰყვნენ. გარეთ ქართველები დარჩნენ.

მანუჩარმა ანიშნა და იარაღი მოისინჯეს მესხებმა – ვინ იცის, რას გვიპირებენ ეს ურჯულოებიო. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ. გამოვიდა ლალა ფაშა, მანუჩარს მიეახლა და სიცილით უთხრა – ახლა კი მართლა ვიხილავთ სახილველსო. გულმა რეჩხი უყო ქართველთა ბელადს.

ოსმალებმა ბანაკის შუაგულში აუარება შეშა შემოზიდეს და ბორცვ-ბორცვად, კოცონებად დალაგებას შეუდგნენ. შუადღისას საკოცონე ბორცვები მზად იყო.

და იანიჩარებმა ხუთასი მხარგაკრული და სისხლნადენი ადამიანი შემოიყვანეს. ესენი ქართველები იყვნენ, – ქართველები, აღმოსავლეთ მესხეთის შვილები. წინა დღის ბრძოლაში ყიზილბაშთა მხარდამხარ რომ იბრძოდნენ.

მაშ, ქართველები უნდა დასწვან?!

არც ერთი ყიზილბაში არ დაუწვავთ და ქართველებმა ისეთი რა დააშავეს, რომ მაინცდამაინც ისინი უნდა დასწვან?!

ალბათ, ის დააშავეს, რომ ქართველები არიან!

უნდა დასწვან იმად, რომ დააშინონ ქართველები.

ხოლო, უნდა დააშინონ იმად, რომ ყველას აშინებენ ისინი...

მკვდრის ფერი დასდებოდა სახეზე მანუჩარ ჯაყელს. მკვდრის ფერი ედო მანუჩარის მხლებელ ხუთასივე მესხს.

ხოლო დასაწვავად განწირულ ხუთას მესხს სახეზე ღვთაებრივი სინათლე დასდებოდა.

მიცვივდნენ ჯალათები და კოცონებზე აიყვანეს ქართველები.ხუთას კერეონად აენთო ხუთასი ქართველი.

ამის შემხედვარე ხუთასი ქართველი ცოცხალად მკვდარი ძლივს იდგა ფეხზე...

სატანურმა ხითხითმა გამოაფხიზლა გამშრალი მანუჩარი. ლალა ფაშა კარავში იხმობდა „მორჯულებულ“ სტუმარს. მანუჩარ ჯაყელი წელათრეული შეჰყვა კარავში ოსმალთა მთავარსარდალს.

მთელი ღამე დაობდნენ. მანუჩარი ჯიუტად მოითხოვდა სრულიად მესხეთი, დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, მე უნდა გადმომეცესო და ოსმალეთის მოხარკე-ქვეშევრდომი ვიქნებიო.

ლალა ფაშას საეცხეში აღგილობრივი ათაბაგი კი არა, თურქი

მოხელე-ფაშა სჭირდებოდა, მაგრამ ჯერ ამის გამოცხადება ვერ გაებედა და მხოლოდ ეს მოითხოვა მანუჩარისაგან: სამცხე თქვენი ოჯახის წევრებს „სანჯაყებად“ უნდა გაუნაწილდეს სამართავადო. აწყურის სანჯაყი შენ მოგეცემაო, მანუჩარს, ოლთისის სანჯაყი ყვარყვარეს მიერთვასო (რადგან ოლთისში ყოფილა ყვარყვარე დაბადებული), დედათქვენს, დედისიმედს, სამ ციხეს მივართმევ სახასოდ, ხოლო სამცხის დანარჩენი ციხე-ქალაქები პირდაპირ უნდა ჩაგვბარდეს თურქებსო.

შეთანხმდნენ.

„ჯერჯერობით ასე იყოს“, ფიქრობდა თავისთვის ლალა ფაშა.

„ჯერჯერობით ასე იყოს“, ფიქრობდა თავისთვის მანუჩარ ჯაყელი.

ლალა ფაშამ სტამბოლს ფაიქი აფრინა და მურად სულთანს მანუჩარ ჯაყელის ქვეშევრდომობის ამბავი აცნობა. ამნაირი კაცის დამორჩილება მომავალი დიდი ამბების მომასწავებელი უნდა იყოსო, „თავის ახრს“ მოახსენებდა ვეზირი და სერასქერი მეუფე ფადიშაჰს.

იმავე დღეს ლალა ფაშამ ახალი მისართმეველი მიართვა მანუჩარს: ოსმალეთის სამეფო დროშა, ოსმალური დაფი და ნაღარა, ოქროს უნაგირი, ვერცხლის რახტი, ძვირფასად გაწყობილი ოსმალური კარავი და რამდენიმე ოქრონემსული ხალათი. მანუჩარის მხლებლებიც არ დატოვა თურქმა სერასქერმა საპატიო საჩუქრების გარეშე.

თურქთა მხედრობა ტფილისისკენ ეშურებოდა.

როგორც ვიცით, ტფილისში ქართლის მმართველად დაუდ-ხანი იჯდა, ქართველი ხალხის გამყიდველი და ირანის ყურმოჭრილი მონა. ლალა ფაშამ მას წინასწარ წერილი მოსწერა და დამორჩილება მოითხოვა. დაუდ-ხანმა წერილი უპასუხოდ დატოვა, ქალაქი ხანძარს მისცა და თვითონ უგზოუკვლოდ გადაიკარგა.

დაბრუნება სვიმონ მეფისა



1578 წლის 24 აგვისტოს თურქთა მხედრობა საქართველოს დამწვარსა და დაცარიელებულ სატახტოში შევიდა. თურქები დაეუფლენ გორს, მუხრანს და მთელ ქართლს. ქართლიდან ისინი, კახელთა თანხლებით, აზერბაიჯანის დასაპყრობად და იქიდან ირანელთა გასადევნად გაემართნენ, თურქებმა და ქართველებმა ზედიზედ აიღეს შაქის, შემახის, ბაქოს, შაბურანის, დარუბანდის, მაჰუდაბანდისა და სალიანის ციხე-ქალაქნი.

ირანის სახელმწიფო კარი არ შეურიგდა თავისი „გავლენის სფეროების“ დაკარგვას ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

და ირანის სასახლის კარზე მიიჩნიეს, რომ ეგზომ კრიზისული

მდგომარეობიდან გამოხსნა შეეძლო მხოლოდ სვიმონ მეფეს, რომელიც აქამდე, ათი წლის მანძილზე ალამუთის ჯურღმულებში იტანჯებოდა ბორკილდასხმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოუშვეს სვიმონ მეფე საქართველოში თურქთა წინააღმდეგ ომის სახელმძღვანელოდ და სამეთაუროდ. ჩამოსვლისთანავე ხალხის საყვარელმა გმირმა ფეხზე დააყენა ქართლის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა.

ზედიზედ დაამარცხა სვიმონმა თურქული ბანაკები. ორთვენახევარში ბევრი დიდი და მცირე ციხე წაართვა დამპყრობლებს. ამათგან ყველაზე მთავარი ციხენი იყო ლორე და გორი, რომელთა დაკარგვა ფრიად საგლოველი შეიქნა თურქეთის სულთნის კარზე. იმავე წელს ტფილისში შეხიზნულ თურქულ გარნიზონს შეუკრა გზები და მისასვლელები სვიმონმა. შემდგომი წლებიც ქართველთა გამარჯვებებით წარიმართა.

განრისხებულმა სულთანმა მურად მესამემ ლალა ფაშა მთავარსარდლობიდან გადააყენა და მის ნაცვლად **სინან ფაშა** დანიშნა. მაგრამ სვიმონ მეფემ დმანისთან თურქეთის ახალი სერასქერიც სასტიკად დაამარცხა. ეს ამბავი მოხდა 1580 წელს.

(ამ წელს დაიბადა გიორგი საакაძე).

1582 წელს სულთანმა ახალი ჯარები გამოგზავნა საქართველოში, დიარბექირის ბეგლარბეგის, **მეჰმედ ფაშა ხადიმის** მეთაურობით.

მეჰმედ ფაშა ქართველი იყო, გამაჰმადიანებული და დასაჭურისებული. აქედანვე ერქვა ზედნადები სახელი – ხადიმი, საჭურისი. მას სახელი გაეთქვა სიმამაცით, გონგამჭრიახობით, სულთანისადმი ძაღლური ერთგულებით. დიარბექირის ბეგლარბეგობის შემდეგ იგი იქნება მმართველი ეგვიპტისა, რუმელიისა, ბოსნიისა, დამასკოსი, არზრუმისა, როდოსისა. მიაღწევს ჯერ მესამე ვეზირის, შემდგომ მეორე ვეზირის, დიდი ვეზირის მოადგილისა და დიდ-ვეზირობის თანამდებობებს...

ჯერჯერობით კი მეჰმედ ფაშა დიარბექირის ბეგლარბეგი იყო და ოციათასიანი ოსმალური მხედრობით საქართველოსკენ მოქროდა. მოქროდა და გვერდით მანუჩარ ჯაყელი მოსდევდა მესხთა ჯარით.

მუხრანის ველზე მოვიდნენ და დაბანაკდნენ.

მოულოდნელად დაეცათ თავზე სვიმონ მეფე.

სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველთა გამარჯვებით გათავდა. ორმოცი საპალნე ოქროც ნადავლად ჩაუვარდათ ხელში გამარჯვებულებს.

დამარცხებული მეჰმედ ფაშა სამცხეს გადავიდა. მუხრანს განცდილი მწარე მარცხი მას ვინმესთვის უნდა დაებრალებინა და სულთნის რისხვისაგან როგორმე თავი დაეღწია. „ის ვინმე“ კი მანუჩარ ჯაყელი უნდა ყოფილიყო. მარცხიც მას უნდა დაბრალებოდა და ვითარცა „მოღალატე“ კიდევაც უნდა მოეკლათ...

მანუჩარი, ანუ მუსტაფა (როგორც მას თურქები ეძახდნენ) თავის კარავში იყო, როცა იანიჩარი მივიდა და მოახსენა, მეჰმედ ფაშა სასახლეში თათბირზე გიწვევსო სასწრაფოდ. მანუჩარმა ორმოცდაათი მესხი ვაჟკაცი გაიყოლია და მათი თანხლებით გაემართა მთავარსარდლის კარვისაკენ. თქვენ შორიახლო დადექით, თუ ვინიცობაა, საჭირო გახდა, მე დაგიძახებთ და მომეშველეთო, უთხრა მხლებლებს და თვითონ მარტოდმარტო და უიარაღო შევიდა კარავში.

მეჰმედ ფაშა დამჯდარი დახვდა, ხმალზე ხელჩავლებული. გვერდით მას მეორე ფაშა ედგა, ისიც სახელად მეჰმედი, წარმომავლობით ბოსნიელი. დანარჩენებიც ფეხზე იდგნენ. ათამდე კაცი იქნებოდა. ყველა იარაღში იჯდა. ყველას ხმლის ვადაზე მოევლო ხელი. ინანა მანუჩარმა, უხმლოდ რომ შემოვიდა იარაღასხმული მგლების ხროვაში.

უეცრად უკნიდან ხმლის სტვენა მოესმა. ელვასავით შემოტრიალდა მანუჩარი, გვერდით გადაქანდა, მარჯვენით ხმალი გამოგლიჯა თურქს, მარცხენით თავიდან ჩალმა ჩამოჰგლიჯა და ისეთი ძალით უჭირა, რომ „თავიდან მუცლამდე გააპო“ (ამ სიტყვებით ამბობს ამ ამბის მომსწრე იტალიელი მარტინ გოდერო). წამსვე ხმალი დააძრო ჭიპამდე შუაგაპობილს და მეჰმედ ფაშასკენ გაექანა გააფთრებული. წინ გადაეჭრნენ ხმალშიშველი სარდლები. ხმლები ჩაუკაფა ხმალდაკვესებით ყველას მანუჩარმა. მეწინავე თურქი მხარიღლივ გადასჩეხა. მომდევნოს, მეჰმედ ბოსნიელს ყური და ლოყა ჩამოათალა. დანარჩენები გაექცნენ „გარდარეულ გურჯს“, რომელსაც გასაოცარი „მამაცობის ხელი ვაჟკაცობის სახელოდან გამოეწვდინა“(!) მეჰმედ ფაშას წამოეწია და გზა გადაუჭრა. ხმალი შემოაგება მეჰმედმა. მანუჩარმა დაასწრო და შემოჰკრა ხმალი. მუხლზე დაეცა მთავარსარდალი. ისევ შემოესივნენ თურქები ქართველს ახლა გაახსენდა, რომ უნდა დაეყვირა და დაიღრიალა მანუჩარმა: „ქართველებო!!!“ და ისევ დაერია გაალმასებით ყველა თურქს ერთად. კიდევ ოთხჯერ ჩაწვდინა ხმალი მეჰმედ ფაშას. ცოცხალმკვდარი დაეცა მეჰმედ ფაშა ხადიმი, კაცი ქართველად დაბადებული და „თათრად“ გარდასახული...

მესხები შემოიჭრნენ გრიგალივით და გარს შემოერტყნენ პატრონს. მისი ხმლით დაქცეული სისხლი იკმარეს და კარავიდან გამოიტაცეს...

მიჰქროდა მესხთა მთავარი მესხური ჯარით. უხაროდა – ისევ მანუჩარი ერქვა, ყრმობის სახელი, ისევ ქრისტიანი იყო, ისევ ქართველი!

„მე მათ კიდევ ბევრჯერ ვაჩვენებ, რომ მანუჩარ ათაბაგი გახლავართ, ქართველი ათაბაგი, და არა ოსმალო ფაშა, აყროლებული სუნიტების ყმა და მონა-მორჩილი!“

სვიმონ მეფისკენ მიჰქროდა მანუჩარ ათაბაგი, – იქ, სადაც ქართული ბაბულიშვილობის კერაა ინთო, მძლავრი სხივცემით...

მალე ჩრდილ-ევროპის ვზაკვეოილზე ხმა გავარდა: მანუჩარ ათაბაგმა

მესხეთი ააჯანყა, თურქეთს განუდგა, ქრისტიანობა და ქართველობა დაიბრუნა, სვიმონ მეფეს ეახლა, მისი ერთგული თანამებრძოლი გახდა. მალე მანუჩარმა ცოლად შეირთო სვიმონ მეფის ასული, ელუნე, ქართლი და სამცხე ოსმალეთთან საომრად გაერთიანდნენ.

1583 წელს ქართველებმა თურქთა კირთებისგან დაიხსნეს ტფილისი. მას უკან აიღეს კიდევ მთავარი ციხენი ქართლისა – სამშვილდე, დმანისი.

ხატისსოფელი

1584 წელს ქართლში ახალი, ოციათასიანი არმია შემოიჭრა, **რ ე ზ ვ ა ნ ფ ა შ ა ს** სარდლობით. საქართველოს სატახტოსაკენ მომავალ მტერს მეგზურად მოუძღოდა მოღალატე დაუდ-ხანი.

მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირზე მოვიდნენ და **ხ ა ტ ი ს ს ო ფ ე ლ თ ა ნ** დადგნენ ბანაკად.

ალგეთის მარცხენა ნაპირზე სვიმონ მეფე მოვიდა ქართველთა ჯარით...

...მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, როცა რეზვან ფაშას მოახსენეს, სვიმონ მეფის მოციქული გეახლათ და თქვენთან შეხვედრას ითხოვსო.

შემომიყვანეთო, ბრძანა ფაშამ მცირე ფიქრის შემდგომ.

შემოვიდა „სვიმონ მეფის მოციქული". მაღალი კაცი იყო, ხმელხმელი, მხარბეჭიანი, სათნო-სახოვანი და ხშიწვეროსანი. ფაშას ზრდილად თავი დაუკრა, სამოციქულო არგანს ორივე ხელით დაებჯინა და პირდაპირ თქვა, წყნარი, დამაჯერებელი ხმით: „თქვენც კარგად უწყით, თუ ჩვენ, ქართველებს რაოდენნი ჭირნი, პყრობილებანი, ტყვეობანი და სისხლისთხევანი წაგვკიდებია ყიზილბაშთათვის და ყიზილბაშთა მიზეზით. ხოლო, რაც თქვენთან, ოსმალებთან გვიბრძოლია, ესეც ჩვენის ნებით კი არა, სულ ყიზილბაშთა მძლავრებით გვიბრძოლია. ახლა ამას ბრძანებს სვიმონ მეფე: მეყოფა ამდენი ხმლის ქნევა და ომი ყაენის გულისთვისო; რაღა გამოვიდა – თუ უბატონოდ ვერ გავძლებთ, უკეთესი ბატონი უნდა ვარჩიოთ უარეს ბატონსო. ჩვენ დავრწმუნდით ქართველებისთვის ოსმალთა ხვანთქარი სჯობსო ყიზილბაშთა ყაენს; ამიტომ არღარა მნებავსო მონება ყიზილბაშთა და ამირჩევია მორჩილება ხვანთქრისა. ჩვენ გვგონია, თქვენთვისაც ასე სჯობს და ჩვენთვისაც, და აწ, უკეთუ თქვენცა გნებავთ, შევრიგდეთ და ვიყვნეთ მშვიდობით, და აუწყეთ ხვანთქარსა მორჩილება ჩვენი, და ამიერითგან ვიქნებით მორჩილ ბრძანებისა მისისა", – დაასრულა „სვიმონის ელჩმა".

კარგა ხანს უცქირა რეზვან ფაშამ სტუმარს, და ბოლოს, რაკი ქართველის კეთილ თვალებში ვერაგობისა ვერაფერი ამოიკითხა, თქვა დაბეჯითებით: „მოახსენეთ სვიმონ მეფეს, ძალიან გვიხარია, ასე კეთილად რომ განგიზრახავთ-თქო. ჩვენც სარწმუნოდ გვიჩანს სიტყვა მისი. აწ ვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრიგდეთ, მოვილაპარაკოთ და ამიერითგან იყოს მშვიდობა და ერთობა ჩვენს შორის".

ქართველმა გულმოდგინედ მოისმინა თურქი სარდლის ნათქვამი. ყოველივეს ჩემს მეფეს მოვახსენებო, თქვა, მდაბლად თავი დაუკრა და წამოსასვლელად მოემზადა. ფაშამ გამოაცილა „საპატიო ელჩი". მთელი ბანაკი ერთად მიიარ-მოიარეს. თურქს აზრადაც არ დაუკრავს, რატომ იმძიმებდა ფეხს ქართველი და რატომ არ ჩქარობდა მზის ჩასვლამდე დაეტოვებინა ბანაკი.

ფიქრადაც არავის გაუვლია, რომ ეს „სვიმონ მეფის ელჩი" თვითონ სვიმონ მეფე იყო!

დაზვერვა დამთავრდა.

ახლა ბრძოლის ველს იხატავდა გონებაში სვიმონ მეფე...

მაგრამ ეს კი აღარ შეუტყვია სვიმონს: ნაშუაღამევს რეზვან ფაშას ბანაკს კიდევ ათი ათასი მეომარი შეემატა. სულ ოცდაათი ათასი მეომარი ჰყავდა ახლა რეზვან ფაშას. სვიმონ მეფის „ჩანახატში" კი მხოლოდ ოცი ათასი თურქი იყო მონიშნული.

მაშ, 4000 - წინააღმდეგ 30 000-ისა!...

(თუმცა ახალი არაფერი ხდებოდა ქართველთა საომარი ბედის სასწორზე)...

... ხატისსოფელს მაღალი გორა ადგას სამხრეთის მხრიდან.

სვიმონ მეფემ ღამით ჯარი ალგეთზე გადაიყვანა, სოფელს შემოუარა და იმ გორას თხემზე მოექცა.

დილა-ბნელზე ქართველები უეცრად დაეცნენ თავზე მტრის ბანაკს. ბევრი ოსმალო მანამ გაათავეს, სანამ ძილის ბურანიდან გამოერკვეოდა დიდხანს ვერ აღადგინა საომარი წესრიგი რეზვან ფაშამ პანიკით მოცულ ბანაკში. ქართველები დაჰქროდნენ და სჩეხდნენ გაალმასებით. ჩქარობდნენ, რათა სანამ მტერი გონს მოვიდოდა, როგორმე მანამ შეემცირებინათ მისი რიცხობრივი სიჭარბე. რეზვან ფაშამ მაინც დააწყო ათასეულები საშინელი კაცთაკვლის ხაზს უკან. დააწყო და შემოუტია გააფთრებით. მაგრამ ბრძოლის ყველა უბანი უკვე მტკიცედ ჩაეჭირათ ხელში ქართველებს. სცემდნენ უწყალოდ „პირითა მახვილისათა". გადაიშუადღა. ოსმალთა ურდომ ერთბაშად პირი აქცია და გაიქცა. გამოედევნენ ქართველები. მზის ჩაწურვამდე სდიეს და სჩეხეს.

მობრუნდა სვიმონ მეფე ნაომარი ველის სახილველად. მრავალი თურქი დამპყრობელი დარეცილიყო. მრავალი ტყვე და ნადავლი ჩავარდნოდათ ხელში ქართველებს.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ბრძოლა გადაიხადა სვიმონ მეფემ ძლევამოსილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1587 წელს ირანის ტახტზე ავიდა სახელოვანი შაჰ აბასი; რომელმაც ხელმწიფობა აღმოსავლეთ ოზბეგების წინააღმდეგ ლაშქრობით დაიწყო. ამ ლაშქრობაში მას გვერდით, „მარჯვენა ხელად" ჰყავდა მესხი **თვალშვენიერი**, მანუჩარ ათაბაგის უმცროსი ძმა. სამჯერ შეებნენ ყიზილბაშები ოზბეგებს და სამჯერვე, შაჰის ბრძანებით, თვალშვენიერი უძღოდა ჯარებს. „სამჯერვე გაემარჯვა" თვალშვენიერს, ოზბეგები „კიდეც დახოცნა, ხელითაც დაიჭირნა და ყაენს მიუსხა"...

ამასობაში სვიმონ მეფემ ქართლიდან თურქები სულ განდევნა, მაგრამ დანარჩენ ფრონტებზე ჯერ ისევ თურქები სჯაბნიდნენ ირანელებს შაჰ აბასი დარწმუნდა, საჭირო იყო ზავი და, ომისწარმატებით განახლებამდე, ქვეყნის შინაგანი ძირეული გარდაქმნები და რეფორმები. და დაიდო კიდეც ზავი ირანსა და თურქეთს შორის (1590 წლის 21 მარტი). ამ ზავით საქართველო ირანმა თურქეთს „დაუთმო". სვიმონ მეფე მარტო შერჩა გამძვინვარებულ თურქეთთან ომს.

მაგრამ მაინც იბრძოდა გმირი ხელმწიფე, იბრძოდა, „ვიდრე პირში სული ედგა". ერთ ხანს ევროპის „გონზე მოყვანას" ცდილობდა ქართველი მეფე, წერილებს სწერდა პაპს, „დიდი რომის ოქროს ნაღარას", **კლიმენტი მერვეს** და ესპანეთის მეფეს - **ფილიპე მეორეს** - შევკავშირდეთ და ერთიანი ძალებით თავი გავუჭეჭყოთ ქრისტიანთა მოსისხლე თურქებსო; გავათავისუფლოთ იერუსალიმი და ვიხსნათ ქრისტიანები უსჯულოების ხელთაგანო; ქართველები აქედან შემოვუტევთ და თქვენ მანდედან მოაწექით ოსმალეთსო.

მაგრამ მიწერ-მოწერა მხოლოდ მიწერ-მოწერად დარჩა. ქართლი ისევ მარტო იყო ოსმალური მონარქიის პირისპირ.

უკანასკნელი ბრძოლა 1599 წელს მოხდა, ალგეთის ხეობაში, სოფელ **ნახიდურთან**. სწორედ აქ, ქართველთა მცირე ჯარით, სვიმონ მეფე წინ გადაუდგა უეცრად შემოჭრილ და ტფილისისაკენ მომავალ თურქთა ურიცხვ მხედრობას. მტრის მეწინავე რიგები ჩაჰკაფეს და ჩააწვინეს იერიშზე გადმოსულმა ქართველებმა, თურქული დროშები დაიხელთეს და დაფხრიწეს, მაგრამ თოფების სეტყვის ქვეშ ხმლები დაუმოკლდათ და უკუიქცნენ ქართველები. თავაწყვეტილი სრბოლის ჟამს ერთმა მხედარმა ქართველ მეფეს უკნიდან უნებურად ცხენი დააძგერა და მეფე სვიმონი ცხენიანად დამეწყრილ, ლაფით სავსე ხევში გადაეშვა. ქართველები მეწყერში ჩაფლულ მეფეს გარს შემოერტყნენ და მოზვავებულ მტერს მთლიანად შეაწყდნენ. თვითონ მეფე, მას შემდგომ რაც უკანასკნელი ისარიც შემოიხარჯა, თურქებმა, მათი მთავარსარდლის ოხოვნით, ცოცხლად გამოიყვანეს. დატყვევებულ მეფეს თურქეთისკენ მიმავალ გზაზე მისი გმირი მეომრების წარკვეთილი თავებით სავსე

საპალნეები მიაცილებდა.

ზეიმობდა ოსმალეთი. დაცემულიყო ამიერკავკასიის ხალხთა უპირველესი გმირი - დროშა, რწმენა და იმედი. სულთან მეჰმედ მესამეს ბრძანება გაეცა: სამი დღე-ღამე იზეიმოს ბრწყინვალე პორტამ! სამი დღე-ღამე ოსმალური დროშები გადმოჰკიდეს ყველა ქალაქში.

მერე თვითონ შეხვდა სულთანი სვიმონს, შეხვდა „დიდი სიამტკბილობით", ბევრს წყალობას შეჰპირდა, დიდ სიმდიდრესა და პატივს, მაგრამ ვერ იქნა და „გათათრებაზე" ვერ დაითანხმა. არც ქართლის დახარკვასა და ქვეშევრდომობაზე დათანხმდა ქართველი მეფე.

განრისხებულმა ფადიშაჰმა სვიმონი „შვიდკოშკიან ციხეში" (იედიყულე) ჩააგდო.

რა არ სცადა უფლისწულმა **გ ი ო რ გ ი** სვიმონის ძემ მამის დასახსნელად: არ დაზოგა არც სამეფო ხაზინა, არც პირადი ქონება, არც ეკლესია-მონასტრებისა და წარჩინებულ მამულიშვილთა შესაწირავნი -- ყველაფერი სტამბოლს გაგზავნა.

შვილებიც მძევლებად მისცა ხონთქარს გიორგიმ. ჯერ უფლისწული **დ ა ვ ი თ ი,** მერე ასული, უმშვენიერესი **გ უ ლ ჩ ა რ ა.**

მაგრამ ამაოდ გამოდგა ყოველივე: თურქებმა ქრთამი ქრთამად დაიტოვეს, მძევლები მძევლებად, ხოლო სვიმონი არ იქნა და ტყვეობიდან არ გამოუშვეს.

და 1603 წელს საქართველოს მოუკვდა სვიმონ მეფე.

უცხო მიწაზე, უცხო ციხის ჯურღმულში დახუჭა თვალი დიდმა მამულიშვილმა, ვინაც „ქართლს ხმალი შეარტყა" - უიღბლო ეპიგონმა ვახტანგ ვორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა.

გამეფდა 19 წლისა, ტყვეობაში გაატარა 12 წელიწადი. იმეფა 35 წელიწადი, აღესრულა 66 წლისა.

იყო იმჟამად სტამბოლს გორელი ვაჭარი დიაკვნიშვილი, რომელმაც ჩამოასვენა სვიმონ მეფის ნაშთები სტამბოლიდან საქართველოში.

და დაკრძალეს მცხეთას, მისი საფიცარი მამის, ლუარსაბის გვერდით.

იწვნენ ერთად, ორნივ „დიდნი" - მადლიერი ხალხისაგან მიძღვნილი ტიტულებით, ორნივ ნიშანსვეტნი ეროვნული სიქველისა, რწმენისა და უკვდავებისა...

... მეთექვსმეტე საუკუნემ სისხლიანი ეტლით გადაიარა საქართველოს გულზე. ამ ასწლეულში ქართველებმა გარედან მომხვდურ მტერთან გადაიხადეს 70 ბრძოლა, აქედან - მოიგეს 49, წააგეს 21. ბევრი სისხლი ადინეს გადამთიელებს, მაგრამ არა უმცირესი - ერთმანეთს. ლამის დაიქცა საქართველო. „არღარა იწერებოდა". არღარა ისმოდა საზღვარგარეთის ქართულ სავანეთაგან. „არღარა შენებულობა" შენდებოდა.

მაგრამ მაინც კიაფობდა ნაპერწკალი ნაცარმორეულ ქართულ კერაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით გაძლიერდა სპარსეთი. მაშინდელი ხელმწიფე ირანისა, სახელოვანი **შაჰ აბას პირ-ველი,** მის კარზე შემოკრებილ „გათათრებულ“ ქართველთა შემწეობით და მათზე დაყრდნობით განამტკიცებდა შინაგან, სამხედრო, სამეურნეო, სააღმშენებლო და კულტურულ ცხოვრებას.

ისპაჰანში, ირანის მაშინდელ სატახტო ქალაქში, ქართველები უფრო „სჩანდნენ“, ვიდრე სპარსელები. კიდევაც ამბობდნენ ხშირად: ისპაჰანი საქრისტიანო სამეფო ქალაქია, რადგან იქ უფრო ბევრი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე მთელს საქართველოშიო.

სპარსეთის შაჰის კარი და სპარსული არისტოკრატია ქართველებთან მოყვრობას და სისხლით დანათესავებას მიელტვოდა. „სპარსეთში“, შაჰიდან დაწყებული და უდაბლესი ქვეშევრდომით დამთავრებული, იშვიათად შეგხვდებათ ადამიანი, რომელსაც დედა ან მამა ქართველი არ ჰყავდეს; ან უკიდურეს შემთხვევაში, ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში“, – წერს ფრანგი **ჟან ბატისტ ტავერნიე.**

თვითონ შაჰ აბასსაც თავი მოჰქონდა ქართველებთან „ნათესაობით“ და ქართული ენის ცოდნით.

სახელმწიფოს რეფორმატორული საქმიანობის სათავეშიც შაჰ აბასმა უახლოესი კაცი, ტომით ქართველი, **ალავერდი-ხან უნ-დილაძე** ჩააყენა.

ქართველ სამხედრო რეფორმატორს შაჰმა თანაშემწეებად დაუნიშნა ინგლისელი ძმები – **ანტონ და რობერტ შერლე-ბი.**

უნდილაძემ 30 000-იანი მკაცრად გაწვრთნილი არმია შექმნა, 10 000 თოფითა და 5 000 ზარბაზნის თანხლებით. ცალკე შეიქმნა „ღულამთა“, ანუ ყულის, ჯარი –, 10 000 რჩეული მხედარი. ეს იყო „გვარდია“, ძველი აქემენიდების დროინდელი „უკვდავთა“ ჯარის მსგავსად. „ყულის“ ჯარის უფროსიც – ყულარაღასი – ისევ ალავერდი-ხან უნდილაძე იყო (ამიერიდან მთელი 125 წლის მანძილზე სპარსეთის რჩეული ჯარების მთავარსარდალი, „როგორც წესი“, ყოველთვის იქნება ქართველი).

ალავერდი-ხან უნდილაძეს ევროპელი მოგზაურები და დიპლომატები ირანის „ვიცე-კოროლს“ ეძახდნენ. იგი იყო შაჰის პირველი მრჩეველი, პირველი ვაზირი, მთავარი სპასალარი, „კლასიკური ირანის“ – ფარსის ბეგლარბეგი. და შემდგომში მის შთამომავლობას ეკუთვნოდა უამრავი ქარვასლა, ფუნდუკი და ბაზარი. მას ხელთ ეპყრა საქარავნო და სამხედრო გზები ირანისა და ისპაჰანისა. მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან ასი ათასი ეკიუ შემოსდიოდა. უნდილაძე და შემდგომში მისი ჰონაგარი ირანში აგებდა გზებს, ხიდებს, წყალსადენებს, კაშხალებს, ქარვასლებს,

საფოსტო სადგურებს, მეჩეთებსა და მედრესებს. დღესაც მოქმედებს ისფაჰანში ალავერდი-ხან უნდილაძის ნაშენები ხიდი. უნდილაძის ცოლმა, ქართველმა ქალმა, საკუთარი ფულადი სახსრებით, ირანის მთები მრავალგან უღელტეხილებით გადასტეხა, გზები გაიყვანა, მდინარეებზე და ხევხუვებზე ხიდები გასდო. დიდი კულტურტრეგერიც იყო უნდილაძე, კულტურულ აღმშენებლობას მიელტვოდა შეუსვენებლივ. აშენებდა, აჩუქურთმებდა, აქანდაკებდა, ხატავდა. ისფაჰანში ჩეჰელ-სუთუნის სასახლის კედლები ბრწყინვალე ფრესკებით მოახატვინა (იქვე ქართული წარწერაც „შეაპარა" ქართველყოფილმა). ეტანებოდა ირანულ, არაბულ, ბერძნულ და ქართულ მწიგნობრობას. უყვარდა ფირდოუსი, ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე და ლოცულობდა შოთა რუსთაველზე.

„მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, ხოლო მე უნდილაძეს ვემორჩილები", – ამბობდა თვითონ შაჰ აბასი.

საგანგებოდ უნდა მივანიშნოთ, რომ შაჰის გვარდია, ანუ ყულის ჯარი, რომელსაც ყულარაღასად უნდილაძე ჰყავდა, თითქმის მთლიანად ყრმობიდანვე ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული ქართველებისაგან შედგებოდა. აქვე, ქართველთა გვერდით, აქა-იქ ირიცხებოდნენ გამაჰმადიანებული სომხები და ჩერქეზები. ამიტომ წერდა სპარსეთში იმჟამად მყოფი **პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე**, იტალიელი მოგზაური და მეცნიერი: ირანის არმიის მთავარი ძარღვი ქართველთა მხედრობა არისო...

ირანის დედოფლებიც ქართველი ქალები იყვნენ – შაჰ აბასის ოთხი ცოლი - **თ ა მ ა რ ი, დ ა რ ე ჯ ა ნ ი, ე ლ ე ნ ე და ლ ე ლ ა.**

(„სპარსეთში დედა-დედოფალი ყოველთვის ქართველ მეფეთა შთამომავალია", – წერდა ინგლისელი **ჯ ო ნ ფ რ ა ი ე რ ი**).

მორღვეული კარიბჭეები

1603 წელს შაჰ აბასმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ირან-თურქეთის ახალი ომი, მცირე შესვენებებით, 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰი ამ ომით აპირებდა: დაებრუნებინა თურქეთისაგან წართმეული ირანული მიწები და ამიერკავკასია მთლიანად – გამორჩევით, საქართველო დაეპყრო ისე მტკიცედ, რომ აღარასდროს მისი დაუფლების იმედი აღარ დარჩენოდეს არც მოსისხლე ოსმალეთს და არც „მეგობარ" რუსეთს.

პირველი ბრძოლა მოხდა 1603 წლის ზაფხულში, სოფელ სუფიანთან, სალმასის ოლქში. თურქები დამარცხდნენ და გაიქცნენ. სპარსელები დაედევნენ და იმავე წლის 16 ნოემბერს გარს შემოადგნენ ერევანს, სადაც ძლიერი თურქული გარნიზონი გამაგრებულიყო.

შაჰ აბასმა ერევნის საიერიშოდ ქართველი მეფეებიც მიიწვია, ქართული ჯარებით – ქართლის მეფე **გ ი ო რ გ ი მ ე ა თ ე** (სვიმონის ძე) და კახეთის მეფე **ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ო რ ე** (ლევანის ძე). ისინიც ეახლნენ შაჰს, თავიანთი ჯარებით.

შაჰ აბასმა ქართველები სპარსელებს წინ დაუყენა და იერიშში ბრძანა. ქართველებმა სამი დიდი ჯვარი წაიმძღვარეს და გაუძღვნენ იერიშს. პირველნი ეკვეთენ თურქებს, სძლიეს და შეიჭრნენ ქალაქში. მიჰყვნენ ირანელნი. ერევანი თურქებს წაერთვა და სპარსელებს მიერთვა.

შაჰ აბასმა ქართველ მეფეებს „სამადლობელოდ" ირანში სოფლები და პირადი ხაზინიდან ჯამაგირი დაუნიშნა. მაგრამ იქვე შაჰმა, ასეთი „წყალობის" საფასურად, ქართლის მეფეს სამხრეთ სამფლობელოთაგან ლორეს მხარე ჩამოართვა, ხოლო კახეთის მეფეს – აღმოსავლეთი მხარე, კაკ-ელისენის მიწები. სულ მალე საქართველოს ეს სასაზღვრო, ჩამკეტი კარიბჭენი, ვერაგ შაჰს თურქმანული, მომთაბარული ტომებით უნდა დაესახლებინა, ქართული სამეურნეო და სულიერი ცხოვრება თანდათან მოეშალა და მოესპო...

ქართველი მეფეები შაჰის მზაკვრობას აშკარად ხედავდნენ და საკუთარი ქვეყნების თავისუფლების გადარჩენისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ. ალექსანდრე კახთა მეფე მამის, მეფე **ლ ე ვ ა ნ ი ს** საგარეო პოლიტიკის გზას ადგა და რუსეთთან ურთიერთობისა და მასთან კავშირის განმტკიცებით აპირებდა ქვეყნის გადარჩენას.

შაჰი უფრო რადიკალური სისასტიკის გზას დაადგა. გიორგი მეფე მოაწამვლინა, ხოლო ალექსანდრეს მკვლელად შვილი მიუგზავნა.

მკვლელობა კახეთს

ალექსანდრე კახთა მეფეს ხუთი ვაჟიშვილიდან სამი შემორჩენოდა – დავითი, გიორგი და კონსტანტინე.

დ ა ვ ი თ ი დ ა გ ი ო რ გ ი თელავის სასახლის კარზე იყვნენ და ტახტის მემკვიდრეობისთვის ექიშპებოდნენ ერთმანეთს, ხოლო **კ ო ნ - ს ტ ა ნ ტ ი ნ ე** ყრმობითვე შაჰ აბასს მძევლად წაეყვანა და იქ იზრდებოდა, სპარსეთს, ყრმობითვე გამაჰმადიანებული და უკვე „თათრად" გაზრდილი.

კახეთის ტახტი დავითმა წაართვა მამასაც და ძმასაც, მაგრამ დიდხანს ვერ იმეფა და მალე გარდაიცვალა. გარდაცვლილს დარჩა ქვრივი დედოფალი **ქ ე თ ე ვ ა ნ ი,** ცამეტი წლის ვაჟი **თ ე ი მ უ რ ა ზ ი** და ერთი ასული – **ე ლ ე ნ ე**.

ტახტი თეიმურაზს ეკუთვნოდა, მაგრამ მეფობა ისევ ალექსანდრემ დაიბრუნა და ტახტის მემკვიდრედაც თავისი ძე, გიორგი გამოაცხადა.

ხოლო, თეიმურაზს და ელენეს რუსეთის მაშინდელი მეფის, ბორის გოდუნოვის სახლთან დასამოყვრებლად ამზადებდნენ კახელები. მაგრამ ისევ შაჰ აბასმა დაასწრო და ორივე სპარსეთს წაიყვანა - ელენე - „ერთ-ერთ ცოლად", თეიმურაზი - „შვილად"...

...გამოხდა ჟამი.

დავაჟკაცებულიყო „დიდი ბატონიშვილი კონსტანტინე-მირზა" - ასე ეძახდნენ კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს სპარსეთის სასახლის კარზე. ახლა კი იგი შაჰ აბასს დაენიშნა შირვანის ბეგლარბეგად და ახალ ტიტულებად დაერქმია „ხანი" და „ამირათა ამირა".

და გამოეგზავნა კახეთში შაჰ აბასს კონსტანტინე-ხანი სპარსელი თანაშემწე სარდლებითა და სპარსული ჯარით. მოდიოდნენ და მოჰქონდათ შაჰის ნაბრძანები: კახეთის მეფისთვის კახთა ჯარი უნდა გამოერთმიათ, კახთა თანადგომით შირვანს უნდა შეჭრილიყვნენ, იქიდან თურქები განედევნათ და ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ სპარსეთისთვის დაემკვიდრებინათ.

ხოლო, ვერაგი შაჰის „უფრო დაწვრილებითი" ნაბრძანები მხოლოდ კონსტანტინე-ხანის გულს იყო დამარხული...

შეხვედრა მოხდა ძაგემს, 1605 წლის მარტში.

იმ დღეებში რუსი ელჩების მისაღებად ემზადებოდა ალექსანდრე. 12 მარტი იყო დათქმული რუსებთან შესახვედრად. ხოლო, კონსტანტინე 8 მარტს მივიდა „მეგობარ" სპარსთა თანხლებით. სამი დღე გაგრძელდა „ოჯახური სიყვარული და სიამტკბილობა". 12 მარტს კი რუსების მოსვლას კონსტანტინემ დაასწრო და დილით ადრე შევიდა ალექსანდრესთან, ჯიქური ნაბიჯით, იარაღში ჩასილაღებული. თავხედური გამოხედვა ჰქონდა. იგი უკვე აღარ ჰგავდა „ალექსანდრეს ძვირფას შვილს" და გიორგი ბატონიშვილის „ძვირფას ძმას". იგი არც ერთს არ მიესალმა - არც მამას, არც ძმას.

თანაშემწე სპარსი სარდლებიც შემოჰყვნენ კონსტანტინეს, ყველანი სრული აღჭურვილობით დალესილნი.

უცებ სასახლის მცველი შემოვიდა და ალექსანდრეს და გიორგის წაულაპარაკა: ყიზილბაშთა ჯარი შემოვიდა ქალაქშიო!

აქვე მეფისგან სადარბაზოდ მოწვეულმა სასულიერო და საერო დიდებულებმაც მოუსწრეს.

აწრიალდა კონსტანტინე-ხანი, არაფერი მოხდესო მოულოდნელი, რუსებმაც არ მომისწრონო და ცივად, უტეხად უთხრა ალექსანდრეს: შირვანს ლაშქრობის თაობაზე მოვედით სათათბიროდო.

ეს არ ყოფილა მოულოდნელი ალექსანდრესთვის. აკი შაჰ აბასმაც დააბარა ერევნიდან გამოსტუმრების ჟამს - კონსტანტინესთან ერთად შირვანს უნდა ილაშქრო შენის კახელებითო. მაგრამ რაღა მანცდამაინც ახლა, რუსებთან შეხვედრას დაასწრეს და აიჩემეს შირვანს ლაშქრობა

ყიზილბაშებმა და მათმა ბელადმა, გაყიზილბაშებულმა მისმა შვილმა?!

და, შირვანს სალაშქროდ ჯერ ვერ მოვიცლიო, თქვა ალექსანდრემ. ჯერ ვერ მოვიცლიო? – აიწყვიტა კონსტანტინემ.

დარბაზი სიკვდილის სუნთქვამ მოიცვა.

კონსტანტინეს ხმლის ვადა ჩაებღუჯა და შიგ სახეში ჩაჰყიოდა მამას: თუ მართლა შაჰის მოღალატე არა ხარ, დაუყონებლივ უნდა შეჰყარო კახეთის ჯარი შირვანს სალაშქროდო.

ალექსანდრემ კი, ეს მერამდენედ, გაუმეორა „გადარჯულებულ შვილს“: სანამ შირვანისთვის მოვიცლიდე, მანამ სამეფოს შინაური საქმეები მაქვს გასაწყობი და გასამართავიო.

მაშინ ფეხი წაუცდა მამისკენ კონსტანტინეს და უცებ გიორგი ბატონიშვილი გადაუდგა წინ.

თითქოს ამას ელოდაო, უცებ კონსტანტინემ „სისხლისმღვრელი მახვილი იშიშვლა შურისძიების ქარქაშიდან“. იშიშვლა, ალმაცერად მოიქნია და შიგ საფეთქელში შემოჰკრა სრულის ძალით ძმას.

უსულოდ დაეცა გიორგი ბატონიშვილი.

მომეშველეთო!!! – იბღავლა ალექსანდრემ და გაექანა შვილისკენ, რომელმაც მას მოუკლა შვილი.

წამსვე ხმლები გაიძრეს სპარსელებმა და ასჩეხეს ალექსანდრე, მეუე კახეთისა.

ქართველ დიდებულებსაც გაეძროთ ხმლები. მაგრამ გვიანღა იყო. დარბაზი უკვე გაჭედილიყო ყიზილბაშებით. უკვე გრიალებდნენ ხელთოფები და დამბაჩები.

რუსი ელჩები თავისთან იყვნენ, მეფისგან წვევის მოლოდინში, სროლის ხმა რომ შემოესმათ, **ტ ა ტ ი შ ჩ ე ვ ი** მივარდა **კ ა მ ე ნ ე ვ ს** და უთხრა: ვგონებ, მეფეს რაღაც უბედურება დაატყდა თავს, აწლავე გაიქეც და კონსტანტინე გააფრთხილე, სისხლი არ დაიღვაროსო.

კამენევმა უფროსი დესპანის ბრძანების დასრულებას აღარ დაუცადა და სასწრაფოდ გარეთ გავარდა.

ყიზილბაშთა ჯარი ქალაქის ქუჩებსა და სახლებს გასეოდა და შეუწყალებლად ხოცავდა დიდსა და პატარას.

ქუჩა გადაირბინა კამენევმა, ყიზილბაშთა ჯგრო გაარღვია და სასახლეში შეიჭრა. შემზარავმა სურათმა გააქვავა იგი:

სისხლში გათხვრილი იდგა კონსტანტინე. მის წინ როგელიღაც ყიზილბაშ მხედარს ალექსანდრე მეფის მოკვეთილი თავი ეჭირა, წვერით ჩაბღუჯული. შვილი გველის უძრავი თვალებით მიშტერებოდა მამის ჩამქრალ თვალებს. ფეხებთან ალექსანდრეს უთავო ტანი ეგდო, დასახიჩრებული და დაჩეხილი.

იქვე გიორგი ბატონიშვილი იწვა საფეთქელშეღეწილი, ბოშორებით ეყარნენ კახელი წარჩინებულნი.

შემაზრზენმა ჭახანმა გამოაფხიზლა კამენევი. მოიხედა და რას ხედავს: კონსტანტინეს ხმლის დარტყმით თავი განეკვეთა გიორგისთვის.

და, „თათარმა ძმამ“ თმებში ხელი ჩაავლო და მაღლა ასწია „ქრისტიანი ძმის“ თავი...

...მამისა და ძმის თავები კონსტანტინემ ირანს წარგზავნა მისი მწყალობელისა და აღმზრდელის, შაჰ აბასის „ძვირფას ძღვნად“. ხოლო თავგანკვეთილი ცხედრები ალავერდის ტაძარში დაკრძალეს გათათრებული უფლისწულის მხეცობით გაოცებულმა და შეძრწუნებულმა კახელებმა.

კახეთის სამეფო ტახტი, სახელმწიფო საგანძურები და სრა- სასახლენი დაიჭირა მამისა და ძმის მკვლელმა კონსტანტინემ.

კონსტანტინე საზიზღარი ჯალათი იყო სადისტი შაჰ აბასის ხელში, თუმცა თვითონ მკვლელი დაჟინებით გაიძახოდა – შაჰი არაფერ შუაშია, მკვლელობა ჩემის ნებით ჩავიდინეო.

რუსი ელჩები სასტიკად იყვნენ გაჯავრებულნი კონსტანტინეს გაუგონარი მხეცობის გამო. ამას გარდა, მათ იცოდნენ, რომ გასპარსელებული ქართველის ხელით რუსეთის მეგობარი მეფისა და მისი შვილის მოკვლა კახეთში რუსეთის მარცხსა და სპარსეთის გამარჯვებას მოასწავებდა.

რუსი ელჩები სამშობლოში გაბრუნდნენ...

...ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ყიზილბაში კონსტანტინეს გამეფება კახეთის „გათათრებასა“ და ირანის „თათრულ სახანოდ“ გადაქცევას მოასწავებდა. მაგრამ სულ მალე კონსტანტინეც და შაჰიც დარწმუნდნენ, რომ კახეთის „გათათრება“ არც ისე იოლი საქმე იყო. აქაური ხალხი სიკვდილს არჩევდა და ქართველობაზე ხელს არ აიღებდა.

მალე კახელებმა ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯანყება მოაწყვეს და კონსტანტინე მოკლეს.

შაჰ აბასმა დროებით ისევ დათმობა ამჯობინა და „ორივე საქართველოში“ კვლავ ქართველთა „სასურველი მეფეები“ დაამტკიცა: ქართლში – **ლუარსაბ მეორე** (გიორგი მეათის ძე) და კახეთში – **თეიმურაზ პირველი** (დავითის ძე).

გამოსვლა გიორგი სააკაძისა

1606 წელს საზავო მოლაპარაკება გაიმართა ირანსა და თურქეთს შორის. თურქეთის მხრივ ელჩობას მეთაურობდა სტამბოლის კარზე დაწინაურებული ქართველი ქალი **გულჩარა**. გიორგი მეათის ასული. გულჩარა მშვიდობიანობის მთავარ პირობად სრულიად საქართველოს „დათმობას“ მოითხოვდა. თურქეთის სულთნის სასარგებლოდ. შაჰ აბასმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დათმო და ომი გაგრძელდა.

იმჟამად ქართლის მეფის, ლუარსაბ მეორის კარზე დაწინაურდა ახნაური **გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე**, სულით და სხეულით მძლავრი ბიროვნება, სოფელ ნოსტეში ჩასახლებული ახლად გამდიდრებული და ახლად გამძლავრებული „ახალი ფეოდალი", ანუ „გათავადებული მდაბიო". მას მრავალი სოფელი, ყმა და მამული მოუხვეჭია თეძმის, მანგლისის, ატენის და ალის ხეობებში, ქვემო ქართლში და თვით ტფილისის შემოგარენში, სულ ორმოცდაათამდე სოფელი. საკაძე დამოყვრებია ფეოდალთა შორის უმძლავრეს ოჯახს - ცოლად შეურთავს **ნ უ გ ზ ა რ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს** მშვენიერი ასული - **მ ა რ ე ხ ი,** რომლისგანაც რვა შვილი შესძენია, ხუთი ვაჟი და სამი ასული.

ლუარსაბ მეფეს იგი ტფილისის **მ ო უ რ ა ვ ა დ** (ქალაქის თავად) დაუნიშნავს.

მოურავი გიორგი საკაძე, ანუ „დიდი მოურავი" - ასეთი სახელებით დაივანებს იგი საქართველოს ისტორიაში.

საკაძის შფოთიან სულში ერთად ბუდობდა დიდი მამულიშვილობაც და დიდი პატივმოყვარეობაც. დიდსულოვანი შემწყნარებლობაც და სულსწრაფი შურისმგებლობაც, ბავშვური გულჩვილობაც და მძვინვარე დაუნდობლობაც.

მტრული თვალით სჭამდნენ თავადები „მათ წრეში" - „საზეპურო ერში" გარეულ და სამეფო კარზე აღზევებული „მდაბიოს". **შ ა დ ი - მ ა ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ფ ა რ ს ა დ ა ნ ც ი ც ი შ - ვ ი ლ ი და ქ ა ი ხ ო ს რ ო ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი** გიორგი საკაძეს ტახტისმაძიებელ უჯიშო მედროვედ თვლიდნენ. ამნაირი ვიგინდარა, ამნაირი „ტარაკუჭა", ამნაირი „მეცამეტე გოჭი", პირადული აღზევებისა და მოხვეჭისათვის არც ქვეყანას დაინდობს, არც ხალხს და არც მეფესო. სანამ გვიან არ არის, ჩამოიშორე, თორემ ერთხელაც იქნება დაგლუპავს ეს ცბიერი, ვერაგი, მჩურჩნელი (ყურში მოჩურჩულე მაბეზღარი) და დაუნდობელი კაციო, - ჩასჩიჩინებდნენ ისინი ლუარსაბ მეფეს...

...1609 წელს ოსმალთა და ყირიმელ თათართა ურდო შემოიჭრა მოულოდნელად საქართველოში. ახალციხე დაერბიათ და ქართლის სიღრმისკენ მოემართებოდნენ ძარცვა-რბევით. განზრახული ჰქონდათ მოულოდნელად დასცემოდნენ ცხირეთის ციხესიმაგრეს, სადაც მაშინ მცირე ამალით იდგა ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე.

სოფელ კველთაში თურქებმა შეიპყრეს ადგილობრივი მღვდელი **თ ე ვ დ ო რ ე**, რომელსაც უბრძანეს მეგზურობა და გაძღოლა ცხირეთისაკენ. მღვდელი ჭეშმარიტი გმირი გამოდგა. მან ცხირეთს გვერდი აუქცია და მტერი სულ სხვა გზით წაიყვანა. როცა შეუტყვეს, თურქებმა თევდორე ხმლებით ასჩეხეს.

თევდორეს მამულიშვილური თავგანწირვა შეიქნა ცხოველმყოფელური წანამძღვარი გიორგი სააკაძის გმირობისა. სანამ თევდორეს მტერს მტყუანი გზით მიატარებდა და სანამ ბოლოს მისი კეთილშობილი თავი გვემულ სხეულს გაშორებოდა, მანამ მეფემ და მოურავმა მტრის შემოსევის ამბავიც შეიტყვეს და საომრად გამზადებაც მოასწრეს.

გიორგიმ სასწრაფოდ შემოიყარა ლაშქარი. **ზაზა ციციშვილმაც** და **თამაზ მაჩაბელმაც** მოუსწრეს და მტერს მიუხდნენ.

პირველი შეტაკება მოხდა **სხერტის ჭალაზე,** თეძმის ხეობაში ქართველებმა უმალვე უკუაქციეს რიცხვმრავალი თურქობა. ზაზა ციციშვილმა პირისპირ შეტაკებაში თურქ-ფაშას თავი გააგდებინა, თავი იგი წვერით კბილებში დაიჭირა და ორივე ხელით შეჭურვილმა განაგრძო ბრძოლა. სააკაძემ მტრის შუაგული გაარღვია. საბოლოოდ გაექცნენ ბრძოლას თურქნი.

გიორგიმაც შემოაბრუნა ლაშქარი, რადგან სანამ მთავარი ძალები არ მოსვლოდა, სახიფათოდ მიიჩნია ურიცხვი მტრის გამოდევნება.

თურქები მტკვრის ხეობას აუყვნენ, ტაშისკარის ბოლოს გავიდნენ და ნახვეტას მინდორზე დასცეს ბანაკი. სანგრები და თხრილები გათხარეს, მიწაყრილები აღმართეს, ტომრები სილით აავსეს და კედლებად დაისადაგეს.

ქართველებიც, ვინც მოსასვლელი იყო, ყველანი შეიყარნენ. ლუარსაბ მეფემ სათათბიროდ დაისვა სარდლები. ბოლოს სააკაძის საომარი განაზრახი მიიღეს და ომის გაძღოლაც მასვე მიანდეს.

მაშ, 27 ივნისი 1609 წლისა, ტაშისკარი, ნახვეტას მინდორი.

ომის ღმერთს საომარი სასწორის ერთ პინაზე 60 000 თათარი დაესვა, მეორეზე – 10 000 ქართველი.

რიჟრაჟზე ქართველები უეცრად დაეცნენ ომის მოლოდინით ღამენათევ თათრებს და თოფები დაუშინეს. დაუშინეს და მაშინვე შიშველი ხმლებით ჩაუხტნენ ნათოფარ ბანაკში. ბრძოლა გახურდა სასტიკი და სისხლდამდინარი. „ფიცხად იბრძოდეს ქართველნი“. სააკაძე ყველაზე სქლად შეკრულ თურქობას „არჩევდა“ და ეტევებოდა ხმლის ცემით. და იბრძოდა დინჯად, „გულმყაფრად“. „გულსრულად“ იბრძოდა ლუარსაბ მეფე, ჭაბუკი „ტანსარო“, „თამამად მიმხდომელი“, ლახტის მცემელი და შუბის მაძგერებელი. „მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, – ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელი იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ“. დიღი სიმამაცით იბრძოდნენ სააკაძის „მოკიდებულნი“ („მიმდევარნი“, „თანამოდასენი“), გლეხნი და წვრილაზნაურნი: ლომი ჩრდილელი, პაპუნა ვაშაყაშვილი, როსიტა გედევანიძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, მათარსი შიხაიდრიძე, ქვლივიძე,

ინაშვილი. სამჯერ გადაემსხვრა შუბი ხელში სააკაძეს. ლახტი მიართვა ლომი ჩრდილელმა. ფერად ფაშას, გათათრებულ ქართველს, თურქთა მთავარსარდალს შეება გიორგი სააკაძე. ხმალი დააგდებინა, ორივე პაპუნა (ჩივაძე და ვაშაყაშვილი) წამოეშველნენ და შეუკრეს ხელ-ფეხი ფერად ფაშას. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. თურქთა უმრავლესობა ჩაწყდა და ჩაირეცა. ვინც სიკვდილს გადაურჩა „დაშინებული და დანქრეული", ტყესა და ღრეს შეეფარა. ბრძოლის შემდგომ სამი დღის მანძილზე „საშოვარზე" გადიოდნენ ახლომახლო სოფლელნი და იჭერდნენ ტყეებსა და ხევხუვებში მიმალულ თურქებს...

თურქთა განადგურება შაჰ აბასის წისქვილზე ასხამდა წყალს. სწორედ ამიტომ, ამ გამარჯვების „საფასედ", ლუარსაბ ქართველთა მეფემ დაითანხმა შაჰ აბასი, გაეყვანა სპარსული ციხიონი ტფილისიდან. ამის შესახებ წერს სპარსი ისტორიკოსი **ისკანდერ მუნში:** „...და მისცა შაჰ აბასმა ლუარსაბ მეფეს ტფილისის ვილაიეთი, საქართველოს განთქმული ქალაქი, რომლის ციხესიმაგრეს თავი მარჩბივის ვარსკვლავების თაღამდე ჰქონდა აღმართული... ხოლო ხსენებული ლუარსაბი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ასეთია თითქმის ყველა ქართველი ბატონიშვილი. ის კი არა და, საქართველოს მთელი ხალხი, ყოველი კაცი და ყოველი ქალი, იქაური ჰავა-ჰაერის სინაზის გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოყათა სიტურფითა და სინარნარით, ნაკვთებისა და ხელების მოხდენილობით, ყველა სხვა ადგილთა და ქვეყანათა ხალხებს სჯობია. ყველანი სამოთხის ბინადარი ქალის, ჰურიას მსგავსნი და იოსებ მშვენიერის ღაწვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახეებიდან და ქრისტიანული სასწაულიც ცხადად ჩანს მათი საოცარი ენატკბილობიდან და საამური ქცევებიდან, თუმცა საქართველოში ქრისტიანობაა გავრცელებული და ქართველები მოკლებული არიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას (მაჰმადიანობას), მაგრამ თავისი სიმშვენიერით, ჰავის სიჯანსაღით და მიწა-წყლის უმწიკვლობით და ნაყოფიერებით, ქვეყნიერების ვერც ერთი მხარე საქართველოს ვერ შეედრება. სწორედ ქართველთა სამშობლოზე შეიძლება ითქვას ეს ლექსი:

„ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,
ყოველ სახლში იესოს მშობელი მარიამი ჩასახლებულა"...

დაცემა სააკაძისა

თურქებზე გამარჯვების შემდგომ გიორგი სააკაძე კიდევ უფრო გავლენიანი კაცი შეიქნა ლუარსაბ მეფის კარზე. ბოლოს დამოყვრდნენ მეფე და მოურავი: ლუარსაბმა ცოლად შეირთო გიორგის და ი (სახელი

არაა ცნობილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, საქორწინო სუფრა ახალი ალაგებული თუ იქნებოდა, რომ ერთბაშად ისევ ერთმანეთის საჯიჯგნად აიშალა და ახვავდა ორი მოსისხლე ბანაკი - შადიმან ბარათაშვილისა და გიორგი სააკაძისა.

სააკაძეს საქართველოს გაერთიანება ჰქონდა გულს ამოჭრილი და ეს უზარმაზარი მამულიშვილური ოცნება „ახნაურული გზით" უნდა შეესრულებინა „წვრილი ერის" სათაყვანო გმირს: ახნაურები თავადთა ქვეშევრდომობას უნდა დასხლტომოდნენ და ყმა-გლეხების გაყოლიებით ერთიანი სამეფო ხელისუფლების უშუალო სამსახურში შესულიყვნენ. ასეთი იყო სააკაძის „მოკიდებულ კაცთა" („მიმდევართა", „თანამოდასეთა") საბრძოლო განაზრახი.

ლუარსაბ მეფის ქორწინება სააკაძის „დასის" დიდი გამარჯვება იყო.

მაგრამ არ ეძინა შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის თავადურ წრეს. აიშალნენ თავადები, აიშალნენ ოჯახებით, ცოლ-შვილით, ქალ-რძლით, და შეუტიეს ლუარსაბ მეფეს: ცოცხალის თავით არ შევურიგდებით უგვარო დედოფლის მბრძანებლობას და თავზე წამოსკუპებასო. „და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა".

ნახევარი წელიწადი ლანძღეს და თათხეს მოურავი და მისი ოჯახი. ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს - განუტევე „უჯიშო დედოფალი" და მოჰკალი „მოღალატე მოურავი".

ლუარსაბი ერთხანს მაგრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც „ფეოდალურმა ღიჯინმა" თავისი გაიტანა და იგი ორივეზე დათანხმდა - ჯერ ცოლი განუტევა და მერე ცოლისძმის მოკვლაზეც დასტური მისცა.

დათქვეს - 1612 წლის მაისში, წავკისს, მეფის საზაფხულო სასახლეში უნდა მოეკლათ გიორგი სააკაძე. მეფემ ვითომ სანადიროდ მიიწვია მოურავი. შეთქმულებიც მოვიდნენ. მაგრამ შეთქმულთაგან ერთმა, **ბ ა ა კ ა ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე მ**, წინასწარ იდუმალ გაანდო გიორგის, რასაც უპირებდნენ იმ ღამით.

და გიორგი სააკაძემ ბეწვზე გაასწრო სიკვდილს. იგი გაიქცა ნოსტეს, ოჯახის გადასარჩენად. შეთქმულებიც დაედევნენ.

(გარედან მოსულ უცხო მტერს არ დაედევნებიან ქართველები ისე გახელებით, როგორც შინაურს. უცხო მოსისხლეს მხოლოდ თუ **მ ო - გ ე რ ი ე ბ ა მ დ ე** დაედევნება ქართველი, ხოლო შინაურ მოძმეს **ძ ი რ ი ს ძ ი რ ა მ დ ე** მოსათხრელად და მოსაკლავად დაედევნება).

ოჯახის გატაცება მოასწრო სააკაძემ, ხოლო თავადებმა მისი დაცარიელებული სახლ-კარი აიკლეს, იავარჰყვეს, გადაწვეს.

გიორგიმ, თავის ოჯახთან ერთად, სიმამრიც, ნუგზარ ერისთავიც აიყოლია და სპარსეთს გაიქცა.

შაჰ აბასმა სიხარულით მიიღო და დაიახლოვა ქართველი სარდალი.

შაჰი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და ჭკვიანურადაც უნდა შეეფასებინა ეს უცნაური ამბავი: საქართველომ თავისი ყველაზე ბასრი იარაღი ყველაზე-დიდ მოსისხლე მტერს თავისი ხელით გაუგზავნა!...

საქართველო უსააკაძეოდ

1612 წლის სექტემბერს სტამბოლში ისევ მიუჯდნენ საზავო მაგიდას სპარსეთისა და თურქეთის დიპლომატები.

სამშვიდობო მოლაპარაკების მთავარი გმირი იყო ისევ ქართველი დიპლომატი ქალი, გულჩარა, რომელმაც „მთელი კონსტანტინეპოლი განაცვიფრა თავისი ჭკუით, სილამაზით, ბრწყინვალებით და მჭევრ-მეტყველებით". გულჩარამ საოცრად ძლიერი სიტყვით ჩააჩუმა ოზბეგი ელჩები, რომლებიც ხონთქარს ირანთან ომის გასაგრძელებლად აქეზებდნენ.

ზავი დაიდო. მეტოქეებმა მახვილები ქარქაშებში სანახევროდ ჩააგეს. აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები: ქართლი, კახეთი, შირვანი და სომხეთი ირანის შაჰის „საკუთრებად" გამოცხადდა; დასავლეთ საქართველო და მესხეთი, ახალციხის მითვლით, თურქეთის „ქონებად" დარჩა.

კვლავ ასე გაიყვეს „ცოცხალი დათვი" სპარსელებმა და ოსმალებმა.

მალე შაჰ აბასმა შეიტყო, რომ ქართლი და კახეთი მის მორჩილებას არ ურიგდებიან და ერთიანი ძალებით აჯანყების დროშაც აღუმართავთ.

1613 წელს, ზამთრის დამდეგს, შაჰ აბასი უზარმაზარი მხედრობით წამოემართა საქართველოსკენ. ყარაბაღს რომ მოვიდა, თეიმურაზ კახთა მეფეს ერთგულების საწინდრად მძევლები მოსთხოვა. თეიმურაზმა ქვეყნის აოხრებას უახლოესი ადამიანების გაცემა ამჯობინა და გაუგზავნა შაჰს, ერთმანეთის მიყოლებით – დედა, ქეთევან დედოფალი, და მცირეწლოვანი ვაჟიშვილნი: **ლ ე ვ ა ნ ი** და **ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.**

შაჰმა ძვირფასი მძევლები მძევლებად დაიტოვა. მაგრამ ეს არ იკმარა და პირადად თეიმურაზის გამოცხადება მოითხოვა.

თეიმურაზი არ გამოცხადდა და სახელდახელოდ შეყრილი რაზმით ქართლისაკენ წამოვიდა, ლუარსაბ მეფესთან შესაერთებლად. შაჰ აბასმა ჟალეთთან ჯარი შეახვედრა.

თვითონ შაჰ აბასი მოუძღოდა ირანელთა მრავალრიცხოვან მხედრობას. თეიმურაზმა შუბი გაწვართა და ცხენი გულმყარად გააქანა. ხუთასკაციანი ქართველთა ჯარი ეკვეთა სპარსულ ათასეულებს. კახელებმა შუბები შეალეწეს მოპირდაპირის სქლად მიჯრილ მწკრივებს და მაშინვე „აგელეს ხმალნი". თავგანწირვით იბრძოდა თეიმურაზი, მაგრამ თავისი უნდა გაეტანა რიცხვით სიმრავლეს და თეიმურაზმა ნაბიჯ-ნაბიჯ იწყო უკანდახევა. უკუსვლით იქნევდნენ ხმლებს კახელნი. შაჰმა მოასწრო და

მხედრობის ერთი წილით უკანა გზა ჩაუჭრა ქართველებს. თეიმურაზი მისი ჯარით სპარსთა ალყაში აღმოჩნდა. თეიმურაზმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და შეუტია სრული თავგანწირვით. გაალმასებით მიჰყვნენ კახელნი, მძლავრი ძგერებით განკვეთეს და გადაქელეს ირანელთა შუაკერძი. სამშვიდობოს გააღწია მეფემ თავისი მხედრობით. შაჰ აბასი ლამის გაგიჟდა, თეიმურაზი რომ გაექცა და ვერ მოიხელთა.

თეიმურაზი მივიდა მუხრანს, სადაც მას ელოდა ლუარსაბ მეფე.

მაშინვე გადაწყვიტეს და იმერეთს გაეშურნენ, იქაურ მეფესთან, **გიორგი მესამესთან** თავშესაფარებლად.

შაჰ აბასმა იმერეთის მეფეს სტუმრების გაცემა მოსთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

1614 წელი უმძიმესი ტრაგედიის წელი შეიქნა საქართველოს ისტორიაში. მთელი კახეთი აიკლეს, გაძარცვეს, დაანგრიეს, გადასწვეს და ამოწყვიტეს ირანელებმა.

80 000 კახელი გადაასახლეს იმ წელიწადს ირანში.

პიეტრო დე ლა ვალე სწერდა რომის პაპს ურბანუს მერვეს: „დღეს მთელს სპარსეთში არ მოიძებნება არც ერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით. სპარსეთში არ არის არც ერთი დიდი კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ უმშვენიერესნი არიან ქართველი ქალები...“ დაიქცა და დაიმეხა „ყველაფრით სავსე, მდიდარი და ხალხმრავალი“ კახთა ქვეყანა.

კახეთის აოხრების შემდგომ შაჰ აბასმა „ვარსკვლავებივით ურიცხვი ჯარი“ ქართლში გადაიყვანა და გორს მივიდა. გორისა და სურამის ციხეები გაამაგრა და შიგ სპარსული ციხიონები შეაყენა. თან ჯარები სასტიკად გააფრთხილა – ქართლის მოსახლეობის აკლება-აწიოკებისაგან თავი შეეკავებინათ. ქართლის ყოველ კუთხეში შაჰმა გზირები დაგზავნა და გამოაცხადებინა, მე თქვენთან სამტროდ კი არა, სამოყვროდ მოვედიო. ყველა მშვიდად იყოს, ყველა თავის საქმეს ეწიოს, ქართველთა და სპარსთა შორის მშვიდობიანი მისვლა-მოსვლა სუფევდეს. თუ ლუარსაბი დაბრუნდება, მის ქვეყანას მასვე მივართმევ, თუ არა და, „მაშინ აქა მყავს მოურავი, აქაური ქართველი, და ქართლს სწორედ ამ მოურავს ვუბოძებ, მე კი ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები...“

გიორგი სააკაძე შაჰ აბასის დაპირებებს მოთმინებით ისმენდა, მაგრამ გული ბოღმით უსივდებოდა. იცოდა, ვერავი შაჰი ჩვეულებრივ ცრუობდა და ახალ-ახალ ხვანჯებს ხლართავდა საქართველოს დასამხობად და ამოსაგდებად. მაგრამ სააკაძე ჯერჯერობით მაინც შერიგებას ურჩევდა ხალხს. მთავარი ახლა ის იყო, ქართლის მოსახლეობა კახეთის ტრაგედიას გადარჩენოდა.

თვითონ გიორგი თავის შამულში მივიდა, ნოსტეში. მივიდა და დაანთო

ცეცხლი კერაზე. მეზობლად ქაიხოსრო ჯავახიშვილი ცხოვრობდა, სააკაძეების ოჯახის ერთ-ერთი დამაქცევარი. როგორც კი გიორგის მობრუნება შეიტყო, მაშინვე ცოლ-შვილიანად აიყარა ქაიხოსრო და იმერეთისკენ გაქუსლა, სააკაძის შურისძიებით ზარდაცემულმა. გიორგიმ მაშინვე მსახური დაადევნა და დაარწმუნა – არას გერჩი, უკან მობრუნდი, ძველი წყენა დავივიწყე და ამიერიდან კეთილი მეზობლობით და მეგობრობით ვიცხოვროთო! და მობრუნდა ქაიხოსრო ჯავახიშვილი სააკაძის „დიდსულოვნებით“ გაოცებული.

ქაიხოსროსთანა ეგოისტებს ნაკლებად ესმოდათ სააკაძის ფართო მამულიშვილური განაზრახი. მართალია, გიორგი სააკაძე ირანში სწორედ იმისთვის გაიქცა, რომ შაჰის მხარდაჭერით ქაიხოსროსთანა და შადიმანისთანა ფეოდალები დაეთრგუნა, მაგრამ გიორგი მალე მიმხვდარა თავის შეცდომას – შაჰ აბასი, რომელიც თურმე საქართველოს ძირფესვიანად მოთხრას უპირებდა, გიორგის ქართველ ფეოდალებთან ბრძოლაში მოკავშირედ არ გამოადგებოდა. უფრო მეტიც: გიორგიმ შეამჩნია, რომ შაჰს ახლა სააკაძის მტრები უფრო მოსწონდა, ვიდრე თვითონ სააკაძე. ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებდა „რენეგატად“ გამოცხადებულს. სააკაძისთვის ახლა მთავარია ქართველი ხალხის გადარჩენა და არა მისი პირადი მტრებისადმი სამაგიეროს მიზღვის ფიქრი. მთავარი იყო, ქართველები – თავადნი, აზნაურნი, თუ უაზნონი – ერთმანეთს არ დარეოდნენ და ამით „ყოველი ხარისხის“ ქართველისათვის საერთო მტრის, შაჰ აბასის გული არ გაეხარებინათ. მთავარი იყო, შაჰი როგორმე ქართველი კაცის სისხლდაუქცევლად გასულიყო ქართლიდან, ხოლო შემდგომ... შემდგომ სხვა რამ დიდ-დიდნი საზრუნავნი „გამოუჩნდება“ დიდ მოურავს...

შაჰ აბასი კი მძიმე საფიქრალს მისცემოდა. არ დაშინდა და არც ერთმა ქართველმა მეფემ მის წინ ქედი არ მოიხარა – არც იმერელმა „ცბიერმა ბაში-აჩუკმა“, არც კახელმა „მოსისხლე თეიმურაზმა“, არც ქართლელმა „თვინიერმა ბიჭმა ლუარსაბმა“.

არც იმერეთთან ომი გამოდიოდა. ჯერ ერთი, დიდად სამძიმო და სახიფათო იყო ლაშქრობა იმერეთში, სადაც კბილები ამაოდ დამტვრეოდა ყველა დიდი დამპყრობელს – რომაელს, არაბს თუ მონღოლს. მეორეც, იმერეთი ოსმალეთის „გავლენის სფეროდ“ ითვლებოდა და მასთან ომი სტამბოლის კართან ზავის დარღვევას მოასწავებდა. არა და „ირანის ლომს“ არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მარცხს, დამცირებასა და თავლაფდასხმას.

და ასე მწვავე ჟამს ისევ გამოუჩნდა „ბედნიერ შაჰს“ მოულოდნელი „მხსნელი“. ეს იყო „ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისავან აღძრული, სატანის კერძი“ – შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბ მეფის გამზრდელი მამამძუძე და სუფრაჯი, სამეფო სუფრის მოურავი, გიორგი

სააკაძის დაუძინებელი მტერი.

და მივიდა შადიმანი და დაემხო შაჰის წინაშე, ენით მოსლიქა „ნაზი კეთილშობილებისა“ და შეჰღაღადა: თუ მიბრძანებ, მე გადმოვიყვან ლუარსაბ მეფეს იმერეთიდანო, ვინათგან მე ერთადერთს, მის გამზრდელსა და მამამძუძეს დამიჯერებს ჩემი გაზრდილიო.

და გაგზავნა გახარებულმა შაჰ აბასმა შადიმან ბარათაშვილი იმერეთს.

და, მართლაც, ჩამოიყვანა იმერეთიდან შადიმანმა ლუარსაბი, ჩამოიყვანა და ჩააბარა ირანის მბრძანებელს.

და წაიყვანა შაჰ აბასმა ლუარსაბ ქართლის მეფე ირანში, წაიყვანა და ასტრაბადის ციხეში გამოჰკეტა.

სისხლიანი ალავერდობა

დასავლეთ საქართველოში მყოფ თეიმურაზ პირველს კახეთთან კავშირი არ გაუწყვეტია. მან ყოველდღე იცოდა, რა ხდებოდა სატახტო გრემის სასახლეში.

შაჰ აბასს კახეთის მმართველად თეიმურაზის ბიძაშვილი, იესე გიორგის ძე დაენიშნა. რომელიც სპარსეთს იზრდებოდა და სპარსეთიდან მოსულს ახალი სახელიც მოეტანა – ისა-ხან. მაგრამ ისა-ხანს კახელ პატრიოტთა ხელით სიკვდილისა შეშინებია და სულაც გაქცეულა კახეთიდან სპარსეთს. ისა-ხანის თანაშემწეებად შაჰს ადგილობრივი თავადები, **დ ა ვ ი თ ჯ ა ნ დ ი ე რ ი დ ა ნ ო დ ა რ ჯ ო რ ჯ ა ძ ე** დაეტოვებინა და ახლა, ისა-ხანის გაქცევის შემდეგ, სწორედ ამ ორ თავადს შემორჩენოდა ხელში კახეთის მესვეურობა.

1615 წელს ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის, „მსგავსად ბავშვების ხელით ქვიშაზე აგებული გოჯილა სახლებისა, დაინგრა და დაიშალა“, და ომი განახლდა.

თეიმურაზმა ირანის დიდი საომარი საზრუნავი თავისთვის ხელსაყრელად ჩასთვალა და კახეთისკენ შიკრიკები აფრინა. კახელები ისედაც საჯანყოდ იყვნენ ალესილნი. აჯანყებას დავით ჯანდიერი მეთაურობდა.

15 სექტემბერს ალავერდობის დღესასწაულზე, ალავერდის ეკლესიას მიაყენა ხალხი დავით ჯანდიერმა.

ალავერდის ციხე-გალავანში სპარსელთა ციხიონი იდგა. თვითონ შაჰ აბასისგან ჩაყენებული. ბუნებრივია, ხალხის შიგ შეშვება დაუშვებელი იქნებოდა. მაგრამ დავით ჯანდიერს სპარსელები კარგად იცნობდნენ და კიდევაც ენდობოდნენ, ვითარცა „შაჰის ერთგულ დაუდ-ბეგ გურჯს“.

და ჯანდიერმა ყიზილბაში მეთაურები გამოიხმო და უთხრა: დღეს ქრისტიანთა დღესასწაულია, ალავერდობა, და აქაურებს არ შეუძლიათ ალავერდის ტაძარში არ ილოცონ. ამიტომ შეუშვით ხალხი, წირვა-ლოცვა

აღავლინონ და ისევ უკან გამობრუნდებიანო; ხოლო თავდები მე ვიქნები იმისა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეციხოვნენი ჯანდიერს ენდნენ და გალავნის კარი გააღეს.

კახელები შევიდნენ, ტაძრად ილოცეს და იგალობეს, ტაძრიდან გამოვიდნენ და... უეცრად დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ და თამაზ ვაჩნაძემ ხმლები იძრეს, ყიზილბაშთა მეთაურებს დააძგერეს და ძუძუ-გული შეუნგრიეს. სანამ დანარჩენი სპარსელები გონს მოეგებოდნენ, გალავანში შემოსულ ყოველ კახელს ხმალი გაეძრო და უწყალოდ სჩეხდა მისგანვე წინასწარ ამორჩეულ სპარსელს. ალავერდის ეზო ერთბაშად დაირეცა და დაიხერგა ირანელთა გვამებით.

მაშინვე თეიმურაზთან აფრინეს კაცი დავით ჯანდიერმა და ნოდარ ჯორ-ჯაძემ: ყიზილბაშთა ციხიონი განადგურებულია, კახეთის აჯანყება დაწყებულია, სასწრაფოდ მობრძანდი, გვიმეფე და გვიმეთაურეო.

სასწრაფოდ წამოემართა თეიმურაზი. მოვიდა და კახეთი აჯანყების ხანძარში დახვდა გახვეული. ყველა ციხესიმაგრესა და ციხე-ქალაქში გამძვინვარებულ მამულიშვილთა რაზმები უწყალოდ მუსრავდნენ ყიზილბაშურ ციხიონებს.

კახელთა აჯანყების ამბავი რომ შეიტყვეს, მეზობელი შირვანელებიც აღსდგნენ სპარსელებთან საომრად, დელუ-მელიქის მეთაურობით და, დელუ-მელიქმა, რაკი „თავზე აჯანყების ჩალმა მოიხვია“ – თეიმურაზს ერთგულების ფიცი შემოუთვალა და თანაც სპარსელებთან ერთობლივი ბრძოლა და მისი მეთაურობა შემოსთავაზა. თეიმურაზსაც რაღა ეთქმოდა სასიამოვნო დასტურის მეტი. კახელები უფრო გულმიცემით უტევდნენ მტერს. სადაც კი თეიმურაზი, დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძე და თაპაზ ვაჩნაძე გაიელვებდნენ თავისი რაზმებით, მაშინვე სპარსელები „საყელოს ხელში აძლევდნენ ქართველებს“.

არაგვი და წიწამური

კახეთის აჯანყებით გახელებულმა შაჰ აბასმა 15 000 მეომარი აარჩია, სარდლად ა ლ ი - ყ უ ლ ი - ხ ა ნ შ ა მ ლ უ უჩინა და საქართველოსკენ აფრინა, აფრინა და დაავალა: კახეთის გზები შეჰკარი, თეიმურაზი იმერეთისკენ არ გაგვექცეს, თუ ცოცხლად მომგვრი, ძალიან გამახარებ, არა და სიკვდილს მაინც არ დაარჩინო; კახეთი ხელახლა დაიპყარ, ააოხრე და ააწიოკეო.

სპარსელებმა ტფილისი ამოიარეს, არაგვზე ამოვიდნენ და წიწამურთან დაიბანაკეს.

თეიმურაზიც წამოსულიყო 5 000 კახის თანხლებით.

ბრძოლა შუადღეზე დაიწყო. თეიმურაზი პირველი ეკვეთა მტრის

შუაკერძს, სადაც თვითონ იდგა სპარსთა მთავარსარდალი. მარჯვნივ და მარცხნივ დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე მოჰყვებოდნენ თეიმურაზს მძლავრი შეტევით. უკუიქცნენ სპარსელები ორივე ფლანგზე. თვითონ ალი-ყული-ხანი ცენტრში მძლავრად დაუხვდა ქართველობას. თეიმურაზს შუბი დაემსხვრა და ხმლით შეუტია მოპირდაპირეს. ფლანგებიდან გაშიშვლებულ ალი-ყული-ხანს გარშემორტყმა ელოდა და უკანდახევა ამჯობინა. ქართველებმა მტრის წინა რიგი აჰკაფეს და უკვე გასაქცევად აღძრულ მეორე და მესამე რიგს მიეტანენ. ორივე თანაშემწე სარდალი მოუკლეს ალი-ყული-ხანს. ფლანგებთან ერთად უკვე ზურგიც მოშლოდა მის არმიას. უგზოუკვლოდ გარბოდნენ სპარსელნი. მისდევდნენ ქართველნი და სჩეხდნენ გამძვინვარებით. სპარსთაგან ბევრი, ქართველთა ხმლისაგან გაქცეულნი, არაგვსა და მტკვარში ცვიოდა და იძირებოდა. ტფილისისკენ მიჰქროდა ალი-ყული-ხანი დაფანტული, გალახული და გაწყვეტილი ჯარის ნაშთებით. წიწამურისა და არაგვის სანახები სპარსთა გვამებით დატვირთულიყო. მრავალი ირანელი მხარგაკრული მიჰყავდათ ქართველებს. დიდძალი ნადავლი, საომარი აღჭურვილობანი, კარვები, ცხენები, ჯორები, აქლემები ჩაუვარდათ ხელში გამარჯვებულებს („საშოარი ასრე გაიაფდა, რომ სანახევროდ წამღები არ იშოვებოდა, აქლემი ერთ აბაზად გაისყიდა“).

სისხლი და ცრემლი კახეთისა

ყველა ის ბოროტება, რაიც თავს დაატეხა შაჰ აბასმა ქართველთა ქვეყანას, არ ძალგვიძს მოგითხროთ, რადგან ეს სიტყვის ძალას აღემატება.

ა რ ა ქ ე ლ თ ა ვ რ ი ზ ე ლ ი

შაჰ აბასმა რომ კახთაგან მისი არმიის განადგურების ამბავი შეიტყო, „დამწველი ცეცხლივით და ზღვასავით აღელდა და აქუხდა... მისი მძვინვარების ცეცხლის ყოველი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო“.

1616 წელი იდგა.

და შაჰ აბასს ერთჯერ კიდევ გადაეწყვიტა „საღვთო ომი ურწმუნო საქართველოსთან“, ქართველთა საცხოვრისის ძირფესვიანი მოთხრა და მის ნაფუძარზე „ისლამის გამ'შვენიერებ“.

და დაიძრა, „ვითარცა ვეშაპი განძვინებული“. მოდიოდა და მოსდევდა ლაშქარი, „როგორც ლურჯი ზღვა და ზღვასავით მღელვარე“. მოგორავდა ურდო „მუდამ მდიდარი საქართველოს“ გასაძარცვავად და მოსათხრელად.

ჯერ ტფილისს მოვიდა შაჰ აბასი და ქართლის ახალი გამგებელი მოიყვანა – **ბ ა გ რ ა ტ - ხ ა ნ.** (გავიხსენოთ მეფე ლუარსაბ პირველის შუათანა ძე, დავითი, სპარსეთში გაქცეული და სპარსთაგან გათათრებული, სპარსული სახელით – დაუდ-ხან, განაგებდა ერთ ხანზე ქართლს. სწორედ ამ დაუდ-ხანის შვილი იყო ბაგრატ-ხანი, ისიც სპარსეთში გაზრდილი და „გათათრებული“).

რაკი ქართლის საქმე ასე „იოლად“ მოაგვარა, შაჰ აბასმა კახეთის მოსათხრელად მომართა ჯარები. „კახეთი ყოველის მხრიდან შუაში უნდა მოვიმწყვდიოთ ნადირივით, მათი ურჯულო მამაკაცები საღვთო ომის ელვარე ხმლებით მთლიანად ამოვჟლიტოთ, ქალები და ბავშვები ტყვედ წავიყვანოთ, საქონელი, ძვირფასეულობანი და ყოველგვარი ქონება დავლად წამოვიღოთ. განკითხვის დღე დავუყენოთ კახეთის გურჯებს, რისხვის ცეცხლით დავსწვათ და აღმოვფხვრათ ყოველივე ნედლი და ხმელი, წავშალოთ კვალი ყოველივე შენებულისა და ყოველივე უტყვი და მეტყველი სულდგმულისა“, – ბრძანა შაჰმა.

და იქმნა, რაც ითქვა.

თეიმურაზმა ისევ გაასწრო იმერეთს.

და „მეორედ მოსვლის“ დღე დაუდგა უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანას. ყოვლის მხრიდან შემოიჭრნენ მუსლიმანთა ათასეულები ცეცხლით და რკინით. უმძიმესი ნგრევის, ძარცვის, რბევისა და წარტყვევნის ჯოჯოხეთში ჩაეშვა კახთა ქვეყანა. უომრად და უსიკვდილოდ არაფერს თმობდა გმირი კახელი. ყოველი ჯოჯი მიწისა, ყოველი დიდი თუ მცირე შენებულობა, ყოველი ხევი და გზა-ღვარჭნილი მრავალი სიცოცხლისა და სისხლის საფასურად უჯდებოდა ირანის შლეგიან მბრძანებელს. „რაც კახეთის ქართველობას ხოცვა-ჟლეტა, რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა თავს დაატყდა, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან დღემდე“, – წერდა იმ საშინელებათა მომსწრე მემატიანე. იავარყოფას ვერ გადაურჩა ვერც ერთი ქალაქი და სოფელი, ვერც ერთი ციხე და სასახლე, ვერც ერთი ტაძარი და სალოცავი, ვერც ერთი სახლი და შრამელი. მრავალი სოფელი სამუდამოდ ამოწყდა და აღიგავა პირისაგან მიწისა. ჩეხდნენ და თხრიდნენ ვენახებს, ბაღებს, იტაცებდნენ ქართველი ოსტატის ნაოსტატარ ნივთებს, სამკაულებს, შაჰ აბასის სახაზინოდ და „ხარჭათა აღსამკობელად“. მიერეკებოდნენ ტყვეებს – „ზოლეიხას მსგავს საოცრად ლამაზ ქალწულებსა და უწვერულ, იოსებ მშვენიერის ღაწვებიან ხალებით დამშვენებულ ყმაწვილებს“.

ასი ათასი კახელი შეაწყდა მტერს იმ უბოროტეს წელიწადს.

ას ორმოცდაათიათასი ტყვედ გაირეკეს ყიზილბაშებმა.

ქართველი ქალის მოთქმა-გოდება ჰზარავდა სიცხით გათანგულ ირანის ცისგვამს.

სამშობლოწართმეული ქართველი ბავშვის მდუღარე ცრემლი

ადულებდა ირანის ცხელ მიწას.

მათთვის აღარ არსებობდა სამშობლო კახეთი, სამშობლო საქართველო.

მათი გულიდან და გონებიდან უნდა ამორეცხილიყო სალოცავი სიტყვები – „ქართველობა“, „საქართველო“.

მათი „საქართველო“ ამიერიდან იქნებოდა ირანი, ანუ სპარსეთი.

მათი „კახეთი“ ამიერიდან იქნებოდა ფერეიდანი ან მაზანდარანი, ან ფეროჰაბადი...

(იმავე 1616 წელს ევროპას დაეხოცნენ შექსპირი და სერვანტესი)

...შაჰი ახალი გაბრუნებული იყო, რომ ისევ გამოვიდნენ სამალავთა და სახიზართაგან სიკვდილს გადარჩენილი ნაშთნი კახეთისანი. ისევ ააგეს სახლები ნასახლარებზე. ისევ გააღვივეს ღველფი კერიაზე. ისევ ჩააგდეს ფუძე ნაფუძარზე. ისევ აღმართეს ციხე ნაციხარზე. ისევ გაახარეს ვაზი ნავენახარზე. ისევ დადგეს აკვანი ნააკვნარზე.

თეიმურაზი ჯერ არ დაბრუნებულიყო იმერეთიდან. დავით ჯანდიერი და თამაზ ვაჩნაძე ჩასდგომოდნენ სათავეში კახეთის აღორძინებას.

და ისევ დაენთო ცეცხლი აჯანყებისა კახეთში.

აჯანყების მთავარი კერეონი იყო ციხე-ქალაქი **ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ი.**

და 1617 წლის აღრიან გაზაფხულზე ისევ შემოესია კახეთს გამძვინვარებული შაჰ აბასი.

ისევ აღგვა პირისაგან მიწისა სოფლებისა და ქალაქებისა. ისევ ნაცრად და ავლად ქცევა. ისევ ჟლეტა მამაკაცთა, ისევ ტყვეობა და გადასახლება ქართული ოჯახებისა. ისევ თურქმანულ ტომთა ჩამოსახლება ქართულ ოჯახთა ნასახლარებზე.

სულაც „გააუქმა“ კახეთი შაჰ აბასმა. იგი ორად გაჰყო: აღმოსავლეთი ნაწილი განჯის ბეგლარბეგს მისცა „დამატებით სამმართველოდ“, დასავლეთ ნაწილი კი – ქართლის გამგებელს, ბაგრატ-ხანს...

...სულ 1614–1617 წლების სპარსულმა შემოსევებმა ნახევარი მილიონი ქართველი შეიწირა დახოცილისა თუ ტყვედ წაყვანილის სახით. კახეთში უმრავლესი სოფელი ნასოფლარად იქცა, ქალაქი – ნაქალაქევად, ციხე – ნაციხარად, ვენახი – ნავენახარად, ფუძე – ნაფუძარად. დედაწულიანად აყრილი ქართული ოჯახებით დაასახლა შაჰ აბასმა ირანის პროვინციები: ფერეიდანი, ხორასანი, მაზანდარანი, ფეროჰაბადი. ასე ანგარიშობდა „ირანის ლომი“: ურჩი, გაუტეხელი და შეურიგებელი კახეთი სამუდამოდ უნდა წაშლილიყო დედამიწაზე, ხოლო მის ადგილზე, „უძლეველ ქართველთა“ ნასახლარზე, ესახლებოდა შაჰის ერთგული მომთაბარე თურქმანული ტომები. მეორე მხრივ, ქართველები, მკვიდრი მეურნეობის დიდოსტატნი, ირანის ველურ მიწებს კულტურული სამეურნეო ცხოვრებით ააყვავებდნენ. ქართველი კაცის გამრჯე მარჯვენას სპარსეთი უნდა გაემდიდრებინა და გაემშვენიერებინა. შემდეგ, დასახლებული ქართველობა, უშიშარი გულით და უდრეკი მკლავით, ისევ და ისევ უნდა ყოფილიყო „მთავარი ძარღვი“ ირანის საომარი ძალებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ირანში კიდევ „გამოირჩა“ ერთი მაჰმადიანი ქართველი – **ხ ო ს რ ო-მ ი რ ზ ა,** ქართლის მმართველის ბაგრატ-ხანის ნახევარძმა, იგი დავით ლუარსაბის ძეს, ანუ დაუდ-ხანს ხარჭად წაყვანილი წავკისელი გლეხი ქალისგან შესძენოდა სპარსეთში, იქვე გაიზარდა და ბოლოს, გიორგი საакაძის წყალობით, ეს ნიჭიერი და მამაცი ჭაბუკი დაწინაურდა კიდეც შაჰის კარზე. 1618 წელს შაჰ აბასმა ხოსრო-მირზა დანიშნა სატახტო ქალაქის – ისფაჰანის ტარუღად (მოურავად). ამიერიდან საუკუნის გადაჭარბებით (1618–1722) მხოლოდ ქართველნი იქნებიან ირანის სატახტოს უმაღლესი გამგებელნი.

1619 წელს ქართლის მმართველი ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და შაჰ აბასმა მის ადგილზე მისი შვილი, ირანში დაბადებული და გაზრდილი **ს ვ ი მ ო ნ - ხ ა ნ ი** გამოგზავნა.

ქართველები არც ერთს, არც ბაგრატს და არც სვიმონს, კანონიერ მეფეებად არ თვლიდნენ და ისევ დატყვევებული ლუარსაბ მეფის მოლოდინში იყვნენ. ჟამ-ჟამად არც შაჰისადმი ურჩობასა და „გათათრებული გვირგვინოსნების“ წინააღმდეგ გამოსვლას ერიდებოდნენ. ამას ისიც დაემთხვა, რომ რუსეთის ელჩმა ქართველების თხოვნით, შაჰ აბასის წინაშე ლუარსაბ მეფის გათავისუფლება და ქართლის ტახტზე დაბრუნება იშუამდგომლა. შაჰი აჩქარდა და მეფე ლუარსაბ მეორე მშვილდის საბელით საპატიმროშივე დაახრჩობინა ჯალათებს (1622 წელს).

ასე აღესრულა მეფე ქართლისა ლუარსაბ მეორე. „კაცი მშვენიერი და კეკლუცი და სანახავად სატრფიალო, – რომ არსად გამოსულა ამისთანა მშვენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა საღმთო-საკაცობრიო ზნეობით გათავებული და უკლები“.

გამეფდა 14 წლისა, იმეფა 10 წელიწადი, წამებულის სიკვდილით აღესრულა შობითგან 24 წლისა.

გადაეგო უშვილძიროდ. მისი ერთადერთი „ხელმწიფური უნარი“ სამშობლოსათვის პირადი სიცოცხლის გაწირვა იყო და კიდევაც პირნათლად აღასრულა თავისი ვალი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის გადასარჩენად. ქართულ მიწაში განსვენება არ ღირსებია ქართული მიწისათვის თავგანწირულ ჭაბუკ ხელმწიფეს.

ცოტა ადრე შაჰ აბასმა მძევლად აყვანილი კახელი ბატონიშვილებიც მოინელა, თეიმურაზ მეფის ძენი – ალექსანდრე და ლევანი. ორივე დაასაჭურისებინა ბოროტმა შაჰმა. ალექსანდრე მაშინვე მოკვდა. ლევანი ჭკუაზე შეცდა.

ქეთევან დედოფალი ჯერ ისევ ელოდა ბედის განაჩენს...

...იმჟამად ირანის „ვიცეკოროლი“, ალავერდ-ხან უნდილაქე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მთელი მისი მემკვიდრეობა, ფარსისა და შირაზის

ბეგლარგეგობა შაჰს მისი ვაჟისთვის, იმამ-ყული-ხანისთვის დაელოცა. 1622 წელს **ი მ ა მ ყ უ ლ ი - ხ ა ნ უ ნ დ ი ლ ა ძ ე** სპარსთა და გურჯთა ჯარებით დაიპყრო შამი და ორმუზიდან გარეკა პორტუგალიელები. ამიერიდან გაეხსნა სპარსეთს სამხრეთულ ზღვათა კარიბჭენი. ისპაჰანი დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა შამისა და ჰორმუზის გმირს. იწერებოდა ლექსები, პოემები და სიმღერები უნდილაძის სახოტბად და სადიდებლად (ჩვენს დრომდე მოატანა „უნდილაძის თემამ" სპარსულ ლიტერატურაში. სპარსი პოეტი კადრი შამისა და ჰორმუზის ამბებს და მის მთავარ გმირს, იმამ-ყული-ხან უნდილაძეს, უძღვნის ორ პოემას – „ჯანგნამა-ი ქიმშ" და „ფარუნ-ნამე").

იმ საზეიმო დღეებში კიდევ ორი უნდილაძე დააწინაურა შაჰ აბასმა: იმამ-ყულის უმცროსი ძმა, **დ ა უ დ - ხ ა ნ ი** განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნა, ხოლო იმამ-ყული-ხანის ძე, **ს ე ფ ი - ყ უ ლ ი - ხ ა ნ ი** – ლარის ბეგლარბეგად.

მომდევნო 1623 წელს ყანდაჰარის ასაღებად გაეშურა შაჰ აბასი. გიორგი სააკაძე გაიძღოლა აჯანყებულ ქალაქზე საიერიშოდ. სააკაძემ და მისმა ქართულმა გუნდმა აიღეს ყანდაჰარის კარიბჭენი, შეიჭრნენ და შეიყოლიეს სპარსელნი.

იმავე წელს ბაღდადს მიადგნენ სპარსელნი და ქართველნი. ისევ გიორგი სააკაძე, მისი ძმა ქაიხოსრო და „სხვანი ქართველნი" იყვნენ მეწინავენი. ბაღდადიც აიღეს. მთელი ერაყი და ქურთისტანი დაუმორჩილეს ქართველებმა შაჰ აბასის ტახტს. ახალი ფურცლები „ჩააკერეს" ქართველებმა ირანის ისტორიაში.

მაგრამ „გურჯისტანის საკითხი" მაინც მოუშორებლად ადგა ყელზე „ირანის ლომს". 1624 წელს მან ისევ მიიღო საიდუმლო დასმენა განჯის ხანისაგან: კახელები ისევ ძლიერდებიან და მრავლდებიან; რაღაც საიდუმლო მიმოსვლაც აქვთ კახელ თავადებს აჭარაში გადახვეწილ თეიმურაზ მეფესთანო; დღე-დღეზე ისევ აჯანყება არის მოსალოდნელიო.

შაჰ აბასმა თეიმურაზ მეფის დედა მოიკითხა – ქეთევან დედოფალი.

წამება ქეთევან დედოფლისა

ქეთევან დედოფალი შირაზში იყო. ათი წელიწადი აღარ ენახა საქართველო. მისი სათაყვანო სამშობლოს მიწაც, ცაც და წყალიც იმ ერთმუჭა ქართულ მიწაში ჩაკუმშულიყო, მკერდზე რომ ეკიდა იესო მაცხოვრის ჯვარცმასთან ერთად. დღენიადაგ იმ სურნელით სუნთქავდა, საქართველოდან წამოღებულ ნივთებს და წიგნებს რომ ასდიოდა ისე ცხოვლად და დამათრობლად...

შირაზი იმამ-ყული-ხან უნდილაძის სამფლობელო იყო და დიდის პატივით ეპყრობოდა ირანის „ვიცე-კოროლი" „თანამემამულე დედოფალს",

მთელს მის სახლეულსა და მსახურეულს. ქეთევან დედოფალი ტყვე კი არა, დიდად საპატიო სტუმარი არის ჩვენიო – ამბობდა უნდილაძე – და თუ მაინცდამაინც ტყვეობაზე დადგება საქმე, ჩვენ თვითონ ვართ ამ საოცარი ქალის ტყვეებიო.

ცალკე სასახლე და წალკოტი მიეჩინა უნდილაძეს დედოფლისათვის. ყველაზე უფრო მაინც ამით გაახარა „მასპინძელმა სტუმარი“: ჰორმუზიდან წამოღებული ბიბლიოთეკა მთლიანად „სტუმარ დედოფალს“ გაუგზავნა „წიგნის გიჟმა“ უნდილაძემ.

ქეთევანს ოცამდე ქართველი ემსახურებოდა – ქალი და კაცი. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც „გიორგი ხუცესს“ ეძახდნენ. იგი იყო დედოფლის კარის მღვდელიც, სახლთუხუცესი, სუფრაჯიც, მოურავიც და მებაღეც. იგი განაგებდა ქეთევან დედოფლის გარშემო შეკრულ „წმინდა ქართულ კოლონიას“, „თათარ-სპარსელთა“ და „გათათრებულ ქართველთა“ ზღვაში. გიორგი ხუცესს დაიბარებდა ხოლმე უნდილაძე, დედოფლისა და მისი „კოლონიის“ ამბავს გამოჰკითხავდა, ყოველ საჭირო საგანს, „საზრდელს“ და „მისართმეველს“ მიართმევდა და ისე გაისტუმრებდა. უნდილაძემ ერთხელ გიორგი ხუცესის ხელით ნაშენები ბაღი მოიხილა და ისე მოიხიბლა, მაშინვე ისფაჰანს გაგზავნა და შაჰ აბასის ბაღები გაამართვინა და გაამშვენიერებინა „უცნაურ ხუცესს“...

...და ერთ დღეს შაჰ აბასის ბრძანება მიიღო იმამ-ყული-ხან უნდილაძემ: დაუყონებლივ ჩემი სახელით უბრძანე ქეთევან დედოფალს, ქრისტიანობა განაგდოს და მაჰმადიანობა მიიღოს, ხოლო უკეთუ ჩემი ბრძანება არ აღასრულოს, მაშინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილსო.

ზარი დაეცა შირაზის ხანს. იცოდა, ქეთევანი სიკვდილს არჩევდა და არ გათათრდებოდა, ხოლო მისი წამებით მოკვლა თვითონ, ქართველს, არასგზით არ ესურვებოდა... და პასუხი აკადრა შაჰს უნდილაძემ: ნუ იკადრებ და ნუ აღმართავ ხელს უმწეო ქალის სიცოცხლეზეო. აზვავდა შაჰ აბასი. ხელახლა აფრინა ბრძანება უნდილაძესთან: შენ რასაც გიბრძანებ, ის აღასრულე დაუყონებლივო.

სხვა გზა არ იყო და ეახლა უნდილაძე ქეთევანს. ეახლა და ეაჯა: ნუ შეეცდები წინაღუდგე მძვინვარე შაჰის ბრძანებასო, მიიღე მაჰმადიანობა, ამით არაფერი დაშავდება, გარეგნულად აღიარე მხოლოდ, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი იქნებიო.

ქეთევანმა კი მოკლედ, მშვიდად და სიტყვაშეუქცევლად თქვა თავისი პასუხი: „ჩემო კეთილო ძმაო, მე სხეულის გადარჩენისთვის არ ვავწირავ ჩემს სულს, რასაც ჰქვია ქრისტიანობა და ქართველობა. სხეული მიწაა და დღეს თუ ხვალ ისედაც მიწად უნდა იქცეს, ხოლო ქრისტეს სჯული და საქართველო, რომელიც ჩვენში დაბადებითვე ჩასახლებულა, უკვდავია, მარადიული და მისი მოკვლა არც შენს ხელმწიფეს შეუძლია და არც მის ცრუ ღვთაებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე გადაწყდა წამება დიდი ქართველი ქალისა.

ხოლო „წამების ხელოვნებას“ ოცდაერთი საუკუნის „გამოცდილება“ ჰქონდა სპარსეთში...

...შირაზი.

1624 წლის 13 სექტემბერი.

უბერავს ქარი, ცხელი, ხორშაკიანი.

ცეცხლი გიზგიზებს „მეიდანზე“.

რკინის მარწუხები, მაშები, შამფურები, ლურსმნით სავსე ქვაბები, ბარები და სპილენძის მიტრა-თავსარქმელი – ვარვარებენ ცეცხლში ჩალაგებულნი.

ხალხით გაჭედილა „მეიდანი“ – სპარსელნი, ქართველნი, სომეხნი, ჩერქეზნი, იტალიელი და პორტუგალიელი კათოლიკე მისიონერნი.

გამოდის ქეთევან დედოფალი.

თეთრი, ქათქათა კაბით შემოსილს, მარჯვნივ და მარცხნივ მოაცილებენ წითელხალათიანი ჯალათნი. უკან ორმოცამდე ქართველი ქალი და კაცი მოსდევს. მათ წინ – გიორგი ხუცესი.

ზედ ცეცხლის პირზე შეაყენეს ჯალათებმა დედოფალი და მისი ამალა.

ისფაჰანიდან საგანგებოდ წარგზავნილი დივანბეგი უახლოვდება ქეთევანს და ერთხელ კიდევ აუწყებს კრძალვით და თითქოს მუდარით: უკეთუ დედოფალი აღიარებს მაჰმადის რჯულს, შაჰი მას შეირთავს ცოლად და აღავსებს უთვალავი საჩუქრითა და პატივით; ხოლო, უკეთუ უარსა ჰყოფს ხელმწიფის თხოვნას, იგი აღესრულება უსასტიკესი ტანჯვა-წამებით!

ქეთევანმა ისევ სრული სიმშვიდით და სიმტკიცით არჩია სიკვდილი ქრისტესთვის და საქართველოსთვის.

მაშინ პირით შეაბრუნეს მხლებლებისკენ დედოფალი, რათა ჯერ თავისი თვალით ეხილა „გათათრება“ მისი ერთგული ადამიანებისა. ჯერ გიორგი ხუცესს დაეძგერნენ ჯალათები. გიორგიმ სირცხვილს სიკვდილი არჩია, დაასწრო და ჯალათის მახვილს გულით წამოეგო. დანარჩენებს მიესივნენ ჯალათები და ყველანი სათითაოდ „დააჯოხავეს“ და „დაათათრეს“ ქეთევანის მსახურეულნი.

ბოლოს, თვითონ დედოფალს მიადგნენ და უთხრეს უბრალოდ , სიკვდილისთვის მოემზადეო.

ნება მომეცით სიკვდილის წინ ვილოცოო და იქვე მდგარი კათოლიკური ეკლესიისკენ ანიშნა ქეთევანმა. უარი ვეღარ შეუბედეს ყიზილბაშებმა. და პატრი **ამბროზიო დონ ანჟოსი** და პატრი **გრიგორი ორსინი** წარუძღვნენ ეკლესიისაკენ. შევიდა და ილოცა ქეთევან დედოფალმა. საქართველო დალოცა, ღვთისმშობელს შეავედრა „მისი წილხვდომი ქვეყანა“; მერე, მარიამს და იესოს შესთხოვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამების ჟამს ტკივილთა დათრგუნვის ძალა და განწმენდილი და განმტკიცებული გამოვიდა სამლოცველოდან.

ცეცხლთან მივიდა, დადგა და ანიშნა ჯალათებს.

ჯალათებმა მაშებით ცეცხლიდან აღმოახდინეს გავარვარებული მიტრა და თავზე ჩამოაცვეს ქალს. დაცემა ვერ მოასწრო ქეთევანმა – უმალვე წითლად აბრდღვიალებული ლურსმნის „სარეცელი" დაუგეს და ზედ გულაღმა „დარეცეს" ჯალათებმა. თეთრი სუდარა შემოაფხრიწეს. ჯვარცმა ააგლიჯეს. საკინძე აუშალეს. ქართული მიწა ჩაუშალეს.

ცეცხლის საგებელზე იწვა დედა საქართველოსი, შიშველ და ყვავილ-ჩაუქრობელ მკერდზე ქართული მიწის ნაშთით მიმოფანტული.

წითლად მოლაპლაპე ბარი დაუსვენა ჯალათმა ძუძუთა შორის.

ქალი არ ტიროდა, არც კვნესოდა. ოღონდ ლოცულობდა მკრთალი ჩურჩულით: „ქრისტე", „მარიამ", „საქართველო".

ჯალათმა სისხლისფრად აელვარებული მარწუხი აიტაცა, მარცხენა ძუძუს ჩასჭიდა და მოგლიჯა. მერე მარჯვენა ძუძუს მისწვდა და ისიც განაშორა მკერდს. მხურვალე შამფურები აძგერეს ორივე ნაძუძურზე. მერე მთელს ტანზე ცხელი ლურსმნის „საბანი" დაჰხურეს.

„საქართველო!" – კიდევ აღმოხდა წამებულის ბაგეს.

და დედოფლის შუბლს დაუმიზნა და დასცა ჯალათმა ნაცეცხლარი და ნასისხლარი ბარი.

და კიდევ ერთი სიტყვა მოასწრო უკვე სიკვდილის საუფლოში ჩაძირულმა:

„შვილო!"

და არავინ იცის, ვინ გააცხენდა სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეკელზე საქართველოს დედას – სვეგამწარებული თეიმურაზ მეფე, მისი შვილები, თუ თვითონ საქართველო...

...ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასახიჩრებული და დარღვეული სხეული ჯალათებმა დაუსაფლავებლად დააგდეს ცასა და მიწის შუა.

ღამით ამბროზიო დონ ანჟოსმა და გრიგორი ორსინიმ მოიპარეს წამებული ქალის ცხედარი. საკმევლითა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, ვითარცა ქრისტიანი და ქრისტესათვის წამებული დედოფლის უწმინდესი ნაშთნი. ორი წლის შემდგომ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნაშთთა ნაწილი მის შვილს, თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო ნაწილი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და იქ დაკრძალეს, და-გრასას მონასტერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰ აბასს „გურჯისტანის საკითხი“ უკვე „საბოლოოდ“ გადაეწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს **ყ ო ფ ნ ა - ა რ ყ ო ფ ნ ი ს** „საქმე“ სრული **ა რ ყ ო ფ ნ ი თ** უნდა გათავებულიყო. ამიტომ – „გაუქმებულ კახეთში“ რაღაც სასწაულად ხელახლა აღმოცენებული კახელობა ხელიერთპირად გაიჟლიტოს, ხოლო ქართლი, კახეთის მსგავსად, დედაბუდიანად აიყაროს და სპარსეთში გადასახლდეს!

ყოველივე ამის აღსასრულებლად შაჰი ამზადებს ახალ დიდ მხედრობას, რომელსაც საქართველოსკენ გაუძღვება სპარსეთის უსაჩინოესი სარდალი **ყ ა რ ჩ ი ხ ა - ხ ა ნ ი.**

ყარჩიხა-ხანს მთავარ მრჩევლად ენიშნება გიორგი სააკაძე, ქართლის მოურავ-ტარუღა და ნამდვილი გამგებელი.

მხოლოდ... შაჰი „მაინც“ მძევლად იტოვებს სააკაძის ძეს **პ ა ა ტ ა ს...**

...1625 წელს სპარსული ურდო ქართლში შემოვიდა და მუხრანის ახლოს, აღაიანის ველზე დაბანაკდა. ყარჩიხა-ხანმა, დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის მომიზეზებით, კახელები დაიბარა და შეუდგა კიდეც სათითაოდ მათ ამოწყვეტას. მაგრამ კახელებმა მუხანათობა მაინც დროზე შეიტყვეს, ხმლები გაიძრეს, ყიზილბაშთა სალტე გადათქერეს და სამშვიდობოს გავიდნენ.

სპარსელებმა ადგილი მოინაცვლეს და **მ ა რ ტ ყ ო ფ ი** ს ველზე დაიბანაკეს. აქედან უნდა შესდგომოდნენ ისინი ქართველთა გადასახლებას ირანში.

მაგრამ სპარსელთაგან არავინ იცოდა, რომ საქართველოში მოსვლისთანავე გიორგი სააკაძე ქართველთა ავჯანყებას ამზადებდა სპარსელთა ამოსაწყვეტად. იგი შეუთანხმდა ჯერ საქართველოს კათალიკოსს, შემდეგ ქართველ თავადობას, განსაკუთრებით თავის ცოლისძმას, **ზ უ რ ა ბ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ს**, და მათთან ერთად იდუმალ შეუდგა ხალხის საომრად გამზადებას. გიორგიმ შემთხვევით, ლოჭინის ხევში ნადირობისას, სპარსეთიდან მომავალი შიკრიკი ჩაიგდო ხელში. შიკრიკს შაჰის წერილი აღმოაჩნდა, ყარჩიხა-ხანისადმი საიდუმლოდ მინაწერი. წერილში ეწერა: „გიბრძანებ, კახელნი ამოსწყვიტო, ქართლელნი ლედაწულიანად აჰყარო და სპარსეთს წამოასხა, ხოლო გიორგი სააკაძე დაუყოვნებლივ მოჰკალ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნე“!

სააკაძე სწრაფად აპოქმედდა.

ავჯანყების დღე დაინიშნა – 25 მარტი 1625 წლისა, დღესასწაული – ხარება.

ყარჩიხა-ხანს საეჭვო არაფერი ჰქონია, რადგან იმ ღამით გიორგი სააკაძე სპარსელთა ბანაკიდან არ გასულა. იგი მხოლოდ ოთხი ქართველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მისი ძე **ავთანდილის**, თავადი **პაატა ხერხეულიძის**, თავადი **ელია დიასამიძისა** და გლეხი **პაპუნა ვაშაყმაშვილის** – თანხლებით „ისვენებდა“ თავის კარავში.

რიჟრაჟზე ქართველთა ლაშქარი, ზურაბ არაგვის ერისთავის სარდლობით, ანაზდად შემოესია სპარსელთა მძინარე ბანაკს. ქართველთა ხუთეულიც მაშინვე დაერია სპარსელთა მთავარსარდლობას. გიორგი სააკაძემ შუბით განგმირა ყარჩიხა-ხანი. ავთანდილ სააკაძემ ყარჩიხას ვაჟი ასჩეხა. დანარჩენი სარდლებიც ასწყვიტეს ქართველებმა. უმეთაუროდ დარჩენილი სპარსული მხედრობა საშინელმა პანიკამ მოიცვა. 30 000 სპარსელისგან მხოლოდ 3 000-მა გაასწრო სიკვდილს.

მარტყოფის ძლევამოსილების შემდეგ, გიორგი სააკაძე სალაშქრო უნაგირიდან აღარ ჩამომხდარა. მაშინვე ტფილისს მიუხდა, ქალაქში შეიჭრა და ციხეში გამაგრებულ სპარსულ ციხიონს ალყა შემოარტყა. სვიმონ-ხანმა ძლივს გაასწრო ქალაქიდან.

ტფილისიდან გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი კახეთს გაფრინდნენ და იქ მდგარ სპარსულ ბანაკებს დაერივნენ. რამდენიმე დღეში კახეთი გაწმენდილ იქნა დამპყრობელთაგან.

კახეთიდან განჯა-ყარაბაღს გაილაშქრეს ქართველებმა, იქაური ყიზილბაშები გაანადგურეს და გარეკეს.

ისევ ქართლს მობრუნდა სააკაძე. მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ქართლი და კახეთი მის ხელში იყო. ახლა ქვეყანას ერთიანი საჭეთმპყრობელი სჭირდებოდა. თვითონ, სააკაძის „მდაბიური გვარისა“, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა „კანონიერი მონარქი“, და მან მაშინვე მოუხმო ქართლ-კახეთის ერთიან ტახტზე გონიოში გახიზნულ თეიმურაზ მეფეს.

თეიმურაზი ის იყო რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, სააკაძის ელჩებმა რომ ასეთი „ცითმოვლენილი“ ამბავი და შეთავაზება მოართვეს. მაშინვე ქართლ-კახეთისაკენ წამოემართა სიხარულით აღტაცებული. თუმცა სხვა მალულმა მოენეებმა ესეც უთხრეს თეიმურაზს: ღმერთი არ გაგიწყრეს და გონიოს ციხიდან ფეხი არ გადგა, თორემ იცოდე, სააკაძე მიგიტყუებს და ცოცხალი ვერ გადაურჩებიო, მაგრამ მაინც მოდიოდა და ამბობდა: „თუ მართლაც და, უფალს ჩემი სიკვდილი ნებავს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი! მე მაინც ბედნიერი ვიქნები, რაკი უკანასკნელად გავუღიმებ მშობლიურ ცას, რომლის ქვეშ მე თვალი ამეხილა და გონი გამეხსნაო“.

და მცხეთაში შეეგებნენ ერთმანეთს თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე, ორი გმირი, ორნივ სამშობლო საქართველოსთვის უმძიმეს ბრძოლებში გაწამებულნი და გათეთრებულნი.

და სვეტიცხოველში ეკურთხა თეიმურაზი ქართლისა და კახეთის მეფედ.

აღმოსავლეთ საქართველო გაერთიანდა.

ზეიმობდა ქართველი ხალხი დიდ გამარჯვებას. ზეიმობდა გიორგი სააკაძე, მთავარი გმირი ქართველთა ძლევამოსილებისა და ყველაზე დიდი მეოცნებე „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა.

მაგრამ შაჰ აბასი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ცოცხალი და თავ-ზარდაცემული – მარტყოფის კატასტროფით, უზარმაზარი ყიზილბაშური მხედრობის განადგურებით, უპირველესი სარდლების ამოწყვეტით და, რაც მთავარია, ქართლ-კახეთის გაერთიანებით.

და ცოფით ატანილმა შაჰ აბასმა გიორგი სააკაძის ვაჟს, მძევლად დატოვებულ პაატას, თავი გააგდებინა.

შვილის თავი საქართველოში ჩამოუტანეს გიორგი სააკაძეს. ტანი ხევში გადაეგდოთ, შაჰის ბრძანებით. ერთაწმინდის ეკლესიაში დაკრძალეს წმინდანი ჭაბუკის თავი. მალე ტფილისელმა ვაჭრებმა, ევროპელ მისიონერთა დახმარებით, იპოვეს და წამოასვენეს პაატას გვამი საქართველოში. როგორც იქნა, ელირსა განკვეთილი მარტვილის თავსა და ტანს ერთად დავანება მშობლიურ მიწაში. „ყოველი საქართველო“ იყო მისი ჭირისუფალი. მისი ღვთაებრივი სახე სალოცავ ხატად დაისვენა მშობელმა ხალხმა.

მ ა რ ა ბ დ ა



ხმალო და მხარო გასჭერი,
გულო ნუ შეგვიშინდები,
სისხლისა ნატალაბევსა
ფეხო, ნუ მოგვიცურდები.
ხ ა ლ ხ უ რ ი

ისევ დგას 1625 წელი. და ისევ მოჰქრის ვეებერთელა ურდო საქართველოსკენ, საუკეთესო, ანარჩევი მხედრობა სპარსეთისა. მოჰქრის ურდო და მოაქვს „მსოფლიო რისხვა“ შაჰ აბასისა: ან ახლა უნდა მოისპოს საქართველო, ან ვერასოდეს!

ურდოს მოუძღვის **ი ს ა - ხ ა ნ ყ ო რ ჩ ი ბ ა შ ი,** სიძე შაჰ აბასისა. თანაშემწე სარდლებად დანიშნული არიან: შირვანის ბეგლარბეგი **ყ ა ზ ა ხ - ხ ა ნ ჩ ე რ ქ ე ზ ი**, ერევნის ბეგლარბეგი **ა მ ი რ გ უ ნ ე - ხ ა ნ ი** („ყვითელი ჯიქ“), აზერბაიჯანის ბეგლარბეგი **შ ა ჰ ბ ე ნ დ ე - ხ ა ნ ი და ხ ო ს რ ო - მ ი რ ზ ა,** ქართველი ბატონიშვილი, ისპაჰანის ტარუღა...

ივნისის ბოლოს მოვიდნენ „დიდითა მძლავრობითა“ და დაიბანაკეს ალგეთზე, სოფელ **მ ა რ ა ბ დ ა ს თ ა ნ.**

50 000-მდე მეომარს მოითვლის ყიზილბაშთა ბანაკი. და ჯერ კიდევ
ეროვნული ბიბლიოთეკა
არ ჩანს თავის მხედრობით აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰბენდე-ხანი.

ქართველებიც მოსულან, სულ - 20 000 მეომარი.

კოჯრის მთაზე დგანან.

და სხედან თათბირად წინამძღოლნი: თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, მისი ძმა დავით ერისთავი, ქვემო ქართლის სპასპეტი ბარათა ბარათაშვილი, იასე ქსნის ერისთავი (გიორგი სააკაძის სიძე), თეიმურაზ მუხრან-ბატონი (ესეც სააკაძის სიძე). მისი ძმა ქაიხოსრო მუხრანბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, დავით ჯანდიერი, მანუჩარ ათაბაგი, და ეპისკოპოსნი - მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშნელი.

თათბირად ისხდნენ, თუმცა ბევრი სათათბირო და საცილობელი რა უნდა ყოფილიყო, როცა ყველას ერთნაირად უნდა სცოდნოდა: მცირე ჯარი რიცხვმრავალ მტერს გაშლილ ველზე არ უნდა ჩაჰყვეს, ხოლო მთაგორიან ადგილებში ბრძოლის მოგების მეტ შანსებს ინარჩუნებს. გაშლილ ველზე მრავალრიცხოვანი მცირერიცხოვანს ალყაში მოაქცევს და გაანადგურებს, მთასა და კლდეზე კი ვერ გაიშლება და თავის სიმრავლესაც სათანადოდ ვერ მოიხმარს. ამასთან, რაკი სიცხიანი ამინდები იდგა, ბუნებრივად ისიც უნდა ეფიქრათ, რომ პაპანაქებით გათანგულ მარაბდის ველზე მზის გულს შეზრდილი ირანელები უფრო ძალმოსილებით იომებდნენ, ვიდრე „უფრო ჩრდილოელი" ქართველები.

მაშ, ქართველები კოჯორ-ტაბახმელას მთებში უნდა დარჩენილიყვნენ და აქვე დალოდებოდნენ მტრის შემოტევას. ეს მოსაზრება წარმოადგინა გიორგი სააკაძემ. განსაკუთრებით ქვეითად მოსული ჩვენი გლეხკაცობა ვერ გაუძლებს სიცხიან მინდორზე ირანულ მხედრობასთან რკინასა და ერთიანად დაგვეღუპებაო, ამბობდა გიორგი. **ბ ა ა დ უ რ ც ი ც ი შ ვ ი ლ მ ა ც** მაშინვე აუბა მხარი სააკაძეს: „სიცხით ცეცხლმოკიდებულ მიწაზე ქვეითად მბრძოლი გლეხობა მართლაც ამოგვიწყდება, ხოლო - რა ამოსწყდეს გლეხკაცი, საქართველო დაძაბუნდესო", - დაასკვნა ციციშვილმა სიტყვით, რომელმაც სამარადისოდ დაივანა საქართველოს ისტორიაში.

მაგრამ გიორგი სააკაძე და ბაადურ ციციშვილი მარტო აღმოჩნდნენ თავიანთი „საღი აზრებით". ყველა დანარჩენმა სარდალმა შეტევაზე გადასვლა მოითხოვა - მომავალ დღეს, დილით ადრე, მარაბდის ველზე.

ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ვ მ ა თქვა: გიორგის რჩევა კარგია, მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რომ მტერი მაინცდამაინც აქეთ, ჩვენი საფარისკენ წამოვა და სხვა გზას არ აირჩევსო. ამიტომ სჯობია დავასწროთ და პირდაპირ დავეცეთ იქ, სადაც ახლა დგასო.

ბ ა რ ა თ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა თქვა: მტრის დაცდა და ლოდინი ჯარებს დაგვიშლის, ლაშქარი დაგვეფანტება; ისედაც ყიზილბაშთა

მხედრობა ქვემო ქართლის მიწაზე დგას, საბარათიანოში, აქაურობას ავერანებს და ამას ჩვენ დიდხანს ვეღარ მოვითმენთ. ამიტომ ხვალ დილითვე უნდა დავეცეთ მტერსო.

ძმებმა მუხრან-ბატონებმა თქვეს: დიდხანს დგომა არც ჩვენ შეგვიძლიაო. ამიტომ თუ დაგიწყიათ ბრძოლა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენის ლაშქრით ავიყრებით და სულ გავეცლებითო! იგივეს ამბობდა **იასე ქსნის ერისთავი.**

კახელმა სარდლებმაც თქვეს: თათრები ბარე-ორჯერ გაგვილახავს და კიდევაც გავლახავთო; ამიტომ ხვალ სისხამზე დავიწყოთ, დილა-გრილოზე ვიომოთ და სანამ ასიცხებოდეს მანამ მოვრჩეთო.

მანუჩარ ათაბაგმა თქვა: ბრძოლის საბრუნავს ბედისწერა და ღმერთი აბრუნებს; უმეტესწილად მაინც ის იმარჯვებს, რომელიც მოულოდნელ დარტყმას დაასწრებს, ამიტომ მეც ვამჯობინებ, ხვალ უთენია დავესხათ მტერსო.

ჯარიც საომარი ცეცხლით ანთებულიყო. გამორჩევით ახალგაზრდობა ვეღარ იჭერდა თავს. იარაღს აწვალებდნენ, „კბილებს იმსხვრევდნენ" და გაიძახოდნენ: ჩვენ მტრის მოხდომას რად ველოდებით. ან სიმაგრეში ჩასაფრება ვის ეკადრება, თქვენ გაგვიძეხით და მიგვიშვით და, მეფის მზეს ვფიცავთ, დაგანახვებთ ყიზილბაშთა სისხლისა და ცრემლის დენასო!

გადაწყდა: მთიდან დაშვება და გაშლილ ველზე ბრძოლის გამართვა.

ეს იყო პირველი შეცდომა.

მერე მთავარსარდლობის საკითხი დადგა და იგი მიანდეს თეიმურაზ მეფეს და არა გიორგი სააკაძეს.

ესეც მეორე შეცდომა...

...თეიმურაზ მეფემ წინასწარ მზვერავი რაზმი გაგზავნა **დავით ჯანდიერისა და აღათანგ ხერხეულიძის** მეთაურობით. ორივეს ყიზილბაშებთან ბრძოლაში თითო თვალი დაჰკარგვოდა, დავითსაც და აღათანგსაც. ჯარში ზოგს ეცინებოდა, ზოგს ეფიქრებოდა მეფის ამნაირი გადაწყვეტილება – ბრძოლის წინარე ჟამს რაღა მაინცდამაინც უთვალო სარდლები დანიშნა მტრის სათვალთვალოდო...

ღამე მომძლავრდა. უკანმოუბრუნებლად მიგორავდა 30 ივნისი 1625 წლისა.

ქართველთა ჯარი ზიარებად იდგა.

ეპისკოპოსნი – მროველი, ალავერდელი, ხარჭაშნელი, რუსთველი – ღა მრავალი მღვდელი და ბერ-ფიჩოსანი იარაღასხმული დამდგარიყო ერისკაც მამულიშვილთა გვერდით.

მეფემ რუისის ეპისკოპოსს, მროველს, **დომენტი ავალიშვილს** სთხოვა ზიარება და დალოცვა ჯარისა. მროველმა მეფეს მდაბლად დაუკრა თავი, ჯვარისმტვირთველს ჯვარის გამოსვენება

უბრძანა და თვითონაც წინ წამოვიდა იარაღასხმული. ყველას ეუცნაურა საომრად შეჭურვილი სამღვდელოსაგან ზიარება. თეიმურაზმაც იგრძნო „უხერხულობა“ და უთხრა მროველს: „უკეთუ აპირებ აღიღო ხმალი საბრძოლველად, მაშინ უბრძანე, რამეთუ გვაზიაროს სხვამან სამღვდელომან, ხოლო უკეთუ ხმალს შემოიხსნი, გვირჩევნია შენ გვაზიარო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მროველმა არც ხმლის დათმობა მოისურვა, არც ჯვრის და მხურვალედ მიმართა ერსა და ბერსა: „ქართველნო, შვილნო და ძმანო! იცოდეთ ყველამ – მე მახვილს ვიღებ არა ჩემი პირადული კადნიერების საკეთილდღეოდ, არამედ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავად და მტერთა მისთა სისხლის საღრელად. ამიტომ ჯერ არს სწორედ მე ვაზიარო ქართველი გმირნი და მამულიშვილნი, რამეთუ მათთან ერთად მეც მზადა ვარ დავათხიო საკუთარი სისხლი ქართველობისა და ქრისტიანობის გადასარჩენად!“

აღტაცებამ მოიცვა ლაშქარი. მროველმა გვაზიაროსო! – იგრიალა ყველამ.

ზიარა და დალოცა სალაშქროდ შემართული ქართული მხედრობა რუისელმა სულიერმა მამამ. ჯვარი გარდასახა – ჯარით და ხმლით. ყოველ ქართველს ზიარებად მისცა ქართული პური და ქართული ღვინო, ვითარცა ხორცი და სისხლი სამშობლო საქართველოსი. დალოცა დროშა საქართველოსი, ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს მძლავრად მქროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

მედროშე აღმოჩნდა მტრის საზვერად წასული აღათანგ ხერხეულიძის ძმა.

ალამდარ ხერხეულიძეს კიდევ შვიდი ვაჟკაცი უდგა მხარმარჯვნივ. ისინიც მისი ძმები აღმოჩნდნენ. დედისგან ყოფილან დალოცვილნი და შეგონებულნი: საქართველოს დროშა არ დასცეთ მიწაზეო; თუ მეწინავე მედროშე ხერხეულიძე მკვდარი დაეცეს, მომდევნო ძმამ აიტაცოს დროშა, თუ ამასაც ბედმა უმუხთლოს, მერე მესამემ... და ასე, სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცემოდესო. ამასობაში მტერიც ამოწყდება და ქართული დროშაც დაუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ!

მაშ, ცხრა ძმა ხერხეულიძე გამოდის მამულისათვის სისხლის საღვრელად.

იქ კიდევ, ცხრა მაჩაბელი ჩამღვარა ერთიან, ჩაკირულ კედლად.

იქ კიდევ – შვიდი ჩოლოყაშვილი...

...ღამე განზოგადდა. კოჯრის მთებიდან ეშვება ქართველთა მხედრობა. მიდიან „მხიარულად, თამამად“. კახელთა რაზმებში ხუმრობენ ბიჭები: მიკალთ, მივდივართ იქ, სადაც მაკე ფურები გველოდებიანო. გზაზე ჯანდიერისა და ხერხეულიძის მზვერავებმა დახოცილი ყიზილბაშები შემოაგებეს. ისა-ხან ყორჩიბაშის მსტოვრები ყოფილან, ქართველთა

დასაზვერად წამოსულნი. ქართველ მზვერავებს გადაჰყროდნენ და ზედ შემოჰკვდომოდნენ. ჯანდიერი „იმუქრებოდა“: სადაცაა გათენდება და ისწრაფეთ, თორემ ჩვენ აღარ დაგელოდებით, ისე შევებმებით მტერსო. ფეხი აიჩქარეს. ფერდობი ჩაითავეს და ღამეც გაიცრიცა.

გათენებულიყო 1 ივლისი 1625 წლისა.

დღე – მ ა რ ა ბ დ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ა.

ლამის გამსკდარიყო მოსარკული ცა. უკვე ჩანავლებული ცისკრისვარსკვლავი უსაშველო სიცხით და ლულით ემუქრებოდა საომარ ველს. ამიტომ დროზე, მზის გამძვინვარებამდე უნდა მოეხდინათ ქართველებს მოსახდენი.

თეიმურაზმა ლაშქარი მოუმკელ ყანაში შეიყვანა და მუხლი ჩააკრეფინა. მტრის ბანაკი გამოიკვეთა მოძალებული სინათლის ჩქერზე. ხშირ ტყესავით ჩაგუბებულიყო ყიზილბაშური ურდო.

სანგრები გაუთხრიათ სპარსელებს. სანგრებს უკან, მიწაყრილებზე, ზარბაზნები ჩაულაგებიათ. ზარბაზნების შემდგომ თორმეტი ათასი მეთოფე ჩარიგებულიყო, ოთხ „ტერასად“: პირველი ტერასა – ცალ მუხლზე დაჩოქილნი, მეორე – ფეხზე მდგარნი, მესამე – ცხენებზე ამხედრებულნი, მეოთხე – კიდევ მაღლა, აქლემებზე აღმჯდარნი.

თოფიანი ათასეულების სარდლად იდგა ამირგუნე-ხანი, სიმამაცისთვის „სარუ ასლანად“ („ყვითელ ჯიქად“) წოდებული.

ყიზილბაშური ურდოს შუაგულში რჩეული მხედრობით ჩამდგარიყო თვითონ მთავარსარდალი, ისა-ხან ყორჩიბაში.

დანარჩენი ჯარები ფლანგებზე იდგა ჩატბორილი და ჩაგუბებული.

მარჯვენა ფლანგის სარდლად – ხოსრო-მირზა, მაჰმადიანი ქართველი, ხოლო მემარცხენე სარდლად – ყაზახ-ხან ჩერქეზი.

არსად ჩანს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და მისი მხედრობა...

თეიმურაზმაც განალაგა ლაშქარი საომრად. წინ ცხენოსნები დააყენა, უკან – ქვეითი ჯარი (არ ჩანს, რომელ სარდალს რა ადგილი ეჭირა).

...ომის ღმერთმა აიღო ხელში ბრძოლის სასწორი: ქართველთა პინაკზე 20 000, სპარსელთა პინაკზე, ჯერჯერობით 50 000...

...შეტევა ქართველებმა დაიწყეს. სათოფე მანძილზე ნელი, წყობილი ნაბიჯით იარეს, სათოფეზე ფარ-შუბი გაიმართეს და ცხენები გააჭენეს.

თორმეტი ათასი სპარსული თოფისა და ზარბაზნის გრიალმა შეარყია მიწა და ზეცა. ნაფოფარ-ნამეხარმა კვამლმა დააბნელა მტერთაშორისი თვალსარბიელი. წუთით შედედდა ქართველთა იერიში. პირველი სისხლიც ქართული დაქცეულიყო მარაბდის ყანებში. მძლავრი ყიჟინით ეკვეთნენ და შუბის ძგერებით შეანგრიეს სპარსელთა მეწინავენი. „და შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა და ლახტთა მუზარადზედ ხეთქინება“. ქართველთა ძლევამოსილებით დაქანდა ბრძოლის სასწორი მეომარი

ღვთაების ხელში. უტევდნენ ქართველები „ერთპირობით. გულსრულად, ჯავრიანად“. „ჰხოცავდნენ, ჰლეწავდნენ, ჩამოჰყრიდნენ“. აბღავლდა, აღმუვლდა, აღრჭიალდა მარაბდის ველი. მზე შუბის ტარზე წამოსულიყო. ქართველებმა რომ გაალმასებული ხმალკვეთით სრულად აჰკაფეს „ყვითელი ჯიქის“ მეწინავე-მეთოფენი და „გახურებული ხოცვით“ შეიჭრნენ ცხენოსანთა და აქლემოსანთა „ტერასებში“. მალე ამირგუნე-ხანის თორმეტი ათასი მეთოფე აღარ იყო თორმეტი ათასი. დარეცილიყო, დანგრეულიყო და გაქცეულიყო ყიზილბაშთა წინა ლაშქარი.

ამირგუნე-ხანს მიუხტა მანუჩარ ათაბაგი „ყაენის სიცოცხლეს გაფიცებ, იქნება მიცნო მანუჩარ ათაბაგი!“ – შესძახა მესხთა მთავარმა. დიახაც. იცნობდა „ყვითელი ჯიქი“ თავის გაზრდილს. ცხენდაცხენ ეკვეთნენ ერთურთს. გამზრდელის ხმალი აისხლიტა გაზრდილმა. თვითონ გადაჰკრა „თავისა თაჯიანსა“ მანუჩარმა. და თავგაპობილი გადმოეშვა ცხენიდან „ყვითელი ჯიქი“. მაინც აღმართა მეორედ ხმალი ათაბაგმა. ქვევიდან დაასწრო ამოძახილი ძირს დაცემულმა: „ნამაქაფარმო, რისთვის მკლავ. აკი ჩემი გაზრდილი ხარ?“ ხმალი დაუშვა მანუჩარმა. ხელიც აღარ გაუნძრევია, როცა ყაჯარები წინ ჩაუხტნენ და გაიტაცეს მძიმედ დაჭრილი თავისი სარდალი (მაინც მანუჩარ ათაბაგის დანაჭდევ ჭრილობას გადაჰყვა შემდგომ ამირგუნე-ხანი).

დულდა მარაბდის ველი, გმინავდა, ღმუოდა, ზმუოდა.

მისდევდნენ ქართველები მტერს გავეშებული ჩეხვით და კაფვით. ყველა ლომ-გმირი შექნილიყო – მეფეც, თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ეპისკოპოსიც, მღვდელიც და ბერიც. ზედიზედ ენარცხებოდნენ სისხლიან მიწაზე ლომის გერბიანი დროშები. ამაყად ფრიალებდა ხერხეულიძის ხელით აღმართული ქართული დროშა – მაინც გორგასლიან-დავითიან-თამარიანი.

მაინც ისევ „სხვანაირი“ იყო შემმართებლობა დიდი მოურავისა. მუზარადი მოეხადა გიორგის. ასე „უჯობდა“, რადგან „მოურავ-ბეგის“ მძვინვარე სახის ხილვით თავზარი დასცემოდათ „მის ნაცნობ“ ყიზილბაშთ. იბრძოდა გიორგი სააკაძე. იგი იყო ყველგან, სადაც მისი საარაკო ვაჟკაცობა საგანგებოდ ეჭირვებოდა მისიანებს. ყიზილბაშთა სქელ რაზმებს არჩევდა, შეუტევდა და „მუხლჩაკეცილი ეშვებოდნენ“ სპარსელნი. თოფი ესროლა სპარსმა მხედარმა. ცხენი ყალყზე შეაგდო გიორგიმ. ტყვია ცხენს მოხვდა და სანამ ძირს დაეცემოდა, საკუთარი ცხენი მოართვა ლომი ჩრდილელმა; ელვასავით მოევლო სააკაძე, ცხენის მკვლელს წამოეწია, ხმლით ჩამოაგდო და მოკლულის ცხენი ლომი ჩრდილელს მიუმაგივრა.

დიდი სიმამაცით იბრძოდა „მეორე გმირი“ – ზურაბ არაგვის ერისთავი. დაჭრილიყო ზურაბი – „შუბლზედ თოფსა გარდაეკრა“ – მაგრამ მაინც არავის შეუსმინა და არ გავიდა ბრძოლის ველიდან.

ბღაოდა, ზრიალებდა, ღრჭიალებდა მარაბდის ველი.

ქართველები ყიზილბაშთა შუაგულში შეიჭრნენ და ფლანგებისაკენ გაიშალნენ საიერიშოდ. ყიზილბაშთა ვერც ერთმა ფლანგმა ვერც თავისიანთა შუაკერძზე მიშველება მოახერხა, ვერც ქართველების გახელებული იერიშების შეკავება. მარცხენა ფლანგზე ყაზახ-ხან ჩერქეზი გაექცა ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის იერიშს. ყაზახ-ხანს მისი შირვანელი მხედრობაც გაჰყვა, ცხვირ-პირის მტვრევით. გამოედევნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი. ბრძოლის ველიდან გადაიკარგნენ გაქცეულებიც და მდევრებიც. ვაი თუ ეს შეცდომა იყო, ასე სულსწრაფად რომ ჩამოკვეთეს მხედრობის დიდი ნაწილი ახალგაზრდა ქართველმა სარდლებმა ბრძოლის ველს?!

თუმცა... ყიზილბაშთა მარჯვენა ფლანგიც მოეხსნა ბრძოლას, ხოსრო-მირზას ფლანგი. ვერ ისახელა თავი ისპაჰანის ტარუღამ, შაჰ აბასის „რჩეულმა გურჯმა“.

მზე საშუადღეოს დაეყუდა და სიცხით გაფატრული მდუღარეს აფრქვევდა დაბრიყვებულ დედამიწას. მაგრამ მზე რაღად ენაღვლებათ „უკვე გამარჯვებულ“ ქართველებს! აჰა, ყიზილბაშთა უკანასკნელი ძალაც – შუაკერძი – უკუაქციეს გავეშებული ხმალთაკვეთებით.

მოავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა „უაღრესად გულად და შემმართებელ მამაცთა მცირე რაზმით“ ღრმა ზურგში გადაინაცლა და მოიერიშე მტერს წინ დაუგდო ორდუბაზარი (ორდუბაზარი ყიზილბაშთა ქონების, საქონლისა და სიმდიდრის სათავსო სადგომი იყო).

და ერთბაშად დაეძგერნენ ქართველები მტრისგან დაგდებულ ყველაზე „ქონიან ნაჭერს“. საკუთარი ხმლები შორს მოისროლეს – ხმლები, რომლებმაც აქამდე ძლევით მოიყვანეს თავიანთი პატრონნი.

ხმლები ხელიდან გაუშვესო?!

ეს უკვე ბედისწერა იყო!

მტრისგან დაუნჯებულ სიმდიდრეს დაერივნენ და თვითონაც აირივნენ. იტაცებდნენ ყველაფერს „უცხოს“ და „საუცხოოს“– ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ მურასა ხმლებს, ხანჯლებს, აკინაკებს, რახტსა და უნაგირს, თაჯსა და ჯიღას, ოქრონემსულ ხალათებსა და კაბა-ჯუბაჩას.

ეს აღარ იყო ქართული ჯარი და აღარც ჯარი საერთოდ.

თეიმურაზ მეფემ და გიორგი სააკაძემ ჯერ არაფერი იცოდნენ, რა ამბავიც დაეტრიალებინა „ორდუბაზართან“ ქართველთა მანამდე გაუგონარ სიხარბესა და სიწუწკეს. ისინიც „სრულ გამარჯვებაში“ დარწმუნებულნი, უკან ჩამორჩენოდნენ ლაშქარს, რადგან ზურაბ ერისთავს წამდაუწუმ გული მისდიოდა ჭრილობიდან სისხლდამდინარეს, და იტმას დასტრიალებდნენ მეფე და მოურავი.

და ერთბაშად, ანაზდაეთად, სისხლით ნარწყულებ მარაბდის ველზე „მესამე ალა“ შემოიჭრა ვაძვინკარებით! აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი მოჰქროდა ახალი ხელუხლებელი, საომარი ყიჟინით

ანთებული დიდი მხედრობით. მოთქარუნობდნენ ისლამიტური დროშების ფრიალით, საომარი ნაღარების, ბუკებისა და ზურნაიკების ზმუილით, ღოლბარბითების დაგადუგითა და გაბმული ყივილით: „შაჰ გელდი! შაჰ გელდი! შაჰ გელდი!!!“

შაჰი მოდისო?

წამოიშალნენ ქართველები. მაგრამ გვიანღა იყო თავის აღებაც და ხელის გამოღებაც. ძნელი ყოფილა ხელიდან გაგდებული ნამსახური ხმლის მონახვა და კვლავ ხელში მოვარგება!

ელვის სისწრაფით ბზრიალებდა ჩარხი ბედისწერისა.

ერთბაშად დაქანებულიყო ბრძოლის სასწორი ქართველთა ბედით.

სამი მხრიდან წამოემართნენ ყიზილბაშნი გამძვინვარებით: შუაკერძით – ისა-ხან ყორჩიბაში, მარჯვნივ – შაჰბენდე-ხანი, მარცხნივ – ხოსრო-მირზა.

მაშ, სპარსელები მაშინ იწყებდნენ ბრძოლას, როცა იგი ქართველებს დამთავრებული ეგონათ.

„ალლაჰ ილალლაჰ!!!“ – ზანზარდა მიწა და ზეცა.

„ქრისტე და საქართველო!“ – უკვე სისხლნაკლულად გაისმა სოდომ-გომორულ მეხთატეხაში.

ნაფლეთ-ნაფლეთ რაზმებით იბრძოდნენ ქართველები. იბრძოდნენ მაინც საარაკო შემმართებლობით, გააფრთებით, თავდავიწყებით. იბრძოდნენ თუნდაც ღირსეული სიკვდილისათვის.

ფეხი ცურავდა სისხლით ზელილ მიწაზე. მკლავი იქანცებოდა. მუხლი იკვეთებოდა. მაჯა დუნდებოდა. გული ძრწუნდებოდა.

ორი ცალთვალა დევგმირი დაეცა შორიდან ნაძგერალი გმურებით გულგანგმირული – დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე.

მკერდშელეწილი დაეცა თეიმურაზ მუხრან-ბატონი.

„თეიმურაზი მოჰკლეს! თეიმურაზი მოჰკლეს!“ – მეხივით დაურტყა ქართველობას საბედისწერო ძახილმა. სწორედ „საბედისწერომ“, რადგან ჯარს მოკლული ეგონა თეიმურაზ მეფე და არა თეიმურაზ მუხრან-ბატონი! ხოლო ბევრისთვის მეფის სიკვდილი ომის დასასრულს ნიშნავდა. სულ წარეკვეთა სასოება ისედაც ძალადაშრეტილ ჯარს.

ქართული ცხენოსანი ლაშქარი შებრუნდა და გაიქცა. ამაოდ ცდილობდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი და ბაადურ ციციშვილი გაპოქცეულთა შეკავებას.

ისევ არ ჩანდნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი ადრე გაქცეულ სპარსელებზე მადევარი ჯარით. არა და, როგორ ეჭირვებოდა მათი მოსვლა ქართველობას!

ქართული დროშაც შექანდა ანაზდაითად. ეს – მედროშე ხერხეულიძე დაცემულიყო მკვდარი.

მისმა ძმამ აიტაცა დროშა. ისიც დაეცა განგმირული. მესამე ძმამ მიუსწრო და ისევ აღმართა დროშა საქართველოსი...

იბრძოდა თავშიშველი და სისხლში მოსვრილი გიორგი საკაძე. „იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“.

იბრძოდა მეფე თეიმურაზი, იბრძოდა ვითარცა შვენოდა გმირ ხელმწიფეს, სარდალს და მხედარს. „მას დღესა ბატონმა თეიმურაზ დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარა შემორჩომოდა რა და ბეჭდებიცა დაემტვრია“ მუშტის ძგერებით.

ისევ „დიდად მხნედ და ძლიერად ომობდნენ“ მანუჩარ ათაბაგი და „ყმანი მისნი“.

ტყვიით განგმირულნი დაეცნენ ეპისკოპოსნი – რუსთველი და ხარჭაშნელი.

დაეცა ბაადურ ციციშვილი, რომელმან თქვა სიტყვა უკვდავი და მარად სახსოვარი: „რა ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს!“

და წყდებოდა „გლეხიკაცი“, უკვე წყდებოდა მარაბდის ველზე მისი თანამემამულე „საჩეპურო ერისაგან“, თავადობისაგან ქვეითად დაგდებული და მიტოვებული.

კიდევ ზედიზედ დაცემულიყო სამი ხერხეულიძე, შორიდან ტყვიით დაცხრილულნი...

კიდევ სამი ძმა დარჩენილიყო ხერხეულიძის ნაშიერი.

ამიტომ ისევ ფრიალებდა ქართული დროშა.

უკანასკნელმა ცხენოსანმა ქართველმა თავადაზნაურობამ მიატოვა ბრძოლის ველი და კოჯრის მთას მიაშურა თავშესაფარებლად.

სულ მარტო დარჩა „წვრილი ერი“. მაინც იბრძოდა გლეხკაცობა, მარადიული სიმტკიცე და სინდისი საქართველოსი. იბრძოდა შეურცხვენელი, ღირსეული სიკვდილისათვის. „ალაგ-ალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიდამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს, ვისაც ხელი მიაწვდინეს, მოუკლავი არ გაუშვეს“...

მზე ჩაესვენა დაქანცული, ჯანდაშრეტილი.

მაინც ფრიალებდა ქართული დროშა უკანასკნელი ხერხეულიძის ხელით ზეაღმართული და სისხლდადენილ გლეხთა მცირე გუნდით შემოსალტული.

მეთოფეთა ათასეული შემოუსია ყოველის მხრიდან ყიზილბაშთა მთავარსარდალმა.

და დაიგრიალა ათასმა თოფმა.

და უკანასკნელმა ნამეხარ-ნახმევმა შეაზანზარა მარაბდის ზეცა.

და უკანასკნელი მამულიშვილნი დაენარცხნენ მარაბდის მიწას.

და უკანასკნელი ხერხეულიძის დალეწილ მკერდზე დაცემულიყო ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს მძლავრად მქროლავი „გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

ასე აღესრულა კიდევ ერთი სისხლიანი ზორვა ქართული მიწა-წყლის

საკურთხველზე. აღესრულა უგანაჩენო მარცხისა და უბადლო გმირობის აპოთეოზით.

ღამის წყვდიადში ჩაიძირა ადამიანის გვამებით დარეცილი საომარი თალპიონი.

მთელი ღამე გმინავდა მარაბდის ველი.

დილით ახალმა მზემ პირველმა აღითვალა ადამიანთა ურთიერთნამსხვერპლარი.

24 000 მკვდარი ესვენა მარაბდის ველზე – 14 000 ირანელი და 10 000 ქართველი.

მზის თვალმა საგულდაგულოდ მოითვალისა: ცხრა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი...

...გლოვისფერი კაბით მოსილი ქალი მიადგა უკანასკნელ მამულიშვილთა გვამების გროვას.

დაიჩოქა.

დაემხო.

დალეწილი მკერდი დაუკოცნა ხერხეულიძეს.

და ისევ აღმართა ცხრა ქართველი მამულიშვილის დედამ შვილის მკერდზე დაფენილი ქართული დროშა.

მარაბდიდან ბაზალეთამდე

ქვა არსად არის ქართლშია,
რომ ჩემი სისხლი არ სცხია.
გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე

ქართველებმა მარაბდის ველზე წაგება მაინც წაგებად არ ჩათვალეს და პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ისევ გიორგი საკაძე მოთავეობდა სამამულო ბრძოლებს. ათი დღე-ღამე აკავებდნენ ქართველი მეომრები კოჯრის წკარამებში შემოწოლილ ყიზილბაშობას. ამასობაში ქართლის მოსახლეობა სიმაგრეებსა და სახიზარებში აფარებდა თავს.

გათამამდა ტფილისის ციხეში ჩაკეტილი ციხიონი. შვიდასი ყიზილბაში გამოვიდა და სათარეშოდ შეესია ახლომახლო სოფლებს. ლისი აიკლეს საგანგებოდ, საკაძის სოფელი. სამოცი მეომრით მოიჭრა გიორგი საკაძე. მოიჭრა და შვიდასივე ყიზილბაშის თავის ისე დააგორა, არც ერთ საკუთარს განაკაწრიც არ მიუღია.

ისა-ხან ყორჩიბაშმა არაგვის ხეობისკენ სალაშქროდ 12 000 ყიზილბაში და ყაჯარი აარჩია და მეთაურებად სამი სარდალი უჩინა – შაპენდე-ხანი,

ყაზახ-ხან ჩერქეზი და ხოსრო-მირზა.

გიორგი სააკაძემ წიწამურის და ღართისკარის ხევები ჩახერგა, თავისი „პარტიზანები“ ჩააყენა და არაგვისკენ წამოსულ სპარსულ მხედრობას წინ გადაუდგა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ქართველებმა ათჯერ უმრავლესი მტერი ველარ შეიმაგრეს. გიორგიმ წეროვანისკენ დაიხია და სპარსთა მხედრობამ საარაგვოზე გააღწია. არაგვიდან ქსანზე გადადიოდნენ, მაგრამ სწორედ აქ, ქსნის ხეობაში, გიორგი სააკაძემ ყოველი მხრით გზები მოუჭრა სპარსულ მხედრობას. საშინელი ხოცვა-ჟლეტისგან ქსანი სავსებით „იქმნა ვითარცა სისხლი“. სააკაძემ ხუთი კონა ისარი შემოიხარჯა და მერე ხმლით დაერია სპარსელებს. ქართველებმა ტყვედ იგდეს და იქვე ასჩეხეს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი, სწორედ ის, ვინც ქართველთა მარცხით გადასწონა მარაბდის ბრძოლის სასწორი. ტყვედ აიყვანეს შირვანის ბეგლარბეგიც, ყაზახ-ხან ჩერქეზი. მხოლოდ ხოსრო-მირზამ, საარაკო სიმამაცისა და თავგანწირულობის წყალობით, შეძლო ქართველთა ალყა გაერღვია და გაეღწია ტფილისისაკენ მიმავალ გზაზე. გააღწია, მაგრამ თორმეტი ათასი სპარსელისაგან ერთი ასეულიც არ გაჰყოლია ცოცხალი.

ამრიგად, ქსანზე გამარჯვებით მარაბდის სისხლი გადაჭარბებით ამოიგეს ქართველებმა.

დიღი იყო შედეგნი 1625 წლისა. სრულიად სპარსეთის ლაშქარი იმჟამად 120 000 მეომარს მოითვლიდა და აქედან ნახევარი, 60 000 მეომარი, საქართველოში დაჰკარგა შაჰ აბასმა. თანაც, ეს „სპარსული ტრაგედია ქართულ სცენაზე“ ნახევარი წელიწადიც არ გაგრძელებულა. სპარსეთი დამარცხდა. საქართველო ისევ ქართველებს ეკუთვნოდა. შაჰ აბასი უკვე თეიმურაზთან შერიგების გზებს ეძებდა. წარმოგზავნა კიდეც ქართლ-კახეთის მეფესთან „სალაპარაკოდ“ დაუდ-ხან უნდილაძე. მაგრამ ქართველი მეფე და „გათათრებული“ ქართველი ბეგლარბეგი ფიც-ვერცხლით დაძმობილდნენ და თვითონ შაჰის წინააღმდეგ შეითქვნენ.

მაგრამ სანამ ეს შეთქმულება „თავის სიტყვას“ იტყოდა, ისევ მოთმენა, რომ ქართლზე სინამდვილეში შენ კი არა, სააკაძე მბრძანებლობსო, ვისაც მოისურვებს, შენს დაუკითხავად პატივს მიუგებს, მოისურვებს და ისევ თვისის ნებით უპატიურობაში ჩააგდებსო: თვითონ ტახტზე დაბრძანებული ჩვენ, თავადებს მანამ დასხდომის უფლებას არ გვაძლევს, სანამ თვითონ არ მოესურვებაო; თავადები სააკაძეს ძაღლებივით ქეშიკში (ყარაულში) ჯწვებიანო; ჩვენ რაც დაგვმართა – დაგვმართა, მაგრამ არც შენ გაგდებს რაიმედო; შენი მეფობაც აღარ მოსწონს და „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებაც იმიტომ მოისურვებია, ერთიან ტახტზე შენ კი არა, იმერელი უფლისწული უნდა დასვასო; ლუარსაბ მეფე ხომ ეოინელა, ძალე შენც გიმსხვერპლებსო...

უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს მეფე და მოურავი. და შერიგდნენ

კი არა, უფრო დაემტერნენ ერთმანეთს. და უკანასნელად ეს უთხრა გიორგიმ თეიმურაზს: „ღმერთმა იცის, შენ, კახეთის მეფეს ქართლი მოგეცა, ჩემი თავიც მოგიძღვენ და თავს შემოგავლე, მაგრამ რა ვქნა, რომ არც განდომეს და არც ინდომე ჩემი სიცოცხლე. რა გაეწყობა, – ეგზომ უმადურობისათვის მე გულში დანას არ დავიცემ!“

გათავდა.

ძმათაშორისი ომის შმორიანი სუნი ჩამოწვა საქართველოს ცისგვამში...

...მთავარი ახლა ის იყო, ვის მხარს დაიჭერდა თავადთაგან ყველაზე ძლიერი ზურაბ არაგვის ერისთავი.

და უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს „პირველი და მეორე გმირი“ – გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი. ყველაფერი ერთად გაახსენა გიორგიმ ზურაბს: მამაშენი, ნუგზარ ერისთავი, მუდამ ჩემი ერთგული და თავდადებული მოყვარე იყო, შენ ხომ ჩემი გაზრდილი და საყვარელი ცოლისძმა ხარ. თათრობის უმძიმესი წლებიც ერთად გაგვიტარებია, ყიზილბაშებიც ერთად შეგვიმუსრავს მარტყოფისა და მარაბდის მინდვრებზე. ჩვენი წუთისოფლის წილხვედრიც და ქვეყნის ჭირ-ვარამიც ერთად გაგვიტარებია და ახლა ისეთი რა მოხდა, რომ მე გადამიდექ და თეიმურაზს მიუდექიო?

მეფეს ვერ ვუღალატებ, ცივად უპასუხა ზურაბმა. მუხრანს გპირდება და იმიტომო – მიახალა გიორგიმ. შენ კი მუხრანის ბატონი წამომასკუპე თავზეო – შეაგება ზურაბმა.

გიორგი მიხვდა, რომ სამუდამოდ დაჰკარგვოდა ზურაბ ერისთავი. ცოლისძმას უკვე ალესილი ჰქონია ხმალი სიძის შესამუსრავად.

„კარგად დაიმახსოვრე, ზურაბ ერისთავო! მე რომ მომკლავენ, მაშინვე ჩემი მკვლელები შენ გწვდებიან ყელში და მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ, დუშეთსაც და სიცოცხლესაც!“ – თქვა და გაშორდა გიორგი სააკაძე არაგვის ერისთავს.

მაშინვე ელჩი აფრინა იმერეთს სააკაძემ და მეფე გიორგი მესამეს შეუთვალა: შენი შვილი ალექსანდრე „ქართლის საბატონოდ“ გაამზადე და სასწრაფოდ ჯარიც მომაშველე თეიმურაზთან საომრადო.

იმერეთის მეფემ საბოლოოდ ირწმუნა, რომ თეიმურაზის დამხობის წყალობით ქართლიც და კახეთიც მისი შვილის სამეფო საკუთრებად გადაიქცეოდა, რაიც თავისებურად „პირველი საფეხური“ იქნებოდა ქუთაისის ტახტის გარშემო „ყოველი საქართველოს“ გაერთიანების გზაზე. და მაშინვე გამოუგზავნა გიორგი მესამემ გიორგი სააკაძეს იერუსალიმქარი, **მამუკა ბოქაულთუხუცესის, ამირბარ აბაშიძისა და ხოსია მაჭავარიანის** სარდლობით.

სამცხიდან კიდევ მესხთა ჯარი ჩამოუვიდა სააკაძეს, **ღავით გოგორიშვილის** სარდლობით.

სანამ იმერლები და მესხები მოაღწევდნენ, მოურავმა მისი მომხრე ქართველი თავადები შემოიყარა: ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, ბასიანის ერისთავი და აზნაურობა...

...მაშ, თანამოძმეთა და თანასისხლიერთა ორი მტრული ბანაკი!

თეიმურაზ მეფისა – დუშეთს, ზურაბ ერისთავის სასახლესთან.

გიორგი სააკაძისა – მუხრანს, ქაიხოსრო მუხრან-ბატონის სასახლესთან.

შავი ღრუბლებით გატენილა საქართველოს ცისგვამი. წვიმს კოკსიპირულად. გზები ლაფით აივსო. მინდვრები დაიტბორა. მცირედ გადაიკარა თუ არა, გიორგი სააკაძემ ბანაკი აჰყარა და დუშეთისაკენ გაემართა. თეიმურაზმა „მტრის“ წამოსვლა შეიტყო, ლაშქარი დუშეთიდან გაიყვანა, ბაზალეთის ტბასთან დადგა და საომრად გაემზადა. სააკაძემაც შეამჩნია „მტრის“ მოძრაობა და თვითონაც ბაზალეთს მიაშურა. თითქოს ნაწვიმარი არ კმაროდა, კახელებმა ბაზალეთზე მისასვლელი გზები წყლით „დამატებით“ დატბორეს, იქნებ სააკაძე და მისი ლაშქარი შიგ დაეფლოს და უფრო იოლად გავუსწორდეთო. მაგრამ მოურავი იმ ადგილებს კარგად იცნობდა. „მტრის“ განზრახვაც ადვილად შეიცნო, დაგებულ მახეს გვერდი აუქცია, ბაზალეთის ტბას სხვა გზით მიადგა და „თეიმურაზელთა“ პირისპირ საომრად დაალაგა ლაშქარი.

ბ ა ზ ა ლ ე თ ი



მე ჩემი უბედურება
ღმერთმ დამაწერა ხმალზედა:
მოვკალი ჩემივე სისხლი,
ხმალი ვიხმარე ძმაზედა.
ხ ა ლ ხ უ რ ი

1626 წლის გვიანი შემოდგომა, ბაზალეთის ომი, სამგლოვიარო სამანი ქართული მატიანისა.

დგანან და გასცქერიან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების მოლოდინში, გარინდებულნი, ჯადოქმნილნი, სატანით „მხარდამშვენებულნი“.

თეიმურაზის ამალაში დუმილი დაარღვია **ე დ ი შ ა ვ ა ჩ ნ ა ძ ე მ**, ახალგაზრდა კახმა თავადმა: „ჩვენზე მეტი ჯარი ჰყოლია სააკაძეს – ტყის ტევრივით ჩამდგარან და შავ ზღვასავით ჩაგუბებულანო“.

ჰო, ბევრი არიანო, უგემურად თქვა თეიმურაზმა.

„არაფერია, მეფევ ბატონო, მადლობა ღმერთს, ჯერ არ მომხდარა, ყმას რომ პატრონზე გაემარჯვოს“, – ჩაილაპარაკა ზურაბ ერისთავმა...

...მძიმე, ლაფიანი გზები გამოევლო სააკაძეს და მის ჯარს. დაქანცული

იყვნენ, სახსარმოშლილნი. გიორგის უნდოდა როგორმე იმ დღეს ბრძოლას მორიდებოდა და ჯარი დაესვენებინა, მაგრამ იმერლებმა და სამცხელებმა მოითხოვეს – რაკი საომარ ველზე მოვსულვართ, ახლავე გაგვიყვანე ბრძოლაშიო.

ეტყობოდა, არც მოპირდაპირე ბანაკი აპირებდა ბრძოლის გადადებას...

მდუმარედ იდგა სააკაძე, ხმლის ვადაზე ხელჩამოსვენებული (ეს ხმალი ჯერ ქართველ კაცს არ მოხვედროდა!).

უცებ თითქოს რაღაც ახალი აზრი იაზრა, ინაშვილი მიიხმო, იდუმალ ელაპარაკა და „მტრის“ ბანაკში გაუშვა.

ინაშვილი თეიმურაზს ეახლა, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა: „მოურავმა გიორგი სააკაძემ გთხოვათ, ნება მომეცით პირადად გაახლოთ ჩემი თავი ბრძოლაშიო, ძალიან მინდა ჩემი სიბერიკაცე შენს სიყმაწვილესთან შერკინებაში გამოვცადოო“.

წამოიქაჩნენ ზურაბ ერისთავი და კახელი თავადები, მაგრამ ისევ ყველას დაასწრო თეიმურაზმა: „მოხარული ვარ ხმალდახმალ შევხვდე სახელოვან მოურავსა. ოღონდ მითხარით ბრძოლის ველზე შესაცნობი ნიშნეულობა!“.

„თვითონ დამაბარა მოურავმან: ლურჯა ცხენზე შევჯდებიო, შავ კურტაკს ჩავიცვამ და შავ მუზარადს დავიხურავო“, – მიუგო ინაშვილმა.

„კეთილი. მაშინ ჩემი ნიშნეულობაც ინებოს სააკაძემ: შავი ცხენი, თეთრი წამოსასხამი და თეთრი თავსარქმელი!“ – შესძახა მეფემ.

ინაშვილი სააკაძესთან დაბრუნდა.

ზურაბ ერისთავი მივარდა თეიმურაზს: არ არის საკადრისი, რომ მეფე თავის ყმას შეებასო; ისა სჯობია, თქვენს მაგივრად, თქვენი ნიშნეულობით სხვა ვინმე შეებრძოლოს მოურავსო.

„მე გავალ სააკაძესთან საბრძოლველად!“ – იყვირა ედიშა ვაჩნაძემ.

ყველამ შეუქო გაბედულება ჭაბუკ თავადს.

მეფის შავი ცხენი მოჰგვარეს ვაჩნაძეს, თეთრი წამოსასხამი წამოასხეს საომარ კურტაკზე. თეთრი თაჯი დაჰხურეს მუზარადზე.

გიორგი სააკაძეც მზად იყო, ლურჯა ცხენზე ამხედრებული, შავი საომარი კურტაკით და მუზარადით გამოწყობილი.

დავით გოგორიშვილი მოიხმო სააკაძემ და იმასაც თავისი ერთი ხელი საომარი აღჭურვილობა აასხა, თავის მარქაფ ცხენზე შესვა და უთხრა – ბრძოლაში ისე გახვალ, როგორც გიორგი სააკაძეო. თურმე ეს ყოფილა მოურავის განზრახვა: ბრძოლაში „ორი სააკაძე“ მიიღებს მონაწილეობასო; მე რომ თეიმურაზს შევებმები, „მეორე სააკაძე“ (გოგორიშვილი) დანარჩენებს დაერევაო; „მტერი“ ნამდვილ სააკაძედ მიიჩნევს, დაიბნევა, დაფრთხება და აირ-დაირევაო...

...ომი დაიწყო.

გაალმასებით ეკვეთნენ ერთურთს ერთი ცის ქვეშ შობილნი, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის რძენაწოვარნი, ერთ ემბაზში განათლულნი და ერთი დიდედას ხელით ჭიპმობანილნი.

„შესდექით, ძმანო უგუნურნო!“ – არ იქნა და არ გაისმა შეძახილი, არც ზეციდან, არც მიწიდან.

მხოლოდ ომის ღმერთი თახთახებდა ცის კამარაზე, სისხლის წყურვილით გახელებული.

გამხეცებით სჩეხდნენ ერთმანეთს ერთმანეთს ერთსისხლიერნი. ძმას ძმის მოკვლა უკეთ ეხერხება, ვინათგან ძმამან ძმისა უკეთ იცის, სად უნდა დაჰკრას, რომელ ადგილზე დანაკრავი უფრო იოლად აღმოახდენს სულს!...

...„სააკაძე!“ – იყივლა ედიშა ვაჩნაძემ და მიაშურა ლურჯა ცხენზე ამხედრებულ, შავი კურტაკით შემოსილ გოლიათ მხედარს.

„ბატონს თეიმურაზს ვახლავარ!“ – დაიქუხა სააკაძემ და თვითონაც გაექანა შავ ბედაურზე აღმჯდარი, თეთრად მოკაზმული მხედრისაკენ.

ერთმანეთს შეასკდნენ „შავი“ და „თეთრი“ რაინდები. შუბები შეალეწეს ერთურთს ფარებზე. წამსვე ხმლები ამოაგელეს.

მიხვდა სააკაძე, რომ მისი მოპირადპირე არ იყო მეფე.

დაასწრო ვაჩნაძემ და თავზე უხეთქნა ხეალი სააკაძეს. „მუზარადი გაუტეხა, მაგრამ გერში ვერ ააღებინა“.

ტკივილს აღარ დაუცადა გიორგიმ. ელვასავით მოიქნია ხმალი. თავვაპობილი და უსულოქმნილი დაენარცხა მიწას ედიშა ვაჩნაძე.

„ნეტავი იმ ყმასა, თავის პატრონს რომ ენაცვალოს“ – სინანულით ჩასძახა სააკაძემ მომაკვდავ ჭაბუკს და უმალვე რაღაც უცნობი, მანამდე განუცდელი სისუსტე იგრძნო გიორგიმ ეთელს სხეულში, სახსრები მოშლოდა და მოსხლეტოდა, რეტდასხმული თავი უსაშველოდ დამძიმებოდა, ბრძოლის ველი აიჭრა, ატორტმანდა მის თვალსარბიელში. თითქოს დედამიწაც დასხლტა და გაფრინდა ზეცად... ცხენმა გაიყვანა ბრძოლის ველიდან უგონო მხედარი. მიწამ დაითრია და ცხენიდან გადმოაგდო. ძლივს აიხსნა თავი გაღრეცილი მუზარადისგან. სიგრილემ დაჰკრა ცეცხლმოკიდებულ თავპირში. გონი მოუბრუნდა. ბრძოლის ველიც გასწორდა თვალსარბიელში. დედამიწამაც შეწყვიტა სრბოლა. ეს კი ველარ გაიხსენა, როგორ გამოაღწია საომარი წრეწირიდან. მხოლოდ ტკივილი გაიაზრა, მანამდე განუცდელი ტკივილი, ქართველი კაცის ხელით დანაკრავმა რომ დაურპინა თავის თხეიდან ფერხთა ქუსლებამდე. ძეხი ჰქონია მკლავში იმ ქართველ ჭაბუკს! პირველად მოხვდა ქართველის ხელით მოქნეული ხმალი. ვინ მოთვლის, რამდენი შეხვედრა ჰქონია სააკაძეს საომარ ველზე პირდაპირ ხმლის ჯვარედინით, მაგრამ არასდროს მისთვის ასე ძლიერად არავის არ შემოუკრავს, როგორც იმ ქართველმა შეეჰკრა. მაგრამ არც არასდროს თვითონ დაურტყამს ისე მძლავრად, როგორც იმ ქართველს დაარტყა...

ჭეშმარიტად: არავის ისე არ ემარჯვება ქართველი კაცის დამარცხება, როგორც ქართველ კაცს!...

ბრძოლის ველს გადაჰხედა.

დიდი საომარი ხელოვნებით ხოცავდნენ ქართველები ქართველებს.

წამოიწია მიწას მიკრულმა სააკაძემ, მაგრამ ისევ არ აუშვა მიწამ...

...ქართველები კი გაალმასებით ჟლეტდნენ ქართველებს.

გალომებული იბრძოდა „მეორე სააკაძე" – დავით გოგორიშვილი. ვისაც შემოჰკრა, ყველა სიცოცხლეს გაჰყარა და სიკვდილი ჩაუყენა. ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ნამდვილი სააკაძე იბრძოდა მისთვის ჩვეული შემმართებლობით და საომარი ხელოვნებით.

მიუხტა თეიმურაზ მეფე. შემოეგება გოგორიშვილი „სააკაძურად". ნავარდი დაჰკრეს და ცხენები დასხლიტეს. შუბგაწვართულნი დაეძგერნენ ერთმანეთს. ორივემ აისხლიტა ფარზე ნაძგერალი შუბი. მხოლოდ თეიმურაზი გადიზნიქა ზურგით უნაგირზე. წამსვე მოიჭრა **ს ა ა მ კ ო ბ ი ა ს ძ ე** და გვერდიდან დაატაკა ლახვარი გოგორიშვილს. ეს დარტყმაც აიცდინა მესხმა რაინდმა და საპასუხოდ გამართა შუბი. გაიქცა კობიასძე. გამოედევნა გოგორიშვილი.

„დამიდექ, მოურავო!" – უკანიდან მოესმა გოგორიშვილს. ეს ზურაბ ერისთავი იყო. შეპობრუნება ვეღარ მოასწრო მესხმა. შიშველ ბარძაყზე უხეთქა ხმალი ზურაბმა. ხმლიანი ხელი წამიერად დაკოდილი ბარძაყისაკენ გაექცა გოგორიშვილს. იმ წამსვე ხელმეორედ მოიქნია ხმალი არაგვის ერისთავმა. მისმა მეომრებმაც მოუსწრეს და ხელის გამოღება აღარ აცალეს, ისე აჰკუწეს გოგორიშვილი.

„სააკაძე მოჰკლეს?" – ბედისწერის ზარივით დაერისხა ბრძოლის ველს ეს ძახილი.

მუხლი და მკლავი მოეშალათ „სააკაძელებს".

მუხლი და მკლავი გაათკეცებით გაუმძლავრდათ „თეიმურაზელებს".

ბრძოლის ველი სავსებით დაიხელთავეს თეიმურაზმა და ზურაბ ერისთავმა. თავდავიწყებით ეტევებოდა მეფე „მტრებს" და „თავდავიწყებულმა" ვერ შენიშნა როგორ მოუხდა მარცხენა მხრიდან ქვიშხეთელი აბაშიძე. მოუხდა და აძგერა შუბი. მაინც გულიდან ფარით აისხლიტა მეფემ იარაღი, მაგრამ დანაკრავი მაინც უსისხლოდ არ მოსცარვია აბაშიძეს. შუბი მარცხენა მკლავში შეურჭო და შეატოვა მეფეს და თვითონაც წამსვე გაექცა სამაგიერო სისხლის დაქცევას.

ფიცხლავ შეუკრეს ჭრილობა მეფეს. ბრძოლიდან მაინც არ გაკიდა ბრძოლით გახელებული თეიმურაზი.

(ამ დღეს იყო იგი ყველაზე „დიდი გმირიც" და ყველაზე „დიდი სარდალიც")...

...ბრძოლა გათავდა, ბაზალეთის ბრძოლა, გლოვის სამანი ქართველი ხალხის ისტორიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლური ხდება სიტყვა „სისასტიკე“.

განადგურებული იყო სააკაძის ბანაკი.

ქართველთა ხელით დახოცილი ქართველებით დარეცილიყო ქართული მიწა.

ვინც დაიღუპა – დაიღუპა, მაგრამ ვინც ცოცხალი დარჩა – მეფე, თავადი, აზნაური, გლეხი თუ „სხვა რამ მდაბიო“ – დაუჭრელ-დაუკოდავი და სისხლდაუდენელი არავინ გადარჩენილა – არც დამარცხებულთაგან, არც გამარჯვებულთაგან.

თეიმურაზ მეფემ გაიმარჯვა და მოურავი სააკაძე დამარცხდაო. გაიძახოდნენ ბაზალეთის ცოდვისშვილები – ზოგი აღტაცებით, ზოგიც სინანულით – და არავინ ამბობდა, რომ დღეს დამარცხდა საქართველო!

სააკაძის მეომრებთან ერთად ბაზალეთის მიწაში დამიწდა დიადი მამულიშვილური განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღორძინებისა.

არა! – გარნისის ღალატიანი ბრძოლის შემდეგ საქართველო ასე სასტიკად არასოდეს დამარცებულა!...

...იმერელი ტყვეები მოჰგვარეს თეიმურაზს. ყველას თითო ყური აათალეთ და ისე გაუშვითო, ბრძანა მეფემ და ერთჯერ კიდევ შეირცხვინა თავი ესოდენ ულირსი ბრძანებით. რატომღაც ხოსია მაჭავარიანს ორივე ყურის მოჭრა გადაუწყვიტა თეიმურაზმა, – სულ მთლიანად ნუ მომაჭრით, ნახევარ-ნახევარი მაინც შემარჩინეთო, შეჰღაღადა ხოსიამ, – ორივე ძირში დაათალეთო, – ჟინიანად გაიმეორა მეფემ. – არ მეგონა, თუ ასეთი გულპილწი იყავიაო – შებღავლა უკვე უყურო მაჭავარიანმა.

გულპილწიო? იქნებ არ გაემტყუნებოდა ასეთი სიტყვის წამოძახილი დასახიჩრებულ კაციშვილს, მაგრამ არც ერთ სხვა ქართველს – არც „უყუროს“ და არც „ყურიანს“ – მსგავსი მაყვედრებელი სახელნართაული სიტყვა არ უკადრებია თეიმურაზისათვის უფრო **დ ი დ ი ბ ო რ ო - ტ ე ბ ი ს** გამო.

მან, საქართველოს მეფემ, იმ დღეს ხომ **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ა მ ა რ ცხ ა !**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსა და იმავე ადამიანს ფულში.
სხვადასხვა დემონი უზის.
ს ო ფ ო კ ლ ე

ბაზალეთის ცოდვიანი მიწიდან გიორგი სააკაძე და სიკვდილს გადარჩენილი მისი თანამებრძოლები სამცხეში გაიქცნენ. ახალციხეში თათბირად დასხდნენ და ძალიან მალე გადაწყვიტეს: თურქეთში უნდა გადახვეწილიყვნენ და ხონთქრის სამსახურში შესულიყვნენ, ხოლო შემდგომ...

შემდგომ, გიორგი სააკაძის აზრით, ხონთქრისაგან ოსმალურ ჯარს გამოითხოვდნენ და საქართველოს „დასახსნელად" გამოუძღვებოდნენ (!).

ის ზამთარი სამცხეში გაატარეს. სააკაძემ ოჯახი სამცხეს დატოვა. მხოლოდ ავთანდილი წაიყოლია, უფროსი ძე და განუყრელი თანამებრძოლი.

და, 1627 წლის გაზაფხულზე, ბაზალეთის ცოდვისშვილებმა თურქეთისაკენ გაქუსლეს.

თურქეთის სულთანმა, **მ უ რ ა დ მ ე ო თ ხ ე მ**, დიდის ზარ-ზეიმით მიიღო და დაიახლოვა ლეგენდარული ქართველი მხედართმთავარი. სამმართველად და „საზრდელად" ოსმალეთის ყველაზე დიდი ვილაიეთი მისცა ხონთქარმა გიორგის – იკონიის, ანუ ყარამანიის ვილაიეთი.

იმავე 1627 წლის ზაფხულში თურქებსა და სპარსელებს შორის ბრძოლა გაიმართა არზრუმისათვის. გიორგი სააკაძე ამ ბრძოლაში „მარჯვენა ხელად" ედგა თურქეთის დიდვეზირსა და სერასქერს, **ხ ა ლ ი ლ - ფ ა შ ა ს**. არზრუმი, **ხ ა ლ ი ლ - ფ ა შ ა ს** უნიჭობისა და სიმხდალის წყალობით, სპარსელებს დარჩათ, მაგრამ გიორგი სააკაძეს კი ისევ დიდი სახელი გაუვარდა ამ ბრძოლაში.

მომდევნო წლისთვის სულთანმა ხალილ-ფაშა გადააყენა და მის ნაცვლად დიდვეზირად და სერასქერად დანიშნა თავისი სიძე (დის ქმარი) **ხ უ ს რ ე ვ - ფ ა შ ა**, წარმომავლობით ბოსნიელი, ყრმობითვე გათურქებული, ფრიად შურიანი და სისხლისმოყვარე კაცი.

და დაიძრა ხუსრევ-ფაშა დიდის მხედრობით არზრუმისკენ. „მარჯვენა ხელად" იმასაც გიორგი სააკაძე ედგა. მიადგნენ არზრუმს და ოთხი თვის ალყის შემდეგ გამოსტაცეს ხელიდან სპარსელებს.

ბრძოლის მთავარი გმირები ისევ გიორგი სააკაძე და მისი ქართველები აღმოჩნდნენ და კიდევაც მოახსენეს მურად სულთანს: გურჯი მოურავი რომ არ ყოფილიყო, ხუსრევ-ფაშა არზრუმს ვერასოზით ვერ აიღებდაო.

იმავე 1628 წელს ხუსრევ-ფაშა და გიორგი სააკაძე არზრუმიდან

სამცხეს შემოიჭრნენ და აქაური ციხე-ქალაქებიდანაც განდევნეს სპარსული ციხიონები. აქაც „მშობლიურ მიწაზე“ მეომარმა გიორგი სააკაძემ სავსებით დაჩრდილა ოსმალეთის დიდვეზირი და მხედართ-უფროსი.

მალე ხუსრევ-ფაშა და მისი სახლეული მტრად გადაეკიდა გიორგი სააკაძეს. ამას გარდა, სააკაძის საბეგლარბეგოს, იკონია-ყარამანიის თურქი დიდკაცობაც შურითა და მძულვარებით ზომავდა ხვანჯებს სააკაძის სახელის შესალახავად და ხონთქრის თვალში დასამცირებლად. იკონიაში დატრიალებულ ყოველ ბნელსა და უწესო საქციელს ქართველებს აბრალებდნენ. ერთი მიზეზიც „ეშოვნა“ ხუსრევ-ფაშას გიორგი სააკაძის გასანადგურებლად: ვიღაც იტყობინებოდა, სააკაძე საქართველოში აპირებსო „გაპარვას“, ჯერ „დადიანის ქვეყანაში გაიქცევაო“ და იქიდან ქართლში გადააღწევსო...

ხუსრევ-ფაშა ამჯერად არ ტყუოდა: გიორგის მართლა ჰქონია გულს ამოჭრილი საქართველოში დაბრუნება.

და 1629 წლის 3 ოქტომბერს, ქალაქ ჰალაბში (ალეპო), ხუსრევ-ფაშას ბრძანებით, გიორგი სააკაძეს, მის შვილს ავთანდილს და კიდევ ორმოცდაათამდე ქართველს თავები დააყრევინეს...

...აღარ იყო ამ ქვეყნად გიორგი სააკაძე. აღსრულებულიყო გულით მუდამ წრფელი მამულიშვილი. მისი მამულიშვილური გულწრფელობა შეურყეველი იყო თუნდაც იმ თხუთმეტწლიანი „ორთათრიანობის“ (სპარსულ-ოსმალურ) ჟამსაბრუნავშიც. გულწრფელობა-მეთქი, რადგან სულ სხვა იყო მისი ცალკეული პოლიტიკური ცდომილებანი. უაღრესად კეთილშობილური და გრანდიოზული იყო მისი განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღზევებისა, მაგრამ ამდენადვე უმართებულო და უნიადაგო იყო ამ უკეთილშობილეს განზრახულობათა განხორციელების გზები და საშუალებები. მას ბავშვის სირწფელით სჯეროდა, რომ მისი სალოცავი საქართველოს გადარჩენა, გაერთიანება და გამძლავრება სწორედ ქართველი ხალხის მომტერე „უცხო ძალების“ საშუალებით შეიძლებოდა. სწორედ ამ „უბედურ წინააღმდეგობათა“ წყალობით იყო, რომ სააკაძის ბევრ თანამედროვეს (ზოგჯერ ჩვენს თანამედროვესაც), უცხოეთის გზებზე მისი „სამამულიშვილო ძიებანი“ სამშობლოს ღალატად და რენეგატობად ეჩვენებოდათ. ეჩვენებოდათ, ვინათგან დიდი მჭედელი მშობლიური ისტორიისა ხშირად საკუთარი სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიასაც სჭედდა თავგამოდებით.

აღსრულებულიყო ქართველი გმირი, რომლის აკვანს ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებელის აჩრდილები არწევდნენ. მისმა მხედრულმა შემმართებულობამ და სარდლურმა ნიჭიერებამ ააღორძინა, განადიდა და უმაღლესი რწმენით აღავსო ქართული სული. თუმცა მას

აკლდა გერშიანობა საკუთარ ხალხში „შინაგან ძალთა“ მიგნებისა და გამონახვისა, რაის უნარიც ისე ჭარბად გააჩნდათ დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს.

ვინ იცის, რამდენს შერჩა ქვეყნისა და ხალხის დაფარული თუ დაუფარავი ღალატი ხოლო სააკაძეს უნებლიეთ თუ რამე შეცდა, იმ ცდომილებამ ყველაზე მეტად თვითონ მას და მის სისხლიერ მონაგარს ავნო. ორი ვაჟკაცი უყოყმანოდ გასწირა და თვითონაც მთელი წუთისოფელი ჯვარზე ეკიდა სალოცავი საქართველოსთვის. რამდენ მოღალატეს ერგო პატივად ნაღალატევ მშობლიურ მიწაში განსვენება, ხოლო სააკაძის ტანჯულსა და წამებულ სხეულს არ იქნა და არ ეღირსა მისგანვე გაღმერთებულ ქართულ მიწაში დამიწება. არც ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილი ღირსებია საომარი თალპიონის სწორუპოვარ ხელოვანს.

აღსრულებულიყო პაატა სააკაძის მამა.

აღსრულებულიყო ღვიძლი შვილი უბოროტესი დრო-ჟამისა, მშვენიერი, სპეტაკი სულით, მაგრამ ავი დროის სახიჩარი დანაშრევებით და ზადიერებით.

მადლიერმა და დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა თან გააყოლა „დიდის“ სახელი – „დიდი მოურავი“ – ვითარცა დიდი ვახტანგი, დიდი დავითი, დიდი თამარი, დიდი გიორგი, დიდი ლუარსაბი, დიდი სვიმონი.

მისი ბობოქარი სახე საქართველოსა და წინა აზიის სისხლიანი ისტორიის ჩარჩოში გამორჩევით გამოიკვეთა და გაქვავდა.

ხოლო, თვითონ საქართველო ცხოვრებას განაგრძობდა – **უ - ს ა ა კ ა - ძ ე** - ოდ.

სააკაძის სიკვდილის შემდეგ

იმავე 1629 წლის იანვარში, გიორგი სააკაძის დაღუპვიდან შვიდი თვით ადრე, გარდაიცვალა შაჰ აბასი და ირანის ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი – **შ ა ჰ ს ე ფ ი.** ახალი შაჰის ტახტზე აყვანა, გარდაცვლილი „ლომი აბასის“ ანდერძით, განახორციელა მისმა უახლოესმა ხოსრო-მირზამ, ისფაჰანის ტარუღამ და სამეფო გვარდიის ყულარაღასმა. ეს მაჰმადიანი ქართველი მაშინდელი ირანის ფაქტიური გამგებელი შეიქნა. თვითონ ახალი შაჰი უმწეო საჭეთმპყრობელი გამოდგა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა „ნამდვილ მამას“, ხოსრო-მირზას მიანდო. ამიტომ გაიძახდნენ მაშინ: ირანის ყოველი საქმე ხოსრო-მირზას ეკითხებაო.

ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ბაზალეთის ტრაგედიისა და გიორგი სააკაძის განადგურების შემდგომ, სამი მთავარი მესვეური დარჩა – თეიმურაზი, სვიმონ-ხანი (იგივე მეფე სვიმონ მეორე) და ზურაბ ერისთავი. სამივეს ცალკეულად, საკუთრივ და განუყოფლად ეგულებოდათ აღმოსავლეთ საქართველო.

თეიმურაზ მეფე, იმჟამად „ყველაზე კანონიერი და აღიარებული“

ბაგრატიონი ხელმწიფე, მარტო კახეთს არ სჯერდებოდა და ახლა (გამორჩევით, „ყველაზე სახიფათო მეტოქის“ გიორგი სააკაძის მოსვლის შემდგომ) ქართლსაც თავისად მიიჩნევდა.

სვიმონ მეფე წარმომავლობით ბაგრატიონიც იყო და, რაც მთავარია, „სპარსეთის კაციც“. ამიტომ მას „ტფილისის ქვეყანასთან“ ერთად კახეთის შემოერთებაც „არ აწყენდა“.

ამ ორ ტახტს შორის ზურაბ ერისთავი იდგა, საქართველოს „მეორე გმირი“ (რასაკვირველია, სააკაძის შემდგომ), რომელმაც თავისი „წონით“ ორი დიდი ყველაზე სანიშანსვეტო ბრძოლის სასწორი „გადასწონა“ – მარტყოფისა და ბაზალეთისა. ზურაბს ქართლ-კახეთზე „განუყოფელი“ მბრძანებლობის „საკუთარი განაზრახი“ ჰქონდა. მან კარგად იცოდა, არც ერთ ტახტზე არაგვის ერისთავს, თუნდაც თეიმურაზ მეფის სიძეს (მას ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ასული ხორეშანი), არავინ დააბრძანებდა. ამიტომ ზურაბს „სწადდა, რათა იყოს თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე იყვნენ მავედრენი მისნი“. ორივე იყოს და ორივენი მე მემორჩილებოდესო, – ფიქრობდა ერისთავი და გულდინჯად „აწონასწორებდა“ ქართლ-კახეთის „სასწორს“ ჯანიან ხელში.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს ზურაბ ერისთავიც უნდა მიმხვდარიყო, რომ „ვერ ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“. მაინც ძლიერი თეიმურაზი უფრო აფიქრებდა ზურაბს, ვიდრე სუსტი სვიმონი. ამას ისიც დაერთო, რომ სამუხრანბატონო მამულები, რომლებიც თეიმურაზმა ბაზალეთის ბრძოლის წინ ზურაბს აღუთქვა, ახლა თავის შვილს, **დ ა ვ ი თ** (დათუნა) ბატონიშვილს მისცა. გიორგი სააკაძის სიტყვები გაახსენდა ზურაბ ერისთავს: მე რომ მომკლავენ, ჩემი მტრები მუხრანსაც ოხრად დაგირჩნენ და სიცოცხლესაცო. გაბოერკვა ზურაბ ერისთავი. და ერთბაშად საცნაური შეიქნა, რომ არაგვის მბრძანებელი ქართლ-კახეთის „სასწორს“ სვიმონ-ხანისკენ ჰხრიდა. ზურაბი ტფილისის ხშირი სტუმარი შეიქნა. სვიმონ მეფე ზურაბ ერისთავს უკვე „მამას“ ეძახდა. ზურაბ ერისთავის წყალობით ახლა მთელი ქართლი სვიმონ მეფეს ემორჩილებოდა. სულ აიწყვიტა არაგვის ერის იავმა, ჟამ-ჟამად ქართლის სოფელ-ქალაქებსაც გაესეოდა და ძარცვავდა და აწიოკებდა. ასე, „საომარი წესით“ აიღო და გაძარცვა გორი.

ერთ დღეს თეიმურაზის შემონათვალი მოუვიდა: მე ახლა ირანს მივდივარ და შაჰს ყოველივე დაწვრილებით უნდა მოვახსენო, რასაც ეგზომ კადნიერად სჩადიხარ საქართველოშიო. ეს რომ გაიგონა, ერთბაშად დაფრთხა და დადედლდა ხმალკვეთებაში სწორუპოვარი გმირი. მაშინვე თავისი კაცი გამოაკიდა სპარსეთისკენ მიმქროლავ თეიმურაზს – ნუ აჩქარდები, ნუ წახვალ, მოვრიგდეთ და შევრიგდეთო. წელში გაიმართა თეიმურაზი და მაშინვე შემოუთვალა ზურაბს: „სიძედ მყავხარ და შვილად მიმაჩნიხარ, როგორ არ იცი, რომ შეუგვანებელ-არს განწირვა სიძისაგან სიძამრისა?.. თუ არ დაიშლით, ბოლოს ვიხილოთ შენი და შენი სვიმონისა! ისე კი, მე შენთვის ივრის პირისა და თიანეთის მამულების მოცემა მინდოდაო“.

ამის მოსმენა და ზურაბი უკვე სვიმონ-ხანისაგან ერთბაშად თეიმურაზისკენ იყო პირმიქცეული. სულ მალე არაგვის ერისთავის „ბელ „გარდაოახვას“ მუხანათურად სისხლის დაქცევაც მოჰყვა. ზურაბმა სვიმონი სხვილის ციხეში მიიპატიჟა. ნადიმის შემდეგ მძინარე მეფეს მკვლელი შეუგზავნა და გულში ხანჯალი დააკვრევინა. თავი მოჰკვეთა და თეიმურაზს გაუგზავნა.

თეიმურაზი ამოდენა მსხვერპლს არ მოელოდა და მეტოქის მოკვეთილი თავი დაიტირა: „საცოდავო ხელმწიფეო, ცრემლები მახრჩობს და უდიდესი მწუხარება მეუფლება როცა ვხედავ შენს ესოდენ უბედურებას, – ვინც გიყვარდა იმან გიღალატა, და, ახლა აღარც ის მიხარია, შენგან დაობლებული ქართლის მფლობელი რომ შევიქნები!“

ეს ამბები 1630 წელს დატრიალდა – იმ წელს, რა წელსაც შაჰ სეფი ჯარს აგზავნიდა ბაღდადს, თურქთა შემოტევის უკუსაგდებად, სარდლად ხოსრო-მირზა დაეყენებია შაჰს – მისი „მამობილი“, ყულარაღასი და ტარუღა. სწორედ მაშინ მოუსწრო შათირმა საქართველოდან სვიმონ-ხანის მკვლელობის ამბით. სვიმონი ხომ ხოსრო-მირზას ძმისწული იყო და – მაგ სისხლს, ბაღდადიდან რომ მოვბრუნდები მაშინ მოვიკითხავო, – თქვა ხოსრომ, და შაჰმაც დასძინა: მანამდე ისიც გაირკვევა, რას აპირებს თეიმურაზიო.

თეიმურაზმა კი, ისევ ზურაბ ერისთავის წყალობით, ქართლი და კახეთი ერთ სამფლობელოდ გაიერთიანა. მხოლოდ ტფილისში იდგნენ სპარსელნი. მაგრამ თეიმურაზ „ორისავე ტახტის მჭერის“ და არაგვის ერისთავის „ერთგული პატრონყმობაც“, „მოყვრობაც“ და „მამაშვილობაც“ დიდი ცოდვის სისხლით გაჟღენთილ შლამზე იდგა. უკვე სისინებდნენ ენანი „ფოლადის დამადნობელნი“: ზურაბ ერისთავი ძალიან განდიდდაო, ზურაბ ერისთავი მეფეს მეფედ არ სცნობსო, ზურაბ ერისთავი „ვისაც უნებს მოჰკლავს, ვისაც უნებს განაძებსო“, ზურაბ ერისთავმა თავისი კეთილისმყოფელი სვიმონ მეფე მოჰკლა და იგი არ დაინდობს „უფრო დიდ მეფესაცო“. ზოგი იმასაც ჩასჩიჩინებდა თეიმურაზს: სპარსეთის შაჰი „მისი კაცის“, სვიმონ-ხანის სისხლს არ შეგვარჩენსო; შაჰმა რომ შეგვარჩინოს, სვიმონის ბიძა ხოსრო-მირზა მაინც არ გვაპატიებსო. მთელი ირანის საქმეები ახლა ხოსრო-მირზას ეკითხება და იმან რომ მოინდომოს, ძმისწულის სიკვდილის მომიზეზებით დიდ უბედურებას რასმე დაგვატეხსო. ამიტომ აღარ ეგვიანების: ზურაბ ერისთავი, ვითარცა სვიმონ-ხანის მკვლელი, უნდა მოიკლას და მისი თავი ირანში შაჰ სეფისა და ხოსრო-მირზას გაეგზავნოსო...

და თეიმურაზმა „სარწმუნო ადამიანები“ შემოიყარა...

და სიმამრმა სიძე საფურცლეს სანადიმოდ მიიწვია. მივიდა ზურაბიც გულდანდობილად. პირისპირ მიუსხდნენ სუფრას თეიმურაზი და ზურაბი. ზურაბს მარჯვნივ ბარამ საგინაშვილი ჩაუჯდა, მარცხნივ – ელუმ თოღუმიშვილი, ფშავის მოურავი.

პურობა ჩათავდა. ღვინობაც განესრულა, და ის იყო, ხილობას უნდა შესდგომოდნენ, რომ მეფემ, ერისთავისგან შეუმჩნევლად, ბარამ

საგინაშვილს ანიშნა. საგინაშვილი წამოდგა და სუფრიდან გადავიდა. გადასვლა და იწივლა ხმალმა – „ესეც შენა მოღალატევ, მკვლელო კახპის ნაშობო!“ – დააყოლა საგინაშვილმა. თავგაჩეხილი დაემხო სუფრას ზურაბ ერისთავი. სისხლმა იჭექა, სუფრა გადირბინა და მკერდზე დაეძგერა თეიმურაზს. წამოიჭრა თეიმურაზი. წამოიჭრა ზურაბ ერისთავიც. და იმ წამსვე ელუმ თოღუმიშვილმა შიგ მარცხენა ძუძუში შეუგდო სატევარი. ისევ დაენარცხა სუფრას ერისთავი მომაკვდავი ნადირის ზმუილით. კიდევ ათიოდე ხმალი და ხანჯალი შემოჰკრეს, მაგრამ იმ ორი პირვანდელის გარდა ყველა დანაკრავი შეუგრძნობლად უნდა დარჩენილიყო უკვე არყოფნის მორევში ჩათრეული სხეულისათვის. სისხლისა და ღვინის ნაზავ ტბორებში ეგდო ზურაბ ერისთავი. ღალატით აღსრულებულიყო მთელი მისი წუთისოფელი ღალატის წყურვილ-დაურწყულებელი კაციშვილი. აღარ იყო ზურაბ ერისთავი – ხან დიდი მამულიშვილი, ხან მამულის მაოხარი და სისხლმაქცევარი, ხან გულმხურვალე ერისკაცი, ხან რენეგატი ერისწყეული, ხან ზნემაღალი ზრდილი ვაჟკაცი, ხან უზნეო ლოთი და მრუში, „მეზობლის ქალთა“ საკინძის მოხარბე, გმირი მარტყოფისა და მარაბდისა, ცოდვისშვილი ბაზალეთისა.

თავი გააგდებინეთო, – ამოიხრიალა თეიმურაზმა და სისხლიან მკერდზე დაიკრიფა ათრთოლებული ხელები...

...ხოსრო-მირზა ახალი მობრუნებული იყო ბაღდადიდან, სადაც მას დაემარცხებინა და განედევნა თურქთა არმიები. და სწორედ მაშინ ჩამოუტანეს შაჰს საქართველოდან ზურაბ ერისთავის თავი. ორივეს ესიამოვნა – შაჰსაც და მის „მამიკოსაც“. ორივემ ერთად გადაწყვიტეს: ქართლი და კახეთი ორივე თეიმურაზს დარჩესო, ოღონდ ტფილისს არ ახლოს ხელი ქართველმა მეფემ. ასე დაადგინეს და თეიმურაზს საგანგებო რაყამი და ძვირფასი ხალათი გამოუგზავნეს.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თეიმურაზის გულის მოგება ისევ არ იყო იოლი საქმე. საქართველოდან ისევ ფრიად საშფოთარო ამბავი მიიღეს ირანის მესვეურებმა: კახეთში, ივრის ხეობაში, შეთქმულებმა და ადრე ფიც-ვერცხლით შეძმობილებულმა თეიმურაზ მეფემ და დაუდ-ხან უნდილაძემ „სტუმრად მიყვანილი“ შვიდასი ირანელი ამოაწყვეტინეს კახელებსო.

უფრო ადრე თეიმურაზ მეფე ევროპაში ეძებდა მოკავშირეებს, სპარსეთის სარევანშო აგრესიების უკუსაგდებად. 1626 წელს თეიმურაზმა რომის პაპთან ღა ესპანეთის მეფესთან გაგზავნა **ნ ი კ ი ფ ო რ ე ჩ ო ლ ო-ყ ა შ ვ ი ლ - ი რ უ ბ ა ქ ი ძ ე** (ევროპელები „ირბახს“ ეძახდნენ). დიდად განსწავლული საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი და პოლიტიკოსი, პოლიგლოტი, „ბრძენი ფილოსოფოსი და რიტორი“. მაგრამ რჩეულმა ელჩმა თავის მეუფეს, პაპის „მხურვალე ეპისტოლეს“ გარდა, ვერაფერი ჩამოუტანა სახელმწიფო ტალანტებით ღატაკი იმდროინდელი ევროპიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მხევლის ნაშობმა მეფემან საქმე ქმნა ბედაურისა“.

არჩილი

ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ეძარ-ჯვება, როგორც ქართველ კაცსო, – იყო მოარულ „შეგონებად“ სპარსეთში დიდი შაჰ აბასის დროიდან. იმავე შეგონებას უეჭველად კარგად იცნობდა შაჰ სეფიც, რომელსაც არ აკლდა ირანში ისეთი ქართველები, საქართველოში ლაშქრობას რომ „არ დაამადლიდნენ“. სწორედ „ამნაირი ქართველები“ სჭირდებოდა ახლა შაჰს „იმნაირი ქართველების“ წინააღმდეგ, როგორიც თეიმურაზ მეფე იყო. ბოლოს და ბოლოს, „ქართული სახელმწიფო სამართალიც“ ამას კარნახობდა ირანის შაჰს: ქართლის ტახტი თეიმურაზს „უკანონოდ უჭირავს“; ქართლისთვის იგი „მშობლიური მეფე“ კი არ არის, არამედ „აშკარა დამპყრობელი!“ კახელებიც ქართლელების „დამპყრობელნი“ არიან; ამას თვითონ კახელებიც არ ფიცავენ და ქართლელებს „ხმილით დაჭირულს“ ეძახიან! და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა ქართლს თავისი საკუთარი, „მშობ- ლიური“, „კანონიერი“ კაცი ჰყოლია.

ეს კაცი გახლავთ ხოსრო-მირზა, ქართულად ქაიხოსრო ბატონიშვილი, ქართლის ბაგრატიონთა პირდაპირი შტოის შთამომავალი: შვილი დავით (დაუდ-ხან) ბატონიშვილისა, ანუ მეფე დავით მეთერთმეტისა, შვილიშვილი დიდი ლუარსაბ პირველისა, ძმისშვილი დიდი სვიმონ პირველისა, ბიძაშვილი მეფე გიორგი მეათისა, ბიძა მეფე ლუარსაბ მეორისა.

აქამდე, შაჰის ტახტის გარდა, ყოველი სხვა უმაღლესი „ტახტი“ დაეპყრო ირანში ხოსრო-მირზას. მაგრამ ქართლის სამეფო ტახტ-გვირგვინის დაუფლების წყურვილი არასოდეს განელებია უკვე 67 წლის კაცს. იყო ნიჭიერი, იყო ჭკვიანი, იყო მამაცი, იყო „ხერხიან-ილათიანი“ და იყო ირანის შაჰის „უსაყვარლესი გურჯი“ და აღესრულა მისი მარადი სურვილი შაჰ სეფიმ ხოსრო-მირზას მისცა ქართლი. სიმამაცისა და გმირობისთვის დაარქვა სპარსული სიტყვიერების ყველაზე დიდი გმირის სახელი – **რ ო ს ტ ო მ**, ანუ **რ ო ს ტ ო მ - ხ ა ნ**. უწოდა „ვალი“ („მოადგილე“). ამიერიდან შაჰის ყოველ საქმიან და შინაურულ მიმოწერაში ასე გატარდება – „ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“. ხოლო ქართველებმა მას დაარქვეს **რ ო ს ტ ო მ მ ე ფ ე**. თვითონ იგი თავს უწოდებდა და ხელრთვად ურთავდა, ვითარცა – „მეფეთ-მეფე და პატრონი“ ქართლისა. საყურადღებოა ისიც, რომ შაჰ სეფიმ როსტომ-ხანს ქართლის გამგებლობასთან ერთად ძველი თანამდებობებიც დაუტოვა. ამიერიდან როსტომი ქართლის მეფეც იყო, ირანის ყულარაღასიც და ისპაჰანის ტარუღაც.

მაშ, 1632 წლიდან ქართლის მეფობა წაერთვა „უკანონო“ თეიმურაზს

და გადაეცა „კანონიერ“ როსტომ-ხანს, ანუ როსტომ მეფეს. ის კი არა და, თეიმურაზი, აქამდე „ორისავ ტახტის მჭერი“, გადაყენებულია კახეთის მეფობიდანაც და მის ნაცვლად კახეთის მმართველად დანიშნულია ირანელი მოხელე **ს ა ლ ი მ - ხ ა ნ ი.**

...შაჰ სეფიმ როსტომ-ხანს საქართველოში თანამედროვედ კიდევ ერთი როსტომი დაუნიშნეს. ეს იყო **რ ო ს ტ ო მ - ხ ა ნ ს ა ა კ ა ძ ე,** ირანის საომარ ძალთა მთავარსარდალი, ანუ ამირსპასალარი.

ეს როსტომი **ბ ე ჟ ა ნ ს ა ა კ ა ძ ი ს** შვილი იყო, ბეჟან საკაძე ადრე დაუდ-ხანს (ხოსრო-მირზას მამას) გაჰყოლია ერთგულ ახნაურად სპარსეთში. სპარსელები მას ყარა-ბეჟან-ბეგს ეძახდნენ საარაკო სიმამაცისათვის. მერე საქართველოშიც დაბრუნდა ბეჟანი თავის ოჯახით. მაგრამ საკაძეების მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა მოაკვლევინა იგი, ცოლ-შვილიც აუწიოკა და უკანვე სპარსეთს გადაჰხვეწა. დაობლებული 11 წლის როსტომი დიდმა შაჰ აბასმა აიყვანა პირად ღულამად. მალე დაწინაურდა და სახელი გაითქვა. ახლა, საქართველოში გამომგზავრების ჟამს, როსტომ-ხან საკაძე არის ირანის ჯარების ამირსპასალარი და თავრიზის ბეგლარბეგი. გადახდილი აქვს ბევრი ომი, მაგრამ მის მხედრულ გვირგვინთაგან გამორჩეულად ბრწყინავენ: გალაშქრება ვანის ციხეზე, ქურთების განადგურება, თურქთაგან ბაღდადის გამოხსნა, ომი ჰამადანს, ჰელეს ციხის აღება. ახლა კიდევ „ყველაზე დიდ სახელს“ საქართველოში ლაშქრობით გამოელის ჯერ ისევ ახალგაზრდა (43 წლის) პატივმოყვარე „გურჯი სპასალარი“.

...და აჰა, ქართველები მოუძღვიან საქართველოსკენ 130 000-იან სპარსულ მხედრობას – როსტომ-ხან ბაგრატიონი და როსტომ-ხან საკაძე.

თეიმურაზს დროზე შეეტყო ორი როსტომის გამოლაშქრების ამბავი, და დროზევე დაეგზავნა საომარი წვევა ქართლ-კახეთის ყველა კუთხეში. მაგრამ არავინ არ მოეშველა და მარტოდ დარჩენილი თეიმურაზი იძულებული გახდა ოჯახით ისევ იმერეთს გაქცეულიყო.

როსტომ მეფე მოვიდა გორს და იქიდან ყველას სამშვიდობო მიმართვა დაუგზავნა: ვინც ადგილზე ხართ, მშვიდად იყავით და თქვენი საქმე მშვიდად აკეთეთო, ვინც გაქცეულები ხართ, სამალავებიდან გამოდით, თქვენს კერას დაუბრუნდით და სრული უშიშროებით განაგრძეთ თქვენი ცხოვრებაო. ყველამ იცოდეს, მე ქართლის საპატრონოდ და მოსავლელად მოვედი და არა დასაპყრობად და დასამონებლადო. ჯარშიც ასეთი ბრძანება გასცა როსტომ-ხანმა – რომელი ჯარისკაციც ადგილობრივ მოსახლეს შეაწუხებს, იმ ჯარისკაცს უეჭველად მუცელზე გავფატრავო.

მალე დადასტურდა, როსტომ მეფის სიტყვა და საქმე ერთი იყო. მართლა, იგი ქართლის „გადასაშენებლად“ კი არა, „მოსაშენებლად“ ყოფილა მოსული. მალე ყველა თავადი და აზნაური მოვიდა ქართლის „ნამდვილ მეფესთან“, ფეხზე სამთხვევად. ერთმა, საკაძეების მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა ვერ გაბედა როსტომ მეფესთან გამოცხადება. ვერ გაბედა იმიტომ, რომ იქვე როსტომ-ხან საკაძე იდგა. სწორედ ის როსტომ-ხან საკაძე, რომელიც ფარსადან ციციშვილმა ყრმობის ასაკში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიობლა – მამა მოუკლა, ოჯახი დაუქცია და სამშობლოდან გააქცია.

თვითონ გაუძახა ლაშქარი საციციანოში როსტომ სააკაძემ, ფარსადან ციციშვილის სამფლობელო ააწიოკა, ააოხრა, გაძარცვა და მოსტყვევნა.

როცა ეს ამბავი როსტომ მეფემ შეიტყო, რისხვით აღივსო და როსტომ სააკაძეს შეუთვალა: ვინ მოგცა ნება, ასეთი რამ უჩემოდ გაგიბედავსო? საქართველო ისედაც აოხრებული არის და რაც გადარჩენილა, იმასაც შენ მიოხრებ და მიტიალებ, – მაშ, მე რიღას ბატონი და პატრონი ვყოფილვარო?!

როსტომ-ხან სააკაძემ არ მოუხარა თავის როსტომ მეფეს და საჩივარი გაგზავნა შაჰთან სპარსეთში. საჩივარი აფრინა მეფემაც. შაჰ სევიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ თავის „ერთგული მამიკოს“ მხარე დაიჭირა და როსტომ-ხან სააკაძე სასწრაფოდ საქართველოდან გაიწვია...

...მაშ, ქართლის ტახტზე ზის როსტომ მეფე (1632-1658). ზის და განაგებს ქართლს „ქართულად“: ქართული ენით და სიტყვიერებით, ქართული წესით და ადათით, ქართული მიწათსაკუთრებით და მიწათმეურნეობით, ქართული ხელოსნობით და ხელოვნებით, ქართული სულით და ქართული გულით. საქართველოს „სრული გათათრების“ განაზრახი აღეკვეთა სპარსეთის მესვეურებს. მათ საკმარისად უნდა მიეჩნიათ ყოველწლიური ხარკის აკრეფა, „მისართმეველის“ მირთმევა და ჯარის გაყვანა საქართველოდან.

მაგრამ საქმე ისედაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ როსტომ-ხანმა სპარსელობას პირწმინდად უღალატა და ქართველობას სულხორციანად დაუბრუნდა. საქმე ისაა, რომ იგი ქართულისა და სპარსულის „ნებაყოფლობით შერიგებასა“ და „შერწყმას“ ცდილობდა. რა ვუყოთ, რომ როსტომ მეფე ტფილისში სახელმწიფო საქმეებს ქართულ ენაზე აწარმოებდა (აკი თვით დიდი შაჰ აბასიც ძალიან ხშირად სპარსეთის სატახტოშიც ქართულად ლაპარაკობდა).

მაინც და მაინც როსტომის მმართველობით „ახალი ერა“ დადგა საქართველოს მატიანეში. მისი მოსვლიდან მთელი 112 წლის სიგრძეზე (1632-1744) ქართლის გამგებელნი მხოლოდ სპარსელი მოხელენი – „ხანები“, „ვალები“ თუ „ჯანიშინები“ იყვნენ, მართალია, ქართველები, მაგრამ მაინც სპარსეთის კარზე სპარსულად აღზრდილნი, გამაჰმადიანებულნი და „გარდასახულნი“.

საუკუნეზე უგრძესი დრო-ჟამი წარიმართა, ვითარცა უდიდესი გამოცდა ქართული კულტურის გამძლეობისა, ცხოველმყოფელობისა და უკვდავებისა. როსტომ-ხანისა და მისი მომდევნო „გურჯი-ხანების“ მმართველობის დროინდელ ქართულ და სპარსულ კულტურათა „შერწყმის პოლიტიკა“ ისევ და ისევ „ქართულ სისტემათა“ გამარჯვებით გათავდა. ქართულმა კულტურამ, ბუნებრივია, მაღალი ირანული სულიერი და ნივთიერი მემკვიდრეობიდან ბევრი რამ შეითვისა და გაითავისა, მაგრამ თავის მხრივაც მრავლად „ჩაასესხა“ და „ჩაასისხლხორცა“ სპარსულს ქართულმა.

შეწყდა სპარსულ-თათრული შემოსევები საქართველოში. ქართველ

კაცს საშუალება ეძლეოდა მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებოდა.

როსტომ მეფეზე მაინც დაბეჯითებით ამბობდნენ: იგი, ვითარცა ქართლის მეფე, ირანის ყულარაღასი და ისპაჰანის ტარუღა- „განუყოფლად“ განაგებს ქართლსაც და სპარსეთსაცო. ქართლში ქართული თანამდებობანი უკლებლივ და უცვლელად დატოვა, მაგრამ მათ გვერდით სპარსულიც შემოიღო, და სპარსეთიდან ჩამოყვანილ გამაჰმადიანებულ ქართველებს ჩამოურიგა. ოღონდ კი მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ და ყველას ერთნაირი სიუხვით სცემდა პატივს – დამხვედრ „სჯულიერ ქართველსაც“ და მომსვლელ „გადარჯულებულ გურჯსაც“. ქართული ცხოვრების გარეგნულსა და შინაგან სახეს ხელს არ ახლებდა, მაგრამ თვითონ სპარსეთიდან თანმოყოლილ „გურჯებთან“ ერთად სპარს-ქართველთაგან ბევრი ისევ ინარჩუნებდა ძველ ქართულ ღირსებებს: სპარსეთში გაჩვეული წესითა და ადათით ცხოვრობდა. „იყვნენ მხნენი, რჯულ-მტკიცენი, წრფელნი, ვერცხლის უყვარულნი“.

მაგრამ როსტომის მხელებელ თათართაგან და გათათრებულ ქართველთაგან „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა, ტყუვილი, ხორც-განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე მგოსანი“. „და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყვარეობა, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდნენ და რაყმით იშოვნიდნენ მამულებსა“.

ბევრი ქართველი, საეროც და სასულიეროც, აჰყვა ცდუნებას: ქონებას ეხარბებოდნენ, ქრთამს ღებულობდნენ, მოფენილზე ფეხმორთხმულნი უზომოდ ჭამდნენ და სვამდნენ, ცრუობდნენ, მრუშობდნენ, მთელი დღეები აბანოს ორთქლში ჩანთქმულნი ბაიათებს ჰკიოდნენ, თეძოების მრუში მიმოტანით როკავდნენ.

ბევრ ქართველს რვალის მკლავი დაუცომდა, მუცელი დაუზორზოხდა და თეძო დაუდედლდა.

როსტომ მეფე დანგრეულ ქრისტიანულ ეკლესიებს აღადგენდა. ახლებს აშენებდა, შესაწირავებით ამდიდრებდა, წირვა-ლოცვას ესწრებოდა და თვითონაც, სპარსელთაგან შეფარვით, ქრისტიანულად ლოცულობდა. ქრისტიან მოწესეებს ჯამაგირს უნიშნავდა, „თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდათ“. სათქმელად კმარა – მან „აღაშენა წმინდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა...“ აღადგინა დანგრეული გრემი, მისი სასახლე და მისი ტაძარი.

მაგრამ როსტომმა ისნის ქართული, მამაპაპური ციხე და სასახლე მიატოვა და საცხოვრებლად სიონ-ანჩისხატს შორის დასახლდა, მტკვრის პირას. აქ „აღაშენა სახლი ყიზილბაშური კეკლუცად და ტურფად ნაგები“. მღინარის გაღმა-გამოღმა ციხეებიც ააგო, ბაღებიც და მეჩეთებიც. მეტეხისა და ნარიყალას ციხეებს ახალი ზღუდეები შემოავლო და შიგ ყიზილბაშური ციხიონები ჩააშენა.

როსტომ მეფემ ფულის ყადრი იცოდა და ვაჭარ-ხელოსნობას ძალიან

აქეზებდა და მფარველობდა. გამორჩევით ტფილისელ და გორელ სომხებს ეხმარებოდა, ემზრუნველებოდა და ემეგობრებოდა. სომეხთა კათალიკოსი როსტომს სომეხთა მოამაგესა და მეგობარს უწოდებდა. საჭირო შემთხვევაში როსტომ მეფე მისებრ „ხერხიან და ილათიან სომხებს“ გაურჩებული ქართველი თავადების წინააღმდეგ კარგად იყენებდა...

შენდებოდა და მრავლდებოდა ქართული სოფელი. როსტომ მეფის დროს ქვემო ქართლში 61 დაცარიელებული სოფელი დასახლდა, ქართლ-კახეთში 12 გაუკაცრიელებული სოფელი აღორძინდა.

როსტომ მეფეს გაჰყავდა გზები, წყალსადენები, სარწყავი არხები, აგებდა ხიდებს, წისქვილებს, სავაჭრო ქარვასლებს, საფოსტო და სამიმოსვლო სადგურებსა და სასტუმროებს. ყველაზე დიდი, გუმბათიანი ხიდი მდინარე ხრამზე ააგო, განჯისკენ მიმავალ გზაზე. ხიდთან საგანგებოდ სოფელი დაასახლა და საფოსტო სადგური – „ქარავან-სარაიც“ ააგო, „რათა მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზად დახვდესო“, აქედან (1652 წლიდან) იწყებს „თავის ისტორიას“ სახელგანთქმული „გატეხილი ხიდი“...

...სპარსეთიდან ჩამოსულ როსტომ მეფეს არც ცოლი ჰყოლია და არც შვილი. და ჩამოსვლისთანავე, 67 წლის კაცმა ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალი, ქეთევანი, გორჯასპი აბაშიშვილის ასული. მაგრამ ქალმა დედოფლად ერთი თვეც ვერ მოათია, ისე გარდაიცვალა მოულოდნელად. გამწარდა როსტომი, ესოდენ გვიან გახსენებულზე რომ უმუხთლა ბედმა. ტახტის მემკვიდრე ეჩქარებოდა, რათა დროზე წამოსწეოდა მომავალი სისხლიერი შემცვლელი ესოდენ სანატრელი ქართული მეფობისა. და როსტომ მეფემ მეორედ იქორწინა. ამჯერად ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის **ლ ე ვ ა ნ დ ა დ ი ა ნ ი ს** და **მ ა რ ი ა მ ი**, ქალი ძალზე ლამაზი და განათლებული. ამ ქორწინებას პოლიტიკური სარჩულიც გააჩნდა: ოდიშის მთავარი და იმერეთის მეფე დანასისხლად იყვნენ გადამტერებულნი. თანაც როსტომის მეტოქე თეიმურაზი იმერეთის მეფეს აფარებდა თავს. ისე გამოდიოდა, რომ როსტომს და ლევან დადიანს საერთო მტრები ჰყოლიათ, ამიტომ საჭირო იყო „გაერთიანებული მტრების“ საპირისპიროდ თვითონაც გაერთიანებულიყვნენ როსტომი და ლევანი. ასედაც მოხდა – კიდევაც შეკავშირდნენ, კიდევაც დამოყვრდნენ.

1634 წელს თეიმურაზ მეფე უეცრად გადმოვიდა იმერეთიდან კახეთს, კახელები აიყოლია და შეუტია შაჰისგან აქ გამოგზავნილ სალიმ-ხანს. სალიმ-ხანმა ძლივს გაასწრო „ფეხშიშველამან“, ხოლო მისი ყიზილბაშური ჯარი ერთიანად ამოწყვიტეს კახელებმა. ისევ „იწყო კახეთმან შენობად მოსახლეობად“. მაგრამ თეიმურაზმა იცოდა, რომ ირანის შაჰი და როსტომ მეფე კახეთის წართმევას ასე იოლად ვერ მოინელებდნენ. ამიტომ ისევ დაიწყო დიდი მოკავშირის ძებნა თეიმურაზმა. ეს „დიდი მოკავშირე“ ისევ რუსეთი უნდა ყოფილიყო.

ქართველთა მეფე რუსთა ხელმწიფეს **მ ი ხ ე ი ლ რ ო მ ა ნ ო ვ ს** ერთხელ კიდევ აწყობინებდა საქართველოს გასაჭირს. აწყობინებდა,

რომ სამის მხრიდან ისევ განუწყვეტლივ ესხმიან თავს საქართველოს სპარსელები, თურქები და ლეკები, იქნებ როგორმე ბოლოს და ბოლოს მოეშველოს დიდი რუსეთი ჯარით და ფულით მის „მოძმე საქრისტიანოს“. მაინც არაფერი გამოვიდა. მხოლოდ 20 000 მარჩილი გამოუგზავნა მიხეილ რომანოვმა თეიმურაზს; თან სპარსეთის შაჰთან შუამდგომლობასაც შეპირდა.

როსტომ მეფემ კი დიდძალი ჯარი შეჰყარა და დაიძრა თეიმურაზთან საომრად. თეიმურაზმა შერიგება სთხოვა მეტოქეს. როსტომი დათანხმდა. შაჰიც შეურიგდა კახეთის ტახტზე თეიმურაზის აღდგენას. ეს დიდ გამარჯვებად უნდა ჩათვლილიყო, ჯერ – ამოწყვეტილი კახელი ხალხისთვის, მერე – მათი დაქანცული ხელმწიფისათვის. ირანმა ისევ სცნო კახეთის დამოუკიდებლობაც და მარად „რჯულშეუცვლელი“ თეიმურაზის „დამოუკიდებელი მეფობაც“.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თვითონ თეიმურაზი არ სცნობდა არც როსტომსა და არც სპარსეთის შაჰის მბრძანებლობას საქართველოში. 1642 წელს შაჰ სეფი მოკვდა და ირანის ტახტზე ავიდა მისი ძე **შაჰ-აბას მეორე**. ამავე წელს თეიმურაზმა ომი აუტეხა როსტომ მეფეს. მაგრამ ისევ დამარცხდა და კვლავ შერიგება ითხოვა. ისევ დათმო როსტომმა. ისევ დარჩა კახეთის ტახტზე თეიმურაზი.

1648 წელს ისევ შეიბნენ როსტომი და თეიმურაზი. ისევ გაიმარჯვა როსტომმა. თანაც, ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზის ერთადერთი ვაჟი **დავით (დათუნა) უფლისწული**. განადგურებული თეიმურაზი ისევ იმერეთს გადაიხვეწა.

მაინც არ აიღო ხელი ბრძოლაზე თეიმურაზმა. ისევ რუსეთის დახმარების მოიმედე და მოსწრაფე იყო. შეუჩნდა იგი ალექსანდრე იმერთა მეფეს და დაიყოლია, სასწრაფოდ ელჩები გაეგზავნათ მოსკოვში და დახმარება ეთხოვათ რუსთა ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვისათვის. და 1649 წელს მოსკოვში ჩავიდნენ ქართველ მეფეთა ელჩები – თავადი **ივანე გრიგოლაშვილი**, არქიმანდრიტი **პაზომი**, მღვდელი **დავითი** და ბერი **ვასილი**. იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფეს „მფარველობაში აყვანას“ სთხოვდა. თეიმურაზი **ალექსი რომანოვს** 20 000 რუს ჯარისკაცს სთხოვდა დამხმარე ძალად. 1650 წელს ქართველი ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ საჩუქრებით, ტკბილი სიტყვებითა და სამომავლო დაპირებებით დატვირთულნი. მათ რუსი ელჩებიც ჩამოყვნენ, **ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლიევი**. 1651 წლის ოქტომბერს იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამემ და მისმა დარბაზმა, რუსხელმწიფის მოთხოვნის თანახმად, ხელი მოაწერეს რუსეთის მეფის „ერთგულების წიგნს“. ხოლო, თეიმურაზისგან რუსები, მისთვის „დახმარების“ გაღებამდე, მოითხოვდნენ ერთ-ერთი ქართველი უფლისწულის რუსეთის სასახლის კარზე გაგზავნას. ლაპარაკი იყო თეიმურაზის შვილიშვილზე – **ნიკოლოზ (ერეკლე)** დავითის ძე ბატონიშვილზე. თეიმურაზი თავის მხრივ ამას ამბობდა – ნიკოლოზს იმ შემთხვევაში გავგზავნი, თუ რუსთხელმწიფე ცოლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დას შერთავსო. ტოლოჩანოვს და იევლიეთს კი ასეთი თანხმობის რწმუნება თავისი მეუფისაგან არა ჰქონიათ. ამიტომ შეთანხმება იმჯერად არ შედგა და თეიმურაზს ისევ უნდა ეთმინა. მაგრამ ბოლოს, მოთმინებაც რომ დაელია, 1652 წელს მან აღასრულა რუსეთის ხელმწიფის მოთხოვნა და მოსკოვს „ასაყვანად" და „აღსაზრდელად" გაგზავნა ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე.

რომანოვების სასახლეში ქართველი ბატონიშვილი, „ცარევიჩ ნიკალაი", უაღრესად შინაური და უახლოესი ადამიანი შეიქნა.

1658 წელს თვითონ ეწვია მოსკოვს თეიმურაზ მეფე. იგი დიდის პატივით მიიღო ალექსი რომანოვმა. მაგრამ, პოლონეთთან და შვეციასთან ომის მომიზეზებით, ქართველ მეფეს დახმარებაზე უარი უთხრეს და ისიც ისევ „სამომავლო იმედის" ამარად უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში. სამგზავროდ ექვსი ათასი ფულად და ათასი მანეთის ღირებული სიასამურები გამოატანეს. ეს უნდა ეკმარა „ჯერჯერობით". რა გაეწყობოდა! ისევ უნდა „შერიგებოდა ბედს!" ისევ უნდა ეცადა და ეთმინა ჭაში ჩავარდნილი კაცის მოთმინებით. შვილიშვილს შეხვდა უკანასკნელად თეიმურაზი, ნიკოლოზ ბატონიშვილს; აქაურ „ფიცხელ სასმელს" ნუ მიეძალები, დაარიგა, გამოეთხოვა და წამოვიდა. მოდიოდა და მაინც უხაროდა, რომ ტანზე რუსული სიასამური ემოსა და არა სპარსული ხალათი.

ასტრახანს რომ მოაღწიეს, საშინელი ამბავი დაახვედრეს: იმერეთს მომკვდარიყო მისი შვილიშვილი ლუარსაბი. ჩამოვიდა და მეუღლე-დედოფალიც მიცვალებული და დაკრძალული დახვდა. უკვე აღარავინ აღარ დარჩენოდა მხცოვან ხელმწიფეს მოსკოვს მყოფი ნიკოლოზ-ერეკლე ბატონიშვილის გარდა.

...მაგრამ მთავარი მეტოქე, ვისი ბრალითაც თეიმურაზ მეფე ამდენს ეწამა, ეთრია და ეთავცეპა, რუსეთიდან მობრუნებულს ცოცხალი აღარ დახვედრია: მომკვდარიყო როსტომ მეფე...

...როსტომს საკუთარი შვილი არ გაუჩნდა და ტახტის მემკვიდრე სამჯერ იშვილა, მაგრამ სამი შვილობილიდანაც არც ერთი არ შერჩა. მეოთხედ სცადა, მაგრამ „მეოთხე შვილობილიც" მანამ მოკვდა, სანამ მისი მემკვიდრეობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა. მაინც არ დადგა როსტომ მეფე და მეხუთედ სცადა ბედი. ამჯერად ბაგრატიონების მუხრანულ შტოს მიადგა „მემკვიდრის უჟმურით" ატანილი ბებერი ხელმწიფე. ეს ახალი სამემკვიდრო კაცი იყო **ვ ა ხ ტ ა ნ გ მ უ ხ - რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ი**, მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრანბატონის ძე, გიორგი საკაძის შვილიშვილი დედის ხაზით.

ძალიან „უყვარდა როსტომ მეფეს" ვახტანგ მუხრან-ბატონი, რომელიც ყოველთვის „იყო საქმის ხელ-გამომავალი, მხნე, ახოვანი და გამარჯვებული". თეიმურაზ მეფესთან ბრძოლაშიც პირველი უდგა მხარში ვახტანგი ქართლის მეფეს. და აი, უკვე მეხუთედ, შვილად, ანუ მემკვიდრედ, ანუ „ჯანიშინად" (მოადგილედ) როსტომ მეფემ აირჩია ვახტანგ მუხრან-ბატონი და დასამტკიცებლად გაგზავნა ირანს. შაჰ აბას მეორის

კარზე ვახტანგი მისვლისთანავე „დიდად მიიჩნიეს“ და „დიდი პატივიც“ მიაგეს. მთავარი მაინც ის იყო: მაშინვე „შეუკვეთეს სჯული მაჰმადისა“ ბევრი იუარა ვახტანგმა, მაგრამ ბოლოს, რაკი სხვა „არღარა ღონე ჰქონდა“, ისიც „გათათრდა“. შაჰმა ქართლის მომავალი მეფე დაამტკიცა, ახალი სახელი – **შ ა ჰ - ნ ა ვ ა ზ** დაარქვა, კვლავ მრავალი „წყალობა უყო, მრავალი მოსცა“ და ასე გამოისტუმრა საქართველოში...

და იდგა 1658 წელი.

და მომკვდარიყო ბატონიშვილი ქაიხოსრო დავითის ძე, ანუ ხოსრო-მირზა, ანუ როსტომ მეფე, ანუ როსტომ-ხანი. სისხლით „წმინდა ქართველი“ – მამით ბაგრატიონი, დედით ქართველი გლეხი; რჯულით მაჰმადიანი, სულით გახლეჩილი „ქართველ-თათარი“. მამაცი მხედარი, დიდი სარდალი და პოლიტიკური თავკაცი; ავი დრო-ჟამის ჭკვიანი და მკლავღონიერი ეტლისმწაფელი; დიდი გიორგი სააკაძის აღზრდილი, მისი წყალობით ამაღლებული და აღზევებული; მთელი ნახევარი საუკუნის სიგრძეზე სპარსეთის ტახტ-გვირგვინის „პატრონთა-პატრონი“, დიდი მხედრული „სახელები“ ჭაბუკობიდანვე მოსდევდა, თუმცა დიდი სახელმწიფოებრივი „სახელები“ ყოველთვის ასაკმორეულს ეწვეოდა ხოლმე: ისპაჰანის ტარუღა შეიქნა 53 წლისა, ირანის ყულარაღასი – 60 წლისა, საქართველოს მეფე – 67 წლისა. მაგრამ მაინც მისი ჩაკირული სხეული და უძვრელ-უშფოთვარი გული საკაციშვილო წუთისოფლის სათავდაღმართო „მეორე ნახევარს“ ჭაბუკური აღმავლობის წლებად აქცევდა. სიბერე მისთვის თითქოს ზრდა იყო, დავაჟკაცება და არა მიხრწნილება. ამიტომაც მისი ტარუღობა გაგრძელდა 40 წელი, ყულარაღასობა – 33 წელი, მეფობა – 26 წელი.

და აღესრულა შობითგან 93 წლისა.

ორდღიანი „ქართული ტირილის“ შემდგომ სპარსეთს წაასვენეს და დაკრძალეს „წმინდა ქალაქ ყუმში“, დიდი შაჰ აბასის გვერდით.

ბახტრიონული

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ შევიბრალოთ რისადა?“
ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა

სანამ ვახტანგ მუხრანბატონს როსტომ მეფე მემკვიდრედ აიყვანდა, მანამ **ზ ა ა ლ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი** და **ე ლ ი ზ ბ ა რ ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი** როსტომთან ერთად „ერთ ბანაკში“ იყვნენ, მაგრამ მუხრანბატონის მომავალი მეფობა ერისთავებმა იუკადრისეს და მაშინვე მას მტრად გადაეკიდნენ. ვახტანგმა ერისთავებთან ზავის ჩამოგდება სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, როსტომი მოკვდა. ვახტანგი გამეფდა. მაგრამ ზაალ ერისთავმა ქედი მაინც არ მოიხარა. იგი „უკუნ იქცა დუშეთს და ალარა ინება მონება ვახტანგისა“. ვახტანგმა „დრომდე“

გადასდო გაურჩებულ ფეოდალებთან ანგარიშსწორება.

ასე იწყებდა მეფობას **ვახტანგ მეხუთე, შაჰნაზი ვაზი** (1658-1675) – პირველი მეფე ბაგრატიონი „მუხრანული შტოისა"...

... როსტომ მეფისგან აღორძინებული, კერაგამთბარი ქართლი ახალი მეფის მმართველობის დასაწყისს კიდევ მეტი იმედისა და სამომავლო რწმენის თვალით ხედავდა. მაგრამ ამდენადვე სახიფათო, სავაგლახო და სავაებო მდგომარეობაში ჩავარდნილიყო კახეთი.

როსტომის დროიდან კახეთი ზაალ არაგვის ერისთავს ჰქონდა სამმართველოდ მინდობილი, მაგრამ ზაალ ერისთავი თავს იტყუებდა: სინამდვილეში კახეთს სპარსეთის მოხელე სელიმ-ხანი დასცხრომოდა თავს.

სელიმ-ხანს კი ირანის შაჰისგან დიდი ამოცანა ჰქონდა დაკისრებული.

კახეთის მოსახლეობის გაუტეხლობამ და მისი მეფის თეიმურაზის ცხოველმა „რუსულმა პოლიტიკამ" ირანის სასახლის კარზე ისევ ააღორძინა დიდი შაჰ აბასის უბოროტესი განაზრახი – კახეთიდან კახელთა აყრა და მათ ნაცვლად მომთაბარე ელებისა და თურქმანების ჩასახლება. და ამ განაზრახის აღსრულება ახლა სწორედ სელიმ-ხანს ჰქონდა დაკისრებული.

პირველ ჯერზე ერთბაშად 15000 მრავალსულიანი თურქმანული ოჯახები უნდა ჩაესახლებინათ შიდა და გარე კახეთის მადლიან მიწებზე. უნდა ჩაესახლებინათ და როგორმე ეს ქოჩად მღოღავნი მიწაზე დაემაგრებინათ, ხვნა-თესვა, შენება და მკვიდრი ცხოვრება შეეთვისებინათ.

ელნი-თურქმანნი ყიშლაღ-იალაღურ ცხოვრებას მისდევდნენ და ქინქლასავით მრავლდებოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სულ მალე მთელი კახეთი ამნაირი „ქინქლებით" გატენილიყო, მაღალკულტურული ქართული მიწათმომეურნეობა დაქცეულიყო და ყიშლაღური ქოჩადმავლობით კახეთის დოვლათიანი მიწები სავსებით გაბერწებულიყო.

ასედაც დაიწყო. სელიმხანმა ორ წელიწადში აზერბაიჯანიდან კახეთს თურქთანთა ურდოები კალიასავით შემოუსია და ტანში ტკიპასავით ჩაუჭედა.

იდროვეს ლეკებმა და კახეთის სოფლებზე აბრაგული შემოსევები გააჩაღეს. სელიმ-ხანი ლეკთა ყაჩაღობას თითქოს ვერა ხედავდა და კახეთის „თურქმანიზაციას" გულდანდობილად განაგრძობდა.

სპარსეთის ხელმწიფემ, შაჰ აბას მეორემ, ეს საკმარისად არ მიიჩნია და თურქმანული კოლონიზაციის უფრო გაფართოებისათვის კახეთში საგანგებოდ გამოგზავნა ირანის მაშინდელი ყულარაღასი და სპასალარი **ალავერდი-ხანი.**

ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააშენა – ბახტრიონს, ალავერდს და ყარაღაჯს. საამისოდ ირანიდან ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებლები და ფულიც კი გამოგზავნეს. სამივე ციხეში ძლიერი ყიზილბაშური ციხიონები ჩააყენა ალავერდი-ხანმა. ამ სამ ციხეს უნდა დაეცვა ყიზილბაშობა და თურქმანობა კახელი შურისმგებელი გუნდების თავდასხმებისაგან.

ბახტრიონის დიდი ციხის (სიგრძით ას მეტრზე მეტი) მშენებლობა რომ დაამთავრეს, სელიმ-ხანს კახეთი ჩამოართვეს და ორად გაჰყვეს: მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთუზ-ყული-ხანს ჩააბარეს, ხოლო დანარჩენი კახეთი – ნახიჭევნის ბეგლარბეგს ალი-ყული-ხან ქენ-გერლუს. ორივე ბეგლარბეგს შაჰისაგან საგანგებოდ ებრძანათ კახეთის მიწებზე თურქმანთა ჩასახლება-გავრცელების დაჩქარება და გაფართოება.

კახეთის ბარში ერთბაშად 80000 ელი-თურქმანი ჩაასახლეს.

ბარი იღუპებოდა და მისი პურისა და ღვინის შემყურე მთიელობაც დაქცევისა და დამეხვის უფსკრულს მისდგომოდა.

ველური ელი-თურქმანნი ყრუ გულცივობით ჩეხავდნენ ქართველთა ხელით ნახარებ და ნალოლიავებ ვენახებსა და ბაღებს და საიალაღო საძოვრებად აქცევდნენ კულტურულ მიწა-სავარგულებს.

სწორედ ამ უბოროტეს ჟამს დაიბადა ეს უბედური, მწარე სიმღერა:

ბახტრიონს ხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო!..

... კახეთის მთა და ბარი საომრად იჭურვებოდა.

დაჰქროდნენ შურისმგებლური სახალხო რაზმები ხან აქ და ხან იქ ყიზილბაშთა და თურქმანთა ზარსაცემად და სისხლის საქცევად. ხალხის წიაღში შობილნი შექმნილიყვნენ მშობელი ხალხისვე ბელადნი – ლეგენდარული თუში **ზ ა ზ ა გ ა ფ რ ი ნ დ ა უ ლ ი** და ხევსური **ნ ა დ ი რ ა ხ ო შ ა რ ე უ ლ ი,** ფშაველნი – **გ უ რ გ ე ნ ჭ ი ნ - ჭ ა რ ა უ ლ ი, გ ო გ ო ლ ა უ რ ი** და ძმანი **გ უ ლ უ ხ ი ძ ე - ნ ი,** ალვანელი **ფ უ ნ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი,** თუშები – **შ ვ ე ლ ა ი ძ ე** და **ს ა ღ ი რ ი შ ვ ი ლ ი.**

აჯანყება დღედღეზე უნდა დაწყებულიყო. მეთაურები იყვნენ - **ბ ი - ძ ი ნ ა ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, შ ა ლ ვ ა** და **ე ლ ი ზ ბ ა რ** ქსნის ერისთავნი და ეპისკოპოსი **ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი.** სათათბიროდ შეიყარნენ ზაალ არაგვის ერისთავის კარზე, დუშეთში. ზეზვა გაფრინდაულიც მოიწვიეს („შემოიფიცნეს მთის კაცნი თუშნი“) და მტკიცედ გადაწყვიტეს აჯანყება „უსჯულო თათართა“ ამოსაწყვეტად და კახეთის გასათავისუფლებლად. საომარი განაზრახიც განსაზღვრეს და გაითვალეს. საპაემნო ადგილებიც დაიგულეს, საიდუმლო ნიშნებიც დაინიშნეს და გულს დაიდუმეს, ერმანეთს შეჰფიცეს. იარაღი „მოივარგეს“ და გაუჩინარდნენ.

ზაალ ერისთავი თვითონ არ წასულა ბრძოლაში (ვითომ არც რაიმე იცოდა ამ ბრძოლისა). სამაგიეროდ თავისი ძე ზურაბი გაგზავნა არაგველთა ჯარით.

... საომარი განაზრახი იყო მარტივი, გაბედული და გამანადგურებელი: ნაშუაღამევს, ერთდროულად და ანაზდეულად, უნდა დასცემოდნენ თათართა მთავარ ბუდეებს, ბახტრიონსა და ალავერდს. და ორ ნაკადად

დაიძრა ქართველთა ლაშქარი – კახელები ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდისკენ მიისწრაფიან; ქსნისა და არაგვის ჯარები შალვას, ელიზბარისა და ზურაბის მეთაურობით თიანეთს გადაივლიან, ახმეტას ჩავლენ და ბახტრიონს მიადგებიან. ბახტრიონისკენ მიუძღვის ზეზვა გაფრინდაულიც უკუღმა დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულ მთიელთა ლაშქარს...

1659 წელი (დღე უცნობი). ნაშუაღამევი. ბახტრიონი.

მოიერიშე რაზმს მიუძღვის ზეზვა გაფრინდაული.

ნაბდით თავწაკრულ პალოებს ზეაღმა ურჭობს და საოცარი სისწრაფით არბის ციხის კედელზე. უკვე კიდევაც მოევლო და გადაევლო, „გადაფრინდა ბახტრიონ გალავანზედ“ სხვებიც მიჰყვნენ, მთიელნი – თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი – კლდეებზე „ჯიხვებრ მხტომელნი“. ციხის ალაყაფს დაეძგერნენ. გუშაგები ჩაჰხოცეს. ხმლის ჩახაჩუხმა და მომაკვდავთა ბღავილმა ფეხზე წამოაგდო ყიზილბაშთა ბანაკი. მაინც დაასწრო გაფრინდაულმა კარის გაღება. ციხეში ნიაღვრად შეაგდეს ქსანელთა და არაგველთა ჯარები შალვამ, ელიზბარმა და ზურაბმა. ახლად აღმოხდენილ მზეს მეწამული სამოსელით შეეგება ბახტრიონი. ყიზილბაშთა უმრავლესობა დაირეცა მათივე სისხლით ატალახებულ მიწაზე. ერთმა ნაწილმა მოახერხა გარეთ გაღწევა და ალავერდისკენ გაქცევა. გამოედევნენ ქართველები. ალავერდის ციხეში თავშესაფარებლად გარბოდნენ ბახტრიონის ჯოჯოხეთიდან თავდახსნილი ყიზილბაშები და არ კი იცოდნენ, რომ ალავერდშიც „ის ჯოჯოხეთი“ დატრიალებულიყო, რაც ბახტრიონში დატრიალდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილს და მის კახელობას ალავერდი უკვე აეღოთ, იქაური ირანული ციხიონი სანახევროდ ამოეჟლიტათ, დანარჩენ ყიზილბაშობას ალავერდის გალავნიდან გამოეღწია და ბახტრიონის ციხისკენ მირბოდა თავშესაფარებლად.

სწორედ საოცარი „სახილველი“ იყო: „ბახტრიონელი ყიზილბაშები“ ალავერდს გარბოდნენ, „ალავერდელი ყიზილბაშები“ – ბახტრიონს!

და ზედ შუა გზაზე. ალვანის ველზე, ერთმანეთს შეასკდა ორის მხრიდან თავპირის მტვრევით მომლტოლვარე „ორი ციხის“ ყიზილბაშობა. და სანამ გონს მოეგებოდნენ. „შესაბამისად“ ორივე მხრიდან წამოეწივნენ და წამოესივნენ შურისგების ცეცხლით ადუღებული ქართველები. წამოესივნენ და ისე გაწყვიტეს, ცოცხლად მოამბეც არ გაუშვიათ.

როგორც კარგი მთიბავის ხელით „ლესურად“ მოთიბული ბალახი ისევ ცერზე დადგება ხოლმე, ასე „ფეხზე შეყენებულ ძნებად“ ეყარა დახოცილ ყიზილბაშთა გროვანი.

და თქვა მაშინ ზეზვა გაფრინდაულმა: „როცა დახოცილი მტერი ასე დათიბული ბალახივით ფეხზე დადგება, ხმალი უნდა შეაყენო და ბრძოლის ველს გაშორდე, რადგან მაინც ცოდო არს ადამიანი!“

„ადამიანი?!“

„ჰო, რამეთუ მტერი მტერია, მაგრამ მაინც არის ადამიანი“.

და ცოცხლები მკვდრებს გაშორდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღიდან იმ ადგილს, მტრის სისხლით და ძვალ-ხორცით გაპოხილ მიწას, ხალხმა დაარქვა „**გ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ა**“.

„გაწყვეტილადან“ ქართველები თურქმანთა დასახლებებს მოედნენ და დედაწულიანად გაჟლიტეს ყველა, ვისაც ამ დღემდე წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, კახური სალოცავი მიწისა და წყლის შებილწვაში...

...„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხლობაში. უძლეველობასა და უკვდავებაში. ირანის სასახლის კარმა ეგზომ დიდი მსხვერპლის სამაგიეროდ დამსჯელი „ილღარის“ მოწყობაც ვეღარ შეუბედა სახალხო აჯანყებით ანთებულ კახეთს. კახეთის „თურქმანიზაციაც“ შეწყდა. მხოლოდ აჯანყების მეთაურების დასჯისათვის სამზადისს შეუდგა სპარსეთის ხელისუფლება (აკი ასე ხდება თითქმის ყოველთვის: ხალხის რისხვით ზარდაცემული ხელისუფალნი აჯანყებულ ხალხს უცოდველ კრავად ჩათვლიან და გულის ჯავრს ხალხის მეთაურებზე ამოიყრიან).

სპარსელებმა ჯერ ზაალ არაგვის ერისთავს დაადგეს თვალი, ვითარცა აჯანყების მეთაურს. ზაალმა თავისი „უდანაშაულობა“ იმით „დაასაბუთა“, რომ აჯანყებაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია და ყველაფერი ბეგლარბეგ ალი-ყული-ხანი ქენ-გერლუს „ცუდ ქცევას“ დააბრალა. ალი-ყული-ხანი შაჰმა ბეგლარბეგობიდან გადააგდო და კახეთი მთლიანად მურთუზ-ყული-ხანს ჩააბარა, მაგრამ ზაალ ერისთავი დაუსჯელად მაინც არ დატოვა. სპარსელებმა არაგვის ბატონის განადგურება მეფე ვახტანგ შაჰ-ნავაზს დააკისრეს.

ვახტანგ მეფე ამდენხანს თითქოს განზე იდგა, თითქოს მას „ბახტრიონული ომისა“ არც არაფერი სცოდნოდა. სინამდვილეში ვახტანგის „ზომიერი პოლიტიკა“ კახელთა აჯანყებაში მის პირად მონაწილეობას გამორიცხავდა, მაგრამ კახელთა შურისმაძიებლური ხელით სპარსელთა ამოწყვეტას სულით და გულით თანაუგრძნობდა. ხოლო, რაც შეეხება თვითონ ზაალ ერისთავს, მისი პირადი განადგურება ვახტანგს კიდევაც ჰქონდა გულს ამოჭრილი. ზაალ ერისთავი ქართლის მეფის განუყოფელ ხელისუფლებას ებრძოდა. ცალკე „ხელმწიფობას“ ჩემულობდა და კახეთის მიტაცებისთვისაც თავს არ იზოგავდა, და ეს ყოველივე მაშინ, როცა ვახტანგ მეფე, ვითარცა ქართლის უმაღლესი ხელისუფალი, თვითონ აპირებდა კახეთის შემოერთებასაც და საარაგვოს სრულ დამორჩილებასაც.

მერმე, როცა დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური არეულობა ვახშირდა, ვახტანგ მეფე ჯარით წავიდა იმერეთისკენ (იქნებ, დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზეც ოცნებობდა ვახტანგ შაჰ-ნავაზი), ხოლო ზაალ ერისთავმა მაინცდამაინც მაშინ „აიტეხა“ აჯანყება კახეთში და იმერეთისკენ მიმავალი ვახტანგიც იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავი უნდა მოესპო და მოსპო კიდეც: ივი მისსავე ძმისწულებს მოაკვლევინა, დუშეთის სასახლეში. სიკვდილს გაასწრეს ზაალის შვილებმა, ზურაბმა და ნაბერალმა, მაგრამ

ისინიც შეიპყრო ვახტანგმა, შეიპყრო და ორივე ირანს გაგზავნა. ზურაბი, ვითარცა ბახტრიონის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური, სპარსელმა ჯალათებმა ციხეში ჩაკლეს, ხოლო ნაბერალი შაჰ აბას მეორემ გაათათრა და პირად ღულუმად აიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის ერისთავობა ვახტანგ მეფემ მისცა ზაალის მკვლელ ძმისწულთაგან ერთ-ერთს – **ო თ ა რ ს**, რომელსაც ცოლად ჰყავდა თვითონ მეფის დაი...

... ზაალ ერისთავის განადგურებისთანავე დადგა საკითხი აჯანყების ნამდვილი ბელადების – ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავების დასჯისა. რაკი საქართველოს „ყოველი საქმე" როსტომ მეფის შემდგომ ვახტანგ მეფეს „ეკითხებოდა", ბუნებრივად, შალვა და ელიზბარი სწორედ ვახტანგთან უნდა მისულიყვნენ მსჯავრის მისაღებად. მაგრამ ქართველები ქართველს არ ენდნენ. კახეთის აჯანყების ბელადები ვახტანგ მეფის ნაცვლად ყიზილბაშ მურთუზ-ყულიხანს ეახლნენ ყარაღაჯში.

სპარსელმა ბეგლარბეგმა სამივე ქართველი – ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი – მისვლისთანავე შეიპყრო და ირანს გაგზავნა, შაჰის სამსჯავროში.

შაჰ აბას მეორე თავისი დიდი წინაპრისა და სეხნიის მიმდევარი და მიმბაძველი იყო. ეს „პატარა შაჰ აბასი" დიდი შაჰ აბასივით ცდილობდა ყოველი დიდი ქართველი თათრობის გზაზე შეეგდო და, თვითონ საქართველოს სამტროდ და საზიანოდ, სპარსეთის „ისტორიის მჭედლად" გადაექცია.

ასე დაუპირეს მაშინ ბახტრიონის აჯანყების მეთაურებსაც. სამივეს უთხრეს, რაიც სპარსეთში მოუსმენია „მილიონ ერთს": ან მაჰმადიანობა მიიღეთ და სპარსეთის სამსახურში შედით, ან სიკვდილისთვის მოემზადეთო.

სამივემ, უყოყმანოდ, ქართველობაზე და ქრისტიანობაზე ხელის აღებას სიკვდილი არჩია.

ბიძინამ მშვიდად უთხრა შალვას და ელიზბარს: „ძმებო, ნუ მოვეშვებით და ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი ჩვენს უკითხავად დაბადებულან თან მოგვდევს, ვერც ვერავინ წინააღუდგების სიკვდილსა, და რაკი უნდა მოვკვდეთ, ბარემ მოვკვდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის და სამარადჟამოდ დავიმკვიდროთ სასუფეველი!"

არც შალვას და არც ელიზბარს წაქეზება არ სჭირდებოდათ, რადგან არც ერთი მათგანის გულსა და გონებას სხვა რამ აზრი არ გაჰკარებია – მხოლოდ სიკვდილი საქართველოსთვის და ქართველობისთვის!

სამივემ „განბასრეს (გაკიცხეს) და გინებულ ჰყვეს სჯული „შაჰმადისა". სამივემ „ერთხმობით" სამარეში ჩასატანად დაინარჩუნა ქრისტიანობა და ქართველობა.

გაცოფდა ირანის მბრძანებელი და, – „ვითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკვლელს ხელში მისცემენ მოსისხარსა", შაჰის ბრძანებით სამივე ქართველი მამულიშვილი მიუგდეს იმ ელ-თურქმანებს, რომელთა ნათესავნი ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა მეთაურობით ამოწყვიტეს ქართველებმა ბახტრიონულ ომში.

ალბათ, რამდენჯერ უნატრიათ პირუტყვულად გონებაბრჯგულებს ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა სისხლის დალევა! და ეს, ახლა აუსრულდათ ეს დღე-ღამ დაულევნელი სანატრებელი. და წამებასაც ხომ მრავალი საუკუნის „პრაქტიკულ-ნოვატორული“ ისტორია ჰქონდა ირანულ-თურქმანულ ტომებში.

და აწამეს დიდი ქართველი მამულიშვილნი.

ასოეულებად ასჭრეს და აჰკაფეს („ხოლო უწყალოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოჭრად თვითეულად სახსარ-სახსრად. და მერე, მაჯა-იდაყვნი, და მხარნი, და ფეხნი კოჭებიდან მუხლებამდე. და ესრეთვე თეძონიცა...“).

ასოეულებად აჭრილნი და აკაფულნი ისრებით დაცხრილეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყვიებით დახვრიტეს.

ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშთები ევროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადღაც უცნობ ადგილას.

შალვასა და ელიზბარის ცხედრები, როგორც იქნა, მათმა სვეგაშავებულმა მეუღლეებმა გამოიხსნეს, საქართველოში ჩამოასვენეს და ქსნის ერისთავთა საგვარეულო იკორთის მონასტერში მიაბარეს მიწას.

ქართველმა ხალხმა გააღმერთა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ძმათა ქსან-ერისთავთა სახელები და მათი სამამულიშვილო საქმენი. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა სამივე გმირი, წამებულნი ერისა და სარწმუნოებისათვის. ბიძინა, შალვა და ელიზბარი სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებულის შარავანდედით შემკობილნი შეუერთდნენ იმ სარწმუნოებრივ და საეროვნებო რაინდთა გუნდს, რომელთა შორის ბრწყინავდნენ: დავით და კონსტანტინე მხეიძენი, გობრონი, კონსტანტი კახი, შალვა ახალციხელი, თევდორე მღვდელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და პაატა სააკაძე.

ასე დასრულა სიცოცხლე ბახტრიონული ომის მეთაურთა „თავადურმა წრემ“. რაც შეეხება აჯანყების „ხალხურ წრეს“, ამათთაგანნი არც ქართველ მეფეს ენდნენ, არც ქართველ თავადებს, არც სპარსელ ბეგლარბეგებს და არც სპარსეთის შაჰს. იმათ საერთოდ არც უფიქრიათ „რაიმე შერიგება“ ან საერთოდ იარაღის დაყრა და მორჩილებით მუხლის მოკეცვა. ისევ იბრძოდნენ თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარეული, ფშაველი გოგოლაური. ისევ იბრძოდნენ „სანამ პირში სული ედგათ“. იბრძოდნენ, ვინათგან შეურყევლად სწამდათ მათი მშობელი ხალხის გაუტეხელობისა, უძლეველობისა, მარადიულობისა.

განუზომლად დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის მატიანეში „ბახტრიონული ომი“. შესატყვისად, დიდი მეხოტბეებიც გამოუჩნდნენ ამ საოცარ სამამულიშვილო გმირობას – სამი გენიალური მეხოტბე:

ქართველი ხალხი – „ხალხური პოეზია“.

აკაკი წერეთელი – „ბაში-აჩუკი“.

ვაჟა-ფშაველა – „ბახტრიონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რად სოფელო, სხვა არ დასწვი
ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე
ყველა მე მკარ, დასად აგე!“
თ ე ი მ ურ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი

იმერეთში ფეოდალური შინააშლილობა და ტახტის გარშემო ბრძოლა არ წყდებოდა. ვახტანგ ქართლის მეფე ჯარით გადავიდა და ჩაერია დასავლეთ საქართველოს ასე გაუთავებლად მოუწესრიგებელ საქმეებში. აქვე იგი შეხვდა თეიმურაზ მეფეს, ნახევარსაუკუნოვანი სამამულო ხმალთაკვეთების მთავარ გმირს. სავსებით დაბერებულიყო და გატეხილიყო, სულითაც და სხეულითაც. და თეიმურაზმა ვახტანგ მეფეს ირანის შაჰთან შერიგება სთხოვა! უსაზღვროდ გაახარა ვახტანგი ირანთან მარად შეურიგებელი ლეგენდარული გმირის ამ მოულოდნელმა თხოვნამ. მაშინვე ბეჯითად დაარწმუნა და დაანუგეშა, შაჰი დიდის პატივით, სიხარულით და სიყვარულით მიგიღებს, შეგირიგებს და „შეგიტკბობსო“. სახლთუხუცესი გივი ამილახორი ამალით აახლა თეიმურაზს და ტფილისში გაგზავნა. იმერეთის საქმეებს რომ მოვრჩები, მეც ტფილისს გეახლები და იქიდან ირანს გაგისტუმრებო, დააბარა ვახტანგმა თეიმურაზს.

ვახტანგ მეხუთემ დაიპყრო ქუთათისი, დაიპყრო ოდიში, ოდიშში მთავრად დასვა **ლ ე ვ ა ნ მ ე ს ა მ ე დ ა დ ი ა ნ ი,** ხოლო იმერეთის სამეფო გვირგვინი თავზე დაადგა თავის უფროს ძეს, 14 წლის **ა რ ჩ ი ლ ს (1661).**

იმავე 1661 წელს, ტფილისში დაბრუნებისთანავე, ვახტანგ მეფემ ბრწყინვალე ამალა აარჩია, მეთაურად ისევ გივი ამილახორი უჩინა და მათი თანხლებით თეიმურაზი სპარსეთს გაგზავნა. წინასწარ შეატყობინა შაჰ აბას მეორეს ვახტანგმა: თეიმურაზი მოეშურება შენთან სტუმრად და შესარიგებლადო. თეიმურაზ მეფე მოეშურებაო?! ისიც, თავისის ნებითა და ფეხით მოდისო?! ცას ეწია შაჰი სიხარულით. მართლაც, რა საოცრება იყო: დიდი შაჰ აბასი ისე ჩავიდა საფლავში, თეიმურაზის ქედის მოდრეკას ვერ ელირსა, და ახლა, დიდი შაჰ აბასის ოცნება ასე უბრალოდ და უმსხვერპლოდ უსრულდება „მცირე შაჰ აბასს!“ ირანს ნებდებოდა მისი ნახევარსაუკუნოვანი დაუძინებელი მტერი, „რუსთმოყვარე“ თეიმურაზ მეფე!

შაჰის ბრძანებით, საქართველოდან ისფაჰანამდე, მთელი გზის გასწვრივ სპარსელები დიდი „ფიშვაზებით“ (საზეიმო შეხვედრები) ეგებებოდნენ მხცოვან მტერს, გმირსა და ხელმწიფეს. ისფაჰანს რომ მიაღწიეს, სატახტოში ძეხორციელი აღარავინ დაკავებულა – მთელი მოსახლეობა, დიდიან-პატარიანად და ქალიან-კაციანად, ქართველებს შემოეგება. ქალაქის ალაყაფთან ეთიმადოვლე (დიდვეზირი) დაუხვდა თეიმურაზს, თაყვანი სცა და თავისი სასახლისკენ წარუძღვა. უკვე მიმწუხრის ჟამი

დამდგარიყო და ეთიმადოვლეს მდიდარი სავახშმო სუფრა გაეწყო ქართველი სტუმრებისათვის. მოხუცი მეფე ნადიმს დიდხანს არ შერჩენია და დასასვენებლად შევიდა მდიდრულად მორთულ სანთიობოში.

წაძინება ძლივს მოასწრო, რომ ვიღაცამ გამოაღვიძა ფრთხილი ხელის შეხებით. ეს თვითონ შაჰ აბასი ყოფილა. იგი თავისი ფეხით მოსულა „ძვირფასი სტუმრის“ სანახავად! ასეთ პატივს სწორედ არავინ მოელოდა.

თეიმურაზი ფეხზე წამოიჭრა და მუხლის მოყრა დააპირა, მაგრამ შაჰმა არ დაანება, ფეხზე წამოაყენა და ისე გადაეხვია, როგორც „შვილი მამას“. ძალისძალად სამგლოვიარო ტანსაცმელი გამოუცვალა შაჰმა თეიმურაზს და მაშინვე ახალ სანადიმო სუფრაზე გაიტაცა. მთელი ღამე და მეორე დღეს მზის დაყუდებამდე გაგრძელდა სმა, ზმა, სანადიმო ლიწინ-ლიწინი. დასასრულს, „ვითაც შვილმან მამას“, შაჰმა თეიმურაზს „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ფარჩა“ მიართვა. უხვად დააჯილდოვა ქართველთა ამალაც, გამორჩევით **გივი ამილახორი,** რომელიც შაჰს ძალიან მოსწონებია „შვენიერობისთვის და კარგ საქციელობისთვის“. ამილახორი და სხვანი ქართველნი თეიმურაზს გამოეთხოვნენ და საქართველოსკენ გამობრუნდნენ.

დღე და ღამე არ შორდებოდა შაჰი თეიმურაზს. „ანადიმებდა და ანადირებდა თავისთა-თანა და ნიჭვიდა მრავალსა“.

მაგრამ სტუმარ-მასპინძლის „შეხმატკბილებული ცხოვრება“ ერთბაშად მოვარდნილმა საშფოთარმა ამბავმა შეარყია და ისევ საქართველოდან მოდიოდა ეს „შემარყეველი“ ცნობა, თურმე საქართველოს მთაში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ისევ აუსხამთ იარაღი ქართველებს. „ბახტრიონული ომი“ მხოლოდ დასაწყისად მიუჩნევიათ მთიელ მამულიშვილებს. ელნი და სპარსელნი დიახაც დავიფრინეთ, მაგრამ კახეთი მაინც სპარსეთის შაჰისა და „გათათრებული ქართველი“ ხელმწიფისგან საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს და ისევ თავისი საკუთარი ბატონ-პატრონი დაუბრუნდესო!

კახეთის „საკუთარი ბატონ-პატრონი“, რასაკვირველია, თეიმურაზი იყო, მაგრამ რაკი მოხუცმა მეფემ იმერეთიდან, ქართლის გავლით, სპარსეთს ჩაიტანა სული, კახეთის მთიანეთმა თურმე ხელმწიფედ და „პატრონად“ რუსეთიდან მოიხმო თეიმურაზის შვილიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე.

ნიკოლოზი აგერ რვა წელიწადი იმყოფებოდა მოსკოვში „ვითარცა ძე“ რუსთა ხელმწიფე ალექსი რომანოვისა.

ალექსიმ თავის „საყვარელ შვილობილს“ საქართველოში წამოსვლის წინ დიდი „გაცილება“ მოუწყო. სამჯერ „სამსაფეხურიანი მიღებით“ მიიღო, ნადიმ-ღრეობანი გაუმართა უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა და ბოიართა თანდასწრებით. თავის გვერდით, სადაფის მაგიდასთან, ხელმარჯვნივ დაისვა, ტკბილად, „შინაურულად“ ესაუბრა, უხვად დაასაჩუქრა და შინ თავისი სამეფო კარეტით გაისტუმრა. ბოლო შეხვედრა სოფელ პოკროვსკოვში დაუნიშნა ალექსიმ „ქართველ შვილობილს“. მეფესთან მიმავალი ნიკოლოზის კარეტას სამასორმოცდაათი რუსი მხედარი მიაცილებდა. ამდენივე ცხენოსანი და ეოისარი მისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკუთვნილი ბინის წინ ჩამწკრივებულიყო სახელმწიფო ალმებითა და დაფდაფებით.

მთელი დღე ერთად გაატარეს მეფემ და „სამეფოდ გამზადებულმა“ უფლისწულმა. ბოლოს, ალექსიმ ახალ ტანსაცმელში გამოაწყო ნიკოლოზი, ძვირფასი საჩუქრებიც უბოძა, სახარჯო ფულიც „ჩაუჯიბა“, დალოცა, გამოეთხოვა და გამოუშვა. 1660 წლის 3 ივნისს გამოემგზავრნენ საქართველოსკენ ნიკოლოზი და დედამისი ელენე. მოსკოვიდან თერგამდე, მეფის ბრძანებისამებრ, ყველგან დიდის ზარ-ზეიმით ეგებებოდნენ ქართველ უფლისწულს. 1661 წლის ზაფხულის მიწურულს თუშეთს მოაღწია ნიკოლოზმა. მოაღწია და მაშინვე შემოეყარნენ „მის იმედად დამდგარი“ მთიელი პატრიოტები.

მოსვლისთანავე თუშებმა უფლისწულს ყრმობის სახელი – **ერეკლე** დაუბრუნეს (ამიერიდან ასე ეწოდა – ერეკლე ბატონიშვილი, ანუ **ერეკლე პირველი**).

და გამალებით შესდგომოდნენ საომარ სამზადისს ქართველნი ერეკლეს მეთაურობით...

შაჰ აბას მეორეს თავზარი დასცა ამ ამბავმა. მაგრამ „თავიდან ზარი მოიშორა და თეიმურაზ მეფეს „ტკბილად“ ჩაუჯდა სალაპარაკოდ – შენი შვილიშვილი ჩამობრძანებულა რუსეთიდან კახეთში, თურმე ხალხს მიჯანყებსო. მე კი შენთვის მინდოდა დამებრუნებია კახეთიო. ახლა ამას გირჩევ, იმ შენს შვილიშვილს კაცი გაუგზავნო და ჩემთან მოვიდეს და მეახლოს. სიტყვას გაძლევთ, არაფერს ვავნებ, ძმასავით შევიყვარებ და შევიტკბობ, ოღონდ კი რუსეთს თავი დაანებოს და ჩემს სამსახურად დადგესო. თუ ამას აღასრულებთ, მაშინვე შენს კახეთს დაგიბრუნებთ, თქვენსავე სამეფოდ და საპატრონოდ, თუ არა და...

გასაგებად იყო ნათქვამი. ენდობოდა თუ არ ენდობოდა შაჰს „პატიოსან სიტყვას“ თეიმურაზი, სულ ერთია, ტყვეს მისი მეუფის ბრძანება მაინც უნდა შეესრულებინა.

თეიმურაზმა ორი ერთგული კაცი გაამზადა საქართველოში გასაგზავნად. შაჰმა ქართველ შათირებს ერთი თავისი სპარსელიც გააყოლა. ამათ უნდა ჩამოეყვანათ ერეკლე ბატონიშვილი საქართველოდან სპარსეთში.

მალე უკანვე მობრუნდნენ წარგზავნილნი, მობრუნდნენ ხელცარიელნი, გაწბილებულნი და პირში ჩალაგამოვლებულნი. ერეკლეს ცივი უარი ეთქვა რუსთა და ქართველთა ღალატზე და სპარსეთს წამოსვლაზე. დედამისი ელენეც და საომრად შემართული მთიელებიც აღეშფოთებინა შაჰ აბას მეორისა და თეიმურაზის „მიწვევას“.

ყველაფერი მაინც თეიმურაზის ბრალიაო, აილესა შაჰი – აღებათ, ამ ცბიერმა ბებერმა რაიმე კალამბურით მიანიშნა თავის შვილიშვილს, ღმერთი არ გაგიწყრეს და მართლა არ წამოხვიდე სპარსეთსო...

დიდხანს იყო შაჰ აბას მეორე ალესილი, ბალანაშლილი და მძიმე ფიქრებით დარეგვილი. მერე ბრძანა, სანადიმო სუფრა გააწყვეთ და თეიმურაზი მომიპატიჟეთო. ისევ მოვიდა თეიმურაზი. ღვინო და ნანადირევი

მიაძალა მასპინძელმა სტუმარს. ახლა ჩვენებური მარხვაა და სახსნილოს არ გეახლებითო, იუარა თეიმურაზმა.

– ჩვენებურიო?! ქართულიო?! ქრისტიანულიო?! ჰო, მართლა, ეგ კარგი გამახსენე, ბოლოს და ბოლოს, სანამ უნდა სდიო ამ ქართულსა და ქრისტიანულს?! მე გირჩევ, გირჩევ კი არა, მოვითხოვ ქრისტიანული სარწმუნოება დააგდო და მაჰმადის სჯულს ეზიარო – იყვირა შაჰმა და ისევ მიაძალა ხორცეული სტუმარს.

– ვერც ქრისტიანობას მივატოვებ და ვერც მარხვას გავტეხავო, – ცივად მოსჭრა თეიმურაზმა.

ღვინით სავსე თასი აუძაგძაგდა ხელში შაჰ აბასს. ერთბაშად გაიქნია და ღვინო სახეში შეაქცია თეიმურაზს. თხუთმეტი წლის ბიჭივით წამოფრინდა ფეხზე მხცოვანი მეფე, გულდაწყვეტილი და სახეალეწილი, – მაპატიეო, უმალვე შეაგება შაჰმა – აკი შვილი შეცდება ხოლმე და მშობელ მამას ჰკადრებს რაიმე უკადრისსა, ხოლო მამა დიდსულოვნებით შეუნდობს შვილსო! რა გაეწყობოდა! „მამას შვილისთვის“ უნდა შეენდო და თეიმურაზმაც „შეიწყნარა“ შაჰის „უტაქტობა“.

მეორე დღეს შაჰმა შეუთვალა თეიმურაზს: აშრაფს ვაპირებ წასვლას, თქვენც თან უნდა წაგიყვანოთ, მაგრამ მანამ ქრისტიანობა უნდა დააგდოთ და მაჰმადიანად მოინათლოთო. თეიმურაზმაც მაშინვე უყოყმანოდ შეუბრუნა პასუხი: მე უკვე მოგახსენეთ და ახლაც იმავე აზრზე გახლავართ – არამც და არამც არ მოხდება, ცოცხალის თავით ქრისტიანობას და ქართველობას გადავუდგე და თათრად მოვინათლოო!

მაშინ, შაჰ აბასის ბრძანებით, თეიმურაზ მეფეს ბორკილები გაუყარეს და ასტრაბადის ციხეში ჩააგდეს.

ასტრაბადის ციხე! რამდენი ქართველი მამულიშვილის გული გაცივებულა მის ცრემლიან ჯურღმულებში! (აქ ეწამებოდა ქართლის მეფე ლუარსაბ მეორეც).

და იჯდა თეიმურაზ მეფე ასტრაბადის ციხეში და ელოდა სიკვდილს.

და დადგა 1663 წელი, მკაცრი, ყინვიანი, და ეწვია სიკვდილი თეიმურაზს... და გაჩერდა სამშობლოზე ზრუნვით და ურვით დამდნარი გული.

ყოვლის დამაწყნარებელი სიკვდილის საუფლოში იწვა მთელი თავისი წუთისოფელი დაუწყნარებელი კაცი, – კაცი, რომელიც მცირე ხნით, „სულის მოსაბრუნებლად“ თუ მიაყრდნობდა ხოლმე მძიმე ცხოვრებით დამაშვრალ თავს – ხან საომარი ცხენის უნაგირს, ხან ლირიკულ და ეპიკურ მუზათა კალთას. მთელი სიცოცხლის მანძილზე არც ერთი არ გაუგდია ხელიდან – არც მამულის საკეთილდღეოდ აღმოხდენილი ხმალი, არც ქართული ხატოვანი სიტყვიერების შემამკობელი პოეტური ქნარი. ასე იყო, რადგან „ორივე ბუნებაᲐ“ მძლავრად ჩაბუდებულიყო მის სხეულში – „ბუნებაი კაცობრივი“ და „ბუნებაი საღმრთოი“. თუმცა იყო შემთხვევები, როცა მისი უდროჟამოდ მოქნეული ხმალი შინაურ თანამოძმეს უფრო მეტ სისხლს აქცევინებდა ხოლმე. ვიდრე ქართველი ხალხის მტერს და მოსისხლეს; და ზოგჯერ მისი „პოეტური პიი-პუიც“ მისავე ხალხს

საბედისწერო „ვაივაის“ გმინვად უჯდებოდა. მაგრამ თვითონ – მეფეს, სარდალს, მხედარს და პოეტს – ყოველთვის გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი ხმალიც და ქნარიც მხოლოდ სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვწოდა, იწვოდა და იხარჯებოდა. ამიტომაც ძნელი ხდება ეგზომ რთული, წინააღმდეგობრივ თვისებათა მქონე პიროვნების განსაზღვრებად მოიძებნოს რაიმე ერთი სახელნართაული სიტყვა. მაგრამ მაინც მის პიროვნებაში იყო ერთი ყველაზე დიდი „მთლიანობა“ – მარად შეურყეველი რწმენა საკუთარი ხალხის დაუშრეტელი ძალმოსილებისა, უძლეველობისა და უკვდავებისა. დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის შემდგომ, საკუთარ ხალხში არავის ისე თვალნათლივ არ ესახებოდა მარად „თვითაღდგომადი“ და „თვითამაღორძინებელი“ ფენიქსი, როგორც მეფე თეიმურაზ პირველს. ეს რწმენა, ვითარცა „განუჭრელი თვისება“ (იოანე დამასკელის ფორმულაა) მასში ყოველთვის „მაღალ დონეზე“ იდგა ერთნაირად – მისი პირადი თუ მისი ხალხის უზენაესი აღზევების დროსაც და უქვემოესი დაცემის ჟამსაც. საქართველო მისთვის უნივერსალური ფენომენი გახლდათ. სამშობლოსთან მიმართების გარეშე ყოველი „სხვა-არსი“ მისთვის იყო მხოლოდ „არარსი“. მთელი მისი პირადი ცხოვრება უმძიმესი გოლგოთა იყო. მთელი მისი წუთისოფელი ამ **ქ ა რ თ ვ ე ლ ი ო ბ ს** სამგლოვიარო თალხის გაძრობა არ ღირსებია. ყრმობის ჟამს დაობლდა მამით, მერე დედა მოუკლეს გაუგონარი ტანჯვა-წამებით. ორი ოჯახი ჰყავდა და ორივე მის სიცოცხლეშივე ამოუწყდა: ძოესწრო ორივე მეუღლის სიკვდილს, ორი ვაჟი შაჰ აბასმა დაუსახიჩრა და მოუკლა, ერთიც სპარსელებს შეაკვდა, ერთი ასულიც სპარსეთის შაჰის კარზე დაახრჩვეს. ერთი ქალიშვილი დარჩა და ისიც უშვილძიროდ გადაეგო. შვილიშვილ „გვარისგამგრძელებელთაგან“ ორი მოუკვდა და ერთი ძლივს დაურჩა... მაინც იბრძოდა. იბრძოდა, რადგანაც ყოველივე პირადულზე მაღლა, გაცილებით მაღლა მაინც იდგა საქართველო! იგი იბძოდა მაშინაც, როცა მისი სამშობლოს ძალ-ღონე ლამის უკანასკნელ მამულიშვილზე იყო დასული. იბრძოდა, რადგან რაღაცნაირი, აუხსნელი მისტიურობით სწამდა, რომ არასოდეს მისი სამშობლო და მისი ხალხი არ დაიღუპებოდა. მისი ღრმა (გინა „მისტიური“) რწმენით, საქართველოს ახლავს მხოლოდ ფენიქსისებური „მოქცევანი“ – ჟამნი დაცემისა და ჟამნი აღორძინებისა – და ქართველი ხალხიც იარსებებს ამ ქვეყანაზე, სანამ არსებობს „სხეული ცისაი“ და „სხეული მიწისაი...“

გამეფდა 16 წლისა, იმეფა და იომა 58 წელიწადი, აღესრულა შობითგან 74 წლისა.

საქართველოს დალოცვა მოასწრო.

ესეც დაასწრო სიკვდილს: აქ არ დატოვოთ ჩემი ცხედარი, მტრის მიწაზეო. საქართველოში წაასვენეთ და იქ დაკრძალეთ, ჩემი კახეთის მიწაშიო.

ერთგულ კახელთა ხვეწნა-მუდარას შაჰმა ყურიც არ ათხოვა და „არ გამოუშვა“ თეიმურაზი საქართველოში. ზამთრიდან შემოდგომამდე ისევ გრძელდებოდა „ტყვეობა“ აღსრულებული გმირი ხელმწიფისა. მერე

ვახტანგ ქართლის მეფემ შეუთვალა შაჰს: მაინც სჯობია ნება დართოთ და წამოასვენონ საქართველოში გარდაცვლილი ქართველი ხელმწიფეო. შაჰმა „შაჰ-ნავაზის“ თხოვნაზე მაშინვე თანხმობა ბრძანა.

წამოასვენეს კახელებმა თავისი ხელმწიფისა და პატრონის ცხედარი. ალავერდის ტაძარში დაკრძალეს, წამებული დედის წმინდა ნაშთთა გვერდით...

...ალაზნის გასწვრივ კახელ მხედართა გუნდი მითქარუნობდა და მღეროდა:

„აიმ ადგილის ჭირიმე
სად თეიმურაზ ბრძანდება;
დაიცემს წითლის კარავსა,
ზედ ოქროს სვეტი დადგება“...

მამა-შვილის „სიმფონია“

ირანის შაჰს თურქეთის სულთნისაგან რისხვიანი წერილი მოუვიდა: ჩვენს შორის ახლა ზავია და როგორ მოხდა, რომ ჩემს საყმო იმერეთში შენს ყმა ვახტანგ შაჰ-ნავაზს თავისი შვილი არჩილი მეფედ დაუსვამსო?! ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ, ახლავე გაიყვანოთ არჩილი ვახტანგის ძე იმერეთიდან, ხოლო უკეთუ არ აღასრულებთ, მაშინ ომი გსურვებიათ, და ჩვენც დაუყოვნებლივ წამოვალთ ჩვენის მხედრობითო!... ეს მისწერა სულთანმა შაჰს და პასუხსაც აღარ დაუცადა, ისე უბრძანა ახალციხის ფაშას იმერეთს ლაშქრობა და იქიდან არჩილის განდევნა.

დამფრთხალმა შაჰ აბას მეორემ მაშინვე აფრინა შიკრიკი ვახტანგ მეფესთან: ახლავე არჩილი იმერეთს მოაშორე და ჩემთან გამოგზავნე, თურქებთან ზავს ნუ ჩამიშლი და არჩილს მე თვითონ მივცემ სამეფოდ იმერეთზე „უმჯობეს“ ქვეყანასო.

ვახტანგმა შაჰის ბრძანება აღასრულა. არჩილი იმერეთიდან გაიწვია და სპარსეთს გაგზავნა. იმერეთის ტახტზე ისევ დაჯდა ბაგრატ მეოთხე (რომელიც ვახტანგს ქართლში ტყვედ წამოეყვანა).

შაჰმაც თავისი სიტყვა შეასრულა, არჩილი „შეიყვარა“, მაჰმადიანად მოაქცია, ახალსახელად „შაჰ-ნაზარ-ხანი“ დაარქვა და სამეფოდ ის აღთქმული „უმჯობესი ქვეყანაც“ მისცა – კახეთი. რასაკვირველია, შაჰს ამ პოლიტიკური სვლით თავისი განაზრახი ჰქონდა. მას ძალიან აშფოთებდა კახეთში „რუსეთუმე“ ერეკლე ბატონიშვილის ყოფნა და მთიელი ქართველების საომარი იარაღის ჟღრიალი. სწორედ ამიტომ აძლევდა კახეთს შაჰი „გათათრებულ არჩილს“, რომ მას, „გათათრებული მამის“ თანადგომით, კახეთიდან უნდა გაეძევებინა ქრისტიანი ქართველებისა და მათი „ქრისტესმიერი ძმების“, რუსების რჩეული ბატონიშვილი – ერეკლე-ნიკოლოზი.

ასე გამეფდა არჩილი კახეთს, 1664 წელს, მამა-შვილი მაშინვე შეუდგნენ ერეკლე ბატონიშვილთან ბრძოლას. ერეკლე დამარცხდა და ჯერჯერობით ხელი აიღო „თათარ მამა-შვილთან“ ბრძოლაზე. იგი ისევ დედასთან ერთად,

1666 წელს, გაბრუნდა რუსეთს.

„19 აპრილს მოსკოვში დიდი ზეიმით შემოვიდა ქართველი უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე", – ჩაიწერა დღიურში რუსეთის ჯარის პოლკოვნიკმა, შოტლანდიელმა პატრიკ გორდონმა.

10 ივნისს მეფე ალექსი მიხეილის ძე „წახნაგოვან პალატაში" დიდის ამბით შეხვდა „ნანატრ შვილობილს". ისევ გვერდით უჯდა სანადიმო სუფრასთან რუსთ ხელმწიფეს ქართველი უფლისწული. თერთმეტი ახალგაზრდა ბოიარი ნიკოლოზს ღვინის მწდედ უდგა და ოცდაათი ჭაბუკიც კერძთა მიმტანად ემსახურებოდა...

...ხოლო, არჩილი „დაჯდა მეფედ და დაიპყრო ყოველი საზღვარი კახეთისა". საატახტო ქალაქად იავარქმნილი გრემის ნაცვლად გამოაცხადა თელავი. მისი ზრუნვით „შენდებოდა კახეთი, ვინათგან იყო მშვიდობა და უმტრობა". რამდენჯერმე ლეკებს მიუხდა არჩილი, სააბრაგო ბუდეები მოუშალა და კახეთის მშვიდობიან მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმების მადაც გაუნელა. დიდ სააღმშენებლო საქმეებს განასრულებდა: „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქვეყნისასა". კახელებს ძალიან მოსწონდათ ეს მომხიბლავი ჭაბუკი, რომელიც „იყო ახოვანებითა, მშვენიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი 12 მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლაღი და ამაყი, მონადირე და მოასპარეზე, წარჩინებული და საღმრთოთი აღმატებული". უკვე ლექსებსაც წერდა მაღალი პოეტური ხელოვნებით, თუმცა თვითონ კრძალვით ამბობდა, მე ვწერ მხოლოდ „ნაღვლის რასმე საქარვებლადო". წრფელად ამბობდა – „სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამსო", და მართლაც, მსმენელს ატკბობდა მისი მშვენიერი, დახვეწილი, უცხოური „მიმძლავრებისაგან" განწმენდილი ქართული სიტყვა და სიტყვათა წყობა.

მაგრამ ჯერ იგი მხოლოდ „გზების" დასაწყისში იდგა – პოლიტიკისა და პოეზიის უმძიმესი გზების დასაწყისში...

...არჩილი კახეთს „მეფური მეფობით" განაგებდა, მაგრამ იგი მაინც მამის, ვახტანგ ქართლის მეფის ქვეშევრდომად უფრო ჩაითვლებოდა. ევროპელებსაც (ჟან შარდენი) არჩილი მამამისის „მოადგილედ" მიაჩნდათ. არჩილი ასეთ „ქვეშევრდომობას" არც უჩიოდა და არც უწუხებოდა. საბედნიეროდ, შვილიც და მამაც მთავარ საქმედ მაინც ქართლისა და კახეთის ერთიანობას მიიჩნევდნენ. ასედაც იყო, მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია" აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას და ერთიან აღორძინება-გამძლავრებას ემსახურებოდა. ირანის სახელმწიფო კარსაც ქართლ-კახეთის საქმეთა მთავარ გამგებლად ვახტანგ შაჰ-ნავაზი ეიაჩნდა.

ვახტანგ მეფის „სპარსული პოლიტიკა" როსტომ მეფის პოლიტიკის გაგრძელება იყო, მაგრამ ვახტანგს მაინც უფრო დამოუკიდებლად ეჭირა თავი. ამას ევროპელი ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი ც ამბობდა: „საქართველოს მეფე ვახტანგი მაინცდამაინც არც ისე ძლიერ ემორჩილება სპარსეთის შაჰის ბრძანებასო". ქართველი მეფის ეს „დამოუკიდებლობა" გამორჩეული მისი სამეფოს შინაურ საქმეებში იგრძნობოდა. ვახტანგი და არჩილი

სპარსეთის შაჰის დაუკითხავად იღვწოდნენ თავგამოდებით ქართული მიწა-წყლის აყვავებისათვის, კულტურული აღმშენებლობისათვის, ხალხის სულიერი ამაღლებისა და ნივთიერი გამდიდრებისათვის. ვახტანგი ევროპელ ვაჭრებს იწვევდა საქართველოში, ტფილისში ბინებისა და ქარვასლების აშენებას ჰპირდებოდა, ბაჟისაგან გათავისუფლებას აღუთქვამდა და დაბეჯითებით არწმუნებდა: ევროპელები რომ ინდოეთში მიმავალ გზებს ეძიებენ, „ქართულ გზაზე“ უკეთეს გზას ვერსადაც ვერ იპოვნიან, ოღონდ ერთხელ გაიარონ საქართველოზე და მერე სხვა გზას არასოდეს აღარ დაადგებიანო.

შენდებოდა ქართლ-კახეთი. ისევ ყვავილობდა სამამულე რქა ახლად მომძლავრებულ ზვრებში. ყვაოდა ბაღი. შენდებოდა სარწყავი არხები. მარნები, წისქვილები, ზეთსახდელები, ქარვასლები, დუქნები, გზები, ხიდები, ბოსლები, საჯინიბობები, სრა-სასახლენი, ციხესიმაგრენი. ვახტანგ მეფე მის „მეგობარ“ კათოლიკე მისიონერებს ევროპიდან ინჟინრებსა და მექანიკოსებს აწერინებდა. ისევ მოეშენენ ამოგდებული სოფლები, დაქცეული ქალაქები და დაბები. აღმოცენდნენ „ახალ-სოფელნი“, „ახალ-დაბანი“, „ახალ-ქალაქნი“. მაშინ დაიბადნენ: ახალქალაქი, ატენი, ბოლნისი და წინწყარო. აღორძინდნენ და ამაღლდნენ: ნაბახტევი, ალი, სურამი, ახალდაბა. ერთხელ კიდევ აშენდა და აღორძინდა მრავალგზის ნაოხარი, ნაჭირვალი და ნაწამები დიდი ქართული ქალაქი გორი.

ხოლო, საქართველოს სატახტო ასე აღუწერია ჟან შარდენს: „ტფილისი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია... სახლების უმეტესი ნაწილი ციცაბო კლდეზე დგას. ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისკენ კი კედელი არა აქვს.

ტფილისში რამდენიმე ეკლესიაა, ექვსი მათგანი ქართველებისა... დედა ეკლესია, რომელსაც სიონს უწოდებენ, დგას მდინარის პირზე და მშვენიერი თლილი ქვებით არის ნაშენი...

ტფილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა. აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო ნაგებობანი. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიც უცხოეთიდან მოსულნი ბინავდებიან დროებით. თვითონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომლებიც ციხის გალავანს შიგნითაა. ამ აბანოების წყალი არის გოგირდიანი და ძალიან ცხელი. ჯანმრთელთა გარდა, აქ სნეულებიც ბანაობენ სამკურნალოდ... დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად მოვლილი, მაღლობზე წამოჭიმული და დიდი მოედნის პირად ჩარიგებული.

მეფის სასახლე ერთი უმშვენიერესი შენობაა ტფილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა... სასახლის წინ არის ოთხკუთხედი მოედანი, რომელზეც ათას ცხენამდე დაეტევა, მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარი გახლავთ სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან...

ტფილისის მიდამო შეკრულია რამდენიმე სალხინო სახლით და

მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტა, მაგრამ იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცობენ გარშემო...

თვითონ მეფის სასახლის დარბაზი სიგრძით ას ათი ფუტი იყო, სიგანით ორმოცი; სასახლე მტკვრის პირას იდგა და მტკვრის დარბაზი ახდილი იყო. საროთი ნაკეთებს დარბაზის ჭერს რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი ედგა; სვეტებს სიმაღლე 35 ფუტიდან 40 ფუტამდე ჰქონდა; მთელი დარბაზი მშვენიერი ორხოებით იყო მორთული...“

მოსკოველი ქართველი უფლისწული

1666 წელს მოკვდა შაჰ აბას მეორე და ირანის მბრძანებელი შეიქნა მისი ძე **სულეიმანი** (1666–1694). სულეიმან შაჰმა ქართველთა „დამოუკიდებელი პოლიტიკა“ თავიდანვე ავად დასუნთქა. იგი ვახტანგ მეფის „ფრთხილ ნაბიჯებში“ ირანისათვის დიდ სამომავლო საფრთხეს ხედავდა, ხოლო არჩილი მას სპარსეთის ნამდვილ მტრად მიაჩნდა. კიდევაც იძლეოდა კახეთის გამგებელი სპარსელთაგან ამნაირი შეფასების საფუძველს, ვინათგან „არჩილ იყო მოძულე მაჰმადიანთა და მაჰმადიანობისა“.

და შაჰ სულეიმანმა გადაწყვიტა დაერღვია მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია“ და უფრო მძიმე კირთებით დაეთრგუნა „კადნიერ ვურჯთა დამოუკიდებლობა“. ბოლოს, მრავალ „ვარიანტთა“ შორის, მაინც ეს ამჯობინა შაჰმა – რუსეთიდან მოეწვია კახეთის ტახტზე „შეყვარებული“ ნიკოლოზ-ერეკლე ბატონიშვილი, მიეცა მისთვის კახეთის ტახტი და ამით ქართლ-კახეთის ერთიანობაც დაენგრია, ვახტანგისა და არჩილის „სიმფონიური მმართველობაც“ გაექრო და გაზვიადებული ვახტანგ მეფეც დაეკნინებინა...

...ერეკლე ბატონიშვილი მოსკოვის ქართველ „კოლონისტთა“ იმედი და სასოება იყო. ერეკლეს უნდა აღესრულებინა მისი დიდი პაპის თეიმურაზის მარად აუსრულებელი ოცნებანი – ჯერ კახეთისა და ქართლის დაუფლება, ყიზილბაშთაგან გათავისუფლება, და ბოლოს, „ყოველი საქართველოს“ გაერთიანება და გამძლავრება. დროც ხელსაყრელად მიაჩნდათ მოსკოველ ქართველებს. დიდი შაჰ აბას პირველის შემდგომ საქართველოს მოსისხლე სპარსეთი სწრაფად ეცემოდა და კნინდებოდა. რამდენიმე ათასეული რუსი ჯარისკაცი, თანამოძმე ქართულ ლაშქართან ერთად, ადვილად გაანადგურებდა სპარსეთს, ქრისტიანთა ამ მარადიულ სამტრო-საბუდარს. დრო ხელსაყრელი იყო იმ მხრივაც, რომ „ცარევიჩ ნიკოლაი“ რუსთა ხელმწიფის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მოსკოვის კარზე ძალიან ჩანდა ეს მომხიბლავი ქართველი ჭაბუკი – ახოვანი, წვლწვრილი და მხარბეჭიანი, ვნებიანი სახის ნაკვთებით და ძლიერი შუქმოსილი თვალებით, ერთდროულად ფიცხელი და დარბაისელი,

მამაცი მახვილოსანი და სწორუპოვარი ცხენოსანი. რუსულ წრეებში ყველამ იცოდა, რომ საქართველო ამ ახალგაზრდა ქართველმა „ეკუთვნოდა“. რაც მთავარია, ეს იცოდა თვითონ ხელმწიფემ. ალექსი რომანოვს დიახაც „ესურვილებოდა“, რომ კავკასიის საქრისტიანო, ქრისტიანი შვილობილის საშუალებით, თავისი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია.

მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ერთბაშად ისე აიწეწა, რომ „საქართველოს საქმეებისთვის“ ისევ ვეღარ მოიცალა მოსკოვის უმაღლესმა კარმა. ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა: ნიკონის რეფორმა და სასულიერო „ბუნტები“, ომები პოლონეთთან და შვეციასთან, „სპილენძის აჯანყება“ მოსკოვში, დონელი კაზაკების გამოსვლა ვასილი უსის მეთაურობით, გლეხთა ომი სტენკა რაზინის წინამძღოლობით, და ბოლოს, ალექსი რომანოვის მეუღლისა და დედოფლის, მარია ილიას ასული მილოსლავსკაიას გარდაცვალება.

ქართველი ბატონიშვილი მაინც ისევ დიდ პატივში იყო მოსკოვის კარზე. 1671 წლის იანვარში მეფე ალექსი რომანოვი მეორედ დაქორწინდა – ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინაზე და ამ ქორწინებაზე ნიკოლოზ ბატონიშვილი „ტისიაცკი“ იყო – მთელი საქორწინო განწესების, ხარჯების, მსვლელობისა და დაგვირგვინების მეთაური. „ტისიაცკი“ ვითარცა ნეფე-დედოფლის მეჯვარე, განუყრელად თან ახლდა ახლად შეუღლებულებს, იგი იხდიდა საქორწინო ფულს, ჯვარსაწერად მიუძღოდა ნეფე-დედოფალს, საქორწინო ბეჭდებსაც თვითონ უცვლიდა შეუღლებულებს, სანადიმო სუფრის გაწყობასაც იგი მეთვალყურეობდა და მეურვეობდა.

1672 წლის მაისის ბოლოს ნატალია ნარიშკინამ შვა მომავალი უდიდესი ხელმწიფე რუსეთისა – პეტრე.

მოსკოვის სასახლის კარზე რუსთა და ქართველთა სიყვარულსა და სიახლოვეს დიდი სამომავლო პირი უჩანდა. მოსვენება დაჰკარგვოდათ ირანისა და ოსმალეთის სატახტოებს. გამორჩევით ირანის შაჰი ვერ შერიგებოდა რუსეთის კარზე ქართველი უფლისწულის დაწინაურებას და აღზევებას. ვაი, თუ ამიერიდან „გარუსებულმა ქართველებმა“ შეცვალონ „გათათრებული ქართველები“ საქართველოს ტახტზე!

და ნიკოლოზ-ერეკლეს ირანის შაჰის წერილი მიუვიდა – სპარსეთს მეწვიე და კახეთის მეფობას ისე ჩაგაბარებ, ქრისტიანობის გამოცვლასაც არ მოგთხოვო.

რუსეთის მეფის დახმარებით საქართველოში გამეფების იმედი, როგორც ეტყობა, სავსებით დაჰკარგვოდა ნიკოლოზს. ამიტომ იგი დათანხმდა წასულიყო სპარსეთს.

იგი ცივად გამოისტუმრეს რუსეთიდან.

დარიალს რომ გამოაღწია, ირანის შაჰის შათირებმა ხმალი და „საფიცარი რაყამი“ შემოაგებეს. „ამ ხმალსა და საფიცარს მოენდევ და სპარსეთს მეწვიეო“, – წერდა შაჰი რუსეთიდან წაყოლილ ქართველს.

იგი დიდის ამბით მიიღეს სპარსეთში. ყაზმინს იდგა და ელოდებოდა

შაჰ სულეიმანი ქართველ ბატონიშვილს. მისი ბრძანებით, წინასწარ „გზის ხარჯათ“ ათასი თუმანი შეაგებეს სტუმარს. ხუთი დღის შემდეგ კვლავ დაახვედრეს გზაზე „ათასი თუმანი ნაღდი და ათასი თუმნის ფასი მორთულობა და იარაღი“, ბოლოს, ყაზმინს რომ მიუახლოვდა შაჰმა ქალაქის მთელი მოსახლეობა შეაგება ბატონიშვილს. შემოვიდა ყაზმინში ერეკლე ქართველთა ამალით, „ქართულათ მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზრდა ვაჟკაცნი, ტურფანი და მშვენიერნი, ნამეტნავად ბატონიშვილს ერეკლეს წვერ-ულვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას უმაღლე იყო და ნაქმარათ ყველას ამჯობინეს“. შაჰის მეჯლისზე რომ შევიდა, „ბატონიშვილის სიტურფემან და შვენიერობამან და ტანადობამან ყველანი გააკვირვა“. შაჰ სულეიმანმა გვერდით დაისვა. „რუსეთის ხელმწიფის ამბავი გამოჰკითხა“. შემდეგ, როგორ იმგზავრეო, ეს გამოიძია დაწვრილებით. ერთი სიტყვით, შაჰ სულიემანმა ერეკლე ბატონიშვილი „კარგის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ გვარის კაცობისათვის და მერმე შვენიერობისათვის და კარგად აგებულობისათვის“. მაშინვე „საზრდელიც“ დაუდგინა სულიმანმა ერეკლეს: „წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი, დღეში თორმეტი ჭიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანიც სხვა რამეების ფასათ გაუჩინა“.

ამასობაში ორი მოულოდნელი ამბავი მოვიდა სპარსეთს: ერთი – არჩილს კახეთის ტახტი მიუტოვებია და იმერეთის ტახტის ხელახლა „საძიებლად“ წასულა ახალციხეს, და მეორე – გარდაცვლილიყო ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე მაჰნავაზი.

იყო 1675 წელი. დაესრულებინა თავისი წილხვედრი წუთისოფელი მეფე ვახტანგ მეხუთეს, გონებავრცელ ქართველ ხელმწიფეს, ქვეყნისა და ერის ღირსეულ წინამძღოლს, ჭკვიან სჯულმდებელსა და მამაც მხედარს.

გამეფდა 40 წლისა, იმეფა 17 წელიწადი, აღესრულა შობითგან 57 წლისა. დაკრძალეს ყუმში, სპარსეთის „უწმინდეს ქალაქში“, როსტომ მეფის გვერდით (იქვე, სულ ახლოს, დიდი შაჰ აბასის ძვლები განისვენებდა)...

...თითქოს ერეკლე ბატონიშვილის „იღბალი“ იყო, რომ ერთდროულად გათავისუფლდა ორივე ტახტი, ქართლისა და კახეთისა. და შესთავაზა სულემან შაჰმა ორივე ერეკლეს, ქართლიც და კახეთიც, ოღონდ... წინასწარ სარწმუნოება უნდა გამი იცვალოო, – ბრძანა სულიემანმა. ერეკლემ შაჰს მაშინვე მისი „საფიცარი ბარათი“ აჩვენა და მოავონა – აკი სარწმუნოებას „ხელს არ ვჰყოფთ?!“ მაგრამ შაჰმა თვალითაც არ შეხედა თავის ნატყუარ წერილს. ერეკლე კი განაგრძობდა: „მეფენი მბრძანებლობენ, გარნა არ უნდა სტყუოდნენ, მე წავიკითხე შენი ბარათი, ვერწმუნე შენს ფიცს და დაუეჭვებლად მოვედი შენთან. მე ჩემს სარწმუნოებას ვერ გაღალვუდგები. ხოლო თქვენი დიდებულებისათვის ლამაზი არ იქნება ფიცის გატეხვა“. ტახტიდან წამოდგა სულეიმან შაჰი, ერეკლეს მკლავში ჩააფრინდა და მუდარით უთხრა: „მეტი რაღა ვინდა, გაძლევ კახეთს. ტფილისს, მთელს საქართველოს და ყოველივეს თერეიდან

ვიდრე არეზამდე, – ეს ირანის ერთი მეხუთედია. ამას გარდა, მოგანიჭებ ისპაჰანის ტარუღობას და შენც იმდენსავე ჯამაგირს მოგცემ, რამდენსაც ვახტანგ შაჰ-ნავაზს ვაძლევდი. მხოლოდ სთქვი: დიდია ალაჰი და მუჰამედი მისი წინასწარმეტყველი! სთქვი, რომ ღებულობ ჩვენს სჯულს. რათა აღსრულდეს სიტყვა ჩემი, რათა არა მკიცხავდნენ გარემო სახელმწიფოთა მეფენი იმის გამო, რომ მუსლიმთა სამფლობელო მიწა მე ქრისტიანს მივეცი. გამიგონე და დამეთანხმე, რასაც გეუბნები, ხოლო როცა საქართველოში დაბრუნდები, იქ ის სჯული იწამე, რომელიც შენ მოგესურვოს". მაგრამ მაშინვე შეაგება შაჰს „ორი ქრისტიანი ქვეყნის შვილმა": „მარტო საქართველო კი არა, მთელი ირანიც რომ მიბოძო, ჩემთა ბაგეთაგან არ ამოვუშვებ ქრისტიანობის მგმობელ არც ერთ სიტყვას, ჩემს სარწმუნოებას არ ვუღალატებ სიმდიდრისა და ხელმწიფობის მოპოვებისათვის. უკეთუ ღმერთსა ჩემსა მოვატყუებ და წარმავალი ხელმწიფებისათვის სარწმუნოებას განვუდგები, მაშინ შენი ერთგულიც როგორღა ვიქნები?" ისევ სცადა შაჰმა თუ რჩევით და თუ მუქარით ერეკლეს დაყოლიება, მაგრამ ვერაფერს გახდა. რა გაეწყობაო, ბრძანა უკვე განრისხებულმა შაჰმა, მე სამოთხეში ყოფნას გირჩევდი და რაკი არ ინებე, ჯოჯოხეთში მიბრძანდიო, და ჩააგდო ციხეში ერეკლე ბატონიშვილი.

და დადგა 1677 წელი, დადგა და ქართლის ტახტზე ირანის შაჰმა, სულეიმანმა, დასვა ვახტანგ შაჰ-ნავაზის ძე, **გ ი ო რ გ ი** „შაჰ-ნავაზ მეორე" ანუ ისტორიაში ცნობილი **გ ი ო რ გ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე** (1677–1688). ხოლო, კახეთი შაჰ სულეიმანმა სამმართველოდ მისცა ისევ ირანის მოხელეს – **ბ ე ჟ ა ნ - ხ ა ნ ს,** წარმომავლობით ქართველს.

ქართლის ახალი მეფე, გიორგი მეთერთმეტე. „იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანით, მშვენიერ-ჰაეროვანი, პირ-მხიარული, ენატკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო". სულ მალე საცნაური შეიქნა, რომ გიორგის სპარსეთისგან გაცილებით უფრო დამოუკიდებლად ეჭირა თავი, ვიდრე მის მამას და ძმას – ვახტანგს და არჩილს. იგი სპარსეთის დაუკითხავად და ანგარიშგაუწევლად ამყარებდა მეგობრობას, მოყვრობას თუ მტრობას და მესისხლეობას, ვისთანაც როგორ მოისურვებდა. უფრო მეტიც – სპარსეთის მტრებთან უფრო სიახლოვესა და „სიყვარულს" ამჟღავნებდა, ვიდრე სპარსეთის ერთგულ მეგობრებთან და ქვეშევრდომებთან. ამიტომ შაჰ სულეიმანი აღივსო შურისგებით „გიორგი მეფესა ზედა და მცდელობდა შემუსვრასა მისსა". „გურგინ-ხანი მეგონა გამაჰმადიანდა, მაგრამ ისევ ქაღარი (ურჯულო, ქრისტიანი) დარჩენილაო", – იძახდა გამწარებული შაჰი. უკვე გადაეწყვიტა კიდევაც შაჰს გიორგის დამხობა და აეშაგები დაუგზავნა ქართლში ქართველ თავადებს, გადასდგომოდნენ „ულირს ხელმწიფეს". მაგრამ გიორგი მეფეც არ დარჩა ვალში: მისდგა და ყველა მოღალატე და „მოთათრე" თავადი დაუნდობლად ამოწყვიტა დედა-ბუდიანად. მერე შაჰმა ისიც შეიტყო, რომ გიორგი ქართლსა და კახეთში აჯანყებას ამზადებდა და მძევლებად ძმა (**ლ ე ვ ა ნ ი**) და ერთადერთი ძე (**ბ ა გ რ ა ტ ი**) მოსთხოვა.

გიორგიმ აჯანყება დააჩქარა, მაგრამ მოულოდნელად ღალატის წყალობით ჩაეშალა და იძულებული გახდა ლევანი და ბაგრატი ორივე გაეგზავნა ირანს. შაჰი ბოლომდე მაინც არ ენდო „ცბიერ გურგინ-ხანს“ და შემოუთვალა: ქართლის მეფობა ერეკლე ბატონიშვილს ვუბოძეთ, შენ კი ჩემს წინაშე მობრძანდი, რამეთუ „მოგცე ქვეყანა სხვა და ნიჭნი დიდნი!“. გიორგიმ შაჰის რაყამი შორს მოისროლა და არც სპარსეთს წავიდა და არც ახალ მეტოქეს შეეგება.

ქართლში კი ახალი მეფე შემოდიოდა. მაინც ვერ გადარჩენილა „გათათრებას“ ამპარტავანი ერეკლე ბატონიშვილი. ახალი, თათრული სახელიც მიულია, **ნ ა ზ ა რ - ა ლ ი - ხ ა ნ ი**. თუმცა საისტორიო მეფეთა ნუსხაში დაივანებს როგორც მეფე **ე რ ე კ ლ ე პ ი რ ვ ე ლ ი (1688– 1703)**. იგი ახლა 46 წლის კაცი იყო. საქართველოდან მას მხოლოდ ბავშვობა და ყრმობა ახსოვდა. 22 წელიწადი რუსეთში გაატარა, 14 წელიწადი – სპარსეთში. გარეგნულად, დიახაც, უმშვენიერესი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო საგრძნობლად აემღვრია უცხოობაში ხანგრძლივ ცხოვრებას. თამარ მეფის პირველი ქმრის შემდგომ საქართველოს ტახტს არ მოსწრებია ეგზომ „მსმელი“ და „ქალთა მოლალე“, როგორც „ცარევიჩ ნიკოლაი“ აღმოჩნდა. ღვინო მაინცდამაინც არ უყვარდა. თურმე ვერ შეუსრულებია თავისი პაპის თეიმურაზ მეფის შეგონება და მაინც მისჩვევია „ფიცხელი სასმელის“ ყლურწვას რუსეთში. ხშირი „სმისა და შვება-ლხენის მოყვარეს“ არ შეეძლო „ზარხოშობის დონემდე“ თავის შეკავება და თრობით დათრგუნვილი „ლირწიანად და უშვერად“ ენამყრალობდა. შიმუნვარ ქალებს უგვანად ელაციცებოდა. ბუნებით კი გულმოწყალე იყო, „მცირეთა ყურის მიმპყრობი“, თანაც „დიდთა დამამდაბლებელი“. ირანის შაჰის გარდა ძაღლადაც არავის აგდებდა. მაინც კახეთისკენ ეჭირა თვალი კახეთის ბაგრატიონთა ნაფესვარს. სულეიმან შაჰმაც შეიწყნარა მისი „კახური მისწრაფებანი“ და „სახასოდ“ მისცა ქიზიყი და თუშეთი.

ქართლის ძველ თავადობას არ შეიძლებოდა მოსწონებოდა „რუსეთუმეს“ ახალი, „უცნაური“ ღონისძიებანი – ძირძველ ფეოდალთა დაკნინება, ჩამოქვეითება და „ახლების“, ლამის „ვიგინდარების“, დაწინაურება. ერეკლემ იცოდა, რომ მისგან დაქვეითებული ძველი ქართლელი თავადობა, იდუმალ თუ აშკარად, ისევ გიორგი მეფეს ეძიებდა ტფილისის ტახტზე დასაბრუნებლად, მაგრამ არც ამაზე ფიქრით იწამლავდა „ორი დღის წუთისოფელს“ ლხინისა და დროსტარების მოტრფიალე მეფე. არხეინად იყო, რადგან ქართლის მთავარ ციხეებში ყიზილბაშური ციხიონები ჰყავდა.

გიორგი მეფეს შაჰ სულეიმანი მეფედ აღარ სცნობდა, მაგრამ თვითონ გიორგი „სცნობდა თავის თავს“ და ეს საკმარისად მიაჩნდა მას. ოთხი წელიწადი ებრძოდნენ ერთმანეთს ერეკლე და გიორგი თავთავიანთი „დასებით“ ქართლის ტახტისთვის. ოთხი წელიწადი ძმათაშორისი სისხლმათხევარი ბრძოლა! ცოდვიანი ომის სასწორი წონასწორად ქანაობდა. ზიარჭურჭლებივით ერთიმეორეს ანაკლულებდნენ და ავსებდნენ ერთმანეთის სისხლით: ერთიმეორეს ბანაკებში მიმორბოდნენ პოლიტიკურ

წყვდიადში ბრმად მოფართხალე საომარი ძალები. იდგა ხმალთა გაუთავებელი კვეთება – „კვეთებითა მეხისათა“, ჩალიბად ბრძოლა (ნინოწმინდაში, ქიზიყის მოურავმა დუშია ანდრონიკაშვილმა ქართლის სახლთუხუცესს ბარძიმ ერისთავს უბრალოდ, „შესაშინებლად“, ტყვიით ბეჭი დაულეწა), თოფების ბათქაბუთქი, ზარბაზნების გრიალი (ერთი ჭურვი ძცხეთის სვეტიცხოველსაც დაეტაკა, მაგრამ გადაურჩა არსუკისძის ნახელავი უგუნურად ნასროლს), განუკითხავი ყელის დაჭრა და თვალთა „ალმოხდომანი“ (გიორგიმ შეიპყრო და თვალები დათხარა ერეკლეს მომხრე ბეჟან საკაძეს).

ერთხელ შერიგებაც სცადეს გიორგიმ და ერეკლემ. კიდევაც შეთანხმდნენ. გიორგი ქართლის ტახტს დაიჭერდა, ერეკლე – კახეთისას. კიდევაც უნდა ეუწყებინათ ეს შეთანხმება შაჰისათვის. მაგრამ „არა აუფლეს მეშფოთეთა ესე ყოფად“ – არც ერთი ბანაკის თავადობამ არ ინება იარაღის დაყრა.

ერთხელ გიორგის ისეთი შემთხვევაც მიეცა, იოლად შეეძლო თავიდან მოეშორებინა მეტოქე. ღამე იყო და გიორგის აცნობეს: ერეკლე ბოლნისიდან მოდის ტფილისისკენო. გზა გადაუჭრა გიორგიმ ერეკლეს. არჩილიც თან ახლდა გიორგის. ერეკლე გამოჩნდა მცირე ამალით. გიორგი აიმართა საიერიშოდ. მაგრამ არჩილმა არ დაანება: ხელს ნუ ახლებ, რა ვაჟკაცის საქმეა ასე ქურდულად დაცემაო! და გიორგიმაც აიღო ხელი „მოპარულ გამარჯვებაზე...“

...ირანის ახალი შაჰი, სულთან ჰუსეინი კი დაჟინებით იწვევდა გიორგის თავისთან. სხვებიც წერდნენ წერილებს ირანიდან, შაჰს ეწვიე და არამცთუ წყენა, „არამედ უფრო სარგებელი და წყალობა და კეთილის ყოფა“ გელის მისგანო.

და, ბოლოს და ბოლოს, 1696 წელს, გიორგი მეფე სპარსეთს გაემგზავრა.

ქართლის ტახტზე უმეტოქეოდ დარჩა ერეკლე პირველი. რომელიც კიდევ რვა წელიწადი იმეფებს ფრიად უფერული მეფობით.

კულტურის კატალოგი

„ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხია და მათ საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, მაშინ ვერავითარი საგარეო მტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა“, წერდა რუსი დიპლომატი პ. ლევაშოვი 1766 წელს. მართლაც, შინაფეოდალურმა აშლილობამ ფრიად გაუადვილა ქართველთა მიწა-წყლის უთავჟამო რბევა და ნგრევა გარედან მოსულ უთვალავ მტერს. ხუთასწლოვანმა შინა და გარე ომებმა, სამეურნეო ცხოვრების მოშლასთან ერთად, ძალზე დაასუსტა და დააკნინა ქართული კულტურის ყოველი დარგი, სულიერიც და ნივთიერიც.

მეჩვიდმეტე საუკუნის მანძილზე უმძიმესი სისხლთათხევანი მაინც

ქართველთა აქტიური ბალანსით განესრულა: გარეშე მტრებთან გამართული 28 ბრძოლიდან მათ მოიგეს 21, წააგეს 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის სიგრძეზე ქართველებმა უფრო მეტი სისხლი ადინეს ერთიმეორეს. მარტო ბაზალეთის ცოდვიანი, ძმათაშორისი ომის გახსენებაც იკმარებს უამური ჟრჟოლის აღსაძვრელად. გამორჩევით დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა „ისახელეს თავი" უთავჟამო შინა მტრობით და შინაომებით. აქ, მთელი საუკუნეების გასწვრივ მძვინვარებდა ქართველთა ხელით ქართველთა სისხლის ღვრა, – მძვინვარებდა, რამეთუ გადაწყვეტილიყო, ვინ ვის სარეცელში ჩაწოლილიყო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ბრწყინავდნენ ქართული საუზროვნო, თეოლოგიურ-თეოსოფიური, სამეცნიერო და სახელოვნებო კერები: ტფილისი, ქუთათისი, მცხეთა, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა, დავით-გარეჯა, წილკანი, თელავი, გორი, გრემი, ლარგვისი, ჯრუჭი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, მუხრანი, მძოვრეთი, ტანძია, ცაიში, ბედია, მარტვილი, ხობი, შემოქმედი, უშგული.

მარიამ დედოფალი, როსტომ მეფის მეუღლე, ამზადებინებს „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერს. სულხან-საბა ორბელიანი ადგენს ქართულ განმარტებით ლექსიკონს. ძმებმა სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებმა გალექსეს „ამირანდარეჯანიანი". ბარძიმ ვაჩნაძემ „შაჰ-ნამეს" მოტივებზე დაწერა პოემა „უთრუთიან-საამიანი", მამუკა თავაქალაშვილმა – „ზააქიანი", „ლეილ-მაჯნუნიანი", „იოსებ-ზილიხანიანი", „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა", „მაჯამა", „წამება ქეთევან დედოფლისა", „სოფლის სამდურავი", „გრემის სასახლეზე", „თამარის სახე დავით-გარეჯას", „ანბანთქებანი", „შვიდთა კრებათათვის", მეფე არჩილმა – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა". „საქართველოს ზნეობანი", „გაბაასება კაცისა და სოფლისა", „სამიჯნურონი", „ლექსნი ასეულნი", „ანბანთქებანი" იოსებ ტფილელმა – პოემა „დიდმოურავიანი", ფარსადან გორგიჯანიძემ – „საქართველოს ისტორია".

სწავლა-აღზრდის ქართული კერების გარდა, საქართველოში (ტფილისში, გორში) სკოლები გახსნეს ევროპელმა, კათოლიკე მისიონერებმა. აქ, საღვთისმეტყველო საგნებს გარდა, ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურსა და იტალიურ ენებს.

მეჩვიდმეტე საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი „საერთო მწიგნობრობისადმი" – ისტორიის, ფილოლოგიის, პოეზიის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ასტრონომია, მედიცინა, გეოგრაფია) შესწავლისადმი. ამიტომ წერდა თეიმურაზ მეფე: „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთაო".

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს რომში დაარსდა პირველი ქართული სტამბა, სადაც 1629 წელს გამოჩენილი ქართველი სწავლულისა და დიპლომატის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) მონაწილეობით, დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა.

აღარსად იყო მეათე-მეცამეტე საუკუნეთა არქიტექტურული აღმშენებლობის მასშტაბები, მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნემ მაინც

გვიანდერძა ზოგიერთი საინტერესო ხუროთმოძღვრული ნაგებობანი: აღდგენილი გრემის ქალაქი ეკლესიებით, გალავნებით, აბანოებით, ანანურის არქიტექტურული ანსამბლი; ლევან დადიანის მიერ გამშვენიერებული მოქვის ტაძარი; როსტომ მეფის მიერ აგებული ხიდი მდინარე ხრამზე – „გატეხილი ხიდი", რომელიც დღესაც მოქმედებს საქართველო-აზერბაიჯანის დღევანდელ საზღვარზე. ამავე საუკუნიდან მრავლად შემოგვრჩა ფრესკული მხატვრობისა და ჭედურობის ნიმუშები.

პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველები უცხოეთში: სპარსეთში – ალავერდ-ხან უნდილაძე, იმამ-ყული-ხანი უნდილაძე, დავით (დაუდ-ხან) უნდილაძე, კონსტანტინე-მირზა თეიმურაზის ძე, იესე (ისა-ხან) უნდილაძე, თამაზ-ყული-ხანი, მანუჩარბეგი (შაჰ აბასის ელჩი ინდოეთში), გიორგი სააკაძე, ბაგრატ-მირზა (როსტომ მეფე), ყარა-ბეჟან-ბეგ სააკაძე, როსტომ-ხან სააკაძე, ფარსადან გორგიჯანიძე, პაატა-ბეგი, ალექსანდრე მუხრანბატონი, ხოჯასთე-ბეგი, რამაზ-ბეგი, იოთამსულთან გურჯი, ფეროხ-სულთანი, დაუდბეგ-გურჯი, ალი-ყული-ბეგ სააკაძე, ოთარ-ხანი, მანსურ-ხანი, მანსურ-ხან ბარათაშვილი; პოეტები მირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბადი, ქაიხოსრო-ხანი (როსტომ-ხან სააკაძის დისწული), ზეინალ-ბეგი, ზურაბ-ბეგი, ფაზალ-ალი-ბეგი, შერმაზან-ბეგი, ალი-ხან-ბეგი; თურქეთში – გიორგი-ბეგი, მეჰმედ-ფაშა, გულჩარა (დიპლომატი ქალი, მეფე გიორგი მეათის ასული), ფერად ფაშა, ქენან ფაშა „კოჯა" („ზორბა"), გურჯი მეჰმედი, საფარ ფაშა, მურთაზა ფაშა, რუსეთში – ბატონიშვილი ნიკოლოზ (ერეკლე), არჩილ მეფე, ალექსანდრე არჩილის ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინარე XV საუკუნეში დაწყებული დიდი საზღვაოსნო მოგზაურობანი და გეოგრაფიული აღმოჩენები კიდევ უფრო ფართო მასშტაბს ღებულობს მომდევნო XVI საუკუნეებში.

ქრისტეფორე კოლუმბის შემდგომ, მისგან პირველად მიგნებულ კონტინენტზე რამდენჯერმე იმოგზაურა ფლორენციელმა ა **მ ე რ ი გ ო ვ ე ს პ უ ჩ ი მ** და, ევროპისთვის ამ ახალ კონტინენტს სახელიც ამ ამერიგოსგან ა მ ე რ ი კ ა დაერქვა (არა და - იქნებ, „კოლუმბია“ უფრო სამართლიანი ყოფილიყო!)...

XVI საუკუნეში მოხდა პირველი ზღვაოსნური მოგზაურობა დედამიწის გარშემო, პორტუგალიელი **ფ ე რ ნ ა ნ დ ო მ ა გ ე ლ ა ნ ი ს** (1470-1521) წინამძღოლობით. მოგზაურობა გაგრძელდა სამი წელიწადი (1519-1522). თვითონ მაგელანი დაიღუპა ფილიპინის კუნძულებზე, ადგილობრივ ველურ ტომთა თავდასხმისაგან. საერთოდ, მის თანამგზავრ 265 კაციდან უკან მხოლოდ 13 კაციღა დაბრუნდა.

ამ მოგზაურობამ კაცობრიობა საბოლოოდ დაარწმუნა დედამიწის სიმრგვალეში. ევროპისთვისაც საცნაური გახდა მანამდე მხოლოდ ზღაპრად გაჯერებული დიდი ანუ წყნარი ოკეანე.

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს თან მოსდევს პროცესი ევროპელთაგან იმ ახლად აღმოჩენილ ქვეყანათა დაპყრობისა და კოლონიზაციისა.

ამ მხრივ განსაკუთრებული აქტივობით ჯერ გამოირჩევიან ესპანელები. სწორედ ესპანელი „**კ ო ნ კ ი ს ტ ა დ ო რ ე ბ ი**“ ანუ „დამპყრობელნი“, განუწყვეტლივ ლაშქრობენ, იპყრობენ, სახლდებიან და მკვიდრდებიან ამერიკის კონტინენტზე.

1519-1527 წლებში, **ფ ე რ ნ ა ნ დ ო კ ო რ ტ ე ს მ ა** დაიპყრო **მ ე ქ ს ი კ ა,** სამშობლო **ა ც ტ ე კ ე ბ ი ს ა**, რომელთა მეფე, სახელად **მ ო ნ ტ ე ს უ მ ა** დამპყრობლებმა აიძულეს ჩაებარებინა მათთვის მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ნაგროვები საგანძურები, 19 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულებით.

1532-1535 წლებში კი, მეორე ესპანელმა დამპყრობელმა, **ფ რ ა ნ ს ი ს-კ ო პ ი ს ა რ ო მ** დაიპყრო **პ ე რ უ**, სადაც ცხოვრობდნენ **ი ნ კ ე-ბ ი,** რომელთა ბელადს, **ა ტ ა ხ უ ა ლ პ ა ს**, დამპყრობლებმა წაართვეს 150 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულების საგანძურები.

მექსიკისა და პერუს მიყოლებით, ესპანელებმა დაიპყრეს და დაისაკუთრეს: **ჩ ი ლ ე, ა ხ ა ლ ი გ რ ე ნ ა დ ა** (კოლუმბია) და, ბოლოს, **ა რ გ ე ნ ტ ი ნ ა.**

* * *

XVI საუკუნეს იტალია კვლავ დაქუცმაცებული შეხვდა: ჩრდილოეთით - ვენეცია, გენუა, მილანი, სავოია, პიემონტი; შუა იტალიაში - ფლორენცია და პაპის სახელმწიფო; სამხრეთით- ნეაპოლიტანის სამეფო, სიცილიასთან ერთად.

იმჟამად ცხოვრობდა ფლორენციელი **ნიკოლო მაკიაველი** (1469-1527), რომელიც თავისი წიგნით - „ხელმწიფე“ ქვეყნის გაერთიანებისა და გადარჩენის ერთადერთ გზად მიიჩნევდა სიმკაცრე-სისასტიკეზე დაფუძნებულ აბსოლუტურ მონარქიას.

* * *

XVI საუკუნე გერმანიაში იწყება ე. წ. **რეფორმაციით**, რაც გულისხმობს რომის პაპისა და მისი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ ანტიპაპისტურ მოძრაობას სათავეში უდგა **მარტინ ლუთერი** (1483-1546), წარმომავლობით ტიურინგიის ოლქიდან.

1501 წელს, ლუთერმა დაამთავრა ერფრუტის უნივერსიტეტი, შედგა ბერად და შეიქნა მღვდელი. 1509 წელს, ვიტენბერგის უნივერსიტეტში მიიღო ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების პროფესორის წოდება.

ლუთერი თავისი ახალი მოძღვრებით, დაუპირისპირდა რომის პაპსა და მის კათოლიკურ დოგმატიზმს. ხოლო, დაიწყო იმით, რომ - 1517 წლის 31 ოქტომბერს, მან ვიტენბერგის უნივერსიტეტის ეკლესიის ფასადზე გამოაფინა 95 თეზისი, რომლებითაც იგი რადიკალურად უპირისპირდებოდა რომის კათოლიკურ ეკლესიას; პირველ რიგში ინდულიგენციებით ვაჭრობის გმობა-კიცხვით.

1519 წელს კი, ლუთერმა გამოაცხადა, რომ ეკლესიას პაპი სრულებითაც არა სჭირდება. უფრო მეტიც: ნამდვილ მორწმუნე ქრისტიანს საერთოდ სამღვდელოებაც არა სჭირდება. მთავარია, ადამიანს თვითონ სწამდეს უფლისმიერი შეგონებანი პირდაპირ სახარებიდან.

1520 წელს, რომის პაპმა გამოსცა ბულა, რომლითაც ლუთერი ცხადდებოდა ეკლესიიდან განკვეთილად. საპასუხოდ ლუთერმა ის ბულა, ვიტენბერგის უნივერსიტეტის ეზოში, მისივე სტუდენტებისგან გაჩაღებულ კოცონში ჩააგდო და დასწვა-დაფერფლა.

უფრო ადრეც, XV საუკუნის პირველ მეოთხედში, ევროპის გამორჩეული ყურადღება მიიპყრო **ჰუსიტურმა მოძრაობამ** ჩეხეთში. აქ მთავარი გმირი იყო **იან ჰუსი** (1371-1415), პრაღის (პრაღა) უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც დაიწყო ბრძოლა, ერთის მხრივ გერმანელთა ექსპანსიური მოძალების, მეორე მხრივ თვით კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის წინააღმდეგ. იან ჰუსი ქრისტიანთა სარწმუნოებრივი ცხოვრების მთავარ საფუძვლად უშუალოდ სახარებას, საღვთო სჯულს თვლიდა და არა მაშინდელი კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურას. იგი მოითხოვდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციას (ეკლესიისგან გათავისუფლებას) და სასტიკ ბრძოლას უცხადებდა ინდულგენციებით ვაჭრობას.

ინდულგენცია ანუ „შეწყალება“ და „პატიება“ გულისხმობდა ცოდვების პატიებას და ასეთი „შემწყნარებლური სიგელის“ გაცემის საფასურად, რომის პაპი და მისი კათოლიკური ეკლესია ღებულობდა გამოსასყიდ ფულს, ოქრო-ვერცხლს. და აი, ასეთ სარწმუნოებრივ

ვაჭრობა-მექრთამეობას ბრძოლას უცხადებს იან ჰუსი.

ყოველივე ამისთვის, რომის პაპმა იან ჰუსი შეაჩვენა და მალე კიდევაც - 1415 წლის 28 ოქტომბერს, ქალაქ კონსტანცაში მოწვეული საეკლესიო კრების დადგენილებით, იან ჰუსი კოცონზე დასწვეს.

ამას მოჰყვა ჩეხი ხალხის აჯანყება. ამ „ჰუსიტურ ომში", აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობისათვის" გაერთიანდნენ რომის პაპი მარტინ V და პოლონეთ-ლიტვის იმპერატორი სიგიზმუნდ I.

1420 წლის 14 ივლისს აჯანყებულმა ჰუსიტებმა, **იან ჟიჟკას** მეთაურობით, ჯვაროსნები სასტიკად დაამარცხეს.

ჰუსიტური ომები 1437 წლამდე გაგრძელდა და ბოლოს ჩახშობილ იქნა.

ასე რომ იან ჰუსი და „ჰუსიტური მოძრაობა" თავისებურად წინამორბედი მოვლენა იყო ლუთერისა, მისი „ლუთერანიზმისა" და რეფორმაციისა გერმანიაში...

ლუთერი ბრძოლას განაგრძობდა. მან, იმ მისგანვე დამწვარი ბულის საპასუხოდ პაპის განმაქიქებელი პასუხიც გამოაქვეყნა, ასეთი სახელწოდებით - „ანტიქრისტეს ბულის პასუხად".

ამავე პამფლეტით ლუთერი გერმანიის მაშინდელ იმპერატორს, კარლოს V მოუწოდებდა ელაშქრა და აეღო რომი, გაეძევებინა პაპი და მოეხდინა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია (ეკლესიისგან ჩამორთმევა) მთელს იმპერიაში.

ლუთერის გამოსვლას გერმანიაში თითქმის ყველა წოდებისანნი მიეძხრნენ, მაგრამ თვითონ იმპერატორმა კარლოს V, რომელსაც შაშინ საფრანგეთთან ომი ჰქონდა - პაპის გადამტერება არ მოისურვა ღა თვითონ ლუთერის დაპატიმრების ედიქტიც კი გამოსცა.

ლუთერი მაშინ საქსონიის მთავარმა შეიფარა და აქაც შას დრო უქმად არ დაუკარგავს: აქ მან მთელი ბიბლია თარგმნა ლათინურიდან გერმანულად. მალე იმპერატორმაც მის დევნაზე ხელი აიღო და ლუთერი ისევ ვიტენბერგს დაბრუნდა. აქედან იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას პაპის მბრძანებლობისგან გერმანიის ეკლესიის გასათავისუფლებლად, ეკლესიისაგან მიწების დახსნისათვის და თვითონ საეკლესიო ცხოვრების გამარტივებისათვის.

ლუთერის მიმდევრები გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში ქმნიან ახალ-ახალ სექტებს, რომელთაგან უფრო რადიკალობით გამოირჩეოდა სექტა **ანაბაბტისტებისა** („კვლავმონათლულები"), ქალაქ ცვიკაუში. ამათი ბელადი იყო **ტომას მიუნცერი,** რომელიც ქრისტეს თვლიდა როგორც ბრძენ მოძღვარსა და მასწავლებელს, მაგრამ მაინც მხოლოდ ადამიანს. ანაბაბტისტები მოითხოვდნენ ხატებისა ღა საეკლესიო რიტუალების გაუქმებას და ადამიანთა განმეორებით - უფროს ასაკში მონათვლას.

უკვე აშკარა აჯანყებანიც დაწყებულიყო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ გერმანიის სხვადასხვა სამთავროში. განსაკუთრებით ღიდი მასშტაბისა იყო გლეხთა აჯანყებანი 1524-1525 წლებში - ფრანკონიაში,

შვაბიაში, ტიურინგიაში და საქსონიაში. ყველა აჯანყება ჩახშობილ იქნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გერმანული რეფორმაცია ანუ ლუთერანობა ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა - საფრანგეთში, ინგლისში, პოლონეთში, უნგრეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში.

შვეიცარიაში, ციურიხის კანტონში, რეფორმაციის ბელადი შეიქნა **ულრიხ ცვინგლი** (1484-1531). მან, 1522 წელს, გამოაქვეყნა „67 სტატია", რომლითაც იგი ქადაგებდა „რელიგიის განწმენდას", ებრძოდა ინდულგენციებით ვაჭრობას.

შვეიცარიის ჟენევის კანტონში კი, რეფორმაციის ბელადი იყო **ჟან კალვინი** (1509-1564), წარმომავლობით ფრანგი, რომელმაც 1536 წელს გამოსცა წიგნი, სახელწოდებით - „დარიგებანი ქრისტიანული სარწმუნოებისა". ამით ეს ახალი მოძღვრება - **კალვინიზმი,** რადიკალურად უპირისპირდებოდა კათოლიკურ ეკლესიას.

1541 წელს, ჟენევაში, კალვინისტებმა გააუქმეს საეკლესიო იერარქია, დაგმეს ხატები, წმიდა ნივთები და ყოველგვარი საეკლესიო მორთულობანი. აიკრძალა საეკლესიო მუსიკაც. საკურთხევლის მაგივრად დაიდგა უბრალო მაგიდა...

ლუთერის დუბულებას - „ადამიანის მხსნელი რწმენაა" - კალვინი უმატებდა, რომ ადამიანის ბედის განმსაზღვრელი მთლიანად ღვთაებრივი ბედისწერაა და, ისევ ღვთის ნებით - ადამიანები დაბადებითვე განისაზღვრებიან ორ კატეგორიად: „რჩეულებად" და „განწირულებად".

ყველა ამ მოძრაობას, მიმართულს რომის პაპისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, ეწოდა **პროტესტანტიზმი.**

მაშინ კათოლიკური ეკლესია თვითონ გადავიდა კონტრშეტევაზე ანუ კონტრრეფორმაციაზე. ქალაქ ტრიენტში (ტიროლი, გერმანიის საზღვარზე) გამართულმა საეკლესიო კრებამ ყველა პროტესტანტი გამოაცხადა „ერეტიკოსად". ყოველგვარი კათოლიკურ-ეკლესიური ტრადიცია კვლავ ხელუხლებელ, წმიდათაწმიდა მოვლინებად ცხადდებოდა, სათავეში უზენაესი ავტორიტეტით - რომის პაპით. საგანგებოდ დადგენილი ცენზურით, იდევნებოდა და ნადგურდებოდა პროტესტანტულ-რეფორმატორული წიგნები.

კათოლიკური ეკლესიის დასაცავად ჩამოყალიბდა რაინდული ორდენი **იეზუიტებისა** („იესოს მიმდევრებისა"), **ეგნატე ლოიოლას** მეთაურობით.

ამ ორდენის მოვალეობა იყო დაცვა კათოლიციზმისა ყოველგვარი საშუალებით, უკიდურესი დევიზმით - „მიზანი ამართლებს საშუალებას".

ლოიოლასგან მისი ორდენისთვის დადგენილი დისციპლინა პირდაპირ ასე ცხადდებოდა: „ქვემდგომი ზემდგომს უნდა ემორჩილებოდეს, ვითარცა გვამი; ყოველ მხარეს უნდა ბრუნავდეს, ვითარცა ჯოხი; გაწელვა-შეკუმშვა უნდა შეეძლოს, ვითარცა ცვილი".

* * *

XVI საუკუნის დამდეგს, არაბთა წინააღმდეგ წარმოებული „რეკონკისტას“ შემდეგ, ევროპაში სწრაფად ძლიერდება და წინაურდება ესპანეთი.

ეს ხდება ჩვენთვის უკვე ცნობილი ფერდინანდ არაგონელისა და იზაბელა კასტილიელის შვილიშვილის, მეფე **კ ა რ ლ ო ს I ჰ ა ბ ს ბ უ რ გ ი ს** მეფობის დროს (1516-1556 წ. წ. ანუ დრო, როცა საქართველოში მეფობდა ლუარსაბ I). ესპანეთის გარდა, კარლოს ჰაბსბურგელს თავის მმართველობაში მოექცია ნიდერლანდი, ლუქსემბურგი და მილანი. მის დროსვე ესპანელებმა აფრიკაში დაიპყრეს ტუნისი, ამერიკაში კი - მექსიკა. 1519 წელს კარლოს ესპანელი, კარლოს V ჰაბსბურგის სახელწოდებით, გერმანიის იმპერატორიც კი შეიქნა. ასე, რომ კარლოს ჰაბსბურგის იმპერიაში - როგორც მაშინ იტყოდნენ - „მზე არასოდეს არ ჩადიოდა“.

კარლოსის შემდეგ მეფობდა მისი ძე **ფ ი ლ ი პ ე** II (1556-1598 წ.წ. ანუ დრო, როცა საქართველოში მეფობდა სვიმონ I). ფილიპემ ესპანეთის სატახტო ქალაქად გამოაცხადა მადრიდი. 1580 წელს მან დაიპყრო პორტუგალია და ამით მთელი პირენეის ნახევარკუნძული ერთ მთლიან სახელმწიფოდ აქცია. თუმცა პარალელურად ამ ამბებისა, გერმანია კვლავ ცალკე სახელმწიფოდ გასულიყო, ფილიპეს ბიძის, **ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ** I იმპერატორობის ქვეშ.

ფილიპე II ომი ჰქონდა თურქეთთან. 1571 წელს, **ლ ე პ ა ნ ტ ო ს თ ა ნ** გამართულ საზღვაო ბრძოლაში, ესპანელებმა სასტიკად დაამარცხეს თურქთა საზღვაო და სახმელეთო საომარი ძალები.

მაგრამ მალე ამის შემდეგ, ზედიზედ წაეწყო ფილიპეს დამარცხებანი. 1572 წელს ნიდერლანდი აუჯანყდა ესპანელთა ბატონობას. ომი გაგრძელდა, ესპანეთ-ნიდერლანდის ომს ესპანეთ-ინგლისის ომიც დაუწყვილდა. იმავე ჟამს ესპანეთს პორტუგალიაც გაექცა ცალკე სახელმწიფოდ.

1588 წელს, ფილიპე II ინგლისისკენ დასძრა თავისი - როგორც თვითონ ეძახდა - **„უ ძ ლ ე ვ ე ლ ი ა რ მ ა დ ა“**, 130 გემით და 25000 მეზღვაურით და მეომრით. ლამანშის სრუტეში ამოვარდნილმა უსაშინლესმა ქარიშხალმა სრულად დაანგრია და დალეწა ესპანური „არმადა“.

* * *

XVI საუკუნეს ინგლისი ისევ ტიუდორების დინასტიის მმართველობით ხვდება. ჩვენთვის ცნობილი ჰენრიხ VII ტიუდორის შემდეგ, სამეფო ტახტი თანმიმდევრობით უჭირავთ: **ჰ ე ნ რ ი ხ VIII-ს** (1509-1547), **ე დ უ ა რ დ VI-ს** (1547-1553), **მ ა რ ი ა ს** (1553-1558) და, ბოლოს **ე ლ ი ს ა ბ ე დ I-ს** (1558-1603).

(როცა საქართველოში ეეფობენ: დავით X, გიორგი IX, ლუარსაბ I, სვიმონ I).

ეს არის ხანა ინგლისში ბატონყმობის გაუქმებისა და თავისუფალ

გლეხობაში ძირითად სამეურნეო დარგად მეცხვარეობის განვითარებისა. „ცხვარმა შეჭამა ინგლისიო“ - საქვეყნოდ გავრცელდება ეს ნათქვამი.

მაგრამ მაშინვე დაიწყო გლეხთა სათემო მიწების ყიდვა-მიტაცება მდიდარი ლორდებისაგან, მათგანვე მეცხვარეობისათვის მიწების შემოღობვით. ტერმინიც „შემოღობვა“ გლეხობის მასიური გაღატაკების სიმბოლოდ ქცეულიყო ინგლისში. მთელი სოფლები დაცლილიყო მათხოვრად და მაწანწალად ქცეული გლეხობისაგან.

მეფე ჰენრიხ VIII-მ ჯერ 1516 წელს, სახნავ-სათესი მიწის საძოვრად გადაქცევა აკრძალა; შემდეგ, 1533 წელს, გამოსცა კანონი რომლითაც ცხვრის ფარას მკაცრად ზღუდავდა არა უმეტეს 2000 სული-ცხვარით. ბოლოს, 1597 წელს (რა წელსაც თურქებმა საქართველოს წაართვეს ჭანეთი), ინგლისში, ნორფოლკში, გლეხთა აჯანყება მოხდა, ძმების - **ვ ი ლ ი ა მ და რ ო ბ ე რ ტ კ ე ტ ი ს** მეთაურობით. აჯანყება ხელისუფლებამ დაქირავებული ჯარით ძლივს ჩაახშო. აჯანყებულთაგან 35000 კაცი გაწყდა, მათ შორის ორივე ძმანი-ბელადნი.

ტიუდორების დინასტიიდან ინგლისს განსაკუთრებული სიმტკიცით მართავდა დედოფალი **ე ლ ი ს ა ბ ე დ** I. მისმა მომტერეებმა ელისაბედს დაუპირისპირეს შოტლანდიელი **მ ა რ ი ა ს ტ ი უ ა რ ტ ი.** მაშინ, ელისაბედმა იგი შეიპყრო და, ხანგრძლივი პატიმრობის შემდგომ, 1587 წელს, თავიც გააგდებინა.

* * *

ამ დროს საფრანგეთში, **ფ რ ა ნ ც ი ს კ** I-ის მეფობისას (1515-1547) არნახულად გაფართოვდა თვითონ მეფის ერთპიროვნული ხელისუფლება. მეფე უკვე რომის პაპისაგან დამოუკიდებლად ნიშნავდა მღვდელმთავარ-ეპისკოპოსებს. იგი აღარ იწვევდა აღარც გენერალურ შტატებს. მეფის ნება-სურვილი აშკარად, ყოველგვარ იურიდიულ-სამართლებრივ კანონმდებლობაზე მაღლა ცხადდებოდა.

ფრანცისკ I იტალიის დაუფლების მიზნით, ოთხი დიდი ომის გადახდა დასჭირდა ესპანეთ-გერმანიის იმპერატორ კარლოს V ჰაბსბურგთან. პირველი წარმატებების მიუხედავად, ფრანგთა მეფე დამარცხდა და ტყვედაც კი ჩავარდა. მაგრამ საფრანგეთში შეჭრილი კარლოს V, ისევ ფრანგთა კონტრიერიშით, იძულებული გახდა უკუქცეულიყო და, ბოლოს და ბოლოს, ფრანცისკ I შერიგებოდა. 1544 წელს, დაიდო ზავი, რომლის ძალითაც ორივე ხელმწიფე ხელს იღებდა იტალიაში ლაშქრობებზე.

ამაო, უშედეგო ომები აწარმოვა იტალიაში ფრანცისკის მემკვიდრე **ჰ ე ნ რ ი ხ** II-მაც (1547-1559).

XVI საუკუნის საფრანგეთი, გერმანული ლუთერანობისა და რეფორმაციის კვალდაკვალ, მოიცვა ანალოგიურმა პროტესტანტიზმმა. აქ განსაკუთრებით გავრცელდა კალვინის მიმდევრობა.

მაშინ, კათოლიკურმა ეკლესიამ, პროტესტანტული „ერესის“ დასათრგუნავად, დააწესა ინკვიზიცია, რომელიც იმთავითვე შეუდგა „ცოდვილ ერეტიკოსთა“ კოცონებზე დაწვას.

კალვინისა და ლუთერის მიმდევრებს, საერთოდ კათოლიკობის

წინააღმდეგ აღძრულ პროტესტანტებს საფრანგეთში დაერქვათ „ჰ უ - გ ე ნ ო ტ ე ბ ი“...

ჰენრიხ II-ის შემდეგ თანმიყოლებით მეფობენ მისი შვილები: ფ რ ა ნ - ც ი ს კ II (1559-1560), კ ა რ ლ ო ს IX (1560-1574) და ჰ ე ნ რ ი ხ III (1574-1589). სამივე სუსტი მეფე გამოდგა. ფრანცისკ II-ის დროს, სასახლეში ძლიერი ფეოდალური საგვარეულო - გ ი ზ ე ბ ი გაბატონდნენ; ყმაწვილი კარლოს IX-ის დროს კი, დედამისი ეკატერინე მედიჩი ბატონობდა.

გიზები და მედიჩები კათოლიციზმს იცავდნენ თავგამოდებით, ხოლო კალვინისტურ-ჰუგენოტურ ოპოზიციას სათავეში ბ უ რ ბ ო ნ თ ა საგვარეულო ედგა.

ამ ორ მიმდინარეობას შორის დაიწყო შეიარაღებული სისხლისქცევაც, სახელწოდებით - „ჰუგენოტური ომი“, რომელიც გაგრძელდა 36 წელიწადი (1562-1598). 1572 წელს მხარეებმა სცადეს შერიგება დამოყვრებით: ჰენრიხ ბურბონი ცოლად ირთავდა მარგარიტა ვალუას. მაგრამ ეკატერინე მედიჩისა და გიზების მეთაურობით, სწორედ იმ ქორწილის ღამეს, 1972 წლის 24 აგვისტოს, სასახლეშივე გააჩაღეს ჰუგენოტების ჟლეტა, რომელიც სასახლიდან სხვა ქალაქებშიც გავრცელდა, და ასე, სულ 2000 ჰუგენოტზე მეტი ამოწყდა. ასე შევიდა ისტორიაში სისხლიანი „ბართლომეს ღამე“ (24 აგვისტო წმ. ბართლომეს სახელობის დღედ ითვლებოდა).

მაგრამ „ჰუგენოტური ომი“ საფრანგეთში იმ „ბართლომეს ღამით“ არ შეწყვეტილა. „ჭეშმარიტ კათოლიკეთა“ და „მწვალებელ ჰუგენოტთა“ ურთიერთ ჟლეტა კვლავ გრძელდებოდა და ძლივს დასრულდა 1598 წელს (მაშასადამე ერთი წლით ადრე, ვიდრე ჩვენში, სოფელ ნახიდურთან მომხდარი ბრძოლისა და თურქთაგან სვიმონ მეფის დატყვევებისა). დამთავრდა იგი ე. წ. „ნანტის ედიქტით“, რომლის ძალითაც საფრანგეთის სამომავლო სარწმუნოებად კვლავ კათოლიციზმი ცხადდებოდა.

პარიზის ტახტზე გამარჯვებული მეფე იჯდა, ახალი საგვარეულოს, ბ უ რ ბ ო ნ თ ა დინასტიის დამაარსებელი - ჰ ე ნ რ ი ხ IV (1589-1610).

ჰენრიხის შემდეგ მისი ძე, ლ უ ი XIII მეფობდა (1610-1640). მის დროს სასახლის კარზე დაწინაურდა კარდინალი რ ი შ ე ლ ი ე, რომელიც ნიჭით და მტკიცე ნებით, თითქმის სახელმწიფოს ერთპიროვნულ გამგებლად იქცა (რიშელიე პირველი მინისტრი გახდა 1624 წელს, მაშასადამე იმ წელს, როცა შირაზში აწამეს ქეთევან დედოფალი). რიშელიემ სასახლიდან განდევნა თვით მეფის დედა და ძმა, რომლებიც მანამდე თავის ნებაზე ათამაშებდნენ უნებისყოფო გვირგვინოსანს. რიშელიე სასტიკად სდევნიდა უწესრიგობას და უსაქმურობას. მან აკრძალა იმ დროს მოდად ქცეული დუელში გაწვევა და უაზრო ურთიერთ ხოცვა.

რიშელიეს დროს ისევ განახლდა ჰუგენოტების აჯანყებანი. მაგრამ ისევ კარდინალისა და პირველი მინისტრის მტკიცე ორგანიზებულობით ისევ აღდგა მშვიდობა, ჰუგენოტებს ნება დაეროთ ეათი კულტის

მიმდევრობისა, ოღონდ რაიმე პოლიტიკური უფლებების სრული აღკვეთით, ეს მოხდა 1629 წელს (მაშასადამე იმ წელს, როცა ალეპოში თურქებმა დახოცეს გიორგი სააკაძე და მისი თანამებრძოლი ქართველები).

* * *

1618-1648 წლებში - ეს არის ეპოქა „**ოცდაათწლიანი ომისა**“, რომელმაც მთელი მაშინდელი ევროპა მოიცვა (საქართველოში - ხანა გიორგი სააკაძისა, თეიმურაზ პირველისა, შემდეგ როსტომ-ხანისა).

ერთმანეთს უპირისპირდებიან **ჰაბსბურგული და ანტიჰაბსბურგული** ბლოკები, რომელთაგან პირველს სათავეში უდგნენ ესპანეთისა და ავსტრიის ჰასბუგრგთა საგვარეულო და მათთან ერთიანდებიან რომის პაპი, გერმანიის კათოლიკე ფეოდალები და პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო; მეორეში კი ერთიანდებიან: საფრანგეთი, შვეცია, ჰოლანდია, დანია, ინგლისი, რუსეთი და პროტესტანტები გერმანიიდან, იტალიიდან და ჩეხეთიდან.

ეს იყო უკანასკნელი რელიგიური ომი ევროპაში.

1618 წელს, ჰაბსბურგების ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა ჩეხეთში. აჯანყებას მეთაურობდა გრაფი **ტურნი**.

მომდევნო 1619 წელს, გერმანიის იმპერატორის წინააღმდეგ, პრაღაში, ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩამოყალიბდა. ახლადარჩეული მეფის, **ფრიდრიხ ფალცელის** მეთაურობით.

მაშინვე, ისევ ტურნის მეთაურობით, ჩეხთა ჯარი დაიძრა ვენისაკენ.

გერმანიის იმპერატორიც, ფერდინანდ II, დაუხვდა, მოპირდაპირე უკუაქცია, დაედევნა და ახლა თვითონ შეიჭრა ჩეხეთში. პრაღაში გერმანელებმა საჯაროდ ჩამოახრჩეს აჯანყების 27 მეთაური. მთელს ჩეხეთში აღსდგა კათოლიკური ეკლესია და სახელმწიფო ენადაც, ჩეხურის ნაცვლად, გერმანული გამოცხადდა.

1621 წელს, გერმანელებმა დაიჭირეს აჯანყების ცენტრი, ფალცი, და ასე დამთავრდა ომის ეს „ჩეხური პერიოდი“. და დაიწყო ახალი - „დანიური პერიოდი“.

1624 წელს, ჰაბსბურგების წინააღმდეგ ომში ებმება დანია, საფრანგეთისა და ინგლისის წაქეზებით და მხარდაჭერით. პარალელურად, საფრანგეთის ხელისუფლება, კერძოდ, კარდინალი რიშელიე დაჟინებით ცდილობდა ჰაბსბურგების წინააღმდეგ ომში ჩაერთო და ჩაეყოლიებია შვედეთის მეფე **გუსტავ II ადოლფი**. მაგრამ ეს არ მოხერხდა, რამდენადაც შვეციის მეფეს მაშინ ომი ჰქონდა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოსთან.

1625 წელს, დანიის მეფე **ქრისტიან IV** თავისი ჯარებით უკვე შეჭრილიყო გერმანიაში. თან, ავსტრიასა და ჩეხეთში გლეხთა აჯანყებებიც დაწყებულიყო და იმპერატორ ლეოპოლდ II-ს უაღრესად მისჭირვებოდა. მაგრამ მაშინ მის ბანაკში აღმოჩნდა ნიჭიერი სამხედრო ორგანიზატორი **ალბერტ ვალენშტეინი**, წარმომავლობით ჩეხი, მაგრამ სრულად გაგერმანებული, რომელმაც უმოკლეს დროში შემოიყარა 30000

დაქირავებული მეომარი. მაშინვე გადავიდა შეტევაზე, სასტიკად დაამარცხა დანიელთა ჯარები, შეიჭრა თვითონ დანიაში და კოპენჰაგენსაც დაემუქრა იერიშებით. ქრისტიან IV იძულებული გახდა ზავი ეთხოვა, რომელიც დაიდო კიდეც 1629 წელს, ლიუბეკში.

ამ ზავით, დანიის მეფე პირობას დებდა, რომ ამიერიდან გერმანიის საქმეებში ცხვირს აღარ ჩაყოფდა.

ვალენშტეინმა ამ გამარჯვებისათვის ჯილდოდ მიიღო მეკლენბურგის მთელი საჰერცოგო და ტიტული გენერალისიმუსისა.

მესამე პერიოდი ამ ომისა - „იტალიური პერიოდი" - 1628-1631 წ.წ. როცა გერმანელები და ფრანგები ერთმანეთში ომობენ ჩრდილოეთ იტალიაში.

ბოლოს, კარდინალმა რიშელიემ შესძლო გერმანიის იმპერატორის წინააღმდეგ ომში ჩაეთრია შვედეთის მეფე გუსტავ II ადოლფი და ასე გაჩაღდება ომის მეოთხე პერიოდი - „შვედური პერიოდი" (1630-1635წ.წ.).

ამ დროს ვალენშტაინი გადამდგარიყო და გერმანელთა ჯარების სარდლობა იმპერატორს **იოჰან ტილლისთვის** გადაეცა.

1630 წლის ზაფხულში (იმ წელს, როცა სხვილოში ზურაბ ერისთავმა მოჰკლა სვიმონ II), გუსტავ-ადოლფი შვედური ჯარებით შეიჭრა გერმანიაში; 1631 წლის 17 სექტემბერს კი, სოფელ ბრეიტენფელდთან, ლაიპციგის ახლოს, მან დაამარცხა ტილლი. ხოლო, მომდევნო 1632 წლის გაზაფხულს, მდინარე ლეხზე გამართულ ბრძოლაში ტილლი მეორედ დამარცხდა და თვითონაც იქვე დაიღუპა (ამ დროს ქართლის ტახტზე დაჯდა როსტომ მეფე).

იმპერატორმა ფერდინანდ II-მ ისევ მოუწოდა მთავარსარდლად ვალენშტეინს. ამანაც სასწრაფოდ შეჰყარა ლანდსკნეხტთა ჯარი და იმავე 1632 წლის 16 ნოემბერს, ქალაქ **ლუცენთან** გამართულ სასტიკ ბრძოლაში - ის იყო, შვედები იმარჯვებდნენ, რომ მკვდარი დაეცა თვითონ მეფე გუსტავ-ადოლფი.

ვალენშტეინი ჩეხიაში გადავიდა და იქედან საქსონელთა განდევნას შეუდგა. ამასობაში ვალენშტეინის მომტერე კათოლიკებმა მოახერხეს დაეყოლიებინათ იმპერატორი, რათა მას კვლავ გადაეყენებინა მთავარსარდალი მთავარსარდლობიდან.

ამრიგად, 1634 წლის დამდეგს, ვალენშტეინი მთავარსარდლობიდანაც გადააყენეს, სახელმწიფოს ღალატიც დააბრალეს და, 25 თებერვალს, ეგერის ციხესიმაგრეში ჩაკეტილი, კიდევაც მოჰკლეს („ეგერის კატასტროფა").

(გავიხსენოთ: ამავე 1634 წელს მოხდა კახეთის აჯანყება და სალიმ-ხანის ყიზილბაშური ჯარების გაჟლეტა).

1634 წლის 6 სექტემბერს, **ნორდლინგენესთან** მომხდარ ბრძოლაში შვედები დამარცხდნენ და გერმანიიდან შვედეთს გაბრუნდნენ.

თითქოს, ამით ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ აი, 1635 წლის გაზაფხულს, კარდინალი რიშელიეს თავგამოდებით, საფრანგეთი ომს უცხადებს გერმანიას.

მაშ, ომის კიდევ ერთი და უკანასკნელი პერიოდი - „ფრანგული პერიოდი“ (1635-1648 წ.წ.). ფრანგები დამარცხებულ შვედებს შეუერთდნენ და ერთად გაუმართეს ომი ჰაბსბურგთა გერმანიას. მოხდა სამი დიდი ბრძოლა: პირველი - 1642 წლის 2 ნოემბერს, ბრეისტენფელდთან; მეორე - 1643 წლის 19 მაისს, როკრუასთან და მესამე - 1645 წლის 6 მარტს, იანკოვთან.

სამჯერვე მოკავშირე ფარნგებმა და შვედებმა სძლიეს გერმანელებს. ჰაბსბურგებმა ზავი ითხოვეს და დაიდო კიდეც, **ვ ე ს ტ ფ ა ლ შ ი,** 1648 წელს. ვესტფალის ზავით, საფრანგეთს გერმანიისგან ეთმობოდა ელმასი, მეცი, ტული და ვერდენი; ხოლო შვეციას - გერმანიის ჩრდილოეთ ზღვისპირა სახმელეთო ზოლი (ამ წელს საქართველოში მორიგი ბრძოლა მოხდა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველსა და ქართლის მეფე როსტომს შორის).

* * *

ვესტფალის ზავის დადების ჟამს, აღარც ლუი XIII და აღარც კარდინალი რიშელიე ცოცხალთა შორის აღარ იყვნენ. 1643 წელს გარდაცვლილი ლუი XIII-ის ადგილზე მისი ძე, მაშინ ხუთი წლის **ლ უ ი XIV** დამჯდარიყო და ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონებად დედამისი **ა ნ ა ა ვ ს ტ რ ი ე ლ ი** და კარდინალი **მ ა ზ ა რ ი ნ ი** მოვლენილიყვნენ.

მათი მმართველობის ხანა საფრანგეთში აღინიშნება ხშირი შინაბრძოლებით და არეულობით. ეს გაუთავებული შეტაკებანი მოინათლა „ფრონდას“ ანუ „თამაშის“ სახელწოდებით.

„ფრონდა“ ორ საფეხურად გამოიკვეთა - ჯერ, „პარლამენტარული ფრონდა“ 1648-1649 წლებში, და მას შემდეგომ „პრინცების ფრონდა“ 1650-1653 წლებში. პირველი გულისხმობდა პარლამენტის ბრძოლას აბსოლუტური მონარქიის შესაზღუდავად და თავისთვის ეფრო სრული მმართველობის მოსაპოვებლად.

მაშინ მაზარინიმ პარლამენტის მეთაურები დააპატიმრა. ამას მაშინვე პარიზის მოსახლეობის აჯანყება მოჰყვა. ქალაქი ბარიკადებით დაიფარა. მაზარინი იძულებული გახდა პატიმრები გაეთავისუფლებინა და პარლამენტის მოთხოვნებიდან ზოგი რამ კიდევაც დაეკმაყოფილებინა.

მაგრამ მალე, 1648 წელს, ვესტფალის ზავის დადებისთანავე - რაკი საფრანგეთის შეიარაღებული ძალები საგარეო ომისგან უკვე თავისუფალი იყო, ამით გათამამებულმა კარდინალმა მისგან გაცემული საპარლამენტო პრივილეგიები მაშინვე გააუქმა.

მაშინ პარიზში აჯანყებამ უფრო ძლიერად იფეთქა. პარიზიდან კი აჯანყება და შინაომი პროვინციებზე გავრცელდა. ამ ახალი „ფრონდის“ მეთაური შეიქნა პრინცი **კ ო ნ დ ე,** მაგრამ იგი მეფის ჯარებთან ბრძოლაში დამარცხდა და ესპანეთში გაიქცა.

1661 წელს მაზარინი მოკვდა და ქვეყნის ფაქტიურ მმართველობას უკვე დავაჟკაცებული, 22 წლის ლუი XIV შეუდგა - შეუდგა დიდი სიმკაცრით და ყოველი საზოგადოებრივი ინიციატივის სრული უარყოფით.

„სახელმწიფო - ეს მე ვარ!!!“ - აი, ლუი XIV-ის საქვეყნოდ განთქმული ნაბრძანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ „მეფე-სახელმწიფომ“ მუდამ მოჯანყე პარიზი საცხოვრებლადაც კი დაიწუნა და ახალ სადგომად და რეზიდენციად მის გარეთ, 18 კილომეტრის დაშორებით გაშლილი **ვ ე რ ს ა ლ ი** აირჩია. აქ ააშენა ახალი, გრანდიოზული სამეფო სასახლე, გარშემო დიდი მოედნებით, ბაღებით, პარკებით, წყალსაცავებით და შადრევნებით. აქ იჯდა და აქედან განაგებდა ქვეყანას კარის მლიქვენლთაგან „მეფე-მზედ“ მონათლული ლუი XIV.

* * *

ინგლისში, ელისაბედ I ტიუდორის სიკვდილის (1603) შემდეგ, სამეფო ტახტი დაიჭირა **ს ტ ი უ ა რ ტ ე ბ ი ს** დინასტიამ. ამათი დამწყები კი იყო **ი ა კ ო ბ** I (1603-1625), რომელსაც სახელმწიფოს მმართველობაზე მეტად ნადირობა და მამლების ბრძოლა იტაცებდა.

განსაკუთრებულად მოუთმინარი დამოკიდებულება ჰქონდა მას პარლამენტისადმი. მასვე არც კათოლიკებსა და პურიტანებს შორის გამწვავებული ურთიერთობის მოგვარების თავი აღმოაჩნდა. მეფის წინააღმდეგ, 1605 წელს, კათოლიკებმა შეთქმულებაც კი მოაწყვეს, მაგრამ უშედეგო და მეთაურთა დახოცვით.

იაკობმა სამჯერ მოწვეული პარლამენტი სამჯერვე დაშალა და ბოლოს, - თითქოს აღარც არსებობდა - აღარც არაფერს ეკითხებოდა და საერთოდ აღარც მოიკითხავდა პარლამენტს. უკვე თვითონ, პარლამენტის დაუკითხავად, აწერდა გადასახადებს, ტიტულებით და თანამდებობებით ვაჭრობას. ასევე სრულიად თვითნებურად მართავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. მაგალითად, მან პარლამენტის გვერდის ავლით, მოყვრული ურთიერთობა გააბა ესპანეთთან, რომელიც მანამდე ინგლისის „ნაციონალურ მტრად“ იყო გამოცხადებული. კიდევ უფრო გამძაფრდა ურთიერთობა სამეფო ტახტ-გვირგვინსა და პარლამენტს შორის მომდევნო სტიუარტის, **კ ა რ ლ ო ს** I-ის მეფობის ჟამს (1625-1649). 1628 წლის 7 ივნისს, პარლამენტმა კარლოსს წარუდგინა „სამართლის პეტიციაᲐ“, რომლითაც იგი მოითხოვდა მეფის განუსაზღვრელ უფლებათა შეზღუდვას და პარლამენტთან წილდადებას.

პასუხად მეფემ პარლამენტი მაშინვე კიდევაც გარეკა და საფუძველიც დაუდო ბრიტანეთში „უპარლამენტო მმართველობას“, რომელიც გაგრძელდება თერთმეტი წელიწადი (1629-1640).

მეფის ხელისუფლების სისასტიკემ, თვითნებობამ და მძიმე გადასახადებმა მოსახლეობის ყველა ფენაში უკმაყოფილება და მღელვარებანი გამოიწვია. ბევრი უკვე ემიგრაციაში გარბოდა, განსაკუთრებით „დიდ მშველელ“ ჩრდილოეთ ამერიკაში. მღელვარებანი უკვე ცალკე რეგიონთა აჯანყებებშიც გადაზრდილიყო. ირლანდიაში და განსაკუთრებით შოტლანდიაში აჯანყებანი უკვე ომებად გადაქცეოდა ბრიტანეთის სამეფო კარს.

ამ ომს კი დიდი ფული დასჭირდა და, აი, 1640 წლის 13 აპრილს,

მეფემ სასწრაფოდ მოიწვია „მოკლე პარლამენტი“, მასთან შოტლანდიური ომისათვის ფინანსიური სუფსიდიების დასადგენად. მაგრამ „მოკლე პარლამენტი“ მოკლედვე დამთავრდა: პარლამენტისგან უარით და მეფისგან მისი გარეკვით (იმავე წლის 5 მაისს).

ბიბლიოთეკა

უარესად გაურთულდა მეფეს მდგომარეობანი შოტლანდიასა და ირლანდიაში. ბოლოს, იგი იძულებული გახდა, იმავე 1640 წლის 3 ნოემბერს, კვლავ მოეწვია პარლამენტი, რომელსაც ამ დღიდან, უკვე ცამეტწლიანი (1640-1653) არსებობით - დაერქვა „გრძელი პარლამენტი“.

დასაწყისშივე პარლამენტი აიძულებს მეფეს, ხელი აიღოს მისი ხელისუფლების აბსოლუტიზმზე და ვერანაირი სახელმწიფო საქმის შესრულება ვეღარ გაბედოს პარლამენტთან განხილვისა და მისგან თანხმობის გარეშე. პარლამენტმა საგანგებო სასამართლო დადგენილებით სიკვდილით დასაჯა მეფის უახლოესი თანამმართველები - **სტრაფორდი და ლოდი.**

1642 წელს, მეფემ პირდაპირ გამოუცხადა ომი პარლამენტს. ქვეყნის ყველა მხარეში გაჩაღდა შეტაკებანი **როიალისტებსა** (მეფის მომხრენი) და „**რგვალთავიანებს**“ (პარლამენტის მომხრენი) შორის. პირველი შეტაკებანი პარლამენტართა მარცხით წარიმართა. მაშინ პარლამენტის საომარ ძალებს სათავეში ჩაუდგა მანამდე, პარლამენტისვე კრძალული წევრი - **ოლივერ კრომველი,** რომლის გასაოცარი ენერგიისა და ნიჭიერების წყალობით, პარლამენტის მომხრეთაგან ჩამოყალიბდა მკაცრად დისციპლინირებული და გაწვრთნილი, 22000-ანი არმია, რომლის ძალითაც ზედიზედ იქნა დამარცხებული და განადგურებული როიალისტების საომარი ძალები. რამდენიმე წარმატებული შეტაკების შემდეგ, 1645 წლის 14 ივლისს, **ნეიზბისთან** მომხდარ ბრძოლაში, კრომველის ჯარებმა სასტიკად გაანადგურეს მეფის სამხედრო შენაერთები.

ამგვარად, ეს „პირველი სამოქალაქო ომი“ ინგლისში პარლამენტის გამარჯვებით დამთავრდა. კროვმველმა და მისმა თანამებრძოლებმა მეფე კარლოს პირველი ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს და მისი სამართალში მიცემაც მოითხოვეს. კარლოსი შოტლანდიაში გაიქცა. შოტლანდიელებმა ის ჯერ შემწყნარებლურად მიიღეს, მაგრამ მალე უკანვე პარლამენტს მიჰყიდეს, 400.000 ფუნტად (1647 წლის 2 თებერვალს).

გამარჯვებულმა „გრძელმა პარლამენტმა“, რაკი მეფე თავის ხელში დაიგულა, არმიის დაშლა მოინდომა, მაგრამ თვითონ არმიამ სასტიკი უარით უპასუხა, მეფეც დაატყვევა და პირდაპირ ლონდონისკენ დაიძრა. ოლივერ კრომველიც არმიის მხარეს დადგა და პარლამენტის ზოგიერთი წევრის დათხოვნაც მოითხოვა.

ამასობაში კარლოს მეფემ ტყვეობიდან კვლავ შოტლანდიაში გაქცევა მოახერხა და იქედან კრომველთან მოლაპარაკება გამართა, კვლავ ტახტზე დაბრუნების თხოვნით.

მცირე ყოყმანის შემდგომ, კრომველმა, პარლამენტის მხარდაჭერით, მეფე ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ეს მოხდა 1648 წელს, რა წელსაც საქართველოში ახალი დიდი ბრძოლა მოხდა თეიმურაზ I-სა და როსტომს შორის. მაშინ დაიღუპა თეიმურაზის ძე დავით-დათუნა, შემდგომ რუსეთში გაზრდილი ერეკლე ბატონიშვილის მამა).

მაშინვე შოტლანდიელები მეფის გამოსახსნელად ლონდონისკენ დაიძრნენ. ოლივერ კრომველიც დაუხვდათ თავისი ჯარით, ორჯერ უმრავლესი მოპირდაპირე დაამარცხა და უკანვე გააქცია, ედინბურგამდე მისდია და კიდეც აიღო შოტლანდიის ეს მთავარი ქალაქი.

1649 წლის 30 იანვარს, მეფე კარლოს I სტიუარტს, როგორც „მოღალატეს და ტირანს", თავი გააგდებინეს.

(ამავე 1649 წელს მოსკოვში ჩავიდა ელჩობა, წარგზავნილი კახეთის და იმერეთის მეფეებისგან).

იმავე 1649 წლის მაისში, ინგლისში გამოცხადდა რესპუბლიკა, სათავეში ერთპალატიანი პარლამენტით.

1653 წელს კი, გამოცხადდა სახელმწიფო მმართველობის ახალი სტრუქტურა, სახელად - **პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა ტ ი**, ხოლო **პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა დ** - ოლივერ კრომველი. ასეთი „პროტექტორობა" კი, სინამდვილეში იგივე ერთპიროვნული მმართველობა ანუ მონარქია იყო.

1658 წელს, 3 სექტემბერს, ოლივერ კრომველი გარდაიცვალა, პროტექტორატიც გაუქმდა და კვლავ რესპუბლიკა გამოცხადდა.

(ამავე 1658 წელს, საქართველოდან მოსკოვს ჩავიდა კახეთის მეფე თეიმურაზ I).

1660 წელს კი, ინგლისში კვლავ აღსდგა მონარქია, ისევ სტიუარტების დინასტიით: ტახტზე ავიდა **კ ა რ ლ ო ს** II (1660-1685), რომელმაც სასტიკი რეპრესიები გააჩაღა. იჭერდნენ და ხოცავდნენ ცოცხალ მოწინააღმდეგეებს; საფლავიდან იღებდნენ და ბილწავდნენ დახოცილებს. ასე ამოიღეს საფლავიდან და „სიკვდილით დასაჯეს" ოლივერ კრომველის გვამიც.

კულტურის კატალოგი

XVI საუკუნეში, 1506-1590 წლებში, აშენდა უბრწყინვალესი, მსოფლიოს არქიტექტურის შედევრი - წმინდა პეტრეს ტაძარი რომში, სიმაღლით 132 მეტრი, ფართობით 15000 კვ. მ. (კონსტანტინეპოლის წმიდა სოფიას ტაძრის ფართობი კი - 6800 კვ. მ.).

XVI საუკუნის იტალიამ მსოფლიოს მისცა დიდი მოაზროვნენი, მწერალნი და მეცნიერნი:

პოეტი **ტ ო რ კ ვ ა ტ ო ტ ა ს ო** (1544-1595), რომელიც ლექსებს და პოემებს წერდა ჯვაროსნული ომების თემაზე;

სახელოვანი მეცნიერი-ასტრონომი **გ ა ლ ი ლ ე ო გ ა ლ ი ლ ე ი** (1564-1642), რომელიც საეკლესიო სასამართლომ - ინკვიზიციამ, თავისუფალი მეცნიერული აზროვნებისათვის, სიკვდილამდე საპყრობილეში ამყოფა;

მეცნიერი, ფილოსოფოსი და პოეტი - **ჯ ო რ დ ა ნ ო ბ რ უ ნ ო** (1550-1600), რომელიც ინკვიზიციამ კოცონზე დასწვა.

XVI-XVII საუკუნეთა ევროპაში დიდად გაეთქვა სახელი გერმანელ ერაზმ როტერდამელს (1466-1536), მწერალს, ისტორიკოსს.

ამავე დროს ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ მაღალავტორიტეტული მეცნიერები და მწერლები: იოჰან რეიხლინი (1455-1522) და ულრიხ ფონ ჰუტენი (1488-1523), პოეტი ჰანს საქსი (1494-1576), სატირიკოსი იოჰან ფიშარტი (1546-1590).

იმავე საუკუნეთა ფრანგული მწერლობა: პოეტი კლემან მარო (1496-1544); გამორჩეული სახელოვნებით - ფრანსუა რაბლე (1494-1553) მისი სატირიკული რომანით - „გარგანტუა და პანტაგრუელი". პოეტები - რონსარი (1524-1584) და დიუ ბელ - ლე (1522-1560); მეცნიერი იურისტი, ისტორიკოსი და ეკონომისტი - ჟან ბოდენი (1530-1596); ფილოსოფოსი და მწერალი მიშელ მონტენი (1533-1592), ავტორი ფილოსოფიურ-აფორისტული კრებულისა - „გამოცდილებანი".

ამ დროს ცხოვრობდნენ დიდი ფრანგი ფილოსოფოსები - რენე დეკარტე (1596-1650) და პიერ გასენდი (1592-1655).

XVI-XVII საუკუნენი ესპანური კულტურის „ოქროს ხანად" წარმოგვიდგება. ხოლო, მწვერვალი ამ „ოქროვანი სიტყვირებისა" - მიგელ დე სერვანტეს საავედრა (1547-1616) და მისი „დონ კიხოტი". ამავე საუკუნეებში აყვავდა ესპანური თეატრი და დრამატურგია, რომლის დიდი წარმომადგენლები იყვნენ, ჯერ ლოპე დე ვეგა (1562-1635), და შემდგომ, პედრო კალდერონი (1600-1681).

იმავე ჟამს ცხოვრობენ და იღვწიან დიდი მხატვრები: ესპანელი დიეგო ველასკესი (1599-1660), ფლამანდრიელი პიტერ პაულ რუბენსი (1577-1640) და ჰოლანდიელი რემბრანდტი (1606-1669).

იმავე XVII საუკუნეში - ჰოლანდიელი ფილოსოფოსი ბარუხ სპინოზა (1632-1677).

XVI საუკუნის ინგლისში განვითარდა ჰუმანისტური აზროვნება, რომლის შუაგულს წარმოადგენდა ოქსფორდის უნივერსიტეტი. ამ დროს ცხოვრობდა ტომას მორი (1478-1535), ავტორი საქვეყნოდ განთქმული რომან-ტრაქტატისა - „უტოპია".

აყვავების სტადიაში შედის ინგლისური თეატრი და დრამატურგია, მწვერვალით - გენიალური ვილიამ შექსპირი (1564-1616); იქვე - დიდი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი (1561-1626); აქვე დიდი ინგლისელი პოეტი ჯონ მილტონი (1608-1674) და კიდევ - ფილოსოფოსი ჯონ ლოკი(1638-1704).

XVII საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში: ფრანსუა დე ლაროშფუკო (1613-1680), თავისი აფორისტული „მაქსიმებით"; ბლეზ-პასკალი (1623-1662) თავისი ფილოსოფიით; ნიკოლა ბუალო (1636-1711) თავისი სატირებით და ტრაქტატით - „პოეტური ხელოვნება"; ჟან რასინი (1639-1699) თავისი დრამატურგიით; ჟან ბატისტ მოლიერი (1622-1673) თავისი კომედიებით („ტარტიუფი", „დონ ჟუანი", „მიზანთროპი" და სხვ.); ჟან ლაფონტენი (1621-1695) თავისი „იგავარაკებით"; ჟან ლაბრიუერი (1645-1696) თავისი „ხასიათებით".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

საქართველო XI - XV საუკუნეებში

ზეობა ბაგრატ მესამისა..... 3
ზეობა გიორგი პირველისა..... 4
ზეობა ბაგრატ მეოთხისა..... 5
ზეობა გიორგი მეორისა..... 11
კულტურის კატალოგი..... 14
ზეობა დავით აღმაშენებლისა..... 15
ზეობა დემეტრე პირველისა..... 40
ზეობა გიორგი მესამისა..... 42
ზეობა თამარ მეფისა..... 46
კულტურის კატალოგი..... 63
ზეობა გიორგი ლაშასი..... 65
მოსვლა ჯალალ ად-დინისა..... 70
დამკვიდრება მონღოლებისა..... 73
ალამუთი..... 73
კოხტასთავი..... 75
ზეობა ორი დავითისა..... 76
ზეობა დემეტრე თავდადებულისა..... 81
„თავდადებულიდან“ „ბრწყინვალემდე“..... 87
ზეობა გიორგი ბრწყინვალისა..... 89
ქართველები და თემურლენგი..... 95
„ჩამომცრობილი“ საქართველო..... 103

მსოფლიო XI-XV საუკუნეებში

ევროპა ჯვაროსნული ომების წინ..... 107
დრონი ჯვაროსნული ლაშქრობებისა..... 108
ჯვაროსნული ომების შემდგომ..... 114
კულტურის კატალოგი..... 125

საქართველო XVI-XVII საუკუნეებში

დაშლილი საქართველო..... 129
გარისი..... 134
ფარცხისი..... 138
კახეთი „თავისთვის“..... 140
იმერეთი „თავისთვის“..... 142
მესხეთი „თავისთვის“..... 144
ჩილდირი..... 144
დაბრუნება სვიმონ მეფისა..... 148
ხატისსოფელი..... 151
დასასრული სვიმონ მეფისა..... 153
„მთავარი ძარღვი“..... 155
მორღვეული კარგაჭეება..... 156
ჟკვლელობა კახეთს..... 157

გამოსვლა გიორგი სააკაძისა..... 160
დაცემა სააკაძისა..... 163
საქართველო უსააკაძეოდ..... 165
სისხლიანი ალავერდობა..... 168
არაგვი და წიწამური..... 169
სისხლი და ცრემლი კახეთისა..... 170
სპარსეთის კარზე..... 173
წამება ქეთევან დედოფლისა..... 174
აღორძინება სააკაძისა..... 178
მარაბდა..... 180
მარაბდიდან ბაზალეთამდე..... 189
ბაზალეთი..... 192
კვლავდაცემა სააკაძისა..... 197
სააკაძის სიკვდილის შემდეგ..... 199
ზეობა როსტომ მეფისა..... 203
ბახტრიონული..... 210
თეიმურაზის საწუთროს დასასრული..... 217
მამა-შვილის „სიმფონია“..... 222
მოსკოველი ქართველი უფლისწული..... 225
კულტურის კატალოგი..... 230
მსოფლიო XVI - XVII საუკუნეებში..... 233
კულტურის კატალოგი..... 245

• • •

მთავარი რედაქტორი - გურამ ხანდამიშვილი
მხატვრული და ტექ. რედაქტორი - გია ჩიქვანაია
კომპიუტერული წყობა - პავლე კვაჭანტირაძე
კორექტორი - ნანა პაპოშვილი

გამომცემლობა „ᲓᲘᲐ“ - თბილისი, ზანდუკელის ქ. №1.

F 77.611
3